

2735

პბთლუტარუბთ ყველა ქვეყნისა, შუბრბობთ



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მნათობი

56

1927

ყოველთვიური მხატვრულ ღიგერაცურადი
მეცნიერულ პუბლიცისცური უყრნადი

ქულიწადი შოქცსე

მინ-ი36ისი



სახარმმნიფო ბამომცამადობა


ფშიღისი 1929



მხატვრული ლიტერატურა
საქართველოს
ბიბლიოთეკა

საქართველოს
საბჭოთავო
სტამბა

1978. 8



მართი მათგანი *)

გახარებულმა დავტოვე მაშინ
დეზერტირებით სავსე ყაფანი.
ერთი ვარიას ფასად ვიყიდე,
ჩემი პირველი ნატერის საგანი,

რუხი ბუშლატი, რუხი ბუშლატი...
საწყალო მხრებო ეგ რა გელირსათ!

ეს იყო ოცში.
ყოველ ფურნიდან
გამოდინოდა სუნი ზეთისა.

ჩემო ხარაზო, სადა ხარ ეხლა.
გახსოვს ქუჩებში გრძელი კუდები!
წამომიყვანდი ღამით და ქადის
რიგში
ჯობივით მიმაცუდებდი.

მეტად უპირო ზამთარი იდგა;
თოვდა, დნებოდა, ისევ დათოვდა.
ეს დასაქცევი ამინდი
როგორც
მთავრობა, ხშირად ცვალებადობდა.

გამწარებული ვეძებ, არ ვიცი
სად დაუძალო სიცივეს ხელი.
ფურნესთან ისე ეყარა ხალხი
თითქოს დაიმსხვრა მატარებელი.

ვხედავ რო ჩემი ნაქები ჯანი
სწრაფად ინგრევა,
სწრაფად მოკლდება.

სულზე მომისწრო მაშინ წიფიდან
გამოქცეულმა პატრიოტებმა.

*) ნაწყვეტი.



ვიღაც ამბობდა:

— შავ არამზადებს

დედის რძე უნდა შეერგოს შხამათ,
მათის წყალობით ქართულმა ჯარმა
ჯერ არ ნახული სირცხვილი ჭამა. —

რას მიჰქარავდენ!

დეზერტირებო,

ნეტავი აღრე დაგეგდოთ ომი;
თქვენი ჩამოსვლით ბუნშლატის ფისი
ჩემთვისაც გახდა ხელმისაწვდომი.

რას დაგეძებდი რომ ძველი იყო
და სუნიც ჰქონდა ნავთის და შმორის...
ახ, იმ საღამოს ფურწესთან, რიგში
ჩავდექი როგორც იმპერატორი.

მოგეხსენებათ,

ჩენი ქალაქი

მეტად წყნარია, მშვიდი, ქვიანი:
მის მყუდროებას დაარღვევს მხოლოდ
საპონ-წაფსმულ ურმის კრიალი.

ბოლშევიკებზე აღრე იცოდა,
რომ არ არსებობს სამოთხე ცაში,
რომ ვარსკვლავები—ვარსკვლავები
და არა დიშის ლაქლაქა ვაშლი,
რომ მიწაზედაც მიიღებს კაცი
თავისი არჩივ სიამოვნებას...

განა ამისთვის არ დაგვირიგეს
წყვილი ბელი და ცოტა გონებაც!
ამოიჩინე თბილი ადგილი,
მონახე ცოლი, კარგი მოკეთე;
როცა ტუჩებში ხმაური ატყდეს
კარები მაგრად გამოიქეტე.

ამ სააქაოს თუ რამ დაგაკლდა
ვერსად შეივსებ, ვერსად იშოვი.
ცა?!

ქუთაისი ყოველთვის იყო
გაკვირვებული მისი სიშორით.

ერთხელ ასეთი კარგი ქალაქი
არეულიყო როგორც სადგური,

ყოველ ქუჩაზე ხალხის, ეტლის და
ურმების წყება იყო გაბმული.

ღელავს ქალაქის ცენტრი.

სიმშვიდე

ეტყობა მხოლოდ შორეულ უბნებს.
დარბოდენ ქმრები და ისტუმრებდენ
სოფლად, ცოლებით დატვირთულ ურმებს.

თვით კი რჩებოდენ,

ცოლს პირდებოდენ

პათეთიურად, ხელების გაშლით,
უკუ-აქცევდენ შტერს ან ყველანი
დაეცემოდენ გმირულ ბრძოლაში.

მაგრამ უთუოდ ზამთრის ბრალია
რომ მათი ცეცხლი გაცივდა მალე.
შებინდებისას იკადრეს ქმრებმაც
და სწრაფად სადღაც გადაიშალენ.

თითქო ორმოში ჩავარდა ხალხი

მეფხოვეც-კი ქუჩაზე არ სჩანს...

ერთი საათით მთელი ქალაქი

მე და ჩენს ნაცნობ დალაქებს დაგვრჩა.

ერთმა მათგანმა ბურჟუაზიის

მიმართ წარმოსთქვა სიტყვა შექართ;

შემდეგ იშოვეს ლომი...*)

პირველად

გატყდა ხაიმოს ფართლის დუქანი.

დაჰკათ, დაღეწეთ, დაინიავეთ,

ველარ დაიკავს პატრონის ხელი...

თოვს.

უცებ ხიდზე ორპირის ვზიდან

შემოაჭენა ყაზახმა ცხენი.

საათის შემდეგ მწყობრი რიგებით

შემო—

დიო—

დენ

ბოლშევიკები.



*) ლომი—რკინის სარი.



გულდაგულ

რომ ესთქვა მართალი
მე ეს მაკვირებს—
სხვა არაფერი,
ახალ პოეტებს
რათ აკლიათ
ლექსის საფენი.
მე იმას ვაშბობ
რაც უნდა ითქვას,
— არ აქვს საზღვარი
ძარღვიან სიტყვას.
და თუ სხვა მაინც
ვილაცას სწვევლის
და ხაზა მშრალი
ლირიკულ წვიმას
ელის და ელის...
აღბად ეს მხოლოდ
იმის ბრალია,
რომ სიტყვით ეძებს
თანამედროვეს
და დანახვაზე
თვალი მწყრალია.
ბორკაეს პოეტებს
ძველი ოცნება
და ეშინიათ
ახალ ცხოვრების
სიმღერათ ქცევა
შესისხლხორცება.

ძმებო, გადახმა
ძველი პარნასი
დღეს ასეთი მთა
დგება ათასი,
თუ სინამდვილე

არ აგამღერებს
და გული გრძნობით
არ აგმევსება.
ნუ გაიკვირებ
გული გაგიხმეს,
ნურც იმას თვალი
რომ დაგვესება.
ვის უნდა მერე
შენი ვოდება
გადმოღვარული
კრემლის ლექსებათ...
სიტყვა ლოზუნგი
სიტყვა მკრელი
მოკვეთილია,
ჯერ ქაეჭავაძე,
სცნობდა ილია:
— მოვიკლათ წარსულ
დროებზე დარდი.
ჩვენ უნდა ვსდით
ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ვშობოთ
ჩვენი მკობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ
მომავალი ხალხს“.
და გოლიათი
დაიძრა ხალხი
ჩვენ თვითონ მოგვე
ეს მომავალი.
ძმებო, სიმღერის
გვედება ვალი.
წავიდა ის დრო
როდესაც ჩიტებს
დასდევდა ხალხი,
ეხლა სხვა ბორბლის



ტრიალებს ჩარბა
 სხვა მდინარეთა
 გაიხსნა არბი
 თუ რამე დაგრჩა
 ძველი ცოდვისა
 მოსწარი და
 მაგრად ჩამირხე:
 თვითონ უნდა სცე
 შენ თავს პატივი
 თორემ ტკბილ სიტყვას
 ხალხი არ დასდევს
 — შეურცხვეს მართლა
 იმას მარჯვენა
 და სასიმღეროც
 გაუხმეს ენა,
 ვინც დაიზოგოს
 სიტყვა მართალი
 იმ გმირებისთვის,
 რომელთაც თავი
 ხალხისთვის დასდევს.
 შეურცხვეს პოეტი,
 თუ შეუშინდეს
 ქვეყნის ორგულსა,
 მტერსა და მუხთალს
 და სისხლის ოფლში
 გამოკეანგულ ხალხს
 ამხანაგური
 სიტყვა ვერ უთხრას.

მაშ ესთქვით უბრალოთ
 სიტყვა მართალი
 სიტყვა. ვაჟკაცის
 ხელით ნათალი,
 რომლის სიმტკიცე
 ფოლადს აგავდეს
 კაცს გულში მოხედეს
 და გაუხარდეს.
 — ტფილისელებო
 მარტო თქვენთვის
 არ ელაპარაკობ.

დედა ქალაქში
 პოეტების
 დაგიდგათ რთველზე
 ჩემ წინ გაშლილი
 რადიო-ქსელით
 გადასერილი
 სდგას საქართველო.
 — პირველი სიტყვა
 — პირველი სუნთქვა
 — პირველი ლექსი.
 მშობელ მშრომელ ხალხს.
 ქარხნის გუგუნში
 ჯურ დაყოფებულს
 სიმწარის ოფლში
 შეიდგერ გაბანილს
 ფაცხის კარავში
 სიცხით აყვანილს
 წაქცეულ ქოხსა,
 ისლებიან სახლს...
 ამ გაზაფხულზე
 მოვესალმები
 თქვენ ყანის თესვის
 ყანა თქვენია
 თქვენი არი
 მისი ნაყოფი
 არაეინა გყავთ
 მოძალადე
 შრომის გამყოფი.
 — ყოველ დღე გესმით
 თქვენ რა დროზე
 სიტყვა ლექსია
 — თუ როგორ უნდა
 დათესოთ ყანა
 თუ როგორ უნდა
 სარწოს მოყვანა.
 თქვენ უმისოდაც
 ეს კარგათ იცით
 და მე რა გითხრათ.
 — გისურვებთ მხოლოთ
 ბედნიერ დარებს
 და როგორც ჩიტ

თქვენ სახლის კარებს
მეც ჩამოქაჩებ
— გაისარჯენით
რომ თქვენი ყანა
დედის რძესავეთ
მადლით აჭაფდეს,
— თესეთ და კაფეთ!..

ეს ოქროყანა,
ახალი მცხეთა,
ხაშური, გოში,
ვანი, ორპირი
ბანძა და გორდი
წინანდალი და
მერე ახმეტა..

.....
ვინ დათვლის სოფლებს
სადაც ლექსები
რადიოს ანძას
ვალერსება.
სად შრომის ოფლის
ადის ალმური
სად აპრილია
და სალამური.
ვინატრებ მხოლოდ
რომ პოეტები
შრომის გაწევით
გლებებს აგავდენ
როგორც მოსავლის
დადგება ხეავე
ისე ლექსებიც
ხროვათ დაღაგდენ.

.....
მახსოვს პირველათ
როცა აპრილი
ტყემლის სითეთრით
სოფელს ახარებს
გალესდი სახნისს
და თავდაბრილი
ნაჩალარისკენ
მისდევდი ხარებს.
შენ თავზე უფრო

გეცოდებოდა
ნიშა და ლაბა,
მავრამ რას უფრო
ოჯახის რჩენა
დავიდარაბა,
გულზე გედება
ცეცხლის საკირეთ.
ან და ვის ჰყავდა
უღლით ხარები? —
და უფრო ხშირად
შენ სხვის სახნავეში
იყავი სხვისი
მოჯამაგირე...
ის უმშური დღე
წაივდა გაქრა
როცა ყოველი
ბელტის მოხეტქა
იყო საკუთარ
საფლავის გათხრა...
ებლა კაცი ხარ —
აღამიანი,
შენი მარჯვენა,
დღეს მადლიანი
სხვა ბატონს თვალში
ალარ უყურებს,
საკუთარ უღლის
ხნის აქეურებს...
და ნაჩალარის
მაღალი ცეცხლი
ალარ აშინებს
ტურა — კუდიანს
და სხვა ჯადოქრებს.
გველვეშაპივით
დადგა ტრაპტორი
და ფოლადის გულს
თქვენთვის ატოკებს.
ყოველი მისი
ქშენით გარება
ათასს ლარიბის
იქცა ხარებათ.
და სადაც ერთი



კაცი სუსტია,
 იქ ეხმარება
 ხალხს ინდუსტრია.
 სადაც სახნისი
 მიწას ფორჩხნიდა
 ესლა ხის კავი
 ტრაქტორის მოხნულს
 ველია გაწვედება
 თხრილებზე ზიდათ.
 მაგრათ გასწიეთ
 ამ ღრმა ნაკვალევს
 ეს ჭედაეს თქვენთვის
 ბედნიერ ხვალეს.
 ღამის მეზარეო,
 რომ დაიბადეთ
 გუთნის დედებათ,
 გულს ნუ ვაიტებთ
 თქვენც ინდუსტრიის
 ცეცხლი გედებათ!...

* *

წითელ დროწებით
 დახურულ ცას
 ლალს და იაგუნდს.
 პიონერის
 დაფდაფებზე
 ამღერებულ გუნდს.
 სოფლის სკოლაში
 გოგო-ბიჭებს
 სკებათ შებუდრულს
 ახალ თაობის
 სიმტკიცესა
 და რკინის ურდულს.
 დილის რიერაზე
 ვალეიძებულ
 ჭარხნის საყვირებს
 გლეხის მარჯვენას
 და გალესილ
 თოხის საპირეს.
 მიხაკის ფერათ
 შოელვარე
 წითელ თავსაფრებს,

რიონში, მტკვარში
 ალაზანში
 გემების აფრებს
 უდაბურს სამგორს
 იორისავან
 თხრილებით მორწყულს.
 ჭალადიდის ტბას
 სამეგრელოს
 მოშუშებულ წყლულს.
 ენგურის ხეეში
 დაქანებულ
 ფიჭვების ტიეებს,
 ტიოიფონასე
 ზღვათ მოეარდნილ
 ბზესა და თიეებს.
 პურიით და ღვინით
 პირამდე სავსე
 ბელლებს და მარნებს
 და დახვეწილი
 აბრეშუმის
 პარკის ყაზარმებს.
 მუხრანის ველსა,
 თერჯის სათაევს,
 თუშებმა ცხვარი,
 რომ გაუტყავეს
 შესაწირავათ
 ლომისს და ლაშარს.
 სვანეთის შთებში
 გაკაფულ შარას
 იალბუხსს გვერდზე
 რომ დაიტოვეებს.
 სვანის ბარ-ნიჩაბს
 და თაფლის კოდებს.
 თურაშაულის
 ვაშლის ვანთიადს,
 ქარი რომ ზეზე
 აღარ აყენებს.
 წინანდალს ჩაყრილს
 ვაზის ნაშეენებს.
 აჭარის ქედზე
 ლანქერებს დამდნარს
 ჯიჭურა ცოცხებს,

გვიმრას და დაუნას.
 ზეესურის ძროხებს
 ალაზანში
 ჩაყრილ კამეჩებს,
 მზე რომ უმიზნებს
 საფეთქელში,
 სიციხე აღენჩებს.
 ბათომის პალმებს
 და ჩამოხნილ
 ქაღების ჩადრებს.
 თუთუნის ნეშოთ
 ოჯალეშით,
 საყვე ჩაღვიდრებს.
 უსულოს, ცოცხალს,
 კაცს, ადამიანს.
 შირაქის ველზე
 ბალახს ნამიანს.
 რასაც ნაყოფით
 მზე ვერ იცილებს.
 ოთარანთ ქერივის
 კრიალა ეზოს,
 და ფიროსმანის
 კრუხსს და წიწილებს.
 თავზე რძიანი
 ქაფათ დაღვრილი
 ატნით და ტყეშლით
 ადგას აპრილი.
 როცა ბუნება
 უცბათ პოეტებს
 ცეცხლის ნაღვერდალს
 გულში ჩაუდებს,
 როცა მერცხალი
 მონახავს ბუდეს,
 სიმღერა გმართებს
 რომ იყო მკვდარი
 მეც ამ სიმღერის
 მთუთქავს ლავარი
 მაგრამ უნდა სთქვა,
 რომელი ერთი!..
 რომ შოიშველო
 არც არა ღმერთი!..



სადაც გახედვით
 საქართველოს
 ყველა კუთხეში,
 იბრაქვის წერაქვი
 იღვენთება
 კირი და ხრეში.
 მიდის სინათლე
 ყრუ, მიუვალ
 კლდესა და ღრეში.
 არავინ დარჩა
 ამ გულდაგულ
 ომის გარეშე...
 დაიწყო მცხეთამ
 გაბბუგა
 პირველათ მტკვარი,
 მოედვა, რიონს
 და ყველა წყალს
 ეს სატკივარი.
 ყველაზე წინ დგას
 ტბა-ქაბუკი.
 თავ-ფარავანი,
 სადაც გაიარს
 ელექტრონის
 ეს ქარავანი...
 — „თავფარავნელი ქაბუკი.
 ასპინძას ქალსა ჰყვარობდა,
 ქალი ანთებდა სანთელსა,
 სანთელი კელაპტარობდა.
 ქაბუკი წყალში შეცურდა
 მიდის და მიუზაროდა
 ცალ მკერდზე გელაზი ეცვა.
 მარჯვენას ისე ხმარობდა.
 ქალი ანთებდა სანთელსა
 სანთელი კელაპტარობდა,
 ერთი სულმყრალი ბებერი
 აქრობდა, აბეზარობდა.
 ქაბუკი წყალში დაიხრჩო
 ზედ ნიაღვარი ჩქარობდა,
 ქაბუკის ძეძუ მკერდზედა
 ორბი იჯდა და ხარობდა“...

* *

ქაბუკი ისევ გაცოცხლდა
 მოდის და მოუხარია.

ცალ მკლავზე ელექტრო აცვამს,
 მარჯვენას რკინის ხარია.

მხოლოდ სულმყრალი ბებერი
 საფლავში უფრო მყრალია.

არცა ჩაჭრება არასდროს
 ვიზივიზა ცეცხლის ქარბუქი

ახალი საქართველოა
 თაყვარაუნელი ქაბუკი...

* *

ეს იყო მაშინ

ეს იყო წინათ

იმ ივერიას

მწუხრი ეფინა.

იმ დროს სიაცე

ეხლაც თანახლავს

მრისხანე სახელს

აღა-მაჰმად-ხანს.

ტყვილად ეძებდენ

ომისგან საფარს

ქარი ბურდავდა

შამილის ფაფარს.

რუსის შეფეთაც

გული იყარეს,

ასხდენ სვაეებათ

დაპურობილ მხარეს.

დააწვა შიში

ქვეყანას ვერანს

ბარათაშვილიც

ეძახდა მერანს,

რით უნდა ამას

განმეორება.

ეს ლექსი გულზე

გვაწვეს შორევათ.

ერის მისანმა

პოეტმა მაინც,

სხვა გასაფალი

ნახა გზაშარა.

ბედი ქართლისა

მის ერთგულ რაინდს

ასეთი ლექსით

გადიეშალა.

— სადაც აქამდე

ხმლით და ძალით

ფლობდა ქართველი

მუნ სამშვიდობო

მოქალაქის

მართავს აწ ხელი...

ჩვენც ხელმეორეთ

დავიბადენით

ესთქვათ პოეტებმა

გულის დადებით.

— იდოს ქარქაშში

ხმალი მღელვარე

აყვავდეს შრომით

სამშობლო მხარე.

ეს მიზანი აქვს

დღეს საქართველოს

შრომით და ოფლით

გავიტანთ ლელოს.





გლახკორის ნაამბობიდან

ჩვენს სოფელში ხშირად საუბრობენ ამის შესახებ:
პატარა ბავში ფეხშიშველა გოკებს დავსდევდი,
დილაზე აღრე დავაფენდი ცურობან ბალახებს
და მახარებდა სიყმაწვილის ასეთი ბედი.

რა მოხდა შემდეგ? — ქარგათ არ მახსოვს მამა ჩემი —
ვინ წაიყვანა ციმბირისაკენ გულმოფლეთილი,
მის სულ უბრალოდ უთავაზეს ეს განაჩენი,
რადგან ის იყო მშრომელი და თანაც კეთილი.

მე მახსოვს მხოლოდ დამძიმებულს ჯატვების რგოლით —
წელში მოხრილი ტუსილები ჩიბუხს ბერავდა,
და ხის წვეროდან დავინახე თამბაქოს ბოლი
რამაც ღრუბლები განთიადზე შეაფერადა.

ებლა ჩვენს სოფლად ყველაფერში სიახლეს ვხედავ
გლების ცხოვრება წისქვილივით შემოტრიალდა
და ვით ქალაქში ისე სოფელს სხვა მზემ დახედა
დიდ ოქტომბერმა ჩვენი ყოფნაც გააღივდა.

ჩვენ გავაშენეთ ვენახის და ჩაის კულტურა
სადაც ჩხოვდენ უღარდელად უწინ ტურები
და კოლექტივმა ერთსულოვნად დაადასტურა,
რომ გავაძეგოთ კულაკი და სხვა მაკდურები.

ეს ყველაფერი მე მგონია ჩვენც გავვიგება:
არავის უყვარს ვაჭარი და კაცი მცარცველი
რომლებიც მხოლოდ ნაბიჯებზე ისე გვედება,
როგორც ფოთლები ჭადარიდან ჩაშონაცეკენი.

ვხედავ გულიდან ისე მოდის დღეს სიბარული
როგორც სხივები განთიადზე მთების წვეროდან
ებლა ჩვენს გულში აღარ არის რამე ფარული
და ჩვენ ველირსეთ რასაც ბებრი არ მოელოდა.

სოფელში ებლა ყველაფერში სიახლეს ვხედავ,
გლების ცხოვრება წისქვილივით შემოტრიალდა
და ჩვენს ჭობებში სხვანაირად მზემ ჩამოხედა
დიდ ოქტომბერმა ჩვენი ყოფნაც გააღივდა.

სამძიმარი მყინვარს

გახა მოვიკვდა მყინვარო
წიკლაურიანთ ვეარისა.
შენი ნისლობის წინ-ვარო,
თქმა მინდა სამძიმარისა.

ზოვდივარ მთათა ნუგეშად,
ფიჭრი მომყვება ბარიდან.
არწივი გიგუშაგებდა,
არწივმაც თვალი გარიდა.

კლდის შეღრუბლება გელირსა,
ჩაბნელდა ქვეურ თვალება.
მოთქმად იკმარე თერგისა
ხევი-ხევე ჩაგრიალება.

ჯიხვის დაღუბეას ნუ იგლოვ
ვაღა ფშაველას მთობილო.
მეც ერთ მეგობრად მიგულვე
დრო არის—მეც მიძმობილო.

ტეჭა-ქუხილის მოსისხლე
ქარ-ყინვას ეხმაურები.
მოათოვლავე, მონისლე
მგელმუხლას ნაფეხურები.

მოკაფირუზო ბარიითო
მიმიღე, მიცან, მიწამე.
ნუგეშად არ მოპარიდო
სადარილო მიწა შე.

შენი მწუხრობის წინ-ვარო,
რად შემიდარდე მთაობა:
გახა მიხსენე მყინვარო
წიკლაურების თაობა.

ლიენიბრაღი



ჩადილოსეთის პალმირა

ციგ მარმალილოს დგება ქალაქი
გრანიტის შკერდით და გოლიათი.
თითქოს მოსულა უცხო დალაქი
და გაუპარსავს მას ბოიარი.

ნევის არხები მუდამ მაგონებს
ვენეციას და ქალაქ ამსტერდამს.
ხიდზე გრიალი გააქვთ ვაგონებს,
სადაც ვაეები ჰხედნიან მერანს.

პეტრეს და პავლეს ტაძარი ვიცი
გაშენებულა რინალდის მიერ.
კომენაგენის ბირეაზე შპილი
მაზე დაბალი აწ მოჩანს ძლიერ.

დგას მოედანზე სასახლე ზამთრის,
მთავარი შტაბი ოსტატი როსის:
ტრიუმფის ეტლი რაშეებით მოჰქრის
და ალექსანდრეს სვეტზე ფრთები თრთის.

ეს მონუმენტი მონფერანისა
ფრანგთა დამლევის ნიშნად იყუდა.
შალაშინს, დადგმას ამ ვერანისა
ორი ათასი მუშა მოუწდა.

ფეოდალების განძი, კულტურა
რატომ უკედევყო წარმტაცი ხელით
და სასახლენი მორთო მდიდრულად
შთაგონებულმა ნეტავ რასტრელიმ?

ბატონთა შორის ყმათა ბატონი
ხომ იყო მუდამ რუსეთის მეფე,
სახელი მისი ოქრო, ლითონით
მზატვარმა ასე რომ გააღებრთა?

ჩანს სასახლეთა თეთრი სვეტები
გრაფ სტროგანოვის და ჩიჩერინის,
შუვალოვისა, შერემეტევის
ნაჩუქურთმები ხელით ტრეზინის.

მკაცრი და მწყობრი რბიან სახლები,
ციხე-სიმაგრე, შირცა ტომონის.
ეს გეგმიანი ქუჩა, არხები
ძეგლია მართლაც დიდი რომანის.

საზოგადოებრივი



პეტრეს ქალაქმა ფორმალ იერით,
ყალბ დისციპლინით გული გაზარა
და შავონდებმა გულსხმბიერი
მე არაქიევის მკაცრი ყაზარმა.

თვითმყრობელობა შიშის ზარსა გცემს;
დაღრენილ ხახით წვეან ლომები,
ლომებს მეფე ხომ არ აზარმაცებს,
და სისხლისმღერელი დგება ომები.

დვას ალექსანდრე მესამეს ძეგლი,
როგორც ენდარმი და საფთხოზებლა.
ერგება სკულპტორს ჯილდო ნობელის:
ზის ღრა-ცხენზე მეფე ზემდეგი.

დიდყურა შეფეს ხავსი ედება,
ძველსა და ახალს ვერ აკავშირებს;
ის, როგორც კრემლის ძველი კედელი
მკაცრ გვირგვინებით აღარ გვაშინებს.

პუშკინი

იქ სადაც ძველი პეტერგოფია,
შადრეგანების ცვივა კასკა და,—
ეს იყო გუშინ—ასე მგონია—
სტოვებდა პუშკინ წვეულ მასკარადს.
მიჰქონდა გულში ბოდმა სამყოფი,
რომ გაერღვია ზღუდე ბიტონის.
შეიქრა გულში ნება ლითონის
და ხელში მძიმე შაშხანა თოფი.

სპილენძის მხედარი

თითქოს უეცრად მეც დავიბენი.
როცა შეეჩრდი პეტრეს წინაშე,
მაგრამ გულიდან გაქრა სინაზე
და სუსტი ჩონჩხის მონა ვეგენი.
ცხენზე ზის გმირი, როგორც ველოდი:
თვალების გუგა ნალეერდალს უგავს.
ფინეთის კლდეთა გოლიათ ლოდზე
ტორებით თელავს მახრჩობელ უდავს.
ელავს გველივით ავსილი ნევა
„სპილენძის მხედრის“ მერნის ფლოქვებით,—
ის იკლანება და სიპზე წვება.
კიხეინობს ვაყა მაგარ ბოქვენით.



ფალკონეტ ხარბათ სწავლობდა დიდროს:
მან გაიღმერთა პეტრეს სახელი.

მე მიფხვდი ეხლა, ვინ დაიმკვიდრა
ზღვა, ნავისადგური ეს ხელსაყრელი:

ყველა ომებზე უფრო სასტიკი
იყო შეხება პიტერ-კრონშტატის,
რადგან ქალაქი მსგავსი ანტიკის
კედლებით მუშის ძელებიდან აღის.

და ფიცი ახლა ვინ გადალახა
სტიქიონები, ზღვა, დაპროკლება...

არა მკვინი—პუშკინის გლახა—
პეტრე ქალაქზე ვლიდა ომებით.

აწ ყველამ იცის ჩემი ხაზგასმა
და ჩრდილოეთის პირქუში ის ცა,
სად თავის ქალაქს მუშათა კლასმა
დიდი ბელადის სახელი მისცა.

მიზღვაური

ნევაზე ნელა გავიდა გემი.
მაგარი გავა მიაპობს ტალღას,
ცხელ მანქანასთან ძირს იდაგება
და მეზღვაური არა გრძნობს დაღლას.

„ცარსკოე სელო“ შენ დაქანე, —
ამის მოწამე არის კრონშტატი.
შენა ხარ მუშა, გმირი, ოსტატი,
ყელგულშეხსნილი მხნე მემანქანე.

ლენინგრადაა ჩვენგან ორ ვერსით.
მოდის გემები: „ერმაკ“ — „ალბატროს“.
სანაპიროზე უკრავს ორკესტრი,
ვესაუბრები ვარჯჯულ მატროსს.

— „კრონშტატი, ხედავ?“ მითხრა. „ის არის!“

მე დავიანახე ზღვაზე კუნძული,
„კომსომოლცი“ და „კომისარი“
დიდ ხარბაზნებით მთლად დახუნჯული.

ბალტიის ზღვაზე გამოჩნდა პორტი,
ცივ წყალში ლუზა ჩაეშვა რქებით.
აქ დატვირთული ტორტმანობს გემი:
რეველი-რივა-ჰამბურგ-დორპატი!

იძახდა გემი შორს „გელსინფორსკი“,
თუჯის ხაზიდან ამოდის ორთქლი.
იდგა ქარხნების ხმა ანაბორგი
და ახალ რუსეთს აქებდა გორკი...

არსენა მარაბდელი

თავი პირველი

მეწინავე დროსა

ლმერთმა მოგცეს განათლება,
თქელაშვილო არსენა.

მესტვირული.

— ფუჰ, შეგარცხვინოს ჩემმა გამწენმა! — ბრახით წამოიძახა ზაალ ბარათაშვილმა და ზურგი შეეკცია ნარგიზების ფორს, სადაც ორბელიანთა და ბასილა მაიორის ფალაენმა გიორგი კუკატნელმა მარაბდის ბატონს ის-იყო თვალ-წინ მესამე მოჭიდავე შოლტის ტყავივით გაუჭიმა.

მაგრამ ზაალის რისხვა ვერაუენ გაიგო: წაიქცა თუ არა მისი მეჯინიბე ოსი შენთა ბესტავაშვილი, ათასმა კაცმა იხუფლა და საჭიდაო ასპარეზზე გმინვა-კიტივით შექკრა პირი.

როგორ, ვილაც კუკატნელმა მარაბდელეები უნდა შეარცხვინოს?! ეილაც მოთრეულმა შილიციელმა დურნუკელი, ფარცხისელი და ბირთვისელი ბიჭები უნდა დაიბრიყოს?! ნეტა „ნამდელი ქართველი“ მაინც ყოფილიყო ეს კუკატნელი. იმერეთიდან გადმოსულა, კახეთში დასახლებულა და ლეკებს ეომება, ახლა კი ზაალის შესარცხვენად საბარათიანოში ამოუყვანიით და მის ფალაენებს საქეყნოდ სახელს უტებავენ! მაშ ამ ორბელიანებმა — ჩიტორეკია ელიზბარმა, პირყვითელა მელექსემ გრიგოლმა, მისმა ძმამ ზაქარიამ, მათმა ბიძამ ყაფლანმა და ზაალისავე სტუმარმა ვასილ მაიორმა ასე ურცხვად უნდა მოსკრან თავი მარაბდელ გოსტაშაბ ბარათაშვილს?!

არა, ასეთ იფეს ვერც ზაალის ყმები მოითმენენ. ეყოთ ამდენი სირცხვილი! ეყოთ ამოდენა თავმომწონე ვაჟაკის გალახვა!

და ნარგიზების მოედანი ტყესივით აღმართული კომბლებით გაიჭედა, ხოლო მარტის პაერი მარაბდელთა რისხვამ შეესძრა:

— შილი! დაჰკა!

— ლმერთმა თქვენც შეგარცხვინოსთ და თქვენი ფალაენიც! — ერთხელ კიდევ მიუბრუნდა აღლევებულ ზღვას გულფიცხი ბატონი და ისე მოიქნია ძვირფასი კვერთხი და შევ-ლურჯი ყურთმაჯა, თითქო ყველას პირსახეში რისხვა და კრულფა მიახალა.

ზაალი გიორგი მეფის ნასუფრაჯალია, „მეწინავე დროის“ მოლაშქრე, შვილის-შვილი დიდი ზაალის — ერეკლე მეფის დროინდელი ეშიკალასის, მორ-

დალის, მდივანბუგის, მსაჯულის, ქორიასაულბაშისა და დროებითი მთავრობის წევრის, და ამოდენა ხალხს, შინაურსა და უცხოს, უბრალოდ ეჭვენი დაქაჩვება, ამიტომ ბარათთანთა და ორბელიანთა მცირე სამეფოს წინაშე უკეთესად მოაქცეო, როგორც მაშინ, როცა მეფის-ნაცვლებს და მთავარსარდლებს ეახლებოდა ხოლმე: პირმსუქან კნორინგს; შრისხანე პავლე ციციანოვს (თუ ციციშვილს? დღესაც არ იცის არავინ; არფანაის გმირს გულდოვიჩს; ფოთის ამღებს, მეფე სოლომონის ჩამომედებს, გუჩიისა და იფხაზეთის დამმორჩილებელს ტორმასოვს; კახეთის აჯანყების ჩამჭრობელს პულუჩის; ჯავახეთისა და ფოთის უკანვე მიმცემს უბედურ რტიშჩივს; სასტიკ პროკონსულს ერმოლოვს („არჯალი მზეცი! სატანა! მუციკი! ანტიქრისტე!*) და ბოლოს გრაფ პასკევიჩს—„ერმალაის“ თინაშენწეს, „ჩემს მეგობარს“, რომელსაც დღეს-თუ-ხვალ მთავარსარდლად დანიშნავენ, ხოლო ერმოლოვს ჰიტლაის ამოპკრავენ და საიდაინაც მოსულა, იქითვე გააბრუნებენ.—ინგლისური მაუდის შავი კაბა, ლურჯი აბრეშუმის სარჩული, სპარსული ფარჩის გულისპირი, მალალი და ჩატეხილი ყალნუხის ქუდი, ნატის ცხვირა-ჩეჩმები და ოქრო-ძვლით მოჭედული ხმალ-ხანჯალი, რომელიც ათასი წლის ტვირთით იყო დაქორფილი.

მეფეთა და მთავარმართებელთა ჯილდოები და საჩუქრებიც ზედექჰკონდა ასბული. მაუდი თავადმა ვასილჩიკოვმა მოუტანა პეტერბურგიდან; დიდი ლაღს ბეჭედი ერეკლე მეფის ნაჩუქარი იყო; ოქროთი და სპილენძის ძვლით შეჭედული კვერთხი, რომელიც ეხლაც არქივლივით დაქჰონდა, იმპერატორმა პავლემ გამოუგზავნა თავისი დესპანის კოვალენსკის ხელით.

არც ერთი მთავარმართებელი არ იყო, რომ ზაალ ბარათაშვილის (თუ ბარათოვის—თვითონაც არ იცის)—ორივე ზაალის გულზე, ვითარცა კანკელზე, ჯვარი ან ვარსკვლავი არ ჩამოეკიდა: კნორინგმა, ციციანოვმა, გულდოვიჩმა, ტორმასოვმა, პულუჩიმ და ერმოლოვმაც.—ყველამ მიუძღვნა ღირსეული ზაალის მკერდს, რომლის ქვეშ ახალი ტახტისა და სამშობლოსადმი ერთგული გული ჰფეთქავდა მართალია, ნაჩუქართა უმეტესი ნაწილი განსვენებულს დიდ ზაალს ეკუთვნოდა, მაგრამ რა ბედენაა! ყოველივე დიდისაც ხომ პატარას დარჩა, მას ბეჭედიც, კვერთხიც და ყველა ჯვარ-მენდლებიც; შვილის-შვილზედაც უპრიანია!

ნაწყენმა ბატონმა ერთბელ კიდევ შეანჯღრია მრისხანე კვერთხი, მერე ისევ მობრუნდა, პირახდილ კარვის წინ შესდგა და თავისიანებს შესჩივლა:

— ვეყო, გაგიგონიათ ამისთანა ამბავი?! სტუმარი მოვიდეს, ვილაცა ოხერტიელი მოათრიოს და ყველა დარჩეული ბიჭები გაგილაზოს! გაგივით მეთქი ამისთანა ამბავი?!

შისი უმცროსი სძალი კნენა ტასო არც ნაწყენი იყო, არც გახარებული, მაგრამ ზაალის ვაფიცება უფრო აფიქრებდა, ვიდრე მარადელი და ბირთვისელი ფალანგების შერცხვენა.

— კნიაზ ელიზბარს და თქვენს შვილს მიეშველეთ, თორემ აწყვინებენ რასმეს.—ურჩია კნენა ტასომ თავის მამამთილს და კარვის წინ ჩამოჯდა.

ზაალმა ყური არ ათხოვა, რადგან მისი მრისხანე თვალები წვეთს წაქეველს ოს მეჯინიბეს მიეზინა, რომელიც მოურავმა ბატონს უკვე აქვს აქოსაყრელიდ მიჰგვარა. ზაალი შერცხვნილ ყმას შავ ულვამში მისწვდა და შეუნჯღრია, თანაც ბრაზით ეკითხებოდა:

— წაგაქციეს, ბიჭო? წაგაქციეს?

მეშთამ ძლივს წაილულულა დაღრეჯილი პირით:

— წაგაქციეს, შენი წირი მე, წაგაქციეს და მე რა გიყო?

ირველიც ხარხარი ატყდა, რომელმაც კნენიების მხიარული სიცილი დაირდილა. ზაალსაც ღიმილით პირი აევრია, მაგრამ უმაღვე სიცილი ჩამორეცხა და ისევ რისხვა აისახა, რადგან ყმებთან ერთად გაცინება საშარცხვინოდ მოჩნდა.

— ვინ წააქციეს, ბიჭო, ვინა? — შეუტია მეჯინიბეს.

ოსმა შეცდომა შეისწორა:

— მე წაგაქციეს, შენი წირი მე, მენა.

— წადი! დამეკარგე! გაეთრიე, შე წუბაკო, შენა!

და როცა მეჯინიბე უცხად მიწაში ჩავარდა თუ ნისლივით აორთქლდა, ზაალმა ისევ შესწვდა ყველას:

— არა, გავგიჟით მართლა ამისთანა ამბავი?! ელიზბარი, „ქურკა“ მელექსე, ყაფლანი და ბასილა მაიორი სტუმრად მოვიდნენ, ვილაც ოხერი ბიჭი მოიყვანონ და იმ ოხერ-ტიალმა...

— მამა, მოაშორე ის ზალბი კნიაზ ელიზბარს, თორემ შეგარცხვენენ. — მოაგონა თავის მამას კნენა მარიამმაც და ზაალს თვალი უყო კნენა ეფემიაზე, მელიტონ ბარათაშვილის მეუღლეზე, რომელაც ელიზბარს და ყაფლანს ნათესავად მიუღვებოდა, ხოლო „ქურკა მელექსესი“ ღვიძლი და იყო და ზაალის გაფიცებაზე ოდნავ იღიმებოდა.

ზაალმა ენაზე იტბინა, თეთრი და თხელი ულვაშები ქროლა თვალებსკენ აიგრიხა და საშევე კნენა დაამშვიდა:

ნუ შეშინდებიან კნენიები: ზაალის სტუმრებს და მათს ფალავანს ხელს ვერავინ ახლავს. ზაალის შვილს დავითს დავალებული აქვს კიდაობის წესრიგისა და სტუმრების დაცვა. მას ჰყავს ასიოდე აზნაური, იასაული, ზედამდეგი, მოურავი, ქეთხუდა, ჩაფარი და გზირი.

აგერ, ყველანი ისე ამუშავებენ კომბლებს, კეტებსა და მათრახებს, თითქო მტრის ბანაკში შეჭრილანო. ისმის ეპა-ეპი, შხუილი, გინება და კივილი. თათრები და იასაულები ცხენებს დააქროლებენ და გულმოსულ გლეხებს დამურთხალ ცხვარსავეთ მიერგებნიან, ხოლო ბარათაშვილის, დავით ბარათაშვილისა და ელიზბარ ორბელიანის ხმლები გახაფხულის მცხე ელვასავით ლაპლაპებს.

ბოლოს აყაყანებული გლეხები გაიფანტნენ და მოედანს ისევ რკალივით შემოერთყნენ. თვითუღმა სოფელმა კვლავ თავის ბაირალის გარშემო მოაყარა თავი: ფორზე მხოლოდ ცხენოსანი ჩაფრები დარჩნენ, რომელნიც უმიზეზოდ დაპქროდნენ, ქვეითი გზირები და მოურავები, რომელნიც უაზროდ და-

არბოდნენ, და ზაალ ბარათაშვილის დიდი კარავი, — წითელი არწივებით და კუწუბოებით შემოვლენული თეთრი საჩრდილობელი, რომლის თავზე შარტის ნიავი ბარათაშვილს სავგარეულო დროშის, საქართველოს მეწინავე დროშის, — იმ დღეს ვიღაც კუპატელის მიერ შერცხენილ ალაშს — მზიარულად აფრიალებდა.

და ზაალმა იქით გაიხედა სადაც სამი ჯამბაყურ-ორბელიანი სამ ცხენზე იჯდა: კოდელი ყაულანი, იჭაურივე „კურკა მელექსე“ გრიგოლი და მისი ძმა ზაქარია. ყაულანი ოციოდე წლის კაბუკი იქნება ტანადი, მკვრივი, მზიარული და პირსავეს. მისი ბიძაშვილი გრიგოლ მელექსეც კაბუკია, ყაულანზე ორიოდე წლით უფროსია, მაგრამ დაბალი, მიატე და ამპარტავანი, თითქმის უკმეტიც. ზაქარიაც გრიგოლსა ჰგავს, ოღონდ ნასზე უფრო მოზრდილია. სამსავე აფიცრის მუნდირი აცვია. ყაულანი იღიმება და კოდელ მოურავებს განკარგულებას აძლევს, გრიგოლი კი ისე მედიდურად გადასცქერის ხალხით გაქედულ ფორს, როგორც მისი დიდი პაპა ერეკლე მეფე დაჰყურებდა ასპინძას გამარჯვების შემდეგ.

არა, ზაალი ვერ მოინებებს ათას ბრძოლაში ნაწოთობი დროშის შეგინებას და მოლაღატე ლიპარიტ ორბელიანის შემეციდრეთა გამარჯვებას! მადლობა უფალსა, რომ ზაალის წინაპრები დროზედ ჩამოეცალნენ მეფისა და ქვეყნის ორგულ ლიპარიტის ტოტს და ისევე ძველი გვარი შეინარჩუნეს.

ქარაფშუტა ელიზბარს კი ისე მოაქვს თავი, თითქოს ორბელიანთა გვარი საქართველოს დედა-ბოძი ყოფილიყო, ბარათაშვილთა კი „ბევრი არაფერი გაუკეთებიათ“.

რაც მართალია, მართალია! ელიზბარმა თავის ნათესავის დიდი დავით ყაულანიშვილის სულიც კი გაიხსენა. დავით დიდი სარდალი იყო, მაგრამ არც ზაალის წინაპრებია ნაცლები!

სადაც დავითმა გამოიჩინა მეფისა და მამულის ერთგულება, დიდი ზაალიც გვერდით ედგა. ქსნის ერისთავმა გიორგიმ ქვეყანას რომ უღალატა, ზაალმა უშალ ჩაუყვანა ერეკლეს სამი ათასი მებრძოლი და ქსნის ხეობაში ცეცხლი და რკინა შეიტანა.

ისიც მართალია: მიქელა არღუთაშვილმა დურნუჯთან და ყალაჩთან დავითაც და ზაალიც ერთად დაამარცხა და ორივეს სამფლობელო აუკლო და გაუნიავა. მაგრამ ზაალმაც სამაგიერო ერთი-ორად გადაუხადა: დავით ბატონიშვილს ყარსისკენ გაჰყვა და ბრძოლის ბედი გადასქრა.

მაშინ იყო, რომ ზაალმა მიქელა არღუთაშვილს ახტალის და ახპატის დიდი მამული ჩამოართვა. სამაგიეროდ მან დიდი განძი დაუბრუნა სამეფოს: ხოჯორნის გზით და დებედას ხეობით ლორს შეესია და სამ დღეში ახტალის, შამლულისა და ალავერდის სპილენძისა და ვერცხლის მადნები ხელთ იგდო. მერე ადვილად აიღო სანაინიც, უზუნღარიც და ზურგში მოექცა მტერს, რომელმაც ამის გამო დუმანისის ხეობა დასტოვა და ლორის განთქმულ ციხეშიც კი ვეღარ განაგრა. მაშინ პატარა ზაალიც იქ იყო.

ტოტლებენმა რომ ასპინძასთან ივერავა, დიდმა ზაალმა მეფე გაამხნევა და სახელოვანი ომი მოაგებინა. მაშინ პატარა ზაალიც იქ იბრძოდა.

წინკალმა ილა-მაჰმადმა, სანამ ქალაქს მიაღებოდა, მარაბდა დასწვა, ქოტიისი დაანგრია და ზაალის მამული მიწასთან გაასწორა, დავით სარდალის მამული კი თითქმის უვნებლად შეინახა.

რამდენჯერაც ერეკლე ან დავით სარდალი ომბარ ხანს, პაჯი ჩალობს, ახატ ხანს ან სხვა ეინშეს დაეტაკენ, დიდი ზაალიც იქვე სადმე ტრიანლებდა, იბრძოდა. ესლაც აგონდება პატარა ზაალს: ერთხელ დიდი ზაალი და დიდი დავითი წაგებულ და მოგებულ ომებს ორ საათს ანგარიშობდნენ. თურმე თითომ ასზე მეტი ბრძოლა მოიხადა, მაგრამ მოგებული ბრძოლების დათვლაში ერთმანერთს დაეტაკენ. დავითმა დურნუკის ბრძოლის წაგება ზაალს მიაწერა, მაშვერის მოგება კი თითონ დაიჩემა.

ახორებული კაცი იყო დავითი! დიდი სარდალი იყო ცხონებული, მაგრამ შურიანი, ქედმაღალი და მრისხანე. როგორ გააჯოხინა საქვეყნოდ ყორღანა-შვილი! ასიც იყო, ყველაფერი გაუდიოდა ცხონებულ სარდალს: მეფის სიძე იყო და მთელი ლაშქარიც ხელთ ეჭირა.

მაშინ ეს დროშა დავითს სასახლეში ჰქონდა დაკუთმებული, შემდეგში კი ბარათაანთ ოჯახში გადამოვიდა.

მაშინ ზაალს მარაბდის აკლება ისე არ სწყენია, როგორც ეხლა მარაბდულების წაქცევა ეწყენია. არა, რა სათქმელი იყო, ელიზბარმა რომ იკადრა: „ბარათაანთ იმდენი არაფერი გაუცეთბათო!“ სწორედ ეს სიტყვები იხმარა გუშინ ზაალის სახლში ჩიტირტყია ელიზბარმა.

მშვიდმა და თავაზიანმა კნენია ეფემიამაც რომ კვერი დაუკრა ელიზბარს! იმასაც ორბელიანის სისხლმა უყვილა ძარღვებში! თავის ქმარს მელიტონ ბარათაშვილსაც კი აღარ მოერიდა. მისი ძმა გრიგოლი კი მაშინაც სდუმდა და იღიმებოდა. ღმერთმა ისევე მელიტონს უშველოს: ზაალს აღარ დააცადა და თოფის წამალივით ფეთქა. ორივემ კინალამ იარაღზე გაიკრეს ხელი. ნასწავლი კაცია მელიტონი. ისე დააყარა პასუხი, რომ მისი სიტყვა ზაალის დარბაზში დამბაჩასავით სქექდა. სხაპა-სხუბით წაუკითხა ქართლის ცხოვრება, მატინე სეხნია ჩხეძისა, ომან ხერხეულისისა და მრავილი ნაცნობ-უცნობისა. მარტო გრიგოლმა მიუგო პასუხი: ენაზე პაჰუნა ორბელიანის ნაწერი დაიხვია და აღარ მოეშვა. ან რა მეტი შარა იყო! მელიამ თავის კული მოწმედ მოიყვანია. მაგრამ მელიტონ ბარათაშვილმა ამასაც ხმა გააკმედინა. ელიზბარს ძიან ეწყენია. კნენია ეფემიაც გატერინდა.

„მალადეც, მელიტონ, მალადეც! ტყუილად კი არ მისკეს რუსებმა თარჯიმანობა და სისხლის ჯვარი!“

— ესეც ბეღია, რაღა! არა, რაღა ეხლა მოუნდა იმ უსინიდასო არსენას ცხვარში წასვლა!—რისხვით მიუბრუნდა ზაალი თავის მოურავს.

— აღბად მოასწორებს ჩამოსვლას, დიდო ბატონო.—დაამშვიდა ზაალი მოურავმა და პატარა ბიქს მიუბრუნდა:—შენ ჰეი, პატარავ, აბა ერთი ჭანდარზე აცოცდი და ქვეით გაიხედ, არსენა ხომ არ მოდის?

— მაგან რა იცის ჭანდარზე ასვლა! მე ავალ, მე!—წამოიძახა მიწიდან ამომძვარელმა მეორე ბაღმა, რომელიც ცალ ფეხზე ოდნავ კოკლობდა, და გლეხის ბიქს ხუთიოდე ნახტომით წინ მოექცა.

— მეც მოვდივარ, მეცა!—მიადება მისმა ტოლმა ბიძამ ილიკომ, გრიგოლისა და ეფემიას ძმამ, და თვითონაც გაიქცა.

— უი დამიდგა თვალები!—წამოიძახა კნენი ეფემიას ტატე, დაბრუნდი, დაბრუნდი მეთქი! კნიაზ ზაალ, დაადევნე გეთაყვა ვინმე, თორემ მეორე ფეხსაც მოიტეხავს და დამლუპავს.

ერთი გლეხი ძუნძულით გაჰყვა, მაგრამ ორი მოკლე თეთრი ჩოხა ფრიალით მოეფარა კოდლებიან ბანაკს.

— ჩამოვარდებია!.. მოიტეხავ რასმეს!..—შეთათედა მელიტონ ბარათაშვილის მეუღლე.

მაგრამ ზაალს ეფემიასთვის არა სცალიან. არსენას ელის დიდი ბატონი, რადგან მარტო ოძელაშვილ არსენას-ღა შეუძლიან აღადგინოს მისი შებღალული სახელი.

ელიზბარ ორბელიანმა ბოლნისში გაიგო კუჭატნელის ჩამოსვლა და ზაალთან ვითომ ყველიერის გასატარებლად ამოვიდა.

ნამდვილად კი ლახლანდარობის მეტი არა უნდოდა-რა.

მთელმა ქვეყანამ იცის ელიზბარის სენი: სადაც დოღია, დღეობა, ჯირითი ან ქიდაობა, ელიზბარიც იქ უნდა დაერქოს. დღეს რომ აბტალობა იყოს, ხვალ ალავერდობა, ზეგ ბოლნისობა და მახეგ გელათობა, არც ერთს არ დააკლდება.

აქაც ასევე მოიქცა. მარაბდაში რომ ამოვიდა, ზაალის შვილი დავითიც აიდევნა, ბერიკებს გაუძღვა და სამ დღეში შვიდიოდე სოფელი ჩამოიარა. თვითონ ელიზბარიც გატაცებით ბერიკაობდა, ხან ლორის თავს წამოიკვამიდა თავზე, ხან საცეცხლურს აიჭნედა, ხან შესტივრობდა, ზოგჯერ შეფობდა, კიდევაც დედოფლობდა და ქალური წრიპინით გლეხებს სიცილით ხოცავდა. და რაც იმ სოფლებში თავმოწონე ბიჭი იყო, ყველა გიორგი კუჭატნელს გააღაზინა.

ყვინობაც ელიზბარმა მოაწყო. ვილაც ჩანჩურა გლეხს წითლად შეღებილი ძუა მიაკრა ნიკაპზე, თავპირი ინით შეუღებდა, თავზე სპარსული გვირგვინი ჩამოაფხატა, ზაალის მამა-პაპეული სპარსული ხალათი ჩააცვა, პირში ორადღიანი ჩიბუხი მისცა, ხელში ბატის ფრთა ჩასჩარა, ჯიბეში სიმინდი ჩაუყარა, აქლემზე უჭულმა შესვა და სოფლის დასაეღელად წაიყვანა. ყვენს გვერდით ნაზირ-ვეზირები მისდევდნენ, ისინიც მასბრულად ჩაკმული და ინით, კირით და ნახშირით მოთბუნებდნენ.

დიდ ვეზირს გაღესილ კვარტლით საესე ჯამი ეჭირა. როცა ვინმეს მიადგებოდნენ, ყვენი იმ სამეღნეში ბატის ფრთას ჩასჩრიდა, ქალაღდის ნაგლეჯზე ფირმანს დაჯღაზნიდა და გლეხს შეუგზავნიდა. გლეხიც შენაწერ სანოვაგეს გამოიტანდა და ყვენისგან ერთ ოქროს—სიმინდის ერთ მარკვალს მიიღებდა.

ასე ჩამოიარეს მთელი სოფელი,—სიცილ-ხარხარით, ყრიაშულით და ყვინით. ბოლოს ზაალის სასახლესაც მიადგნენ. ყვენმა დიდ ბატონს ელიზბარის დაწერილი ფირმანი აუგზავნა: ათი ჩაფი ლეინო, ხუთი ხელაღა არაყი, ხუთი ჩანახი ლობიო, ორი ჩანახი ბრინჯი, სამი ცხვარი, ერთი ლიტრა მარილი და

ორმოცი შოთი, ზაალმა არ იბეერა, მოლრაეს შესაფერი ბრძანება მიცა და შენაწერს ერთი ბებერი ძროხაც მიიყოლა.

შემდეგ ის ყვენი დაითრიეს და ალგეთის წყალში გვეფაფხვიც მისვე და, მაგრამ ალბათ ვაცოვდება.

შენავროვი ეხლა მარაბდაში იხარშება. მართალია, დიდი მარხვი დადგა, მაგრამ წინაპართა წესი ასეთია: ორზაბათი ნამკეცობის დღეა და მარხვის გატყევის ცოდვების სიიდან ანგელოზები ამოჰშლიანო. კიდაობა რომ გათავდება, არიფანა დაიწყება და მთელი სოფელი იქეიფებს. რა თქმა უნდა, თაშადად ელიზბარი დადგება. თავსაც ისე იმართლებდა: ბოლნის-დუშანისში ქართული ილარიფინ დარჩა და ჩვენს ადათს სომეხ-თათრებს ზომ ვერ შეგვისრულებინებო.

აგერ, ეხლაც ზალხში ტრიალებს. მეტის-მეტად გაუყადრა თავი გლეხობას. ელიზბარმა თავის ყმებსაც ლავში მიუშვა და ზაალის ყმებიც გაათამაშა. — არა, იმ ოზერ არსენასაც რაღა ეხლა მოუნდა ცხვარში წასვლა იალღუჯას სამოვრებზე! — კვლავ სდულდა დიდი ბატონი.

— მაგ ბიჭს არსენა თუ მოერევა, თორემ მაგის მძლევი აქარაფინ არის. — ამბობს მოურავი.

— ჰაი ჰაი, არაფინ არის! — კვერს უკრავს გზირიცი. — არსენას კი ერთ ლუკმადაც ძლივს ეყოფა.

— ვითომ? მართლა წააქცევს? — იმედს ეძებს ზაალი.
— რა სათქმელია, დიდო ბატონო! — აღარ აცლიან ერთმანეთს გზირები და მოურავები. — იმის მძლევი ბიჭი ქალაქშიც არ მოიძებნება.


— ბერი კაცები ანზობენ, არსენას მარტო გიორგი შქედელი დაეტოლენ-ბოდაო.

— ვინ შქედელი? ვინ არის, სადაურია? — ჰკითხულობს მოურავი.
— ქალაქელი ყოფილა. ვილაც შქედელს ამირანიძეს ამზობენ. მომკედარა თურმე, ბარემ ათასი კაცი წაუქცევია, თვითონ კი ბეჭები ერთხელაც არ დაუკრავს მიწაზე.

— ამას წინათ აღზენენიდან მომავალი ურემი ტალახში ჩაფლულა, მარილით ყოფილა საესე. ყვეარი ხარი მიაშველეს და ვერაფერს გაუხდნენ. თურმე არსენამ პირჯვარი დაიწერა და ი ურემი ისე აიგდო ბეჭებზე, როგორც ბუმბული.

— ამ ერთი კვირის წინათ მარნეულში ერთი მოზვერი გაგიჟდა. ხუთი კაცი გააფუჭა თურმე. ისე დაფოხა სოფელი, რომ გარეთ გამოსვლაც ვერაფერი გაჰბედა. ი მოზვერს არსენა დაეწია. ეცნენ ერთმანეთს. არსენამ თურმე მოასწრო და ხელები რკებში ჩასკიდა; ჩასკიდა და დაითრია; დაითრია და ისე მოსწია, რომ კისრის ძელები მოუმტვრია და ძარღვები დაუწყვიტა. მოზვერი წაიქცა და იქვე გათავდა.

— რა ბიჭია, ვენაცვალე გამჩენსა!
— მამა ნახე, დედაც ნახე, შვილი ისე გამოხანბო. ისეთი კაცია ჩვენი დეთისაფარი და ცოლიც ისეთი შეხვდა ი მელანა, რომ სხუანაირი შეიქოს არც გააჩენდნენ.



67465

071

— მაგაზეა ნათქვამი: დედაც მაგას ჰყოლია და ძუძუც მაგისთვის უწო-
ვებიაო.

— რომ იტყვიან, რკინას ლეკვებს, რკინას!

— მერე რა გული აქვს ბაღლია, ბაღლი! ტყელი-უბრალოდ ჭიასაც არ
დაადგამს ფეხს.

— რა მართალი კაცია ისე სჭრის სამართალს, როგორც სამართებელი.
კარგი, კმარა! ზაალმაც იცის ეს ამბები. ათასჯერ გაუგონია და თვალთ-
თაც უნახავს, იცნობს მირაზდის ბატონი არსენას! აკი არც იშორებდა გვერ-
დიდან, მაგრამ ბოლოს მაინც მოიშორა. გულზედაი ბიჭია ოძელაშვილი. გა-
თამამდა, მეტის მეტად გათამამდა! გარდა ამისა... ის მარინეც...

ზაალმა კარვისკენ მიიხედა და კარებში ქალის თავს მოჰკრა თვალი. არ-
სენა რომ ახსენეს, კნეინა ტასოს მოახლემ მარინემ ყურები სცქვიტა. კარვიდან
ორი ცისფერი დიდრონი თვალი სანთელივით გამოანათა და ისე მიუგდო
ბატონ-ყმების საუბარს გაღესილი ყური და აფართხალებული გული, თითქო
ზაალისგან თავისთვის სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენს ელოდებოდაო. და განა-
ჩენის მაგიერ, ოთხი ბატონის და ერთი რუსის თვალებს რომ წააწუდა, უმაღვე
კარვის კალთა ჩამოეშვა და მიიშალა.

მელიტონი, ელიზბარი, ზაალის სიძე სუმბათაშვილი და დავითი კარავ-
თან მისულიყვნენ და მარინეს უნახავ ჯადოსანსავეით შესცქეროდნენ.

რუსეთსა და სპარსეთს ცხარე ომი აქვთ. მაიორი ვასილ ორლოვი ბორ-
ჩალო-თრიალეთში პოლკატორ მშვერავად იყო დანიშნული, ჭარ-ბელაქნის
საზღვრიდან ჯარის ერთი ნაწილი მოეხსნათ და პასკევიჩისთვის ერევნისკენ გა-
ეგზავნათ, ხოლო მილიციელთა ერთი გუნდი გიორგი სეფისკვერაძის მეთაურო-
ბით ორლოვისთვის მიეცათ. გრიგოლსა, ყაფლანს და ელიზბარ ორბელია-
ნებსაც ერთ დროს ლეკების საზღვარზე ელაშქრათ, კახეთა მოეელოთ, განთქ-
მული მოჰდავე კუქატნელიც იქაურ დღეობებში ენახათ და დღეს მაიორ ბა-
სილასთან ერთად მის დაჩემებას და ბარათაანთ შერცხვენას ლამობდნენ.

არც მაიორს ვასილ პეტროვიჩს დაეგვიანა. ისიც კარავთან მოგორებუ-
ლიყო, ხის სალდათივით განაჩხულაყო, დონჯი შემოეყარნა და წყლის-ფერი
პაწაწა თვალები საახალწლო ბასილასავით დაეჭყიტა. თითონაც ზიზილ-პიპი-
ლოებით აჭრელებულ ბასილას ჰგავდა: ცომის თავ-პირი გაბერილ გოგრას მიუ-
გავდა და იმ აყირო თავზე წითელი თმა და წვერ-ულვაში გაცვეთილ კილობი-
ვით ეყარა, ხოლო თხილის ოდენა ცხვირი—აბზეკილი და წითელ-ლურჯი
ცხვირი—ისე ობლად გამოიყურებოდა, თითქო ჩალაში დამქნარი ვაშლი ჩა-
ეგდოთ.

მაიორს არსენამ მაშინვე ბასილა დაარქვა, და ეს სახელი დიდ მოხელეს
ადვილად მიეყერა და შერჩა.

კნეინებმაც კარავისკენ მიიხედეს, მარინე ველარ დაინახეს, მაგრამ მამაკაცთა
გულის ზრახვას უმაღვე მიუხედნენ.

„ესეც... ისიც... ბასილაც,— გაიფიქრეს გულში კნეინებმა.— ისეთი რა აქვს
ამ გოგოს, რომ კაცები ბუზებივით ეხევიან?.. აღარც ჩვენ გვერიდებიან, აღარც
გვარიშვილობას დასდევენ და ზრდილობაც მიივიწყეს“.

ასეგტილი არსენა უკვე ფეხდაფეხ მოდიოდა ზაალისკენ — ტანგაწილი, ლა-
ლად და თამამად. საფეხ კისერი ოდნავ მოიდრიკა და საერთო საღამომი თავა-
დური კილო ჩაქსოვა:

— ბატონებს ვახლაეარ!

ქართველნი
მეგობრობენ

ზაალმა ბოლმა ჩაიბრუნა. ისევ არსენა! ისევ თავხედი, კადნიერი, თამამი,
მოურიდებელი და მოუდრეკელი! ცხენი მხოლოდ ათ ნაბიჯზე შეაჩერა და ისე
მიადგა ბატონს, როგორც თანასწორს. ეხლაც ტოლსავეთ შესსკერის ზაალს,
წამწამსაც არ ახამხამებს. ილიმება კიდევაც. ათიოდე სოფელი კარავს რკალი-
ვით შემოერთყა.

— რას მიბრძანებ, დიდო ბატონო?

— აქამდე სად იყავი?

— ცხვარს ვფვლიდი, შენი ჭირი მე. დოლი დაიწყო.

— კინალამ დაიგვიანე.

— არ დავიგვიანებდი, შენი ჭირიმე. ცხენი კარგი მყავს და დროსაც
კარგად ვატყობ.

— იცი, რისთვის დაგიბარე?

— ყვენობის დღეა. ალბად საჭიდაოდ დამიბარებდი.

მერე? ვის უნდა ექიდაოს არსენა? განა ვინ გადაურჩა ახლო-მახლო წაუ-
ტყვევლი?

— გიორგი კუკატნელს.

— გიორგი კუკატნელს? — თითქო გაოცდა არსენა.

— რა იყო, ბიჭო, ხომ არ შეგეშინდა? — ჰკითხა ზაალმა.

არსენას შეეშინდა?!

— შიში რა ბრძანებაა, დიდო ბატონო!

— არსენა და შიში? — ჩაიციინა დავითმა.

სხვებსაც ლიმმა ვადაჰკრა.

— შიში და არსენა ერთმანერთს არ იცნობენ. — ჩაურთო მელიტონმაც.

— არა, ბატონო, შიში რა სათქმელია! ოღონდ...

— ოღონდ? — შეეშინდა თვითონ ზაალს.

საიმიისო არაფერია. დიდი ხანია არსენას კუკატნელის ქება ესმის. ამბო-
ბენ, ძაან დაუნდობელიაო! არსენა ამიტომ ერიდებოდა, დღეს კი აღარ
მოერიდება, რაკი გიორგიმ აქ მოსვლა იკადრა და ათიოდე ჩვენებური ბიჭიც
გააფუქა, დღე მეთერთმეტეც არსენა იყოს!

— როგორ თუ მეთერთმეტე! რას ამბობ, ბიჭო! შენც რომ შეშარცხვინო,
ან გაგაციმბირებ, ან სალდათში გიკრავ თავსა!

— ნუ შეშინდი, დიდო ბატონო. სიტყვამ მოიტანა და მოგახსენე, თორემ...
თორემ ვაჟაკს ქაღილი არ შეჰშვენის. მაინც... ვინ იცის... თქვენც მო-
გეხსენებათ, მარაბდის ბატონო, მგლობის მგლობი არ დაილევავო.

— მაგრამ, თუ კუკატნელი წააქციე, რაც გინდა მთხოვე, — პირდება ზაალი.

— მართლა, ბატონო? — და პირგაშუქებულმა არსენამ დავითსაც ეკადახედა.

— ზაალის სიტყვა ბეჭედი. — დაპირდა ზაალი.

— შენი ხმალი და ჩემი კისერი. — დაუდასტურა შვილმაც.

არსენამ გაბჭინებული თვალეზი ზაალის ბოხოხს გადააელო და კარვისენ გაიხედა. გაიხედა და კარებში, მოლიძარე კნეინების უკან, ერთი უხველი თვალს წააწყდა, — დიდრონს, ცისფერს და ბუნდად მობიზინეს. დევეფშქურსენას თვალეზს თვისი თვალეზი გააყოლა და მარინე დაინახა, რომელიც კარვის კალთას ელდნაკარავივით მიეფარა.

— მაშ შენ იცი და შენმა ეატკაცობამ. დანარჩენი ჩემზე იყოს. — უთხრა ზაალმა და გაბრუნდა.

ბასილა-მაიორმა არსენა გაზონ-ასწონა, მკლავები გაუსინჯა, განიერი მკერდი აუბაგუნა და, ხორცის ნაცვლად რკინას რომ წააწყდა, კნეინებს მიუბრუნდა:

— Ида-а... товость. я вам долож-у-у...

— აბა, არსენ, გაიხადე!

კეთილი და პატიოსანი! მაშ გიორგიმაც გაიხადოს. ჰეი, ერეკლე, ჩამოართვი არსენას სიათა თოფი... ხმალიც, დამბაჩაც, ხანჯალიც.

— შენ რა ჰქენი, ბიჭო ერეკლე? — ჰკითხა უმფროსმა ძმამ.

— სამი წავექციე. — ისევე შორცხვად უბასუხა უმცროსმა, თითქო ბოდისს იხდიდა, რომ მხოლოდ სამი წაექცია.

— შეგერგოს. ჩემი გაფუჭებისა ხომ არ გეშინიან, ბიჭო?

არა, ერეკლეს არ ეშინიან. მაგრამ არსენა მაინც ფრთხილად უნდა იყოს, რადგან ი ოხერი კუჭატნელი ტყვიასავით წამოვა ხოლმე და ღონით გააქვს ღელო.

— ვიცი, ვინც არის. შინახავს.

იცის არსენამ: გიორგი ძალიან კარგი მოჭიდავეა, მაგრამ მეტის მეტად შურიანი, ანჩხლი, ავი ადამიანია. არსენას ეს კაცი თრიალეთზედაც და დღეობებშიც უნახავს: ბოლნისში, თელეთში, სვეტიცხოვლობას და ალავერდობასაც. წაქცევას ვერ ინელებს. მცხეთაში ერთმა დღეშელმა უცაბედად წაექცია. გიორგი თრიალეთზე დაუხვდა, შეცხვარე თათრები მიუსია და აცემინა. ბოდებში ერთი თფში ჩაიგდო. იმ თფშს კუჭატნელისთვის სადღაც ერთი მკვახე სიტკვა ეთქვა. სეფისკვერამემ თავის მილიციელები მიუსია და, საწყალი, კინალამ მოჰკლეს. არსენას ნათლიმამამ ფარსადანმა ძლიეს გადაარჩინა.

მარტყოფში ერთმა საგურამოელმა კინალამ აჯობა. კუჭატნელმა ვერ მოიხეენა, სანამ მეორედ არ დაეტაკა. ხერხით რომ ვერაფერი გაიტანა, ისე ვერაგულად მოიგდო და მოსწია იმის მკლავი, რომ შუაზე გადაუტეხა. მოპირდაპირე იმისთვის მოსისბლე მტერი იყო, რამელსაც, ადრე თუ გვიან, ფათერაკს შეამთხვევდა. ამიტომ ერიდებოდა ოძელაშვილი ამ მოჭიდავეს. მაგრამ მაინც ვერ ასცდა. ბედმა ნარგიზების მინდორზე შეახვედრა.

დილას ზაალის გზირმა იაღლუჯის ბინებში უთხრა:

— მოვიდა თუ არა ი ოხერი, მაშინვე მარინეს დაადგა თვალი. ამბობენ, ზაალს დიდ ფულს შეაძლევსო.

არსენას წამოსვლა ეზარებოდა. საქმით იყო იაღლუჯზე მიბმული, მაგრამ ამ სიტყვებს რომ ყური მოჰკრა, უმაღლე ლურჯას მოახტა და ისეთი ჩორთით წამოაყვანა, რომ გზირის ცხენი ნავარდით და კნეინებითაც ვერ მოჰყვა და მალე ჩამორჩა.

მაი დედასა! ის გოგო გიორგი კუპატნელმა უნდა წაართვას არსენას! მის არსენა ბიჭი აღარ არის? დმერთმა დავით ბატონი, ელიზბარი და ბასილბ მოაწოროს, თორემ კუპატნელს თვითონაც როგორმე გაუძღვებს. *მარკინეშვი*

— ტატე, შენც აქა ხარ? გამარჯვება, პატარა ბატონი! *მისწინაშე*

— დმერთმა ხელი მოგიმართოს, არსენ! იცი, რას გეტყვი: შენ რომ მოდიოდი, ყველაზე ადრე შე დაგინახებ კანდრის კენწეროდან.

— მართლა? ბიჭი ხარ, ბიჭი!

— იყოდე, თუ წაგაქციეს, ჩემი მეგობრობაც გათავდება.

— აგრე იყოს, ჩემო ჩოროავ, აგრე! დღეს შენს ბედზე ვკვიდობ. დამლოცე, გენაცვალოს არსენა, დამლოცე!

პაწაწა მეგობარი მხარზე აიტაცა და კარავს მოეფარა.

— გენაცვალეთ, ვითომ რატომ არ არის ეს ბიჭი კეთილშობილი? — სთქვა კენინა ტასომ.

— ირც თვალი აკლია, არც ქცევა, არც სიტყვა-პასუხი. — დაუმტა ტატეს დედამ ეფენიამ.

— ათასს თავადსა და აზნაურს შექმურდება მაგის ვაჟეცობა. — ჩაურთო ხაალის უფროსმა რძალმა კენინა მიიკომ. — თრიალეთსა და ბორჩალოში არავინ მოიძებნება, რომ არსენას სახელი გაგონილი არა ჰქონდეს.

— ნახეთ როგორ მოგვივდო ცხენი?

— თავი ძლიეს ვაგვიყადრა. ისეთი სალამი მოგვცა, თითქოს ერმოლოვი ბრძანდებოდა.

— არა, გენაცვა, — გამოესარბლა კენინა ტასო, — არსენა უზრდელი კაცი არ არის, მაგრამ გლერს მაგისთანა ზრდილობა მაინც არ შექმუნის. თამამია, თავს არ იხრის და ლაპარაკში ბაოტნს სულ თვალეში შესცქერის.

— ნიძლევი, კნიაზ დავით! — შიდაძახა ელიზბარმა მარაბდელ პატარა ბატონს და ხელი გაუშვია. — შენი კანკა მწვეარი და ჩემი თაფლა ყარაბალი.

— მოდის, კნიაზო!

და ხელი ხელს დაჰკრეს. ნიძლევი ბასილაც ჩაერია. მხარი კუპატნელს მისცა და ოქროს საათი წოიხსნა. დავითმა ნიძლევი მიიღო და ზურმუხტის დიდ ბეჭედს ჩამოვიდა, რომელიც ცერზე ჰქონდა გაკეთებული.

გზირებმა, მოურავეებმა და თავადებმა ფორი იმდენად გასწიეს, რომ ცხენი გაქენდებოდა. სხებზე მეტად ელიზბარი სცდილობდა, რადგან მის ფალავანს გამოსაქცევი მანძილი სკირდებოდა. მეზურნეებმა საჭიდაო ააქყიტინეს. მედოლემ სისხლის ასაფორიატებელი ბაგა-ბუფი ასტეხა. ყველა გაჩუმდა, გაინაბა და ბრძოლის ხოშით გაივლინთა.

უცებ არსენას შეკრდი — განიერი, თეთრი და ამოზნექილი — მოედანზე გამოვარდა. გამოვარდა და ძელივით დაერქო. გულამოჭრილი საჭიდაო ჩოხა უკან ქამარში ჰქონდა აკრფილი. ფეხებზე ლბილი, რუმბის ქალამნები ეცვა. მუხლებამდე აკრული თათრული შავი ტულალები ისედაც სქელ წვივებს უფრო მეტად უსქელებდა.

მეორე მხრიდან ბუმბერაზი კუპატნელი მოსხლტა და ქორივით წამოვიდა. იმოუნდა მდევის სიმკვირცხლე ყველას აოცებდა. არსენაზე ოდნავ დაბალი იყო,

სამაგიეროდ მეტად სრული, ჩატყვიებული და უკისრო. მისი ქორწილი წამოსვლა, რიზიანი შემოტევა, ფახი და ბუქი მოპირდაპირეს უმაღლე სულერად აფრთხოდა და სჯაბნიდა.

შერდულივით მოდის კუქატნელი. წელში მოღუნული, მისი მისწრაფებით, გაგიებულ ბუღასავით მოჭკრის გამარჯვებული. მოჭკრის და ზურგს უკან გაშლილი მკლავები არწივის ფრთებივით მოაქვს.

„ვერა, გიორგი კუქატნელო! — გაიფიქრა არსენა-ბიქმა. — ვერ შემაშინებ. შენი ხერხი ვიცი! შავით ვერაფერს გაიტან, გზა-კვალს ვერ ამირევ.“

და არსენა-ბიქი ისე დინჯად მიდის მოჭკროლის დასახვედრად, თითქოს იმ მანძილს არხეინად ზომავდეს. ღიმილით მიდის, ამაყად მიაქვს ქოჩორა თავი და ორბის ჩამუქებულ თვალებს ისაროვით უყრის კუქატნელის მღვრიე თვალებს.

„ხუთი ნახტომი-და დარჩა კუქატნელს — ითვლის არსენა... — ოთხი... სამი... ორი... ერთიც და — ღმერთო, მიშველე!“

და უმაღ მოპრუნდა, ცალ მუხლზე წაიჩოქა. იმავ წამს კუქატნელის ფეხებმა არსენას ზღვზე გადაიფეხა, ხოლო მარბდელი უკვე ზეზე იდგა და მიწაზე შეფართხალებულ ფალაენს ღიმილით დასცქეროდა.

ყირამალა გადავარდნილი კუქატნელი უმაღლე წამოვარდა.

ხალხის ქრიაშული და ყვიინი სოფლის ბოლოს მისწვდა.

ნირ-წამხდარი, ბრაზით და შიშით აცასცახებული მოჭიდავე თვალებს აცუცებდა, უკან იხევდა და გონებას იკრებდა. მაგრამ არსენამ აღარ დააცალა: ორი ნახტომით წამოეწია, ორივე ხელით მარჯვენა მკლავში მისწვდა, წაუჩოქა, ზურგი აპკრა, კისრულით წამოიღო, ფეხები მარგილებივით ააშვერინა და სამ ნაბიჯზე გუდასავით გადაავდო. უმაღ ისევ წამოიჭრა, თვითონვე წამოაყენა, ტომარასავით დაბერტყა, დაითრია, მარჯვენა მკლავით ილღიაში შეუფარდა, გვერდი ჰკრა და ყირამალა წამოიღო. კუქატნელმა ორივე ფეხი ჰაერში გაასავსა, ცალ მუხლზე დაეცა, მაგრამ არ წაიქცა. ყვიინამ ისევ შეარყია ჰაერი.

„მოდის, დავჯაბნე!“ — გულში დაიძახა არსენამ და წამომდგარს იმავ წამს მარცხენა ხელი მხარზე დაჰკრა, მარცხენა ფეხი ლაჯებში გაუსწორა, გადასწია და გადახნიჭა. წელში გადახრილი მოჭიდავე ისევ თითონვე გაასწორა და აათამაშა. მერე თავი კუქატნელის მხარს მიაბჯინა და ჩასტურჩულა:

— გიორგი, ჩემ ხელში ხარ. არ შეგვარცხვენ, ოღონდ გზიდან ჩამომშორდი.

— რაო?.. რატომ?

— შენც გეცოდინება. მაინც გეტყვი: იმ ქალზე ხელი აიღე.

— მიჰქარავ! — მიაძახა კუქატნელმა და ერთბაშად ორივე მკლავით ილღიაში შეუძვრა.

ამას კი აღარ მოელოდა არსენა. ტანი დაიბერტყა და გამოსხლტა. მაგრამ კუქატნელი მაშინვე ზურგში მოექცა, ისევ ორივე ხელით ჩაბლუჯა, ასწია და ფეხები ჰაერში აათამაშებინა. მერე დაიქნია, მუხლებში მოსტეხა, დააწვა და ბუმბერაზი ტანით ბავშვივით დაჰფარა.

ათასმა გულმა მწარედ დაიგმინა:

— ჰარიქა, არსენ, ჰარიქა!



ქვემოთაჲსა
წიგანსა

— ვაი ჩვენ შერცხვენას!
— დავილუპენით! დავილუპენით!

ხოლო სხვა ათასმა—ორბელიანთა საყმომ—სიხარულით

— წააქცია! წააქცია!

გამოცდილი და გაშმაგებული ელიზბარი ხედავდა, რომ არსენა ჯერ წაქცეული არ იყო, ამიტომ შიშველ ხმაღს ელვასავით იქნევდა და გასაშველებლად მოწოდებდა არსენას მომხრეებს იგერიებდა. ზაალის გზირ-მოურავები მოქიდავებობსკენ მშვიერ მგლებივით მიიწვედნენ. მელიტონ ბარათაშვილი ანწხლობდა. მისი სერთუკის კალთები აქეთ-იქით დაჰქროდა, ხოლო მკეპარი ხმა ხალხის გრგვინებს ჰფარავდა:

— გააშველეთ! გააშველეთ!

და მის ყვირილს ათასი ხმა იმეორებდა:

— წესი არ არის! წესი არ არის! გააშველეთ, გააშველეთ!

— დავილუპენით! დავილუპენით!—იმატა მარაბდელთა ზარმა.

ზაგრამ წინწაწეულებმა უცებ დავით ბარათაშვილს მოჰკრეს თვალი, რომელიც ნაცდობით ელიზბარს არ დაუფარდებოდა. იგი და რამდენიმე მისი ყმა გააფთრებით იქნევდნენ იარაღს, კომბლებს, მითრახებს და ჰკოდნენ:

— განი! განი! განი!

მაშ არსენა ჯერ არ წაქცეულა. აქ რალაც ამბავი უნდა მოხდეს. იქნება მარაბდელი რალაცას ამზადებდეს? იქნება ბედი შეატრიალოს და საბარათიანოს აუგი ჩამორეცხოს? ტალღამ უმალ უკანვე დაიწია და ფორის შუაგულს დააშტერდა, სადაც კუპატნელი არსენას ჰბუნინდა, ანჯღრევდა, ჰგლეჯავდა.

უცებ კუპატნელის კისერს ქვეიდან ორი ხელი უხარმაზარ მუხრუჭივით შემოეხეცია. ერთი წუთით ორივენი გაინაზნენ. მერე კუპატნელმა ისე აიწია, თითქო იმის ქვეშ მიწა ამობურთულიყო და გოლიათი ჰაერში აეტანა. შემდეგ ბუმბერაზი ფეხები მიწას მოსწყუდა და ჰაერში ათამაშდა. ორად მოხრილმა არსენამ ზურგი აიბერტყა, ორივე ფეხზე წამოდგა, ცოცხალი ტვირთი გუდასავით აიკიდა და კარავისკენ გააქცია. გაოცებული მიიორი, ელიზბარი, მელიტონი და მოწესენი უკან დაედევნენ.

— ბატონო, მიბრძანე, თავი საით ეუყო ამ ავეყას, ამას?—შესძახა ზაალს, რომელიც კენინების გვერდით იდგა და თხელ უღვაშს აწვალებდა.

ირგვლივ ვრიანულმა და ყიფინამ იხეთქა:

— ქალაქისკენ, ქალაქისკენ!—ყვიროდნენ ზოგიერთები.

— კახეთისკენ, კახეთისკენ!—იძახდნენ მეორენი

— მარაბდისკენ, მარაბდისკენ!—ბლაოდნენ მესამენი.

ზაალმა ორი თითი კნინა ტასოს ფეხებისკენ გაიშვირა. არსენა მობრუნდა. კუპატნელი დაჰკრილ ლოქოსავით აფართხალდა. მერე ფეხებით ჰაერში რკალი მოხაზა, მოჭრილ მორიგით მიწაზე გაიშოტა და გრუზა თავი კნინების ფეხებთან დაიანარცხა.

— მომირთმევი!—ისე მიაძახა უმალვე წამომხტარმა არსენამ ოდნავი თავდახრით კნინებს, თითქო გიდელათი ნობათი მიართვაო. და იმავე წამს,

კარვის კარებში მარინეს ლურჯ სანთლებს რომ წააწყდა, აინთო და გულში დაუმტა: „შენთვის მომირთმევი, ჩემო ყველა, შენთვის!“ ერთ-ერთი ირგვლივ გუგუნო ბობოქრობს. ხალხი ზღვის ტალღასავით ირგვლივ ეკატნელი უკვე წამოდგა. თავჩალუნული იდგა და გესლით სავსე თვალებით არსენას მგელივით შესცქეროდა.

მარაბდელმა კი მარინეს ძლიერ მოსწყვიტა თვილები და, ხელგაშლილი, ეკატნელს მიადგა:

— შევრიგდეთ, გიორგი! ხელი მოიტა

და გადასახვევად მიიწია.

— აკოცეთ, ერთმანეთს აკოცეთ!— მიიძახეს აკეთ-იქიდან.

მაგრამ არსენას ჰაერშივე შერჩა გაშლილი მკლავები. ეკატნელმა განზე გაიწია და მარაბდელს თვალებით და პირით შეასხა:

— დამეკარვე აქდან, შე ცინგლიანო შენა!

ერთის წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ არსენას გადახედა და უმაღვე იგრძნო, რომ წუნკლად ნასროლი ისარი არსენას ასცდა და ისევე ავგულა მსროლელს მოხვდა.

ზაღის ფალავანმა ჯერ შებლი შეიკრა, ტურჩები შეიკეცა და ვეფხურ თვალებში იმოდენა რისხვა და ელვა დაიგროვა, რომ ყველას მისი კიქა-ქუბილისა შეეშინდა, და ისე მიიწ-მოიწიეს, თითქო მხეცებს საბრძოლველ აღავს თთობდნენო.

ეკატნელმა ფეხი მოინაცვლა და არსენას დასახვედრად მოემზადა. მაგრამ მარაბდელმა ერთბაშად გამოიღარა: პირსახე გაიშალა, კეთილად გაიღიმა, მარჯვენა უღვაში აიგრიხა და დინჯად წარმოსთქვა:

— ავსა კაცსა ავი სიტყვა... სადმე წინ დაუხედება.— და ერთის წამის შემდეგ ნაქანდაკევი თავი აუქნია და რკინის ნაჭერივით მიუფდო:— მერე იყოს, ეკატნელო! ან განანებ, ან ვინანებ.

ელიზბარმა თავის შევერცხლილი დამბაჩა არსენას ჩაუდო ხელში და უთხრა:

— მართალია, ჩემი ყარაბაღი წამაგებინე, მაგრამ ვაქაცს ვაქაცური საჩუქარი ერგება. აიღე და მოიხზარე.

მელიტონმა მეორე ხელში ერთი ოქრო ჩაუდო და—

— ღმერთმა გაგვახაროს,— დაუმტა, — როგორც დღეს გაგვახარე. აიღე, აიღე! ნუ ინაზები, ამპარტავანი ნუ ხარ, აიღე და ჩემი ტატეს სადღეგრძელო დალიე. ქალაქში რომ ჩამოხვალ, უცქველად მნახე.

— ავამენა ღმერთმა, არსენავ! ოქროს საათი მომაგებინე.— მიესალმა დავითიც და აბრეშუმის ტრელი ხელსახოცი კისერზე მოახვია, — ჯერ-ჯერობით ეს იკმარე. დანარჩენი მერე იყოს. სათბოვარს შეგისრულებ, მაგრამ...— მიიხედ-მოიხედა და აღარ დაასრულა.

ქვინები ეფუქნა თვალებით უღიმოდნენ და საღამის ნიშნად ლამაზ თავებს უქნევდნენ.

— ბიჭო არსენ, ტანთ ჩაიცი, თორემ გაცივდები.— უთხრა გულკეთილმა ეფემიამ და თავის შეიღს მიიძახა:— ტატე, რას შერები? სად მისცოცავ, შეილო?

აღანძულმა არსენამ წინ დაიხედა და შელიტონის „სადღეგრძელოს“ — პატარა ტატეს დასწვდა, რომელიც ფეხზე ეკონწიალებოდა და ისე, შეფუფხავდა იმის მხრებისკენ, თითქო წელანდელ ქანდარზე აღიოდო. *მეზღვირეთქა*

— ოჰ, ჩიორავ, შენა ხარ?

ცალის ხელით აიტაცა, მხარზე დაისვა და წაებასა:

— რა ბედი გქონია, გენაცვალოს არსენა! წელან შენ ბედზე ვიჭიდავე, დღესაც შენ ბედზე უნდა ვიჭიფო არიფანაზე. მერე კი... მერე რასაც მოვთხოვ ბატონებს, ისიც შენი ბედისა იყოს!

— ძია არსენ, რა უნდა მოსთხოვო ბატონებს?

— ნახავ და გაიგებ, გენაცვალოს ჩემი თავი.

— როსტომივით გარეული ტახი ხომ არ უნდა მოჰკლა? მაშ მეც წამიყვანე.

— აგრე, გენაცვა, აგრე იყოს, ტახი ეს-არის ეხლა მოვკალი.

— თუ ამირანივით ყამარის მოსატაცებლად მიდიხარ, მეც შენი ძმა უსუსი ვიქნები. მესამე ძმას ბადრსაც ვიპოვინთ. ბიძა ჩემი ილიაკოც გამოდგება. ისე ველიტოთ მდევები, რომ მათი სისხლი მარაბდას მოსწედეს.

— აგრე, გენაცვა, აგრე იყოს, — მარინეს გადახედა და ხმამაღლა დაუმიტა: — ყამარი ნალე უნდა მოვიტაცოთ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, თორემ სხვები მოგეტაცებენ.

— მაშ მივდივართ! ჰაჩუუუ! — წამოიძახა ტატემ, ოქროსფერ თიმბში თითები ჩაუყარა და არსენას განიერ მკერდზე ფეხები ააბაგუნა. მერე ხმა მაღლა წაიტოტინა:

ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმაკამა ფოფა:

სადილად ბულა კანჭი, ვაზშმად არც სამი ფოფა.

ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა...

თითი მკერდზე მიიღო და განაგრძო:

უსუსი ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა,

თითი არსენას თავზე გადაიტანა და დაასრულა:

ამირან შავსა ღრუბელსა, საავდროდ დამზადებულსა.

— ჩვენ ყამარის მოსაცეანად მივდივართ, ყამარისა! ჰაჩუ-უ-უ! არსენა გაჰქნდა და რკალი შემოიბრინა. და ამ დროს მარაბდელი მოჭიდავე მართლა მოძრავ კოშს ჰგავდა, რომლის თავზე პაწაწა მხედარი წამომჯღარიყო და ცოცხალ კოშკს ხელების ქნევით, ფეხების ბაგუნით და მზიარული კიჟინით მიერეკებოდა.

* * *

შუადღე მოვიდა. ყველანი თავიანთ დროშა-ალამებს შემოეხევივნენ და დაიძრნენ. კუმისელები, თელეთელები და ტაბახმელელნი ქალაქისკენ მობრუნდნენ. ხეობელებმა ზევით გასწიეს და ისე მიდიოდნენ, თითქო ნალაშქრევი იყვნენ: ბაირალებს მისდევდნენ და რიხიანიდ მგზავრულსა და მაყრულს გაჰკიოდნენ. მარაბდელები, მარნეულელნი, ფარცხისელები, და ახლო-მახლოელები

ზაღის კარავს შემოვხვიენენ და „მეწინავე დროშის“ წინგაძღოლას უკედინენ. თავადები, აზნაურები და ბევრი სხვაც უკვე ცხენებზე ახდენენ და უხუცეს ზაღს ელოდებოდნენ, რომელსაც ის-იყო რახსი ტყვედ მიჰყვებოდა. სამივე დამარცხებული ორბელიანიც და მრავალი მათი აზნაურები აქ იყვნენ. დღეს ყველანი ზაღის სტუმრები იყვნენ და მარაბდაში აპირებდნენ წასვლას.

უკებ ბასილა მაიორმა დონური თათლა კარვის წინ შეაყენა, დროშას შეხედა, თითიც იქით აიშვირა და გაიკვირვა:

— ეს რა ამბავია?

— ვე ჩენი დროშა ვახლავთ, — აუხსნა დევით ბარათაშვილმა, — ჩენი მეწინავე დროშა არის.

— რაო?! — შესაახა მაიორმა. — რაო? მე უბრალო ბაირალი მეგონა, ნამდვილად კი დროშა ყოფილა.

— დიდა, აგრეა. საქართველო ხუთ სადროშოდ იყო დაყოფილი და სამბარათიანო ანუ ქვემო ქართლი მეწინავედ ითვლებოდა.

ორლოვმა მიიხედ-მოიხედა და შემდეგ ფიცხელი ბრძანება გასცა.

— ჩამოსხენით! დამალეთ! ეხლავე აქ მომეცით მეთქი!

ავი სიჩუმე ჩამოწვა, ადგილიდან არავინ დაიძრა. ზოგი გაუფიქრდა, ზოგი კიდევ იმ ალაშივით გაწითლდა.

უკებ მაიორმა ცხენი დასძრა და ხელი ალამს მიატანა. მედროშე ღვთისაგარმა, არსენას მამამ, დროშა უკან გადასწია, მეორე ხელი ბასილას ცხენს აღვირში ჩასჭიდა და ბატონებს გადახედა. დაკორძებული ხელი უკანკალვბდა და თეთრით მოსილი ტუჩები უთრთოდა. გრიგოლ ორბელიანს ზაფრანას ფერი ეღო. დევით ბარათაშვილს თავი ჩაეჭინდრა. ელიზბარი დაბნეული იყო, ხოლო დროშის მოლოარეს ზაღს პირი დაედო და ხმა დაეკარგა.

არსენა სიწაფელს მიუხედა. აილანძა. პირსახეზე მწვავე აღმურმა აკრა და თავში აუღვარდა. ეს რა მიჰქარა ბასილა მაიორმა? ჰსურს დროშა ჩამოართვას? მერე ვის, ბარათაშვილებს? ორბელიანებს? კეთილი, მაგრამ ეს ალაში მარტო მათი ხომ არ არის!

არა, მარტო მათი არ არის.

არსენას პაპამ მახარა ოძელაშვილმა, ეხლაც რომ ცოცხალია და ამას წინათ ას-პირველში რომ გადადგა, ეს ალაში დიდ ზაღთან ერთად ორმოცდაათ წელიწადს ატარა, ასიოდევჯერ ბრძოლის ცეცხლში ამოაელო, ოციოდე კრილობა მიიღო და შემწვეარ-შეფლეთილი ალაში თავის პირშეო ღვთისაგარს გადასცა, აგერ იმას, არსენას მამას, რომელმაც ხელი მაიორის ცხენის აღვირს გაუშვა და ადლიან ხანჯალზე დაიდო. დაიდო და ცალი თვალი ბასილას თვალებში ჩაურჭო, ხოლო მეორეთი ისევ ბატონებს ეკითხება.

ბატონები კი გაჩუმებულან, დარცხვენილან, დადუმებულან.

„რა ღმერთი გაუწყრათ ამ წყევლებს! — გაიფიქრა არსენამ. — რამ დააპიავა? რამ მოადუნა? ვინ გამოჰვიტა და ვინ დააძაბუნა? თუ დაბერდნენ და გადაშენდნენ, დროა განზე გადაგნენ და გზა დაგვეთმონ.“

განზე უნდა გადაგნენ და გზა ოძელაშვილებს დაუთმონ — გზა უკვე ნავალი მათთან ერთად ნაცადი და მათ მიერ უკვე დაღუული.

ლურჯას უცებ დეზი ჰკრა, დროშაზე მიაგდო, თავის მამას ალაში ასტაცა და ბასილას თვალი-თვალში გაუყარა. მერე თავის ძუძუმძეს დავით ბარათაშვილს მიუბრუნდა და—

— ბატონო, — ჰკითხა, — გამაგებინე, ამ კაცს რა უნდა?

— ეგ დროშა უნდა. — დარცხვენით მიუჯო დავითმა.

— მაშ წაიღოს. — დაბალი ხმით ჩაიხრიალა არსენამ და ორლოვს ალამისკენ აუქნია თავი: მობრძანდი და წაიღეო.

„მაშ წაიღოს“ — ის კილო ბასილას მუცლამდე ჩასწვდა. ჯერ გაფითრდა, მერე გაწითლდა; სახეზე კუჭტი აისახა, შემდეგ მრუდედ გაიღიმა; კუჭატუნელსა და მილიციელთა რაზმს გადახედა, ისევე არსენას დააშტერდა, თავი ქაღილით ჩაუქნია და ცხენი გაატრიალა.

— კიდევ ერთ სირცხვილს გადაგვარჩინა. — ჩაილაპარაკა ზაალმა, არსენასკენ გადაიქნია თავი და ბედაური დასძრა.

ჩუმმა ბრძოლამ მიუქრებულ გლეხებსაც ჩაურბინა. ერთ წუთს უსისხლო ომს ათასი თვალი უშეზრდა და დასასრულის მოლოდინით ათასი გული ჰფეთქავდა. და როცა იგი გათავდა, თავაწეულ გლეხთა რიგებში ხმადაბალმა ელარუნმა ჩაირბინა:

— აგრე!.. აგრე!

— ეენაცვალე მარჯვენაში!

— ბიჭია მეთქი, ბიჭი!

— შენი ქირი მე, შენი!

— გაგვიძებ რალა და გვატარე!

თავად-აზნაურები ზაალს გაჰყენენ. კენიები წინათვე წასულაცივნიენ. არსენამ დროშა ღვთისაგარს გადასცა და უხმო ლაშქარს უხმო ნიშანი მისცა: მკლავი ჰაერში ალამის ირგვლივ შემოხაზა. ერთი წუთის შემდეგ საუკუნოებით შეჩვეულ მეწინავე დროშას ზღვა-ხალხი შემოეხეცია.

— სალაშქრო! — შესძახა არსენამ და ლურჯა მოატრიალა.

ოქელაშვილის ლურჯა ნაბიჯით მოდიოდა, უენიდან კი ათასთავიანი დევი და მიწის გულიდან მონათვლი ბრინწიანი და მრისხანე სალაშქრო გუგუნე მოსდევდა:

ისევეც დაიზრდებიან

ალგვოს ღვევები მგლისანი.

ისე არ ამოსწყდებიან,

ჯავრ არა სჭამონ მტრისანი.

* *

მარაბდელები დიდ გზაზე ჩამოვიდნენ და ხუთ რუსულ ფურგუნს წააწყდნენ.

ბასილა-შაიორი მოწინავეს გამოელაპარაკა. უცებ ფურგუნებში ალიაქოთი ასტყდა. მუტიკები, დედაკაცები და ბავშვები თეთრ ჩარდახებიდან გადმოცვიდნენ და ბასილას შემოეხევიენ. მერმე ჩიფჩიფი და ბუტბუტი ასტეხეს, თან ერთ სიტყვას გაიძახოდნენ:

— ბარინ... ბარინ...

ფართოდ პირველად იწერდნენ, მუხლს ცემით მიიორს თაყვანს სტემდნენ და ხელფებს უკონდნენ. მიიორი ზაალს მიუბრუნდა და რუსებზე დაელოაპარაკა, თან იმ რუსებზე უთითებდა. მერმე ზაალზე უკენა დაელოაპარაკა უთხრა.

არსენას ერთი სიტყვა ესმოდა ხშირად: „ბარინ, ბარინ“.

რუსებმა იხუფლეს, ზაალს შემოეხვივნენ და ისევ პარჯკრის წერა, მუხლ-მოდრეკა და კალთებსა და ხელებზე კონკა ასტებეს.

— ბატონო, ეს რა ამბავია, შენი ჰირი მე?—ჰკითხა არსენამ ძუძუმძე დავითს.

— ჰმ,—ჩაიციხა დავითმა.—მოდი და ღმერთი სთხოვე ამ ურჯულოს! შარ-შან მამა-ჩემმა ზაალმა ბასილას ნწევარი აჩუქა. ბასილამ სამავგიეროდ ერთი კომლი ყმა აჩუქა.

— დანარჩენი?—ჰკითხა არსენამ.

— დანარჩენი?—და დავითმა ეშმაკურად ჩაიღიმა,—დანარჩენით ბასილა ლამაზი ქალების ყიდვას აპირებს. თურმე ეს საცოდავები ოთხი თვეა გზაში არიან.

— ურჯულო საქმეა, შენი კვნესა მე, მაგრამ ეს საცოდავები საქრისტიანოში მაინც ჩაიოვიდნენ. რუსები აქაც არიან და ჩვენც ზომ ხალხი ვართ. ზოგი ჩვენებური კი ქრისტიან ყმას სათათრეში ჰყიდის.

— კი ბიჭი ხარ, არსენ, მაგრამ ენა გრძელი გაქვს. გირჩევ, დაიმოკლო. —შეუბღვირა დავითმა და ცხენი განზე გააყენა.

— შენ ჰეი, მოურავო!—დაიძახა ზაალმა. —ეს რუსები დღეიდან ჩემი ყმები არიან. სოფელში დააბინავე და ხელ მომავაგონე.

— „ოთხი თვე გზაში არიანო“,—ჰუკრობდა არსენა. —დღეში ხუთ ალაჯს მაინც გაივლიდნენ. აქედან კავკავამდე ექვს დღეს მოუნდებოდნენ. მაშ რამოდენა ქვეყანა ყოფილა ი ტიელი რუსეთი?—და ის მანძილი რომ ვერ გაზომა, ლურჯა დასძრა და რუსეთის მანძილი თავიდან ამოიგდო.

— კნენები ეტლით დაწინაურდნენ, გლეხები და რუსები ჩამორჩნენ, ახალ-გაზრდები აფიცებულ ცხენებს თავს ძლივს უმაგრებდნენ.

არსენა ბატონებს უკან მისდევს. თითქმის ყველანი სხვადასხვა ჯიშის ცხენებზე სხედან.

ბასილა-მიიორის დონური თაფლა ცეკვავს.

ელიზბარის წაგებული ყარაბაღული ფაშატო ლაგამს ჰგლეჯავს.

დავითის შავი ყარაბაღული კვიცი ნავარდობს.

გრიგოლ ორბელიანი, მისი ძმა ზაქარია და მათი ბიძაშვილი ყაფლანი მძიმე რუსულ ცხენებზე სხედან: ერენამდე გრძელი გზა არის და ისევ ეს ჯიშის არჩივს, ხოლო ყარაბაღ-ყარაბაღული ცხენები მზღებელთა ხელით გუშინვე წინ გაისტუმრეს.

არსენას ფორაჯიანი ულაყა, ქართული ლურჯა რიხიანად ქიხენებს, მეზობლებს თავს უწნევს, დაბალ სალამს აძლევს, ტოტებით მიწას ბრდღვინავს და ელიზბარის ფაშატს ეტანება.

შუკებ ელიზბარ ორბელიანმა ყაბარდოს ჭუსლი ჰკრა და ჩორთით გააქანა. მერმე ყირაშალა ჩამოეკიდა, მიწიდან კენჭი აიღო, მოტრიალდა და დავითის ესროლა, თანაც მოაყოლა:

— მომეც, დავით!

დავითიც მოტრიალდა:

— არსენ, არ დაგვივარდე!

და სამივემ ჯირითით გასწია. რიგ-რიგად ხან გაქანებულ ცხენიდან ჩამოხტებოდნენ და უმალ ისევ უნაგირზე ავარდებოდნენ, ხან ყირაშალა დგებოდნენ, ხან ფეხზე აღებოდნენ და ხან კიდევ უნაგირებზე მორბალივით ტრიალებდნენ.

არსენამაც იცის თავადური ჯირითი. ბავშვობიდანვე შეეჩვია და ცხენზე ჯდომა უფრო ეხერხება, ვიდრე რბილ ლოგინში წოლა.

ბასილა ძლივს იმაგრებს დონურს, ჯირითისა არაფერი იცის, ამიტომ სხვებს ფეხ-და-ფეხ მისდევს და ბატონების თავგაყადრება და ყმის თავგასულობა უკვირს.

სანამ გაქანებული ჩორთით მიდიან, სამი ჭაბუკი ორბელიანიც რიგში მისდევს. შორი ახლო გიორგი კეცატენლის მეთაურობით მილიციელთა რაზმი მორბის.

შუკებ ელიზბარის ცხენი მოხლტა და ისარივით წავიდა. დავითმა დააკვივლა და შავი კვიცი მტვერში გაახვია. ბასილამაც დეხი ჰკრა თავლას და ნალებს ნაბერწყალი გააყრვეინა.

ორბელიანებმა თავიანთ მძიმე ცხენებს სადავე მოსწიეს და ისევ ჩორთით წაიყვანეს.

შორს წინ ორი ეტლი მოსჩანს.

„დიდი ბატონი გამოიჯავრდება“. —ჰუქრობს არსენა და ცხენს თავს უმაგრებს.

ლურჯამ ორჯერ-სამჯერ დაიბერტყა თავი, მერე მძლავრი მკერდი აიწია, წინა ტოტებზე ჰაერში გაასავსავა და კამარა შეჰკრა. მხედარმა მძიმე ლაგამი მძლავრად დასკიმა. ცხენმა თავი მუხლებში ჩაიგდო და გაინაბა.

— ბიჭო არსენ, მიუშვი ლურჯა, მიუშვი! — მოაძახხა დავითმა.

ლურჯამ თითქო გაიგო, შუკებ თავი აიქნია, ატორტმანდა და ვადაბტა. მიშვებულნი ლაგამი რომ იგრძნია, ზაალის კანკა-მწვევარივით გაიწაფა, შურდულის ქვასავით გავარდა და კოროინტელის ბოლილი გაიყოლა.

მაჰქრის ოთხი ცხენოსანი.

ქართველები მოკუბულან და ცხენის ზურგს გაჰკვირიან. ბასილა წამოყენებულ კუნძოვით ასვეტილა. მისი ათულა ელიზბარის ყარაბაღულს გაუსწორდა დავითიც ფეხდაფეხ მისდევს ორივეს.

არსენას ლურჯა ჯერ ასიოდე ალაბით ჩამორჩა. მერე მანძილი მოსწია და მალე დალია.

ოთხმა ცხენმა კნეინების ეტლს ქვიშა, მიწა და ნიავე მიაყარა.

კნეინები ილიმებიან, ხოლო დაწინაურებული მელიტონი ჰკივის:

— ნელა! ნელა, თქვე გიყებო, თქვენა!

მარინეს თვალეზმა ელვასავით გაირბინა.

არსენა ლურჯას ისევ თავს უმაგრებს. ძუძუმძე ბატონის წყენა არ უნდა, მაგრამ სხეებს არ დაუთმობს. დონურმა თავლამ იმძლავრა და წაიკვლია.

— ვერ მოგართვი, ბასილაე!— ბუტბუტებს არსენა და სკვინის შერ, ლურჯაე! მიდი! გასწი! ჰაიდა, ჰევეი!

ლურჯა ათიოდე ნახტომით ბასილას გვერდით ამოუყენა და მიიძახა:

— შალადეცა, ბასილა, შალადეცა! მიდი! მომყე! მიდი, ლურჯა! მიდი! და ორ წამში თავლა დონური ოციოდე ალაბით ჩამოივდო. მერმე მოიხედა და გაჭინთულ მათორს მიიძახა:

— აკი გითხარი, ბიჭია მეთქი არსენა, ბიჭი! გენაცვალე მარჯვენაში! შალადეც არსენა, შალადეცა!

გზაზე ურემი მიგორავს. ხარებს ახალგაზრდა მორჩილი მიუძღვის, გვერდით შალალი შავი ბერი შილაეებს.

— გზა! განი!— მიიძახა არსენამ და სადავე მარცხნივ მოსწია.

ბერმა მოიხედა, მოსხლტა და გზიდან გადაევარდა. არსენას ბერი ემცნაურა, მაგრამ ვერ მოიგონა.

უცებ ბუჭქის ძირიდან ორი მელთა გამოხტა. არსენას გზა გადაუტრეს და ქვეით დაეშენენ.

ოთხივე მხედარმა დაჰკოვლა და ცხენები მარცხნივ შეაბრუნა.

ორი მელთა ორი ისარივით მიჰქრის. ცხენები ტყვიებივით მისდევენ, ჯერ ერთმა დამბაჩამ დაიქეჭა, მერე მეორემ და შემდეგ მესამემაც დაიქუბა.

არსენამაც იძრო დამბაჩა, ერთს განაპირებულს დაუმიზნა და ესროლა.

მელთა ყირამალა გადატრიალდა და აფართხალდა.

— ბიჭია მეთქი, ბიჭია!— ჩაიციხა არსენამ და აღვარებული ცხენი მეორეზე მიუშვა.

მეორე მელიამ განიერი ნაარხევი გასროლილი რკალივით გადასერა. ცხენებიც თქარათქურით გადაჰყვენენ.

დაფეთებულმა მელიამ ნალობარი გადასქრა.

და იმავე წამს იმ ნალობარზე ოთხი ცხენის ნალებმაც გაიელვა. მელთა თხელ ბუჩქნარში შეერია.

და ცხენებმაც ლაწალუწი ასტეხეს.

— ჰარიქა, არსენ, ჰარიქა, თორემ ტყეში შეგვისწრო!— ესმის დაწინაურებულ არსენას დაეითის ხმა და თავლას კშენა.

— მიდი, ლურჯაე! მიჰყე, გენაცვალე!

კეთილშობილი ქართული ცხენი ღარივით გაიქიმა. ტოტებს ჩაქუჩებივით ურტყამს ზრიოკ ნიადაგს. ქვეს აქეთ-იქით ისვრის კაკალივით. ხორხი მტკრად აღის ჰაერში. გაბერილ ნესტოებიდან ოშხივარს ჰყრის. მანძილი თანდათან ილგვა. ხუთიოდე ადლი-ლა დარჩა... აჰა, ოთხზე მეტი აღარ იქნება და უკვე ბასილას ცხენის თავიც მოსჩანს ლურჯას გავასთან.

— მიდი, ლურჯაე, მიდი! მიდი, გენაცვალს არსენა, თორემ დონური დაგწია.

აჰა, ერთი ადლიც მოსქრა. კუდგაფშეკილი მელთა უარესად იჭიმება.

— ჰარიქა, არსენ, ჰარიქა! არ დაგასწროს! არ დაგასწროს! — ისინი დავეითის კვილი.

— მიდი, გენაცვალე, მიდი! — ჩასწორებულებს ლურჯას მწკერებს მანთანაც ყური ბასილას თაფლასკენ უჭირავს.

აჰა, ტყეს შიადგნენ. ერთი ადლიც დაილია, ლამის ლურჯამ წინა ფეხი მელიის კუდს გაჰკრას.

უცბად თაფლა ლურჯას გაუსწორდა და მელია ორი ცხენის შუა მოჰყვა. არსენამ მარჯვენა ხელი კებს ჩასკიდა, მთელის ტანით ცხენის ფეხებთან ჩაეჭანა და გაწაფულ მელას მარცხენა ხელით კისერში დასწვდა.

და იმავე წუთს მელიას წრიპინი და ბასილას ბოყინიც მოისმა. არსენას დახრაზე შეფრევეელი თაფლა ლაფთხა და განზე გახტა. ბასილამ თავი ველარ შეიმაგრა და არსენას თვალწინ გაიშოტა.

— ბიჭი ვარ მეთქი, ბიჭი! — ჩაიცინა არსენამ და ლურჯა მოაბრუნა. წრიპინა მელია ილლიაში ამოიჩარა, ცხენიდან ჩამოხტა და ბასილას დასძახა:

— ჰა, რუსო, ვერა დგები?.. რა დაგემართა, შე კაი კაცო?.. მაჩვენე, სადა გტკივა? — ილლიებში შეუძერა, ძლივს წამოაყენა და: — შენი რომ არაფერი მესმის! რა სთქვი? ბოლნა? სად ბოლნა? რა დროს ბოლნისია, შე კაი კაცო?.. აქაც გტკივა? ვაიმე, მაშ იჭნება ფეხიც მოიტეხე და ხელიც, შე უბედურო, შენა!

დავეითიც და ელიზბარიც თქარათურით მოცვივნენ.

ბასილა ჰკენესის და ტკივილებით იღვიჭება.

დავეითმა გამოჰკითხა და არსენას უბრძანა:

— ჩქარა კოდაში აიბრინე და ბაჯიაშვილი მოიყვანე. ეს ცხენიც წაიყვანე და ზედ დოსტაქარი ზაქარა შესვი. ჩვენებსაც შეატყობინე. უთხარო, საჩქაროდ „დროშეკა“ ან ურემი ჩამოგზავნონ. კოდადან პირდაპირ ნარაზდაში ამოდიო.

— აგრე, ბატონო.

ლურჯას მოაჯდა, თაფლა სადავეთ დაიჭირა და მოჰქუსლა.

თავი მეორე

მარტის გორიაში

ლამაზ ქალების პატრონსა
უნდა ჰქონდეს თვალი მჭრელი.
ხ ა ლ ხ რ ი.

დათუნა ბარნაველი დინჯი ჰაბუკია. გუშინ ყვენობას არ აჰყვა. ჰიდაობა ძიან ლყვარს, მაგრამ ნარგიზებშიც არ წავიდა. ამას წინათ ივანე ბარათაშვილს ვეფხის ტყაოსანი სთხოვა გადასაწერად. დღე-ღამეს ასწორებს და სკელს მოლურჯო რუსულ ფურცლებს ზედიზედ აესებს.

დათუნა მწიგნობარია, რიტორი, კალიგრაფი, ლეთისმეტყველი. ყველა ბარნაველები ბარათიანთ კარის-მოძღვრებად. ითვლებოდნენ. დათუნას პაპა აბრაამი დღესაც ხალის კარზეა მიბმული, ხოლო მამა, სეხნია მღვდელი, ათი

წელიწადია ალექსანდრე ბატონიშვილთან არის გარდახვეწილი. მამა რომ გაექცა, თოთხმეტი წლის დათუნა თელავის სემინარიაში სწავლობდა და დავით რექტორის საყვარელ მოწაფედ ითვლებოდა.

ცხენი რომ გაექცათ, უნაგირს მისწვდნენ: გაქცეულის მამა, საიოცი წლის აბრამი, მონასტერში დააბწყედნეს, ლტოლვილის ცოლი და ქვრივი ქალიშვილი მაგდანა დააპატიმრეს, ოჯახი მიუნგრინეს, საქონელი გაიტაცეს და თელავიდან დაბრუნებულ დათუნას ცარიელი კედლებიდა დაუხვედრეს.

ზაალ ბარათაშვილი ხშირად იკვებოდა:

— დიდი ზალის სულსა ვფიცავ, შინ რომ გყოფილიყავი, მაგას არ გაკადრებდნენ, მაგრამ...

მაგრამ იმ ზამთარსაც ტყელისში იღბენდა და „ამიტომ“ აკადრეს. ერთი წლის შემდეგ ზაალს აბრამი და მაგდანა აპატიეს და გამოუწვეეს.

— წმინდა გიორგის მადლს ვფიცავ, — ხშირად იმეორებდა მამა აბრამიც, — ასეთი უსამართლობა ილა მაჰმადსაც არ უკადრებია ჩემთვის. ასეთი უღვთობა გაგიგონიათ? შეილის გაქცევა იცოდი და არ დააბეზლეო!

ხეიბარ-ქმნილი აბრამი ოჯახის აღდგენას შეუდგა. რძალი საპატიმროში მოუყვდა. დაობლებული დათუნა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში მიაბარა და თვითონ მაგდანას ანაბარა დარჩა.

ხანი გავიდა. დათუნა ვინმე ფილადელფოს ბერის ხელში დამწიფდა და ჩოხის კურთხევას აპირებდა. მაგრამ მისი ახალ-გაზრდა მოძღვარი ფილადელფოსი ნიჟნი-ნოვგოროდში გადაახლებულმა ანტონ კათალიკოსმა ვაიწყია და დათუნამაც ნირი შეიცვალა: მორჩილის სამოსელი გაიხადა, მარაბდაში დაბრუნდა, გამარტოვდა, გატვინდა და მუდამ რალაცას თუ ვილაცას ელოდებოდა.

— შეილო, — მესაუკურო ჩიფჩიფით ეუბნება პაპა აბრამი, რომელიც ოთახში ლანდივით დაბორიალებს, — შეილო, ან ცოლი შეირთე, ან სხვა რამ ხელობას შეუდგე და შენი ბედნიერება მაჩვენე, თორე მე ცალი ფეხი სამარეში მიდგა და შენც მგონი უღვდაკაცოდ აპირებ დაბერებას.

დათუნამ არც კი მიიხედა. შავ უღვაშებში ჩაიღიმა და ღია კარისკენ გაიხედა. (ძველი კაცია აბრამი, ოცდაოთხი წლის უკოლო ჰაბუკი მობერებულად ეჩვენება). გაიხედა და თავის დას მაგდანას ღიმილს წაიწყდა. შატკლის ფთილა საჩერელაზე შერჩენოდა და ძმას გამოსცქეროდა. ერთმანეთს სათქმელს უმაღვე მიუხვდნენ, ურთერთს თვალებით რალაც აგრძნობინეს და თავიანთ საქმეს დაუბრუნდნენ. აბრამ მღვდელი კი ისევ ქოშებს დააბაკუნებდა, გიშრის კრიალო-სანს აწყაპუნებდა და კვლავ საიმჰეყენო მგზავრობაზე ბუზღუნებდა.

მაგდანა თავის ძმაზე რვა წლით იყო უფროსი, მაგრამ ხნოვანება სულაც არ ეტყობოდა. ჩვიდმეტი წლის წინათ სუმბათიანთ დიაკვანმა ხოსიტა გურგენიძემ ითხოვა და ახალდაბაში წაიყვანა. ერთი წლის შემდეგ ვაკე ზურა ეყოლა — სწორედ ის ჰაბუკი, რომელიმაც იმ დღეს ნარგიზებში ერეკლესთან ერთად არსენას მოსვლამდე ოდნავ შეანელა მარაბდელთა სირცხვილი.

ხეობა იმ ხანებშიც ხაფანგებით იყო სავსე. ერთ დღეს ხოსიტა სურამისკენ წამოვიდა და ზაშურის მიდამოებში გაჰქრა. მაგდანამ ქმარი დიდხანს აძე-

ბნინა, მაგრამ ამოდ: კვალსაც ვეღარ მიაგნო. გვეი ჰქონდა და ბაღს გაუმართლდა: ჰალელ აბაშიძეებს შეეკრათ, ქვიშხეთის გზით სერი-სერი ბუჩუკების მთაზე აეყვანათ და სხვა ტყვეებთან ერთად ოსმალელებისთვის ჩვენივესი ქრისტიან ადრეცაც ეწინოდა მთის თხემზე წამოყუდებულ ძველი ციხისა, რომელიც მრავალ ათასისთვის გადაიქცა საბედისწერო ღუქნად, და მუდამ ერიდებოდა „აბა-შიძეების გზას“, მაგრამ მონობის უღელს მაინც ვერ ასცდა და მუსლიმანურ ზღვაში შთაინთქა.

მაგდანამ უკადა, იგლოვა და, ხმა რომ ვეღარ მიაწვდინა და ვერც მისგან მიიღო, ზურა წამოიყვანა და შარაბდას დაუბრუნდა. ახალგაზრდას, ლამაზსა და პატიოსან ქვრივს მრავალი მთხოვნელი გაუჩნდა, მაგრამ ფიცი ჰქონდა დადებული და არ გატეხა: შვილი თითქმის დაამწითა, ოჯახი ზელობა წამოაყენა და ეხლა პაპა აბრამივით ნატრობდა, რათა ღირსეული რძალი ეწოვნა და ძმის ბედნიერება ენახა.

ღია კარებში გაზაფხულის სითბო შემოდინდა. დირეზე და აგურის იატაკზე მზის სხივების ფართე სვეტი იწვა და საჩჩელასთან სამფხებაზე მჯდომი მაგდანაც კაშკაშა სხივებში იყო გახეული.

— მოიფიქრე, შვილო, ერთხელ კიდევ იფიქრე, — სთქვა ბოლოს პაპა აბრამმა, შინდის ჯოხზე დაებჯინა და გარეთ გაიანჩაღდა.

მაგდანამ თვალი გააყოლა და ეზოს გადაღმა გზაზე სწრაფად მიმავალი მალალი ქალი დაინახა. იცნო და მატყლი ხელში გაეყინა.

მცირე ხნის შემდეგ დათუნამაც კარებშიცენ გაიხედა და ისევ დის მოღიმარე სახე დაინახა. მაგდანა ძმას შემოსცქეროდა. მზის სინათლეზე კბილები თეთრად უკრიალებდა; დიდრონი თვალები ალერსით უკაქამებდა; ორი სქელი კულული შავი ღვედებივით ჩამოშლოდა და ჰაერში ვახვევებულიყო. ქვრივი უმცროს ძმას ისეთი ღმილით უმზერდა, თითქო რაღაც საამური დავიწყებოდა და იგონებდაო. შემდეგ სახე ისევ საჩჩელაზე დახარა და ზემი ხმით გადმოავლო:

— დათუნი, ოძელანთან ვერ გადახვალ?

— რისთვის? — ასევე ჩემად ჰკითხა ძმამ.

— გუშინ არსენამ გიკითხა.

— არსენა გუშინწინ იალღუჯაზე წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულა.

— ჰო, მართლა, — უფრო დაუმდაბლა მაგდანამ ხმასაც, თავსაც და ღუშლის შემდეგ დაუმატა: — მაინც გადაიზრინე და შელანოს ოთხიოდე კევრები ესესხე.

დათუნას ჯერ გაუცვირდა: მაგდანას ორასი კევრები მაინც ჰქონდა შენახული და დღედღეზე ურია მეჭათმეს ელოდა. გარდა ამისა, ოძელაშვილის სახლი მოშორებით იდგა და არასოდეს მათთან სასესხებლად არ გადასულან. უკანასკნელ დროს დათუნა და არსენა ძალიან დამეგობრდნენ, მაგრამ... კევრების სესხი? უცნაურია, გაუგებარი!

შემდეგ თითქო გაუგო და დაფაცურდა, კინაღამ დას გადაჰკოცნა. მაგდანა გაგიჟებით უყვარდა, რადგან იგი მის დედაც იყო, დაც, გადაიქცა და საუკეთესო მეგობარიც, მაგრამ მაინც თავი შეიმაგრა და გაეჭრა. გული ახალი სითბოთი

და სიყვარულით აეცსო იმის გამო, რომ მაგდანამ ნამდვილი მიზნა ერთი/სიტყვითაც არ ახსენა, არც „იმ ქალის“ სახელი წარმოსთქვა, არც ავრწმობინა, რომ გუმინით რაღაცას მიავნო, რომ ძმის გულში ჩაიხედა და მისი გულში ყვილო საბაბი მოეგონა.

მაგრამ საიდან იცის მაგდანამ, რომ „ის ქალი“ ეხლა სახლში იქნება? ვითომ გამოუშვებდა კნენა ხორეშანი? „პირ-ფარეში და ყმა-მოსამსახურე ზაალის ეზოდან ასე ადვილად ვერ გამოვა, ანიტომ“... — გაიფიქრა და თუნამ და შეყოყმანდა, — „ალბათ იცის, დაინახა.“ — გადასწყვიტა ბოლოს და არსენას ნაჩქარი კრაველი დაიხურა.

მაგდანა კი იღიმებოდა იმის გამო, რომ მისმა „ეშმაკობამ“ გასჭრა და თვალთ გააყოლა საყვარელ ძმას, რომელიც ნაადრევი სიღინჯით ოთხი კვერცხისთვის ოქელაანთ სახლისკენ მიიბიჯებდა.

* * *

დათუნას არსენას ყურში გამოეგება: მზიარული ყვფით გამოექანა, ზედ შეებობლა, ტორებით შემოეხეცია, ხელები მოულოკა და ხტუნვაწმეტუნით შინისკენ გაუძღვა.

დათუნა მიდიოდა და ვინმე სულიერს ეძებდა, მაგრამ არსად არავინ მოსჩანდა. საბძლისა და გომურის შუა ბოსტნის კუთხეში ერთი წამით არსენას დედა მელანო და პაპა მახარა გამოჩნდნენ. მახარა დინჯად მპარაყდა, მელანო კი ჩაქუნტულიყო და შავ მიწას სჩიჭნიდა.

„ბედი მწყალობს“ — გაიფიქრა კვერცხების მაძიებელმა და დერეფანში შეალაჯა. შემდეგ ფეხაქრფევით ღია კართან მიიპარა, შეიხედა და ოქროს ჩანჩქერს წააწყდა. მის წინაშე კარისკენ ზურგშექცეული ფიქრია იდგა. მბრებამდე გაშლილი, ბაჯალღოსავით მბზინავი ტყერი მუხლებზე სცემდა. თაროზე ლითონის მიჭვრიტანა ედგა და შიგ იყურებოდა. თმის ერთი ღვედი წინ მოეგდო და ივარცხნიდა. სარკეს რომ ჩრდილმა გადააქრა, უცბად მოიხედა, ოდნავ წამოიძახა „ვიამე!“ და რამდენიმე ნახტომით შიგნით შეღებულ კარს მოეთარა.

ღარცხენილმა დათუნამ უკან დაიხია და წაილულულა:

— შე ვარ, ფიქრია... ნუ შეგეშინდა.

ფიქრული კარების უკან დაბალი სიცილი და შიგნარევი ნაძალადევი წყრომა მოისმა:

— შე ვარ! აბა ხა! მეც ვიცი, რომ შენა ხარ, იხი-ხი! ნუ შეგეშინდებაო! ვისი ან რისა უნდა შემეშინდეს?

— აბა რა ვიცი. — გონს მოვიდა სტუმარი. — ისე ვთქვი.

— ისე ვთქვი! — გამოაჯავრა ფჩინარმა. — რუსი არა ხარ და ლეკი, რომ შემეშინდეს. შენი შეშინებულიც ალბათ შენისთანა იქნება.

— მაშ ჩემი არ გეშინიან? — წყენით და გათამამებით წამოიძახა არსენას მგვობარმა და დირეს გადაალაჯა.

იმავე წამს ფიქრიაც საფარიდან გამოვიდა და წინ აეშოტა. ოქროს ნაკადულები თივის ბულღლივით აეკრიფა და თავი დედის შავი თავშლით მორქა.

ბურნა. სიმალლით თითქმის არსენას ტოლი იქნებოდა და ხაოკრიდ / ჰგავდა მას: ისეთივე გაშლილი და მაღალი მკერდი, მოთეთრო კანი, თხელი და მაღალი ცხვირი, და შავი თვალები, სადაც ზაფხულის ბნელი და მკაფიო კაბა და გაბედული, თითქმის თავხედური ხასიათი გამოკრთოდა.

— მაშ არ გეშინიან? — უფრო დაბალი ხმით ჰკითხა დათუნამ და ქალის მკლავს ხელი მიატანა.

ფიქრიამ ოღნავ განზე გაიწია. სტუმარს ხელი ჯერ ჰაერში გაუშეშდა, მერე მოჭრილივით ჩამოუვარდა. ისევე უწინდელი გაუბედაობა! ისევე წინანდელი უნდობლობა! რამდენჯერ სცადა ხელის წაფლება და სათქმელის გამქლევანება, მაგრამ ეს თვალები, აი ესლაც რომ სუსხით და კიდევ რალაც იდუმალი გრძნობით მიიბნინდა, დათუნას ყოველთვის უსიტყვო დაშტერებით აღუნებდა და ნებისყოფით სცლიდა.

— რად მოხვედრი? ვინ ვინდა? — ვაჟურ-დაბალი ხმით ჰკითხა ფიქრიამ

— არსენა შინდა. — დაუმიდაბლა ხმის დათუნამ.

ქალმა ზოდიდო თეთრი კბილებით გაუღიმა და —

— ჯერ არ დაბრუნებულა. — უპასუხა.

— ლეთისავარი?

— მამა ნარგიზებში წავიდა, რატომ შენც არ წახვედი? უწინ ძაან გიყვარდა ქიდაობა, ეხლა რაღა დაგემართა?

ის დაენართა, რომ ჰსურდა დრო ეხელთა, ფიქრია ენახა და შეგუბებული სიტყვები და გრძნობა დაეცალნა. რამდენი ხანია აპირებდა, მაგრამ ვერ გაეზენდა. ეხლა კი გაათავდა ყოყმანი. ეხლა ყველაფერს ეტყვის, ყველაფერს გადმოუღაგებს. და ვადამოუღაგა:

— ეხლა ის დამემართა, რომ... დღეს უქეიფოდ გავხდი.

ფიქრიამ უნდობლად გაუღიმა. შენდევ ჰკითხა:

— ბატონის სახლში რატომ აღარ დადიხარ?

— იმიტომ, რომ ბასილა მაიორი არა მწყალობს. აღექსანდრე ბატონიშვილის კაცი ვგონივარ.

ბასილას გახსენებაზე ფიქრია მოიღუშა და ჩაუქვრდა. მერე სთქვა:

— დიდი ქალბატონი რომ არ მწყალობდეს, ის წუწკი აქამდე გაიტანდა თავისას.

დათუნამაც იცოდა, რომ ბასილა მაიორი მარაბდაში მოსელის დღიდანვე ზაალის ორ მოახლეს აედევნა — მარინეს და ფიქრიას. ორივე რკინის კედელივით დაუხედა. მაშინ მაიორმა არც აცივა, არც აცხელა და მათი თავი ზაალს სთხოვა, დიდმა ბატონმა ჯერ ვერ გაუგო:

— როგორ უნდა იმსახუროთ, ვეო? ქალებმა რუსული არ იციან, თქვენ კი ერთი ქართული სიტყვაც არ გესმისთ.

მაიორმა ცუდლუტო ღიმილით უპასუხა:

— მუჯები რომ ყოფილიყვენენ, მაშინაც ვიმსახურებდი. არა უშავსრა, ან ვგენი ისწავლიან რუსულს, ან მე — ქართულს.

მარაბდის ბატონმა ვითომ ეხლაც ვერ გაიგო და ნეორე მხრიდან მოუარა:

— ვის უნდა ემსახუროს ორი მოახლე, ვეო? თქვენ ხომ ცოლშვილი არა გყავთ?

— აბა-ბა! — გაღიხარხარა თურმე ორლოვმა. — მე, ჩემო კნიაზო, მე უნდა შემსახურნენ. ცოლშვილი კი მხოლოდ ხელს შემიშლიდა.

მაშინ ზაალმაც ჩაიციხა და უთხრა:

— ფიქრია კნინა ხორეშანის ფარეშია, მარინე კი ტასოში. იმათ სთხოვეთ, იქნება დავითოზონ.

შემდეგ ეს ამბავი თავის დედას ხორეშანს უამბო და ასე დაასრულა:

— ვეცო, ასეთი ამბავი გაგონილა? რუსებმა თათრები მოგვაშორეს, მაიორმა კი თვითონვე მოინდომა თათრული წესი.

და დიდ ბატონს გადააეიწყადა, რომ „თათრული წესი“ თვითონაც მრავალჯერ ჰქონდა გამოცუენებული.

— ეინ უნდა გამოიხედოს მაგის თქმა? — ჰკითხა კეშტ-აკრულმა დედამ.

— აბა რა ვიცი! — აიჩეჩა მხრები ზაალმა.

— თვითონ ვერ გამაბედავს, შენ კი უკვე მითხარი და ძალიანაც მიჰქარე. — დატუქსა ჰირმშო შვილი თითქმის ოთხმოცი წლის დედამ და დაუშატა: — გადაეცი შენს წუნკალ სტუმარს, რომ მეორედ აღარ გამაგონოს ეს ბალწი ზრახვა, თორემ ერმოლოვთან ვუჩივლებ, ან სხვა გზას ვუპოვი.

ერმოლოვის გაგონებაზე მაიორიც დაფთხა, ზაალიც და მისი შვილი დავითიც, რომელიც ამ საქმეზე თავის მეგობარს ბასილას თურმე რალაცას შეჰპირდა.

ასე გადასცემდნენ ერთმანეთს ამ ამბავს ჩურჩულით ზაალის მოახლენი, შინაყრები და შემდეგ მარაბდელებიც.

ამ ბნელი ხიფათის გახსენებაზე დათუნას ბრაზით და შიშით ეცვალა ფერი.

— დაეიჯერო, ბატონები გაგიმეტებდნენ, დიდი ქალბატონი რომ არა გყოლოდა? — ჰკითხა ფიქრიას აერეოლებული ხმით.

ფიქრიამ მხრები აიყარა, ხშირი წარბები შეიხლართა და —

— სწორედ შენ მოგერიდებოდნენ. ან რა ბედენაა, რომელი მგელი შეშქამს, რუხი თუ შავი! სიციხსლე ჩაგვიწარეს. მგც და მარინესაც ყველანი კბილ-ალესილი დაგედევნენ, მოსვენებას აღარ გვაძლევენ.

— რა უნდათ შენგან მაგ უღმერთოებს, მაგათ! — სასოწარკვეთით წამოიძახა დათუნამ.

ფიქრიას კისკისი ეზოში გამოიჭრა.

— შე დოცულაბიავ, შენა, — ჩაიხიზიხითა, — განა არ იცი რა ენდომებათ ბატონებს ჩემისთანა ქალისგან?

დათუნა დაიბნა. მერე თვითონაც გაღიხარხარა და ერთხელ კიდევ მიეტანა ფიქრიას მკლავს, რომელიც უნაღვე განზე გაუსხლტა.

— რა გინდა ჩემგან, რას მეტანები? — ჰკითხა ქალმა და ცერა ღიმილით გადმოხედა.

— შე კულრაქაე, შენა, განა არ იცი, რა ენდომება ჩემისთანა ვაჟს შენისთანა ქალისგან? — შეუბრუნა სიტყვა დათუნამ და ორთაე ისე გადიკასკასეს, რომ მათი ხმების ქლარუნი მელანოს ბოსტანში ჩასწვდა.

ფიქრის სიცილი თითქო დანით ჩამოთალესო: უცებ დადუმდა და ჩივიდა. მერე უთხრა:

— ბასილას რომ ვამატანონ, ან ივანიჩს მიმითხოვდნენ, ვაჭრებდა, თითქო დათუნას ეკითხებოდა: შენ როგორ მოიქცევი?

დათუნა შეკრთა, დაიბნა და წაილულულა:

— მე... მე ყელს გამოვიჭრი, ან თავს ჩამოვიხრჩობ.

ფიქრიამ გაიღიმა და—

— მერე, მე რა?—უბრალოდ ჰკითხა.

— შენა? შენ აღარაფერი გეწველება, მაგრამ... ამაზე მეტი რაღა შემიძლიან? ვის ვეგონო, ზაალს? რუსის ჯარს?

ფიქრია დალონდა. გმირს ეძებდა და ჩალას წააწყდა. კარვა ხანს სდუმდა. შემდეგ ისე შეანჯღრია ბულულა თავი, თითქო შავი ფიქრები გაიფანტაო, დარალაც აზრს გაუღიმა.

დათუნამ დრო იხელთა და მაჯანი მისწვდა. ფიქრიამ მძლავრი დაქნევით გამოსტაცა ხელი. დათუნა კელავ მიეტანა, დაედევნა. ქალი გაუსხლტა, დერეფანში გახტა და იქიდან მოუბრუნდა:

— კარგი, გეყოფა.—უთხრა გამართული ხმით.—უნდა წავიდე. ქალბატონი მელოდება. თუ საქმე გაქვს რამე, მითხარი.

— მაქვს, მაშა! მაგდანამ, ოთხი კვერცი მისესხეთო.

— კვერცი?—და ფიქრიამ ეჭვით გადახედა.—ხუმრობ თუ...

— რა დროს ხუმრობაა! მაგისტვის მოვედი.

— მაგისტვის მოხვედი?—უნდობლად გაიღიმა ფიქრიამ, ღირეს გადმოაბიჯა და კუთხისკენ წავიდა, თანაც დაცინვით ამბობდა:—ოთხი კვერცი... ამისთვის მოვიდა... ხა-ხა! ნასწაილი კაცი ოთხ კვერცხს სესხულობს, მაგდანა კი კალათობით ჰყიდის ხოლმე კვერცხებს. აჰა, შეხეთქე!

და ორივე ხელი კვერცხებით გაუვსო, თანაც მიაყოლა:

— მეტი არაფერი გინდა?

— მეტი?... როგორ არა, როგორ არა... კიდევ ისა... ის მინდა.—ბუტბუტებდა დარცხენილი დათუნა და ხან კვერცხებს დასცქეროდა, ხან ფიქრიას შეჰყურებდა.

— კიდევ რა? სთქვი და გაათავე. რას იცობნები ბებერი კამეჩივით!—მოუთმენლად შეუტია ფიქრიამ.

— კიდევ ის მინდა, რომ...

და უცებ ლაჩარივით აენთო, რომელიც ოდესმე გაჰხედავს და ბიფათს თვალბუჭულა დაეტაკება ხოლმე. კვერცხები იქვე ტახტზე გააგორა და ქალს მოჭიდავესავით დაეძგერა.

შეწინებული ფიქრია შეებრაოლა: მკლავებიდან უსხლტებოდა, ხელებს ჰკრავდა, გაუბოდა და ბუტბუტებდა:

— რა ვქნა, რა დავგმართა?, რა ღმერთი გიწყურება?... მომშორდი! თავი დამანებე!..

მაგრამ დათუნა თავის დანებების ნაცვლად უსურვაზივით კისერზე მოეხვია, მიიზიდა და ტუტებზე დააკვდა.

ფიქრია რამდენჯერმე კიდევ შეირბა, მაგრამ ანაზღად ღონე გამოიქცა, მოღბა და მოიშალა. მოდუნებული მკვლელები მხრებზე დაულაგა, მკვლევარე მკერდით აფორიაქებულ გულზე მიეკრო, უცხად დანისლულ ფეხებზე დახტა და გატყრინდა.

შემდეგ, როცა სული შეუგუბდათ, დათუნა ისე გაუსხლტა ქალს, თითქო თვითონ კი არ მიეტანა ძალა, არამედ ფიქრიას, და სამიოდე ნახტომით ებოში გაჩნდა. მიდიოდა, თითქმის მიბობდა და უკან მოხედვაც კი ეკრძალებოდა. ყურმა საალერსო ღრენით ფეხებში ეხლართებოდა, ჰებენდა და სტუმრის დუმილი უკვირდა. ბოლოს კულგაფშეკილი შესდგა, თვალი გააყოლა და შემდეგ ისე გამობრუნდა, თითქოს ეთქვას: „არ გინდა და ნუ გინდა, უშენოდაც გავძლებ“.

ფიქრია კი—ფერწასული, მთრთოლვარე და მიზნედილი—ზარდაცემულივით იდგა, განივრად გახელილ თვალებს ახლად-გაღვიძებულივით ანაზღამებდა და მალალ შუბლს ხელის-გულებით იხელავდა. შემდეგ თითქო თვალთ დაუბნელდა, წიბარბაცდა, ტახტზე ჩამოჯდა; ჯერ სწორედ იჯდა. მერე ჩამოშლილი თმის კონა უკან გადაიყარა, ხელეებზე დაეხივნა, მალალი მკერდი გადაიხიჩქა, ზაფრანით მოსილი თავიც უკან გადაიგდო და პირველი ვნებით სავსე თვალები მუხის კერს მიაპყრო. მიაპყრო და გახეედა, მხოლოდ აჯანყებული მკერდილა ამელავნებდა, რომ ტახტზე მარმარილოს ჩაცმული ქანდაკება კი არ იდო, არამედ ქალი იჯდა,—ცოცხალი, მფთქავი, უჩვეულო ვნებით შერყეული,—იჯდა და ამოდ ლამობდა ყალბზე შემდგარი ბუნების შენელებას და გაფანტულ ფიქრების მოკრეფას. და როცა კარგა ხნის შემდეგ მელანო შემოვიდა, ფიქრიამ დედის ფეხის ხმა ვერც კი გაიგო.

— რა დაგემართა, ქალო?—გაოცებით ჰკითხა დედამ, რომელსაც თავის ფიქრია ესოდენ კდემამოსილი და მიდუნებული არასოდეს არ ენახა.

ახლგაზრდა ქალი უცებ გამოფხიზლდა, წამოვარდა, თვალები მოიფშენი-ტა და დაფაცურდა, თანაც თმას ისწორებდა და ღულღულღებდა:

— არაფერი... ისე... მეჩქარება... ქალბატონი მელოდება.

— დათუნას რა უნდოდა?

უცებ ჰკითხა მელანომ და თვალი თვალში გაუყარა.

ფიქრია მიტრიალდა და—

— რა ვიცი.—წაიბუტბუტა.—კვერცხის სასესხებლად მოვიდა.

— კვერცხისა!—გაოცდა მელანო და ისევე თვალები აადევნა.

ფიქრიამ თავისი მღვრიე თვალები კვლავ მიჩქმალა და უპასუხა:

— ჰო... კვერცი უნდოდა... მივეცი... ოთხი კვერცი მივეცი.

— მერე, რატომ არ წაიღო? აქ რად დაჰყარა?

ფიქრიამ მიიხედა და ტახტზე გაფანტული კვერცხები ეხალა დაინახა. მხრები აიყარა და ბრაზით მიუგო:

— აბა რა ვიცი?—და სწრაფად გავიდა, თან დედის იპვიანი ან დაჯერებული ღიმილი გაიყოლა.

ალეწილი დათუნა შინ რომ შევიდა, მაგდანამ თავი ისწია, ჯერ თვალ-ადღენა და მერე ჰკითხა:

— კერცხები არ მოიტანე, დათნი?

დათნი მოტრიალდა, გაოცდა. შემდეგ გაახსენდა, რომ კერცხებისათვის გაგზავნა, და დარცხვენით წაიღულულა:

— ჰო, მართლა, დამევიწყდა... არა, არ დამევიწყდა... არ მომცა... არა პქონდა.

და თავის-თავზე გაბრაზდა. ჩოხის კალთები აიკეცა, მოტრიალდა და სწრაფად გავიდა, თანაც მავდანის დაჯერებული ღიმილი წამოიღო.

* * *

ზაალის ეზოს და სასახლეს ბოლი და ოშხივარი ასდის. ხაბაზები გუშინვე შეუდგნენ პურის ცხობას და თორნე უკვე მეშვიდეჯერ გაახურეს. მთავარი ხაბაზი „კარპინი“—კოჭლი ნისაღდათარი რუსი, სამი წლის წინათ ზაალთან შემოხიზნული—დამკლავებულია, უქუდო, გამუდმებით ჩიბუხს აბოლებს, ფუსუუსებს და ზედნიერია, რომ საბრძანებელი იშოვავ.

— აბა, ქალებო, — ეუბნება იქაურს ხნიერ დედაკაცებს, — მოზილეთ... ჩააკარიოთ... გაახურეთ... ცკალი აადულეთ.

სახელოვანი მზარეთული სევისტი ლაკაბიძე — შორაპნიდან გამოქცეული, იქაურ აჯანყების მონაწილე, წერეთლის ნაყმევი და მარაბდას შეფარებული — ორთქლსა და ბოლში გახევეულ ქვაბებსა და ტაფებს სარდალივით დასდგომია და ათიოდ თანაშემწეს, სოფელ ბიჭებსა და ქალებს, დინჯად განაგებს:

— იმ ქვაბს შეუკეთე... ამას ცეცხლი შეუნელე... შენ ბრინჯი გამირეცხე... შენ კერცხი გათქვიფე.

და ათიოდ რკინის ზედადგარზე, სპილენძის ვეება და მცირე ქვაბსა და ტაფაში უხვად იხარშება და იხრაკება ბოზბაში და ჩიხითმა, ფლავი და ტაბაკა, წვნიანი და უწვნო.

დიდ ეზოს ბოლოში, უხარმაზარ კანდრის ქვეშ, სამპირი სუფრა იშლება: ფიცრებსა და მაგიდებზე (რუსული წესით) — ალგეთელ თავად-აზნაურობისათვის, მიწაზე გაშლილ ფარდაგებსა და ქერებზე (ქართული ადითით) — ზაალის ყმებისათვის, ხოლო უფრო მოშორებით, ისევ ქეჩა-ფარდაგებზე, — გლეხი ქალებისადგოს, რომელნიც რუსულ ჩვეულებას გერაც ვერ შეროგებთან ერთად ვერ დამსხდარან.

კანდრის ძირში, სადაფით მოხარატებულს ძვირფას სითაკანში, ზაალის დედა ოთხმოცი წლის კნენია ხორეშანი ჩაბრძანებულა და გამხდარს, მოთეთრო თითებში ქარვის წყრილ კრილოსანს ზანტად ატრიალებს. ტანზე შავი ხავერდის ქათიბი აცვია, სიასამურის ბეწვით შემოკლებული (ეს ბეწვეული ოცდარვა წლის წინათ რუსის ელჩის კოვალენსკის მეუღლემ მიართვა), შუბლზე მუქლურჯი თავსაკრავი ადვია, რომელზედაც პაწაწა პანტის მზგავსი მარგალიტი კიაფობს (მზითევში მონაყოლი), გათეთრებულ თავზე ზორასნის ფარჩის მანდილი აქვს მოხვეული, გულისპირზე ჩამგობრალის დარეჯან დედოფლის ნაწუქარი თბილის-ოდენა ფირუში ჰკიდია (შემდეგში დარეჯანი და ხორეშანი ერთმანეთს დაშორდნენ, რადგან დიდი ზაალი და დავითი რუსებს მიუდგნენ), ხოლო თი-

თები ისეთი ძვირფასი თევზებით აქვს შექვილილი (ზოგი მხოტეში მოჰყავი, ზოგი კიდევ განსვენებული ჭმრის ნახუქარია), რომ ეს ბეჭდები ორ მარაბდისად-ვილად იყიდიან.

წარსული საუკუნის ლანდივით ზის ქენინა ხორეშანი და მიფეოფლილ თავლებს უნდილად აღვენებს ყველა ყმას, ფარეშს, მოახლესა და განაპირებულს ხნიერ გლეხებს, რომელნიც მოშორებით ჯგუფ-ჯგუფად ჩაენტულან, ჩამსხდარან, მიწოლილან და ისე გამოსცქერიან ქვაბებსა და სუფრას, ისე ჰყნოსავენ იშვიათი საქმლის სურნელით გაელენთილ ჰაერს, როგორც ფრთა-დამსხვრეული ბებერი სვაგები დავარდნალ ნადირის სიკვდილს ელოდებიან ხოლმე.

ქენინა ხორეშანს თავზე ორი გოგო ადგია. დიდი ქალბატონი დროვა-მოშვებით თვლით მოიხმობს გოგოს და დაბალი ხმის რასმეს უბრძანებს. ფეხ-შიშველი ქალი მოსხლტება და ბრძანების გადასაცემად გარბის, ზაალის დედა კი ისევ გაბეცდება და ახალ საბრძანებელს იგონებს.

ღურნუკელი მოურავი ფირუზა ამირხანაშვილი ხან მარანში ამოჰყ რეს თავს და ჭაშნიკს სინჯავს, ხან ხაბაზ - კიარპინას* მიუფარდება და შოთებს დაუწუნებს, ზოგჯერ სალახებს მიადგება და ცხვრის გატყავებას ასწავლის, მაგრამ შორაპნელ სევასტის შორიახლოს უვლის და გერაფერს უბედავს, რადგან გრძელწვერა იმერულს მგლის კბილები და ლომის ბუბუნა აქვს.

მელეინეს ლაშქარა გოჩაშვილს ჭანდრის ჰვეშ უკვე ჭურჭლის ჯარი შეუქტება: ჩაფები, ხელადები, კოკები, სურები და ლიტრები, კულები და ჯიხეები, თასები და ჯამები, ვერცხლი და თიხა, ბროლი და ხე—ყველაფერი დაურახზავს და ბატონის ნიშანსა ელოდება, რათა ეს მებრძოლნი აუშვას, მიუსიოს, ასვას, დაჰყიბოს, დააძინოს და გააგიგოს.

ათორღე გამოცდილი მწდეველიც მომარაგებული ჰყავს და ეხლავე იცის, რომ დიდი ბატონი და მისი მასწავლებელი, ნამდვილი ოსტატი ზაალი, თვითონაც გიორგი მეფის კარზე ფრიად გამოცდილი და ნაქები სუფრაჯი, კმაყოფილების ნიშნად ხვალ დილით ყურს აუწევს, სილას გაჰკრავს და ერთ წვეილ საქალამნეს აჩუქებს.

მარაბდას ბრძოლის დროინდელი ჭანდარი, მას შემდეგ მრავალჯერ დამწვარ-განახლებული სასახლე, უზარმაზარი ეზოც და მთელი სიოელიც მზის სხივების ნაკადებით, ცისფერი ბოლით, თბილი ორთქლით და ღიზიანი სურნელით არის გაელენთილი და ნარვიზებიდან ხალხის დაბრუნებას ელოდება, რასაც „ნამციკობა“ უნდა მოჰყვეს, ნამდილად კი ისეთი მაძლარი სმა-ჭამა, რომ დამწვრებულ გლეხობას დიდი მარბვის მანძილზე ეყოს.

— ააშენა ლმერთმა რუსი ხელმწიფეი! — ამბობს ერთ ჯგუფში შუახნის გლეხი. — ე რა კარგი წესი შემოეღია. ყველა თავად-აზნაურმა თავის დაბადების დღეზე ასე რომ გვაქეიფოს, აშენდება საწყალი გლეხობაი. შენ რას იტყვი, მამუკაჲ?

გლეხებში ზუმი სიცილი გაისმა, ხოლო მამუკამ უპასუხა:

— ერთი არხა აუნდა გაუგზავნოთ ხელმწიფესა და ვთხოვოთ, რომ ეს წესი დააკანონოს და თავადებისათვის, აზნაურებისათვის, მღვდლებისათვის და დიდ-დიდი მოხელეებისათვის სავალდებულოდ გაბალოს.

— ერთ წელიწადში აგერ იმ ცქვარივით დაესუტებდით. — ამბობს /მესამე და ხელით აჩვენებს ხარიხაზე ჩამოკიდებულს ახლად გატყავებულ მსუქან მცხვარზე.

და ყველას უხაროან იმის გამო, რომ ზაალმა რუს ხელმწიფეს დაუჯერა და წელიწადში ერთხელ, თავის შვილის დავეითის დაბადების დღეს, გლეხებს მძღლარ ქვიფს უშარბავს. ოღონდ სასინანულო ის არის, რომ წრეულს ნამცეცობა და დავეითის დაბადება ერთ დღეს მოხვდა, და რომ დიდ ბატონს სამას-სამოცდა-ხუთი შვილი არა ჰყავდა.

ის კი აღარ ახსოვდათ, რადგან დიდი ხნის შეწვეულები იყვნენ, რომ ეს გამოსაღებიც — ჰურიც და საკლავიც, ღვინოც და ერბოც, ბრინჯიც და ფრინველიც — თვითონვე ჩააბარეს გზირებსა და იასაულებს, ჩაფრებსა და მოურავებს, და დღეს თხის პატრონს მხოლოდ თხის კუდი და უნდა რგებოდა.

გაფითრებული ფიქრია დიდ ქალბატონს ეახლა და მაშინვე აქეთ-იქიდან მას ათიოდე წყვილი თვალი მიეზღინა. კნენა ხორეშანმა ახედა და ჰკითხა:

— ფერი რად წაგსვლია, გოგო?

ფიქრიას უცებ ხელმეორედ ეცვალა ფერი: ყელსა და პირსახეზე აღმა აჰკრა და აღანდა.

— არ ვიცი, ქალბატონო. — უპასუხა და თავი ჩაღუნა,

კნენამ ერთხელ კიდევ ახედა, ცვლილება შეამჩნია და დუმილის შემდეგ ჰკითხა:

— ფიქრიავე, რესი ბასილა შენს თავსა სიხოვს დიდ ბატონს. რას იტყვი, გაჰყვები?

ფიქრიას ალოს ფერი უმიღვე ჩამოერეცხა. წელანდელზე მეტად გაფითრდა და ტანში ერთანტელმა ჩაურბინა.

— რა დავიშავე, ქალბატონო? — წაიჭრჩულა ათრთოლებული ხმით და ცალი ხელით სითაქანის ზურგს დაეზღინა. — რად გადაგიჭრია ჩემი სიკვდილი? კნენა სდუმდა. უფერულ თვლებში სიაშის ნაპერწკლები უკრთოდა. შემდეგ ჩურჩულით უთხრა:

— მაშ აქ გაგათხოვებ. — და ისევ მიუჭრდა.

ფიქრია განაჩენს ელოდებოდა. ველარ მოითმინა და ყურში ჩასჩურჩულა, რადგან იცოდა, რომ ხორეშანს მაღალი ლაპარაკი არ უყვარდა:

— ვისზე, ქალბატონო?

— შენი ბედი ბევრს თავადის ქალსაც შეჰშურდება, ასი მოხოვნელი გყავს. ერთი ვინმე ავირჩიე. — და დუმილის შემდეგ დაასრულა: — ივანჩი არ მოგწონს? ფიქრიამ თვალბეზე ხელი აიფარა და ამოიკენესა.

— რა იყო, გოგო, რას უწუნებ? რომელი დიდებული შენა ბრძანდები, რომ ხელმწიფის მოხელეს უკადრისობ? — წყრომით შეუტია ხორეშანმა.

ფიქრია ზარდაცემული იყო: ბასილას გადამწერი ივანჩი! უშნო აყლაცუნდა, ყანჩასავით წვრილი, ბაღლამივით ყვითელი, კორფლიანი, ბილწი, ლოთი, დუეიანი და წირპლიანი, რომელსაც ობობა დაარტყეს, რადგან ბაბაქუასავით დიდი თავი, გაბერილი მუცელი და გრძელი ხელფები ჰქონდა.

— შენ კი გენაცვალე, ქალბატონო, ნუ გამწირავ, ისევე ხიკვდილი მირჩენია.

— კარგი, გეყოფა. ამაყენე.—რისხვით შეაწყვეტინა ქალბატონმა, — თუ მაგასაც დამიწუნებ, აღარ დაგვკითხებთან და შენს თავს ბანისლას აწუებენ. დღეს იფიქრე და ხვალ მოთხარო.

და წამოდგა. ფიქრია მკლავში ეცა და თავდახრილი გაჰყვა, რადგან კენინას ნიკრისის ქარები სჭირდა და მშველელი ესპიროვებოდა. გაჰყვა, თუქცა ქალბატონზე უარესად თვითონ ფიქრია ტორტმანებდა და ჭფიქრობდა: «ვასი გავეყარე, უის შევეყარე. ბატონის წყალობას ისევე ღვთის რისხვა სჯობია».

მარაბდას ცხელი ოშხივარი ასდის და ლაშქრობას გადაჩვეული მარაბდელებიც ისე მოდიან ნარგიზებიდან, თითქო მართლა სალაშქროდ ყოფილიყვნენ და, გამარჯვებულები, რიხით და ზეიმით ბრუნდებოდნენ.

ნარგიზებიდან მომავალი ზედი-ზედ შემოვიდნენ მარაბდაში. ზაალის ეზოში ჯერ დანჯღრეული ეტლი შემოღარუნდა. გლეხები წამოიშალნენ, შინაყმები დაფაცურდნენ. ეტლს ზაალი და მისი ცხენოსანი ამაღა მოჰყვა. რაზმს კარიბჭესთანვე ორი მხედარი მოსხლტა — ყაფლანი და ელიზბარი — და უმაღლვე ეტლთან გაჩნდა. ორივენი ცხენებიდან თვალის დახამხამებაზე ჩამოხტნენ, ეტლს მივარდნენ და კენინები ახალი წესით ჩამოაბრძანეს: მოწიწებით ჩამოიყვანეს, შემდეგ მკლავები შესთავაზეს და ზემო სართულში აიყვანეს.

სასახლის წინ უტუტე ათიოდე ყმა და მეჯინიბე გაჩნდა, თითქო მიწიდან ამოძვრენო. მხედრებს უზანგები დაუჭირეს, აღვირები ჩამოარაივეს, ცხენებს მოსართავები მოუშვეს და სატარებლად წაიყვანეს.

წაქცეულმა მოჭიდავემ მუშთა ბესტავაშვილმა დიდ ბატონს ნარგიზებში მიართვა ცხენი და ეხლაც გზა უყვლა: საქიდაოდან სირბილით წამოვიდა, ჯაგებში იხტუნავა და, ოფლში გაწურული, პირ შზრალი, ქაქანიტ ეცა ბატონის უზანგს. ზაალს არაფერი გამოეპარა. არც ოდესმე ეპარებოდა. ყმის ერთგულება შენიშნა, ლომბიერების ნიშნად შუბლზედ კვერთხი დაუჟაკუნა და უთხრა:

— არსენას უმაღლოდღე, წუპაკო, თორემ აი ამ ჭანდარზე დაგკიდებდი.

სამოცს არაფერი აკლდა. შაინც ჭაბუკივით ჩამოხტა და შინისაკენ გაემართა, თან სუმბათაშვილი და მელიტონ ბარათაშვილი გაიყოლა.

გოგო-ბიჭები ტაშტებით და სურებით დადიოდნენ და სტუმარ-მასპინძლებს ხელებს აბანებინებდნენ. ოციოდღე წუთის შემდეგ ყველანი თავის-თავად დალაგდნენ: კენინები და თავადები ზემო აივანზე დასხდნენ და საუბარი გააბეს, აიღებდა თუ არა პასკევიჩი მაგარ ციხეს აბასაბაღს და გრევენას, რომელმაც ციციანოვს და გუდოვიჩსაც კი შოატეხინა კბილები?

— ერეკლემ ორი-ათასი კაცით აიღო ერევანი და რუსებს კი ოცი-ათასითაც ვერ აფლიათ. — იხუმრა მელიტონმა.

— იმიტომ აიღო, ვერო, — ჩაიღიმა ზაალმა, — რომ ყველა ორბელიანი და ბარათაშვილი თან ახლდა. ეხლა კი, მანამ ეს ოთხი ორბელიანი არ მიეშველება — და ოთხსავე ორბელიანზე მიუთითა, — სანამ პასკევიჩი ერევანს ძვრისაც ვერ უშამს.

და სიცილის შემდეგ საუბარი გადავიდა „საძაგელ“ ერმოლოვზე, რომელიც დღეს ან ხვალ უნდა გაეგდოთ, და „ღვთისნიერ“ პასკევიჩზე, რომელიც ამ

მეტისა მავიერ ღაინიწნებოდა, სპარსეთს გაანიავებდა და ოსმალეთსაც მიაცილებდა.

ალგეთილი აზნაურები—სავიანანი, ჩაჩიკიანი, ბუქიაშვილები და სხვებიც—ქანდრის ქვეშ შეჭურულიყვენ და ისევ ქიდაობაზე დაეობდნენ.

გლეხები სულ განაპირებულყვენ და თავლა-ბედლოს კედლებს აპკროდნენ. ნარგინებიდან წამოსული გლეხთა ტალღა მარაბდაში ორ ნაწილად გაიყო: ხეობელები ალგეთს აყენენ და თავიანთი გზით წავიდნენ, ხოლო მეწინავე დროშის ირგოლე თავმოყრილი მარაბდელები შგხავრულის მღერით ზაალის ეზოში შემოვიდნენ და აივნის წინ წესდგნენ. მედროშემ ღვთისაფარმა დროშა დაუწია და თვითონაც მოძივით დაერქო. სტუმარ-მასპინძლები აივანზე გადმოყუდნენ. ზაალმა თითი ასწია და გადმოიძახა:

— ღვთისაფარ, შენ და შენმა ბიჭმა არსენამ დღესაც მასახელეთ. ჰო და ხომ იცით, ვეყო, ყმის სამსახური ბატონზე არ დაიკარგება. ეგ დროშა ამაიტა და თავის ალაგას დაასვენე.

ღვთისაფარმა დროშა აიტანა, დარბაზში შეიტანა და შალალ განჯინაში შეაყუდა, სადაც ბარათაანთ საგვარეულო ხატები და განქეულობა ინახებოდა. ზაალმა მუხის კარი დაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიღო, ღვთისაფარს ქალარა უღვაში აღუგობა, გამოისტუმრა და ისევ აივანზე ჩამოჯდა.

პატარა ბიჭმა ორ-ადლიანი ჩიბუხი მოუტანა, ტარი პირში ჩაუღო და მართით თამბაქოს ნაკვერჩხალი დაიღო. ბატონმა სამიოდენ ნაფაზი დაჰკრა და დაიძახა:

— ვეყო, ასეთი ამბავი გაგონილა? ჩვენმა არსენამ კიდევაც მასახელა და თავებიც დაგვკრა.

ყველა მიუხედა, მაგრამ აქეთ-იქიდან მიინც ჰკითხეს:

— როგორ?... რით?... რატომ?

— რატომ და იმიტომ, —ხელგაშლით აუხსნა ზაალმა, —რომ ბასილა მოიგერია და დროშა გადაგვირჩინა.

ერთი წუთით უხერხული სიბრძნე ჩამოწვა. შემდეგ ზაალის სიძემ სუმბათა-შვილმა მხრების აყრით და ცივი ღიმილით იკითხა:

— თავმოკრილს რა ოხრად უნდა დროშა, კნიაზენო?

ყველამ ტვირთის შემსუბუქება იგრძნო. გრიგოლ ორბელიანი პირქუშად იწყო, ვერცხლით შექედნილ მათრახს სალაშქრო ზეშებზე იტყაპუნებდა და სდუმდა. მერე ზაალს ახედა და ჰკითხა:

— ბიძა-ჩემო, გამიგონია, ეგ დროშა უწინ ორბელიანებს ჰქონიით და შემდეგ...

— მეც გამიგონია, ვეყო. —გააწყვეტინა ზაალმა. —მაგრამ დიდმა დავით სარდალმა სიკვდილის წინ თურმე ჰაპაჩემს დიდ ზაალს გადასცა და უთხრა: ჩემს მერმე ყველაზე ღირსეული შენა ბრძანდები და გქონდესო.

— ავრე ამბობენ, —ჩაერია ყაფლან ორბელიანიც, —მაგრამ ისიც გამიგონია, ვითომ ბარათაანთ ეგ დროშა კრწანისის ბრძოლაში არ ჩაეტანოსო.

ამის თქმას დამბარის გასროლა სჯობდა. კრწანისით დაახნეს ზაალი ორბელიანებმა! სადაც კი შეხედებიან ერთმანეთს, ყველგან კრწანისის ბრძოლას სწრიან პირში.

— რა გაგიხდა ეგ კრწანისი, ვეყო! —მწარედ წამოიძახა ზაალმა. —დავიგვიანეთ და იმიტომ არ ვიყავით. ურჯულო რომ მოდიოდა, ბარათაანი ბირთ-

ვისის ციხეში ჩავეკეტებით და ბრძანებას ვეღუდებოდით, მაგრამ ეს ციხონ-
ბულმა ერეკლემ დროზე ვერ მოგვცა ხმა და უნებურად გაგვანაპიროვებენ კი
დავიჩემებოდათ, კრწანისი და კრწანისიო, ვეჟო, აღარ გაჩუმდებით!

— სამაგიეროდ დიდმა ზაალმა ნიახურის ომში ასაქმლა ბარათაანი. —
ჩაუროთ მეღიტონმა.

— ნიახურაში არც ორბელიანებს შეურცხვენიათ ჩვენი გვარი. — ჩაერია
გრიგოლის მომდევნო ძმა ზაქარია.

— ვეჟო, ასეთი ამბავი ვაგონილა?! — წამოიძახა ზაალმა და წამოდგა. და
ის-იყო ორბელიან-ბარათაანთ შორის გაუთავებელი დავა უნდა ამტყდარიყო,
მაგრამ ამ დროს გრიგოლიც წამოდგა და ზაალის წინაშე კისერი მოიხარა,

— ბიძა-ჩემო, — უთხრა ღიმილით, — ორბელიანები თქვენი სტუმრები ვახ-
ლავართ და ქედს ვიხრით. ხვალ დილით ომში მივდივართ და შუღლის მაგიე-
რად იქნება სჯობდეს გზა დაგვილოკოთ.

ყაულანი და ზაქარიაც მრისხანე ბატონს მიუახლოვდნენ და გაიჭიმნენ:

— დიალ, ძია, ომში მივდივართ და თქვენი გვარიც უნდა ვისახელოთ. —
ღიმილით უთხრა ზაქარიამ.

— ვინ არ იცის, ძია ზაალ. რომ ორბელიანები და ბარათაანი ერთი გვა-
რისანი არიან. მაშ დაგვლოკეთ. ომში მივდივართ.

ელიზბარი მოშორებით კნენინა ტასოს რაღაც სასაცილოს უამბობდა. უცებ
მოსხლტა, ქაბუკებს წინ ჩაუდგა, ზაალს მკერდზე მიაბჯინა თავი, წითელ ჯვარს
ემთხვია და წამოიძახა:

— ძია, მე ერევანში წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ მაინც გეაჯებით მეც
დამილოკოთ გზა, რადგან მუდამ ომში ვარ... ქალებთან და ღვინოსთან.

საერთო სიცილმა ყველას გუნება შეუცვალა. ზაალის სახეზე წყრომისა და
ღიმილის ხაზები აიკლანა. მერე თვითონაც გაიციინა, ელიზბარს ქოჩორი მოუ-
თელა და —

— შე მასხარავ, შენა! — მოუალერსა. — ღვინოზე არაფერს გეტყვი, მაგრამ
ქალებზე ხელი აიღე; თორემ ოდესმე მაგ ნეტებს ჩაგმტვრევენ. თქვენ კი — მი-
უბრუნდა ქაბუკებს — სუფრა რომ გათავდება, გზასაც მაშინ დაგილოკავთ. ამის
კი ახლავ მოგახსენებთ: ყველას სჯერა, რომ თქვენ ყიზილბაშებს ერთხელ კიდევ
ინანებთ კრწანისს და ერთხელ კიდევ ასახელებთ თქვენს თავსაც და საქართვე-
ლოსაც.

— ამინ! ავრე იყოს, ავრე! — დაუდასტურეს სხვებმაც და ეზოსკენ გადაი-
ხედეს, სადაც ექვნიების წკარუნი გაისმა.

ეტლიდან დავითი გადმოხტა და ფერწასული მიაორი ბასილა გადმოი-
ყვანა. მიწაზე ნათრევი იყო, მუნდირი მხარზე გაგლეჯილი ჰქონდა და სახე
ტკივილისგან ეღმიკებოდა. ცხენდაცხენ არსენა და დოსტაქარი ბაჯიასფილი მოჰ-
ყვინენ. ზურამ და ერეკლემ ცხენები ჩამოართვეს. ბასილამ დავითის დახმარება
თუკადრისა და კოჭლობით ავიდა თავის ოთახში. დავითი და ბაჯიასფილიც
შეჰყვინენ, არსენა კი გარშემოხვეულ ბიჭებს ეუბნებოდა:

— ვიცი ყოფილა ეგ ოხერი. დამბაჩას მიმიზნებდა, ჯობნა როგორ ვა-
მიბედევო. ჩვენის ბატონის სტუმარი რომ არ ყოფილიყო, იმ დამბაჩას იმ კურკა
ცხვირზე მივუმტვრევდი.

ზოგმა გაიცინა, კარბინმა კოკლობით გაუარა, მხარზე ხელი დაჰკრა და დაუდასტურა:

— ბიზი ხარ მეტკი, ბიზი! ერთი პუგანოვი უნდათ ^{ქარცხენული} უკვამყოფლებს, მაგათ!

არსენამ შორიახლოს მხარეულ ლაცაბიძეს მოჰკრა თვალი, რომელმაც შეეწერებში ჩაიღიმა, თავი გადაქნია და დადუმების ნიშნად ტუჩებზე ხელი აიფარა. არსენა მიუახლოვდა და—

— რა იმბავია, სევასტი? ჰკითხა დაბალი ხმით.

— არაფერი, შე კაცო, მარა სჯობია განუმდე, თვარა...

— შენ შენი მითხარი. ხომ არ გიცნო?

— ეინა, სუშათაშვილმა? აჰ, მგონი ვერ ვიცნო. მას აქეთ რვა წელიწადი გვეიდა. რამდენჯერ ყოფილა აქინე, მარა ვერ მნახა, აწი კი ზედ შემეფეთა დამაშტერდა, მარა ვერ ვიცნო.

— კიდევაც რომ გიცნონ, ყველი გასული გაქვს. ზაალის ყმად ითვლები და წერეთელი ვეღარ დაგაბრუნებს.

— შე კაცო, მე წერეთლისა კი არ მეშინია, მარა იმერეთის აჯანყებას გამახსენებენ და გამაციმობირებენ. კათალიკოსები და ბატონიშვილები არ დეინდეს და შე დამინდობენ?

— არაფინ დაგაბეზლოს.

— აჰ, დაბეზლებისა არ მეშინია. შენს მეტმა არვიან იცის.

— მაშ არხეინად იყავი. — ინუკეშა არსენამ.

— მე შენი თავისა უფრო მეშინია. ბატონები ხომ დიდი ხანია გემტერებ-ბიან და აწი ეს რუსი ბასილაე გედიკიდე. თურმე აქეთ-იქით შენს აშბაეს კითხულობს.

— ვიცი.

— ალექსანდრე ბატონისშვილის კაცი ჰკონიბარ.

არსენა: ჩაიცინა:

— ვგეც ვიცი.

— მარინესაც რაცხა ცუდი თვალი დაადგა.

მარინეს გახსენებაზე არსენა აიბურძნა, ფერი ეცვალა.

— ახალი ხომ არაფერი მოხდა? — ძლივსლა იბოვა ხმა.

— აფერი, მარა ფრთხილად იყავი.

— კარგად იყავი. — მიუგო არსენამ და მოშორდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, გვერდით ზაალის შეჩიბუხე პატარა ბიჭი გარსია ამოუდგა და ისე აჰყვა, თითქო თავის გზით მიდიოდა, და ისე ჩასჩურჩულა ცას, რომ არსენასთვის ზედაც არ შეუხედია:

— ქალბატონი მარინეს ბარნაველთან ჰგზავნის.

— გიხარდვ, გენაცვალოს არსენა. — ჩაიბუტბუტა არსენამ და მარცხნივ გაუხვია. და გასცდა თუ არა ეზოს, თითქმის გაიქცა.



* * *

— დედილო, სამი ბიჭი წავაქციე, სამი! — მიაძახა მაგდანიელმა და გადაეხეცა.

პაპა აბრაამი ტახტზე იჯდა და სთვლემდა. მისი შესაშვ თაობა ეხლა მას მივიარდა:

— სამი ბიჭი წავაქციე, პაპილო, სამი!

— სამი საბარება შეგეწიოს, შვილო, — ჩააცმაცუნა აბრაამ მღვდელმა და მაჯა-ში ხელი წაავლო, — მაგრამ სამი ბიჭის წაქცევას გირჩევნია მიპასუხო: გეყითხები, რომელნი არიან შვილნი საიდუმლონი?

ზურა აიმრიზა და სხაპასუხებით ჩაუთვალა:

— ნათლის-ღება, მირონის-ცხება, საღმთო ლიტურგია, კურთხევა მღვდლისა, აღსარება, კურთხევა გვირგვინისა და ზეთის კურთხევა.

— ყოჩაღ. ერთიცი მითხარი: მთავარ-ანგელოსობა რასა ნიშნავს? — არ მოეშვა დიდი პაპა.

— უფროსობას ანგელოსთა ზედა, — სიტყვა-სიტყვით დაუბრუნა მასწავლებელს შეგირდმა, — გინა პირველობას, გინა მთავრობას.

— ვის მიეწერება ეგე?

— მიხაილს და გაბრიელს, საღმრთოთა წერილთა შინა ძველისა და ახლისა მსჯულისათა.

— კვალად არიან ვინმე სახელსა ქვეშე დაწესებულნი ანგელოსნი? — ჩააცვიდა აბრაამი.

— პაპილო, მშინან. — შეგებეწა ზურა. შეყოფა.

— მიპასუხე და წადი.

— მაშ კარგი, არიან: რაფაელ, იოელ და ურიელ, შემდგენი ამათნი გამოცხადებულნივე საღმრთოსა წერილსა შინა.

— ეხლა წადი, შვილო. საღამოზე ეთიკას, დიალექტიკას და კატელორიას გკითხავ. დაუენას უთხარი, შეგამზადოს.

— ნათილიდედას ვახლავარ! — შემოალაჯა ამ დროს არსენამ. — გვაკურთხე, მამაო.

— გაგიმარჯოს, არსენ. — მიუგო მაგდანამ და ფეხზე წამოუდგა. მოხუცმა რაღაც წაიღულღულა.

— დიდი ბატონი გიბარებსო, მამაო. — განაგრძო არსენამ. — ეხლავ მობრძანდეს, სუფრა უნდა გვიკურთხოსო.

— ვიცი, შვილო, ვიცი. მივდივარ.

მღვდელმა იცოდა, რადგან კარის მოძღვარი იყო, რომ ზაალი და ხორეშანი უკურთხებელ სუფრაზე არ დასხდებოდნენ, ყოველ დღე სასახლეში სადილობდა და ეხლაც მზად იყო წასასვლელად.

— დაბრძანდი, არსენ. — მიიპატიეთა მაგდანამ.

მაგრამ არსენამ ვერც კი გაიგო. მღვდელი აბრაამი უკვე გადიოდა, ზურა კი აქ იყო და იქნებ აქვე დარჩენილიყო.

— ზურა, — მიუბრუნდა მას ოძელაშვილი, — ერეკლე გიქებს.

— ეს-არის ახლა ვნახე.— მიუგო კაბუკმა.

— ვიცი, მაგრამ მეც ეხლა მითხრა, ზურა გამომიგზავნეო, წადი, ერთად ისამზრეთ ჩვენსას, თორე დღეს შავდანას მგონი არაფერი დასწავლავს და ზურას დედას თვალი ჩაუკრა.

შავდანა მიუხვდა და—

— ჰო, შეილო, წადი,— დაუდასტურა,— თორემ სანამ დაგამზადებ რასმეს, შენ შენი დაგეშართება.

ზურა სიხარულით გაიქცა თავის საუკეთესო შეგობართან, ხოლო შავდანამ არსენას გაუღიმა და მოკლედ ჰკითხა:

— ისე?

— ისევე, ნათლიდედ, ისევე! სამ თვეში ერთხელ მერგება და ცოდო ვიქნები, რომ არ შამერგოს. შენც გეცოდინება, რა ძნელი რამ ყოფილა ეს ტიელი.

— არა, არსენ, მე არაფერიც არ ვიცი, არაფერიც არ გამომიცდია.— თითქო წყენით მიუგო შავდანამ.

არსენამ ენაზე იკენიტა და განაგრძო, თან მოუთმენლად დააღაჯებდა კვადრატულ აგურის რატაკზე:

— მარტო ერთხელ დამდე მადლი და ეხლა ბარემ მარილიც მოაყარე. სამადლობელო ჩემზე იყოს. სააღდგომოდ სამს ისეთ ბატკანს მოგართმევ, რომა... ოღონდ ერთხელ კიდევ ვნახო და გულის დარდი ვუთხრა.

და უცებ ოთახში „გულის დარდმა“ შემოიხედა. მარინე შეკრთა, დირებ შესდგა და იჭაურობას თვალი მოაგლო.

— შემოდი, გოგო, შემოდი.— გაიხსენვა შავდანამ და ხელით შემოიყვანა.

— მამა აბრამს იბარებენ...

— ეს-არის ეხლა წავიდა.

— დათუნასაც...

— ეხლავე მოვა.

— თქვენც წამობრძანდით.

— შე არა შცალია. დაჯექი, დაისვენე.

— ქალბატონმა, ის წამალი ხომ არ დამიმზადეო.

— მალე მოვიტან. აქ მომიცადე.

და შავდანამ კარი გაიხურა.

არსენა კი დედაბრძანს მიჰყუდებოდა და სდუმდა. ათი-ათასი სიტყვა ჰქონდა შერჩეული, მაგრამ ყველა დაეფანტა ერთის გარდა:

— გოგო... გოგონი... ჩემი გოგონა...— ლულულულებდა ამ პატარა ქალის მიერ დაფრთხალი ვაჟაკი, რომელიც დღეს გოლიათმა გუჰატნელმაც კი ვერ შეაშინა.

მარინემ შეხვდა და გაუღიმა. და ამ ღიმილმა ოძელაშვილი ისევე არსენად გადააქცია: მარინეს მკლავები მოჰხვია და მიიზიდა.

ბარათაანთ მოახლემ ორი შავი მნათობი შენათა და თითის წვერებზე აღდა, თითქო საკოცნელად იიწიო.

— გოგონი... ჩემო გოგონავ... ჩემო ყველავე.— ბურტყუნობდა არსენა და ცხარედ ჰკოცნიდა საბედოს. შემდეგ ტახტზე ჩამოჯდა, მარინე გვერდით მოისვა და გადასკრა:— აბა, ხვეწნა გავათავოთ და საქმეს შევიდგეთ.

— შევედგეთ.— თავი დაუკრა მარინემ და ხელეში მუხლებზე ჩაიხლართა.

— ფიქრი ხომ არ გამოიცვალე, გოგონი?

— რად უნდა გამოიშვებო?

— ვინ იცის, ათასი რამ ხდება ამ ქვეყანაზე. მაშ წინანდებურად გინდივარ?

— თუ შენც ისე გინდივარ...

— დღეს ბატონმა ჩემზედ გული გამოიცვალა.

— მერე?

— მერე ისა, რომ დამპირდა, მთხოვე და სათხოვარს შეგისრულებო.

მარინემ შებლი ჩაიკეცა და თავი ჩალუნა.

— რად დამიღონდი, გოგონი?

ქალმა ამოიოხრა, თავი ვაჟნია და ჩუმი ხმით ჩაილაპარაკა:

— არ მასეენებენ.

— ვინა, პატარა ბატონი და ბასილა?

— პატარა ბატონიც, ბასილაც და ყველა ოხერ-ტივლი. ეხლა კუპატნელიც გადაიქცა, მაგრამ ამას რა უშავს. გუშინ ლაპარაკს მოკვარი ყური. პატარა ბატონი ჩემს ქალბატონს ეუბნებოდა: ბასილას რუსეთიდან რამდენიმე კომლი ყმა დაუბარებიაო.

არსენას გაახსენდა გზაზე შენახვედრი რუსი გლეხები, დავითის გადაკრული სიტყვები: „ამ ყქებით ლაშაში ქალები უნდა იყიდოსო“, და ხრინწით ჰკითხა:

— მერე? მერე? რისთვის დაუბარებიაო?

— მარინემ უფრო შეტად დაუწია თავსაც და ხმასაც:

— უნდა გავცვალონ.

მარაბდელი ბიჭი ცეცხლმოდებულივით წამოიჭრა და უნებურად ხანჯალზე იკრა ხელი:

— რაო? რა სიტყვი?— და პასუხი რომ არ მიიღო, ხრილით განიმეორა:—

რა სიტყვი? უნდა გავცვალონ?

— აგრე სიტყვის.— ჩაიკვნესა მოახლემ და ცრემლი მოიწმინდა.

— შენ და ის რუსები?

— მე და... ის რუსები და...

— კიდევ, ვინ? სიტყვი და ვაათავე.

— მე და... ფიქრია.

— ჰა?.. ფიქრია?

ისევ ტახტზე ჩამოჯდა, კედელს დააშტერდა, გაფითრდა, გახვედა და ძელის ძეგლს დაემგვანა. დიდხანს იყუჩეს. მერე არსენამ დინჯი ხმით იკითხა:

— კიდევ რა სიტყვის?

— ბასილა თურმე ამბობს: ან ორივე გამოიცვალეთ, ან ერთ-ერთი, მეორე კი ივანიჩას მიათხოვეთო.



ქართული
ენების ინსტიტუტი

- ივანიჩას? იმ აქლემს?— ჩაიციინა არსენამ.
- ჰო, აქლემს.
- მერე ? მერე?
- პატარა ბატონი მე არ მიმეტებს.
- რა თქმა უნდა. ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. ფიქრის?
- ფიქრისზე სთქვენს, ხუთ კომლად დაეაფასოთო.
- ხუთასიც არ ეყოფათ. მერე?
- ჩემი ქალბატონი არც მე მინდობდა. ვამიწერა.
- აღბათ. შენი ეშინიან.
- მაგისტანას ათას ვიშოვიო.
- მამა უცხონდა!
- დავითი ამბობდა, სჯობია ფიქრია ივანიჩას მივითხოვოთო.
- დედას ვუტირებ, დედასა!— და არსენა ხელახლა წამოიჭრა.
- ვის?— ჰკითხა მარინემ.
- ყველას, ყველას!— და უნებურად ხან ხმალზე ისევამდა ხელს, ხან ხან-

ჯალს აწვალებდა, ხან კიდევ წვილზე დამბაჩას ისინჯავდა, თანაც სდულდა, დარბოდა და ბუზუნებდა:— ყველას მეთქი, ყველას! ჯერ იმას, ვინც გვეყდის, და მერე იმასაც, ვინც გვეყიდულობს. ქათმები ვართ, ცხვრები თუ მარილი?! ვითომ რაო, სული არ გვიდგას? ქრისტიანები არა ვართ? მართლა სხვანაირი სისხლი გვაქვს? რითა გჯობია შენ შენი სწეული ქალბატონი? რაში დავეწვარდები მე ტუტუც ელიზბარს ან შენს ბატონს დავითს? მაშ ჩვენ მირონი არა გეცხებიან?.. მაშ ჩვენი ტანჯვა აღარ გათავდება?

— აღარ გათავდება.— მოულოდნელი ხმა მოისმა ოთახში.

არსენა უცებ შესდგა. გაოცებით შეხედა მაგდანას, რომელსაც კარი შემოეღო, იქვე კედელს მიჰყუდებოდა და გახელებულ ოქელაშვილს უგდებდა ყურს.

— არ გათავდება, სანამ ჩვენე არ გავათავებთ.— დაბალი და ვაჟკაციური ხმით ლაჟმატა ქერივმა და დადუმდა.

— მაგ სიტყვაში გენაკვალე, ნათლიდედ. შენ რომ ვაჟი ყოფილიყავი და შენისთანა ათასი ან ათი-ათასი მყოლოდა... რომ მყოლოდა... დაეანგრევი, დაელეწავი, ნიავს გავატანდი.

ჩემი მამაკაცი ზოსიტაც ავრე ფიცხობდა ხოლმე, მაგრამ...— ისეთივე ხმით მიუგო ქერივმა, თითქო კერს შესწივლაო, და ველარ დაასრულა, რადგან ხმა აღჭკროლდა.

არსენასაც გაეგონა ზოსიტა გურგენიძის მოტაკება და, ეხლაც რომ გაახსენეს, ჰაერში მუშტი შეინჯღრია და წამოიძახა:

— ნეტა სადმე შემხვედრა შენი დამლუპველი აბაშიძე, ნათლიდედ, და გეფიცებ, რომ...

— იუზზე, ბიჭო, იუზზე.— გააწყვეტინა მაგდანამ.— მოსარჩლე არაფერია მყავს. მამა გამეტყუა. პაპა თვითონაც მოსაყელელია, დათუნა კი ბედოვლათია, თორემ ჩემი დამლუპველი ეხლაც აქ არის.

— აქა? მარაბდაში?— გაოცდა არსენა.



— ჰო, მარაშდაშია. აბაშოძის მონაწილეა.

— სთქვი, ვინ არის?

— რა საჭიროა! გვიანდაა თითზე კუნანი.

— მაინც მითხარო, გამაგებინე.

— საჭირო არ არის მეთქი.

არსენა ჩაფიქრდა. მერე შუბლზე იჭრა ხელი და—

— ზაალის სიძე! სუმბათაშვილი!—წამოიძახა. მაგდანა სდუმდა.

— რა თქმა უნდა, სუმბათაშვილია!—განიმეორა არსენამ.—ხოსიტა ახატი იყო და მაგას ჰყავდა დიაკნად. ხეობელია. ვიცი... მივხვდი... გავიგე.

— აგრეთა.—დაუდასტურა მაგდანამ და კედელს მოსწყდა.—კრინტი არსად დასძრათ. რა საჭიროა? რაც იყო—იყო. მორჩა და გათავდა. ჩემი საქმე წასულია, თქვენ კი ახალგაზრდები ხართ და თქვენს თავს უშველეთ.

და ისევ დერეფანში გავიდა.

— მარინე, — მიუბრუნდა არსენა საბედოს, — წამომყვები?

— სად?

— სადაც წავიყვან.

მარინე ორივე ხელით მკლავზე ჩამოეკიდა და თავი დაუქნია:

— წამოგყვები.—გტკიცე ხმით უპასუხა.

— ყველგან?

— ყველგან.

— რომ გაგიჭირდეს?

— თუ ახლოს მეყოლები.

— მაშ მზადა ხარ?

— თუნდაც ზეალვე... ან ეხლავე.

არსენამ კინალამ დაახლო კოცნით და რკინის მკლავებით, მერე უთხრა:

— მაშ წადი და მუდამ მზად იყავი. აბა, მარჯვედ, ყოჩაღად!

თავშალმოპურული მარინე ხშირი ნაბიჯით გაიქცა. მცირე ხნის შემდეგ მაგდანამ იქაურობა დაზვერა და არსენას ანიშნა. ოძელაშვილი გავიდა და ბრახნარევი ლაგებით შინისკენ გასწია.

პაპა მახარა დერეფანში სამუცებაზე გარინდული ზის და ალბათ წარსულ საუკუნეში იხედება. ლეთისაგარი ურმის ლერძს სთლის, ხოლო მელანო არსენასთვის საჩოხესა ჰქსოვს.

«ჰეი, ოძელანო, — მსურს არსენას შორიდანვე დაუყვიროს, — თქვენს შვილს ფიქრის და ჩემს საბედოს მარინეს გაყიდვას ან გაცელოს უპირებენ, თქვენ კი არხეინად შრომობთ და იმ დროს ელოდებით, როცა გვიანლა იქნება. ხელი დაეღვთ ნაჯახებს, ორთითებს, წალდებს, ცელებსა და მარგილებს!..»

ცხადია, ოძელაშვილებს ზივათისა ჯერ არაფერი ეცოდინებათ. ეხლავე უთხრას არსენამ? ააშუთოს? აატროს? სამნივე ზაალთან გაიქცევიან, მუხლებზე მოეხვევიან და ჩექმებს დაუკოცნიან, მაგრამ მათს ცრემლს მარტო მიწა მიიღებს და მათს ლაღადაც მხოლოდ მიწა გაიგებს. ზაალი კი ისეთივე გულქვა დარჩება, როგორც აქამდის იყო.

ვის უნდა გაუყიდოს შვილი და რძალი მარაბდის ბატონმა? აქვე ამ მახარას, ასი წლის მხცოვანს, ვინც სწორედ ნახევარ საუკუნეს ეხატებოდა მეწინავე დროშას. ტანზე ალაგი ალარ შერბა დაუჭრელი, დაუჭრელი დაუხსნელი. მარტო თავებზე შეიდი ნამაზილევი ამწნევი. ავერსნი მკაცრად კანების მყვრდით და კისრით—დაიცვა მახარამ ბარათაანთ საში თაობა: ყმის მიერ ხანჯლით აქუნწული დიდი ზაალი, უნდალი და მამასავით მოსყიდული მისი შვილი დაფითიც და ებლანდელი ზაალიც—ანხლი, უმადური, კერპი, ვიღაც მასილა მაიორის შორჩილი მონა და ყმებისთვის ასპიტი ბატონი.

ათჯერ დასერა მახარამ სომხითი და აბალციხე, ჯავახეთი და ქარ-ბელაქანი, არეზი და მტკვრის შესართავი, შექი და შამშადილი, განჯა და ყარაბაღი. პირისპირ უნახავს მახარას „მხეცი ცოფოვანი“ ავღანელი ახატ-ხანი და ერეგელი ბაშან-ხანი, ორგული ჰაჯი ჩალაბი და განჯის ბეგლარბეგ შაფერდი, ლეკთა ბელადი კობტა, კაკი-ენისელის ბატონი ომარი და ბელადი უთვალავი: თანა ჯავანშირელი, ქაზუმ ყარადაღელი, ზუბეიდულა აფარელი, შაფერდი განჯელი, ანზორ ხუნზახელი და კიდევ ასი თუ ათასი გმირი და ავაზაკი—ლეკი, ყოზღღაში, თათარი, სპარსელი, ავღანელი, ქურთი და ოსმალი.

ვის მოსთვლის, რა გადახედია, ვის დასტაკებია, რამდენი დამარცხება და გამარჯვება უნახავს ამ უკბილო ლომს, რომელსაც ეხლა ლეკებს უჭიდიან! აბა როგორ უთხრას არსენამ ამ ცოცხალ მყინვარს: „შაპა-ჩემო, ალგეთი ადიდებულა, სჯობია წახვიდე და თავი დაიხრჩო, რადგან ფუქად ჩაგიარა ამავე ალგეთის ოდენასისხლმა და ოფლმა“.

ვერც ღვთისაგარს იტყვის ამ მღულარე საქმეს, ვერც მელანოს, ვერავის, ჯერჯერობით ვერავის. წელან ნაადრევად აფორიაქდა. ჯერ მშვიდობიან გზებს გამოსცდის, ყველაფერს იღონებს და, თუ არაფერი გამოვიდა, მხოლოდ შემდეგ იაგლიჯავს აღვირს და — „მაშინ მიფრთხილდით, ბატონებო!“

სათიგის ქვეშ ლურჯა დაინახა და იქით წავიდა. მიწიდან ყურმა ამოხტა და გაგიჟდა: ჰყუყუეს, ჰტის, ებობღება, ჰტენს და ლოკავს, მაგრამ უგუნებობას ატყობს, მისი სიხარულიც თანდათან კლებულობს და თვალეში რალაც დარდი და სევდა უსახლდება.

ლურჯაც მზიარულად ქიხინებს: თოკს სქიმავეს, მოიწვეს, თავს უკრავს და წინა ტარობით მიწას ურახუნებს, მაგრამ უცებ ხევდება და პატრონს გაოცებით აშტერდება. არსენა მივიდა და ბაგავე ჩამოჯდა. და რადგან ცხენსა და ძალს არ მოუალერსა. მისმა მეგობრებმა თვითონვე დაასუნეს, ორივემ თავი მუხლებზე დაუდეს და ცხენურ-ძალური თვალეში მოშავო თვალეში ჩაუყარეს.

მაშინ ოქელაშვილმა ერთი მკლავი ლურჯას მოხვია თავზე, მეორე—ყურმას შემოაქლია და, გულაჩვილებულმა, ჩურჩულით შესჩივლა:

— ეეჰ, მეგობრებო, რომ იცოდეთ, რა ამბები ხდება ამ ქვეყანაზე! რა ბედენაა, რომ ჩვენ, გლეხებს სიტყვის თქმა შეგვიძლიან! საშავიროდ თქვენზე მეტად უმედურებიცა ვართ. შენ, ძალს, ლეკებს ან ძუკნას წაგართმევენ-ბოლ-მე. მე რაო! მესამე დღეს ალარც კი გახსოვს, გყავდა ვინმე თუ არა. შენ კიდევ, ჩემო ლურჯავ, კვიცს გაგიზრდიან და გაგიყიდიან. ქოთაკი ორიოდ დღეს

მინც იღარდებს ხოლმე, ზოგჯერ მეტსაც, შენმა ჯიშმა კი არც დაიბნო/იცი, არც ბოლშა, არც ჩვენისთანა სიყიარული. დედ-მამის გარდა ვერც ვინმე შეყვარს ამ ქვეყანაზედ — თქვია და ბარინე, და ორთავ გაყიდვას უფრთხილდება მითხარით, დამარიგეთ, რა ვუყო და რა გზას დავადგე? დაეხოცო? დაეანგრიო? დავლუწო? ჯერ შენა სთქვი, ყურშავ, რა უყო მითქი ბატონებს? აბა სთქვი, მანინშენ, გამაგებინე.

ყურშამ დაიკვნესა და ხელზედ ჩამოკვივნილი ცრემლები აულოკა.

— ვითომ რა გინდა მითხრა, ჰო თუ არა? — ჩასჩურჩულა არსენამ.

ძალმა ერთხელ კიდევ ამოუშვა წამბუთნი და მეორე ხელზედაც ლავარდნი ლი კურცხალი ალოკა.

— გავიგე, გენაცვალოს ზაალიც და ბასილაც, გავიგე... მიგიხვდი... ამ ქვეყანად თურმე ყველაფერი ძალით კეთდება და მეც მაგ გზას დავადგები. ეს ცრემლი ნუ გიკვირს... თავის-თავად წამოვიდა, თორე საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისე დაიჭუბებს არსენა, რომ მგონი ჭალაქშიც კი გაიგონონ. იქნება შეეცოდო, იქნება შემომავლდეს ვინმე, მაგრამ, ლმერთია მოწმე, ჩემი ბრალი ნუ იქნება. შენ რაღას მეტყვი, ლურჯავ?

ცხენმა ჯერ სამჯერ მისცა სალამი, თითქოს აზრი მოუწონაო, მერე ლოკაზე ყბა გაუბახუნა და დაბალი ხმით დაიფრუტუნა.

— შენიც გავიგე, ლურჯავ. მიმიხვდი და მიგიხვდი. მაშ ეს თათბირი ჯერ ჩვენში დარჩეს. წაეალ და ზაალის გულის-ნადებსაც გავიგებ. ვინ იცის, იქნება დღეს მოჩუღდეს, იქნება ლმერთს შეხედოს და კაცური პასუხი მომცეს. მაგრამ თუ დღესაც ლმერთი გაუწყრება და დაიძახებს: „ვეყო, ასეთი ამბავი გაგონილა?!“ — მაშინვე თვითონვე ზღოს თავისი სულიც და ჩემი ცოდვაც. მაშინ თქვენი თავიც დამკირდება და, ვიცი, არ მილაღატებთ და გამიტანთ. მართალს ვამბობ თუ არა, ყურშავ?

ძალმა ტორები მუხლებზე დაუწყო და წითელი ენა შუბლზე გაჰკრა.

— მაშ შენი იმედიც შექნება, ლურჯავ.

ცხენმა ისე გაჰკრა თავი, რომ ყბა ატკინა, და მზიარულად დაიჭიხინა.

— მაშ დღეს ზედმეტ ულუფას მოგართმევთ, შეგობრებო. შენ — ერთი ლიტრა ჭერს, შენ კი — მელიას ხორცს, რომელიც წელან ლურჯამ მაშოვნინა. მაშ კარგად იყავით და დანაპირვეი არ დაივიწყეთ.

დედ-მამას მოეხვია, გაეჭმრა, გაიცინა, გააცინა, ყურშას და ლურჯას აქამა და ნამცეკობაზე წამოვიდა. გზაში დაბლვერილ კუჭატენებს შეხვდა და მიიძახა:

— გამარჯვება, გიორგი!

— გაკიპარჯოს. — ჩაბუტყუნა სეფისკვერამემ.

— მარჯვედ იყავი და ნუ იბღვირები. მომივიდა და გაჯობე, თორემ მე შენი მჯობი არა ვარ.

— მეც ვიცი, რომ არა ხარ.

— მაშ ნურც დამემღურები. — და მეცხვარილი სტვენით გააღაჯა.

(შემდეგი იქნება)

დაწიონა

I

ამხანაგი ალექსი, პირქვეში, გლარჯის ბოლში გახვეული, ზის რაფაზე, თითებს მინებზე უკაქუნებს და გაპყურებს ფანჯარაში.

ფანჯრიდან მოსჩანს მთაწმიდის ამწვანებული ფერდობები და მამადავითის თეთრი ეკლესია.

მწუხრ შებარებული ქუჩები ელექტროს ნათურებით აელვარდნენ. მთაწმიდაზე ფუნჯულორი, აცეცხლდა, და წითელმა, ხუთ-კუთხოვანმა ფარსკვლავმა ზეცისაკენ აიღიმილა.

ალექსის მკერდი ყოველთვის გაზაფხულის სუნით აივსებოდა, როდესაც ის ხუთ-კუთხოვან ვარსკვლავს დაინახავდა; მაშინ მას მოაგონდებოდა ძველი დრო, უფრო სავსე, უფრო სრული, უფრო ლამაზი, ხშირად შვიერი, მწყურვალი, ტიტველი, უძილო და სისხლიანი, მაგრამ მაინც უფრო საყვარელი, ვინემ ახლანდელი.

— მაშინ საკუთარ სიმღერებს ეღეროდი, ახლა კი სხვისი სიტყვების გადამღერება სიციცხლეს მიზნამავს.

— რა სთქვი ალექსი? — ესმის ალექსის, მეორე ოთახიდან.

ალექსი შერტა, მან არ იცოდა რა სთქვა.

— ვინ გიზნამავს სიციცხლეს? — ისევ ისე ისმის მეორე ოთახიდან.

— და იგრძნო ალექსიმ, თითქოს მეორე ოთახიდან შემოცოცდა რაღაცა ლორწოვანი და ბლატუკა, ხელები მოხვია.

ალექსი სდუმს. სურს დაიყვიროს, მაგრამ მაინც სდუმს.

— ჰო... ო... მმ... მ... — მოქნარებით გამოდის მეორე ოთახიდან ალექსის ცოლი, პატარა, შავი, წითელ ტუჩებიანი, თმებშეკრეპილი, და თითქოს შავი მარმარიდან გამოკვეთილი ქალი. კატის ნაბიჯებით, ფრთხილად, მსუბუქად, მისცურავს ალექსისაკენ, ხელებს შლის და ეხუტება მას.

ალექსის გრძელი, რბილი თმები აქვს. ქალის ხელები დასცურავენ თმებში, ვარცხნიან მათ, დაშლიან, შემდეგ ისევ ვარცხნიან, ალექსის ესმის ქალის მკერდ ქვეშ გამარჯვების გუგუნვი, სურს ადგეს, დაიყვიროს, მაგრამ რაღაცასი ეშინია, თითქოს ბავშვი უწევს კალთაში, სძინავს ამ ბავშს და არ სურს გააღვიძოს.

— გაიგე, არ შეიძლება, ნატო! ორჯერ ავიცილე, მესამეჯერ არ შეიძლება, მე თუ შენი გულისათვის ორჯერ უარი განვაცხადე, მესამედ რა გიჭირს გამიწიო ანგარიში?

— ჩემო ალექსი, მე შენი პატარა არა ვარ? მე ცოდო არა ვარ? რა მინდა მე დაქარგულ პროვინციაში?

და ნატას თვალები ცრემლებით აწვიმდა.— აბა სად წავიქნები? კარადა ვაყვილოთ? სხვის ვაჩქოთ?

კარადის გაგონებაზე ალექსის გაიერგოლა. ოხ, ეგ შეტყენებული კარადა! ამან გააფუჭა მისი ცხოვრება.

— რაო? კარადამ ცხოვრება გამიდუქა?

ეგ ვინა სთქვა? ვინ გაბედა ამისი თქმა? არა, გაიმეოროს მან, ვინც ეგა სთქვა. ჯერ ალექსის არავის წინაშე მოუხრია ქედი და უსულო კარადის წინაშე მოიხრის ქედსა? ხა... ხა... რა სისაცილოა...

— წინად რაც იყო, იყო— ეუბნება პატარა ქალი ალექსის.— გეყოფა რაც იხეტიალე. აბა შეხედე შენს ამხანაგებს, ისინიც პარტიის წევრები არ არიან? ხომ სცხოვრობენ ტფილისში, რატომ შენ უნდა გიკრან თავი სადღაც მიყრუებულ სოფელში. აბა, წავიდენ თვითონ.

— შენ არა გესმის რა. — და ალექსიმ ხელი ჩაიჭნია.

— არა მესმის, მესმის, — და კაპრიზით აიგესო ქალის თვალები. — როგორ არ მესმის.

— დამანებე თავი.

— ამას შეხედეთ! გინდა ვიტყვო? ვიტყვო?

— იტირე, შენმა თვალებმა იკითხოს, მე რა?

ალექსი ჩამოხტა რაფიდან და უაზროდ კარებთან გაჩერდა.

— არც ვიტყვებ და არც ქვას ვახლი თავსა, მე მინდა დაწყნარებული ცხოვრება. მე მიყვარს ჩემი ნივთები, ჩემი კარადა, ჩემი სავარძელი, ჩემი სურათები. მაშ, რა გგონია შენა. ბევრსა აქვს ასეთი კარადა? შეხედე!

პატარა ქალის ხელები კარადას მიეაღერსენ.

ალექსიმ შერამოდენიშეჯერ შეხედა კარადას. ძველებური, ორი სართულიანი, წითელი ხისაგან ნაკეთი, ფართო, ლამაზი. ჩუქურთმებიანი, ლურჯ მინებიანი კარადა დაჭკრივებული დედოფალივით დარბაისლურად იდგა კუთხეში. უცნაურის სილამაზით და დიდებით გამოიყურებოდა კარადა, თითქოს გრძობდა საკუთარ სილამაზეს და იმ ძალას, რომლითაც ლამაზი და ძვირფასი ნივთი იპყრობს ადამიანს, ნების იარაღს აყრის მას და გახდის მონა-მორჩილად.

ალექსის სძულდა ეს კარადა, სძულდა მთელი თავისი ბუნების სისასტიკით, და ხშირად, ცოლის დაუნახავად, მუშტებს მოუღერებდა მას.

კარადა კი იდგა დინჯად, ამაყად, თავადურად.

ჰო, თავადურად.

წინად ის ეკუთვნოდა თავადს, წინად კარადის ლამაზსა და ჩუქურთმიანს კარებს ენებინა მადლენა მაჩაბლის ნატაფი თითები ალებდნენ, შემდეგ, როცა რევოლუციამ მაჩაბლის ბრწყინვალე თითები ნახშირით გამურა, ეს კარადა საკომისიო მაღაზიაში გადაბარგდა. საკომისიო მაღაზიაში ბევრი თვალი რჩებოდა თავადის კარადაზე, მანამ, სანამ ის ალექსის ოთახში გადავიდოდა.

— თუ ის კარადა არ ვიყიდე თავი არ მინდა ცოცხალი.

— უნდა ერთ დღეს ცოლმა ალექსის. — თავს გაეყიდა და იმ კარადას ეყიდა.

პატარა ქალმა კარადა დიდი ტანჯვის საკითხად აქცოფილად დაიწყო. ალექსიმ წინად არ იცოდა და ეხლა გაიგო, რომ ყველას, ვინც კი პატარას სცემს თავის საკუთარ ცოლს, აქვს ბუნებრივი კარადა; რომ ყოველი თავმოყვარე ადამიანი უნდა სკდილობდეს შეიძინოს კარადა; რომ ადამიანის კულტურა იმ კარადით განიზომება, რომელიც მის ოთახში დგას; რომ არსად პარტიულ წესდებებში არა სწერია, კომუნისტმა ლაშაში კარადა არ შეიძინოსო.

ბოლოს, ალექსი დაუვა ცოლის ნებას, იყიდა კარადა, და ექვსი თვის განმავლობაში იმ კარადის სიმძიმე კისერზე აწვა. როგორც ენა უქანასკნელი ნაწილიც გადაიხადა და თავისუფლად ამოისუნთქა.

შაგრამ ამოისუნთქა კი?

კარადა შემოიტრა მის ცხოვრებაში, როგორც მოულოდნელი სტუმარი, დაბინავდა მის სახლში, თითქოს საცხოვრებელი ბინა შეემპიროფოსო, და გახდა ოჯახის წევრი, სასტიკი, დაუნდობელი, გულქვა.

აი, ახლაც, ნატას თითები კარადას ეალერსებიან, ისე, როგორც ამას წინად ალექსის თმებს ეალერსებოდნენ.

— არა, ეგ მეტის მეტია, წაველ სადმე. — და ალექსიმ კარები გააღო.

— სად მიხვალ?

— აბა რა ვიცი.

II

ქუჩაზე ალექსიმ თავისუფლად ამოისუნთქა, შაგრამ ჩქარა შავი ფიქრები ისევ შემოებნივნენ კოლოებივით. სწორედ კოლოებივით და დაუწყეს კბენა. აი როგორ:

— გახსოვს, ამხანაგო ალექსი, რუსეთის სამოქალაქო ომი? როგორის თავდაფიწყებით იბრძოდი, შენთვის დღე არ იყო და ღამე, დასვენება და სიმშვიდე, სიბზო და მადრობა, შაგრამ თავს მაინც ბედნიერად გრძნობდი.

— ახლა ღამე გძინავს, თბილ ოთახში ცხოვრობ და მადლარიცა ხარ, შაგრამ...

— შაგრამ?

— მაინც მაშინდელი დრო გირჩენია.

— გახსოვს, ამხანაგო ალექსი, ერთბელ ყინულზე გეძინათ მთელ რაზმს, და რომ არ გაკვივებულყავით ერთმანეთს სუნთქვითა ათბობდით.

ალექსის სიხარულით აევსო მკერდი, გაუბწყინდნენ თვალები, შაგრამ კოლოებმა ისევ დაუწყეს კბენა:

— გახსოვს, ამხანაგო ალექსი, თეთრების დასაზვერად რომ წადი და მათხოვრის ტანისამოსში შედი სოფელში, ხელი მოიგრიხე, ფეხი მოიკოკლე და თხოულობდი:

— ქრისტეს გულისათვის, გაიღეთ მოწყალება.

— შენ კი დაიღუბე, კაცო! როგორ არტისტულად თხოულობდი!



მარკინეშვილი

ესმის ალექსის.
— ვინა?
და ალექსიმ დაინახა, რომ მას ერთი ხელი მოუგრებია. მარკინეშვილი-ბია, გელათის გლახასავით დამღვარა და მეორე ხელი სამათხოვროდ გაუწვდენია. ორთავემ გადაიხარხარა.

— შენ სცენაზე უნდა თამაშობდე, ზუჩი!— ეუბნება ალექსის მეგობარი. არალეგალურ დროის სახელის მოგონებამ, ალექსი გაათბო და თვითონაც ძველი მეტსახელით მიმართა ამხანაგს:

— ეხ, ფარილა, სათამაშო კი არა, სატირალი მჭირს.

ზუჩი და ფარილა გაყენენ ქუჩას.

ფარილა მართლაც აშართლებდა თავის ზედმეტს სახელს, შავი იყო, თითქოს შურით გაუმტრითო. მაგრამ თვალები ჰქონდა დიდი, სიცოცხლით სავსე და სხივიანი. ალექსის კი ზუჩი იმიტომ უწოდეს, რომ რაც უნდა ეწვალეზინა ცხოვრებას, რაც უნდა მდგომარეობაში ყოფილიყო, ზუჩივით იცავდა თავსაც და ამხანაგებსაც, და იყო სულით გამძლე, მხნე, უდრეკი. ქედის მოხრა ალექსიმ არ იცოდა.

— როგორ, რა დაგემართა? შენგან მიკვირს, განა ძველი ზუჩი არა ხარ?

— ეხ ფარილ, ზუჩი ვიყავი და ახლა კი დავრბილდი. დაბლა დავეშვი.

— საერთო მოუღუნაა,— ამოიხზრა ფარილმა.

— არა, შენ ვერ მიმიხვდი. მე დამატყვევეს ნივთებმა.

— არ მესმის.

— იცი ფარილ, მე გუშინ წინადადება მივიღე რაიკოპიდან პრაოვინციაში წაესულიყავი სამუშაოდ...

— მესამეთაა მეონი.

— მესამეთაა, ორჯერ მაპატიეს, ორჯერ შევეძელი დავრჩენილიყავი ტფილისში. პირველად ხათრი დამღვეს, მეორედ უფრო მკაცრად მომკეს წინადადება, მაგრამ ცოლის ავითმყოფობამ დამტოვა, ახლა კი, ახლა...

— ახლა რა გამძიმებს?

— კარადა, ფარილ კარადა.

— არ მესმის.

— როგორ არ გესმის ფარილ! ნატომ შარშან ბუფეტის კარადა იყიდა, შეუყვარდა ადამიანივით, მართლაც ლამაზია ის შეტყვენებული, და ვერ ელვება მას. ამბობს: ჩვენ რომ პრაოვინციაში წავიდეთ კარადას რა ვუყოთო, ვინმეს რომ დავუტოვოთ ხომ გაგვიფუჭებსო, და ასე. იცი, ფარილ, მას შემდეგ, რაც იმ წყევულმა კარადამ ფეხი შემოღვა ჩემს ოთახში...

— შენ ისე ამბობ. თითქოს კარადა ცოცხალი არსება იყოს.

— ცოცხალია, მა რაა. მტერი, სისხლზორციანი მტერი, ისე ვერ გასტანჯავს ადამიანს, როგორც მე გამტანჯა იმ კარადამ. მას შემდეგ, რაც ის შემოვიდა ჩემს ოთახში, მე დამერღვა სულიერი სიმშვიდე, მე ვგრძნობ მის სიძიმეს, თითქოს ზურგივით ვატარებ იმ შეტყვენებულსა. წინად, როცა არა მქონდა რა, გესმის, როცა ნივთები, არა მქონდა მე თავს თავისუფლად ვგრძნო-

ბდი, სიცილით ვიღვიძებდი და ოთახიდან გასვლისა არ შეშინოდა, წინად ჩემთვის სულ ერთი იყო სად ვიმუშავებდი, ფოთსა და ბათუმს შორის ვიყავი და ტფილისს. არ ვარჩევდი, რადგან არაფერი მიმძიმებდა, შეგკარგავდი, ჩემს მასალას და ვიყავი მზად. ერთხელ, ჭურდი შემოსულა თურმე ოთახში, არა უნახავს რა, და მამაძაღვს, მართი დაუტოვებია. აი, გინგერო. მე ამ მართს ვინახავ.

და ფარღმა წაიკითხა: „კომუნისტებზე არასოდეს ვუყოფილვარ დიდი წარმოდგენის; მაგრამ თქვენისთანა დიდს კომუნისტს ვასაქურდავი რამე რომ არ ექნებოდა, ამას არ ვიუიჭრებდი. დიდი უსინდისობაა. ერთი ღამე რომ დამაქარგეინეთ თქვენს ოთახში შესასვლელად“.

გაეკინათ გულიანად.

— აი, მამახაც ბევრი ვეკინე. ესლა კი კარებს გასალებითაც ვკეტავ და გარეთ ზოქლომიცა მაქვს: მეშინიან ნიეთებისა. მეშინიან. ისინი შემოიპრინენ ჩემს ცხოვრებაში და მე ვებრძვი მათ.

კოლოებმა ისევ უკბინეს ალექსის:

— არც ებრძვი და არცა რა. შენ უკვე ნიეთების შონა ხარ.

— ძველი ზუჩი მუშაობას გაურბის.

— ზუჩი მესაკუთრეა, მესაკუთრე.

— ზუჩი ქაობში ჩაეფლო. აუ, ზუჩი. ზუჩი!

— არაა მართალი! ზუჩი, ზუჩია.

— ვის უყვარი, კაცო!—და ფარიღმა მხარზე ხელი დაადო.

ზუჩი გამოერკვა. ჰო, ეს კოლოებს დაუყვირა ზუჩიმ, კოლოებსა, კბენა და დაეკინვა რომ დაუწყეს.

— ნიეთების სიმძიმემ ბევრს მოახრეინა ქელი.—ამბობს ფარიღ.—ნიეთების ბორკილები ყველა ბორკილებზე მძიმეა. ის ბორკილია მძიმე, რომელსაც საკუთარი ხელით გაიჭედავ. ვინც ბორკილებს ამსხვრევს, მან ბორკილი არ უნდა სკედლოს.

— მართალია ფარიღ!

— გახსოვს, ზუჩი, შენ სამოქალაქო ომში კავალერიაში იყავი. ახლა შენ...

ფარიღმა არ დაამთავრა, მაგრამ ზუჩიმ იგრძნო, რომ შეპარვია ქონი. ეს პირველად იგრძნო ზუჩიმ. ჰო, გრძნობდა ზუჩი, რომ ადრინდელი სიმსუბუქით ვერ დადიოდა, მაგრამ ამას საერთოდ დალლილობითა ხსნიდა. ზუჩიმ ისიც შენიშნა, მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ მის თმებს საპკურის სუნი უდის. შეუმჩნევლად, ფეხაკრეფით, კაცის ნაბიჯებით შემოიპარა ეს სუნი ზუჩის ცხოვრებაში. ვერ ცოლსა ჰქონდა ისა, შემდეგ, ნელ-ნელა, ცოტ-ცოტათი მასაც გადაედლო, და:

— ახ, როგორ უარს,— წამოიძახა ალექსიმ.

— ალექსი, მე ხვალ მივდივარ სოფელს სამუშაოდ. მე კარადა არ მიძიმებს, და ვაიცი ფარიღმა.—საბრალოა არწივი თუ ქაობში ჩაიღრჩო.

არასოდეს!—და ალექსი ვაიმართა წელში.—ხვალ მივდივარ რაიკომში.

მივდივარ სადაც გამგზავნიან.

— წახვალ კი?

— წავეალ.

III



უკვე შეიღამე გადასული იყო, როდესაც ალექსი დაბრუნდა მსახურში. ყველგან ჩაქრობილი იყო სინათლე. არ ეგონა ალექსის, თუ ასეთ გზაზე დასრულდა ამბიანგთან შეყვამ ბევრი ძველი მოგონება გამოიწვია, და გულწრფელ საუბარში დროც ისე გაფრინდა, როგორც გალიიდან გამოშვებული ჩიტი.

ალექსიმ საწოლი ოთახის კარები შეაღო და ელექტროს ნათურა აანთო. სხივებმა გაავსეს ოთახი.

ნატამ შეათამაშა წარბები და გადაბრუნდა.

ალექსი დაეყრდნო საწოლის ხეტარს და დაუწყო ქალს ცქერა.

როგორ მოხდა მათი შეყრა?

როგორ მოხდა მათი შეერთება?

როგორ მიდიან ისინი ცხოვრების გზაზე?

სანამდე ივლიან ერთად?

პო. სულ უბრალოდ მოხდა მათი შეყრა. მაშინ ალექსი სოხუმში მუშაობდა. ხშირად, თავისუფალ დროს, ზღვის პირად დაჯდებოდა და ყურს უგდებდა ზღვის ტალღების დაუსრულებელ შხუილს, უყვარდა მეთოლიების თამაში, თვალს არ მოაშორებდა გემს, სანამ იგი არ ჩაიძირებოდა ლურჯსა და წარბაც სივრცეში.

სოხუმში, პლიაეზე, მრავალი მომანავე ეხუტებოდა ტალღებსა და თმებოდა მზის სხივებზე. შორიდან, პლიაეზე მომანავენი, შორეულ ზღაპარს აგონებდნენ ალექსის: იმ დროს, როცა, ბებიას სიტყვებით, ადამიანები უფრო გრანობდნენ ერთმანეთსა და უფრო უყვარდათ ერთმანეთი.

ალექსიმ არ იცოდა რატომ აგონებოდა ეს ზღაპარი, არ იცოდა მანამ, სანამ ერთხელ თვალი მოჰკრა ერთს პატარა ქალს. ქალი პლიაეზე ვარჯიშობდა; პატარა ტანი ჰქონდა, მაგრამ ყოველი კუნთი თითქოს მოქანდაკის გამოკვეთილიყო. ვარჯიშობის დროს ტანს ისე იმორჩილებდა, როგორც ქამანა ჭიანჭურის სიმებს.

ალექსი მიხვდა, რომ ეს პატარა ქალი შორის მანძილიდან, ფრთხილის, ნელის ნაბიჯებით მოდის მისკენ. და იგრძნო მან, რომ ბებიას შორეული ზღაპარი განმეორდა, რომ ადამიანებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, რომ ორთა გზა, მანამდე ძებნაში უღეველი, საზღვარს მიეზღინა. ორმა იგრძნო, რომ ისინი ნახევრები არიან. ბავშვობის ზღაპარმა სიყრმე დაატვა.

შემდეგ ისინი შეერთდნენ. ეს სულ უბრალოდ მოხდა.

ერთხელ, როცა მთვარე ზღვაში ბანაობდა, როცა ტალღები უსრულ ზღაპარს მოუთხოვრებდნენ ნაპირებს, როცა ბაღში ევკალიპტები და პალმები, კვიპაროსები და მაგნოლია, ნაძვი და სოჭი სიოს ესაუბრებოდნენ, პატარა ქალმა და ზუჩი—ალექსიმ დიდი სიხარული მოსძებნეს გულში, შემდეგ ამ სიხარულმა ფრთები ფართოდ გაშალა და:

— ეცხოვროთ ერთად, — უთხრა ალექსიმ ნატას.

— სამუდამოდ?

— სამუდამო რა არის?

— აბა ისე არ მინდა.

— კარგი. სამუდამოდ. — და ალექსის გაეცინა.

ქალს გაეხარდა. ვახოვება ქალისთვის უდიდესი სიხარულია და მას შემდეგ უკვე ხუთი წელია, რაც ერთად მიდიან ისინი ცხოვრების გზაზე. ნატო ბერწი აღმოჩნდა, ბევრი რამ ახირებული თვისებებით აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა:

— მე ხეტიალი არ მიყვარს. მე საკუთარი ბინა, მუდრო ბანა მინდა.

შემდეგ:

— თუ ყველა ტფილისში სცხოვრობს, რაღა შენ უნდა იცხოვრო პროვინციაში? სხვაზე უარესი ხარ თუ?

სხვაზე ნაკლები მიგიძღვის თუ?

შემდეგ, — ტფილისში:

— მე ბინაში სიკოხტავე და შორთულობა მინდა. აბა რასა გავს ჩვენი ბინა? ერთი უბრალო ტახტი, სამი სკამი და ერთი მაგიდა. არა, ამხანაგო, ოჯახია საჭირო, ოჯახი, — და ნატომ ჩამოსთვალა: — ნიკელის საწოლი ორი, ვენის სავარძლები, სარკე, ბუფეტის კარადა.

— შენი აზრით ოჯახი ცოლისა, საწოლისა და კარადისაგან შესდგება? — შეეკითხა ალექსი ნატოს.

— ჩემის აზრით, ვისაც ცოლი უნდა, საწოლიცა და კარადაც უნდა ჰქონდეს.

ეს იყო დაწყება. ერთგვარი დახვეწვა. ჩქარა ნატო შეტყევაზე გადავიდა:

— მაჩაბლიანთ ბუფეტის კარადა იყიდება საკომისიო მალაზიაში. თუ არ იყიდე, თავს ჩამოვიბრწობ, აი, ეგერ —

და ნატამ ჯადის კავზე უჩვენა.

მაჩაბლიანთ ბუფეტის კარადა შემობრძანდა ალექსისას.

ნატო ცას ეწეოდა, ალექსი მიწას დაყურებდა.

კარადამ დაიჭირა დიდი ადგილი ოთახში. ეს იყო დიდი, განიერი, ორ სართულიანი, სარკიანი, ალაგ-ალაგ მოოქრული, ათმა მუშამ ძლიერს შემოიტანა იგი ოთახში. და მაშინ, როცა კარადა დააბინავეს, ალექსიმ იგრძნო, თითქოს ვილაკამ უხილავი ხელით უხილავი ბორკილი დაადო.

და მათ ახალ ცხოვრებაშიც კარადამ დაიჭირა დიდი ადგილი.

იგი იყო თავადურად ზვიადი, მედიდური, ამაყი:

— და თავადურადვე ცაჩიელი. — ეტყოდა ალექსი ნატოს.

— შიგ არა გაქვს რა ჩასაწყობი.

— ცოტ-ცოტათი შევიძენთ, ეივდიოთ, — თქვა ნატომ.

და როდესაც ცოტ-ცოტათი შეძენილმა კარადის თაროები დაამძიმა, ალექსიმ უფრო მეტი სიძულელი იგრძნო ამ კარადისა.

აი, გუშინ, რაიკომიდან რომ დაბრუნდა, ცოლს უთხრა: პროვინციაში უნდა წავიდეთ, ცოლმა კარადაზე მიუთითა და:

— ამას რა უყოთ? ეგ ვის დაუტოვოთ?

ვის, რა სიხარულით დაუმტკრევედა ცხვირ-პირს ეგ კარადა რომ სულიერი ყოფილიყო. ერთი კია, რომ როცა ნატო გარედ გავიდა, ალექსიმ მაინც მაგ-

რად დაარტყა მუშტი კედელს. შიგ, კარადაში რაღაცამ ტაკუნო მოიყო, ალექსიმ გაალო კარა და ნახა: ერთი გვერდი ჩაზნექილია.

ჰოო, როგორ გავხარდა ალექსის. ნატოს ფეხის ხმა როგორც კი გასუსულ ჩაშტერევედა გვერდებს იმ შეჩვენებულსა, და ასე გადაიზა გფშინ კარადა.

მაგრამ ვადარჩება კი ახლა? ახლა ვერ ვადარჩება კარადა. კმარა რაც მან მოუშხამა სიკოცხლე, კმარა რაც იბატონა კარადამ ზურისე. ხშირად უგრძენია ალექსის, თითქოს სურდა ფრთების გაშლა, განავარდება, მაგრამ ფეხებში რაღაცა მძიმე და აუტანელი დაფიქრებოდა. და ხედავდა, რომ ეგ მძიმე და აუტანელი იყო კარადა.

— არა, შენ ვერ შემბორკავ მე,—და ალექსი შეაჩერდა კარადას.

— შშ... შრრ... შრრ... მოესმა ალექსის.

ალექსიმ გაიხედა. დაინახა, გაღებულ ფანჯარაში ქანაობდნენ აკაციის ტოტები, დილის სიო თამაშობდა ფურცლებში.

შორს, მახათის მთაზე, განთიადი კიაფობდა.

— ვერ შემბორკავ, ვერა!—გაიძეოდა ალექსიმ.

— შშ... შურ... — ისევე აშრილდნენ ფოთლები.

და ვილაცამ ჩასტურბულა ალექსის:

— საბრალოა არწივი თუ ქაობში ჩაიღრჩო.

რამე არწივს ქაობში რა ჩააღრჩობს! ალექსი დაუმტკიცებს ფარილსა და ყველას, რომ ის ისევე ისე ზუნია. ეს ვინ ვაუბედა მას, ქაობში დაიხრჩობიო? ვინ შეურაცხყო ის?

ზურიმ, ძველმა არწივმა, უნდა გაიღვიძოს. აი ისე, როგორც ახლა იღვიძებს განთიადი.

უნდა გაიღვიძოს. შეიკუმშნენ მუშტები.

შეიკუმშნენ და:

— ბა..ახ!—შეტორტმანდა კარადა.

და მაშინ, როდესაც კარადა უნდა დაღეწილიყო, მოესმა:

— რას ზვრები? ვაგიედი?

კარადას წინ იდგა ნატო, საცვლების ამარა, თმა გაშლილი, გაფართოებული თვალებით.

მოტებილ შტოსავით ჩამოეკიდა აზრი:

— ნუ თუ ეს ქალი ჩემი წერაა? ვინ უფრო მძიმეა: ეს პატარა ქალი თუ დიდი კარადა?

და უთხრა ცივად, უღმობელად:

— კი არ ვაგვიედი, გონს მოველ.

— ჩემი კარადა,—და ნატა აეფარა კარადას.

— ჰო შენი, და შენთვის დამილოცნია. მე კი...

და მიბრუნდა კარებისაკენ.

შორს, მახათის მთაზე რიყრაკი ილიმებოდა, ცა ანთებულყო, თითქოს ცუცხლი წაუქიდესო. წითელი ღრუბლები ჯარად ირანმებოდნენ. ეს იყო დაუიონა.

და როდესაც კარებს იქით ფეხის ხმა მისწყდა, ოთახში დაჩანენ ორნი: ცარიელი ქალი და სავსე კარადა.

გარეთ კი, გარეთ დაფიონა იცინოდა, ხარობდა და გაღვიძებულ არწივს სანავარდოთ იწყევლა...

მრი ღაგაღვა



1

მშენებელი სანახაობას წარმოადგენდა სოფელი ხევისძირა ზაფხულში. ქანდაკებასავეთ ჩამოსხმული კლდეები, თითქოს დარაჯათ დასდგომოდნ თვალწარმოც სილამაზით შექმულ ვაკეს და იცადებ მის სპარსულ ხალიჩასავეთ აფერადებულ ყვავილის ბალებსა და ზღვისავეთ მღვლე ნათესებს, შეუბრალებულ ბუნების სტიქიიდან.—პატარა მდინარე, რომელსაც შავხევეს უძახოდნ განუწყვეტლათ ბურტყულობდა და გაჯავრებული სერავდა კლდის ძირს.

სალამოს ხანი იყო, ევაქში, ან წლოვან ცაცხეებით შემკობილ მოედანზედ, ხალხს თავი მოეყარა და მათ მზიარულ ყრობულს კლდეებიც ანარეკ ხმით დახითხითებდნ.

ხანში შესული ქალი—თებრომე, საქონელს მიერეკებოდა საძოვარიდან. მან მოედანზედ შენიშნა შეგროვილი ხალხი, საქონელს შინისაკენ შეუწყრა და თვითონ კი გადაუხვია ამბავის გასაგებათ. ნახა, ჩაჩნებს კარვები გაეზლოთ და მოგროვილი სოფლელები მარჩიელობაში იყვნ ვართული. ისმოდა აქა იქ: „შენ კარგი ზედი ზედი იბალი ვაქვს,— შენ დიდი ხანი იცოცხლებ, — შენ ავით ვახდები“ და სხვა... თებრომეც მივიდა ერთ მათგანთან და უთხრა: „მე ფული არა მაქვს თან, წამომყევ სახლში, ყველს, სიმინდს, კვერცხს ან სხვა რაინეს მოგცემ და მირჩიე მეც“. მარჩიელი დასთანხმდა, თებრომეს სახლი შორს არ იყო და მალე მარჩიელის თანხლებით თებრომე შიადგა თავის ეზოს. თებრომე ქვრივი იყო. გარდა ერთი ქალიშვილი—ეთერისა ოჯახში არაიენ ყავდა. ეთერის თქმცა დასრულებული ქალის შეხედულება ჰქონდა, მაგრამ სულ ეთერსმეტი წლისა თუ იქნებოდა. იგი თავისი ცუცხლობა თვალებით, მკვირტებით და მობდენილი მიხერა-მობერით, ბევრ ახალგაზრდა ვაჟს უფრთხობდა მოსვენებას. საქონლის მარტოცა დაბრუნება ვაკეირვებოდა ეთერის, ეზოდან გზას გაყურებდა და რა კი შეამჩნია დედა მისი და მარჩიელი ჩაჩნის ქალი, მაინცე სახლში შევიდა და გაფითრებული დაეცა ხის ტახტზედ. დაეზო პირვე ზ თვალთავან ვადმონადენმა ცხელმა ნაკადულმა დაულარა სანთელივით ჩამოდხარი სახე.

ორი სამი თვეა რაც ეთერი ეზოში გამოსულიც ძვირათ უნახავს მეზობლებს. პირველ ხანებში ძლიერ უყვირდათ მისი ასეთი ქარჩაქეტილობა, მაგრამ სოფელში ხმა დადიოდა: თებრომე ყოჩალი ქალია, რადგან მის ქალიშვილზედ ბევრ ახალგაზრდას უჭირავს თვალი, ვათხუვებანდი მაგრათ ყავს ხელში ჩაქეტილიო; თანაც ეთერის შესახებ ამბობდნ: რომ მჩატე ქაჯისა არის, ყმაწვილია, ვაქებში თამამათ უჭირავს თვითო...

თებრომე და მარჩიელი ჩაიედნ ეზოში. დახელოვნებულ მარჩიელს არ გამოეპარა მხედველობიდან, ეზოში დანახული ქალიშვილი, რომელიც არ გაიტაცა ცნობისმოყვარებთან და ისიც არ გამოვიდა მარჩიელთან. სხვა ბევრ რაღაცეებთა შორის თებრომეს უთხრა: „შენ სახლში არის ერთი ქალიშვილი, რომელსაც რაღაცა აწოხებს. იქნება შენ არ გიმხელს, თუ იცი რაინე, მითხარი მისი დარდები, მე ვასწავლი წამალს, ან მომიყვამე რჩივე, ვაგიგეფ ყველაფერს, მაგრამ იმისი საოჩიევი კიდევ ერთი წველა ყველი უნდა მომცე, მას წველა უნდა, თორემ მოკვდება. მე კი ორივეს ვადავარჩენთ“. თებრომე წამოხტა ვახარებული, წველა ყველი გამოუტანა; შემდეგ შებრუნდა სახლში და ეთერის უთხრა: „მიწა

დაგაყარე მეგ თვალგებულ მუდამ რომ სტირიო“. „დედა დამაწმენდ თუკი ისედაც ვიტანჯები, შენც ნუ მისხამ ცეცხლზედ ნეთს, თორემ თავს შიკველია. არ მინდა ვგ ოხერი მარჩიელი“. „გამოდი თორემ თმით გამოგაფრენენ შვედსი-რცხელი, იმისი არ შეგრცხენია ვილაცა ბიკს რომ ამოუკოტრახა ლეჩხუბურზედ და მარჩიელის გრცხენია? გამოეთრიე, მარჩიელი გეტყვის რა მეტი დაგეცემა მეგ სამიწე თავზე“.

ბევრი ჩხუბის შემდეგ ეთერი დასთანხმდა. გამოვიდა მარჩიელთან, მაგრამ დაინახა თუ არა ჩაჩანი ქალი, კანკალი აუფერდა. გული წაუვიდა. მარჩიელი და თებრომე, დასტრიალებდნენ თავზედ. მარჩიელი მბრუნველობით უფათურებდა ხელებს შებლზედ და უეცრად შეამჩნია ძალზედ წამობერილი მუცელი. როცა ეთერი გონს მოიყვანეს, მარჩიელმა მოჰკიდა ეთერის მაჯაზედ ხელი და დაიწყო თავისებურად ბუტბუტი; შემდეგ შეეკითხა: „მართლა სულ დამაფიწყდა მეკითხა, გაუთხოვარი ხარ თუ ქმარიანი? თებრომემ რომელიც იქვე იჯდა, არ დააკლა ეთერის ენასუხა. „მიწა კი დავაყარე მაგას. ვინც შემძელია და მე მომწონდა, არ გაჰყავა; ეხლა ვგდოს სახლში სანამ არ ჩაძალდებია. მე ვკითხო მოხუცებულმა ამ სიბერის დროს, რომ ვერ მოვესწარი დასვენების და გახარებას თორემ, მაგაზედ ახია რაც მოუფა“.

მარჩიელი ჩააკვირდა ეთერის თვალგებში და თითქოს იქედან კითხულობს--დაიწყო. „შენ შეწუხებული ხარ რაღაც ფიქრით... შენი გული მართალია, — ყველას უჯერის... შენი გული მოტყუილებულია... შენი გული მოკლულია, მაგრამ ბოლოს შენი გულის სიხარულია... შენი იღბალი-ბედნი კარგია... შენი დედა ტყუილი ჯავრობს. შენ წამათ გეტყვი... ორსულათა ხარ“... ეთერი ვაფთხრდა, თებრომე აქანჯალდა და დაიწყო ბუტბუტი: „ღმერთო დაგელოცა სანართალი—რავე მართალს ამბობს ეს მარჩიელი“. მარჩიელი კი განაგრძობდა. „მე უშველი თქვენი საქმეს, მე დამეხდეთ. ცოტა ხარჯი იქნება საჭირო და მე თქვენი ბედს წალმა მოვადრუნებ“. მოეხვია თებრომე მუხლებზედ მარჩიელს და დაუწყო ვედრება: „ყველაფერს ვაგყავი, ოღონდ გვიშველე, აგვაცდინე ეს უბედურება“... „ქმარა ქალო. მე რაც ვითხოვთ დამიჯერეთ, შენი ქალიშვილი შენ ვითომ უნდა ვაგზავნო. შორს წათესავთან, სინამდვილეში კი მე წაიყვან მაგას, აქვე მახლობლათ ერთ გამოქვამულ კლდეში მოვათავსებ. თუ გინდა შენაც წამოყვები. იქ დარჩება სანამ არ მოვლოგინებ; შემდეგ ბოვს მე წაიყვან და გაგზორდი. ჩვენთან იელის, სახეტიალოთ მოვამზადებ, მარჩიელობას ვასწავლი და თვითონ შეინახავს თავს. მოკვლა ცოდეაა. ხომ გესმის ქალო, გასამრჯელო კი უნდა მომცეთ. როგორც შენი ქალი ამბობს მორჩენას ერთი კვირა აქლია“.

თებრომე და მარჩიელი სასყიდელში შეთანხმდნენ. ეთერიც ნებას დაიყოლიეს და ერთ საღამოს, თებრომეს ეხოდან საგზალით დატვირთული ურემი გადმოჰრიალდა, რომელზედაც თებრო და ეთერი ისდნენ და მიემგზავრებოდნენ ვითომდა სამეგრელოში თებრომეს გათხოვილ დასთან. ძალე მთაღწიეს დაბინძურდვილს, თებრომე და ეთერი დარჩნენ აქ მარჩიელთან ერთად მთელ კვირას. დადგა დრო ეთერის ორსულობიდან განთავისუფლების. საშინელი დამე იყო. მიყრუებულ გამოქვამულში, შეიკლავნებოდა ელვის სინათლე და უსამინელესი გრძალით შეგორდებოდა შიგ გრგვინვა...

მარჩიელი საქმეში იყო გართული. თებრომე ყოველ ელვის სინათლეზედ პირჯვარს ისახავდა...

მშობიარობამ მწვავე ხასიათი მიიღო. დამაყრუებულ გრგვინვას, უერთდებოდა ეთერის კვილი და კვნესა. და ამ საშინელ ბუნების წყრომა-ტირილის დროს, ეთერის შევიძინა ვაჟი. კიდევ ორი კვირა დარჩა ეთერი და თებრო გამოქვამულში. თითქმის ერთი თვის შემდეგ თებროსა და ეთერის მეზობლები ეგმებოდნენ საყვედურით: ეს გო-

გო ქე მოგიკლავს, ვერ აუტანია სამეგრელოს პაერი, ამა ნანე რიქაო გამოკეთლეს ზეენში, შენ კერპა ქალი ხარ, უსაყვედურებდა თებროძეს განსხკუთრებით მეზობელი მართა.

მართა ვაეი წაიყვანა მარჩიელმა. ამიერიდან ეაერისაყვედურებდა მისი კვალიც კი.

დრო გადიოდა, ეთერი თანდათან მოკეთდა, სიციცხლე დაეტყო და ცხოვრებაც მოსწყურდა. სციდილობდა ერთხელ და სამუდამოთ მოეცილებია ფიქრი, რომ მას ოდესღაც შვილი ყავდა, მაგრამ მარტო რომ დარჩებოდა, გულის სიღრმეში რაღაც უღიტიმებდა. ავონდებოდა დაკარგული შვილი, იწამლებოდა მისი არსება.

2

სოფელ ხევისძირაში დღეობა იყო. ახლო მახლო სოფლებიდან ხალხი ჩამოდინილიყო სურსათ-სანივავით დატვირთული და აქ გამოსილიყო უხარმანარ ცაცხვების ჩრდილებში. ჩამოდენიშე ადგილას, ისმოდა დამთვრალთა შეტყუებელი სიმღერა, თარის ცვენესა და მოქიფეთა ხრიალი.

ვილაცამ დაიძახა: „ბიკებო, ჯირითი იმართება, ვის შეუძლია მხედრობაში თავი ისახელოს, გამოდით და ჩაეწერეთო“. წამოიკრუნ ახალგაზრდები ადგილებიდან და ვიეშურენ იქეთ სადაც მოჯირითიებისათვის, ახლო მახლო მდებარე სოფლებიდან ცხენები ჩამოყვანათ.

მოედანი მთელი ვერსის მანძილზე თავისუფალი ქონდათ საჯირითით. კობტათ მორთულ-მოკახულ მხედართა რაზმი ჩამწყრივდა; მათ აღელვებულ ქცევის დასკეცებდა ათასი თვლი მაყურებელი ქალებისა.

ხალხი ძალიან ბევრი იყო თავმოყრილი. ადგილობრივი, უცხო ტომის, მგზავრი, შემთხვევით მოსული და სხვადასხვა. ერთი ახალგაზრდა, რომელიც მხედართა შორის ჩამდგარიყო, იქცედა დამსწრეთა ყურადღებას. მას შავი მახვალავით უღვაშები ოდნავად ამოსწეროდა. მისი მოყვანილობა ლაპარაკობდა მისი ფართო ნაუარდის სურვილზედ. მის შავვრემან სახეს შუახელ კოფდა ოდნავად მოხრილი სპარსული ცხვირი და ფართო გიშერივით შავი თვალები მერყველებდა მის უჭირო გრძობათა სიანზღუნზედ. მოხდენილად ეჭირა სადავე შავი არაბული ცხენისა და უცდიდა შეჯიბრის დაწყებას...

დაემწყრივა ათი მხედარი; მათ შორის უცხოც; მას შავი ჩოხის კალთა კობტათ აეკაპიწებია და უკან ქამარში ჩაემაგრებია. თავის ბედაურს კისერზედ ხელს უტყაბუნებდა და თან ლავამით აღიზიანებდა... გაისმა განკარგულება და ათი მხედარი როგორც ლანდები გაქრა. ისმოდა მხოლოთ ფლოქვების თქარუნი და მოსჩანდა ამდგარი მტკერის კორიანტელი.

ხალხის ღელვას საზღვარი არ ქონდა. ზოგი ცერებზედ დგებოდა, შუბლზედ ხელს იფარებდა. ყველას უნდაოდა შედეგი თავის თვლით ენახა. მხედრები უნდა მისულიყვენ დანიშნულ ადგილზედ და შემდეგ უკანვე უნდა დაბრუნებულყვენ. კარვა ხანის შემდეგ, გამოჩნდენ დაბრუნებული მხედრები.

საგრამომ მანძილზედ მიეტოვებია უცხოთ შვე არაბულ ბედაურს მხედრები და ნიავივით მოსრილობდა ამწვანებულ მოედანზედ. ჩამოდენიშე კობტა ნახტომი, ერთი მოხდენილი ლავამის დაკვრა და ცხენი დანიშნულ ადგილას ისარივით დაესო.

მთელი არე-მარე დაფარა საერთო ტამა და ვალმარჯოს ყიეინამ. დანარჩენი მხედრებიც მოვიდენ, ყველას აღტაცებით ხედებოდა ხალხი, მაგრამ უცხო მხედრის მიმართ უფროთ ეცხებოდათ გული წაგებულეებს.

ჯილდოთ საუკეთესო უზავირია, რომელიც უცხო მხედარს ხვდა.

შეჯიბრის მომწყობ კომისიის თავმჯდომარემ, მიართვა მხედარს უჩივირი, თანაც ვინაობა კითხა. მხედარი გაჯიჯტდა, ვინაობა თავისი არა სთქვა. სიტყვა მხოლოდ, რომ მას ასანა ქვია. სადაურია, არც ის იცის. სხენკლამს უბნით, სადაც შეხვდებო.

დიდი შიოქმა მოთქმა გამოიწვია ამ ამბავმა. დღესასწაულის ღამეარაცის საგნათ უწყნობი მხედარი გახდა. ეთერიც იყო ამ დღეობაზედ. როცა მან მხედარს თვალი მოჰკრა, გაცივრებულნი ჩაიკეცა და ძლიერ გასაგონათ იმეორებდა: „მიშველეთ...“ მაგრამ ხალხი ამბობდა, ალბათ ცხენებმა შეამინესო და როდესაც ეთერი გონს მოვიდა, ის უკვე წაყვანილი იყო შეჯიბრის ადგილიდან.

ერთ დღეს თებრომეს ესტუმრა მეზობელი მართა, დიდი მზრუნველობით მოიკითხა ეთერი და შემდეგ უამბო თებრომეს, რომ მასთან იყო მასწავლებელი დიმიტრის დედა და გაანდო: დიმიტრისაც ძლიერ უნდა, დედაც მოწოდებულელია, ეთერი რძალათ წაიყვანოსო; თან დაურთო: „არაფელი არ უნდა თქვენი, დოვლათი ბევრი აქვთ, ხომ იცით. ძველი ოჯახი აქვს. თვითონ დიმიტრი საპატითა ყმაწვილია, თანაც მასწავლებელია. ერთი სიტყვით ბედი კარზედ მოგდგომია ჩემო თებრომე. ასეთ საქმეს და სიძეს მეორეს ვერ შეხვდები“.

თებრომეს ძალიან სასიამოვნოთ დაურთა ეს ამბავი და თავისი აზრი ეთერის ვაჟნიანა. ეთერიც ჩაუკვირდა თავის მდგომარეობას და უთხრა: „თუ გათხოვება გადავწყვიტე დედა, მაგაზე უკეთესი არავინ წინიყვანს, მაგრამ ხომ იცი ჩემი უბედურების ამბავი, ჩემ თავს ჩემითვე ვაუბედურებ. ვერ შევძლებ დიმიტრის შეყვარებას, მიუხედავად იმისა, რომ ის ყველაფერად კარგი ყმაწვილია. ოჯახი უსიყვარულოთ ეს თვალთ-მატკობაა. რამდენი ხანი უნდა ვიცხოვრო... ვერაფერი გადამიწყვეტია, ნუ გამიჯავრდები... როგორც ვინდათ ისე ქენით...“ ამ უკანასკნელმა სიტყვებმა შეაყენა თებრომე, რომელიც მომზადებული იყო თმებში საცემათ. ზო შვილი, ავ უნდა, წინ დახედულემა სჯობია და ბედნიერები ვიქნებით; ამ სიტყვებზედ დაღაივია ეთერის დედა და გულში ჩაეკრა.

ეთერი სულ ერთიანათ ენკალბდა... მას ვერ მოეწონებია ის ცეცხლი, რომელიც მასში დაანთო ერთმა ახალგაზრდამ; რომელთანაც დამოკიდებულების ნაყოფი, უგზო უკვლოთ დაკარგა. დასტიროდა თავისი პირველი ალტაცების ერთი წუთით არსებობას, დასტიროდა დაკარგულ გრძნობის ნაყოფს...

როცა ეთერი შედარებით პატარა იყო, თუთხმეტი წლისა და თავის ტოლგაგობიებში, სოფლის მოედანზედ ერთ ჯვრა დღეს საცეკვაოთ წავიდა, იქ დახვდა დაბანაკებული მოგზაური ჩანები. ერთ კარვის ქვეშ, ვიღაცა გარბონს უკრაუდა და პოგშებიც იქ მოხვედლიყო. გაემართათ ცეკვა თამაში კარვის წინ. ეთერიც სხვებთან ერთად იქ მივიდა. ეთერი მისვლისას შეტრიალდა მოთამაშეთა წრეში. მისი მოხდენილი ტანადობა და მიმოხერა, მისი გაშლილი მკლავები, თითქოს იპატრეებდა მკერდში ჩასახევედ მასთან მოთამაშე ვაჟს; მაგრამ რა ვაჟი მისკენ გაეშურებოდა, ის ხელების აქნევით შეუტრიალდებოდა და უვლიდა წრეს. გაღიზიანებული ვაჟი ოფლათ იწურებოდა. აქეთ-იქედან უყვიროდენ: გაჩერდი შე გიყო, ხომ ვედავ დედალა, ცხენი ვერ მოგეწევა მაგიკი არა და ხანდახან მასხრობით ძალით დაიჭერდენ ეთერის და ისე აჩერებდენ. იდგა მზიარული კრიამლლი. ერთი ახალგაზრდა ჩანანი მისჩერებოდა ეთერის. მისი ფართო და შავი თვალები ლურსნებზედ ესობოდა ეთერს და გიჟური ვნების ცეცხლს სდებდა ეთერის მუღამ შშფოთიარე გულს.

რალაც ჯადოსნური აზრები შეიკლახა ეთერის გრძნობაში. მოუნდა მასთან ერთად ბუნების სიუხვით სუნთქვა, თავზედ ხელაღებულნი ცხოვრება, — შეუზღუდავი, უპასუხისმგებლო.

შეეშინდა ეთერს... დაინახა, რომ მას ორი ისარჩევით ბასრი თვალები შთანთქმავს უპირებს...

უნდა გაუსხლტეს, ვაიცინოს, ვაამიიარულოს ტოლები, მაგრამ არ გამოუ-
დის. უხერხულდება ეჩინება.

დალაპდა, ახალგაზრდობა აიშალა მოედანიდან და სახლში წავიდა. ეთერის არანვეულებრივი ბურუსი ფარავს. ვერ გამოჩნდება ის მარ-
ვიდა: უღლი, თუ კარგი. იამა რაიმე თუ ეწყება. ამ ფიქრებში იყო გართული,
როდესაც დასცილდა თავის ამხანაგებს და ეხოსაკენ გადაუხვია. უფერათ სიბ-
ნელიდან ეღაცა ახალგაზრდა გამოსრიალდა და დაბალი ხაით ყოფნა: „ხელო
საოამოსაც ხომ გადმოხვალ კარებთან? და შეუერთდა ისევ სიბნელეს. ეთერიმ
შეამჩნია, რომ ის მოედანზედ ნახული ჩაჩანი იყო.

შეორე დღეს რალაც იღუპალი ძალა გზიდებოდა ეთერს მოედნისკენ. არ
იკოდა, რისთვის, ამ ვისთვის იყო საქირთ მისი გაცვლა მოედანზედ, მაგრამ რა-
ლაცა იღუპალი ხმა ჩასურჩულდება ყურებში: „უნდა წახედო:“ სალამოზის ასეთ
ყოფაში გაატარა ეთერიმ და როდესაც დალაპდა, დედის უთხრა: „ერთი აგერ
მივიდვარ მართასას და ეხლაც დავბრუნდები“. სინამდვილეში კი, უნდოდა
გადაეზრინა მოედანზედ. საოთკენაც ვერე ძლიერათ გზიდებოდა რალაცა და
როდესაც გადმოვიდა ეხოდან და წვრილ ბილიეს გაცევა, რომელითაც მოედან-
ზედ უნდა გასულიყო, უღბათ წინ შეეფეთა გუშინდელი ნახაბი ჩაჩანი, რომე-
ლიც საყვედურის კილოთი შეეკითხა: „არ გინდოდა დღეს გადმოსვლა?“ ეთერი
არ მოელოდა მის აქ შეხედვრას და შეკრთა, დაიმორცხვა. ანგარიშმიუცემ-
ლათ უპასუხა: „აკი მოვიდიოდა“, — „არა მე საყვედური არ მინდოდა მეოქვა, მე
მხოლოდ მინდოდა, კიდევ მენახე წასვლისას“ — მომზივლეი ხმით ეუბნებოდა
ჩაჩანი. ეთერი დაიბნა, აირია, რა ეპასუხნა არ იკოდა; „არაფერს მეტყვი“
უთხრა ჩაჩანმა და ველური ნახტომით აიტაცა ხელში ეთერი. ეთერი კანკალებდა,
ვერ მოეხერხებია დგომარობიდან თავის დაღწევა და დნებოდა გრძნობის
აღზედ. გამოერკვა მამინ, როდესაც მის ყურს მარწედა სიტყვები „მეყვარებო
მუღამ, წამოდი ჩემთან“... დაახწია თავი ჩაჩანის მკლავებიდან... იჯრბო ცხოვ-
რების სიუყუღმართე, სიმდაბლე, დამპირება, შეურაცყოფა და ამ გრძნობათა
ბურანში გახვეული, ანგარიშმიუცემლათ იმერებდა: „მომშორდი... შეზივლე-
ბი“... სიტყვა მოესმა ეთერის „წამოდი ჩემთან“ და ჩაჩანი წყვედიადმა დაფარა.
ეთერი ვაზს მოვიდა, წამოგარდა ზევით, გააშვირა ხელები იმ მხარისაკენ საი-
თაც ჩაჩანი წავიდა და ძლიეს გასაგონათ დაიწყო ცრემლებ მოკრეფლა ბუტ-
ბუტე. „წამოყვანე... მაპატივე... შენთან მოვკვდები“... მაგრამ ჩაჩანი აღარსად
იყო. ეთერის ცრემლები შორია. უღლით ნატარჯი, გრძნობა არეული, ფიზიკუ-
რათ დათენთილი, დაბრუნდა სახლში. დედა დაწოლილი დაუხვდა და თითონაც
დაწეა. მთელი ღამე ეთერი ფიქრთა ზეაფში გორაობდა. თვალები ათასგვარ
აზრდილებს სჭერებდა. სიბნელეში დაუსრულებელ სურათთა სხედასხევაობა
გადაბრუნდა თვალწინ. ამ დღის შემდეგ, ეთერი გამოიცვალა და აღარსად არ
გამოდიოდა. მარტოკა რომ დაჩაჩებოდა, გიჟვით აქეთ-იქეთ იცქირებოდა.
ესმოდა სულ სიტყვები „მეყვარებო, წამოდი ჩემთან“... ეთერისათვის დღეები
ერთფერათ მიდიოდა. — დუმილი, უხალისობა, ნერვიულობა, დედის საყვედურები
და მკობაზედთან სიარული დედის დაქინებით და ისევე თავიდან ერთი და
იგივე, იმ დღემდე, სანამ დედამ ორსულობა არ შეამჩნია, რის შემდეგაც, ეთ-
რის სიკაცულე ჯოჯობათათ გადაიქცა. არაფერს არ იშურავდა დედა, ოღონდ
გაეგო, ვინ იყო მისი ოჯახის წამბილწავი, მაგრამ ამათ, ეთერიმაც არ
იკოდა.

ეთერისთან დაცილების მეორე დღეს, ჩაჩანი თან გაცვა მოხეტიალე ჯგუფს
და მის შემდეგ, ისიც ბევრჯერ უნახავს ამხანაგებს, უსიტყვოთ, გარინდული,
ჩაფიქრებული... რამოდენიმე წლის შემდეგ, მან ისევ გამოიარა სოფ. ხევის-
ძირაში, მონხდა დღეობაზედ და სწორეთ იმისათვის იყო, რომ ეთერის გული

წაწვიდა. ეთერი ესაა უკვე გათხოვილი ქალი იყო, მისი ქმარი მასწავლებელი დიმიტრი იყო და სწორედ დიმიტრი იყო, შეჯიბრის მომწყობი, იგი უზარის სთავაზობდა ასანას მამონს, როცა მისი შეფულე ეთერი, ხალხმყველად იტანებოდა.

დიმიტრი ს. ხევისძირაში ყველასგან ნდობით აღსრულებული პიროვნება იყო. ის ყველას უყვარდა: მოხეტეხავე და ახალგაზრდებსაც, ოღონდ მთავრობის წარმომადგენლები ვერ უყურებდნენ ნდობის თვალთ. რამოდენიმე წელიწადს ციხეშიაც იყო დაწყვედულა, მაგრამ მასი რკინის ნებისყოფა და გადაწყვეტილება ოდნავადაც ვერ შეირყა.

დიმიტრი, როგორც მასწავლებელი, ახალგაზრდებს აწვდიდა არალეგალურათ ახალ ცხოვრებისათვის მოსამზადებელ მასალებს.

მეღე დიმიტრის პატარა ორგანიზაცია შექმნა, გამოყო მათივე და დანტერესებული გლეხები და ნათთან დაიწყო იმ ბრწყინვალე მომავლისათვის სამზადისი, რომლის მოახლოებაც დიმიტრის აზრით შორს არ იყო, რადგან მას ქალაქიდან აწვდიდნენ ცნობებს ახალთაობის მოძრაობის და საერთო მდგომარეობის შესახებ.

დიმიტრი დინჯი და ტკილი მოსაუბრე პიროვნება იყო და იშვიათი სისწრაფით ფართოვდებოდა ს. ხევისძირაში მისი ხელშეწყობილი გლეხთა შორის მუშაობა არსებულ ღებვირ პირობების გასანადგურებლათ.

3

ს. ხევისძირაში დღეობაზე ნახული მხედარის საქციელმა, მისმა პასუხმა და წასვლამ, ძლიერ დაინტერესა დიმიტრი; მას ძლიერ უნდოდა გაეგო, ვინ იყო ეს უცხო მხედარი და დაეავლა სიმონს, როგორმე გაეგო მისი ვინაობა. სახეც კი ნაცნობათ იყვნა.

სიმონა არალეგალურათ მომუშავეთა შორის, ყველაზედ უფრო საიმელო პირათ ითვლებოდა დიმიტრის თვალში.

სალამოს ეპი იყო. მზის უკანასკნელ სხივებს დასაყლებით ხანძარი აეფეთქებია, რომელსაც სალამოს ბურუსი, თანდათან ანელებდა. სიმონა სამუშეგრიდან ცოტა ადრე დაბრუნებულყო და თავის დედას ეუბნებოდა: „დედა შე დიმიტრისას უნდა წავიდე, იქნება ეახშათ აქ მოვიდეთ და ცოტა რაიმე შეგვიჩანებ. შენ ნუ დავიცდი, იქნება დაგვაგვიანდეს“. ამ სიტყვებით სიმონა გამოვიდა სახლიდან და ჩქარი ნაბიჯით გასწია ეხოს გადასავალიაკენ.

კარგათ ჩამობნელებული იყო, როდესაც სიმონა და ერთი უცნობი პირი, შიადგა დიმიტრის ეხოს. სიმონა გადახტა ალაგზედ და აივანთან რომ მივიდა, დაიძახა: „დიმიტრი შინა ხარ“. შემოდი სიმონ მოისმა მასპინძლის ხმა. სიმონამ შეალო კარები, რომელსაც მასპინძელი შემოხედა და დიმილით უთხრა, „სიდედრიც გეყოლება და სიმამრიც, ვახშამს ვკამდით, კარგ დროს მოდი“. ეთერიც დიმილით მიეგება. „სიმონ დაჯექი“, შიასოდა სკამი ეთერში. „არა მარტოკა არა ვარ, ერთი უცხო სტუმარი მახლავს“, სთქვა სიმონამ და დიმიტრის კითხვა აღარ აცალა: „შენ რომ მითხარი დიმიტრი, ვამიგეო, ის მოგიყვანე. უდროოდროა, მაგრამ დღემდი ვერ შეგხვდი, არ ვიცოდი სად შეპოვნა, დღეს შეგხვდი უცბათ, არათერი საინტერესო პიროვნება ყოფილა, მაგრამ შენ რათ მითხარი არ ვიცოდი, შერე არც შენთვის მიკითხავს, თურმე ჩაჩანი ყოფილა, ხვალე შე მიემგზავრებიან, ვიფიქრე იქნება დიმიტრისათვის ის კაცო საჭიროათყო და წამოვიყვანე“.

ეთერი ამ ამბავს უსმენდა.

გულმა ისე მაგრად დაუწყო ძგერა, რომ ძლიერ შეიშვარა. მერმე თავს ძალა დაატანა და სთქვა, „მე მეორე ოთახში გავალ...“ უცხო კაცს ასე ვერ შევხედებო...“

სიმონა გავიდა და რამოდენიმე წამის შემდეგ, შემოვიდა... დიმიტრი ნიესალმა მოსულს, სკამი მიუწია მას და სიმონას, თვითონაც მათ პირდაპირ დაჯდა. ჩაჩანი იშვიათად ზრდილობით იქერდა თავს. მისი მომხსო შევი თვალები, ხიზლავდა დიმიტრის. მისი ვაჟკაცური მოყვანილობა, შეუპოვარი გამოძეგულობა, რაღაც შინსა და იმედსაც ავრცელებდა. მან მოსვლისას დახვეწილი თითქოს იქაურობა, შიშოვლო თვალი ყველაფერს და პირველმა დარღვია მყუდროება... „მე თქვენ მგონია დღეობაზედ გხახეთ ამას წინაა“, მიმართა მან დიმიტრის. „მართალს ამბობთ, უთხრა დიმიტრის და თან დაუმატა, „მე თქვენი ნახვა მინდოდა, იმისათვის რომ თქვენ უნაგირი არ წავიღოთ იმ დღეს“. სხვათა შორის წასვლისას თქვენი უნდა შემოვსულიყავი უნაგირის წასვლით. ხეალ მივემგზავრებით სწორეთ. ეს ახალგაზრდა შემოხვევით მოვიდა ჩემთან და მითხრა, მას ვახშათ დავატიყებოდით, თან დაუმატა, ერთ მგობართან შევიარ, იმასაც თან წამოვიყვანო და როდესაც მე შევეკითხე ვინ იყო ეს მისი შეგობარი, მითხრა მასწავლებელია, დიმიტრი ქეიოა. მე ვიცოდი მასწავლებელი დიმიტრი ვინც იყო, თანაც მისგან უნაგირი უნდა წამეღო და დაკსთანხმდი აქ წამოყოლას. ცოტა შეჩქარება, ხეალ მივემგზავრებით და ბევრი საქმეები გვაქვს: კარების აკრეფვა, ბარგის ჩალავება, ცხენების მომხადება და სხვა ათასი.“

დიმიტრი დაკვირვებული კაცი იყო. ჩაჩანის მუსაიფში გულწრფელობა ვერ შეამჩნია, მისი თვალები რაღაც ორ აზროვნებისა და გამოძეგული გამოძეგულებით იყო აღსავსე. დიმიტრი რაღაც წინაგრძნობამ შეიბყრო, მაგრამ აღუჩარებლათ უპასუხა: „ეს ახალგაზრდა თქვენ რომ მოგიყვანათ, ჩემი უახლოესი მეგობარია; მე მისგან დადარული არაფერი მინდა მქონდეს“. შეგიძლიათ მის თანდასწრებით მითხრათ, რაღა მაინცადამაინც წასვლის წინ, ან რატომ მაინცადამაინც თვითონ უნდა მოსულიყავით უნაგირისათვის, შეგიძლებოდა სხვაც გამოგვგზავნათ და მით უმეტეს, ეს უნაგირი თქვენ უნდა წავგლოთ რამოდენიმე თვის წინათ. დღეობის შემდეგ უკვე მქვსი თვე ვადის, თუშეცალა ჩვენში არ იყავით მაშინ დაბანაკებული, მაგრამ ცხადია ახლო სოფელში ყოფილბართ, რადგან დღეობაზედ მოხედით.“

ჩაჩანმა ჩვეულებრივით ერთი კიდევ მიმოავლო იქაურობას თვალი და სთქვა: „მე ისეღმა მქონდა დიმიტრისთან საქმე. მე ჭალაქიდან რომ წამოვედი, ჩემმა ძმობილმა კოლამ, დამივალა შენახა, მასწავლებელი დიმიტრი“. „ვინ კოლა არის?“ შეეკითხა დიმიტრი. „ისიც მასწავლებელია“, განავრძო ჩაჩანმა, — მხოლოდ სკოლაში არ მასწავლოს; მას ჩვენ მეტ-სახელათ „ჯინშოს“ ვეძახით. დიმიტრის თითქოს რაღაცა ძალამ წამოკრაო, წამოვარდა ზევით სკამიდან. აშკარა მღელვარება დაეტყო. ჩაჩანს ხელი გაუწია, მაგრათ ჩამოართვა და იღელვებულის ხმით უთხრა: „თქვენ რომ მოგიყვანათ, ეს ახალგაზრდა უახლოესი მოხარვა ჩემი მუსაობისა, შეგიძლიათ დაენდოთ მას ისე, როგორც მე, თუ მეც საეჭვო არა ვარ“.

ჩაჩანმა ერთხელ კიდევ გახვრიტა თვალებით დიმიტრი და კითხა: „აბა ეხლა შენ თითონ მითხარი ვინ არის კოლა ჯინშო? ნუ გეშინიან, მითხარი. აი მე კოლამ მითხრა უჩვენეო“ და ამ სიტყვებზედ ჩაჩანმა გულის პირი ახალუხისა გიხსნა და მკერდზედ ამოწვარი წარწერა უჩვენა, რომელზედაც დიმიტრის ამიკითხა სიტყვა „არა“. „მე კარასანა ვარ“, განავრძო ჩაჩანმა.

დიმიტრის მღელვარებით ფერი სრულებით დაკარგა.

სიმონა იჯდა და ვერაფერი გავიდა რა ხეობდა, ან დიმიტრი რა ემართებოდა. ორივეს ადევნებდა თვალს განცდიფრთხილად.

დიმიტრი დაბნეული გააცვიფრებით, სიხარულით, ნაწყვეტ-ნაწყვეტათ თავისთვის ბუტბუტებდა: არაფელი... ეს ხომ ასლანის ნიშანია... და სახეც ხომ მის სურათს გავს... დიახ, ნამდვილათ ის არის... მაგრამ...

დიმიტრის ასეთი არევა და ბუტბუტი, ასანას მახვილ სმენას არ გამოეპარა. წამოდგა, დაიღწა დიმიტრის მხარხუდ ხელი და უთხრა: „დიმიტრი, შენ მართალი ხარ; მე ასანა კი არა სინამდვილეში, ასლანა ვარ; ის ასლანა, რომელიც შენ უკვე დიდი ხნის გადაცვლილი გგონია“. დიმიტრის ნერვიულობამ იმდრეკინა.—თითქმის ცახცახი, ტუჩებზე თრთოლვა, მუხლებზე კანკალი დაუწყო. „დიახ, განაგრძო მან, მაშინ როცა ჩვენი ამხანაგები ვითომ ჩემსა და ჩემი ამხანაგების დამწვევარ ძელებს მიწას აბარებდნენ, მე დაქრილი ვიწვეი სულ სამი ოთხი ვერსის მანძილის მოშორებით იმავან. ეს ასე მოხდა: მე და ჩემი სამი ამხანაგი, კახაკებმა ისეთ ჩიხში მივვიწყვედი, რომ გაქცევა შეუძლებელი შეიქნა და იქვე ერთი საწყალი ვლების ნალიას შევფარეთ თავი, ნახევარი დღის სროლის შემდეგ, შებინდებისას, ცეცხლი გაუჩინეს ნალიას. ჩემი ამხანაგები შიგ გამოიწვია და მე დაქრილი გაუსხლტი ჯალათებს. შორს ვერსად წაიღოდა, იქვე ჩიხვანარში ვიყავი იმ დამეს. მეორე დღეს გამოსვლა არ შეიძლებოდა, არც შემადლო. მეორე დამეს, როცა აქარაში მიხლოდა გადასვლა, გზაზედ დაბანაკებულ ჩანებს წაეაწყვი. ქრილობის შესახებ ვეუბნე. ექიმ-ბაშბა იცოან. დარდესაც ჩემს მიერ ჩაბალახით მაგრათ გაკრული მხარი გამიხსენეს, სადაც დაქრილი ვიყავი, გული შემწუხებოდა. როცა გონს მოვედი, თურმე მეორე დღე იყო. ძალზედ დასუსტებული ვიყავი, დაეყავი მათთან მწოლიარეთ ერთი კვირა. ფურცუნზედ შეწოლილი გადავყავდით ბინის მოცკლისას. ისინი სამ დღეზედ მეტს არსად ჩრდებთან. შემდეგ აქეთ მხარზედ მოვხვდი. არ მეშვებოდნენ, ჩვენი დარჩი, არაფერს გაგიჭირებთათო მპარდებოდნენ; თანაც ქრილობაც არ იყო მოშუშებული და ამ რიგით მე მათთან მთელი თვე დავიყავი. ჩემს ვინაობას არავინ შეკითგებოდა და როდესაც ერთი თვის შედეგ უკვე გურიაზედ დიდ მანძილზედ მოშორებით შევიქენით და მათი გამოშვებობა დაეპირე, დაუფიქრდი ჩემს მდგომარეობას. უკან ასვლა გურიაში, საბიფათო იყო. ვიფიქრე შევეფარები ერთ-ბანს ამ ჩანებს, ვივლი მათთან, შემდეგ გავქვებდი ტფილისში და კოლამდის მივალ, შემდეგ ის მომიმარსოთო და ასეც მოვიქეცი და დღეს როგორც ხედავ, აქა ვარ. მე ის ასლანა ვარ ქარას რომ მიძახოდნენ. კოლას რომ მოუყევი ჩემი თავდადასავალი, ეს გზა მომცა—თემებში მევლო, გზა და გზა ჩემს მეგობრებ ჩანებს შევეფარებოდი და ჩვენი საერთო საქმეებისათვის ნებელმძღვანელებია სოფლებში. საცა კი წაეაწყდებოდი სხვა მოხეტიალე ჩანების ჯგუფს, ყველას ვეცნობოდი და ამ რიგით თითქმის ჩვენში მოხეტიალე ყველა ჯგუფებს დავემეგობრდი. ყველა სიამოვნებით მღებულობს; ეს მათთან ხშირათ ხდება. მაგრამ ცხენებით ვაქრობა უყვართ და ერთი ჯგუფის ჩაჩანი ხშირად რჩება თავის ამხანაგებს, მეორეს უერთდება შემდეგ. ან დაეწვევა თავისიანებს, ან მათთან განაგრძობს ცხოვრებას. მეც ყველას თვალში ჩაჩანი ვარ დღეს, მხოლოდ რამოდენიმე მათგანმა იცის რომ ხიზანი ვარ, მაგრამ ისინი უკვე დიდიხანია არც მიხანავენ. სახელიც ასახათ შევიცვალე... ეხლა საქმეზედ უნდა მოვალაბარაკოთ“.

დიმიტრი და სიმონა ხარბად იტაცებდნენ ყოველ სიტყვას. სამარისებური სიჩუმე იყო ჩამოწოლილი, ყოველი სავანიც კი სმენათ იყო გადატყვევებული. დიმიტრიმ გადისვა შუბლზედ ხელი, თითქოს უნდა მოიცილოს შუბლიდან, რაც შიგ ქალაში მომწყვდეული განცდათა ახრების კორიანტელი იყო დასადგურე-

ბული. ცოტა დამშვიდებული შეხედულება მიიღო, მაგრამ საკუთარი გულს ბავაბუფი კიდევ ესმოდა. „ასანა! დაიწყო მან.— მომეცი შენი მადლიანი ხელი, ის ხელი რომელსაც არა ერთი და ორი ჯალათის მზაკრული სურათებში დასვერფლია. მე ნეგონა სოველში ყოფნისას ვერავის შეხედულებოდან ვასუსტებ დასვერფლისას კი ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, სულ თვალყურს მადღებებდნენ და ვერ ვახერხებდი ლტოლსი ამხანაგების პირადით ნახვას, აი სიმონას ხელით თუ რაიმე ცნობებს ვღებულობ თორემ, ვერ მომიხერხებია მათთან შეხვედრა.“ — სთქვა ეს და წამოდგა სკამიდან.

დიმიტრი მეორე ოთახში გავიდა, დაინახა ეთერი, გაშტერებული, გაფითრებული, დამჯდარა სკანზედ და კიდელს მისწოლია ყური. „რამია საქმე შეეციხა დიმიტრი—რა დავმართია?“ ეთერი გონს მოვიდა და უცბათ გამოერკვა. „არაფერი... შემეშინდა ცუდი კაცი არ ყოფილიყო სტუმარი, კიდევ არ დაეჭირე... ესლაც ვყავარლები.“ „არა ჩემო ეთერი, ეს სანატრელი სტუმარიც, აღექი, პატრვი ვსკეთ. როდესაც ველირსებით შავისებრ ამხანაგების ნახვას ვინ იცის. აღექი დაიჭარბე.“ ეთერიმ ვედრების კილოთი უთხრა, „დიმიტრი მე ისე ამეშალა შიშით ხერხები, რომ ჩვენს სტუმართან ვერ გამოვალ, არ შემძლია, მას პირიქით ნაწყენი ვეგონები, თანაც ალბათ შენთან რაიმე საიდუმლო აქვს, აქი შენ მიმალავ მე ზოგ რაიმეს, მე ვერ გამოვალ.“ დიმიტრი დასთანხმდა და სტუმრებთან გამოვიდა.

სიმონა წამოდგა, მოვიდა ხელი დიმიტრის და უთხრა... მე მართლა დავიბარე სახლში პატარა ვახშამი გაეზღებოდათ, ჩვენსას წავეყვანოთ სტუმარიც.“

დიმიტრი და სიმონა ძალიან დაახლოვებულნი იყვნენ და დიმიტრიც დასთანხმდა, მაგრამ ასანამ ორივე გააჩერა. „ამხანაგებო!“ სთქვა მან, „მე თქვენთან პატარა საქმე მაქვს და შემდეგ მე უნდა გავემგზავრო. სავახშმით არ მცალია. მე პატარა დავალბა მაქვს თქვენზედ ვადმოსაცემი. ბროზურებსაც დაგიტოვებთ, ცოტა დარიგებას მოგცემთ და თქვენ ენერჯიულ მუშაობაზედ იქნება დაბუყარებული ჩვენი საქმე. საქმე შემდეგშია: თქვენ უნდა შეადგინოთ სოფლებში, უფრო მედვარი და მტკიცე ბიჭებიდან რაზმი, რომელიც საჭიროების დროზედ, იარაღით ხელში დაიკავს ჩვენ მიერ ნაჩვენებ ადგილებს. მე მონდობილი მაქვს ამ რაზმებს უხელმძღვანელო. გქვი არავის ეპარება ჩვენზედ. მე მოხეტიალე ჩაჩანი ვარ ყველას თვალში, თუ ვინმე ჩვენ ჯგუფს მიაკვლევს და ჩვენ დალუპვას განიზრახავს, კარა ასანა იმას მეორე დღესვე ვაგზავნის საიქიოს. თქვენაც ფრთხილად იყავით, არაფერში გადასცდეთ, საიდუმლოება არაივის ვაანდლოთ თორემ, კარა არც თქვენ დაეინდობათ. დიმიტრი, თქვენი ოჯახობა ზომ სატკეო არ არის, ხომ არ გაგეცმსთ; თქვენ იმასაც არაფერი უთხრათ, ვინ იცის ქალია, შობილდეთ საიდუმლოება.“ ამ სიტყვებზედ ასანა ადგა და წასვლა დააპირა. დიმიტრი და სიმონამ ბევრი სთხოვეს დარჩენილიყო ვახშმით, მაგრამ ასანამ არ მოიკადა, რალაცა დარიგებანი კიდევ მისცა იმათ, ერთი კიდევ თავისებურათ მიმოავლო ოთახი თვალნი, გამოეშვიდობა მეგობრებს და გავიდა სახლიდან. დიმიტრი და სიმონა თან გაჰყვეს.

იმ საღამოს შემდეგ, ეთერის მოუსვენრობა დაიკყო. ხშირად ნერვიულობდა. დიმიტრის აქიმებთან დაჟავდა, მაგრამ აშაოდა.

ღრო გადიოდა. სოფელში მღელვარება თანდათან მატულობდა. გლეხობა აშკარა პროტესტს აცხადებდა მამასახლისებსა და ბოქაულების წინააღმდეგ. მთავრობის რწმუნებულებს არ ერიდებოდნენ. ხმები იყო ვაერცელებული, ჯარებიც ჩვენსკენ არისო. სოფელში გაჩნდა თავდასხმა, ერთი ორი კიდევ მოჰკლეს-

რომელსაც ჯანუშობა დასწამდა. დიმიტრი და სიმონა ყოველ საღამოს კრებებს აწყობდნენ, გლეხობას ამზენებდნენ, ახალ-ახალ ამბებს უყოობდნენ ქალაქში მომუშავე ამხანაგების საქმიანობის შესახებ, რაზმსაც ადგენდნენ და ყველაზე უფრო მოვლოდენ იმ დროს, როდესაც მიეცემოდათ საშუალება დაეჭვებინათ უცხო-სი ამხანაგებისათვის, რომ მათაც შეუძლიათ საყვარელ საქმეს თავი შეწყვიტონ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

სალამოს ხანი იყო. განაჯხულის სუნი იდგა. კლდის ძირას, სადაც შეხვევა დილიდან საღამომდის და საღამოდან დილამდის ბურტყულობდა, რამოდენიმე შეიარაღებული კაცი წამოწოლილიყო, რაღაც მოუსვენრობა სუფევდა; ხან ერთი წამოხტებოდა და გასცქეროდა გზას, ხან მეორე, მოუსვენრობა თანდათან მეფედებოდა... გაღმა ხეივანს გამოჩნდა დიმიტრი.—მოდიან! დაიძაბა ერთმა და ყველა ფეხზედ წამოხტა. მოსვლის თანავე კითხეს თითქმის ერთხმად: „სიმონ სად არის? რათ დაგვიხარეთ იარაღით? რაშია საქმე?“—დიმიტრი საზოგადოთ დინჯი და წინდახედული პიროვნება იყო. „ამხანაგებო! დაიწყა მან, დღეს ჩვენთან მოვლიან ქალაქიდან ამხანაგები, ამის შესახებ მე დღეს მომივიდა ცნობა. სიმონა წავიდა იმათ შესახებდრად, არ იციან სად ვიქნებით შეკრებილი და სიმონა შეხედება სოფლის თავში. დღეს ამხანაგები, დაათვალიერებენ ჩვენ ძალებს; ასე მოიქცევიან სხვაგანაც. თუ საკმარისად სწრავენ ჩვენ ძალებს გამოსვლა-სათვის, მაშინ მალე გავხდებით მოწამენი, ჩვენი სულთამუთუთაყვების დამსობის და თუ არ იქნა საკმარისი, მაშინ კიდევ უნდა ვიმეჯადინოთ, კიდევ მოვლონიერდეთ, განმტკიცდეთ და რაც უფრო მალე მოვახერხებთ ამ საქმეს. მთა უფრო მალე მივალწევთ ჩვენს მიზანს.

ამ საუბარში იყო გაბრუნებული დიმიტრი, რომ სიმონა თითქმის სირპილით მოვარდა. სულს ძლიეს ბარუნებდა და აღელვებული ხმით მიმართა შეკრებილებს: „ჩვენს სოფლს კარგ ძალზედ ვავსილდი. უფროათ შემომესმა ცხენების ფეხების თქარუნი. შევძვერი იქვე ბუჩქებში გზის გვერდზედ და დაუგდე ყური. ბნელაში კარგათ ვერაფერს ვაჩივდი. ბოლოს ორმა ცხენოსანმა გადმოაბტუნა ცხენები ბილიკიდან გზაზედ და შეჩერდა. დავავიერიდი, ვავარჩიე სტრანეიკების ტანისამოსი, წინდოდა მაშინვე აქეთკენ გამოვქვეულიყავი, მაგრამ ცხენები ქალაქისკენ შეაბრუნეს და ხელი ნაბიჯით გაუშვეს. მეც შორი-ახლო მივეყებოდი ბუჩქებში მეორე მხარეზედ გზის გასწვრივ. ძლივს მოვახწარი ხუთი თუ ექვსი ბუჩქის ქვეშ გაძრომა, რომ წინ ბუჩქები ვათავადა და მოედანი დავიწყა. ორი სტრანეიკი შეჩერდა, მეგონა მე შენაშჩინეს, მაგრამ არა. ერთი მათგანი გადმოხტა, ცხენი მეორეს მისცა და მოედანით სადღაც გაიქცა. გადახედა რაღაცას, მოიბრძინა უკანვე, ამხანაგს, მოდიანო უთხრა და მოახტა. ქალაქიდან მომავალ გზაზედ ცხენოსნები გამოჩნდნენ. თვალის დახამხამებდასავით შეეფიქრენ წინ მომავლებს და შეიქნა სროლა. მეტი ვერაფერი გვიჩინე. მე აქვე გამოვქვეი. თუ თვალმა არ მომატყვილა ქალაქიდან მომავალ მხედრობს ბოჭაული მოუძლოდა წინ და კიდევ გადავარდი მგონია ცხენიდან. ვიჩქაროთ... დავიშვლოთ... დამავიწყდა, მე ერთ წუთს უცქეროდი ამ ამბავს. როდესაც აქეთ გვქნი პირი, ჩემს მიერ ნახულ ორ სტრანეიკს მოვკარი თვალი, რომ უკანვე მოაქროლებდნენ ცხენებს და გვერდზედ ბილიკში შესრიდნენ. ეტყობა გზები კარგად სკოდნით.

შეგროვილებიც აღელვებული იყენ ამ უცნაო ამბავით და დაშლას ამირებდნენ, მაგრამ დიმიტრიმ შეაჩერა. „სახლებში წასვლა უარესია ასე უტაკტიკოთ. ადრევე მოვილაპარაკოთ, როგორ მოვიქცეთ, კარგათ მოვიფიქროთ, ვის რა უპასუხოთ, რომ გვკითხონ სად ვიყავით, რას გწმებოდით. დაუფიქრებლათ არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადავდგათ.“—„მართალი ხარ დიმიტრი“, გამოეხმაურა უკვე ცოტათი შესვენებული სიმონა.“ მაშ ასე, დაიწყა ისევ დიმიტრიმ, ჩვენ გავიყოთ ეხლა. ნაწილი წავიდეთ სახლებში, იარაღი ოჯახში არავინ იქო-

ნიით, სხვაგან მიმალეთ. ოთხი კაცი გამოვეყოთ, ამით შემოუღარონ მთელ სოფელს, ამაღამაც იღარაჯოს, რომ სოფელში ან მოკლული არ შემოათრიონ, ან სხვა ბიფათს არ შეგვეყარონ. დარაჯები ფრთხილად უნდა იყონ, თუკი ჩინებას შეგვი ნახონ, გავევენ უკან შორე ახლო, სად წავიღეს, ვისთან მივიდეს, უნდასა სტრატეგით ყველაფერ წვრილმანსაც სიფრთხილით მოვიკიდონ." დიმიტრიმ გამოყო ოთხი ბიჭი, დანარჩენები კი სახლებში დაბრუნდნენ.

ქალაქიდან მომავალი მართლაც ბოქაული იყო. მომხდარის შესახებ აცნობეს მახრის უფროსს, რომლის განკარგულებითაც, შემთხვევის ადგილზედ, საქმის გამოსარკვევით გაიგზავნა მაშინვე სავანეგემო გამოძიებელი, რომელმაც გამოარკვია: რომ ბოქაულის განკარგულებით, რამოდენიმე სტრატეგი იყო წინადაწინ გაგზავნილი გზის დასახვერავეთ, რომ უცაბედათ ახალი თაობის ვინმე თავზედ ხელ-აღებულს არ გადაეკიდებოდა და ვაგუგნრობას არ ქონოდა ადგილი. როცა თავისევე სტრატეგებს წააწყდა გზაზედ, რომლებიც ბრუნდებოდნენ დახვერვიდან, აუტეხეს სროლა და ამ შემთხვევის ნახვერპლი გამადარა თვით ბოქაული და ორი კიდევ სხვა, ოქმი შეადგინეს, მოკლული ბოქაული და ერთი სტრატეგი, თან წაიღეს, ერთი კი დასტოვეს და მცველები მიუყენებს ახალ განკარგულებამდე.

5

ღამე მშვიდათ ჩატარდა სოფელში. მხოლოდ რაზმელები კრებიდან დაბრუნებული მთელი ღამე ნერვიულობდნენ. რაღაცას მოელოდნენ. გათენდა დილა. პიტალო კლდის მწვერვალებიც მზის სხივებზედ ბრილიანტივით ბრწყინავდნენ და ანარეკ სხავით მდინარე შავხევის სარკესავით კრიალა წყალში ჩასობალიყვენ, თითქოს სურდათ ძილის შემდეგ წყურვილი მოეკლათ დაუღალავათ მობურტყულე ხევის წყალით. სოფელსაც გამოღვიძებოდა ჯან-მოკრეფილს ღამის მოსვენებით და საქონელს მიერეკებოდა გლეხობა სამუშაოზედ. სიმონას გამოერეკა წინ ორი ხარი, წელში წილდი გაერტო, გვერდით მისი ერთგული ძაღლი ბროლია ადევნებოდა და სახნავათ მიეშურებოდა. — „გამარჯობა სიმონას! მისვალმა ერთი გლეხი, რომელიც გვერდის გზიდან შემოუფრთდა. „სიმონა, ხომ არაფერი იცი ბიჭო, წუხელის ძალიან ადრე, ახალ დაღამებულში რაღაც სროლა შემოაქმნა“. „არაფერი გამიგონია სიკო“. უნასუხა სიმონამ და განავრძო გზა. შეადღისას მთელ სოფელს შიშავდა ხმა, რომ წუხელის დათვრალს ბოქაულსა და სტრატეგიებს ჩხუბი მოსვლიათ და ბოქაული მოუკლავთ; კიდევ უნდა იყონ დაბოცილებით. რაზმელებმაც ამაზედ მეტი თათქმის არაფერი იცოდნენ. სიმონამ გაუშვა თუ არა ხარი დასასვენებლათ შეადღებუდ, მაშინვე დიმიტრისას წაეიდა, თან სახლში შეიარა და დედას დაუარა: „თუ მე რაიმე მიხეზით დამაგვიანდეს, ხარები შინ წამორეკეო“.

სიმონა და დიმიტრი, ჩრდილში ისხდნენ და ცხარეთ კამათობდნენ. „დიმიტრი! რა ამბავი მოყვება ამას თუ იცი? იქნება სტრატეგიებში საქმე აქვსთ ჩვენებს ვაკეთებულნი და ბოქაულს განზრახ მოუწყეს ეს საქმე“. დიმიტრიმ ცოტა ჩაფიქრების შემდეგ სთქვა: „სიმონა, როგორ გკონია, მთავრობის ჯალათებს ერთი ბოქაულის მოკლეა დიდ რამეთ მიახნია? იქნება თვით მთავრობამ მოაწყო ეს პროვოკაციის მიზნით, მაგრამ მაინც საკვირველია, არაფერი ისმის, თითქმის საიდუმლოვებით ინახავენ წუხანდელ ამბავს, ერთი სიტყვით გადაქრით არაფერი შემძლია ვსთქვა, მაგრამ ასე თუ ისე, კარგი საქმე მოხდა, ეს ბოქაული რომ ჩააძალდეს“.

ამ სუბპარში იყო ორი მეგობარი ვართული, რომ ხარის რეკვა შემოესმათ. დიმიტრი წამოხტა გაფითრებული და სიმონას უთხრა: „რაღაც უბედურებაა ჩვენს თავზედ. ვიჩქაროთ, ეკლესიაზე წავიდეთ, სხვაზედ ადრე მივიდეთ, ვისმეს რაიმე არ ათქმევინონ, ცუდი რამ, სოფელს ბიფათი არ ვადაკიდონ, წუხანდელი საქმის შედეგი იქნება“.

რამოდენიმე გლეხს უკვე მოეყარა თავი ეკლესიის გაღებულში; იქვე კი-
ცა ცხენოსანი კაცი იდგა. „რაშია საქმე, ამ შეადლისას რომ ასტეხით რეკვა,
ჩვენ გვევონა ცუცხლი ვიუნდა ვინმეს და მოვრბივართ? მისევესთანაა კარგითა-
თი დიმიტრიმ მოვროვილებს. არც ნაკლები საქმე მომხდარა ჩემს ცხენსა და სე-
სუბა ერთმა ხანში მესულმა გლეხმა, „წუხელ რალაცა ვაუგებდობა მომხდარა,
სტრატეიეებსა და ბოქაულს სროლა აუტეხიათ ერთი მეორეში, რამლის დრო-
საც მოუკლავთ თვით ბოქაული, ერთი სტრატეიკი და ჩვენი მამასახლისი სიკოია;
ეხლა შემოუთელიათ, თქვენი მიცვალუბული წაასვენეთო“. „იმ ოჯახამსებუ-
ლებს რას უშლიდა საწყალი სიკოია“. სიტყვა ხმაშაღლა დიმიტრიმ და იქვე
მოშორებით ჩრდილში დაჯდა.

ხალხი თანდათან გროვდებოდა. სიმონა წამოწოლილიყო ჩრდილში დიმიტ-
რისთან და ეჭურულებოდა: „დიმიტრი! აქ რალაც ამბავია. სიკოიას რა უნდო-
და იმ დროს ბოქაულთან? ისიც ჩვენი სოფლისაკენ მოეგზავრებოდენ. ველაპა-
რაკები სიფრთხილესა საქირო. ქალაქიდან ჩვენები რათ არ მოვიდნენ? მე რომ წე-
რილი ვადმოგეცი, იმაში ხომ ვწერა, დღესვე მოვალთო? იმ ასანამ არ დაგვლუ-
პოს დიმიტრი“. „სიმონა, ცოდება ასეთი ცილისწამება მავ კაცზედ, მას დიდი
ნამუშევარი აქვს“.

ხალხი თანდათან გროვდებოდა. მცხედარი მკვლევლობის ადგილზედ და ე-
ტოვებიათ და მცველები დაეტოვებიათ ქირისუფლის მოსვლამდე. სოფლიდან
სულ სამი თუ ოთხი ვერსის მანძილზედ მომხდარაყო მკვლევობა და საღამოს
ქამს სიკოია უკვე თავის ოჯახში იყო მოსვენებული.

დიმიტრი რომ დაბრუნდა სახლში ბნელოდა. ეთერი პატარა ქალიშვილით
ეროში იჯდა. ამ ბოლო ხანებში ეთერი სულ გამოიკვალა. დიმიტრისთან საუ-
ბარს გაურობდა, ნერვიულობდა. თუმცაღა როგორც ბევრჯერ უთქვამს დედი-
სათვის, დიმიტრი მას არასოდეს არ ყვარებდა. ბევრჯერ უთქვამს, რომ ის უბე-
დური არის, რომ მას თუ აერთებს რაიმე დიმიტრისთან, ეს მათი ქალიშვილი
თინა არის; და ეხლაც, დიმიტრი დალილი, დაბრუნებული რომ დაინახა მისული
მისთან კაკლის ხის ქვეშ, რომელმაც დაჯდომა დააპირა, რადგან ეთერიც იქ დაინახა,
ეთერი ადგა და წასვლას აპირებდა, რომ ვილაცამ ეზოს გადმოსავალთან დაი-
ძახა და ჩამოვიდა კიდევ. ეთერი შეეგება. თუმცაღა ბნელოდა, მაგრამ ადამი-
ანის სახის ვარჩევა კიდევ შეიძლებოდა. ეთერიმ დაინახა, თოთხჩეტ თხუთხერტი
წლის ყმაწვილი, მიდის აჩქარებული ნაბიჯით მისკენ. ეთერი შეშინდა მის და-
ნახვებზედ. ეთერის ასანა მოეჩვენა, მაგრამ უცბათ გონს მოვიდა. ასანა უკვე
ვატყავი იყო, ულვაშები, განიერი მხარ-ბეჭი, მალალი ტანი, ყველაფერი თვალ-
წინ უდგა ეთერს, ასანას სტუმრობისას მეორე ოთახიდან რომ ხარბათ სკერეტდა
მას. ეს კი, ახალგაზრდა ყმაწვილია—გაიფიქრა. „ვინ ბრძანდებოთ? კითხა ეთე-
რიმ მოსულს. „დიმიტრი მინ ბრძანდება? მინ ვახლავთ, აგერ კაკლის ხის
ქვეშ ზის“. უპასუხა ცივით ეთერიმ და სახლისაკენ გაეშურა. მოსული კი, და-
მიტრისთან მივიდა და წერილი გადასცა. დიმიტრიმ სთხოვა მოეცადა და თვი-
თონ კი სახლისაკენ წავიდა სინათლესზედ წერილის წასაკითხად და ამოიკითხა
შემდეგი: „მეგობარო დიმიტრი! ვილაცამ გავცათ, თქვენი ორგანიზაციის მშე-
რობა მთავარიანს შეატყობიეს. მოდიოდენ გუშინ თქვენ დასაპატიმრებლათ.
როგორც ვაიგეთ ეს საიდუმლოება იცოდა მხოლოდ ბოქაულმა და თქვენებურმა
მამასახლისმა. ისინი ორივე მოვიშორეთ თავიდან. ეხლა მოსტეხეთ ჯაშუში.
მეც განაზეთ ამ ერთ თვეში. თუ რაიმე ცნობა გეჭენს ჩემზედ გადმოსაცემი, ეს
ახალგაზრდა გამოივლის თქვენს სოფელში კიდევ, გინახულებს და მაშინ შემატ-
ყობინე. საიმედო პირია, ჩემი გაზრდილია, ასანა“. — გამოვიდა დიმიტრი, წერილი,
მოსული ახალგაზრდის მოთხოვნის თანახმად, უკანვე დაუბრუნა, დაპირდა ყოვე-

ლივე ლონისძიებთა მიღებას, რათა ეპოვნა გამცემი და ამის შესახებ შეიტყობინებთა კომიტეტისათვის.

დირიქტი მოუსვენრობამ შეიპყრო. ვერ წარმოვლდინა ვინ უნდა გამცემი. ვის უნდა სკოლნოდა იმ საღამოს რაზეღების შეკრება სასაშუალოსთან. მას ამის შესახებ ცნობა სიმონამ მოუტანა. ისიც დაბუკდილი კონვერტით. სიმონამაც არ იცოდა წერილის შინაარსი. მან თვითონ წაუკითხა სიმონას. არც რაზეღებებმა იცოდენ, სად ან როდის უნდა შეკრებილიყვენ. მიზეზი შეკრებისა მან, დირიქტამ ვაიკნო რაზეღებებს, რა მემართება? გამცემი ხომ ჩვენიმია? ვინ ვაიგებია მამასახლისს ჩენი შეკრებისათვის სამზადისი? ისიც მარტოკა ჩემსა და სიმონას მიერ გადაწყვეტილი? დირიქტის სისხლი აწვებოდა ყელში. ეს რა ფიქრები მომდის? ხუთუ დავიჯერო რომ სიმონა... არა ეს შეუძლებელია... აბა ვინ უნდა იყოს? გამოსავალი ვერ შიპოვნია.

ამ აზრთა ბორგევაში ვაატარა დირიქტომ მთელი ღამე. შორე დღეს სიმონა ინახულა. ყველაფერი მოუყვა და სიმონაც საგონებელში ჩააგდო.

იმ დღიდან სცილობდნენ გვეგვთ რაიმე კვალი გამცემის, მაგრამ ამათ, ვერავითარ ცნობას ამის შესახებ ვერ წააწყდნენ. დრო გადიოდა. ქალაქიდან არავითარი ამბავი არ მოდიოდა. სოფელი კი ემზადებოდა დირიქტის ხელმძღვანელობით.

ერთ საღამოს, როდესაც დირიქტი და სიმონა ჩვეულებრივად გლეხებში იხსდნენ და მუსაიფობდნენ, სადაც თითქმის ყოველ საღამოს, მუშაობის შემდეგ გულის გადასაყოლებლათ და ქვეყნის ამბების გასაგებლათ „ვადმოდიოდნენ“ ვერც კი შეამჩნიეს რომ მათ მიუახლოვდა ახალგაზრდა ჩაჩანი უბელო ცხენით, თან ტომარი ქონდა გადაკიდებული ცხენზედ. ყველაზე აღრე ერთმა მოხუცმა გლეხმა დაინახა და ხმა მალლა სთქვა: „დასწყველოს დნერთმა, რას დაეთრევიან ეს ჩაჩნები. კიდევ ჩვენში უნდა დაბანაკდენ? ავკიკლეს პირდაპირ. სიმონა მოტრიალდა და მართლაც დაინახა ჩაჩანი. გული შეუფართოხლდა, მას ასანა ეგვან პირველათ, მაგრამ რა დაინახა ახალგაზრდა ბიჭი დამწვრილი. დირიქტომ კი ვითომც არც შეუშინეგია, როგორც-კი მოკრა თვალი ჩაჩანს, ადგა და ხმა მალლა სთქვა: „წავალ სახლში, არ ჩაენეტონ ჩემსას, ეთერი მარტოკა არის.“ ამ სიტყვების შეიდეგ მოგროვილებს გამოემწევიდობა და წასვლას აპირებდა, რომ ჩაჩანიც მოვიდა, ბრდილობიანათ ყველას საღამო მისცა და სთქვა: „რისი გეშინიათ ბატონებო, მე მხეცი არ ვარ.“ შემდეგ მიუბრუნდა დირიქტის და კითხა: „იქნებ სიმინდი გაქვსთ გასაყიდი, ცხენისათვის მინდა.“ „გვიშოვნი“ — უთხრა დირიქტომ და ჩაჩანი გაყვა.

როცა სიმონა და გლეხები კარგა მანძილზედ ჩამორჩენ, რადგან დირიქტი ჩაჩარი ნაბიჯით წამოვიდა, ჩაჩანმა უთხრა: „მე და ასანა ამაღამ მოვალთ, დაგვხებდარე რაზეღებები, ადგილი შესაკრები ეხლავე მითხარით.“ დირიქტი ერთ წუთს დაფიქრდა და შემდეგ უპასუხა: „ჩემსას მოხვალთ, მე სოფელში ნდობა მაქვს, ვერაფერ ვაბედავს შემოსვლას, თან ეზოში კარგი ადგილი მაქვს თავშესაფარი, დარაჯებნაც ვიყოლიებ, ერთი სიტყვით ჩემსას მოვიყრით თავს.“ ჩაჩანი წავიდა. დირიქტომ თავისი ეზოს გადასავლთან შეიკვია, როცა გლეხებმა და სიმონამ ჩამოიარეს დირიქტომ დაუძახა: „სიმონა! შემოიარე ჩემთან, საქმე მაქვს.“ სიმონა! დაბალი ხმით უთხრა დირიქტომ, ის ჩაჩანი ასანის გამოგზავნილი იყო. ამაღამ ჩემსას მოვა. უნდა ჩვენი ბიჭები შევყაროთ, გადავიდეთ ჩემს სახლის უკან თბორლებში, იქ ვინ მოვავანებებს დარაჯებიც დავაყენოთ, უშობრათ ვიქნებით. მთვარეანი ღამეც არის და ვერაფერ გამოგვეპარება შეუჩინველი, თუ ვინმე გაიძვირამ მოისურვა მოყურადება.“

სიმონა წავიდა. დირიქტი მოვიდა სახლში და ეთერის უთხრა: „ეთერი, ამაღამ ჩვენსას ასანა იქნება. ვახშამი მოამზადე. მე საქმე მაქვს კოტა. მალე დაე-

ბრუნდები, თუ ვინმემ მიკითხოს, მომიყვალს“. დიმიტრიმ ჩამოუყარა სარკეროთ ამხანაგებს. სიმონასაც შეეტყობინებია. ძალე ყველა ადგილზე იყო.

დიდი ხნის ცდა არ დასკირებიათ შეკრებილებს. სიმონამ, რომელიც დიმიტრის ეზოსთან დარაჯობდა და უცდიდა ასანას მოხელას, რომელიც დახვეულ ტანისამოსში გახვეული ასანა, რომელსაც თან ახლდა ახალგაზრდა ჩაჩანიც, დამხდურები და მოსულები მიესალმებენ ერთი მეორეს.

სალამის მიცემისთანავე, ასანა თითქოს ჩასრიალდა დამხდურთა არსებაში და დაიკავა ყოველივე კუნძული მათი ორგანიზმისათ, ისე შეეპარო ყველა რაზმელები რაღაცა ძალას. ყველანი გაქვავებული იღვან ფეხზედ და მოელოდნ უწვეულო განცდათა ხლართში გახვევას.

ასანა ამეტყველდა. ყველა სმენად გადაიქცა. მისი ხვევრდევით რბილი, მასთან ერთად თითქოს კლდესავით შტკიცეც, შიშისა და შორიდების, თანაც პატრიისციემის გრძობის მომწერული სიტყვები დაეფულა რაზმელებს და ქანდაკებად ქცეულთ ვერც კი შეეშინიათ ასანას თანდათანობით აღელვება და გამოერკვენ მხოლოდ მასში, როცა მან განხეცებულის ხნით შეყვირა იქ მყოფებს.

„ჯაშუში თქვენშია და თქვენ კი გძინავსთ, იგი თქვენი მეზობელია და თქვენ კი სდუმართ.“ ის იმ წუთში ლოპს წააგავდა საბრძოლველად გამხადებულს. ის ამბობდა, რომ უსასტიკესად გაუმასპინძლდება გამცენს, თუ მისი კვლი მიავნო. სხვათაშორის სთქვა: „როდესაც ბოქაული და მამასახლისი მოგვკლით, ახურამ ბოქაულს ჯიბიდან ბარათი ამოუღო. ახურა ამის სახელია, იცნობდეთ, მითითათა მან ახალგაზრდა ჩაჩანზედ—“

„იქ არის აღნიშნული ჯილდო მამასახლისისათვის, ვის ოჯახთან აქვს მამასახლისის ოჯახს კარგი დამოკიდებულება და ახლო კავშირი? რატომ თვალყურს არ ადევნებდით, ვინ დადიოდა მამასახლისთან საცქერო პირი?“ დიმიტრიმ ძლიერ მოახერხა ჩარეულობა საუბარში და უთხრა: „მამასახლისის ოჯახთან, ჩემს ოჯახზე უკეთეს განწყობილებაში, თითქმის თელ სოფელში არავინ არის, ერთი ლაბერი და გესახლავს, ასე რომ მე ყოველ დღე შექირა თვალი იქეთ, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიე.“

„არ გეწყინოს დიმიტრი და თავის იმედი ხომ გაქვს? ხომ არაფერი წაგედენია მასთან საიდუმლოება საუბრის დროს?“ შე სხვებს ვაბრთბილებდი, თორემ თითონ როგორ მომივიდოდა ეგ უფიცობა?“ უთხრა დიმიტრიმ. „ჩემთან ეგ ხერხი ვერ გასჭრის. ერთი მიბრძანეთ, საიდან ჩაუვიარდა ეს ბარათი მამასახლისის ხელში?“ და ამ სიტყვებზედ ამოიღო

ჯიბიდან წერილი, რომელიც მან გაუგზავნა დიმიტრის, სადაც სწერდა: რაზმელები შეკრებიეთ, ჩამოვალთ და დავათვლიერებთო. „ეს წერილი ჩემი დაწერილია, ბოქაულს კი ამოუღეთ ჯიბიდან. მიიღე თუ არა შენ ეს წერილი?“ და ამ სიტყვებზედ ისე შეანათა თვალებით დიმიტრის სახეზედ, რომ ბუდამ მშვიდი და წინდახედული დიმიტრი, აცახცახდა, ენა დაება და რიცვალეზულის ფერი დაელო. „თი ამხანაგებო! სთქვა ასანამ, ენა ხომ ხედავთ ვინც ყოფილა გამცემი და აბა თქვენვე უნდა გაუმასპინძლდეთ ღირსეულათ ნივას, თორემ...“

დამსწრეებს თითქო ცივი წყალი გადაავლესო. ამ უცარ და საკვირველ ამბავში, ყველანი გააქვავა. ასანა კი ნადიროვით ქშინავდა. „აბა ყველანი თანახმა ყოფილხართ, რომ რომელიმე ამხანაგი ჩამოსულყო იმ საღამოს თქვენთან, თქვენი როგორც საქმის მოწყობასთ ხელს არ გახლებდენ, იმის კი ჩაიგდებდენ ხელში...“

აქ შეთქმულება ყოფილა ზეენს წინააღმდეგ; იქნება დღესაც მოწყობილი გაქვსთ საქმე ისე, რომ მეც დამამატმპრონ. ახურა მზათ იყავ... მიიძახა მან მხლებელს. „მე გიჩვენებთ თქვენ ასანას ვაცემას.“

ამ სიტყვებზედ ელვასავით იელვა ოვეოლვერის ლულამ მთვარის შუქზედ. ახურა გაწერთილი ჰყავდა ასანას.

„ასანა!—თითქმის ვედრების კილოთი დაიწყო სიმონამ: „უბედურება, რომელიც ჩვენ ამ წუთში დაგვეცა თავზედ, განუსახლვრელია. მიზეზი იმისა, რომ

ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერაფერს ამბობს, ის არის, რომ დიმიტრიმ შერეა ამ საქმის ჩადენა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ იარაღის არ გვეშინია, ან დაგვბოცავს, ან იქნება ჩვენც დაგამარცხოთ, მაგრამ ეს საქმეს არ ატყუებენ შერეულად მუხრებში აგრე უცბათ იმაში, რომ ჩვენ ყველა შეთქმულნი ვართ: მტრის მტრისა და მის უმეტეს დიმიტრი.

არა ასანა! აქ სხვა ხელი მუშაობს, უფრო დინჯათ შეუდგეთ საქმის გამოძიებას. სთქვით ბიჭებო რაიმე, აბა ასანამ რა ქნას, მას საბუთი ხელში უჭირავს, ასე როგორ იქნება. იქნება მე ესცდები. თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ მისი გაბათილება, მაშინ ღირსნი ვყოფილვართ იმისა, რითაც ჩვენ უმასპინძლდებით ჯაშუსებს.*

ასანამ ჩაიღო ჯიბეში ყუმბარა, რომელიც სასროლად მოემზადებოდა. ახურა კი, ისევ რევოლვერ ამოღებული იღვავა. „დიმიტრი! სთქვი რაიმე, იმართლე თავი“ ეუბნებოდა სიმონს. „წერილი მე მივიღე“, ძლივს გასაგონი ხმით დაიწყო დიმიტრი. „ჩემი საიდუმლო მიწერ-მოწერა დამალული მაქვს და იქ მედო ეს წერილიც; აქ საიდან გაჩნდა, არაფერი ვიცი. რომ ამ საქმეში მე უდანაშაულო მსხვერპლი ვარ, ეს მხოლოდ მე ვიცი მარტოც.“

„დიმიტრი! დაიწყო ასანამ, ჩემთვის ნაკლებად ძნელი არ არის უდანაშაულო პარის შეურაცყოფა, მაგრამ აბა შენ წარმოიდგინე თავი ჩემს ადგილზე და მასწავლე როგორ მოვიტყუე.“ „არა ასანა.“ უკვე გაბედული ხმით სთქვა დიმიტრიმ. „ასანას მე ვერაფერს ვერ ვასწავლი. შენ არაფერ შუაში ხარ. საბუთი გაქვს იფიქრო ისე, როგორც ლაპარაკობ, ოღონდ ერთში მომეხმარე. მიჩინე როგორ მოვიშორო ეს ჩირქი, რომელიც მეცხება; რომლის სახელის ტარებასაც, მე მიჩინებია ყველაფერი—რაც სიკვდილზე უარესიც არის—წვალება, წამება“...

ასანა მოლაბა, ახურას რევოლვერი შეიანახია. „აბა ამახანაგებო!“ ძველებური სიმტკიცით სთქვა მან. „მე ხვალაც აქ ვიქნები. მე ამაღამ არ ვიცი სად მომიხდება ყოფნა, მაგრამ ხვალ ისევ შევიყაროთ თავი. შესაკრებ ადგილს მე თვითონ შეგატყობიებით, შენ კი დიმიტრი, ხვალამდე ვადა გეძლევა. მეც ამ სოფელში ვიქნები, მეც ვეცდები, ეს საბუთები შენ არ დაგემსხვრეს თავზედ, თორემ ყველაფერი გათავდება. ნახვამდის ყმაწვილებო!“

ახურა გაყვდა და ასანა წაივია.

ცოტა ხანს კიდევ იყვნენ თავმოყრილნი დაუშლელათ და მომხდარი ამბის გამო აღშფოთებულნი ვერ ახერხებდნენ საუბრის დალაგებას. „ბიჭებო! დაიწყო სიმონამ, რომ დიმიტრი არ იქნება გამცემი, ამაში, მე მგონია, ყველანი დარწმუნებულნი ხართ.“ ყველაფერი ჩემს საწინააღმდეგეთ ლაპარაკობს სიმონს. „სთქვა დიმიტრიმ, თქვეთთან რა უნდა დავფარო, არც ვინათ მქონდა რაიმე დაფარული, სადაგელო აზრები მომდის თავში. იქნება ქუთავა დეკარავო კიდევ. მე ვფიქრობ, იქნება ის ქალაქი მომპარა ვინემ. იქნება ჩემს სხვა ქალაქლებთან რომლებსაც საიდუმლოთ ვინაზავ, მიაგნო გამცემმა. ეს ყველაზე ადრე უნდა გამოვარკვიო და თუ მართლა ჩვენი მთელი საიდუმლოება ჯაშუსმა იცის, მაშინ დავიღუპეთ, ასანაც არ მაპატიებს ამას. მე სიკვდილის კი არ შეშინია და არც ვნანობ. მხოლოდ ის მაწუხებს, რომ მთელი არსებით ვემსახურებოდი ამ წმინდა საქმეს და გამცემის სახელით, ამხანაგების შემარცხებელიათ უნდა მოვიხათლო. არა, თუ ქალაქები ვერ ვნახე, მე თვითონ მოვიკლავ თავს.“

სანამ აქ შერგოვლები აჟათობდნენ, ასანამ ამ კრებიდან წასულმა, როგორც კი გაუპირდაპირდა დიმიტრის სახლს, ახურას უთხრა: „დიმიტრის სახლი უნდა გაეხზრიკოთ. შენ გარეთ იდარაჯე“, ამ განკარგულების შემდეგ, ასანამ ფრთხილად დაუკაქუნა კარებზედ. „ვინ ბრძანდებით!“ მოესმა შიგნიდან ქალის ხმა და კარებიც გაიღო. შეუპოვარი და მხნე ასანა სანახაობამ შეარ-

ყია. ლამპის სინათლეზედ, მის წინ ეთერი იდგა. ასანა დაიბნა. ვერაფერი მოახერხა ეთქვა. არ მოვლოდა ეთერის შეხედრას, მით უმეტეს ბაქ...

ეთერი დამშვიდებული იდგა, როგორც გამარჯვებული. ნადიერი თავის მსხვერპლს უტყუროდა. ეს ერთი წუთი იყო და ათასი სწავლანსა და სწავლათა გროვამ გადაიფრინა ორი შეყვარებულის თვალ წინ... „მობრძანდით“, პირველათ ეთერიმ დაარღვია მუდროვება. ასანა გამოერკვა. „უკაცრავად, დიმიტრი შინ არის?“ „მობრძანდით დიმიტრი ხომ თქვენთან იყო ეხლა“.

ასანას რაღაცა ძალამ წაქრა უკანიდან და ანგარიშმოუცემლათ შევიდა სახლში, მაგრამ უცბათ გონს მოვიდა, განმტკიცდა და ვაჟკაცური სულით აღიფსო.

„მე აქ საქმისთვის ვარ მოსული. მე მინდა თქვენი ბინა გაესტაბრიკო“. „ასანა! შენი სიტყვიერია მიყვარხარო, ეხლაც ესმის ჩემს ყურებს...“

პირველათ რომ აქ მოდი მაშინ კი არა, ჯირითზე რომ ვიყავით, მის შემდეგ ჩემს თავს, არც ოჯახს, არ ვეუტუენი... არ ვიცი რას ჩავდივარ... რას უშვრები... შეიზღებდა ყველა... დიმიტრიც... ნაწყვეტ-ნაწყვეტათ უკვე აღუღებულის ხმით ძლივს გავსაგონებლათ ისროდა სიტყვებს ეთერი.

ასანა წახდა, და როგორც შეშინებული ბავშვი აკანკალდა.

გამოირკვა მხოლოთ, როდესაც იგრძნო ნაკვერჩხალივით ცხელი მკერდი თავის ნეკრღზე.

„ვილატყები მოდიან“. წასტურწულა ეთერიმ. ასანა გასწორდა, ძველებურათ მიმოიხედა, დაიწყო აზრების კრებება; საიდან გაჩნდა ეთერი აქ? შეათასჯერ ეკითხებოდა თავის თავს.

დიმიტრი და სიმონა დაშლილ კრებიდან, ამბანაგებს აცილებდნენ ეხო-დან. ახურა ჩასათურდა მათ დანახვებზედ, როდესაც დიმიტრიმ და სიმონამ დაბრუნებულებმა, სახლის აივანთან მიაწიეს, მათ წინ გადუდგა რვეოლვერით ხელში ახურა და ორივე შეაჩერა. „სახლს ჩხრეკავენ“.

ასანა გამოვიარდა გარეთ სახლიდან ამ ხმაზედ: „დიად საჭირო იყო“, სთქვა მან ძველებურათ რკინის ხმით.

„მე მოხარული ვარ ასანა, მეც დაგეხმარები, გავიგოთ საქმის სინამდვილე“. ამ სიტყვებით მიმართა დიმიტრიმ ასანას და სახლში შეიპატოტა.

კოტა ხნის შემდეგ, ოთხი ერთი მეორის ამხანაგებნი თუ მტრები, ისხდენ დიმიტრისას და კანათობდენ.

საუბრის თემა არეული იყო. ნდობა და უნდობლობაც გამოსქვივოდა აზრებში; ამას ორივე მხარე გრძნობდა.

„ასანა!“ სთქვა დიმიტრიმ. „მე მინდოდა ბვალინდელ დღეს შეხვდე სიამოვნებით. თუ ის საბუთი ვნახე, რომელიც მე გამოვიგზავნე, ეს ხომ ჩემთვის ბედნიერება იქნება და თუ არა, ისიც სასიამოვნო იქნება, რომ პატიოსან მებრძოლს გამცემის ბილწი სისხლით ხელს არ გავასვრევიებ. მე თვითონ გაუმასპინძლდები მას, ესე იგი ჩემს თავს“.

ასანას რაღაცა აზრი მოუვიდა. უეცრად ადგა. გაიარ-გამოიარა, აღელვებდა დაეტყო. ახურა ჩვეულებრივად აიფაფრა; ის გაწკრთნილი იყო. ასანას აღელვებდა მისთვის ცხადია, რომ წინამორბედი იყო თოფის წაშლის სუნის, სისხლის ღვრის, სიკვდილის ანრდილი. ეტყობოდა ასანას ახალი აზრი მოუვიდა. მუშტები მოეშრა, კბილი კბილს დააჭირა და ისეთი ტკეპა მოადენია, რომ სიმონას ეგონა სახლის დილე გატყდაო.

„იქნება მართალი ვიყო და ვაი მაშინ ასანას“, თქვა ასანამ გაურკვეველად. შემდეგ კოტა დამშვიდდა, ახურაც დაცხრა. „რას ლაპარაკობ ასანა?“ შეეკითხა დიმიტრი. „არაფერი... ვიგაბშნოთ... დავიძინოთ... ხვალ დამშვიდებული მუშაობა გვკვირდება. კვლევამიებისას სიფიცზე საქმეს ახდენს.“

მდგომარეობა შეიცვალა. თითქოს არაფერი მომხდარიყო, მუსხაიფი სულ სხვა საგნებზე გადაიტანეს, რადგან დიასახლისიც შამოვიდა და სულურას გაწყობა დაუწყო. ძალე ვახშამიც შემოიტანეს.

ეთერი ალღევება ეტყობოდა. ამას დიმიტრი და სიმონა მისმისებურათ ხსნიდნენ. ასანა თავისებურათ.

როცა ყველანი დასდნენ, დიმიტრიმ დაარღვია პირველათ მყუდროება და შეეკითხა ასანას — ასან! შენ გიცნობთ კარგათ, მაგრამ ეს ყმაწვილი ვინ არის, ყოჩალი ყმაწვილი ყოფილა, ასეთი ახალგაზრდაა და შენ დაგყვება, ისიც იმისთანა საქმეზედ, როგორსაც ამას წინათ ბოკაულთან შეხვედრისას ქონდა აღგლიწ?

„ეს ყმაწვილი თქვალა ძალიან ახალგაზრდა არის, მაგრამ ჩემი გაწვრთნილია. მე უნდა მაჯობოს. მე რომ მაგისოდნა ვიყავი, ვერაფერი ვაქციე გახლდით მაინც და მაინც, მაგას კი, ეხლა ჩემსათვის შეუძლია ყველაფერი. ცოტა გამოცდილება აქლია, მაგრამ მე ჯერ ცოცხალი ვარ, რაც გამოცდილება მაქვს, მაგისათვის მიწადა, თითონაც ცოტას შეიძენს და ყველა ეს მისცემს საშუალებას, გამოსადეგი კაცი გახდეს... ამ თუთხმეტი თუ თექვსმეტი წლის წინად, ამ სოფელში მდგომ ჩაჩნებს ვახდი, ადგილს ვიცვლიდით. ერთ დღეს ჩვენზედ ჩამორჩენილმა დედაკაცმა, რომელიც აქიმ მარჩიელათ ირიცხებოდა ჩვენთან, მოიყვანა ეს პატარა ახალ დაბადებული. იმ მარჩიელს ზემა ერქვა. ჯერ ის ზრდიდა, შემდეგ ჩვენ ყველა. როდესაც ცოტა მოიზარდა და თავის ტოლებს ჯობნება დაუწყო, და ისიც ვიცოდი რომ ის ჩაჩანი არ იყო, მე ავიყვანე გასაწრთუნელათ. მათთან ცხოვრობდა, მაგრამ მე დამყავდა და მოშავლისათვის ვამზადებდი.“

ეთერი ამ ამბის გამგონე, გულწასული, სკამის გადასაწოლზელა იმაგრებდა თავს. ცოტა შეინძრა და სკამიდან გადავარდა. მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს ეთერის გულის წასვლა. მისცივდნენ, იყვიანეს, იქვე ტახტზე დააწვიანეს, წყალი ასხეს და ძლიერ მოიყვანეს გონს. ეთერის პირველი სიტყვა თვალების გახელისას იყო: „ჩემი შვილი... ჩემი დაკარგული ვაჟი... მე... მე ვარ მაგის დედა...“ ბუტბუტებდა ეთერი. ბოლოს გიჟივით წამოვარდა, მივარდა აზურას და შეერდში ჩაიკრა.

ყველა საბტად დარჩა, ვერ გაეგოთ, რაში იყო საქმე.

„უბედურება დამემსხვრა თავზედ, ეთერიმ ჭკუა დაკარგა“. იყვირა დიმიტრიმ, მაგრამ, ეთერი წელში ვაიმართა, „არა... დამაცადეთ... ყველაფერი გათავდა... ფარდა უნდა აეხადოს ყველაფერს... მე გიჟი არა ვარ. უკვე სრულდებით გაბედულოთ, თითქმის ყვიროდა ეთერი მე სინამდვილეს ვალიარებ. ასანა! აზურა შენი ვაჟია, მე დედა ვარ მაგის...“

სიმონა და დიმიტრი გაქვავებული იდგნენ. ორივენი გრძობდნენ, რომ ფეხქვეშ ნიადაგი ეტლებოდათ. თავში ორივეს კორიანტელი უტრიალებდა. ყურებშიც თითქოს რაღაცა უცნაურ ზღაპარს ისმენდა, ასანა კი მიხვდა, რომ აზურა მათი პირველი შეხვედრის შედეგია და დუმილს მიეცა.

„ღიახ“, განაგრძო ეთერიმ. „მე გიჟი არა ვარ. სანამ დიმიტრის გაყვებოდა, მე ერთს მაშინ ჩემებრ ახალგაზრდას შემთხვევამ შემაერთა. იმ ღამის შემდეგ, მე ის არ მინახავს, არც ვიცოდი ვინ იყო იგი, აი ეს თქვენი მეგობარი ასანა გამოდგა. ეს მან ეხლა იცის უკვე. დღემდე არც მან იცოდა მე სად ვიყავი. შემთხვევამ შეგვახვედრა ისევ ორივე...“ გიჟური გამოხეტყეულებით ყვებოდა ეთერი.

აზურა სიზარულთ კანკალებდა.

ბევრჯერ გაუტაცია აზურა სურელის იმის შესახებ, რომ სცოდნოდა ვინ იყო იგი, ვისი შვილი, სადღური, როგორ მოხვდა ჩაჩნებთან. უნდოდა მასაც გა-

ნეცადა მშობლიური სიყვარულის გრძობა. გული სწყლებოდა და ენა რ/ოცა მისი საყვარელი აღმზრდელი ასანა, მისი მამა გამოდგა, მივარდა და თვალეში კოცნა დაუწყა.

„დიმიტრის მე ძალათ გამაყოლეს“. განაგრძობდა ეთერი *როსის სტრასტოზედ შეეხვდი ასანას, მე გული ვამივიდა... მის შემდეგ მე დიმიტრი შეზიხლება. ერთხელ მისი მოწამელაც კი ვაიფიქრე. ბოლოს ვახვიზრახე შავის მოცილება თავიდან სხვა ხერხით და მე მოვპარე მას წერილი, რომელიც მამასახლისს გადაეუცი მაშინვე. რაც გინდათ მიტენით... შეილა, ახურა, შენ ერთხელ დაიბადე გამოქვაბულში, იღვისა და გრგვინვის მეფობის დროს და მეორეჯერ იბადები მშობლებისათვის, პიროვნებათა აღლეების, წყროვის, უცაბედათ გაუბედურებისა და ვაბუნდინერების დროს“. ანთებული თვალებით, აღმოდებული მღელვარებით ყვიროდა ეთერი.*

ასანამ მუტები მოკუწმა „მაშ შენ იყავი გამცემი? შენ, ეთერი, რომელხელაც მე ჩუმათ თითქმის ელოცულობდი... ეთერი, რომლის შეხედრაც მე მაშინებდა? ასანა ღრიალებდა, თავის თავს ებრძოდა. სიყვარული იდეისადმი, თუ ეთერისადმი; თითქმის შეჩერდა, ვაიფიქრა რალაცა და ბრახპირეულმა დაიყვირა „რაც გინდა მიყავით, ნახევარი გულიც რომ ამომქრათ, იღვას არ უღალატებ... შენ... ეთერი, მოლაღატე, გამცემი ხარ?“ და ამ სიტყვებზედ ელვის სისწრაფით მიაჭედა ტყვია შიგ გულში.

ეთერი უხმოდ დევირდა იატაკზედ.

მე დედის აღერსი მწყუროდა—შეყვირა ახურამ.

ერთი სროლით, რომელიც პირდაპირ შებლში მოახვედრა, ასანა მღაილით ძირს დასცა; თვითონ კი ელვის სისწრაფით გაიქრა გარეთ და მთვარის შუქზედ ლანდივით შეუდგა ნაცნობ სერს. სროლის ხმაზედ, მეზობელი მისკვიდლებს. აღმინისტრაციაც განჩნდა. სიმონა და დიმიტრი დააპატიმრეს. გადაცვალებულ ასანას გვამიც კაიკელიარიაში გადაიტანეს. დილის გამოძიებამ ახადა ფარდა ასანას ვინაობას. დადასტურდა, რომ ის არის გურული ასლანა; მეტი სახელი „ქარა“; ისიც დადასტურდა, რომ ბინა დიმიტრისას ქონია და სიმონაც მონაწილე ყოფილა მათა საქმიანობის. სიმონა და დიმიტრი ქალაქში გადაგზავნეს.

ახურამ მღებარეობა კარგათ იცოდა და იმ ღამესვე, უშიშარ ადგილას შეაფარა თავი. იმ ღამეს არაფერი უგრძენია, მხოლოდ მეორე დღეს სამშვიდობოზე გასულმა ახურამ პირველად იგრძნო ობლობა, მარტოობა, სიკვლიერე და ეს შეუპოვარი ახალგაზრდა მთის არწივი, სულიერათ დაავადდა... დიდი ბორჯვის შემდეგ, ხმა-მალა სთქვა:... მე უკვე არაინა მყავს ერთის მეტი და ეს ერთი არის საქმე რომლისთვისაც მამაჩემს, მეორეჯერ პირისპირ წაუყენებოვარ სიკვდილთან. ის იყო მამია საყვარელი საქმე და მეც მას უნდა ვემსახურო, მაგრამ მე ხელმძღვანელი მკარდება, ამისათვის დიმიტრი უნდა ვინახულო“. დაადგა ამ გადაწყვეტილებას და ხევში ჩამოსასული მლიკს ჩამოყვა.

ხეულებით ჩამოსრიალდა შავხევას ნაპირამდე. მისი მშფოთვარე ტუტუს კური დაუდგო, გახტრებული სახე ვაიჯრილა და წისვლას აპირებდა, მაგრამ ფეხის ხმა შემოესმა. ჩასაფრდა.—დაინახა ვილაც დედა-კაცი მოდიოდა, როცა გაუპირდაპირდა, გამოვიდა საფარიდან და კითხა: „დედი რა ამბავია ხევში, წუხელის სროლა ისმოდა“. „უბედურება დატრიალდა შეილა, მასწავლებელ დიმიტრის დედა ყაჩაღები, ცოლი მოუკლეს, ერთი ყაჩაღიც მოუკლავებს! დიმიტრი და ერთი ჩვენებური გლეხა დაიჭირეს და ქალაქიდან ჯარი ჩამოვიდა იმათ წასაყვანიდ, ამბობენ ახალაობაშიდაც ურყვიანო“.

ქალი გზას გაუდგა. აზურამ დაასვენა — ისინი დაიჭირეს, ყველაფერი განთავსიარავდა, შიშის მიწერ-მოწერა ქონდა საიდუმლო, ისიც ხელში ჩაუკარდათ. მათი განთავსიარავება არის საჭირო...

კანცელიარიანზედ ხალხი დაგროვილიყო და სამგლოვიარო ღონისძიებებოდა. დიმიტრი და სიმონა ბაწრით გადაბმული გამოიყვანეს, ჩაიყვანეს შეიარაღებულ ცხენოსან სტრანელებში და გაუყენეს გზას ქალაქისაკენ.

სულიერათ ნატანჯნი და აუარებელ ფიქრთა-ბარგ აკიდებულნი სიმონა და დიმიტრი მიდიოდნენ ხელი ნაბიჯით, სტრანელები კი უჭიაროდნენ და დრო-გამოშებით მათრახსაც უტყუა-შენებდნენ.

„მაღე გავიაროთ ეს წყეული ადგილი“, სთქვა ერთმა ხანში შესულმა სტრანეკმა. „სახიფათო აქ“... ბიჭებო ფრთხილად იყავით და ვერც კი მოასწროთ დათავება, რომ დამაყრუებელი გრიალი გაგორდა ხვეში. წუთით დამფრთხალში სტრანელებშიც ასტეხეს სროლა. მალღონიდან სადაც აზურა იყო ჩასაფრებულნი, სროლა თანდათან შეწყდა, შემდეგ სრულებით შესწყდა. ხუთი კაცი დასტოვა სტრანელებმა მოკლული. დიმიტრი და სიმონა კი წაიყვანეს. აზურა მსუბუქათ დაჭრილი კლდეებს შეეხიზნა.

6

სოფელ ხევისძირაში, იქ, სადაც კანცელიარია იყო, ხალხთა ნებისყოფას წითელი დროში აფერილებია. სოფელები მთელი დღე დაფუსფუსობდნენ ახალი საწყაროს ამენების სურვილით აღსაყენი. მოხუცი თუ ახალგაზრდა, ვანი თუ ქალი, ყველა რეკომის ირგვლივ ირკალებოდა.

კვირა-დღე იყო. ხალხს ზღომათ მოეყარა თავი რეკომთან. „აბა რას გვეტყვი ახალს?“. — მიეგვია ხალხი ქალაქიდან ახლად ჩამოსულ თინას, რომელსაც მკერდზედ წითელი ვარსკვლავის ნიშანი ქონდა გაკეთებული. ფოსტა მოვიტანე, რეკომის თავმჯდომარეს გადაეცემ და ყველაფერს გავიგებთ რაც შიგ იქნება — უპასუხა თინამ.

სხვა და სხვა მიწერ-მოწერათა შორის, ფოსტის პარკში, აღმოჩნდა წერილი ხევისძირას რეკომის სახელზედ, რომელშიც თავმჯდომარემ ამოიკითხა შემდეგი: „სალამი ამხანაგებო! ეს ათეული წლები, რომელიც უთქვენოდ გავატარეთ, წუთად გვეჩვენება, ღრმად დარწმუნებულნი, რომ ერთხელ აღებულ გზას თქვენთან ერთად განვაგრძობთ. გიხლოვდებით შორეულ ვიატკიდან და ამ დღეებში ხევისძირაში ვიქნებით. მიიღეთ ამხანაგური სალამი. ძირს აწერდნენ: დიმიტრი და სიმონა. თინას ლოყები აუწითლდა, თვალები დაუფართოვდა და სიხარულით ენაც დაება. რეკომის თავმჯდომარე გამოვიდა ხალხთან და გამოაცხადა: ამხანაგებო! თინამ დღეს ძლიერ სასიამოვნო ცნობა მოგვიტანა. შიშ-შიში დიმიტრი და სიმონა. რომლებიც ვიატკაში იყვნენ გადასახლებულნი, ამ დღეებში თქვენთან იქნებიან. უკანასკნელი სიტყვები თავმჯდომარის, დაფარა: „გაუმარჯოს“ გრიალმა, რომელსაც ამართულ კლდეებშიც ბანისცეს.

უღეგა

გბანა მის მიღწეულად

მომქმედნი:

რევაზ.

ვამეხ: რევაზის ვაჟი, უმფროსი.

ილო: რევაზის ვაჟი, უმცროსი.

ქალე.

კოსტა: ზედამხედველი მუშაობის.

ნიკო: მწარმოებელი მუშაობის.

სანდრო: მთავარი ინჟინერი.

გიგა.

კაციო.

თადია.

ანდრო.

ლექსო.

სიკო.

ელო.

ესმა.

ხარაჩო.

რადიო.

ფინჩულ: ყარაჩოლელი, თეატრალური მასკა.

ბიჭია: ყოფილი აზნაური, თეატრალური მასკა.

ჯგუფები: ვაგების და ქალების

მიღწევა:

არხის გაყვანა.

(აქ აღებული მასალა და მისი გაფორმება ახალია. უოველ შემთხვევაში—ავტორისათვის. ამ ტექსტის საბოლოო ჩამოყალიბება შესაძლოა მხოლოდ დადგენების შემდეგ, რადგან ეს პიესა „სცენარია“ არსებითად. ამისათვის ავტორი უფლებას იტოვებს იმ ცოტაოდენ შესწორებებს, რომელნიც ავტორთან ერთად რეჟისორამ შეიტანა პიესაში,—კიდევ დაუმატოს სხვა შესწორებანიც საბოლოო ტექსტს.

პიკველი მოქმედება

(ხარაჩო კაშხალთან)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- რ ე ვ ა ზ. (უახლოვდება ხარაჩოს საფერხეს. ლურჯი ქვა დიდი, გატეხილი. რევანს ილუშება.)
არ იშლიან. ქვა გაუტეხიათ.
- გ ი გ ა. (შემოდის მეორეს მხრით)
რა გაუტეხიათ?
- რ ე ვ ა ზ. ქვა. ფუძეში ჩასატნევი ქვა.
გ ი გ ა. (დასკქერის დირეს)
განა ქვა ცოტაა?
- რ ე ვ ა ზ. ქვაც არის და ქვაც.
ეს ქვა ათასწი მჭონდა ამორჩეული.
- გ ი გ ა. იგეთი ქვა კიდევ ბევრია მოყრილი.
რ ე ვ ა ზ. არ შეგლდება. ეს სხვა იყო.
- გ ი გ ა. კიდევ ბევრს ნახავ მაგისტანას.
რ ე ვ ა ზ. გეტყობა: ახალგაზდა ხელოსანი ხარ.
გ ი გ ა. რაეა?
- რ ე ვ ა ზ. ყოველი ქვისაგან არ გამოვა საკეთი.
ქვაც არის და ქვაც.
შენ ღურგალი ხარ და უნდა იცოდეს:
ხეც სხვა და სხვაა.
- გ ი გ ა. ეს კარგად ვიცი.
- რ ე ვ ა ზ. თუ იცი, ამასაც გაიგებ:
შუშისაგან სახლს ვერ ააშენებ.
- გ ი გ ა. შუშისაგან ვერა, მაგრამ ქვისაგან კი.
რ ე ვ ა ზ. ქვაკირიც ქვაა, ხოლო დოლაბს ვერ გამოიყვან.
(იღებს გონიოს: ზომავს მეორე ქვას, იღებს
საკვეთელს: სინჯავს)
- გ ი გ ა. გეტყობა: ქვის ყველაფერი იცი.
რ ე ვ ა ზ. თითქმის, ვიცი ყველაფერი.
- გ ი გ ა. ხელოსანიც მარჯვე ყოფილხარ.
რ ე ვ ა ზ. ამბობენ.
(დაფიქრდება)
იცი, რაა ხელომბის საიდუმლო?
- გ ი გ ა. (გაკვირვებით)
რის საიდუმლო?
- რ ე ვ ა ზ. ხელომბის.
- გ ი გ ა. მითხარ თუ იცი.
- რ ე ვ ა ზ. ხელოსანის ნდომა მასალის სურვილიც უნდა იყოს.
- გ ი გ ა. არ მესმის.



- რ ე ვ ა ზ. ხომ შეგხვედრია ასეთი ხე:
მოლუნაგ—შვილდი კეთილდება თვითონ.
- გ ი ვ ა. შემხვედრია.
- რ ე ვ ა ზ. ან ასეთი:
როცა სჭრი, თვითონ გამოდის კოდალი.
- გ ი ვ ა. მინახავს.
- რ ე ვ ა ზ. ან კიდევ ასეთი:
გსურს მაგარი ძელი გამოსჭრა,
მაგარი, როგორც კალასო.
მორს ჯერ ჭერქს აცლი, შემდეგ ცილს,
ნერე მიჰყუები ნელინელ: აცლი და აცლი:
ჯერ ერთ ფენს, შერე შოორეს, შემდეგ მესამეს.
ბოლოს—თითქო გველი ჭერქიდან გამოძერაო—
ხელში გრჩება ტიტველი ძელი, ტყავამძერალი:
სპილოს ეშვივით გლუვი,
თითქო ნაჯახის პირი არც მოხვედრია—
მაგარი, როგორც კალასო.
- გ ი ვ ა. მაგეთიეც შემხვედრია.
- რ ე ვ ა ზ. ჰო და თუ გინახავს—
ხელობის საიდუმლოსაც მიხედები.
მასალის მიმართ არ უნდა იყო მოძალე:
ძალაობით არა გამოვა რა.
- გ ი ვ ა. ხომ უნდა დაიმორჩილო მასალა?
- რ ე ვ ა ზ. რასაკვირველია, უნდა დაიმორჩილო.
მაგრამ ეს კიდევ არ არის ხელობა,
მასალას უნდა ებრძოდე, ერეოდე,—
მაგრამ ისიც უნდა მოგყუებოდეს,
უნდა გნებდებოდეს, უნდა გეშლებოდეს.
- გ ი ვ ა. მაშინ გამოვა საკეთი, არა?
- რ ე ვ ა ზ. უთუოდ.
შენი ნდომა მისი ნდომაც უნდა იყოს.
- გ ი ვ ა. ეს ხეში, ქვაში? ქვა ხომ მკვდარია.
- რ ე ვ ა ზ. მკვდარიაო? ვინ გითხრა?!
ქვაც ისეთნაირადვე ცოქხლობს, როგორც ხე.
ისაც მიწის ნაყოფია.
- გ ი ვ ა. ნუ თუ?!
რ ე ვ ა ზ. რომ იცოდე, თუ როგორ იზადება
და იზრდება ქვა მიწაში:
როგორ ივსება და როგორ კვრივდება.



- გ ი გ ა. უცნაურიია.
- რ ე ვ ა ზ. ყველაფერი მოქმედობს ქვაზე:
ქარი, წყალი, წვიმა, სიციხე. მრავალი სხვა.
არ გინახავს ქარისაგან გატყაული კლდე?
ან წყალისაგან დამბალი სიპი?
ან წვიმისაგან გაუღენთილი ფილოაქვა?
ან სიციხისაგან აღუებული სილაქვა?
- გ ი გ ა. როგორ არ მინახავს?
- რ ე ვ ა ზ. თუ გინახავს, არ გეუცხოვება:
ყოველ ქვას სახე აქვს.
დააკვირდი კლდეებს, ნაპირებს, ნაპრალებს.
რამდენი ლანდური სახეა იქ—მოფარიან ლამეში.
რამდენი პირი და რამდენი სახე!
- გ ი გ ა. მომჩვენებია ხანდახან, მეც.
- რ ე ვ ა ზ. ჰო და: ეს სახეები უნდა გამოსკრა შათგან.
ხელობა ეს არის.
- გ ი გ ა. ალბად ბევრი გამოგვიჭრია?
- რ ე ვ ა ზ. (დახედავს საკვეთელს. იღებს ხელში.)
ჩემ საკვეთელს ბევრი ახსოვს:
ბევრი მიკვეთია, ბევრი მითლია,
ბევრი მიწახნაგებია.
- გ ი გ ა. მქანდაკი ყოფილხარ.
- რ ე ვ ა ზ. არა მარტო მე.
- გ ი გ ა. როგორ?
- რ ე ვ ა ზ. მთელი გვარი. ჩვენი.
(რევან იღებს ქისას. ამოაქვს მოკლე ტარიანი ჩიბუხი, იღებს კეცს,
აბედს, კვესს. თუთუნით ტენის ჩიბუხს, გაჭკრავს. უკიდებს. გიგა
უკეჭრს გაკვირვებით. პაუზა. შემდეგ ისიც იღებს საპაპიროსე კო-
ლოფს და ასანთს. გაჭკრავს. სწევს.)
- გ ი გ ა. როგორ?
- რ ე ვ ა ზ. ხედავ გალმა კოშკს?
ლამაზად აგებულა, არა?
- გ ი გ ა. მართლაც ლამაზია.
- რ ე ვ ა ზ. ათასი წლისაა.
- გ ი გ ა. ძალიან ნობუცი ყოფილა. მერი?
- რ ე ვ ა ზ. მერი და: ის კოშკი, გადმოცემით,
ჩვენი გვარის ოსტატს აუგია.



- გ ი გ ა. ნუ იტყვი!
- რ ე ვ ა ზ. ასე ამბობენ.
- გ ი გ ა. ალბად ზღაპრული ამბავია.
- რ ე ვ ა ზ. ასე ამბობენ და რა ვიცი.
- გ ი გ ა. ქვის ხელობა მემკვიდრეობით ვადმოგცემია.
- რ ე ვ ა ზ. ასეა. მაშაც ქვის მკვეთელი იყო ჩემი.
მამის მაშაც. ყველა.
- გ ი გ ა. ქვის საიდუმლოც მიტომ გცოდნია.
- რ ე ვ ა ზ. ჩვენთვის ქვა ყველაფერია.
ზოგისთვის ხეა, როგორც შენთვის.
წვივმაგარი მუხა მაგალითად.
ზოგისთვის რკინა, ან რვალი.
ჩემთვის ქვა არის. ქვა.
- გ ი გ ა. განა?!
- რ ე ვ ა ზ. დიხ! აიღებ ქვას და იცი:
თუ რას იძლევა იგი: იცი მისი ჩრდილი, მისი ნათელი.
ხშირად ქვა საოცარ ხელობას იჩენს თვითონ:
არის ქვა, საცა ფოთოლია გამოყვანილი.
ისეთიც არის, საცა წყალის ცვარია ამოჭრილი.
მინახავს იშვებრიც, საცა მთელი სურათით:
ირმის მსგავსი, თუ თევზის, თუ ფრინველის.
- გ ი გ ა. მრავალი ქვა ლამაზი უნდა იყოს.
- რ ე ვ ა ზ. ლამაზი და მერე როგორი?
მარმარი მსხვილმარცვლოვანი,
მარმარი წვრილმარცვლოვანი.
ფერად: წითელი, მეწამული, მუქრუხი, ნათელრუხი.
ქვა ხატულა და ფორაჯა:
მალახიტი—მწვანე, პორფირი—ყვითელი და კვირვალი,
ლაპის ლაზული—ლაკვარდი, იაშმა.
ონიკს—ყვითელი, კატის თვალივით:
ყველა ძარღვიანი და ნიშნიანი, ნიშა.
- გ ი გ ა. რამდენი გცოდნია:
- რ ე ვ ა ზ. კიდევ რამდენია, ვინ მოთელს?
ქვა ცისფერი—ლაბრადორი —
ისერის ცისფერ ლივლივა ნაპერწყლებს:
ხმარობენ ფილებისათვის—სასახლებში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- გიგა. ამ ქვას რა ჰქვია?
(უთითებს ქვაზე)
- რევაზ. ეს გრანიტია. ლუწი გრანიტი.
საქართველოში ბევრი მოაპოვება.
- გიგა. მაგარი უნდა იყოს.
- რევაზ. მაგარია, ნისთვის ხმარობენ დიდ ნაშენისათვის.
გრანიტი გამოსადგვია დიდ რამეებისათვის:
პირამიდებისათვის, სადგურებისათვის.
ქარვილს იგი ვერ ითმენს.
ყველაზე უფრო მაგარი გრანიტი ეგვიპტურია:
მწვანე, თითქო ბრინჯაოს ზღვიკი.
ძნელი საშოვარია.
(პაუზა. მოდის კაცია. მას მოჰყვება ილო. ადიან წელი ბიჯით ხარა-
ჩოზე. ჩერდებიან სახერხთან. გაწვდილია დიდი ძელი. იქვე დევს
ბირღაბირი.)
- გიგა. საგუმბარის სათავეს რომ გრანიტით ავაშენებდეთ.
- რევაზ. ავაშენებთ. ავაშენებთ.
(პაუზა. კაცია ხერხს ასწევს.)
- კაცია. ერთი კბილი ამოვარდნია.
- ილო. არა უშავს. კიდევ ბევრს გასძლებს.
- კაცია. კბილებიც დაბლაგვია.
- ილო. გავპიროთ ცოტა.
- კაცია. ქლიბი სადაა?
(ეძებს)
- ილო. იქ დამჩა. წაეალ და მოვიტან.
- კაცია. უჭარე. უკვე დასამხრდა.
(ილო მიდის)
- გიგა. მგონი, ისევე ცუდი ტაროსი დაიჭიროს.
(შემოდის ანდრო. ადის ხარაჩოზე.)
- ანდრო. გავიხმეს ენა, გიგა!
- რევაზ. რას იწყებლები, ანდრო?
- ანდრო. ამინდის-მზომავი ცუდ ამინდს უწყენებს.
გიგას ენამ თუ უყვილა.
(ანდრო უახლოვდება ძელს. იღებს სალაშინს.)
- გიგა. რაეა, ჩემი სიტყვით შეიცვლება ტაროსი, თუ?
- რევაზ. დაანებე თავი.
(ანდრო თავისთვის ჩურჩულებს)
- ანდრო. მოგოზვა უნდა.
(იღებს ხის ჩაქურს. ურტყამს სალაშინს. შლის, ხსნის, გოზავს ზე-
თით.)
- გიგა. ვაი, თუ კიდევ აღიდდა მდინარე.
(მოდის ილო. მოაქვს ქლიბი).



ილო. შარშან კინალამ დაგვამხო მაგ წყეტულმა.
 რევაზ. წყალდიდობამ?
 ილო. ხოო. არ გახსოვს?
 რევაზ. როგორ არ მახსოვს!
 ანდრო. რევას რომ ჰკითხო,
 წყალდიდობა ბედნიერებააო,
 კაცი. რაიო? წყალდიდობა—წყალდიდება, არა?
 (იღიმება)
 რევაზ. არა, შე კაი კაცი.
 შესაძლოა წყალდიდობა ბედნიერებად ვაქციოთთქო.
 აი რა ვთქვი. მეტი არაფერი.
 ეს არხიც მისთვის გაგვყავს.
 (პაუზა. მოდიან: თადია და ლექსო. მართავენ სამკედლო კერას.)
 გიგა. უბედურება ბედნიერებად აქციო—არ მესმის.
 რევაზ. ძველ ბაბილონშიაც ასე იყო.
 თადია. დიწყო თავისი.
 ლექსო. აუშვა საღერდელი.
 რევაზ. რაიო?
 გიგა. არაფერი. როგორ იყო ძველ ბაბილონში?
 რევაზ. ჯერ სანახები და მიდამოები.
 ვანის ტბიდან, ცოტა ჩრდილოით,
 იწყება განთქმული მდინარე ევფრატი.
 როგორც ჩვენი უღეგა მორბის იგი ცხარი
 აღმოსავლიდან დასავლისაკენ:
 მთებში ვეშაპივით იკლავება.
 გაივლის ხუთას ვერსს და უეცრად უბევს:
 ჯერ სამხრისაკენ, მერე დასავლისაკენ,
 შემდეგ ისევ აღმოსავლისაკენ—
 მთების ზვეულს ემორჩილება.
 აქ, მის გვერდით, იწყება მეორე მდინარე:
 არა-ნაკლებ განთქმული ტიგროსი.
 მდინარეები ეხლა ახლო არიან ერთიმეორესთან,
 მარა ჯერ კიდევ არ უნდათ შეხვედრა: ვითომ.
 ტიგროსი მიიმართება ვანის ტბისაკენ,
 საიდანაც გამოდის ევფრატი:
 მდინარენი სხვადასხვა მხრით ილტვიან.
 მარა ტიგროსი ვერ არღვევს უტეხ კლდეებს:
 მიჰყვება მთების ზვეულ ზევებს
 და მიხვევ-მოხვევის შემდეგ დიდ მანძილზე
 პირს იქცევს გულმოსული სპარსეთის სრუტესაკენ.
 ევფრატი დასცილდა მას ამ დროს:



ეხლა თითქმის ოთხასი ევრსია მათ შუა მანძილი,

იწლება მათ შორის მთიანი მხარე,
მწვანე ტაშირი, მოკული მაღალი ბალახით.

ევფრატს სულ ცოტა დარჩა --

შეერთოს ხმელთაშუა ზღვას.

მაგრამ აქ მას ლიბანი ეღობება წინ --

და მდინარე უხვევს სამზრისაკენ,

შემდეგ სამზრ-აღმოსავლისაკენ,

ტიგროსის მიმართულებით.

მდინარენი უახლოვდებიან ერთმანეთს.

ასორმოკლდათი ევრსის მანძილზე

სპარსეთის სრუტედან

მდინარენი ერთიან ერთიმეორეს

და ერთ მდინარედ გაშლილნი

შედიან ზღვაში.

კაცია. გეოგრაფია ზეპირ სკოდნია რევაზს.

ლექსო. საღ ამოიკითხე რევაზ?

რევაზ. ერთმა სწაელულმა ვიამბო.

ანდრო. შემდეგ?

რევაზ. ეხლა ნიდაგი ამ მხარის.

ორ მიდინარის შუა მოქცეული მხარე ნაირნაირია.

ევფრატი აცალკეებს მას უდაბნოსაგან.

გაზაფხულობით, ევფრატის აღიდების შემდეგ,

ტაშირი შიშინობს მაღალი ბალახით.

ბალახი მკერდამდე სწვდება მაღალრქიან ხარებს.

თადია. ხარების რქებიც სკოდნია -- ბაბილონის...

რევაზ. რაო?

გივა. არაფერი. განავრძე.

რევაზ. ზაფხულის ბოლოს სისხლისმსმელი მზე...

კაცია. საიდან იცი, რომ მზე სისხლს სვამს?

ანდრო. დაინებე, კაცო, თავი.

რევაზ. ჰო და: სისხლისმსმელი მზე

სდაგავს, სწვავს მდელოს.

თუ არ აწვიმდა შემოდგომით, აღრიან,

მაშინ მარცხენა მხარე ევფრატისა --

უდაბური ხდება, როგორც მისი მარჯვენა მხარე.

მარა, ჩამდენი უახლოვდება იგი ტიგროსს,

იმდენი ლაბაზი ხდება მხარე.

ტიგროსის ხაზით ბორცვები იმართებიან.

ბორცვსა და ბორცვს შუა რუჰ ჩხრიალებს.

ასეთი რუჰ მრავალია.

ბალახი სქელია აქ უფრო და მწვანე.



ლექსო. კიდევ გეოგრაფია.
ილო. აცადე, კაცო.
გიგა. განავრძე რევახ.
რევახ. სხენაირია მხარე მდიარეების დაახლოვების ადგილიდან.
 ვიდრე სპარსეთის სრუტესთან შერთვამდი.
 ეს დაახლოვების ადგილი ახლანდელი მაგდალია.
 უძველეს დროში მაგდალის სამხრეთ მხარე
 ფსკერი იყო ზღვის სრუტისა.
 გამუდმებულ მოხეტიაეს ტალღებისას
 სილა მოჰქონდა და ხერგი.
 ზღვის ნაპირი კი სულ იქით და იქით მიდიოდა.
 ასე წარმოიშვა სილიანი ბარი—
 ნამდვილი საჩუქარი ზღვისა.
 ამ მხარეს ძველად სენნაარი ერქვა.
გიგო. მერე, მერე?
რევახ. უკვე მივადექი ხმელეთსაც.
 ეს ხმელეთი სილიანი იყო და ქვიშიანი—
 შემოდგომაზე და ზამთარში.
 აქ სიციოცხლის ნიშან-წყალაც ჰქრებოდა.
 არ იყო მცენარე. არ იყო ბალახი.
 ქვიშიან უდაბურში მხოლოდ ეკლიან ჩირგნარი ხარობდა.
 იქ ჰქროდა ამ დროს სამხრეთ-დასავლეთის ქარი,
 რომელსაც სილის გუნდები მოჰქონდა
 მეზობელ არაბეთიდან.
 ხანდახან მშვიერი ტურა ჰქიოდა.
კაციო. მხარე, რევახ მხარე.
რევახ. არც გაზაფხულს და ზაფხულს იყო სენნაარი
 მაინცა და მაინც სახარბიელო.
 შემოდგომაზე და ზამთარში სენნაარი იყო
 სილა-ქვიშიანი უდაბნო.
 გაზაფხულზე და ზაფხულში იგი იყო
 წყალის მერეთი, წყალის ჭბოლოება.
 მარტის დასაწყისს დიდდება ტიგროსი.
 მარტის შუაში იწყებს დიდებას ეფერატი.
 აპრილში აღიდებულ მდინარეების წყალნი
 ერთვიან ერთიმეორეს, დიდდებიან:
 თითქმის ერთ დიდ ტბად იჭყევიან.
 მთელი აპრილი და მთელი მაისი
 აღიდებაა ეფერატის, უტეხარის.
 ტიგროსი უფრო ადრე სცხრება:
 მაისის ბოლოს იგი კალაპოტში დგება უკვე-
 ეფერატი უტეხია, დაუმცხრალი.

მთელი იენისი მისი წყალი ერთ ღონეზე დგას.

მხოლოდ იელისის დასაწყისს იწყებს კლებას.

მხოლოდ ენკენისთვეში დგება იგი თავის ნაპირებზე.

სენნაარი ექვსი თვე წყალ-ქვეშაა.

თადია. კაი ამბავია, შენ ნუ მომიკვდე.

რევაზ. სწორედ აქ იწყება კაი ამბავი.

ლექსო. ბედნიერება სადღაა?

გიგა. აცადე, კაცო.

რევაზ. ბედნიერებაც აქ იწყება.

აი, სწორედ აქ გაჩნდა ბაბილონის დაარხვა.

ანდრო. არხები, არა?

რევაზ. სწორედ. არხები.

მთელი მხარე, ევფრატსა და ტიგროსის შუა,

ხალხმა გაერთიანებული ძალით

დათხარა: გაიყვანა არხები.

არხების საშუალებით შიგადაშიგ გაჰყავდათ წყალი

და შეჭქმნეს ხელოვნური ტბები.

ნაშთი ამ ტბებისა ეხლაცაა ბაბილონის დასავლით.

ველებიდან, საძოვრებიდან, ეზოებიდან—

გამართული იყო ქსელი დაშვების,

საიდანაც წყალი არხებში გადადიოდა.

ასე დაგროვილი წყალი იდგა ზამთრამდე:

არ შრებოდა. თან ნიადაგს ანოყიერებდა,

წყალდიდობის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ

ამირიგად უკვე შრებოდენ ველები.

ახალი წელი წყალდიდობიდან იწყებოდა.

მეორე თვეს ასე ეძახდენ:

„თვე გამოსვლისა (მიწის) ზღვიდან“.

ეს თვე უდრიდა ჩვენი

აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისს.

იენისში სენნაარი უკვე მოსავეალს კრებდა.

მარიობისთვის ბოლოში თავდებოდა პირველი მოსავეალი

და ველები კიდევ შექმლოთ დაეთესად.

რასაკვირველია:

თუ შემოდგომა კარგი ტაროსიანი იქნებოდა.

გიგა. აი ბედნიერება.

ილო. მართლაც.

ლექსო. მარჯვე ხალხი ყოფილა.

რევაზ. მარჯვე და მერე როგორი!

ეს მოხდა 6.000 წლის წინად

ყველი. ოპოო...



- რევაზ. აბაა...
- ლექსო. რევაზს უნდა ჰაბილონი აქ გავაშენოთ.
- თადია. ან და: ზაბილონის გოდოლი.
(იციინის)
- ყველა. ხა... ხა... ხა... ხა... ხა...
- რევაზ. რას ხუმრობთ?
დალპით აბა ლენჯყოში,
ან და იხრაკეთ გვალვით.
(ზაბილონის ანბავის მოყოლის გასწვრივ მუშები თავიანთ სახმარსა და იარაღს მართავენ. რიგი სინჯავს იარაღსა და სახმარს, რიგი შეგადაშიგ კიდევ იწყებს მუშაობას.)
- გიგა. კიდევ თუ მოვარდა უღევა...
შარშან ხომ ამოგევაგდო...
- რევაზ. არაფერია... წელს დავიმორჩილებთ...
(პაუზა სამი წამი. ახლოვდებიან მუშები. ზურგიდან ისმის ვამებისა და კალეს ხმაილალი ლამარაკი. თვითონ არ სჩანან. ხარაჩოზე მყოფნი სდუმდებიან ერთი წამით. ყურს უგდებენ.)
- კაცია. კიდევ იღრინებიან...
- ანდრო. ვამებს და კალე, არა?..
- ილო. სწორეთ... ნაგაზნებივით იღრინებიან...
- გიგა. რა აქვთ გასაყოფი?..
- კაცია. (მღერის ნელა)
შავთვალა გვერდით ჩაიარს,
ჯეელებს წააკიდებსა...
- თადია. (აგრძელებს სიმღერით)
კალეს და ვამებს გადაყრის,
შეახლის კიდით კიდესა...
- ყველა. ხა... ხა... ხა... ხა... ხა...
- ასე იცის შავთვალამ... ასე იცის...
(შემოდის ვამებს აღრენილი. შემოდის კალე ამრეზილი. თან მოჰყვებათ სიკო.)
- ყველა. ვამებს გაუმარჯოს!..
- ვამებს. (მწყრალი)
გაგიმარჯოთ!..
- ყველა. კალეს გამარჯობა!..
- კალე. (დაღვრემილი)
გამარჯობა, გამარჯობა...
- სიკო. (მიდის ტრაქტორთან, რომლითაც ტუმბო უნდა აამუშაოს. სინჯავს, მართავს.)
- ვამებს. (კალე)
მეორედ არ გაბედო!..



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- რევაზ. (შეკრით)
რა დაგემართა შეილო?...
კალე. (ვამებს)
არ გაგებდო, თუ არა...
რევაზ. (შეკრით)
რას იღრინები კალე?
ვამეხ. (კალეს)
თუ არა და, რა?...
რევაზ. (შეკრით)
რას ირქინები ბიჭო?...
კალე. (ვამებს)
არ გაგებდო თუ არა,
მკლავი არ გამოცუდო...
ვამეხ. რააო?... გაიმეორე კიდევ!..
კალე. გავიმეორო თუ არა, მამი შენისამ...
(ვამეხ გადაეარდება შესატყვად. ჩოჩქოლი. ხრიალი. კალე მარჯვედ
დგას. ორივე ძალაყრილია. ძალაში თუ სიმარდეში ერთმანეთს
შეედაეებთან.)
რევაზ. შეჩერდი ბიჭო!..
(ვამეხის გადაბტომისას სიკოს კივილი)
სიკო. მიიშველეეთ!
(ხრიალში რაღაც კარგათ ვერ მომართა. ტრაქტორი იფეთქებს, სი-
კო ალში ეხვევა. ვამეხს და კალეს წამსავე ავიწყდებათ შეხლა.)
ხმები. ბრეზენტია. ბრეზენტი!..
(საცა კალე დგას, ბრეზენტი. ვამეხ და კალე ეცემიან ბრეზენტს.
გაეარდებიან, ხვევენ სიკოს ბრეზენტში.)
ვამეხ. მაგრად...
კალე. მარჯვედ...
ხმები. მკიდროდ... მაგრე... მაგრე. .
ვამეხ. აქეთ, კალე ..
კალე. ასე, ასე, ვამეხ...
(დახმარებისას ვამეხ და კალე რბილდებიან.)
ხმები. გადარჩა...
გადაარჩინეს...
ყოჩაღ ვამეხ...
ყოჩაღ კალე...
(ვამეხ და კალე ხელებს გადააკლობენ, აიტაცებენ გახვეულ სიკოს.
მიჰყავთ ხარაზოდან.)
რევაზ. ჩხუბს ეს არა სჯობს?
გიგა. ჯეელებია...
კაცია. სისხლი ერჩით...



თადია. როგორც მოზერებს...

ყველა. ჰა... ჰა... ჰა... ჰა...

(ბრუნდებიან ვამეხ და კალე. ებლა: ხალისით იღიმიან და შეხტება ხარაჩოზე. მოტრიალდება. ხელს უწვდის კალეს. კალე ხელში ხელს ჰკიდებს, მიდიან ერთად სამუშაოთ.)

ვამეხ. ეჭიმს გადავეციო, არა უშავს-რა.

კალე. არ დაშავდება, მალე მორჩება.

ყველა. არაფერია...

ჯეილებია...

(გაისმის გონგის ხმა, შემოდის კოსტა.)

კოსტა. აბა შევეუდგეთ.

ყველა. იიიარააა უუდეგააა!..

(იწყება მუშაობა. მუშაობას დაერთვის ნელი ლიღინი, რომელიც თანდათანობით იშლება და ძლიერდება. მთავარი ხევეული სიმღერის „ვახტანგურია“— „ვა დელი ვაღილა“. ერთს ჯგოფს გაპყავს ეს ხევეული. სხვა ჯგუფები, თვითიველი სხვადასხვანაირად, უხვევენ ამ ხევეულს, შემდეგ ისევ უბრუნდებიან მას და ყველანი ერთი-მეორეს ერთვან. სიმღერაში მონაწილეობენ ნივთები. ჯერ მდინარის შტილი, მოწყობილი როგორც მუსიკალური საკრავი. შემდეგ თვითონ სახმარები და იარაღები და მათი რიტმები: მჭედლების ქურა და გავარვარებული რკინის ქედვა, მხერხავეების ხერხვა (ერთი ზემოთაა ძელზე, მეორე ქვემოთ, ხერხი ბირდაბირია), დურგლები: სრიალი სალაშინის და თლა ძელის, რევაზ და ერთი მისი მოსწავლე ქვას აწახნაგებენ (ისმის ჩაქური და ქვის ნაბერწყლები), ტრიალი საბურღე ბორბალის, მოშორებით რელსი შიაქეს ხუთ მუშას გაწევით (ისმის ქშენა). გვერდით შეიდი მუშაა დამღვარი: კიბე გაუკეთებიათ თავისგან თითქო. ერთი ესერის ქვას მეორეს, მეორე იქერს და თავის მხრით ესერის მესამეს, მესამე იქერს და ისერის—და ისე: ვიდრე შევიდენ არ დაიქერს და არ გადასცემს კალატოხს. სიმღერის ხევეულები სახმარების თუ იარაღის ხმებსა და რიტმებს მიჰყვებიან: ზოგი ჩქარია და სხარტი, ზოგი მსუბუქი და ნელი, რიგი მკვეთრია და მკუხავი, რიგი მგაბრი და მოგუგუნე. სიმღერის ათანდათანებაში სპარბობენ მკვეთრი „ვაღილააა“ და მოგუგუნე ხმები „ვაჰეე“. ამათში—მოგუგუნე: „ვააა-ჰეეე“, „ვააა-ჰეეე“. დროგამოშვებით შეუქრება: „ეარუღილა ვაღილა, ვაა“. ხანდახან მთელი სიმღერის ტანს სერავს რკინის ფურცელის ტერციალი, რომელიც ისმის შორიდან. ამ ტერციალს ანელებს გონგის დანელებული ბოლმიანი გუგული. შიგადაშიგ—სასიმღერო შაირიდან რომელიმე მარჯვე სიტყვა ამოვარდება და გავარდება კრიალით—„ჰერიჰაის“ მოყოლებით. მღერიან ამ ლექსს):



ტივით მივალთ, ტივით მივალთ,
მე და ბიჭი თანდილა.
თუ მარცხი არ დაგვემართა,
ქალაქს ჩავალთ ხვალ-დილა.
ვაა დელი ვადილა,
აბა ბანი თანდილა.

ცუდ ალაგას შემოლამდა,
არც მთვარე ჩანს კაშკაშა.
ეს ხევი აქ ნაძრახია:
ხელიც აგვითამაშა.
ვაა დელი ვადილა,
აბა ბანი თანდილა.

მარცხნით, მარცხნით, აბა მარჯვეთ,
უნდა ავცდეთ იმ ქიშსა.
აი ასე: ხომ გადავრჩით,—
მთამაც დაიკისკისა.
ვაა დელი ვადილა,
აბა ბანი თანდილა.

ამ კლდის პირას წყლის გოგონა,
ლურჯთვალა და თეთრკელა,
შუღამისას თმას ივარცხნის,
მაცდური და ტიტველა.
ვაა დელი ვადილა,
აბა ბანი თანდილა.

გოგონაი გაგვიცინებს,
ტალღას გვესერის პეშვითა,
წყალს კისკისით გადაეშვის,
მოეჭკევა ქვეშითა.
ვაა დელი ვადილა,
აბა ბანი თანდილა.

ტივით მივალთ, ტივით მივალთ,
მე და ბიჭი თანდილა.
აწი მარცხის არ გვეშინის,
ქალაქს ჩავალთ ხვალ-დილა.
ვაა დელი ვადილა,
აბა ბანი თანდილა.



მომკამელება

ხარახოზე—მეშები, ეტყობათ დაღლილთა. თვლა იწმენდენ შუბჭოდან და მკურნავენ ბელი თითით, ზოგი მიღლი ზელას-ცულით, ზოგი მკლავით, რიგი მარჯვენათ, მარჯვენათ, იწმენდებიან: სველეს ასწორებენ, იწევა შესვენების ხანა, მეშები რაც-რაცათ სცილდებიან ხარახოს, იარაღს თუ სახმარს „მოფერებით“ აღადგენენ; თითქო ასვენებენ.

- რევაზ. შაა, კიდევ გადიხარა.
- კაციკი. საიდან იცი?
- რევაზ. ღრუბელზე ვატყობ, ცუდ ამიდს აპირებს.
- თადიკი. ვარსკვლავთმრიცხველია.
- გიგია. ტყვილად კი არ უყვარს ბაბილონი.
- ლექსო. რაეა?
- გიგია. ვარსკვლავთმრიცხველები ბაბილონში გაჩენილან პირველად. (პაუზა ხუთი წამი).
- რევაზ. შაა, ბიკიაც მოდის.
- ყველა. (გულლია სიცილით).
ბიკიას გაუმარჯოს, ბიკიას.
- ბიკია. გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ.
(რევაზ ჩიბუხს იმართავს).
სხეა?
- ბიკია. შენგან არ მიკვირს, რევაზ!
- რევაზ. რა გიკვირს?
- ბიკია. ეს ანგლინური ჩიბუხი.
ჩიბუხი, რევაზ, გძელ-ტარიანი უნდა.
- რევაზ. (ღიმილით).
ორი ალაბი, არა?
- ბიკია. ცოტა კიდევ მეტი.
(იღებს ქისას. ამოაქვს თუთუნის. მარცხენა ნეკზე მამლის ჭაცვის ოდენა მოუჩანს ფრჩხილი გაფშვკით გაწვდილი. იღებს სათუთუნე ქალაღს. თასმავს პაპიროსს. მოხდენით ანთებს ასანის. ცეცხლს უკიდებს.)
- ბიკია. ჩიბუხის ტარი სამი ალაბი უნდა იყოს.
კარგი ბლისაგან უნდა იყოს გამოკრილი.
თუ ახალგაზდა ნერგი იქნა, ეს კილომ უკეთესი.
ჰეე, დრონი მეფობენ და არა მეფენიო—
კარგათ უთქვამთ ჩვენ ძველებს.
- ვამეხ. (ღიმილით).
რაეა ბიკია?
- ბიკია. რაეა ჩემო ვამეხ და—
ამ კიაცელას უნდა ეწეოდეს ბიკიეი ცხინკვადე?
- კალე. (ირონით)
დი-დე-ბული ანზო-უშვი-ლი...
- ბიკია. დიხაც დიდებული.

- ცხინკვაძეები არც ერთ თავადიშვილებს არ ჩამოუყვარდებოდნენ/
 ვამეხ. არც გასაყვიროა.
 ძალიან გაქნილი ყოფილან, როგორც ამბობენ. მარკინეშვილი
მინჯალიყოსიძე
 აზნაურობა ცხინკვობით მიუღიით.
- ყველა. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა...
 ბიჭია. ყმარწვილო ენამახვილობაც ისწავლე?
 ვამეხ? არა ღმერთ წინაშე:
 ცხინკვაძეების წინაპარს თურმე
 ოცჯერ შეეძლო დამცხიკება ზედიზედ მიყოლებით.
- კალე. ზურნუთს თუ იყრიდა ცხვირში.
 ვამეხ. საქეც იმაშია, რომ უზურნუთით.
 ლექსო. მერე?
 ვამეხ. მერე და: მიუყოლებია ერთხელ ზედიზედ ცხინკვაძე
 მეფის წინაშე და: აზნაურობა მიუღია.
- ყველი. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა...
 ბიჭია. არც მაგრეა, შენ ნუ მომიკვდე.
 ჩვენი გვარი სხვა იყო ძველად.
- თადია. ეჲ, დაიწყო თავისი.
 ბიჭია. დეილოცა ღმერთო შენი სამართალი:
 ეს ბიჭები უნდა დასცინოდნენ ბიჭიე ცხინკვაძეს?
- რევაზ. ხალისობენ, კაცო, ხალისობენ.
 (პაუზა ორი წამი)
 რევაზ. ჭიკაყელას რას ერჩი?
 ბიჭია. რას ვერჩი?
 ამ ჭიკაყელას უნდა ეწეოდეს ბიჭიე ცხინკვაძე?
 (იწყება ირონიული დიალოგი ბიჭიასა და რევაზის შუა. ერთიკა და მეორეც ირონიით ლაპარაკობს. მხოლოდ: რევაზის სიტყვას არ ემჩნევა ერთგვარი წუხილი, რომელიც მოსჩანს ბიჭიას სიტყვაში.)
- რევაზ. რა დაგიშავა მაგ ჭიკაყელამ?
 ბიჭია. მითხოვე ერთი ძაი ჩიბუხი.
 (რევაზ აძლევს. ბიჭია აგებს ჩიბუხს გველ წერილ ჯოხზე, მიჯდება ქვაზე ოდნავ წამოწოლით. ჩიბუხის თავს გაწვდილ ფეხზე დებს. თითქო წევს.)
- რევაზ. ჰა. ცხლა ვიცი.
 ბიჭია. ჩიბუხს ძაძია ასე უნდა სწევდე.
 გენოა ყველაფერში თავიდათავი.
 ჩიბუხის თავი მარჯვენა ფეხის ცერზე უნდა იყოს.
- რევაზ. მარჯვენა ფეხი კი მარცხენაზე.
 ბიჭია. უთუოდ, აბა ისე რა გემო იქნება?
 რევაზ. ახლა თუთუნის ანთება.
 თუთუნი ნაკვერჩხალის ნატეხით უნდა აანთო.
- ბიჭია. ნაკვერჩხალი კერიდან უნდა აიღო:
 ბიჭმა უნდა მოგიტანოს გაფშეკილი საყეცეთი.



- რევაზ. ნაკვერჩხალის ნატეხი ჩიბუხში უნდა ჩარჩეს.
 ბიკია. სულ ცოტა. ერთი ფინჩა. ერთი ფიორი.
 ვამეხ. (სიცილით)
 აბედს რა უშავს?
- ბიკია. დამაცალე კაცო.
 იმე, რო არ აცლიან კაცს არაფერს!
- ვალე. განაგრძე. ბიკია, განაგრძე.
 ბიკია. ჰო და—იმას ვამბობდი:
 ბიჭს უნდა მოჰონდეს ნაკვერჩხალი.
 ჰეეე, რამდენჯერ მოუტანია ჩემთვის ცეცხლი იესიკას!
 დრო იყო, რევაზ ჩემო, დრო.
 (პაუზა ორი წამი)
- რევაზ. წვეის დროს ჩრდილ ქვეშ ჯობს ყოფა.
 ბიკია. უთუოდ. ჩრდილი დიდი ნიგვზის უნდა იყოს.
 რევაზ. ნიგვზის ქვეშ გძელი ქვა.
 ბიკია. უთუოდ. სიპი-ქვა. იცი, რევაზ ჩემო, იცი.
 რევაზ. ზედ ხალიჩა.
 ბიკია. კაშანში ნაქსოვი.
 რევაზ. იწვე და..
 ბიკია. აბოლებდე... ჰეე, რა ჯობს ამას?..
 ლექსო. მოგენატრა ბიკია?
 ბიკია. საღერღელი ამეშალა, უმარწვილო, საღერღელი.
 რევაზ. შემდეგ პირის გემო.
 ბიკია. თუ გწამს ღმერთი, ნუ გამახსენებ.
 ვამეხ. არა, მაინც...
 ბიკია. აბალი ვარია.
 რევაზ. შემწვარი თუ მოხარშული?
 ბიკია. არა, შემწვარი, უთუოდ შემწვარი.
 და მერე—შემწვარი კეცსა და კეცს შუა.
 რევაზ. თან კარგად გამომცხვარი ჭადი.
 ბიკია. ისიც კეცსა და კეცს შუა. უთუოდ.
 რევაზ. ფოთლებში გახვეული: ისე გამომცხვარი.
 ბიკია. ფოთლები ვაზის უნდა იყოს, ან ნიგვზის.
 რევაზ. ვარიასთან წვენი.
 ბიკია. ისრიმ-მაყვალი, რევაზ, ისრიმ-მაყვალი... მშმ...
 რევაზ. შემდეგ ღვინო.
 ბიკია. უთუოდ მაღლარი, ჩქეფი მაღლარი.
 თუ მაღლარი არ იქნა, მაშინ ან ჩხავერი ან ოჯალეში.
 რევაზ. ღვინო ჭინკილით.



- ბიკია. არა, მე კულას ავირჩევდი.
ყანურატოს რაკრაკი უხდებდა, რევახ, რაკრაკი.
ჰეი, გიდი, რა დრო იყო...
- რევახ. გადახრისას სანადიროდ ვასვლა.
- ბიკია. მაჯაზე კაპუციტი მიმინო ეყენებოანი.
- რევახ. რომელიც მიქელაძის ბაზიერს გამომართავს.
- ბიკია. არა, მე გურიელის ბაზიერს ვამჯობინებდი.
- რევახ. ნადირობა—ცხენით.
- ბიკია. ცხენი ყაბარდოს ლაფშა მირჩენია.
- რევახ. კარგად გახედნდილი, რასაკვირველია.
- ბიკია. ხედნაში გურიელი და მიქელაძე არ დამპირდებდა,
მიუშვი სადაც და—ჰეი გიდი... რა დრო იყო...
წვევიდა ყველაფერი რევახ ჩემო, წვევიდა...
ეხლა ხალისი არაა სიცოცხლის,
გეტყვი მე შენ გატეხილს...
არც შნოა, რევახ ჩემო, თუ დამიჯერებ...
აბა, რაა ეს მითხარი, თუ ძმა ხარ: განა სიცოცხლეა?..
- ქალე. ფრთხილად ცხინკვადე!..
(მუშები იმრიზებიან)
- ბიკია. რაფა, ტყუილს ვუნობ ბოშო თუ?..
(მუშები იღვრებიან. უნდათ მაგრათ შეეუკრობონ ბიკიას, მაგრამ ამ
დროს შემოგორდება ფიჩხულ, ანათორაში გამოწყობილი—და ყვე-
ლას სიცილი აუვარდება.)
- მუშები. ეს საფთხოზელა ვილაა?..
- ფიჩხულ. ჯეჰლეებს ვაუმარჯოს:
(ბიკია აკვირდება. ახედ-დახედავს. ჭეკრად წამოიძახებს.)
- ბიკია. შემაჩვენე ვინცხამ! ვის ვხედაე ამას?
მამკალით კაკალი კაცი, თუ ეს ფიჩხულა არაა.
- ფიჩხულ. მე ვარ, მე, „ამხანაგო“ ბიკია.
- ბიკია. იმე, იმე, იმე, იმე...
- ფიჩხულ. ვაპ, ვაპ, ვაპ, ვაპ...
- ბიკია. შენც მიცანი განა?
- ფიჩხულ. ათას კაცში გამოგვიცნობ.
(ფიჩხულ იგლეჯს შიკრულ წვერს)
- ბიკია. ეს ანათორა რაღაა? ღვეღვად ეკურთხებ?
(ზითხითებს)
- ფიჩხულ. ტერტერა გაეხდი, კაცო, ტერტერა.
- ბიკია. ფიჩხულა და ტერტერა,
რაფა არ გადამბრუნდება ქვეყანა?
არა, მართალს უნობ?
- ფიჩხულ. ეპ, მახლას, მეც არტისტად გამხადეს რაღა.



- ბიკია. ფიჩხულ—არტისტი... ჰა-ჰა-ჰა-ჰა.
 ფიჩხულ. მა როგორ? მეც ვერ ვთამაშობ აი!..
 ბიკია. სად თამაშობ? ნუ ვადანრიე თუ ძმა ხარ!..
 ფიჩხულ. კინოში ჩამირტეს, კინოში.
 ბიკია. კინოში?.. შერე აქ რა გინდა?..
 ფიჩხულ. ამ შიდაშობებში „კარტიკას“ იღებენ.
 ეხლა აგურ ირიან. უნდა გადაიღონ: არხია თუ მარხია—
 თუ რალაცა ჯანაბაა.
 ბიკია. ხომ არ მატყუებ?
 ფიჩხულ. არა სუფსარქისის მადლმა.
 ვამეხ. სარქისა ვილაა?
 ფიჩხულ. (პირს იმუწავს)
 აქ მჯონი უხეთოებია...
 ბიკია. ნუ გეშინია ფიჩხულ-ჯან...
 სუფსარქისა ბიკებს სარქისა დალაქი გონიათ.
 ფიჩხულ. ჰა-ჰა-ჰა... შაგეწიოს იმის მადლი...
 ბიკია. ჰეი ფიჩხულ, სადაა შენი განიერი შარვალი...
 ფიჩხულ. (შლის ანაფორას, მოსჩანს მოძველებული შარვალი.)
 ბიკია. (ხითხითებს)
 წაგზდი კაკალი კაცი, ფიჩხულ.
 ძაან მწყურალად გამოიყურება ღმერთ წინაშე.
 ფიჩხულ. ეპ მახლას, აი ეს ანაფორა ჩემი „სობსტვენი“ რომ იყოს,
 იცოცხლე რომ ახალთ ახალი ხალასი შარვალი შექნება.
 ბიკია. ვერცხლის ქამარი რა უყავ?
 ფიჩხულ. ნუ მამაგონებ კნიაზ-ჯან:
 („კნიაზ“ ჩუმაღ ურთავს)
 ჭამარმა შენი ქირი წაიღო.
 ბიკია. რა დაემართა?
 ფიჩხულ. ნალოგებში... თრავ...
 (ხელს გააქნევს)
 ბიკია. მამ სამიკიტნო?
 ფიჩხულ. იმანაც შენი ქირი წაიღო,
 „ბურეჟაო“—ჩამაცივდენ, არ მომეშვენ.
 მერე: „წვრილი ბურეჟაო“.
 აბა ერთი მიბძანე კნიაზ-ჯან,
 („კნიაზ“—ჩუმაღ)
 მე როდისმე წვრილი ვიყავი?
 ბიკია. რაფა გეკადრება ფიჩხულ!
 ჰე, იყო დრო ჩემო ფიჩხულ...
 ფიჩხულ. იყო და მერე რა დრო, ვა, ვა, ვა...



- ბიჭია. ორთაქალაში გაშლილი სუფრა.
ფიჩხულ. ნულა გამახსენებ, შენმა მზემ...
- ბიჭია. სუფრაზე ყველი.
ფიჩხულ. არა კაცო მოთალი.
- ბიჭია. მერე პეტერე მწვანელი.
ფიჩხულ. ტარბუნა და შუშა კიტრი.
- ბიჭია. ღვინის სმა.
ფიჩხულ. პრობნი სტაქნით.
- ბიჭია. მერე — სადღენძელოები.
ფიჩხულ. ნუ შიშლი საღერღელს, თუ კაცი ხარ...
პეე, ეს ღმერთმა აღღინგძელოს ის ანგელოზი,
რომელი ანგელოზიც...
(ფეცრად შეკრთება ვითომ)
მმმ...ამით ანგელოზებიც გადაგვიყენეს...
- ბიჭია. ასეა ძამია და ჭე რას თქომ...
ზურნა ჯობდა, არა?...
ფიჩხულ. ოი საარის ხმა... ესლაც ზუზუნებს ყურებში...
ბიჭია. მერე დალი... იმე, იმე, იმე...
ფიჩხულ. და ზედ ბაღდადური... ვა, ვა, ვა...
ბიჭია. თავზე ღვინით სავსე ჭიქა...
ფიჩხულ. მაშ, მაშ ბიჭია-ჯან... ეჰ რა დრო იყო...
(მუშები თითქმის იღარ სჩანან)
- ბიჭია. მერე სიმღერა.
ფიჩხულ. „ნა ტიფლისე ესტ ბუფეტ
ნა ბუფეტე ესტ კანფეტ
ნა კანფეტე ესტ ფართორეტ
სამ ბუფეტჩიკ კარაპეტ“...
- ბიჭია. ეი ბეჩა! სადაა ძველი დრო.
ფიჩხულ. (აკვირდება)
შენც გაკვეთილხარ ჰაი!...
- ბიჭია. დავკვეითდი, ფიჩხულ, დავკვეითდი...
გაუპუსტიაკტი კაცი, თუ დამიჯერებ...
ფიჩხულ. გიჯერი ბიჭია, გიჯერი.
(პარვით ელენე გამოჩნდება და წამსვე პირს იბრუნებს)
- ბიჭია. ბიჭოს, რა გოგო იყო...
ფიჩხულ. გოგოები ჩვენთან უნდა ნაბო...
ბიჭია. სად ფიჩხულ?
ფიჩხულ. სად და ჩვენთან, კინოში.
რა სორტის, რა ჯურის, რა მახანდის.
ვაჰ, ვაჰ, რა ჩადედლებულეები.
- ბიჭია. ეგებ ადგილი მიშოგო კინოში.



- ფიჩხულ. ნაღდი საქმეა... ვიცი — გიყვარს...
გახსოვს ორთაქალის ბაღებში?..
- ბიკია. ნუ დამკალი კაცი გახსენებით...
ფიჩხულ. ჰე, ერთში კარგია, ქრისტეს მადლმა, ეს ახალი დრო:
გოგოები რამდენიც გინდა — მაგრამ...
- ბიკია. მაგრამ რა?
ფიჩხულ. რა და ჩვენ აღარ ვარგვიართ...
ბიკია. არაფერია, არაფერი...
ზოგ ჯეგელს კიდევ ვაჯობებ...
კენჭივით ვარ, ფიჩხულ, კენჭივით...
- ფიჩხულ. გატყობ, კნიაზ-ჯან, გატყობ...
ბიკია. ეხლა წვედივით, ვისადილოთ:
მე აქ „ზამსადილი“ ვარ...
- ფიჩხულ. „ზამსადილი“?.. არა ძმაო, არა...
ბიკია. „ზამსადილი“, კაცო, სადილის გამგის მოადგილე...
ფიჩხულ. მე კი გული ამომივარდა და...
ბიკია. სუკის წვადი არა მაქ, მარა არტალას კაის გაქმევე...
ფიჩხულ. ნივრიანი თუა ბლომით...
ბიკია. კაცო არტისტი გამხდარხარ და —
ამდენ ხანს ნიორი ვერ მოიშალე?..
- ფიჩხულ. არა ძმაო: არტალა უნიეროთ?
ეგ ხომ პორტმანი უფულოდ გამოდის!...
(იძვრიან)
- ბიკია. ოჯალეში არა მაქეს, ან ჩხავერი, თორემ...
ფიჩხულ. ეგ რაღა ეშმაკებია?..
ბიკია. ეშმაკები კი არა, ლეინოებია, ფიჩხულ —
თუმცა, თუ შეგიჯდა ყვრიმალში, ეშმაკზე უარესია...
ფიჩხულ. ვააჰ, ვააჰ...
ბიკია. სანამ მამულებს ჩამომართმევდენ,
ჩხავერი და ოჯალეში ბეგრი მქონდა...
ფიჩხულ. ვაჰ, თუ გქონდა კაცო, რატომ ნისიებს არ მიძლედი?
ბიკია. ფიჩხულ, ლეეოლეუციის პერიოდში ნისია რა სახსენებელია?
კონტრევიოლიუციონერი ხარ, შენ ნუ მომიკვდე...
ფიჩხულ. არა, ძმაო, არ მინდა ნისია... ჰირი წაულია...
(გაღიან)
- ვამეხ. (ლილინობს ჩუმად. ძელს ეძალემა. ერთი თივი ძელისა უკვე გაუღვია
სახერხზე, ეხლა აპირებს — მეორეც გადავას. მის გარდა, ხარაჩოზე
არავეინაა.)
- ელო. (შემოდის პარვით ხარაჩოს ძირს, იჭით-აქეთ იხედება: თითქო ცილა-
ცას ეძებს. შორიდან მოისმის აეტოს ხმაური. ყურს უგდებს — ცოტა



- შემკრთალი. ხმაური ახლოვდება. ელო სვეტს ეფარება. ხმაური მატულობს. ბოლოს ქშენით მიიარდება ავტო. ჩერდება.
- ვამეხ. (ავტოს ხმაურის მიმართ იცქირება)
- სანდრო. (შემოდის სანდრო, ლუკოსი ინჟინერი)
- ელო. (შებედავს თუ არა სანდროს, გარბის).
- სანდრო. გამარჯობა ვამეხ!
- ვამეხ. გაგიმარჯოთ!
- სანდრო. რატომ არ სადილობთ?
- ვამეხ. ჯერ ეს ძელი შინდა გაედო სახერხზე.
- სანდრო. მერეც მოასწრებდით.
- ვამეხ. ერთი თავი უკვე გავდე. ბარემ შეორესაც გავდე.
- სანდრო. მუშაობის მწარმოებელს დამიძახეთ.
- ვამეხ. (ჩამოდის ხარაჩოღან. ვადის.)
- სანდრო. (მადის ელსმენთან)
- წყალშომავი!.. ამიდი როგორია?.. ცუდი?.. თეთრაც იმატებს?.. ძალიან?.. არა?.. მაგრამ რა?.. (ელსმენის ტარს მოღუშვით ჩამოჰკიდებს)
- ნიკო. (შემოდის)
- ვამეხ. (შემოდის და ადის ხარაჩოზე)
- ნიკო. რა ამბავია?
- სანდრო. წყალი მატულობს.
- ნიკო. ეგ მეც ვიცი.
- სანდრო. თეთრაც აღიდებულა. ზემოთ წვიმაა.
- ნიკო. ეგვეც ვიცი.
- სანდრო. შესაძლოა წვიმა აქეთაც გადმოვიდეს.
- ნიკო. არა უშავს რა.
- სანდრო. ყველაფერი რიგზეა?
- ნიკო. ყველაფერი.
- სანდრო. შარშანდელსავით არ დაგვემართოს.
- ნიკო. შეუძლებელია.
- სანდრო. დროებითი ზღუდარი როგორაა?
- ნიკო. რომელი?
- სანდრო. არხის სადენის დამკაეი.
- ნიკო. მაგრადია.
- სანდრო. ფარები არხის ყელზე ჯერ კიდევ არ არის გამართული.
- ნიკო. ჯერ კიდევ არ არის.
- სანდრო. შანდორები ხომ მზადა გაქეთ?
- ნიკო. მზადაა.
- სანდრო. კაშხალის მარცხენა ძროს-ფარი ჩაშვებულა.
- ნიკო. ჩაშვებულა: კვემთ დამატებითი საშენი სწარმოებს.



- სანდრო. რომ აფუშავთ?
- ნიკო. ჯერ არაა საჭირო.
(პაუზა სამი წამი.)
- სანდრო. ნიკო, თქვენ ზღუდარი დაათვალიერეთ.
მე კაშხალს მოკუარ.
- ნიკო. კარგი.
(გადიან. პაუზა სამი წამი.)
- ელო. (თავსა-ჰყოფს, იქით-აქეთ იხედება. აზრობებულა.
შეორე მხრით შემოდის კალე: მალეით.)
- კალე. (დაგუბებული ხმით)
ელენე...
- ელო. (დაგუბებული ხმით)
კალე...
- კალე. ლოდინით გაეწყვიდი...
- ელო. (ათვალიერებს ხარაჩოს)
აქ ზომ არაინაა?
- კალე. არაინაა, ეხლა სადილობენ.
- ვამეხ. (ძელს ეძალება მიასრიალებს კიბულზე, თითქმის შუამდე აქვს აწეული.
მოცემის ჩურჩული. ჩერდება. ყურს უგდებს განაბული.)
- ელო. კიდევ გიყვარვარ?
- კალე. უსაშველოდ... შენ?..
- ვამეხ. (შეკრთება. ხმა ეცნაურება.)
- ედო. მეც... მეც...
- ვამეხ. (ხმა გამოიძნო. რისხდება. რისხვა მკლავებში გადადის. სწევს მალ-
ლა ძელს.)
ჩვენი კაშხალივით ხარ აესილი...
- ელო. შენთვის... მხოლოდ შენთვის...
- ვამეხ. (იღვედება ნადირივით. სიამე მაჯებში გადადის. სწევს ძელს.)
- კალე. (თმაზე ხელს ჰკიდებს ელოს)
ბაგირივით მაგარი გაქვს ნაწნავი.
შენთვის დაემორგვე... გახსენი...
- ელო. (ხსნის მორგეს ნაწნავისას. ნაწნავს ჰკოცნის.)
- კალე. ლერწამის სურნელივითაა...
- ვამეხ. (ბოროტდება. მოხედავს მათ მალულად. სახეზე სიგიჟე ეწვის.
ბოლმით ჩაიჩურჩულებს.)
მარგილზე ჩამოგახრჩობ მაგ ნაწნავით...
- ელო. (სწვდება მარჯვენა ხელს და კბენს)
(შეკრთება: თითქო რაღაც მოესმა)
- კალე. მალი აფუშვებთ ლაგამს, ელენე...
- ვამეხ. მდინარე რომ გადმოეშვება და დიღვრის ქაფიან ტანს,
იცოდე, ელენე, ეს ჩემი სიყვარული იქნება...
- ვამეხ. (რისხდება. ძელს ძლივს აკავებს.)
- ელო. როდის აფუშვებთ ლაგამს?



- კალე. პირველ მაისს... ჩენი დღესასწაულია...
 ვამეხ. (მარტო სმენაა, ძელს აღარ სწევს.)
 ელო. პირველ მაისს თამარობაა...
 ოცდაერთს რომ გახსნილიყო... ელენობას...
- ვამეხ. (სმენა უბასრდება. ძარღვებში ძაგძაგია.)
 კალე. ელენობას... შესაძლო იქნეს, მგონი...
 ვამეხ. (იწურება სმენით)
 ელო. რა ნაირად?...
 კალე. რად გინდა იცოდე?...
 ელო. რა კარგი იქნება... ელენობას...
 ვამეხ. (იგუდება. თავს ღუნავს. მკლავებში სისხლია.)
 კალე. ჰოო, შენთვის...
 ელო. ჰოო, ძვირფასო...
 ვამეხ. (რისხვით აწეება ძელს: თითქო გადამსხვრევა უნდა)
 კალე. ეხლა წადი... საღამოს გნახავ... ხომ?...
 ელო. მდინარის პირას, ზესთან.
 (პაუზა ორი წამი)
- ვამეხ. (თავს ღუნავს შათვენ)
 კალე. წადი ეხლა.
 ელო. იცი კალე?...
 ვამეხ. (სულს ძლივს ითქვამს)
 კალე. (ელოს დუმილით ეკითხება)
 ელო. დაღუნე თავი... რალაცას გეტყვი, ერთ სიტყვას...
 კალე. (თავს ღუნავს)
 ელო. (მიიტანს ტუჩებს მის ყურთან: რალაცას ჩასჩურჩულებს)
 ვამეხ. აააააბ...
 (თითქო რალაც საშინელი წარმოიდგინა, სუსტდება. ველარ უძლებს.)
- კალე. (აეარდება წამსავე ხარაზოზე. შეხედავს: იცნობს—ვამეხია. პირველი წამი: შიში. მეორე: რცხვენა. მესამე: საფრთხე. ეცემა ძელს.)
 ელო. (აიხედავს. გამოიცნობს ვამეხს. თმებს იგლეჯს თითქო. გარბის.)
 ვამეხ. (ბორჯავს. ვერ ხედავს ვინ შეეღის.)
 კალე. (ძირს უშვებს ძელს. ჩერდება ერთი წამით. ეხლა მარტო რცხვენა. არ შეუძლია თვალებში შეხედოს. გარბის.)
- ვამეხ. (იმართება. იყურება. ხედავს გარბენილ კალეს. რისხვა ერთ მორგვად ექცევა. არ იცის, რას დაანთხიოს. უცრად აეარდება. ხედავს ძელს. დავარდება. სწევს ძელს საშინელი დამაბევით. წინ სახერხი კიბულია. თითქო მისი მოსისხარაო, ერთი საშინელი მოქნევით მიახეთქს ძელს კიბულის მიმართ. კიბული იმსხვრევა.)
- ხმები. (ქვემოდან)
 რა ამბეია?



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

- ვამეხ. (თითქო თავისთვის, მაგრამ მაგარი ხმით)
ჯოჯობეთი...
(აშტერდება ცარიელ სივრცეს. ტანი გაქვავებული
ბი—რისხეა.)
ის მაინც არ ყოფილიყო... მშველელი...
როგორ აგუწწავდი?...
(პაუზა ხუთი წამი)
- სანდრო. (ბრუნდება)
რა ამბავია ვამეხ? თითქო რაღაც გაიმსხვრაი..
- ვამეხ. ძელი მოეახეებრე სახერხავს...
- სანდრო. (გაოცებული)
- ვამეხ. ეჰ...
(გაიქნევს ხელს. ეშვება ძირს განადგურებული.)
- სანდრო. (თითქო ვამეხისთვის არ სცალია. გაეშურება ელსმენისაკენ.)
- ნიკო. (შემოვარდება შიშით აყვანილი)
- სანდრო. (წამსავე მობრუნდება)
რა ამბავია?
- ნიკო. ზღუდარი გარღვეულია.
- სანდრო. რა ნაირად?
- ნიკო. დიდი ხერგი დატაკებია. გაურღვევია.
- სანდრო. ნარღვევი დილია?
- ნიკო. დიდი ირა, მაგრამ...
- სანდრო. მაგრამ რა?..
- ნიკო. წყალი ბლომად გადის.
(სანდროს შიში ეკვრის სახეზე)
- სანდრო. ეხლავე აუშვით კაშხალის მარცხენა ფარი.
(ნიკო გარბის)
(ვამეხ იქვე დგას, გვერდით)
ვამეხ, კოსტას დაუძახეთ... მუშები მოიხმეთ...
(ვამეხ გარბის)
- სანდრო. (შიდის ელსმენთან)
ჰიდრომზომავი!.. ჰო, მე ვარ...
ძალიან ადიდდა?.. კარგი... კარგი...
(პაუზა ერთი წამი)
(სანდრო ქარტებს შლის. დაჰყურებს. რაღაცას ეძებს თითქო თავის-
თვის.)
შარშანდელი უბედურება არ დაგვატყდეს თავს...
- კოსტა. (შემოვარდება)
აქა ვართ...
(მუშები მოცვივდებიან)



- ნიკო. (ბრუნდება აღელვებული)
ფარი აშვებულია.
(მდინარის შუილი მატულობს)
- სანდრო. კარგი. ესლა დაერაზმდეთ.
კოსტა. დაერაზმდეთ ძმებო!
- ხმები. დაერაზმდეთ, დაერაზმდეთ!
- კოსტა. არხი უნდა გადაეარჩინოთ!
- ხმები. გადაეარჩინოთ, გადაეარჩინოთ!
- სანდრო. ნიკო, სამრიგად დარაზმეთ მუშები!
- ნიკო. ინკება.
- სანდრო. პირველი რაზმი გაემართება ზღუდარისკენ.
უნდა ამოაქსოთ ნარღვევი თიხით გატენილი ტომრებით
ნიკო, ხომ გაქვთ მარაგათ ტომრები?
- ნიკო. ბევრს გვაქვს.
- სანდრო. მაშ ასე... აბა მუშებო...
(ერთი ნაწილი მუშებისა რაზმდება და მიდის)
- ლექსო. (შემოვარდება)
არხში წყალი მიდის... მატულობს...
- სანდრო. არაფერია... ვუშველით .
ხმები. ვუშველით, ვუშველით...
- სანდრო. ნიკო, მერრე რაზმი დურგლებისაგან უნდა შესდგეს.
კოსტა. დარაზმდით დურგლებო!
(დურგლები რაზმდებიან)
- სანდრო. არხის ყელს უნდა ვუშველით...
დაამზადეთ შანდორები... ძელები...
ეცადეთ—წყლის დენა შეაკავოთ...
- ხმები. იქნება, იქნება...
(დურგლები მიდიან)
- კაცია. (შემოვარდება)
არხში წყალი მატულობს...
თუ არ შევაჩერეთ, სოფელს წაიღებს...
- სანდრო. არაფერია, შევაჩერებთ...
ნიკო, მესამე რაზმი არხის გვერდით ნაპირის გასათხრელად:
რომ მოდენილი წყალი მდინარის კალაპოტში გადავადგოთ..
- ნიკო. იქნება!..
- სანდრო. მაშ მარჯვედ მუშებო!..
- კაცია. აბა მარჯვედ ბიჭებო!..
- ხმები. მარჯვედ, მარჯვედ—გამარჯვებისათვის...
(მესამე რაზმიც მიდის)
- სანდრო. აბა, ნიკო, ხელმძღვანელობა თქვენ...



ნიკო. იქნება...

(მიჰყვება მუშებს)

(ჩივბიან: სანდრო, რევაზ, კოსტა)

კოსტა. ვაი თუ შარშანდელი ამბავი დაგვემართოს!..

რევაზ. ნუ გეშინია: ეხლა ყველაფერი მზად გვაქვს...

სანდრო. მხნედ!.. საშიშარი არაფერია...

კოსტა. ნარღვევი თუა დიდი?..

რევაზ. არ უნდა იყოს...

სანდრო. კიდევ რომ იყოს... არაფერია... გაამაგრებენ...

კოსტა. წყალი რომ არის დიდძალი გადასული?..

რევაზ. ვითომ არხის ყელს დააზიანებს?..

სანდრო. შანდორ-ძელებით გაამაგრებენ... ნუ გეშინიათ...

(საზვერავე ალაგს იკაგებენ სამრიგ. სანდრო შუაშია. რევაზ მარცხით.

კოსტა მარჯვნივ. მხნედ არიან.)

ხმები: (პირველი რაზმიდან)

1. აქეთ, აქეთ, თადია!..

2. გიგა, მაგრად!.. ფეხი არ აგიცდეს!..

3. ლექსო, ტომარი გარღვეულია... სხვა მოატა...

სანდრო. ანჯამით შეჰყარ, ლექსო, ანჯამით!..

კოსტა. უჩაღ, გიგა!.. აგრე, აგრე!..

რევაზ. თადია, ჯერ იქით მხარეს...

ხმები: (მეორე რაზმიდან)

1. ვამეხ, ბერკეტით, ბერკეტით!..

2. კალე, ძალაყინით, ძალაყინით!..

3. ილო, ცოტა მალლა... ასე... ასე...

სანდრო. გადაუშვი ძელი, ვამეხ!..

კოსტა. აგრე, აგრე, კალე!..

რევაზ. ილო, მაგრად, მარჯვედ!..

ხმები: (მესამე რაზმიდან)

1. ბარი, ანდრო, ბარი...

2. ნიჩაფი, კაცია...

3. ოღროსკენ, სიკო, ოღროსკენ..

(მოქმედება მატულობს. ხრილი. მდინარის შეილიც მატულობს.)

სანდრო. ლარტყი, ლარტყი...

კოსტა. მაკავი, მაკავი...

რევაზ. ტუმბო გამართეთ, ტუმბო...

(პაუზა. მოქმედება მატულობს.)

სანდრო. ორთაშორ დააკავე, ორთაშორ...

კოსტა. მიაკარ კარაპინზე...

რევაზ. ბაგირი მოახვიე კუნძს...

(პაუზა ორი წამი. მოქმედება მატულობს.)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა ნ დ რ ო. სამაგრი, სამაგრი...

კ ო ს ტ ა. ურდული დაუგდე...

რ ე ვ ა ზ. დაკოქე მაგრიდ...

(პაუზა ორი წამით. მოქმედება მატულობს.)

ს ა ნ დ რ ო. დირით გადალობე...

კ ო ს ტ ა. ბიჯგები, ბიჯგები...

რ ე ვ ა ზ. გვერგვით ვადარაგვე...

(პაუზა ორი წამით. მოქმედება მატულობს.)

ს ა ნ დ რ ო. არზი ვადარსა...

კ ო ს ტ ა. როგორ?

ს ა ნ დ რ ო. ნარდვევი გამაგრებულია.

რ ე ვ ა ზ. მარჯვედ, მარჯვედ—გამარჯვებისაკენ...

(პაუზა ორი წამით. მოქმედება მატულობს.)

ხ მ ე ბ ი. (მეორე რაზმიდან.)

1. ჩაეშვი ილო...

2. აგრე, აგრე...

3. ფრთხილად...

(პაუზა ორი წამით)

ს ა ნ დ რ ო. მარჯვნივ, ილო, მარჯვნივ...

(პაუზა)

კ ო ს ტ ა. თები აუცდა?..

რ ე ვ ა ზ. რა დაეპართა?..

(ხრიალი მუშებში)

ხ მ ე ბ ი. გადაეშვით... უშველეთ...

რ ე ვ ა ზ. აააააა...

(ჩაიკეცება მოცულილი)

კ ო ს ტ ა. არაფერია... უშველეთ ბიჭებო...

(თვითონაც გადაეშვება)

რ ე ვ ა ზ. ვაი, შვილო...

ს ა ნ დ რ ო. მარჯვეთ, მარჯვეთ...

(თვითონაც გადაეშვება)

რ ე ვ ა ზ. შვილო...

(დგება დარეგვილი, სვეტს ეყრდნობა)

ხ მ ე ბ ი. ამოიყვანეთ... ამოიყვანეთ...

(რევაზ ქვაა, რომელსაც ცახცახი ურბენს)

(ქვემოდან ხრიალი, რომელშიაც სჩანს სიკვდილის სუნთქვა)

(დუმბილი საშინელი)

რ ე ვ ა ზ. თითქო სიკვდილმა უპბინა).

აააა...

(ამოდინ ორრიგად მუშები. საკაცებე—მკვდარი ილო მოკეთ მალ-
ლა ამართული. ყველა მოლონული, ყველა მდღეარე, არე ვეშებ ჩურ-
ჩულიც. რევაზ მალოზიდან ნელა ჩამოდის. ფეხებდას მკვდარებს
ტუჩებს რაღაცა კბენს. ცხედარს ძირს ასვენებენ.)

ყველა. (საშინელი ჩურჩულით)

ილო...

(რევაზ დავარდება შვილს)

რევაზ. შვილო, შვილო, შვილო...

(ჭეითინი აფარდება. ფეხების ჯერ შუბლს, მერე მარცხენა ხელს,
მერე მარჯვენას, დგება ცახცახით. ჩერდება. უცქერს სივრცეს ვაშ-
ტრებით.)

რევაზ. მხრებში... ამომიდექით... არ წაფიქვე...

(მხრებში უდგებიან: მარჯვნივ ვამეხ, მარცხნივ კალე).

(დუმილი—ქვა. მდინარეს ხრილი).

(დასასრული შეთქმული შედეგისა.)



შტრასენგან

შტრალენბურგის ქუჩა თავისი დაბალი სახლებითა და პაწია ბაღებით მუდამ მშვიდობიანად სთვლენს ქალაქის გარეუბანში. ერთი კაცი, რომელსაც თითქმის ვერასოდეს ვერ ხედავენ, თავისი საოცარი მოქმედებით მეზობლების ყურადღებას იქცევს.

იგი სწორედ ჩემს გასწვრივ მდებარე ნაცრისფერ ქვითკირის სახლში სცხოვრობს: როგორც სჩანს, იგი საეცებით მარტო ბინადრობს მანდ. უწინარეს ყოვლისა საოცარია რომ მას დაკვეთილი აქვს ყველა გაზეთი, რომელიც კი გამოდის ქალაქში. ცნობილია: უკანასკნელად გაზეთები სოკოებსავეთ მომრავლდნენ. ჩვენს უბანში ისეთ მეგაზეთებსაც ვერ იპოვნით ამ ნაცრისფერ სახლში რომ არ შედიოდეს. ეს კაცი ძლიერ გატაცებულია ახალი ამბებით, (ამას ყურადღებას აქცევენ), იტყვიო: ამ კაცს უსათუოდ ცნობათა ბაჟრო გაუშართავსო. მის კარებთან დღე წაიდაგ იციდიან შიკრიკები, მეფოსტეები, ხშირად გვიან ღამითაც მოაქვთ მასთან წერილი ან ტელეგრამა.

ცხადია, ეს ყოველივე შეუმჩნეველად ჩაივლიდა, შტრალენბურგერი ქუჩა ნობრავ და მშფოთვარე ქალაქის კიდეგან რომ არ ყოფილიყო. ამ ქუჩას მოსდევს ასეთივე გამოყრუებული, მაგრამ ოდნავ განიერი ქუჩა, სამრეცხაოებითა და სარძეო დუქნებით მოყვნილი.

რამოდენიმე ათეული სახლი ხახაში შესცქერის უდაბურ მიდამოს. ამ უდაბნოში ზაფხულობით ქალაქის უბინაო პროლეტარები ცხოვრობენ, ლანდებივით დალოდავენ ისინი ამ გავერანებულ არეში. დამე სიბნელე და სიცივე თარეშობს აქ. დღისით წარბმოდუშული ცა დასჩერებია უდაბურ ტრამალს. აქ მზე იშვიათი სტუმარია, არც ვარსკვლავები უნათებენ ამ მხარეს.

შტრალენბურგის ქუჩის მცხოვრებნი ვერც კი ამჩნევენ უმზეობასა და უვარსკვლავობას. უტყვი, უხამსი, ცისა და მიწისადმი გულგრილად განწყობილი, სახე გამოღამებული მცხოვრებნი ლანდივით დალასლასებენ ამ ქუჩაზე. არავინ არავის საღამს არ აძლევს. გააღებენ კარებს, ისევე გაიხურავენ და მერმე საითითაოდ, ან ჯგუფად, ბრუნდებიან თავიანთ სახლებში. ფანჯრებიდან ვხედავ თუ როგორ უკიდებენ სინათლეს და შტორები როგორ ეშვებიან ძირს, შეღამებულზე. არც ბავშვების ხმაურობა ისმის, არცთუ ძალღების წყავ-წყავი.

სახლებიდან არავითარი, სიკაცების მაუწყებელი ხმაურობა არა სწვდება ქუჩას. ძვირად ნახავთ ღია ფანჯარას, საამისოდ საქმოდ სიკაცა, მიწებში ჰაერს არა სცვლიან. ეტყობა: უნახშირობა საგრძნობია.

მოულოდნელად ცვლილება მოხდა. აივნებზე დიასახლისებრდა ჩვენი მამები გამოეფინენ.

კარებისა და ფანჯრების ხელსაკიდებს და რაზებს შინჯავენ, ურდულების სიმტკიცეს ამოწმებენ. კედლებზე აყუდებულ კიბეებზე წყვან ბლუზიანი მუშები ასულან სახლების ფრონტონებზე ეკლის ხლართების გასაკეთებლად. მიზეზი სულ უბრალოა: წინაღმით ამ უბანს მძარცველთა ბრბო თავს დაესხა. აღელდა, ახმაურდა შტრალენბურგის ქუჩა, მაგრამ სულ მცირე ხნის შემდეგ ისევ დაეუფლა მას ჩვეულებრივი სიწყნარე და მოწყვანა.

ნაცრისფერი სახლის პირველ სართულზე მცხოვრები იხილებული კაცი, ამ მხრით, სავსებით არ ეტყემდებარება აქაური ცხოვრების ტემპს. მან არ იკმარა ამ უამრავი შიკრიკებისა და შეგანთეების გნისა, ახლა პატარა ავტომობილიც გაიჩინა. ავტომობილი ყროყინით, გრუხუნით, ქლოშინით იცდის მუდამ მის კარბქესთან და ეს ამბავი ყველას აშფოთებს. მეზობლები უკმაყოფილო არიან, — ეს კაცი არ ერიდება არც ღამისა და არც დღის ძილის დაფრთხობას, ხან გამომჩნდება, ხანაც გაქრება მოტორის ნერვიან თუბთუხით.

ყოველ ნისლიან დილას გადის იგი თავის სახლიდან. ბელში გაზეთი უქირავს. გაზეთი უფარავს სახეს და კარდალისებურ ნაცრისფერ ქედს. ილიაშიაც გაზეთები აქვს გაჭრილი. მიჭრის, ერთსაც განზე არ გაიხედავს. თავი გაზეთში ჩაურგავს. ყოველივეს გზაში კითხულობს.

იგი მთასავით ჩაზეინულია თავის ავტომობილში და გეგონებათ იგი ავტომობილზე უფრო დიდი და მასსიურიაო.

ავტომობილი გაქრება და თან წარიტაცებს ხოლმე მას უაღრესად სასწრაფო და დიდმნიშვნელ საქმიანობით გატაცებულს.

უთუოდ გარდუვალი რამ მდგომარეობა ნებას არ აძლევს ამ კაცს შინ მოასწროს ამ გაზეთების გადაკითხვა და მიტომაც აგრე თათარიახად კითხულობს გზადაგზა. ალბად, იგი იმულებულია ერთისდაკერით მოაწესრიგოს ხოლმე თავისი საქმეები, თორემ გზაში კითხვაც არ დასჭირდებოდა.

ყოველ დილას მანქანის ნავალზე მიწაზე დაყრილი გაზეთების კვალს სტოვებს იგი. ოდნავ დაქმუქნილი ფურცლები მიმოყრილია გაყინულ თოვლზე.

გაზეთის ფურცლები ყუმბარბივით მოცვივიან ავტოს ფანჯრიდან. ეტყობა: მათ მკითხველს არ აკმაყოფილებს გაზეთის ცნობები. იგი დაქმუქნის, დაამრგვალებს გაზეთს და ქუჩაზე გადმოისერის. დღის განმავლობაში შემთხვევით ვგებულობ: ბირკაზე შავი დღე დამდგარა. თოვლის შემთხვევითი გაღებობის გამო, ნახშირის ფასი მოულოდნელად დაეცა. ეს უშედეგოდ არ დარჩა, სხვა საქონლის ფასიც შეირყა და დავარდა.

ამ დღეებში მრავალს უქირავს გაზეთი ბელში. მაგრამ ისინი ამ სუელ კაცსავით არა თრთიან, გაზეთებს სავსებით გულგრილად ფურცლავენ, ხშირად ტრამეიშიაც კითხულობენ მათ, მაგრამ სახეზე როდი იფარებენ გაზეთების ნილაბს.

ისინი მშვიდად უცდიან გაზეთების გამოსვლას.

გაზეთები შრიალით გამოეთიშებიან ხოლმე ნისლს, ფოთოლები კი ისრდებიან, ფილაქანებიდან კარის არეებში და კუჭურუტანებში მტრულად მოქალაქეებს. ჩაფრინდებიან რკინისგზის ვაგონებში, ავტომობილებსა და ლიფტებში.

მათ არაჩვეულებრივი მოვალეობა აქვთ დაკისრებული, ნატარებლებსა და ლიფტებში დღე დღეზე საგრძნობი ზღვრა გაკირავება.

ცუდად წავიდა როგორც მუშაობის, ისე ფულის საქმეც, ფულის ღირებულება დღითი დღე ეცემა და შრომის ჯილდოც თოვლივით გადნებათ ხელში.

გაზეთები სულის მოუთქმელად ებრძვიან გაჭირვებას, იმედის ნაპერწკლებს აჩაღებენ და გაათორებელი მუშაობისაკენ მოუწოდებენ მოსახლეობას.

შტრალენბურგის ტუჩის მცხოვრები სქელი კაცი ისე მიეარდება დილაობით გაზეთს, როგორც არაფერს. მან სისხამ დილითვე იცის, თუ რას მისცემს მას ყოველი საგაზეთო ფურცელი.

ყოველდღილას ახალ ენერგიას იკრებს იგი რათა დღის განმავლობაში ყოველივე დაბრკოლების გადალახვა შეიძლოს. იგი გებულობს სურსათისა და შრომის ხელფასის მდგომარეობას და რაკი ხედავს, რომ საშინელი გარემოებანი შეძენის შესაძლებლობათა კანონშეწეროლ დაფაზე აღიბეჭდებიან, იგი უკვე ამ ჯამიდან თავის დასკვნებს გამოიყვანს.



უთუოდ ყოველდღეს, ერთსა და იმავე დანიშნულ საათზე ჩაიქროლებს ეს კაცი ჩემს თვალწინ, ქალაქის ცენტრისაკენ მიეშურება გაზეთების უბრო მკითხველი, ავტოს ფანჯრიდან ისერის გაზეთებს, ხანაც სურათებიან ჟურნალებსაც და ბოლოს, ვითარცა შტრალენბურგის ქ. ერთადერთი წარმომადგენელი, თავადაც შეერთვის დიდი ქალაქის რიტმიულ ორონტრიალს.

ერთ წუთსაც არ მოსცდება იგი, ერთ წუთსაც არ გაიხედავს განზე. მონუსხულივით თვალს არ აშორებს გაზეთებს. მე ასე მგონია: რაკი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება მას დასკორდება ადამიანებთან ურთიერთობის გაცხოველება. მე არ მპირია გონების დიდად დაძაბვა იმისათვის, რომ გაეიგო, თუ რად აინტერესებს მას ამ ბოლო ხანებში დასურათებული ჟურნალები. ზომ საჭიროა ხანდახან გონების დასვენებაც. გაზეთები ნაწილობრივ გართობასაც წარმოადგენენ. გაზეთები განზრახ ამსუბუქებენ რუბრიკის „გაჭირვება და განაშაულის“ ქვეშ ჩამოთვლილ კატასტროფებს პატარ-პატარა გასართობ სურათებით. ეს კატასტროფები მეტ წილად შიმშილისა და გათოშვისაგან არიან წარმომდგარი.

ლიტიორების ფლაკონების, პაპიროსის კოლოფების, ლამაზი ქალების ლეგონები—გაზეთების ფურცლებზე ჩამოთვლილი და გაცხადებული, ესენიც ზომ ხელოვნური მხიარულებით მოსაფენ ამ სახიზლარ ყოველდღიურობას.

ყოველდღიური გაზეთის მკითხველი ტყვისავეთ გამოეარდება ხოლმე სახლიდან, იგი უცილოდ თანაგრძნობით ეპყრობა ყოველგვარ გასართობების რეკლამებს.

მას ხომ ამტანობისა და თვითდარწმუნების დიდძალი მარჯის მიზეზით ესა-
ჭიროება. ვინც არ უნდა გადაეღობოს წინ თავის საქმეზე მიმავალს, მას მაინც
არ შეუძლია დროის დაკარგვა. იგი კიდევ უნდა ისვენებდეს, კიდევ უნდა იტოვ-
ბოდეს. თავისუფალ დროს იგი ძალაუფლებურად მხიარულ სურსათებს შეხვდისაქნ
ისწრადვეს, რათა ამ მახინჯი და სისხლიანი ჭამის შემოტევა შეანელოს, მაგრამ
ლიტოგრაფიული საშუალებით შექმნილი მომზიბოელი ქალების სამოთხე ხან-
გრძლივად ვერ აჯადოვებს მას.

ალბათ იგი თავად მოსძებნის სადმე ადგილს, სადაც ამ ხელოვნებას სის-
ხლი და ხორცი შეუსხამს კიდევ. შესაძლოა იგი თავად თეატრის აგენტი, ან
დირექტორი იყოს და ვინძლო უშუალო კავშირი ჰქონდეს მას თეატრალურ
საქმეებთან. იგი იცნობს როგორც ბალეტს, ისე ესტრადას, სადაც ბრწყინვალე
და იოლადმისაწდომი ქალები აღეზიანებენ ჩვენ მოგონებებს და სასიცოცხლო
ცენტრების გემატებენ.

ამ ვალეზიანების გარეშე არავითარი მოძრაობაც არ იქნებოდა. მსრბოლი
ბორბლების კონტროლი არც ისე იოლია. ისინი უფრო ბზილაა წრედ გვეწვენე-
ბა ხოლმე. ვერც ამ ბორბლის ჩხირებს დაითვლი და მათ აგებულებას დააკვირ-
დები, ვიდრე ბორბალი მოძრაობას არ შესწყვეტს.

მე დღემდის ვერ ჩამიხედავს იმ კაცისათვის თვალეზში, მაგრამ მაინც უნ-
და ვალიარო, რომ ეს ნაცრისფერი სახლის დგმური უმოძრაოდ უთუოდ დაილუბე-
ბოდა, იგი ღერძს მოწყვეტილი ბორბალივით დანარცხებოდა მიწაზე. რადგანაც
იგი თავისი უამრავი ვაზეთით, ადამიანს ეზვენება როგორც მსწრადელ მსრბო-
ლი ბორბალი. უმკველია აქ უცილოდ მოცემულია მისი იგივეობა ბორბალთან.

მიუხედავად იმისა, როგორც კი ვარედან რაიმე ხმაურობას ვავიგონებ, მე
წამსვე სმენად ვიქცევი ხოლმე. მე ძლიერ მაინტერესებს როგორ ლაპარაკობს
იგი, რა სიტყვებს ხმარობს, ან სათქმელი რა აქვს? მაგრამ იგი დღემოდ
ქცეული ვინმეა, მას არ ესაჭიროება ადამიანებთან ურთიერთობა და ამიტომაც
არ ერევა საუბარში.

მე ძლიერ ბევრ ენერჯიას დავხარჯავდი, რათა ხელშესახები ფაქტებით
დამემტკიცებინა ჩემი ვარაუდის სისწორე, რადგან, უნდა ვამოვტყდე, ეს ჩემი
მეზობელი ძლიერ, ძლიერ მაინტერესებს რატომღაც. ყოველ დღით იგი თავის
ავტომაზილით გავლილ გზაზე უამრავ კითხვის ნიშნებს სტოვებს გზადაგზა.

მე მოუთმენლად მოველი იმ მოვლენებს, რომელნიც მის დანიღაბულ სა-
ხეს ნათელყოფს ჩემთვის.

* * *

რადგანაც უკანასკნელ ხანებში იგი არ მადღევს არავითარ მასალას ჩემი
დასკვნებისათვის საჭიროს, მე ჯერ-ჯერობით საკუთარი წარმოდგენის ძალით
ვცისრულობ მისი აღნაგობის სურათს.

მე იგი წარმოდგენილი მაქვს როგორც ლაელაფა სახის, ბრგე მამაკაცი.
უნებლიედ მე მას ვაკუთვნებ იმ ადამიანების რიცხვს, რომელთაც შიმშილისა და

სიცივის გულადად გადატანა სჩვევიათ, ამგვარი აღამიანები დღით უმძიმეს პირობებშიაც სულ მიღლა მიდიან და ნელნელა უახლოვდებიან სითბოსა და კეთილდღეობას.

შე დარწმუნებულიყავარ, იგი ჩინებულად ერკვევა ყოველწინააღმდეგობაში. თვით ურთულეს ამბებში იგი გზას არ დაჰკარგავს. მას არ ეშინია ხელისმოკარვისა, იგი წარმოადგენს იმ შეუპოვართა ძველს გვარდას, რომელნიც თავიანთი ძველი ტრადიციების კარნახით გიქურად მიისწრაფიან საკუთარ მიზნებისაკენ. ყოველ შემთხვევაში იგი უცილოდ უნდა მიეკუთნოს იმ აღამიანებს, რომელნიც თავიანთი საქმიანი ტემპერამენტით თავისებურ რიტმს აძლევენ ზვესს საუკუნეს. იგი თანადროულობის პირწმინდა სიმბოლოა. როცა მას შესცქერო, შენ უკვე იოლად ხედები თანადროული დიდი ქალაქის სიმტკიცის მიზეზს.

ქალაქი კიდევ შეიძლება როგორმე თავი დააღწიოს კარზე მომდგარ სილატაკეს და სივავლახეს, რადგანაც აქ თავად ცხოვრება საგანგებო ნუსხას აჭყოლია. როგორც ნაცრისფერი სახლის ბინადარი, ქალაქიც აგრეთვე იფარავს სახეს, ისე რომ თეატრებს, ვახუთებს და მოძრაობის პირისპირ თქვენ ველარ ნახავთ მის დაღლილ ნაოკებს. და სდგას ქალაქი რაღაც ნაციები პათეთიურობით შეპყრობილი.

იგი ქედს არ უხრის დროებს, ადრინდელად ქოთქოთებს და დრტყინავს მისი უშრუტი ენერჯია.

ვერავითარი ძალა ვერ მიჩქნალავს ქალაქის ქუჩების მარადღამულ ჩოჩქოლს. და ეს ქუჩები დღესაც დრტყინავენ. ამ დრტყინვაში იმათაც უდევთ წილი, ვინც სამუშაოს ეძებს და იმასაც ვინც შრომისათვის ფულებს იძლევა.

მაღე ჩემთვისაც აშკარა ხდება რომ გაჭირვებასაც ჩაითრევს ბოლოს ბორბლების გეგმიანი სრბოლა. ცხადია ეს მდგომარეობა ვერ შეამსუბუქებს გაჭირვების სიმწვავეს. სპეციალისტები ანგარიშობენ კიდევაც პარლამენტში და პრესაში, თუ რა რიგათ უნდა გაიზარდოს გაჭირვება.

გაჭირვება განსაზღვრული სისწოროით იზრდება, რადგანაც ფულის ღირებულებაც განსაზღვრულ კანონების მიხედვით ეცემა. ამ მეცნიერებისათვის გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი შემთხვევა არ არსებობს. ვერც მეცნიერება და ვერც აწ დაწყარებული ცხოვრების წესრიგი ვერ შეცვლის იმ გარემობას; პურისა, კარტოფილისა და ნახშირისათვის ხელის მიწვდენა ვისაც არ შეუძლია, იგი უთუოდ გამოაკლდება ცოცხალთა რიგებს.

ქალაქის მოძრაობა ხომ ვერ შეჩერდება ვისმე სიკვდილის გამო. იგი მიუცილებელია ვახუთების მკითხველთათვისაც. იგი ქალაქის ცივ ქუჩებს დაფარფატებს, იმ ქუჩებს, რომელზედაც კვდებიან და იყინებიან.

„პოლიტიის უწყებანი“ ზუსტად გვამცნობს ბოლმე იმათ ვინაობას, ვინც ზემად და უჩვეულოდ გადასახლდება ბოლმე საიქიოს.

* * *

ერთ მშვენიერ დღეს შე ქალაქის მთავარ ქუჩებზე დავეძებდი ნაცრისფერ სახლის ბინადარს. მაინტერესებს, რა მიზნები აქვს მას დასახული, საითკენ მიინქარის? ვისი კარნახით დადის იგი?

ხანდახან მელანდებია, თითქოს ავტომობილით ჩაეპროლოხ მას ჩემს გვერდით. მაგრამ ცოტას რომ დაეკვირდები ირკვევა: ეს სულ სხვა ადამიანებია; იმ კაცის მსგავსად რომ იფარავენ გაზეთით სახეს. თავიანთ ავტომობილებს შორიგე საათის შესაგებებლად მიაქენებენ.

ზოგიერთ მათგანს უეცრად დაეცემა ელექტროს შუქი, და მე ვხედავ მათ სერიოზულ გამომეტყველებას: ისინი ისე შენაძიმდნენ სხედან თავიანთ მოტორებში, თითქოს დიდი სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ, ფილოსოფიური გამომეტყველება მიუღიათ და სქელი პორტფელები ისე მიუხუტებიათ მკერდზე, თითქო ავადმყოფი ბავშვები თან მიჰყავთო. თამბაქოს აბოლებენ და გაზეთები ფრიალებენ მათ მუხლებზე.

დაღალული, სისხლისაგან დაწრეტილი ადამიანები ძლივს მიბარბაცებენ მათ გვერდით. ისინი ქუჩის ჯანსაღ რიტმს უძღურებისა და უსუსურობის იერით ამბხინჯებენ.

ამ ფერგამკრთალ ადამიანებს უთუოდ თვალში ეჩხირება სახე ლაელაჟი მედაღლებით დამშვენებული, ჯანსაღი სპორტსმენების სურათები, რომელთაც კოლოკებზე წამონცობილს დაატარებენ ქუჩა-ქუჩა. ამ კაცების კუნთები დაქიმულია, ამ პლაკატებს ისეთი პათეთიური მარშით დაატარებენ, თითქოს ისინი დროშები იყვნენ. გაოცებული გამვლელები ხახა დაბჩენილი შესცქერიან ამ საოცარ პროცესს. რა სისულელეა სისუსტეზე ყბედობა!

ატლებების, ბოქსერების და ჯოკების ლონესა და სიჯანსაღეს ყოველწუთში რეკლამას უკეთებენ და იგი სიმარდისა და ვაეკაცობის მომასწავებელია. მძიმე უნდა იყოთ ხელფასის გაღების დროს.

და მსოფლიო ბოქსერის მასსიურ აღნაგობაში მე თითქოს ვარჩევ კიდევაც ნაცრისფერი სახლის ბინადარს.

მისი თავის ქალა გაზეთებისაგან შემდგარი ბორბლის სრბოლას მომაგონებს. იგი თანდათანობით მოსისინე ხახად იქცევა და ამ ხახიდან ამონსქდარ ასოები და სიტყვები თქვენ შეგიძლიათ ყველგან წაიკითხოთ: „რა სისულელეა სიღარიბეზე ყბედობა! ამტანობა და რეკლამა, ნაღდი ფული და ძალა“.

ჩემს ვარშემო ლამეული ქუჩა მარიონეტებით ქანაობს ცეცხლით ანთებულ ნისლში. ცეცხლის დაფასავით მიმოიქცევა ეს მოწოდება ფრონტონებისა და აბრების გარშემო, იგი თან მიჰყვება მორახრახე მოტორების ბორბლებს, დასასრულ გაზეთების შავ შიფრად იქცევა. ეს გაზეთებიც თითქოს ეთერში წარმოშობილანო, ქაღალდის ფრთებ ასხეული ძირს მოფრინავენ და პირდაპირ თავზე აცვივიან გამვლელებს. ქუჩა ფოთლებით, რგოლებითა და ბორბლებით ივსება, გოლიათურ ლოკომოტივისავეთ ცახცახებს და მოჰყვება მას თავების, გაზეთების, ქალების ფეხების ჭრელი კორტევი. ქუჩა საოცარი ფეხებისა და ფერადების არილის ლაბირინტია.

და აჰა, მთელი თვისი სიცხადით ამ ფონზე ნაცრისფერი სახლის ბინადარი ჩნდება. ქუჩამ მომიტანა მე იგი. ჩემგან სამი ნაბიჯის მანძილზე, ხასხასა სინათლის პირისპირ ჩერდება მისი ავტომობილი. პოლიციელმა მოძრაობა შეაჩერა და ავტოც იძულებულია ნიშანს უკადოს. განიერი სინათლის ზოლი ეცემა სახეზე მანქანაში მჯდარს და მის მენახე ქალს.

თუ იგი ავტოს სარკმელს მაშინაც ღია სტოვებს, როცა განუთქვამს არ ისვრის ქუჩაზე, ეს იმით აიხსნება, რომ მას სასუნთქი ჰაერი აღარ ყოფილა.

მე წამსვე ვცნობილობ მას გაზეთის ხელში დაჭერის მანერის და ნაცრისფერი კარდალა ქულის შეწყობით. იგი გაუნძრევლად ზის, ქუჩას არ ათვალიერებს და თავის გაზეთისა და თავის დამის მეტი აღარაფერი აინტერესებს. იგი იდაყვით დაყრდნობია ავტოს ლინჯს და გაზეთი ისე ახლოს მიუტანია სახესთან, რომ არა მგონია ამ რიგად მას შეეძლოს გაზეთის კითხვა.

მისი უშველბელო მასსიური ფიგურა ისე გადაფოფრია შეინახე ქალს. კაცს თეთრი ზელთათმანი აცვია, შავ რანტიანი თეთრი ზელთათმანი. ქალი — ქერაა. ამ ქალის ქერა და ხშირი კულული გაზეთის ფრთას ეხება ოდნავ.

ავტოში მგდარი არ იძვრის. იგი მონუსხულივით ჩასჩერებია განცხადებების გვერდს. ამასობაში ქვეითად მავალნი ფილაქანზე ჩერდებიან. თავდაპირველად ისინი ცალი თვლით იცქირებოდნენ ავტოში. ეს ხალხი გულდასნით ყურს უგდებს ფილაქანზე მოკალათებულ ბებერ მეჭიანურეს. იგი ნალულიანად ლილინებს: „განიხარენით სიცოცხლით“. მისი ქუდი პირადმა ძეგს ზედ ფილაქანზე, თითქოს თავად ქუდი მოწყალებას თხოულობსო. თუმცა არაეინ არაფერს არ აძლევს მათხოვარს, მაგრამ ყველა მას შესცქერის მაინც. ხალხის მზერა ახლა წელ წელა ვადადის ავტოში მჯომარე კაცსა და მის შეინახე ქალზე.

ავტოში მგდარი ამას ველარ ამჩნევს, მაგრამ შესაძლოა მის სშენამდის აღწვედეს კიდევაც იჩქითი, ცივი სიცილი. როგორც სჩანს, ამ სიცილის მიზეზი მას თავისი თავი ჰგონია და ამიტომაც ოდნავ შესჩქიფდა იგი. იგი უკვე დარწმუნებულია, რომ მას თვალყურს ადევნებენ. მისი ნაცრისფერი ქუდი შეიარა და შეტორტმანდა. მისი მრგვალი, წითელი თითები უფრო მტკიცედ მოებლათქვენ გაზეთს, ამგვარად მას უფრო ახლოს მიაქვს სახესთან გაზეთი. ქალი თითქოს რალაცამ გაიტაცავა, სარკმლისკენ მიიბრუნებს სახეს. გაზეთის ფონზე მისი ახალგაზრდა, ოდნავ ვარდისფერი სახე გამოჩნდა. ამ წუთში ელვის სისწრაფეზე ზელს ხელზე აკიდებს მას ნაცრისფერ ქუდიანი, ხოლო თავად სახიდან გაზეთს არ იშორებს. ამ იჩქით მოძრაობაში მოუსვენრობა და სინაზე იხატება. ქალი არაეითარ წინააღმდეგობას არ უწევს და აჰა, ისევე დაფარა გაზეთმა ქალის სახეც.

კაცი რალაცას ხმადამლა ეუბნება ქალს და ნაცრისფერი ქუდი აქეთ იქით ქანაობს. კლთხეში მდგარი პოლიციელი მოძრაობას გზას უტყვის, მანქანა ათუბთუბდა და მე გამიარა გვერდით და თვალი ეჭიდე: გაზეთი უკულმა სჭერია ნაცრისფერი სახლის ბინადარს.

აჰა, როგორც სჩანს იგი გაზეთს კი არ კითხულობს, არამედ გაზეთით სახეს იფარავს თავად და ქალსაც გაზეთით ფარავს! უეჭველია, მას რალაც ბიფთი მოელის. სჩანს ბედისწერა მას არ ანებებს უღარდელად გაიხაროს ამ ცხოვრებაში. ისიც შესაძლოა მეჭიანურეს გაერისხებინოს იგი.

იმავე საღამოს მე მრავალი რამ გამოვიკითხე შტრალენბურგის ქუჩაზე. უნდა ითქვას, დიდი შედეგი არ მოპოვოლია ამ გამოკითხვას. ცოტა რამ კი გავიგე. ესაა, სახელი და გვარი ამ კაცისა ველარ გავიგე. რამოდენიმე კვირის

წინაღ უჭირავებია მას ბინა ნაცრისფერ სახლში. ძველი მდგომარისაგან ყველაფერი უყრდნია. მოსამსახურე არა ჰყავს; მისი სოციალი მდგომარეობა? კომერსანტი, რომელიღაც სავაჭრო ფირმის აგენტი ან სხვა რამ ამგვარი. ექვთიყვანის დაქვამა: დიდი მოჭერიეც.

შემდეგ ესეც გავიგე: შეღამებულზე ერთ ორჯერ ქალი მოუყვანია მას ავტომობილით. ასეთ შემთხვევაში ისინი ერთ წუთსაც არ მოიციდიდნენ ხოლმე ფილაქანზე.

ავტოს კარი გაიხურებოდა თუ არა, იგი ძვირფას ამანათსავეთ გაიჩრდიდა ამ ქალს ილიაში და ორთავეს ლანდი ჰჭრებოდა ერთ წამს ნაცრისფერ სახლში.

სიფრთხილის ნისლი დაფარუბატებს ამ ქალის სახესაც, რადგან ავტოთი მგზავრობის დროს მის სახეც გაზრთით დაჩაღრულია.

იმასაც ამბობდნენ, ნაცრისფერი სახლის ბინადარი ცოლთან გაყრილი ყოფილაო. ყოველდღილას ავტოთი მიემგზავრება იგი ქალაქს.

მას ბეწვეულით დაბარდული საყვლოიანი ქურქი აცვია, ისეთი, რომელსაც კრედიტის მქონენი ატარებენ ხოლმე. ქურქის საყვლოს აბრეშუმის ზორტები ასხია. ეს საყვლო მუდამ აწეულია. დილით იგი გაზრთით სახე დაჩაღრული გამოვარდება კარიბჭიდან და ავტოში გაინაბება. მე ასე მგონია მის მოძრაობას დღითი-დღე ემატება სისწრაფე, თითქოს ხელფეხზე ელექტროს მოტორები ჰქონდეს ამ კაცს მოწყობილი. ჩემთვის ვასაგებია მისი აღნაგობა, საკუთარი ღირსების შეგნებით აღესილი. მისი მანერები ამოწმებენ: ამ კაცს თავის პერსონის მეტი აღარაფერი აღარდებს ამ ქვეყანაზე, ყოველი მისი მოძრაობა თვით-კმაყოფის გრძნობას ამტლავენებს.

ასე გადის ორიოდე კვირა, ამასობაში სიცივე და ავდარი მატულობს.

* * *

და აჰა, იმ დიდ მნიშვნელოვან დღეს, მე შევძელი მისი სახის ხილვა. წინაღამეს შოაფერებმა გაყვიცვა გამოაცხადეს. დილით ადრე ქუჩის კუთხეს რომ გავეცილდი, ოცდაათიოდე ნაბიჯზე მის ქურქს მოვჭკარი თვალი. პირველად ვნახე იგი უგაზრთოდ.

ის კაცი ისეთი მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მიდიოდა, როგორც დიდ-ტანოვანთ სწევვით ხოლმე, როცა ისინი რაიმე კაპანს მიითრევენ. საყვლო იმ დღეს შებნეული არა ჰქონია. მეკრივი, სქელი კისერი გამოკრთოდა გახსნილ საკინძედან. სიარულის დროს მიაქანებს კერა თმით შემოსილ მრგვალსა და ახმაზ თავს. ყველა ამ ახირებულ კაცს მისჩერებია. იგი ისე შირბის, თითქოს შიდვრებს თავი უნდა დაახწიოსო, სიარულში ნერვიულად მიაქანებს თავის ტროსტს. ქუჩაში უხერხულად გრძნობს ეს კაცი თავს. მაგრამ გახუნებულ პალტოთი შემოსილი ახალგაზრდა კაცი, რომელიც წელან სარეკლამო ფურცლებს არიგებდა, ცდილობს როგორმე დაეწიოს მას. დაეწევა კიდევაც და ხელში აჩეჩებს ნაბეჭდ ფურცელს.

ამ ფურცლის შინაარსი მე კარგად ვიცი. ასეთივე ფურცელი შემომაჩქეს მეც ხელში, ვიდრე შტრალენბურგის ქუჩაშდის მოვალწევიდი. ეს საცოდავად და

შეგემურად დაბეჭდილი ფურცელი გაფიცულ შოფერების მოწოდებას შეიცავს. ეს თავისთავად გამოწვევას მოასწავებს, ხოლო იმ კაცისათვის, რომელსაც დღეს ავტომობილი არ მიართვის, ეს ამბავი თავში ჩარახუნებაა, ამიტომაც მას არ შეუძლია ტლანქი პასუხი არ გასცეს ამ მოწოდებას.

მე კარგად ვხედავ თუ როგორ აერია სახე ამ კაცს. მისი გავსილი, გაპარსული სახის ნაოჭები ნერვიულ ტოკვას ველარ ფარავს. იგა შეურაცყოფას როდი გრძნობს, მას ხელი შეუშალოს, ძვირფასი დრო დააკარგვინეს. იგი ზიზღნარევი ხელისუწვეით თავიდან იშორებს ამ უსიამო ფურცელს, რადგან მას ძლიერ ეზიზღება იმგვარი ყბედობა, მას არც კი სცალია, თავისი მთავარი შუბლი და მრგვალი თავი ამ ამბების გასაგებად შეიწუხოს, ეს ამბები ხომ მას არ ეხება. მან ვანუშმარტებლადაც კარგად იცის ყოველივე. და სიტყვის დახარჯვაც ზედმეტია. ამ ფურცელის გარეგნობაც საეჭვოდ მიიჩნია მას. მათთვის პირის გაღებაც კი არა ღირს. იგი სერიოზულ ხალხად არც კი თვლის იმათ, ვინც ასეთ ჩამოტრეტილ კაცუნებს მიანდობს ასეთ ფურცლებს დარიგებას. ამ ხალხს სხვა საქმე არც კი აქვთ. დილიდან საღამომდის უაზრო სიტყვების შეადრევანი ამოდის მათი პირიდან, მერმე ვის სკირია ეს სიტყვები? ისინი სიცარიელიდან გამოდიან და სიცარიელის განსახიერებანი, სიცარიელედვე მიიჭყევიან თავდაც.

გარდა ამისა, მან კარგად იცის, რომ ისინი საქმის ხალხი არ არიან და მუდამ ხელი ეცარება მათ.

არც კი წაუკითხავს ფურცელი, ნერვიულად დაქმუქვანა იგი და ფერხით მიუგდოს ახალგაზრდას. ახალგაზრდა შეკრთა და უკუდგა. ქურჭიანმა მოუქნია ტროსტი და ხელიდან გააგდებინა ახალგაზრდას თავისი ფურცლები, ფურცლები ქუჩას მოეფინა ფარფატით. საქმე აღბად სულ სხვაგვარად შეტრიალდებოდა, რომ იმ წუთში ცარიელ ეტლს არ გამოეაზრნა. ქურჭიანი ადგილიდან მოწყდა, ეტლს მიაშურა და ხელი ჩასჭიდა კარეტის კარს. ცალი ხელითაც მიმართულება ანიშნა შეეტლეს და მიიმედ დაეშვა საჯდომზე. მათრახის ტლაშუნიც მოისმა და ეტლიც დაიძრა. ასე მიაშურა ქურჭიანმა თავის გაზეთებს და საქმიან დღეს, ხოლო უსიამობის გართულებას გადარჩენილმა კბაბუქმა თავისი ფურცლების თავმოყრა დაიწყო.

გაყინული პატარა კბაბუკი თავის კუთხეს მიუბრუნდა. კბაბუკი იშუშებს იმ თითს, რომელიც ქურჭიანის ტროსტს დაებეჭა ოდნავ. ზოგიერთი გამგელეული ართმევს კბაბუკს ფურცელს, უმეტესნი გულგრილად გადაიკითხავენ მათ და ისევ მიაგდებენ.

მეგაზეთებს ხელურმებით მოუტანიათ თავისი გაზეთები და ახლა ბრწყინვალე საქმეს აკეთებენ.

შუადღისთვის ავტომობილების მოძრაობაც განახლდა.

ნასადილევს გაფიცვა დასრულდა. საღამოს კი ქურჭიანი კაციც დამშვიდდა და ფურცლების დამრიგებელიც დაავიწყდა.

ტბორედ მოკოთკოთე ქუჩები უშველებელ მდინარეების დარად მიჰქოლავენ მომავალ ღამისკენ. ხელმეორედ გაცოცხლებული და აფორიაქებული მიჰქ-

რიან ისინი ეკლესიებისა და სამართლიანობის სრასასახლეების გვერდით, მოხე-
იმე გრუხუნით, მიჭკრიან ისინი ხახა-დაბჩენილ მალაზიების ვარჯაოა ვიტრინე-
ბის გვერდით, ელასტიურ ზოლებად გარს ევლებიან შეიარაღებულ მებრძოლების
ქველებს და თავის სრბოლასშიაპყრობენ ღამეს, ღამაში ქალებით, ლიქიროებით,
პაპიროებით დამტკბარს.

* * *

იმავე დღეს დაახლოებით ათ საათზე შინ რომ ვბრუნდებოდი, შტრაალენ-
ბურგის ქუჩაზე ნაცრისფერი სახლის მდგმური შეენიწნე, ეტყობოდა: ძლიერ
ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, სჩანს მას უთვალთვალელებდნენ და პირდა-
პირ შუა ქუჩაზე თავს დასხმოდნენ. იგი რომ ახლად მოსულიყო, იქიდან სჩანდა
რომ შორი ახლო მოათხთუხე აეტო უცდიდა. ქალი თან არ ახლდა. აეტოს
თუხთუხში შე ვერ გაეარჩიე თუ რას დადღანებდა ის კაცი, რომელიც გაბო-
როტებულ ძაღლსავით ჩაფრენოდა ქურქიან კაცს. მეკარე და სხვა რამოდენიმე
შეზობელი ამ სცენას შესცქეროდნენ, მაგრამ არვინ ხელს არ ანძრევდა, ისინი
მოშორებით იდგნენ, გაქვავებულივით.

გამხდარი, ქალაჩა მოხუცი საყულოს აბრეშუმის ზორტებს ჩაებლოუქა. ერ-
თი ზორტი ჩამოსწყვიტა კიდევაც.

მას არ უნდა თავისი მსხვერპლი ხელიდან გაუშვას და ცხვირპირში უშენს
მას ლანძღვასა და გინებას, არც ერთი სიტყვის გარჩევა აღარ შეიძლება. იგი
ხმა-დაბლა ლაპარაკობს, პროვინციალი კილო მისი მეტყველებისა თვალსაჩინოა.
ფეხქვეშ გათელილი გაზეთები მის ფერხთით ჰყრია.

ჩუმი ქუჩა ერთბაშად გამოცოცხლდა, გაშიშვლდა, თითქოს სახლებს სახუ-
რაგები გადახსნესო. ყოველივე ერთბაშად გაუკეთურდა, ტალახი იქცევა მიწაზე
და ყოველმხრით იფრქვევა. მრგვალ-თავიანი მაინც ჰქედს არ იხრის და ასე თა-
ვაწეული დგას, იმ დილინდღეზე უფრო შეუვალი გახადა მან თავისი პიროვნე-
ბა. ყოველივე ეს ზიზღის საშუალებით მოაწყო მან. მისი სახე ისეთი სასტიკი
გახდა, რომ არც არაფრის წაკითხვა შეიძლება ამ სახეზე.

თავდამსხმელს შეეძლო ნაკუწებად ექცია მისი ბეწვეული, მაგრამ მისი
სახის შეუვალობა ვერ გადალახა. ეს სახე ახლა უფრო ფერმკრთალაა, ვიდრე დიღას
იყო იგი. ნაცრისფერ კაცს სისულელედ მიაჩნია ამ მოხუცთან ყოველგვარ სამართ-
ლიანობაზე სჯაც. იგი მას პასუხს არ აძლევს, არც ყურს უგდებს, არც უპურებს მას
და ისეთი გამომეტყველება მიუღია, როგორც მან კაცს, რომელიც თავქარი-
ან ხალხს არ ანებებს თავისი მტკიცე გადაწყვეტილება დაარღვევინოს.

არ ითქმის, რომ ნაცრისფერი სახლის ბინადარი ცირკის აგენტი იყოს,
ან თეატრის დირექტორი. წინააღმდეგ იგი ახდელი, აშკარა სცენის წინააღ-
მდეგია. იგი განმარტობული კოშკია და მისი შერყევა მხოლოდ მაშინ შეიძ-
ლება, როცა მისი სიძლიერის ფუქეს დაინგრევთ. და თუ მას შეაქანებთ, იგი
უთუოდ წაიქცევა და თავის ქვეშ სხვასაც მოიყოლიებს.

ეს გამხდარი და ჩამოძინილი მოხუცი, როგორც სჩანს-მრავალ-
ლოთა მპყრობელია და ახლა იგი ისე გაცოფებულა, რომ საიდუმლო ჩვერით
ამოდის მისი პირიდან.

ქურქიანი კაცი რომ ეგზომად თავშეკაეებულსა, უთუოდ ამაში თავდაცვის
ინსტინქტია დამნაშავე, ისიც უნდა ითქვას, რომ იგი თავს იკატუნებს ესაო და
გიეის შეტევის მსხვერპლი გავხდით. იგი თავისი ძლიერი ხელების ამუშავებას
ერიდება და ამოად ცდილობს თავიდან მოიშოროს მოხუცი.

რალაც ბნელი იდუმალემა აკავშირებს ამ ორს, არა თანაბარ კაცს ერთი-
მეორესთან. ყოველი ხმამალალი სიტყვა ნაცრისფერი სახლის მდგმურის პირი-
დან წამოცდენილი, უთუოდ დაარღვევდა ამ საიდუმლოს.

მაგრამ აჰა, რამოდენიმე წუთის შემდეგ მას ძლიერ უშიშის თავაზიანო-
ბის დაცვა. ასე გაივლის რამოდენიმე წუთი და როგორც ორივე მხარეს, ისე
თანადამსწრეებს ეს დრო ნაზევარ საათად მოეჩვენათ.

როგორც კი შენიშნა ქურქიანმა, რომ მისი ავტომობილი წავიდა, იგი
მოუტირებლად გაჰქანდა წინ, დაეძგერა მოხუცს და მუჯლუგუნით მოიცილა
იგი.

გაცოფებული, პირდობლიანი მოხუცი ხელმეორედ შეეცადა წინააღდგო-
მოდა, მაგრამ მყერდში მიღებული მუჯლუგუნი უკუაქცევს მას ხელმეორედ.
იგი შებორძიკდა და ტალახში ჩაეარდა.

ქურქიანი ისე გაბრუნდა, არც კი დაუხედავს თავის მსხვერპლისათვის,
ათი მძიმე ნაბიჯი გაიარა და მძიმედ გაიხურა სახლის კარები.

ეს არის, თავის ხელფეხში იგი ველარა გრძნობს მოთუხთუხე მოტორს.
თანადამსწრე დრუნზები აჭურჩულდენ და მდუმარე მზერა თან გააყოლეს
ქურქიანს.

როცა იგი კარებში შედიოდა, მისი სქელი ზურგი რამოდენიმედ შე-
ტოკდა.

შეზობლები მიწაზე განრთხულ მოხუცს ნიაშურებენ, სწადიათ მიეშვე-
ლონ მათ.

ივა დაუხმარებლად სდგება და თავის ქუდსაც აიღებს ხელში.

სისხლი ჰფეთქს თვალსა და პირს შორის.

იგი უთანასწორო შრძოლას დაუქანცავს და გაუფითრებია.

იგი აუჩქარებლად იფერთხავს მტვერსა და ტალახს და მდუმარე თავის-
ქნევით უპასუხებს ცნობიმოყვარეთა კითხვებს.

სჩანს ის სავსებით გულგრილად ღებულობს დამსწრეთა თანაგრძნობას.

მოულოდნელად ხელს იშვერს იგი სახლისაკენ. პირველი სართულის გა-
ნათებულ ფანჯრებს შესცქერის.

მოხუცს წვერი უცანცარებს და ბჭალებივით მოკაუჭებულ თითებს აიენი-
საკენ იშვერს.

მისი თითები ყვითელია და გამხმარი.

თავის აუწყელად გაივლის იგი ცნობისმოყვარეთა შორის, მას ასეთი გა-
მომეტყველება აქვს, თითქოს რალაც მძიმე გადაწყვეტილებაზე შედგაო. მოხუ-

ცი ნელის ნაბიჯით ვაემართა ბოგანოების უდაბნოსაკენ. მისი შავი პალტოს ზურგზე ქუჩის ნეხვი მიწებებულა.

პატარა ქუჩა მოწამლული დარია. არაეინ ხმას არ იღებდა მშენებელი ქუჩისა-ქანზე დაყრილ გახეთება ჭკრეფს.

ყოველი კაცი შინისაკენ გაემართა.

და სახლებს ერთბაშად მოქოთქოთე ქალაქის შფოთვამ თავზე გადაღრ-ბინა.

* * *

ღამის სამი თუ ოთხი საათი იქნებოდა, როცა მოულოდნელმა კვიცილმა გამომაღლიდა.

მე წამოვევარდი და ბროუნისგ წამოვავლე ხელი. (ამ უკანასკნელ ხანებში მე თან ვატარებ ბროუნისგ).

კვიცილი ქუჩაში გახშირდა და ალესილი დანასავით შეეჭრა ჩემს ელდანაქ-რავ სმენას.

ას არის ყვირილი თავზარდაცემულისა, რომელიც სულს მოსათქმელად დაუშვებს მხოლოდ პაუზებს. ყვირილზე ეტყობოდა, რომ იმ კაცის გადარ-ჩენა შესაძლო იყო თუ კიდევ მიუხსრებდით.

რატომღაც ამ წუთში იელვა ჩემს წარმოდგენაში ქურქიანი კაცის გატე-ლეხილმა სახემ და ბეწვეულით დაბარდულმა საყელომ.

სინათლეს მოვუკიდე, ფანჯარა გავაღე.

ეს მართლაც მისი ყვირილი იყო.

აივანზე გადმომდგარა იგი და მოწამლულ ნადირსავით ყვირის და ღრი-ალებს.

თუმცა ჩემი ფანჯრიდან წასული სინათლე მკრთალად ანათებს მის სახეს, მაგრამ მე უცებ ვცნობილობ მას.

მაგრამ აჰა, სხვა ფანჯრებიც გაიღო და უფრო მკაფიოდ მოსჩანს მისი ფიგურა. შტრალენბურგის ქუჩის ფანჯრები ერთბაშად აკაშკაშდნენ.

რა საოცარად ეგებებიან ზამთრის დილას!

სამი შეესამოსიანი კაცი აკრობატებივით სწრაფად გადაეშენენ ლოზეზე აივანზე მდგარის თვალწინ. სჩანს ეს გამოცდილი ქურდები იყვნენ და არა შემთხვევითი მძარცველები. ისინი თითქოს იღუმალ შეთაურის ბრძანებას აპყო-ლილანო, თვალის დახამამებებში გადაეშენენ მესრებზე. არც აივანზე მდგარის ყვირილს ათხოვეს ყური და არც ფანჯრებიდან მაკცერალთა შეძახილს, არც ხახხასა ელექტროს სინათლეს და მოჭკურცხლეს.

მე პირადად ყველაზე უფრო მათი გეგმიანი საქმიანობა მომეწონა, რო-გორც ერთაშესხმული, ჯადოსნური ბურთულები მიჭპრიან ისინი მიუსაველ-თისაკენ.

შემთხვევით გაქციულებს ნაგვიანევი ტრამვიის ბორბლების რიტმიული რახ-რახი აკომპანიმენტს აწვდის.

მე ფანჯრიდან გამოვჰყავი თავი.

გაქცეულები კიდევ მოსჩანან შორეულ დათოვლილ გზაზე. დასასრულს სიბნელემ ჩანთა ისინი სწორედ იმ ადგილას, სადაც განიერი ქუჩა ბოგანოების უდაბნოში ინთქება. ისინი ალბად თავშესაფარს იპოვნიან გაბეჭდილ და დატყვევებულ ბარაკებში. უხმოდ ინთქებიან მძარცველები ნისლში, მძარცველები წყალში ჩავარდნილი ქვები.

მე ახლა ვიფიქრებ, რომ ერთ-ერთ მძარცველს რაღაც ბრწყვიალა თან მიჰქონდა, მერმე გამოიჩვენა, რომ ეს თან გატაცებული ვერცხლის ქურპელი ყოფილა.

არავის არ უცდია მტაცებლებისათვის გზა გადაეჭრა.

მე შემძლო, ცხადია, ერთი დროზე და მესროლა ბროუნინგი, მათ უთუოდ გზა შეეკვრებოდა.

როცა ყვირილს აყოლილმა ფანჯარას ნივთსურე, ხელში რევოლვერი მქონდა. შემდეგ რევოლვერი თაროზე ვნახე გაუსროლელი.



უშწილობით გაცოფებული ქურქიანი კაცი იფენის მოაჯირს ებლაუქებოდა და დაბმულ ძაღლსავით ჰყეფდა, თვალს არ აშორებდა არბინად გაქცეულებს. მერმე, როგორც სჩანს, ღრენის გარდა სიტყვების ამოტყორცნაც შეიძლებოდა პირიდან.

იგი ახლა მეზობლების თანაგრძნობას ეძიებს, მათკენ მიიღრეცს კისერს, მკერდზე მუშტს იცემს და ჰყვირს:

— ქურდები, საზიზღარი ქურდები.

მერმე მუშტებით ემუქრება ნისლის ფარდის ვადაღმა მიმალულებს:

— საზიზღარი, ბინძური ქურდები... არავენ, არავენ მომეშველა. ასე იწყებს იგი თავის სიტყვას, ასე იწყებს იგი ბრძოლას. თუ აქამდის ადამიანები ისე მიტყუებული იყვნენ ფანჯრის თაროებთან, როგორც სამხეცის უტყვი მდგმურები, ახლა ისინი უკვე შეესიტყვნენ ქურქიან კაცს.

— ამ ბინაზე მუდამ რაღაც უბედურება ტრიალებს.

ფანჯრის დახურვა მესმის. ჩემ მხარეზედაც კიდევ ვილაქა ყვირის:

— თქვენც ძლიერ მაგრად გძინებიათ, როგორ არ გამოგვლეძიათ, სულ ადვილად შეიძლებოდა მათი შეპყრობა.

გამარცხელი ისევ გახელდა. მან ზორბად შეისუნთქა ჰაერი ფილტვებში და გაჰყვირს:

— თქვენ რა გესმით? ყოველივეს თავისი მიზეზი აქვს. შეპყრობა? ყოველთვის რომ შესაძლებელი იყოს შეპყრობა! ვთხოვთ კკუას ნუ მასწავლით.

იგი უკვე დარწმუნდა, რომ ვერაფერს თანაგრძნობას ველარ იპოვნის. იგი ბრაზმორთული ხელებს იფარავს თვალებზე. იმავე ხელს შუბლზე დაიარტყამს, თითქოს ახლა უნდა ჩასტენოს, ის რაც წინად არ ჩასვლია შიგ. ზიზღის ნიშნად ჩაიჭნია ხელი და შევიდა სახლში.

ისე მაგრად მიარაგვუნა კარი, რომ ამით გამეღივინა რომ თავის მეზობლებისაგან აღარაფერსა მოელის. კარი რომ ჩაიკეტა, ფანჯრებმა ზანზარი მორთეს.

ფანჯრებსა და ფანჯრებს შორის თათბირი უფრო გაძლიერდა. ვინაიდან ვარაუდს გამოსთქვამს: მძარცველები აივნის კარიდან გადმოძვრნენ, რაკი ქუჩა-დებმა ძილი გაუტეხა მშვიდობიან მდგურებს, შათ ახლა საუბრით დაიწყო მოკვლა მოუნდათ. გარდა ამისა, ცხოვრება ისე მოულოდნელად შემოქრობა ძილში, რომ გატეხილი ძილის გავრცელებაზე ფიქრი ყველას ზედმეტად მიაჩნია.

ქუჩიანი კაცის ოთხივე ფანჯრიდან სინათლე გამოკრთის, სანახევროდ დახშულ შტოებიდანაც მოსჩანს, თუ როგორ დაბოტებს ახმახი კაცის ლანდი.

ქუჩაში ჩუმად, დარდიანად იზნევა თოვლი.

ხელუხლები, თეთრი ქუჩა მშვიდად სთვლემს.

— ასეთ თოვლში ყვალს ვერ მიაგნებს პოლიცია. დინჯად ამბობს ხალხთიანი ვაებატონი და სიგარას აბოლებს. იგიც სხვისავით დარწმუნებულია, რომ ნაქურდალს პოლიცია ვეღარ აღმოაჩენს.

მეკარე ნაცრისფერ სახლიდან გამოვიდა და გასაღებებს აჩხარუნებს. მან კარიბჭე გაანათა და ორი ლიფლიფაც აანთო, (წინად ისინი არასოდეს აუნთია!) მას ისეთი გამომეტყველება აქვს, იტყვიო: თავისი საქმე ზედმიწევნით შეესწავლიაო. იგი თავის მოვალეობის შეგნებით აღვსილი შუა ქუჩამდის მივა, საყულოს გაისწორებს და კარტუსს ყურებამდის ჩამოიფხატავს.

თავაწული, ზედაზედველის მეკარი გამომეტყველებით ათკალიერებს იგი სახლის წინა ფასადსა და პირველ სართულს. შემდეგ იგი ნელ-ნელა უახლოვდება ქიშარს და ქუჩიდან გადარაზავს. ეს ამბავი ძლიერ გააოცებს მათურებლებს.

ფანჯრებთან მიკუთვლი ხალხი სდუმს, მღვდლვარება მაინც იზრდება. ნაცრისფერი სახლის მდგური ისე აივანზე გამოვარდება და ანთებულ ლიფლიფებს რომ დაინახავს, მეკარეს გადასძახებს:

— ყოველივე გათავდა...

და რაკი დაინახა რომ მეკარე აღარ ინძრევა, დასძენს:

— დახე, ფრად პატივემულო ვაებატონო თქვენი სამსახური აწი აღარ მესაჭიროება. არც წინად მამშიმებდა თქვენი სამსახური, ხოლო დღეს, დღეს კი ძლიერ დაგავგიანდათ, გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ.

ყოველ ახალ სიტყვაზე ტონს უწევს იგი, ყველა მდუმარედ უსმენს მას. მეკარეც ხმას არ იღებს.

ქუჩიანი კაცი ისე საცოდავად ატუზულა აივანზე, თითქოს მსახიობი იყოს, მსახიობი რომელსაც უსტუინეს სცენაზე გამოსვლის უშალ. ამ კაცს რალაც გაფნობრა ყელში. იგი უმწოდ ასაესავებს პაერში ხელებს. ხმა უკვე აღარ ემორჩილება პატრონს. მათურებელნი უკვე რწმუნდებიან რომ იმ ღამეს მომხდარი ეს მისი „პირადი საქმეა“.

არა, ზოგს მაინც არ უნდა ამის დაჯერება. ეს ყოველივე არ ნიშნავს საქმის შესაფერად დაბოლოებას, ისინი აღბად სხვაგვარ სცენებს მოელოდნენ. ასეთ რამისთვის გამოლოქებაც შეტი იყო.

ისინიც, ვინც სარდაფის სართულის ფანჯრებიდან იცქირებოდნენ, ისინიც ვინც სხენის ფანჯრებიდან გამოიყურებოდნენ, ყველანი დაეთანხმნენ საშუალო

ეტაგების ფანჯრებიდან გადმოზღვართ, რომ ეს „მისი პირადი საქმე“ არ არის. უკმაყოფილება იზრდება, ხალხი აყაყანდა და ყველა ერთსა და იმავე ბზრს იმეორებს: „როგორ თუ პირადი საქმეაო“.

ყველაზე შორეულ სვენიდან ვილაცამ საკითხის კატეგორიული განმარტება გადმოსროლა: „ოფიციალი დანაშაული, ჭურდობა და ძარცვა-გლეჯა ეს არის სწორედ პოლიციის საქმე“.

ეტყობა, ვილაც გამოჭაბრაკებული იურისტის ბაგემ ლალაძყო ასეთი დიდი ქეშმარიტება. ყოველ ფანჯრიდან სიხარულით გამოეხმაურენ ამის მთქმელს. ასეთი იყო პირველი შედეგი მომხდარი ამბისა. ამ ამბავმა პირში ბურთი ჩასწრა გაძარცულს.

მეორე სიტყვა, შემთხვევითი საწყისის წარმომადგენელს, ვილაც ხავერდის ხალათიან ჭაბუკს ერგო. მან თავისი ფანჯრები გააღო და მეზობელ დამებს თავისი ნიკელის საწოლები აჩვენა და კედლებზე გამწკრივებული ფოტოგრაფიული სურათები.

ჭაბუკმა შეკარეს ჭკითხა:

— თუ იცით, პოლიცია მალე მოვა?

შეკარეს ალბად თავისი მოსაზრება ჭქონდა, როცა მან გაძარცულს პასუხი არ აღიროსა, ხოლო ჭაბუკს თავაზიანად უპასუხა:

— პოლიცია უკვე გამოვიწვიეო.

ჭურქიანი გაცოფებული დარბის ფარდებს გადაღმა.

ხავერდის ხალათიანმაც ჭურქი წამოიხსნა, ოთახი განათებული დასტოვა, ჭქონზე ვავიდა და ღობეს გადაღმა მცხოვრებ მეზობელ ქალს შეესიტყვა. ქალი ჩუმად იცინის. სიხანს ჭაბუკმა თავისი ენამახვილობა დაუმტკიცა ქალბატონს.

ფანჯრებზე მომეტებულად მოზღვაედა ხალხი. საუბრობენ, კეთილ სურვილებს სთავაზობენ ერთი მეორეს. ისინი ვინც დღემდის ხმის ამოუღებლად ჩაუვლიდენ ხოლმე ერთი მეორეს, ახლა ერთბაშად დამეგობრდენ.

ფანჯრიდან ფანჯრისკენ ისერიან ვარაუდებს. მე ასეთი წინადადების ნაწყვეტიც კი ვაფიგონე: „ეს პირდაპირ შეკვეთილი საქმეა“.

— „მე მგონია ეს ძლიერ საეჭვოა“.

— „ერთი მუქა ევრცხლისთვის არავინ იყვირებდა ამდენს“. როგორც ეტყობა, ყველა დარწმუნებულია, რომ პოლიციის მოსვლის შემდეგ უფრო დიდი ნასშტაბის ამბები გამოაშკარავდება.

მაყურებლებს შეკარემ შემდეგი ამცნო: თურმე შეკარე ცდილა კიდევაც თავის ბატონს მისშველებოდა, (ამ ბატონს ფრიც შტრასსენმან რქმევია, მას ჭქონია სააგენტო და საყომისიო ბაურო) შეკარე ხარას რეკავდა, კარზე ურახუნებდა, მაგრამ პასუხად გინება მიუღია.

— ყველაფერი ეს კარებიდან ისმოდა.

შეკარეს რალაც ეკვი აქვს აღებული. იგი ჯარისკაცივით გაქიმული სდვას თავის სადარაჯოზე.

თოვლი იღარ მოდის, ახლა ამინდზე იწყებს საუბარო. ეილოცან წაწილიძაბა, ხუთ გრადუსიან სიცივეში პოლიციის იღრე მოსვლა შეეძლო. ამ დროს, შუკარის ზურგს უკან კარი შემოიღო.

ლიფლივებით განათებულ კიბეზე ქალი ჩამოდის და კიშკარისაკენ მიეშფრება. ეს ის ქალია, ავტომობილით რომ დაჰყავდა ქურქიანს.

იგი ნელ-ნელა მიდის, ცდილობს დათოვლილ ჩირვებს მიეფაროს. იგი ნელი, მკირე ნაბიჯებით მიისწრაფვის და ცალი ხელი მკერდზე აქვს დადებული, თითქოს შიშველია და სიშიშველეს ხელით უპირებს დაფარავსო.

მან აღბად იცის; იგი ლამაზია და ამიტომაც მოუჩივრებლად რომ დაუწყებენ თვალიერებას.

კარი-ბჭედან მესრებამდის სულ 4—5 ნაბიჯია და ასეთი მკირე მანძილის ვასაეღელად რა საკარო იყონაცრისფერი ტყავის ქურქის წამოსხმა, მოკლე კაბისა და ნათელი წინდების ჩაცმა.

რა თქმა უნდა, მისი სახე უფრო დაბევილი რომ ყოფილიყო, იგი უთუოდ მეტ თანაგრძნობას მოიხვეჭდა მაყურებელთა თვალში. ახალგაზრდა, ლამაზი ქალი უნდა გაღვიზებდეს ასეთი განათების პირისპირ. მისი სახის ნაზნაკეთიანობა სავესებით გამოჩნდა. მისი გრძელი, თეთრხელთათმანიანი ხელი ისე ლამაზია, რომ ის ქალი თანაგრძნობას ვეღარ გამოიწვევს.

ქალს ფეხი დაუსხლტა, მან ხელი გააქანა, თავშალი მხრებზე ჩამოუვარდა და მისი ქერა, ქველიანი თმების ბრწყინვალეობა თვალსაჩინო ვახდა.

მაყურებელნი ყოველივეს ამჩნევენ. თენდება. ვათოშოილ, კრილა ჰაერში მკირეოდენი ფაზუნოც ყურმისაწვდენი ხდება. არავინ იძვრის. ყოველი კაცი მეკარესთან შეტაკების მოლოდინშია. არავის უნდა სიტყვის თქმა.

ქალს ჯერაც არ შეუნიშნავეს არკის გადაღმა მდგარი მეკარე. როცა ქალმა მესრებამდის მიაღწია, უცებ უაუოქცა.

მეკარე შეინძრა.

ფანჯრებთან მდგარი გაინაზნენ.

ორი ქალი ახველებს.

ქალი კიშკარს უქაჩავებს, მერმე ორივე ხელებით მოეჭიდა ბოქლომს და მის მოგლეჯას ლამობს.

ზევით შტორებს გადაღმა კიდევ გაიღვია ვეებერთელა ლანდმა. მამაკაცის ლანდი წინ და უკან დალოდაეს ფარდებს გადაღმა.

როცა კარი-ბჭე ახხარუნდა, კაცმა ფარდებიდან თავი გამოჰყო და ყურს უგდებს. კაცს თვალის უბეები უგანიორდება. ხახა დააბჩინა ქურქიანმა კაცმა. მის მოწითანო თავის ქალაზე ოფლმა დენა იწყა.

იგი ყურს უგდებს.

ყველანი ქალს უყურებენ.

და აჰა, ქალი მეკარეს მიმართავს. იგი ხმა ჩაწყვეტილად ამბობს:

— ახლავე გამიშვით, ახლავე.

მეკარე არც მიბრუნებულა ქალისაკენ. ისე დაიკრიფა ხელები გულზე.

ჩურჩულმა გადაირბინა მთელ ფასადზე.

ქალი უკანასკნელ ღონეს იკრებს და ისე არახუნებს ქვეყნის უკან
ქუჩის გადაღმიდან სიცილი მოისმის. ვიღაც იმახის: „ჩემადღე, ჩემადღე, ზოგი-
ერთებს უვლადფრის გავონება სწადით.“

ქალი კიდევ ერთხელ შეეცდება. ხმაჩაწყვეტილი ყვირის:

— მე უნდა წავიდე, გამიღეთ გეთაყვა, გამიღეთ.

ეს ყველამ გაიგონა. იგი ქიშკრის რკინის ჩხირებს მოებლაუქა, აზანზარებს.
შეკარე ადგილიდან არ დაძრულა. მან თავი ასწია, მაგრამ ქალისაკენ არ
მოუხედავს და წელში გამართული მკაფიოდ ამბობს:

— ეს არ მოხდება.

ვიღაცამ დაიღრიალა: „ბრავო“. ეს იყო ერთგვარი ნიშანი, დაცინვების
გამოსაწვევი.

— „პირადი საქმე“ გაქცევას ლამობს.

— არა, „პირად საქმესთან“ დაკავშირებულ ქურდობას არ მოვითმენთ.

— ამ საქმის საფანელს უნდა მივაკვლიოთ.

ყველაზე ხმაშლია დიაცური ხმა მოისმის:

— ამ სისულელეების გამო ჩვენ ძილი გავკვიტებეს.

ქალმა თითებით ყურები დაიცო, პირველ სართულს აპხედა და ყვირის:

— ნუ ჩამოდიხარ, საჭირო არ არის.

მაგრამ აივანზე უკვე აღარა სჩანს მრგვალი თავი.

ნაცრისფერ სახლში კიბე ზანზარებს. კარი რახუნით გაიღო. და აჰა, კარის
ჩარჩოებს შორის გამოჩნდა ქურკ წამოსხმული, მკერდადღელილი შტრასსენმან.
იგი მოჰად სისხლია და მოჰად ცეცხლი. შტრასსენმანმა თავი დახარა. ფან-
ჯრებთან მდგარი გაიტრუნენ. შეკარე ერთ ადგილზე გაქვავდა, შეშინდა და
თავი მოიბრუნა. მან ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მის უკან არავინ
იღგეს— შეკარე უფრო მკიდროდ მიეკრა სვეტს.

მკედრული სიჩუმე დაეარდა. ისმოდა, როგორ იფინებოდა მიწაზე თოვლი.
ქალი კენესის და შტრასსენმანს ხელს უწედა. სიტყვები მოფრინდენ ჩემამდის:
არა ეს ხალხი, აბ ეს ლამე...* ქალი შეტორტმანდა, საცაა წაიჭკეცა.

ამან შეანელა მამაკაცის რისხვა. ახლა მისთვის მხოლოდ ეს ქალი არსე-
ბობს ქვეყანაზე. მამაკაცი ხელს უწედა ქალს. ქალი შებორძიკდა, შტრასსენმან-
მა ხელი შეაშველა. ქალი უსულოდ დაეკიდა მის მკლავზე. ქალი რაღაცას სთხოვს,
შტრასსენმანმა კიბის საფეხურზე დასვა იგი. ფანჯრებიდან თანაგრძნობის სიტ-
ყვები მოისმის. მამაკაცები პაპიროსებს პირიდან იღებენ. აღელვებული ქალები
განზე იყურებიან. თითქმის მეგობრული თანაზიარობა გადაედო ყველას.

ქალს სუნთქვა შეეკრა, ბინაში დაბრუნება არა სურს. მამაკაცმა თავშალი
მოხსნა, გაასწორა და ისევ გადააფარა თავზე.

ქალის ქვითინი მოგვესმის. მის ლოყებზე ცრემლები მოწანწკარებენ.

კაცი თავზე ხელს უსვამს. მამაკაცი ისე ექცევა ქალს, თითქოს არც ერთი
მთგანი არ ამჩნევს რომ მათ თვალსურს ადგენებენ. ორში ერთია, ან ანგარიშს
არ უწევს მამაკაცი მტრულად განწყობილ ქუჩას, ან არა და, უფსკრულამდის

მისვლისას თვით ყველაზე წვეული ადამიანი ფერიცვალელებს გინიცლის ოჯი თავისთავზე უკვე აღარ ფიქრობს, იგი მხოლოდ ამ ქალზე ფიქრობს, კაცი წამდაუწუმ ძირს დაიბრება და რაღაცას ხმადაბლა ემუდარება. მასწავლებელი მხოლოდ სინაზედ იქცა.

ფანჯრებში ისევ ზუზუნებენ. იქ გადასწყვეტეს, რომ შტრასენმანი ჯენტლმენი ყოფილა. მიუხედავად ამისა არაფის სწადია ადამიანური თანაგრძნობა მას უწილადოს.

მოკლე ჯუბიანი, დაქანცული, ფერგამკრთალი მეკარე თავის სადარაჯოს არა სცილდება. იგი ამ ღამეს მოუდრეკელობის სიმბოლოდ გადიქცა. იგი კრინტსაც არა სძრავს, მაგრამ მის მზერაში მუქარა მეტყველდება. ყველა მას უყურებს, ყველა შტრასენმანისა და მისი დამის გარდა.

კბეზე ჩამოშვადარი ქალი სტირის. მას ეროლა უვლის ტანში, მაგრამ ცახცახი ჯგრაც ვერ გაუბედნია. მისი ტუჩები ერთსა და იმავეს იმეორებენ. მას შეუძლებელი მონდომებია: მაყურებელთა მზერას გაექცეს. მაშაკაცი ღონე-მიხდილი შესდგა. მან ხელები ძირს დაუშვა. ამის შემდეგ მან შენიშნა: ქალს ცალი ხელთათმანი შემოხვეია, ქალის ხელი აიღო და ქურქში ჩამალა.

მაყურებლებს მოსწყინდათ ამ ამბების მზერა. ვილაცამ სხვენიდან სიტყვა გადმოავლო.

კმარა ამ დედაკაცთან სალახანობა.

ქურქიანი კაცი იჩქითად მოსწყდა ქალს. იგი წელში გასწორდა და ახლა იქითკენ იცქირება, საიდგანაც ეს ხმა მოვიდა. იქით ნელი ხმით იმეორებს: „დედაკაციო?“ კაცმა ორავე ხელი თავზე წაივლო, შემდეგ კისერზე გადაიტანა ისინი, თითქოს რაღაც ყელში უჭერდეს, ერთს ახედავს სხვენს, შემდეგ სამიოდე ნაბიჯს გადადგამს ჭიშკრისაკენ. იგი მკაცრი და ენერგიული ხმით კითხულობს: — ვინა სთქვა „დედაკაციო“? მისი ხმა მთელს ქუჩას მოედო.

— ეს მე ვთქვი, დაიძახა ვილაცამ სხვენიდან.—იმ ქალს თამამად შეუძლია პოლიციას მიმართოს, საცაა საამისო შემთხვევაც მიეცემა.

შტრასენმანმა ნერვიული სიცილით უპასუხა. სისხლი ყელში აუვარდა და მთელ სახეზე გაშავდა.

არაფინ ხმას არ იღებს. ყველა შეკრთა. თუმცა მეკარე კვლავ წელგამართული იდგა თავის სადარაჯოზე, მაგრამ იგიც ფერგამკრთალი მოსჩანს. რამოდენიმე მაყურებელი ფანჯრებს მოსცილდა.

შტრასენმანმა კიდევ გაიცინა. კიდევ ერთხელ. მესამეჯგრაყ გაიცინა. მთელ ქუჩას მოავლო თვალი, ასე გგონია, ყველას სათითაოდ ესალმებაო. ყველას ვინც კი ფანჯრებიდან უყურებდა ნაცრისფერი სახლის ბინადარს.

ფასადები არ ჩამონგრეულან, მაგრამ კბეზე მჯდარი ქალი სხვას ვერაფერს ახერხებს, არ იცის რითი უშველოს მას და ყვირის:

— კმარა, კმარა სირცხვილი, სირცხვილი.

ქალი ხელებით იფარავს სახეს. თმებში ხელებს ივლებს.

მაგრამ შტრასენმანმა ერთი სიტყვა აიჩემა:

— სირცხვილი? რა სირცხველი შეიძლება ამ ხალხის წინაშე? ამ საზიზ-
ლარ, გულისარეგ ბრბოს წინაშე.

ყველას სათითოოდ ჩამოთრივა ეს სიტყვები შტრასენმანის ყველას,
ვინც კი ფანჯრებიდან იცქირებოდა იმ წამებში.

ყოველის მხრიდან ლაფი გადაასხეს შტრასენმანს:

— სულელი, იდიოტი, გაუთლელი მუტრუკი, ეს ტუტუკი კოდეგ ბედაეს
ტლანქად ლაპარაკს.

ყველა აღშფოთდა, ყველა გაწიწმბდა. ამ ამბავმა ყველანი გააერთიანა
შტრასენმანის წინააღმდეგ. ყოველი კაცი მოწადინებულია ბრბოს არ ძიაკუთ-
ვნოს თავისი თავი.

გნისო იზრდება და ქუჩას ეფინება, ქუჩის გადაღმაც მოისმის ჩოჩქოლი.
შორეული მეზობლებიც კი გამოუხიზლდენ. გვიან მოხეტიალნიც ამ უბანში
მოდიან და ყაყანის საერთო კონცერტს უმატებენ თავის ხმას.

ტელეფონები ზუზუნებენ. პოლიციის განაპირა უბნებსაც კი ატყობინებენ
ამ ამბავს. პატარა, მუნჯი ქუჩა ახვავდა და აქოთქოთდა.

მეკარემ რაკი ჩოჩქოლის გაძლიერება იგრძნო, წამსვე ამოძრავდა. იგი
მთლად მოვალეობად, მთლად სამსახურად ქვეული საღდაც გაემართა დოინჯ-
შემოყრილი. კიბეზე შეჯდარი ქალი მთლად მოიკუნტა.

მოყაყუნე ხალხს ვიღაც ბოხბშიანი კაცი ჩაუღგა სათავეში. ეს ხმა ყველა-
სას ჩრდილავს. იგი მკაფიოდ აღწევს შტრასენმანის ყურებამდის:

— თქვენ ვინ ბრძანდებით ნეტავი ბატონო? საჭიროდ არა სცნობთ თავი
გაგვაცნოთ? შემდეგ განვაგრძოთ საუბარი. ჩვენ პატიოსანი ხალხი გახლავართ.

— გულზე ხელდაკრეფილი შტრასენმანი ისმენს. იგი უფრო და უფრო
იმართება წელში და მკერდს უშვერს მოპირდაპირეს. ძალოვანი ხმით უპასუ-
ხებს შტრასენმანი:

— პატიოსანი ხალხიო? ჰო, ჯერ კიდევ პატიოსანი ხართ. დღეს მე მო-
მივიდა ეს, ხვალ შესაძლოა თქვენ დაგემართოთ. ეს ისე უეჭველია, როგორც
ის, რომ მე ფრიც შტრასენმანს მეძახიან. ყოველმა თქვენგანმა, პატივცემულნი
გვამნო, გონიერების თითო-თითო ნაქერი წამგლიჯა.

ეს სისაძაგლეა, ხალასი სისაძაგლე, გესმით? მთელი ჩემი ფული, სამი წლის
რბენითა და ჯაფით ნაშოენი ფული დაგვარგე. მომპარეს და თქვენ გეცინებათ?
ეს სისაძაგლეა, ხალასი სისაძაგლე.

იმ არამზადამ მძარცველები შემომიჩინა. გაიგეთ? მაგრამ ეს ფრიად და-
ზურდული ისტორიაა. ლამისაა თავის ქალა გამისქდეს.

ეს სიტყვები ღამეს მოედო, ეს სიტყვები ფანჯრებში შეიჭრა და იქ ყუმ-
ბარასავით გასქდა.

შტრასენმანი მძიმედ ხვნეშის, შტრასენმანი სღუმს.

ყველა დამუნჯდა. მხოლოდ ვიღაცამ მტკიცედ სთქვა:

— ისე ლაპარაკობს, თითქოს ჩემი სულიდან ლაპარაკობსო.

ზოგიერთები ენამახვილობასაც ეწევიან.



ქართული
წიგლისწამბა

- სულელური ხრიკები.
 - ეგვიპტური ფანდები.
- ამ სიტყვებს არაინ გამოხმაურებია.

- კარგია ლოგინში რომ ჩაწებოდეთ და ცოტა ცრემლს დაღვრიდეთ.
- ჩვენ მოგებუზადა თქვენი ლექციები, თქვენ დაბურდულ ისტორიას თავად შეექვით.

ამ შენიშვნებმა ხითხითი გამოიწვია.

ცნობისმოყვარეთა პარტია იმარჯვებს. ამ ხალხს არ უნდა შემთხვევა დაკარგოს. ყველას ეინტერესება გახლენილ თავის ქალაში ჩახედვა. ვილაც თავზედურ კითხვას ისვრის:

- ეს ქალი ვილაა ნეტაეი?

შტრასენმან ისეე მოჭვითინე ქალს მიუბრუნდა. თავზე ველემა. მკერდზე რხეტებს, ეფერება, შემდეგ ისეე კიბზე დასვამს და ყვირის:

— ეს ჩემი საყვარელია, მას ანის ეძახიან. ჩემი საყვარელი ანი. იგი ათასწილად სჯობია აგრედწოდებულ პატიოსან ქალებს. გესმით? ანისაც ჰყავს ზემან ბავშვი. ამ ბავშვს ვადისფურცელივით ნაზი თითები აქვს. დიდი ხანია რაც ანის ცოლად შერთვა მინდოდა, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა, რადგან ჩემს კანონიერ ცოლს ეწადა, რაც შეიძლება მეტი ფული წაველიჯა ჩემთვის, რაც შეიძლება მეტი აღიმენტი მიელა. ჩემი ცოლი ობობასა ჰყავს და იმიტომაც... და ახლაც ველარ შევირთავ ანის, რადგან ფულები დავკარგე. იგი იძულებული გახდება თავისი მისამართი გაიზილოს სასამართლოში... იგი თავის წამას უნდა დაუბრუნდეს, იმ ბებერ მაჰანკალს დაუბრუნდეს. იმავე არაზნადას, გუშინ ასე მარჯვედ რომ ისეუბა ტალახში და წუხელის მძარცველები მომიგზავნა. ის გარეწარი ძველი თამასუქებით დამაზრჩობს, მაგრამ მე ველარ გამოვიყიდი ამ თამასუქებს.

ახლა როგორც უნდა ისე მომზარაკოს მე... ფრიც შტრასენმან... მაგრამ ფული აღარა მაქვს... გესმით? ყოველივე მზად იყო. ყველას ეყოფოდა, არაზნადასაც, ობობასაც და ჩვენც. ეხლა ყოველივე დაიღუბა. მე წუხელ პატარა ნადიმითაც ვეღნიშნე პირველი მოსვენებული ღამე, ათასგვარ საქნიების შემდეგ პირველი... შამპანიურიცა გეტონდა, ყვავილებიც... ნუთუ თქვენ ეს არ გესმით? ჩვენ ზომ ყველანი ერთსა და იმავე ტაფაზე ვიწვით, ყველანი ერთი და იმავე პატიოსანი ოჯახის წევრი ვართ, შიბერების*) ოჯახის წევრი.

შტრასენმან გულზეხელდაკრევილი სდგას და საღანს აძლევს ქალებს და კაცებს, ფანჯრებს და ლიფლიფებს, ქუჩას და ქალაქს.

ფანჯრებთან მდგომნი დადუნდენ. უხმოდ უსმენენ.

შტრასენმან წინ წადგა. რამოდენიმე კვალი დასტოვა თოვლზე. და უცებ მე შევნიშნე: ეს შიშველი ფეხის ნაკვალები იყო. შტრასენმანს არც ფეხსაცმელი აცვია, არც ფოსტლები, შტრასენმან გაყინულ თოვლზე სდგას შიშველი ფეხებით.

*) შიბერი—ჩარჩი, სპექლანტი.

შტრასენმანმა ისევ ასწია თავი. ისევ გაცოცხლდა მის სენსორებში ელექტროს მოტორი. ნაჭერ-ნაჭერად ისერის ეს მოტორი წუხანდელ ვაჭრებს, შტრასენმან იმ კონდუქტორსა ჰგავს, რომელსაც ყოველი ქაზარაქი თავის ხემაზე მიუშვია.

„დაბურდული ისტორია“, „ლამის ამბები“, ყველაფერი აირია მის თავში. იგი ბორძიკობს, მაგრამ თავად იმხნეებს თვის თავს. აჩრდილები წამოიშალნენ და შტრასენმანს მიეხვიენ. შტრასენმან ყველას ესაუბრება, ფანჯარას, საბლეს, ქუჩებს და ლიფლიფებს, მიწას და ცივ ზეცას ესიტყვება შტრასენმან.

იგი შეუპოვრად თავს იცავს. მას აჩრდილებისა და ხმების ხროვა თავს დასხმია და შტრასენმან ებრძვის მათ კადევაც. მას სწადია გზის გაკაფვა, ყოველივე სიყალბისა და სიცრუის დათრგუნვა სწადია შტრასენმანს. იგი წყველას უთვლის ბირვას, ვაზეთებს—შერევენბას, სწყველის ქალაქსაც, ფასების ნიხრს, ვაჭრებს, დალალებს. შტრასენმან კრულვას უთვლის ხორცსა და ღვინოს, სივარებს და ლიქორებს, მარადეამულ სრბოლას, ტანტალს, ღორმუცელობას და გაუმადრობას.

მის უკან მოცახცახე ქალი რაღაცაზე კიდევ ემუდარება. შტრასენმან ყურს არ ათხოვებს მას.

შტრასენმან საკუთარი ხორცის ყასაბია. იგი ბოქსერია, საკუთარ ცხვირპირს რომ უშენს მუშტებს.

იგი სპეკულანტია, საკუთარი გულის ბაზარზე გამტანი. იგი ღამის მემატიანეა და ამა, მოუთხრობს კიდევაც ხალხს საკუთარ ბოროტებათა შესახებ.

რამოდენიმე წუთის განმავლობაში მან იმდენი ძალა გაფლანგა, რაც რამოდენიმე წელს ეყოფოდა. მაგრამ, ყოველივეს რაც თავში მოუფა, იგი არეულად და უთავბოლოდ მოგეითხრობს.

მის წინაშე ფოლადის საღაროს აჩრდილი აღიშართა. ფულით სავსე ფოლადის საღარო! ეს საღარო სისხლითა და ოფლით იყო მონაგარი.

„საპრობილისა და გაკორებისაგან“ თავის დასაღწევად.

„ამბზარი ცოლის თავიდან მოსაცილებლად“.

„ახალი სიყვარულის იდილიის შესაქმნელად“.

ეს ფულის საღარო იზრდება, მსხვილებმა, უშველებელი კოშკის ოღენა ხდება.

ღამით ამ კოშკის სადიდებლად იყო ნადიმი გამართული. ამ ნადიმს არ დაჰკლებია არც შამპანური, არც სამხრეთის ხმელი ხილი, არც ყვავილები, არც ესპანური სივარები.

მაგრამ ეს კოშკი მოიპარეს, დღეს ეს კოშკი ჩაინგრა, მისი შინაარსი დაიფურფლა. მისი შინაარსი—უცხო ბანკოტები განზრახ გაფინეს პირველი ოთახის მაგიდებზე, თითქოს სიყვარულის საგუშავგოზე დარაჯები დააყენესო, თავად კი საწოლ ოთახში გავიდნენ. საწოლი ოთახი აივანზე გადიოდა, შუშაბანდინი კარი ძვირფასი ხავერდის პორტიერებით იყო დაგმანული, ისე ოსტატურად დაგმანული, რომ ხმაურობა არ შემოსულიყო და არც მძარცველების ფეხის ხმა მისწვდენოდა შეყვარებულებს.

გარდა ამისა გრამაფონი სამიჯნურო ვალსს უკრავდა, ქალაქის უწარჩინე-
ბულესი ოპერის მსახიობის მიერ შესრულებულს.

მათ შეეშინდათ სხვა შურისმგებელთა, ობობა ცოლისა და მისი მამისა-
სა, ამიტომაც დროზე ვერ გაეხმაურენ მძარცველებს.

მოჩვენებანი მოულოდნელად ამოტივტივდებიან და ისეე ჩქარა ჰქრებიან.
მათ შუაგულში ჰაეროვანი კოშკია აღმართული, — ფულით საესე ფოლადის სა-
ლარო. მაგრამ ამ კოშკის გარშემო მრავალი საოცარი ხელსაწყო დაჰქრის;
ბროუნინგის რევოლვერი, რომელშიაც სწორედ მაშინ ველარ იპოვნა შტრასსენ-
მანმა ვაზნები, როცა მძარცველების შემოსვლა გაიგო, და სისხლის სამართლის
კოდექსი, — მისი ერთად ერთი წიგნი. ქალის აბრეშუმის ზორტები, პატარა
ბავშვის თითები, ვარდისფურცელივით ნაზი, ყალბი თამასუქების გროვა; და ამ
საოცარ მოჩვენებათა კორტეჟს ორი სახე მოუძღვებოდა: ობობას მსგავსი ცოლი
და ეშმაკეულივით ფლიდი ანის მამა.

მათ მიჰყვება გაუმძღარი ვეჟილის ლანდი. იგი ხომ ავანს ავანსზე იღებ-
და, „ზელენსკი, ზელენსკი, თქვენ ყოველივე მიწინასწარმეტყველეთ, თქვენ ყო-
ველივეს წინასწარ ხედავდით თურმე.

ფანჯრებთან მდგომთ სიცივეც დაავიწყდათ, ძილიცა და პოლიციაც. ყვე-
ლას ესმის, თუ როგორ ხმაურობს მისი გული, მისი სისხლი.

აჰა, ნელ-ნელა იფერფლება შტრასსენმან, მხოლოდ ხანდახან ისეე ამოხოჭ-
რდება, ახვადდება, მაგრამ მაინც იზრიტება, ვაცივებული მაწახალა იფერფლება.
ისეე გამოჩნდა ანის მამის აზრდილი. აჰა თმაში ჩააფრინდა საცოდავ გო-
ვანის და სცემს. მოსდევს შტრასსენმანს, სისხლი უნდა გამოსწოვოს შტრასსენ-
მანს, ანის მამამ და ობობა ცოლმა.

ბუნაგიდან გამოგდებული ნადირი, ნადირი, ნადირი.
დიდი ხანია რაც ათი ათასთა გაზოროტებულა სისინი თანა სდევს შტრა-
სსენმანს, ათი ათასთა კრულვა თანა სდევს მას და იმიტომაც სახეზე გაზეთის
აუფარებლად არ შეუძლია აეტაში ჯდომა.

და შტრასსენმანის მკერდიდან ამოსქდა ძახილი:
— მაინც მე ვარ გამარჯვებული, ყველაფერი ჩემს ხელშია. აქტივი, ბა-
ლანსი, ბალანსი. მოვიგე. ნახშირი. მატყლი. შაქარი. ანისთვის მოვიგე. ჩემი
საყვარელი ანისთვის. ლაევარდი ანისთვის, გულის მიჯნურისათვის მოვიგე.

და თავად ნეტარობს შტრასსენმანს საკუთარ ბნის გამგონე:
— ბედნიერი კაცი ვარ, ანის ვერავინ წამართმევს.

მაგრამ უცაბედათ სინამდვილის უბეში ფრთა შეეხო და ისეე მიწაზე დაე-
და მოზგიმე შტრასსენმან.

— სილარო გაქრა, ფული წაიღეს, თავის ქალა გამიხლიჩეს. ყველა იტი-
ნა ამ საცოდაობამ. ვინაიდან ყველა მათგანში ცოცხალია შტრასსენმან.

დიასაბლისები ნამდვილ საყვარულზე ოცნებობენ; ვაქრები — პატიოსან
მეშაობაზე, იურისტები „ქვემაროტ მართლმსაჯულებაზე“; მოხელეები სამაახუ-
რის ვალზე; მასწავლებლები სიმართლეზე.

შეძრწუნებული ხალხი შესცქერის ნაცრისფერი სახლის ბინიდან, არაფერი არ ანძრევს როცა იგი ერთი მეორეზე ესერის თავის ბროუნინგს ღამეულ ცას. გვიან გაახსენდა შტრასენმანს ბროუნინგი, სამაგიეროდ სწავლიდა მისი დილემის ესერის.

უმიზეზოდ დაუშინა ამ ღიპიანმა კაცმა ბროუნინგის ტყვიები ზეცას. გასროლილ ტყვიებს ბავშვივით ადევნებს თვალს. ღონე გამოეღია შტრასენმანს და მიწაზე დაეცა.

სთოფს, მიწაზე თეთრი თოვლი იფინება. კიანთობს ლიფლიფების მომწვანო სხივი.

* * *

ლიფლიფებით აღჭურვილი, მაძებარი ძაღლების თანხლებით დიდებულა გამომეტყველებით აღვსილი მოემართება პოლიციის ივტომობილი და ავტომსწორედ იმ დროს მოაღწია შტრალენბურგის ქუჩასთან, როცა ფრიც შტრასენმანის თავში მოთავსებული საიდუმლო უკვე მთელ ქუჩაზე მოფენილი იყო დი ის ის იყო ორი არტერია გასქდა.

თვალდახუჭული, ფერმკრთალი, განთავისუფლებული შტრასენმან დაეცა. ტუჩებზე დაკედომოდა მიცვალებულს მცირედი ღიმი. მის ცხედარს ქალი შივარდა.

ოჯახის მამები უკუდგნენ ფანჯრებიდან. მათ კიდევ გამოძინების იმედი არ დაუკარგავთ. მაგრამ ვერაფერი შესძლებს დაძინებას, რადგან მათ თავისქალებშია ცრაღაც ჩამოინგრა.

გერმანულიდან სთარგმნა. უ. ურდოელმა.



ජාතික වෙළඳිතවුම
ජාතික පොතුවුම
ජාතික පොතුවුම

ვის ხელშია კლასიკოსები?

მხატვრული მწერლობის დიდი აღმზრდელობითი გავლენა ფართო მკითხველ მასებზე დღეს საერთოდ მიღებული აზრია. ეს მიზეზია, რომ დიდი ყურადღება ექცევა პარტიული პოლიტიკის გამომწვევებს კულტურის ამ სფეროში, მაგრამ პარტიული პოლიტიკის ობიექტი უმთავრესად მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრებაა და ამიტომ ჩვენ ხშირად გვაფიქვდება მწერლების ის უდიდესი, უკვე შექმნილი და დასრულებული ნაწილი, რომელსაც კლასიკური მწერლობა ჰქვია. და თუ მწერლობის თანამედროვე სექტორი კომუნისტური პარტიის ზეგავლენას განიცდის, თუ ამ შირივ უკვე ვლაპარაკობთ პროლეტარიატის მოსალოდნელ ჰეგემონიაზე ახალ მწერლობაში, სამაგიეროთ თითქოს სრულებით უძღური ვართ კლასიკოსებზე ზეგავლენის საკითხში.

ზოგიერთ მკითხველს ძლიერ გაუკვირდება ასეთი „თაზედობა“, (?) მართლაც, როგორ შეიძლება რაიმე ზეგავლენა მოახდინო კლასიკურ მწერლებზე, როგორ შეიძლება „გააკომუნისტო“ გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ილ. ჭავჭავაძე აკ. წერეთელი და სხვები? როგორ შეიძლება შესცვალო ტექსტი გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“-სი და მონარქისტულ ჰიმნიდან კომუნისტურ ჰიმნად აქციო-აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კლასიკოსების ასეთ „გათანამედროვეებასაც“ ხშირად ზედებით: ხშირია ტექსტების გადაკეთებ-გადმოკეთება, სახელმძღვანელოებში დამაბინჯებელი სახით „გაფითლებული“ რაფიელ ერისთავის შეტანა და სხვა. ყოველივე ეს დიდი გაუგებრობა და ბოროტმოქმედებაა! არის მეორე შემთხვევა კლასიკოსების „გათანამედროვეების“. რომელიმე თანამედროვე მწერალი ეპიგონური პედანტობით ზღვს მოჭიდებს ხოლმე კლასიკოსების მიერ უკვე ნამღერის „თანამედროვე“ კეროზე გადამღერებას—ესეც დიდი კულტურული მანებლობაა! არის მესამე შემთხვევა; როდესაც რომელიმე ცნობილ კლასიკოსს, რომელსაც სოციალისტურ იდეებთან არაფერი საერთო არა ჰქონია—სოციალისტათ აცხადებენ. ჩვენ გვინდა გაეაფრთხილოთ მკითხველი, რომ კლასიკოსების არა ასეთ გათანამედროვეებაზე გვექნება ლაპარაკი.

სასტიკად სცდება, ვინც ჰფიქრობს, თითქოს ძველი მწერლობა დღეს არ იკითხებოდეს, თითქოს ის აღარ ახდენდეს ზეგავლენას ფართო მასებზე, თითქოს არ იყვეს აქტუალური და სხვა. განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე აქვს დიდი გავლენა კლასიკოსებს, სკოლაში ხომ კლასიკოსებზე იზრდება ჩვენი ახალგაზრ-

დობა. ლიტურგებში, კლუბებში, უნივერსიტეტში ხომ კლასიკოსები არიან შესწავლის მთავარი ობიექტი?! შენურ-გლეხური მკითხველი მასაც დღესაც კითხულობს კლასიკოსებს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენი ~~სტრუქტურა~~ ^{სტრუქტურა} ენერგიულად შეუდგა მათ ხელახალ გამოცემას.

კლასიკოსების აქტუალობას საერთოდ სერიოზული საზოგადოებრივი მიზეზებიც აქვს: კლასიკოსების შემქმნელი, მათი იდეურად მასულდგმულებული საზოგადოებრივი კლასების ნარჩენები დღესაც არსებობენ. არესბობს ფეოდალური მწერლობის მასულდგმულებული ფეოდალური ინტელიგენციის ნარჩენები, არსებობს ხალხოსნური ილიუზიების შთამომავალი „დემოკრატიულად“ განწყობილი ინტელიგენციის ნარჩენები, ცოცხალია გლეხობის კლასური ნაწილი და ყველა ეს ფენები არამც თუ კითხულობენ, არამედ იდეურადაც უთანაგრძნობენ ყველაზე უფრო რეაქციონერ კლასიკოსებს და ეს თანაგრძნობა მეტად აქტიურ ფორმებსღებულობს არა მარქსისტულ, ანტირევოლუციონურ, ანტიპროლეტარულ ლიტერატურის ისტორიებში, ლიტერატურულ კრიტიკაში და სხვა. გარდა ამისა, კლასიკოსების კითხვას ხელს უწყობს ის გაერმოებაც, რომ ჩვენ ჯერ არ გვაქვს კლასიციზმზე უფრო ძლიერი პროლეტარული მწერლობა ფართო მასებისათვის საკითხავად, კლასიკური მწერლობის გავლენის საბოლოოთ დამარცხება მხოლოდ პროლეტარული მწერლობის ჰეგემონიის დაპყრობის შემდეგ მოხდება. ძველი მწერლობა ძლიერია, განსაკუთრებით პროზით — ამიტომ ჩვენი პროლეტარულად განწყობილი მკითხველიც ხშირად მას უბრუნდება. ამის საილიუსტრაციოთ მთელი რიგი სამკითხველოების სტატისტიკის მოყვანაც შეიძლება. ამიტომ კლასიკური მწერლობა დღესაც იკითხება, დღესაც აქტუალურია და მკითხველ მასებზე, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენთვის არა სასარგებლო გავლენას ახდენს.

ასეთ შემთხვევაში საკითხი ისმება იმის შესახებ თუ როგორ ნივსკით კლასიკოსებს ჩვენი, მარქსისტული, კომუნისტური ინტერპრეტაცია, როგორ განვიახრალოთ კლასიკოსები ჩვენთვის მანერ ტენდენციებისაგან, როგორ გამოვყოთ კარგი ცუდისაგან და სხვა. ამის ერთად ერთი საშვალემა მარქსისტული, კომუნისტური კრიტიკაა. კომუნისტურად გაკრიტიკებული კლასიკოსში სულ სხვა სახისა იქნება: ყოველგვარ ლიტერატურულ განწყობილებებს კლასობრივი საფუძველი ექნება გამოწახელი და ათასნაირი ლეგენდები, მაგალითად ლიტერატურაში, პატრიოტიზმის ზეკლასობრივი თვისებების ან ლიბერალიზმის ადამიანური ბუნების შესახებ საესებით დაინგრევა.

რომელი კლასობრივი იდეოლოგიის ხელშეიაც არის ლიტერატურის ისტორია და კლასიციზმის კრიტიკა, ვინც აძლევს თავის ინტერპრეტაციას ამ მწერლობას — სწორედ მის ხელშია თვით კლასიკოსებაც, მაშინ ამ იდეოლოგიის სასარგებლოდ მოქმედებს ეს ძველი მწერლობა. დღეს ბავსაც ვერ დაარწმუნებ ლიტერატურული კრიტიკის „ობიექტიურობაში“, თითქოს ის განსაზღვრული კლასის იარაღი არ იყეს. როდესაც თანამედროვე მკითხველი ითვისებს ნაციონალიზმით გაელენთილ კლასიციზმის ნიმუშებს, როდესაც ის ძველი საქართველოს იდეალიზაციას ეჩვევა — შევეცადეთ თუ არა ჩვენ კარ-



ვად იგვეხსნა, დაგვეწმენდებინა ეს მკაობველი, რომ ეს ნაციონალიზმი არც ისე კეთილშობილი იყო, რომ მას საფუძვლად მებატონე-ფეოდალის საკმოდ არა კეთილშობილი ინტერესები უძევს, რომ ძველის იდეალიზმს დაემორჩალებოდნენ და ამ რეაქციონური ფენებისათვის იყო და არის საჭირო და ა. შ. ჩვენ ამ მხრივ ჯერ ჯერობით უძღვრები ვართ, ჩვენ არ გვყავს კლასიკურ მწერლობის კომუნისტური კრიტიკონები, მარქსისტი ისტორიკოსები, ლიტერატურის ისტორია დღემდე ნაციონალიზმის ხელშია. მაგრამ რადვანაც კლასიკური მწერლობის დიდ ნაწილი თავისთავადაც არ არის რევოლუციონური და ამასთანავე მათი შესწავლა და კრიტიკაც სხვის ხელშია, ამიტომ ვღებულობთ საგრძნობ იდეოლოგიურ საშიშროების მთელ ფონტს. და თუ დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ ახალ მწერლობაში შემარჯვენე საშიშროებაზე, მაშინ უნდა ვალიაოთ, რომ ამ შემარჯვენე საშიშროების ერთ ნაწილს კლასიკოსები შეადგენენ, ვინაიდან სხვის ხელში ისენი „მკედრებით აღმადგარან“ ჩვენ წინააღმდეგ.

ხშირათ თვით ჩვენი სახელმწიფო ორგანოებიც ხელს უწყობენ კლასიკოსების ჩვენზე წინააღმდეგ დარაზმვას. ილია ქავჭავაძის დიდი მემკვიდრეობა, რატმაც უნდა, მარქსისტულად ჯერ შეუსწავლელია, მაგრამ ჩვენ დაახლოებით განზომუშავებული მარქსისტული შეხედულება მაინც გვაქვს ილიაზე (ფ. მახარაძე, პ. გელეშვილი და სხვა). მაგრამ დაეფიქრდით თუ არა, რომ ი. ქავჭავაძის გამოცემა კერძო გამომცემლის ხელში არ ჩავვედო და მარქსისტული კომენტარიები მაინც მიგვეცა ამ გამოცემისათვის (ცხლა ამ გამოცემას რედაქტორობს პ. ინგოროყვა და ალ. აბაშელი. კრიტიკული განხილვა პ. ინგოროყვისათა, შენიშვნებიც მათია).

არც სახელმწიფო გამომცემლობა იძლევა მარქსისტულ კრიტიკას. ჟოლა ლომთათიძე სეთი დღევდარიანის წინასიტყვაობით გამოვიდა, ნიკო ლომთაური ებტანგ კოტეტიშვილის წინასიტყვაობით, შიო აჩაგვისპირელი ტიციან ტაბიძის ლირიკული შესავლით. ვაჟა-ფშაველა გერონტი ქიქოძის და ტიციან ტაბიძის კრიტიკული განხილვებით, სოფრომ მგალობლიშვილის კრებული წინასიტყვაობას ხელს არავენ აწერს, მაგრამ თუ შევადარებთ ვ. კოტეტიშვილის „ისტორიას“, მივხედებით, რომ ეს მისი წინასიტყვაობაა, რაფიელ ერისთავის წიგნაკს (გამომცემლობა „შრომა“) ამავე კოტეტიშვილის წერილი აქვს წარმძღვარებული, თუმცა არც აქ აწერს ხელს, მაგრამ როგორც დოკუმენტალურად შეიძლება დამტკიცდეს, ეს წერილიც ვ. კოტეტიშვილის „ისტორიიდან“ არის გადმომტკილი. (აეტორების გვარების დამალვით უნდათ ალბათ გამომცემლობებს დაჰფარონ აეტორების იდეოლოგიური ხარისხი, მაგრამ ეს ხარისხი არა ხელისმოწერაში, არაუდ თვით ტექსტში აშკარავდება, —რის შესახებაც კვემთ ვილაპარაკებთ), „პართულმა წიგნმა“ გამოხატა გრ. ორბელიანი იმავე ვ. კოტეტიშვილის შესავალი წერილითა და რედაქტორობით, ასევე გამოიცა დავითაშვილი „შრომის“ მიერ, ს. აბაშელის რედაქციით გამოვიდა აკ. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ია გვალაძე სცემს მთელი ქართული მწერლობის „ანთოლოგიას“ და სხვა. მკითხველისთვის ალბათ აშკარაა, რომ მხოლოდ ამ კრიტიკული განხილვების აეტორების ზემოთ ჩამოთვლილი გვარები ლაპარაკობენ იმის შესახებ,

თუ როგორ განმარტებებს იძლევიან ისინი, რა ნაწარმოებებს შეარჩევენ გამოსაცემად იმ შემთხვევაში თუ მწერლების რჩეული ნაწერები იცვება, როგორ რედაქტორობას გაუწევენ, რა შენიშვნები იქნება და სხვა. *ქართული*

აქვე გვინდა ჩამოვთვალოთ ის ისტორიები და ვტარებთ ნაწარმოებები ქართულ მწერლობაზე, რომლითაც ფაქტიურად ასწავლიან სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში და რომლის მიხედვით მკითხველი მასები ითვისებენ კლასიკურ მწერლობას. აი ეს წიგნები: კ. კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორია“, კ. აბაშიძე „ეტრუდები“, კ. კაპანელი „ქართული სული ესთეთიურ სახეებში“, ვ. კოტეტიშვილი „ქართული ლიტერატურის ისტორია“, არ. ჯორჯაძე „მასალები ქართულ ინტელიგენციის ისტორიისათვის“, ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“, და სხვა. ცალკე მონოგრაფიებშიაც იშვიათად თუ შეგხვდებით მარქსისტების გვარები.

საკმარისია ზემოდ დასახელებულ კრიტიკო-ისტორიკოსებიდან დავახასიათოდ რამოდენიმე მათგანის შეხედულებები ხელოვნებაზე და ლიტერატურის კვლევის მეთოდზე, რომ გავიგებთ თუ კლასიკური მწერლობის შესახებ დღით დღე როგორ იმაგრებს ფესვებს ყალბი, არა მეცნიერული, იდეალისტური, რეაქციონური, ნაციონალისტური და ბოლოს საესკებით უკულტურო იღებები.

ყველაზე უფრო პოპულიარული და დასაბუთებული ამ წიგნებიდან—კ. აბაშიძის „ეტრუდები“, დიდი ხანია კანონად არის გადაქცეული. კ. აბაშიძე „ისპროცენტანი“ არისტოკრატია, მისი შეხედულებები ჩვენი დროისათვის, რა თქმა უნდა, საესკებით ანტიკომუნისტურია. (აქ რა თქმა უნდა ჩვენ არ ვლაპარაკობთ კ. აბაშიძის ან სხვების დამსახურებებზე. რომ კიტს ნაწარმოი დიდი კულტურული ღირებულებისაა, ამას არაეინ უარყოფს. ამ წუთში ჩვენ ის გვინტერესებს, თუ იდურად რამდენად გამოსადეგია ეს ნაწარმოი ჩვენთვის). კ. აბაშიძის შეხედულებების გამოსარკვევად მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს მისი გიორგი წერეთლისადმი მიდგომა. ეს საკითხი მთელი მონოგრაფიის ღირსია. აქ კ. აბაშიძის, ამ განათლებული არისტოკრატის მთელი კლასიური დაბრმავება გამოაშკარავდა. იგი „ყველა საქართველოს ბელეტრისტებზე დაბლა“ აყენებს გ. წერეთელს და რისთვის? იმისთვის, რომ გ. წერეთლის გმირებს თურმე „საუბედუროთ იმდენზედ ატყვიათ დღევანდლობა და ეხლანდელობა, რომ“... (ტ. II გვ. 57) კ. აბაშიძის აზრით: „რამდენათაც ჟურნალისტის და პუბლიცისტის მოვალეობაა აღნიშნოს ყოველივე ახალი მოვლენა ცხოვრებაში, განმარტოს იგი მოვლენა და გამოარკვიოს, იმდენად ეს პოეტსა და რომანისტს სრულებითაც არ მოეთხოვება და არცაა მისი საქმე, (იქვე გვ. 61) და ვინა-დან გ. წერეთელი თავის ნაწერებში ამ „გაქვეყნიებულსა და ტალახით შესერილ“ (გვ. 51) სინამდვილეს იძლევა, ამიტომ ის „მიწასთან გასასწორებელი იქნა“. კ. აბაშიძე სწყურება წერეთელზე, რადგან მწერალი დიდ ყურადღებას არ აქცევს, კრიტიკოსის აზრით, მთავარ თემას—სქესობრივს, რადგან სახეების შექმნისას წერეთელი სინამდვილიდან იღებს შედარების ობიექტებს და ა. შ. კ. აბაშიძის აღვლევას საზღვარი არ აქვს, მაშინ, როდესაც განათლებულ არისტოკრატს ჯორის „კედლის უკანა“ მუსიკა მოასმინეს. მაგრამ გ. წერეთლის ნზრ ივ დიდებული იყო ჯო-

რის ეს „ამლერება“. აქ მწერალმა (უნდოდა თუ არა — ეს სხვა ხაკითხია) სასტრუქი და გენიალური ცინიზმით გაამათრახა და დაასამარა ცრუკლასიკური „ამლერებული“ სტილი, ეს იყო, ვიმეორებთ, პირდაპირ გენიალური, ესტორიული და ცინემა ძველ სტილზე და ამ გაუგონარი თაყვანდობით აღელვებულმა კ. აბაშიძემ ნატურალისტის დარქმევით ლანძღა მწერალი, (კიტას აზრით ნატურალისტობა გინებაა) მაშინ როდესაც ის ჩვეულებრივი რეალისტია, მაგრამ საზოგადოებრავეად მოწინავე და აქტიური პოლიტიკურად. სწორედ ეს აქტიობა არ მოსწონდა კ. აბაშიძეს და ჟურნალისტ-პუბლიცისტის დარქმევით „ავინებს“ გწერეთელს, თითქოს ესეც გინება იყვეს.

კვლევის მეთოდს მხრივ კ. აბაშიძე თითქოს თანამედროვე ფორმალისმის წინაპარია. მისთვის მოვლენა ლიტერატურაში საყურადღებოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ფორმის მხრივ რაიმე ახალს იძლევა. მხატვრული ნაწარმოების იდეური სიხალე არაფერს არ ამბობს კ. აბაშიძისათვის. დამოლოს, თუ მოვიგონებთ რევოლუციონერებისადმი იმ კლასიკური სიმულელების ისტორიულ მაგალითს, რომელიც კ. აბაშიძემ ჩაიდინა ეგნატე ნინოშვილის მიმართ (მისი ისტორიაში არ შეტანილ), მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, თუ როგორ არ შეუძლია კ. აბაშიძით ხელმძღვანელობა თანამედროვე მკითხველს.

ვ. კოტეტიშვილის „ისტორია“ ამ მხრივ არ ჩამორჩება თუ არ წაუსწრებს კ. აბაშიძისას, კოტეტიშვილის კვლევის მეთოდი უმოწყალო ეკლექტიზმით ხასიათდება. ილია ჭავჭავაძე ასეთ უმწეობას თვითმჯგულობის და თვით-პოქმედების უქონლობას ეძახოდა. მაგრამ განსაკუთრებით ჩამორჩენილი და პრიმიტიულია კოტეტიშვილის შეხედულებები ხელოვნებაზე. ამ მხრივ ის გაყინულია ერთ საუკუნის ადრინდელ დონეზე და ჯიუტად ამტკიცებს წმინდა ხელოვნების არსებობას: „...მე-ბმ წლების მოღვაწეებს რუსეთში მეტად ცალმხრივად ესმოდათ ხელოვნება. ხალხის სამსახური, მის წინაშე მოვალეობის გადახდა და სხვა, წმინდა მოტივებია, მაგრამ განა ეს უარყოფს წმინდა ხელოვნებას“ (ნაწ. II გვ. 171). „ავილოთ მაგალ. „ლაოკონი“ — სწერს კოტეტიშვილი, ბეთ-პოვენის „კრიეკრის“ სონეტა ან გეოტეს „ფაუსტი“. აქ არის რაიმე ანგარიში, მიზნით განსაზღვრა და ფორმის დამორჩილება მიზნისაგან“? რასაკვირველია არა. აქ არ არის არც ერთი პრაქტიკული მომენტი. აქ ფორმა თვითმიზანია...“ (ნაწ. I, გვ. 7) ან კიდევ: „პოლიტიკურ-ეკონომიური რიგის მოვლენები ხშირად (და არა ყოველთვის? პ. ქ.) ახდენენ გავლენას (ახდენენ გავლენას და არა განსაზღვრავენ? პ. ქ.) კულტურულ სფეროზე, მაგრამ კულტურული აღორძინების თუ დაკეპის ფაქტები სულ სხვა სივრცეში იშლებიან“ (ნაწ. I გვ. 23).

ეკლექტიკოსია კ. კაპანელიც, ეს „თავის“ საკუთარი „ორგანოტროპიულ“ სისტემადაც აცხადებს მატერიალიზმს უმოწყალოდ არეულს იდეალიზმთან, მაგრამ კ. კაპანელი შედარებით თითქოს უფრო ახლოს სდგას მატერიალისტურ საფუძვლებთან. ზოგან თითქოს კლასობრივ განხილვებსაც იძლევა და ამ მხრივ მისი წიგნი ზემოთ ჩამოთვლილ წიგნებს შორის უკუთარი განირჩევა. კ. კაპანელის მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ლიტერატურული თემების იდეური

ანალიზი, მან იდეების თემატიკური ანალიზით შესცვალა („იდეების თემატიკური ანალიზი უსრულესი ფორმაა ლიტერატურული კრიტიკისა“ (იბ. გვ. 10) და ამიტომაც, რომ ავტორის აზრით ი. ჯავახიძის მიხედვით შეიძლება შეიფასე-ლოთ გლეხების ყოფა (გვ. 23), მაშინ როდესაც ილია ჯავახიძის მიხედვით შეიძლება შესწავლა მხოლოდ ილიასა და მისი კლასის იდეებისა გლეხობის შე-სახებ. ამიტომაც რომ კაპანელის აზრით, რახან ილია თავისუფლებაზე სწერს, რახან მისი თემაა ასეთი—თითქოს ამიტომ ის სოციალისტიც შეიძლება იყოს და სხვ. (გვ. 145).

როგორც აღნიშნეთ კ. კაპანელში იდეალისტური შეხედულებები და დუა-ლიზმი სასტიკად არეულია რაღაც პრიმიტიულ მატერიალიზმთან. მაგ. იგი რუ-ლიად მეცნიერულ დასაბუთების გარეშე ხელოვნებაში ქვემოცნობიერის ჰეგემო-ნიას ამტკიცებს (იბ. გვ. 21) ან და სწერს ასეთი სტილით: „ჩვენი სულის ყო-ველ ვლენაში არის ორი მხარე—უფთიერი ჩხვლეტა (ჩხვლეტა!) და გენეტიური წვა (წვა!)“. საერთოდ ყოველ ორ სტრიქონში გზედებათ ეს ამადლებული „სტი-ლი“. გზედებათ არეულ-გადმობრუნებული და ყოველგვარ ადამიანურ აზრიანო-ბას და უბრალოებას მოკლებული სტილი, მაგრამ ეს კიდევ არაფერი იქნებოდა, რომ კაპანელს შეეძლოს მეცნიერული მტკიცება. მთელი მისი წიგნი ღირიცა და ამ მხრივ ის თვით უფრო არის „მხატვრული“ (!) ნაწარმოები, ვიდრე მეც-ნიერული. ყოველ ორ სტრიქონში გზედებათ „ხალხი“, „გაბრანკულობა“, „ქარ-თული სული“, „სული“, „წვა“, „ჩხვლეტა“, „აორთქლება“, „აბგურება“, და სხვა სიტყვები, რომლებიც მათი ტერმინოლოგიური მნიშვნელობის გარკვევის გარე-შე მეცნიერული წიგნისთვის აფსურდს წარმოადგენენ. „ქართული სული“ არ არსებობს—საქიროა მეცნიერული და კლასობრივი კონკრეტულობა.

გარდა უკვე დახასიათებული თვისებებისა ქართული მწერლობის თითქმის გამოუკლებლივ ყველა ისტორიებს უაღრესი ნაციონალიზმი ახასიათებთ მაგალ-ვ. კოტეტიშვილს, უფრო შესაფერისი იქნებოდა, თავისი ისტორიისათვის შემდე-გი სათაური რომ დაერქვა: „ქართული მწერლობის ისტორია ნაციონალისტუ-რი იდეის განვითარების თვალსაზრისით“. მართლაც მთელი მისი წიგნის მან-ძილზე ირჩევა თუ როგორ არის ამა თუ იმ ავტორში მოცემული ნაციონა-ლისტური იდეა და არსად არ არის ცდა ამ იდეების კლასიური ანალიზისა.

მართალია, ნაციონალისტური მოტივი ქართული მწერლობის მთავარი მო-ტივი იყო წინეთ, მაგრამ პირველად ყოველისა, თვით ეს მოტივები განსაზღვრუ-ლი კლასის იდეები იყო და მეორეც ის არის ვ. კოტეტიშვილის მიერ უყურად-ღებოთ დატოვებული, რომ გარდა ამ იდეებისა ქართულ მწერლობაში ბევრი სხვა საზოგადოებრივი ხასიათის პრობლემები ისმებოდა. ვ. კოტეტიშვილისთვის კი ის მწერალი მწერალი არ არის, რომელიც ამ იდეას არ ემსახურებოდა. თუ ასეთ მწერლებს წააწყდება ავტორი, მათაც უეჭველად ნაციონალისტებად გა-შოაცხადებს, აქვს ამის საკმარისი საბუთი თუ არა. მაგალითად: ალ. ჯავახი-ძეზე ამ ფეოდალური ყოფის და სიყვარულის პოეტზე, ის წერს: „და ყველა ამის შემდეგ განა შესაძლებელია, რომ ალ. ჯავახიძის პოეზიაში პატრიოტული მთავარი (ხალხ ჩვენია) ნოტი არ დაფინახოთ“ (ნაწ. I გვ. 77) ასე სწერს

ჩვენი ისტორიკოსი, მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ქავჭავაძეს არცერთი გარკვეულად ნაციონალისტური ხასიათის ლექსი არ მოეპოვება. ვერ კიდევ ილია ქავჭავაძესაც კი ესმოდა, რომ ალექსანდრე ქავჭავაძის პოეზია „ჭაჭრან ნასკარულის და ტრფიალების ჭირი და ლხინი, და მასხაიანამე, სიყვარულის და სიკრთალების პოეზია“-ო (იხ. ილია ქავჭავაძე ტ. IV გვ. 229 1927 წლ. გამოცემა). დაახლოებით ასევე სწერს ალ. ქავჭავაძეზე კ. აბაშიძე და როგორც ეხედავთ ვ. კოტეტიშვილს თვით ილიაზე და კიტაზე უფრო პატრიოტობა მოსდომებია.

სასტიკად ამახინჯებს ფაქტებს ვ. კოტეტიშვილი ნ. ბარათაშვილის, ამ ფეოდალიზმის ისტორიული ნგრევის საფუძველზე წარმოშობილ „ადამიანური“ და „კოსმიური“ სვედის პოეტის მიმართაც. „მთავარი მოტივი, სწერს იგი რომელიც ნ. ბარათაშვილის პოეზიას განსაზღვრავს,—რასაც ვერცელია სამშობლოს სიყვარულია“ (ნაწ. I, გვ. 171) და აქაც ყველა ნაციონალისტებზე უფრო ნაციონალისტი აღმოჩნდა ჩვენი ისტორიკოსი; ნაციონალიზმის ისეთი წარმომადგენელი, როგორიცაა გერონტი ქიქოძე—ბარათაშვილზე სწერდა: „დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენი ლირიკოსი ეროვნული იდეის მოტიქულად ან წამებულად მიგვეჩნია... ძნელი გამოსაცნობია, ვის მხარეზე მგონას სიმპატია „ზედი ქართლისაში“ ბრძენი მსაჯულისა თუ ზებერი მეფისაქნ“. (იხ. ნ. ბარათაშვილი, 1922 წლ. გამოცემა, გვ. 183). მაგრამ კოტეტიშვილს რაღა გაეუმტყუნოთ, როდესაც ქართულ კრიტიკაში მარქსისტად თუ არა მატერიალისტად მაინც ცნობილი ხომლედიც კი სწერდა, რომ ნ. ბარათაშვილმა „თავის ნაწარმოებში ხელოვნურად დაბატულ სურათებად განახორციელა მთელი ერის მწუხარებაც და აღტაცებაც, სულის თქმა და გულის ძგერა“ (იხ. ხომლედის „ნ. ბარათაშვილი და მისი დრო“ 1920 წლ. გვ. 381).

დაეუბრუნდეთ ნაციონალიზმის საკობს:

თითქმის ყველა ისტორიკოსები მე-19-ტე საუკუნეში გამეფებულ ნაციონალიზმს მთელი ერის ტყველებათ აცხადებენ. ამრიგად სრულიად მიჩქმალულია ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ მწერლების „საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლა“ ქართული ფეოდალების ძველებურად ბატონობისთვის ბრძოლა იყო და თუ ერის მეორე უდიდესი ნაწილი— გლეხობა აჰყავდა ხოლმე ფეოდალური ნაციონალიზმის ამ ტალღას, არა ეროვნული იდეის გამო, არამედ იმიტომ, რომ ვერ ითმენდა რუსეთის ბიუროკრატის ბატონობას (გლეხების გამოსვლები კლასობრივი და ეროვნული ხასიათისა იყო). ლიტერატურის ისტორიკოსებისთვის თითქოს მოკვდა გრ. ორბელიანის და მთელი ქართველი ჰაგონებიანი ფეოდალების „გარუსების“ ანუ რუსულ ბიუროკრატისთან შერიგების ფაქტი. განა თვით ნაციონალისტური მოძრაობის ხელმძღვანელ ფეოდალებმა უფრო ადრე არ დასტოვეს თავიანთი საგუშაგოები, ვიდრე გლეხობამ, რომელიც სულ სხვა მოტივებით იბრძოდა. განა გრიგოლ ორბელიანი არ იყო, რომ თავისივე ხელით და თავისივე „კეთილმზრუნველის“ ენით აცხრობდა ფტილისის „დემოკრატიის“ აჯანყებას 1865 წელს?! და განა ნაციონალისტური სიბეცე არ არის, როდესაც დღესაც, თვით ილია ქავჭავაძის თაობისა და ძველ ქართული ინტე-

ლიგენციის მიერ ჩაქსოვილი, ნაციონალიზმის რენეგატის და მეფის წინააღმდეგობის გრ. ორბელიანის რეპუტაციის აღდგენას ცდილობენ, როდესაც ვ. კოტეტიშვილი-საც კი ვ. კოტეტიშვილი ნაციონალური იდეისთვის ტანჯულში გამოიყენებდნენ. განა მეცნიერებისა და ისტორიის წინაშე ბოროტმოქმედება არ არის, როდესაც იგივე ისტორიკოსი „ქართული წიგნის“ მიერ გამოცემულ გრ. ორბელიანის ლექსებში, კერძოდ „სადღეგრძელოში“ არ ათავსებს მეფე ნიკოლოზისადმი უქვეშევრდომილეს გრძნობებით დაწერილ „ქართველი პატრიოტის“ ოდას, იმ მოტივით, თითქოს ამას „ლექსთა კონსტრუქცია მოითხოვდა“ (გვ VI). აი თურმე ჩვენ დროშიც სკოცხლობს ხალხი, რომელიც სპეციალურად იმაზე ზრუნავს, თუ როგორ აღადგინოს „ქართველებას“ თვალში გრ. ორბელიანის გაფუჭებული რეპუტაცია პატრიოტისა. გრ. ორბელიანის რეპუტაციის აღსადგენად ვ. კოტეტიშვილი გაორების მთელ ფილოსოფიასაც იგონებს: იგი იტანჯებოდა და გაორებული იყო! ვ. კოტეტიშვილის აზრით გრ. ორბელიანი „ნათვარ-მართველობის ტახტიდან ეროვნული და სოციალური პატრიოტობით (რას ნიშნავს სოციალური პატრიოტობა? პ. ქ.) საეხე ლექსებს აწვდიდა მკითხველებს, არსებული წყობილების წინააღმდეგ“ (გრ. ორბელიანი—ლექსები გამ. „ქ. წ.“ გვ. XXI) და ამრიგად პოეტი „გაბზარული სახით გამოიყურება. უფრო მეტიც: იგი ორათ არის განკვეთილი, ორი მეობა არის მასში...“ (იქვე).

გრ. ორბელიანი მეფის მოადგილე იყო, მეფე ნიკოლოზის საქმეს იგვირგვინებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თურმე რაღაც საწყალი ორიოდ ლექსით კი „ძირს უთხრიდა“ ამავე წყობილებას. ამიტომ ის ტრაგიულად გაორებული იყო? მაგრამ სინამდვილე კი, რომლის დანახვა კოტეტიშვილებს არ სურთ, ასეთია: ქართველი ფეოდალური ინტელიგენციის დიდი ნაწილი შეუთანხმდა რუსეთის ბიუროკრატის განსაზღვრულ „გასამჯელოს“ მიღების შემდეგ და მეფის მოადგილის თუ გენერლის რბილ სავარძლებში ხანგამოშვებით ეძლეოდა ტკბილ „ლიბერალურ“ მოვანებებს მამა-პაპური ფეოდალური სმა-ჭამის მშვენიერებათა შესახებ თავის საკუთარ „მაშულში“ (ფეოდალის საკუთარ მიწაზე). ამაში იყო მათი „ლიბერალობაც“, რისთვისაც ნაციონალური იდეებისათვის ტანჯულებათ გამოჰყავთ ლიტერატურის ისტორიკოსებს გრ. ორბელიანის ტიპების „გპირები“. გრ. ორბელიანს ამ მამა-პაპურ სმა-ჭამიში წასვლია მთელი თავისი ღირსება, ვ. კოტეტიშვილს კი ნაციონალურ და „ეპოქალურ სურნელებათ“ მიაჩნია ეს პოეტის მიერ „სუფრისა და ყაბახის აღწერა“. (იხ. გვ XXVI). „ილაილი“ ეს ფეოდალური მუცლის ნებივრობის რომანტიკულად შეფერადებული მოვანებანი თითქმის ყველა ისტორიკოსებს და მათ შორის ვ. კოტეტიშვილსაც დიდ ნაციონალისტურ და რევოლუციონერ ლექსადაც კი მიაჩნიათ. და თუ ზემოთ ჩვენ კ. კაპანელის წიგნი სხვებთან შედარებით უფრო მალა დაავაყენეთ, ეს იმისთვის, რომ მან ქართველი ინტელიგენციის შიგნიდან „გასატეხა ციხე“ და თუმცა გაუბედავთ, მაგრამ მაინც შეეცადა ეთქვა ჭეშმარიტება გრ. ორბელიანის და მისი ტიპის ნაციონალისტების შესახებ. აი ზოგიერთი ნაწყვეტი ამ სამართლიანი მზილებიდან: „გვირანის მწვადი შიშინით, კახურის ღვინით აღვსილი ახარფეშა, მოთალი, თევზი, მწვანილი (წითელი ბოლოკი აღ-

ბად), სუფრა გაშლილი—აი რა ავონებს გრიგოლ ორბელიანს სამშობლოს. მხოლოდ ამის შემდეგ ის ლაპარაკობს—„ცა მშვენიერი, ცა მშობლიური“ო, მაგრამ ორი სტრიქონით ქვევით ისევ „ლინისგან შეზღოთა კოჯრის მხარე გენგვი-გრილბს“-ო... ეს გაძღომის და კუჭის პატრიოტიზმი (დიდებულათია თქმული! პ. ქ.). აქ მთელი ბოტანიკა და ფიზიოლოგია კვებისა: ამაზე უარესს ლუარსაბ თათქარიძეც არ იტყოდა (იხ. კ. კაპანელი, გვ. 49), ან და ძალაუნებურად ეკვი გეპარება პოეტის იდეალურ-რომანტიულ ზრახვებში. გარკვევით გრძნობთ, რომ გრიგოლ ორბელიანის პატრიოტიზმი (ვანა მხოლოდ გრ. ორბელიანისაში? პ. ქ.) შედის დიდი დოზა (მხოლოდ დოზა? პ. ქ.) კლასობრივ-ინდივიდუალისტური სოფელმხედველობისა და ესთეტიკის, გრძნობთ, რომ აქ თქვენ საქმე არა გაქვთ დიდ პატრიოტთან; თქვენ წინაშე დგას ქართული ფეოდალი თავისი ფეოდალურ-არისტოკრატიული ინტერესებით და მსოფელმხედველობით“ (იქვე გვ. 44).

როგორც ვხედავთ გრ. ორბელიანისადმი მიდგომაში კ. კაპანელი შედარებით სწორია, მაგრამ ეს თვით კაპანელისთვის გაომანაკლისია და როდესაც მის მიერვე ილია ჭავჭავაძეზე დაწერილ დაბრძანებული ნაციონალისტის ხოტბას კითხულობთ, გვონიათ, რომ თავი გრ. ორბელიანზე აეტორს შემთხვევით წამოცდა. ასევეა გამოთქმული კ. კაპანელის მიერ ერთი სწორი მოსაზრება, რომ მწერლობაში მოცემული „ქართული სულის ტკივილები“ და ამ რიგად, დაუმატებთ ჩვენ, ეს კოსმიზმი, ნაციონალიზმიც, ეპიკურის ფილოსოფიაა და სხვა ყოველივე „ფეოდალური სტრუქტურის რღვევის“ შედეგი იყო (გვ. 5). აი ამ სწორ, ამახიურ მეცნიერულ დებულებას უნდა ეყრდნობოდეს კლასიციზმის და საერთოდ ძველი მწერლობის შესწავლა, მაგრამ სამწუხაროდ თვით ამ დებულების ავტორიც კი სრულებით ვერ სდგას ბოლომდე ამ მეცნიერულ საფუძვლებზე.

შემდეგი საერთო სენი ქართული მწერლობის თითქმის ყველა ისტორიკოსებისა ძველი მწერლებიდან შემარჯვენებების დაცვაში, შემარცხენებების: ხალხოსნების, რევოლიუციონერების, დემოკრატების არ დაფასებაში და ძველი, არარევოლიუციონური, უმთავრესად ფეოდალური მწერლობისადმი ყველა კარგი რევოლიუციონური თვისებების უსაფუძვლო მიკუთვნებაში მდგომარეობს. დავიწყით პირველიდან: ვ. კოტეტიშვილის მთელი „ისტორია“ შემარჯვენების დაცვაში ისტორიკოსი შემარჯვენების უფასო იურიკონსულტი გამზდარა. ჟურნალ „ციცკარის“ ხაზის დაცვა (იხ. შესაფერისი თავები), რეტროგრად ბ. ჯორჯაძის რეაბლიტაცია, გრ. ორბელიანისადმი გამოკომაგება და სხვა. თუ როგორ ამახინჯებს ფაქტებს ვ. კოტეტიშვილი გრ. ორბელიანის შესახებ, ჩვენ ზემოდ ვნახეთ. მაგრამ სურათის სისრულიათვის საჭიროა კიდევ ერთი მავალითი. გრ. ორბელიანი, როგორც გენერალი, შამილის მეთაურობით რუსეთის ბიუროკრატიის წინააღმდეგ აჯანყებულ მეზობელ ერს არბებს, მაშინ, როდესაც საქართველოს უფრო გონიერი პატრიოტები (მაგ. ალ. ორბელიანი) მათთან (კერძოდ შამილთან) კავშირის გაბმის სედილობენ. გრ. ორბელიანი მხეცურად სვამს მეზობლების სისხლს და

ვახტანგ კოტეტიშვილი კი იმეორებს რა იონა მეუნარგას მიერ წყვენილი ნათქვამს თავის ლიტერატურის ისტორიაში ამ სისხლის მსმელობას, რადგან თურმე «ყველაფერი ეს სისხლის წყურვილით კი არ აიხსნებოდა, უფრო საპატიო (პატრიოტული პ. ქ.) ფსიქოლოგიური მოტივით» (ნაწ. I გვ. 97). მაგრამ ამის შესახებ ჯერ კიდევ კ. აბაშიძემ შენიშნა გრ. ორბელიანის ბიოგრაფი იონა მეუნარგას საპასუხოდ, რომ «მისი (მეუნარგას პ. ქ.) მიერ მოვლილი მსჯელობა გრ. ორბელიანის შესახებ იქამდის მიდის, რომ მტერთან იხეთ საშინელ გაბოროტებას პატრიოტული გრძნობითა ხსენის»-ო (იხ. კ. აბაშიძე «ეტიუდები» ტ. I, გვ. 34).

ჩვენ გვგონია, ამ ახალი ფაქტის დაშტებაც არ იყო საჭირო, დასამტყუებლად იმისა, რომ ლიტერატურის თანამედროვე ისტორიკოსები უფრო ნაციონალისტებენ ვიდრე საკმაოდ (!) მაკარი ნაციონალისტები ძველი პლედისა. უმრავლეს შემთხვევებში ქართული მწერლობის თანამედროვე ისტორიკოსებში უფრო მეტი ნაციონალისტური დაბრმავება გვხვდება, რაიც ნაციონალისტურად განწყობილი ძველი ინტელიგენციის თანამედროვე კომუნისტური ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ გაბოროტებას უნდა მიეწეროს.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ფაქტი კლასიკოსებიდან მემარჯვენე მწერლების მემარცხენეების ხარჯზე გამოცოცხლების, რომელსაც სამწუხაროდ ჩვენივე ორგანოები ხელს უწყობენ: სახელგამის მიერ მეორებულ გამოიკა ვაჟა-ფშაველა. თითოებულ იყო გამოცემული ვაჟა და ეგნატე ნინოშვილიც, ორივე ავტორის პირველი გამოცემა უკვე გასაღებულია. მაშასადამე საკითხი უნდა დასშულიყო ისე, რომელი ამათვანი (ეგნატე ნინოშვილი თუ ვაჟა) უნდა გამოაღვეს მეორებულ პირველ რიგში? ჩვენის აზრით საკითხის გადაჭრა აშკარა უნდა იყოს. რა თქმა უნდა ეგნატე! მაგრამ სახელგამი სხვანაირად მსჯელობს, რადგან მასზე როგორც ჩანს ვაჟა-ფშაველას მომხრეები და იდეოლოგები უფრო დიდ გავლენას ახდენენ, ვიდრე ეგნატე ნინოშვილისა. ამრიგად გამოიკა ვაჟა! მაგრამ ეს კიდევ ნახევარი შეკდომა იქნ ბოდა, რომ მეორე გამოცემას მაინც ჰქონოდა მარქსისტული კომენტარები. არა! წინასიტყვაობის ადგილი შეესებულება ტიციან ტაბიძის და გერონტი ქიქოძის მიერ. ტიციან ტაბიძეს აქ მორიგი დეკლარაცია გამოუქვეყნებია «ყანწელების» პოზიციის შესახებ. ძველი მწერლობიდან «ყანწელები» ვაჟას აღმერთებენ, ისინი ვაჟას უკულტურობას და მისტიციზმს იდეალად აყენებენ ჩვენი მწერლობისათვის, გასაგებია რატომ! მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, თუ რა მცნიერულ ღირებულებას წარმოადგენს ტ. ტაბიძის «გულჩეილი» დეკლარაციები, რომლებიც «მცნიერების» სახით სახელგამის გამოცემებს წინ უძღვის ხოლმე.

ვაქასადმი მიძღვნილ წინასიტყვაობაში გერონტი ქიქოძე შედარებით სწორ დებულებას აყენებს: «ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი ადამიანი იყო. ვერც სემინარიის კურსმა და ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა თანამედროვე სული ვერ ჩაურგეს... მისი მგრძნობიარობა პრიმიტიული დარჩა, მისი ფანტაზია—ველური,

მისი შორალი—საშუალო-საუკუნოებრივი. მას არაფერი გაეგებლდა არც ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი რაციონალიზმისა და ელექტრონიკისა, ართქლ-მაგელისა და მანქანების ხანაში ის წარსულის „აზრდისს ჰგავდნენ“ მათემატიკითა და თავისი რაინდობით“ (გვ. IX). მაგრამ როგორც ვაქციტეტიკაშია, სწორეთ ისე ტ. ტაბიძე ნაციონალისტებზე უფრო ნაციონალისტია და გერ, ჭიჭოძის ამ დებულების უარყოფაა მთელი მისი „წერილი“. ვაქცი-ფშაველა ისეთი ცომისგან იყო მოზეული რომ არც ერთ ქვეყანაში, მის პურს არ სქამენ: ვაქცი-ფშაველა მართლა რომ ახალი ქვეყანა იყო“, სწერს ავტორი. ვაქცი-ფშაველა თურმე „სოველ ფესვებს“ ეყრდნობოდა და მისი „იდეალი არ შეიძლებოდა სხვა არ ყოფილიყო—და ეს კმნიდა წარმოდგენას, თითქოს ვაქცი-ფშაველა ჩამორჩა ეპოქას—მაგრამ დღეს ყველასათვის (ვინ ყველასათვის „ყანწელებისათვის“ პ. ჯ.) ცხადია—რომ ეს ამბავი გაუგებრობაა“ განაგრძობს პოეტო, სცენარისტი და მეცნიერული მკვლევარი ტ. ტაბიძე. მაგრამ კიდევ ერთი, სულ ახალი აღმოჩენა აქვს ტ. ტაბიძეს, ის რომ თურმე ქართული ბუნება წარმართული ყოფილა. „ვაქცი-ფშაველა, განაგრძობს ჩვენი „მკვლევარი“, არ ღალატობს ქართულ ბუნებას, მას აქვს ნამდვილი წარმართის სოფლმხედველობა და ყველაზე უფრო ეს მოცემულია „გველის პერანგში“-ო. აი ასეთი წარმართულ-ნაციონალისტური იდეებით განუშარტა სახელგამმა ვაქცი-ფშაველას შემოქმედება ახალ მკითხველს. გარდა ამ დახარისხებისა ტ. ტაბიძე წერილის ბოლოში პროლეტარულ მწერლებს და მკითხველს ხაზგასმით ურჩევს ისწავლონ ვაქციანაგან ცხოვრების ათვისება, რადგან კლასიკოსებიდან თურმე სწორედ ვაქცი ყველაზე უფრო მისაღები ჩვენი ეპოქისათვის, ყველაზე ჯანსაღი, ცხოველმყოფელი და მგონი ინდუსტრიალურიც კი. ამრიგად სახელგამი პროლეტარულ მკითხველს და მწერალს მისაბაძდაც კი ურჩევს კლასიკოსების რიქვიდან აარჩიოს ყველაზე უფრო უკულტურო, რეტროგრადიული, მისტიური, ანტისაზოგადოებრივი და ჩვენ კლასიურ ბრძოლის გაცხარებულ პერიოდისათვის სრულიად მიუღებელი და დღევანდელი ინდუსტრიალური ეპოქისათვის ყველაზე უფრო შეუფერებელი მწერალი. რეკომენდაციაც ასეთი უნდა!

ძველი მწერლობიდან უფრო მემარცხენე ელემენტების ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ არ დაუფასება-მიჩქმალვის ტრადიცია დიდი ხანია არსებობს. ჩვენ აქ აღარ მოვიგონებთ კ. აბაშიძის დამოკიდებულების შესახებ ხალხისნებისადმი, შემდეგ ვგნ. ნინოშვილისა, გ. წერეთლისა და სხვებისადმი—ყოველივე ეს კარგადაა ცნობილი. მაგრამ საშუალო სწორედ ისაა, რომ ძველი მწერლობის თანამედროვე კრიტიკა და ისტორია სავსებით აგრძელებს კ. აბაშიძის მიერ „შვილებისათვის“ ნაანდერძებ ხაზს.

ავიღოთ მაგალითად კ. ლომთათიძის თანამედროვე კრიტიკა. საჭირო იყო დიდი ბოლშევიკური ფილტრი, რომ ამ ისედაც ჯერ შეუსწავლელ სოციალ-დემოკრატ მწერალს მენშევიკური ეფექტი არ მოეხდინა. სახელგამმა კი ის ს. დევდარიანს ჩააბარა. ეს წინასიტყვაობაც, როგორც ხაერთოდ, ავტორმა დღეისთვის, გაორების და ოპორტიუნისთვის აგიტაციისათვის გამოიყენა. და მის

ძველის ძველ ოპორტიუნიზმს შეეწირა ქ. ლომთათიძეც. „ადამიანის გულშია, სწერს ს. დედარიანი, ეს ორივე სტიქიონური ძალა, ეს ერთი მეორის მოწინააღმდეგე გრძნობა. ერთია ადამიანი თავის ბუნებით, ზრუნვით და მისწრაფებებით, მეორეა საზოგადოებრივ ურთიერთობაში შებმული“ (ქ. ლომთათიძე. სახელგამი გვ. XV), „მე კაცისა და მე საზოგადოების... სხვადასხვაა ეს. სხვა არის ადამიანი თავისი კაცური გრძობებით, მისწრაფებებით და სულ სხვაა იგივე ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობებში“ (იქვე გვ. XXII) და ამ ურნალისტს შექვიდა ოდესღაც მარქსისტი! მარქსიზმა, როგორც ორჯერ ორი ოთხია დაამტკიცა, რომ „ადამიანი თავისი კაცური გრძნობებით“ პირდაპირ შეეფარდება ამავე ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომ არ არსებობს ადამიანი და მით უმეტეს მწერალი და ისიც ისეთი საზოგადოებრივ ხასიათის, როგორც ქ. ლომთათიძე — ამ საზოგადოების გარეშე; ს. დედარიანი კი განაგრძობს: „ქოლა სწერს და მოუკიდებლად, არც ერთი საზოგადოებრივი მოძღვრება არ არის მისი მოკარნახე... როგორც მხატვარი და არა როგორც მოაზრე (მხატვრობა კი უაზრობაა? რომელი მხატვარია არამოაზროვნე? პ. ქ.), ის ებრძვის კლასიურ საზოგადოებას კაცობრიული და ადამიანური იდეალებისათვის“ (იქვე გვ. XX). ასეთია სახელგამის „თანამედროვე მეცნიერება“ და „მარქსიზმი“ იმის შესახებ, რომ ჭკეყანაზე თურმე არსებობენ ისეთი მწერლები, რომლებიც თავისუფალი არიან საერთოდ მოსაზრებისაგან, საერთოდ იდეებისაგან და განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მოძღვრებისაგან.

ავიღოო შემდეგი მაგალითი ამ „სერიიდან“, სახელდობრ ვ. კოტეტიშვილის დახასიათება ხალხოსნებისა. სოფრომ მაგალობლიშვილის შესახებ წინასიტყვაობაში ხალხოსნებზე ვკითხულობთ: „ეს ჯგუფი ილია ჭავჭავაძის კალთაში აღიზარდა; მას იდეოლოგიურად ახალა არაფერი არ შეუქმნია...“ (ს. მაგალობლიშვილი. სახელგამი გვ. VI). ნიკო ლომოურის შესახებ ვ. კოტეტიშვილისევე მიერ დაწერილ წინასიტყვაობაში ასევე სწერია: „მართალია ამ უკანასკნელთ (ხალხოსნებზე ლაპარაკი პ. ქ.) იდეოლოგიურად ახალი არაფერი შეუქმნიათ...“ (ს. ლომოური — სახელგამი გვ. VI), იგივე აზრი გვხვდება იმავე ავტორის „ისტორიაში“ და საერთოდ მთელ ქართულ კრიტიკაში. მაგრამ ის აზრი, თითქოს ხალხოსნებს, იდეოლოგიურადაც კი არაფერი არ შემოეტანოთ ქართულ მწერლობაში, თითქოს მთელი ქართული მწერლობა შეადგენდა „ერთ მთლიან ძმურ ოჯახს“, სადაც ცხვრები და მგლები ერთად სძოვდნენ ერთი გულკეთილი და ყველასათვის ერთნაირად მშობლიური მამის ილია ჭავჭავაძის კალთის ქვეშ — ყოველივე ეს ფეოდალური ინტელიგენციის მიერ მოგონილი ზღაპარია, პროვაკაციული ქორებია, რომელიც დროა დაინგრეს მეცნიერებისა ვ. ი. სოკიალოვის იარაღის შემწეობით. ასეთი მტკიცება ნიშნავს: ხალხოსნების როლის არ დაფასებას ქართულ მწერლობაში, საერთოდ რევოლუციონერების ადგილის და ნამოდევანების მიჩქმალვით, ილია ჭავჭავაძის ვ. ი. ფეოდალური ინტელიგენციის როლის უზომო გაზვიადებას, ძველ ქართულ მწერლობაში კლა-

სობრივი ბრძოლის არ დანახვის და განგებ მიფუჩეჩებეს და მხვია. ვანა აშკარა არ არის, რომ ჯერ კიდევ თვით „მესამოცუანებზე“ შორის იყო სერიოზული პოლიტიკურ-სოციალური ხასიათის განსხვავებები. მაგალითად ილია ქაქუაიძისა და ანტონ ფურცელაძის შორის. ვ. კოტეტიშვილმა განამტკიცებს, რომ „... უთანხმოება, არსებული ანტონ ფურცელაძესა და იმ დროინდელ ჯგუფთა შორის არ იყო საპრინციპო ხასიათისა, თორემ დღესაც შეგვეძლებოდა მისი დანახვა. იგი უფრო ტონის საკითხი იყო...“ (ნაწ. II გვ. 24). მაგრამ ტონი ხომ შესივას ჰქმნის და სწორედ ილიასა და ანტონს შორის უკვე სხვადასხვა „ჭანგები“ ისმოდა. მაგრამ ილია ქაქუაიძის ნაციონალიზმის თანამედროვე ეპიგონებისათვის რა სასარგებლოა ანტონ ფურცელაძის „კაცად“ ჩათვლა ან მისი ტონის მოწონება. ამიტომია, რომ ყველგან ვხვდებით ასეთ მოსაზრებებს: „ის კირვეული პირდაპირობა (რა ცუდი რამ არის პირდაპირობა! პ. ქ.), რომელიც ზოგჯერ უტაქტობათ იქცევა, რაც ანტონ ფურცელაძეს ახასიათებდა...“ (იქვე გვ. 246) ან „რასაკვირველია, ეს უკიდურესობა (აბ!) ახირება უფრო იყო, ვიდრე სერიოზული აზროვნება...“ (გვ. 248) ან კიდევ: „რასაკვირველია, აქ ამაკრებული მსჯელობისა და ერთგვარი აღგზნების (რა ცუდია აღგზნება! პ. ქ.) მიმუშათან გვაქვს საქმე“ (ნაწ. III გვ. 11) და ა. შ. დაუსრულებელი ლანძღვა-გინება რადიკალებისა.

კ. კვანელი კი თავის „ქართულ სულ“-ში სრულებით არაფერს არ ამბობს ილიას თანამედროვე ან მის მომდევნო ხალხსნებ-დემოკრატებზე: დ. ჭონქაძეზე, ი. დავითაშვილზე, ან. ფურცელაძეზე და სხვებზე, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ისინი ღიბსნიც კი არ არიან ისტორიაში შეტანისა.

ზემოდასახელებული ტენდენცია ქართულ მწერლობაში რევოლუციონურ ნაწილის არდაფასებისა და სიძულელი მათდამი მტკიცეთ არის გააზღვარი სკოლის სახელმძღვანელო წიგნებშიაც. ასეთი ხაზი თანდათან გადმოდის თანამედროვე პროლეტარული მწერლობის მიმართაც. მაგ. ამ წლის სკოლაში შესასწავლად განათლების კომისარიატის მიერ გამოცხადებულია არაპროლეტარული თანამედროვე მწერლობიდან ვინ იკის ვინ არა, მოსაშვილიდან დაწყებული გორგაძით გათავებული (გაგიგონია მკითხველო ასეთები?) და პროლეტარული მწერლები კი არა. აქვე უნდა აღინიშნოს სახელგამის პოლიტიკის შესახებ: ვინ არ გამოიკა, მაგრამ ანტ. ფურცელაძეზე, ირ. ვედოშვილზე და სხვა ასეთებზე ნაკლებად ჰფიქრობენ!

ჩვენ პრესაში ზოგან უკვე იყო გაკრიტიკებული ქართული ლიტერატურის ისტორიკოსების ცდა კლასიკოსების რევოლუციონერებად და სოციალისტებად მონათვლისა. მაგრამ ჯერ არავის მიერ არ არის მონახული ისტორიკოს-კრიტიკოსების ამ ტენდენციის სოციალური ძირი. სოციალური მიზეზი ამ ტენდენციისა მშვენივრად ნათელჰყო რეაქციონური ლიტერატურული ჯგუფის— „არიფონის“ გამოსვლამ.

როგორც ვიცით საქართველოში განსაკუთრებული ეკონომიური და სოციალური მიზეზების გამო ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ფეოდალური ინტელიგენციის ნარჩენები. „არიფონის“ გამოსვლის საერთო აზრიც სწორედ იმაში

მდგომარეობდა, რომ რაიმე ნაირად მონახულიყო ამ ფეოდალური ინტელიგენციის ნარჩენების რევოლუციისთან „შეგუების“ ისეთი გზები, რომ ამ ინტელიგენციის, რაც შეიძლება მაქსიმალურად გაეთავისებურებინა რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის შინაარსი, რაც შეიძლება ნაკლებად მომხდარიყო მათი (ფეოდალური ინტელიგენციის) წარსულის რევიზია და რაც მთავარია გამონახულიყო ფეოდალური იდეებისა და ძველ კულტურის დილეტანტური არსებობის გაგრძელების ისეთი შესაძლებლობა, როდესაც ძველი კულტურა გარეოლიუციონერებული სამოსელით კომუნისზთან „თანამშრომლების“ უფლებას მოიპოვებდა. ამისათვის საჭიროა, რომ ფეოდალურმა ინტელიგენციამ, რაც შეიძლება რევოლუციონურ და სოციალისტურ „საქონლად“ „გაისალოს“ ყოველივე ის, რაც მას წარსულში მოეპოება. და სწორედ ფეოდალური კულტურის თანამედრეობაში უმტკივნეულად გადმონერგვის, ამ ფეოდალური კულტურის წარსულისადმი კომუნისტებში ინდობის გამოსაწვევად, კულტურის სფეროში კომუნისტური კლასობრივი ხაზის შესასუსტებლად, ფეოდალური ინტელიგენციის რევოლუციისთან თავის სასარგებლოდ შეგუების სურვილით აიხსნება ქართული მწერლების ისტორიკოსების მიერ ფეოდალურ კლასიკოსების სოციალისტებად და რევოლუციონერებად გასაღების ცდები.

მოკლედ რომ ვსთქვათ ქართულ მწერლობაში და განსაკუთრებით კლასიკოსების კრიტიკაში ადგილი ჰქონდა და აქვს ფეოდალიზმის და კომუნიზმის მორიგების მეტად კურიოზულ ცდას. აველაზედ უკეთესად, ვიმეორებთ, ეს იდეა გამოსთქვა „არიფიონის“, „არიფიონის“ შექმნამდე კი მისმა იდეურმა სულის ჩამდგმელმა გერონტი ქიქოძემ. გერონტი ქიქოძე ჯერ კიდევ 1926 წელს ფურნალ „ქართული მწერლობის“ I №-ში ჩვენი ფეოდალური ინტელიგენციის ორ უდიდეს კლასიკოსადმი, აკაკისა და ილიასადმი, მიძღვნილ წერილში სწერდა: „სოციალიზმს“ როგორც ავტორიტარულ აზროვნებას, შეიძლება მეტი საერთო ჰქონდეს არისტოკრატიის იდეოლოგიასთან, ვიდრე ლიბერალიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან. ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების განვითარების დიალექტიკა დღეს აცოცხლებს ისეთ კულტურულ ელემენტებს, რომლებიც სამუდამოდ მკვდარი გვეგონია ფეოდალურ საზოგადოებასთან ერთად იხ. „ქართული მწერლობა“ № 1, 1926 წ. გვ. 34.).

აი ეს ფეოდალური არისტოკრატიის იდეოლოგიის რესტავრაცია, რომელსაც გ. ქიქოძის აზრით ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე უფრო მეტი საერთო აქვს კომუნისზთან „აცოცხლებს ისეთ კულტურულ ელემენტებს, რომლებიც სამუდამოდ მკვდარი გვეგონია ფეოდალურ საზოგადოებასთან ერთად“, ეს რესტავრატორული იდეოლოგია ჰქმნის ლეგენდებს ფეოდალური მწერლების რევოლუციონერ-სოციალისტური წარსულის შესახებ, ეს იდეოლოგიაა, რომ გვევლინება ხელოვნებაში „ქართული სტილის“ სახით, პოლიტიკაში— „სმენოვეზოველობის“ სახით, მწერლობაში— „არიფიონის“ სახით, რომლის მწერლები თანამე-

დროევობაში ცდილობენ თამარ მეფისა და „შოთას ბეჭდის“ პოვნას (ს. მან-შიაშვილი), ან და მთელი თავიანთი მხატვრული ავტორიტეტით გვიხატავენ იდეალურ სურათებს მშვენიერი წარსულისას, რომელიც ჯერჯერობისათვის სახით თურმე ათასხელ უფრო დიდებული, ლამაზი და წარმტაცია; ვიდრე შაქ-ესი (შ.დადიანი, გ. ქიქოძე).

შემოდ დახასიათებული რესტავრატორული იდეების შედეგია კ. კაპანე-ლის მტკიცება იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე არის „ქართულ ლიტერა-ტურაში ჭეშმარიტი ლაღადება თავისუფლებისა, თანასწორობისა, ადამიანობისა, შრომის, პატივისცემისა, რევოლიუციისა და სოციალიზმის“ (იხ. გვ. 147). იმავე რესტავრატორულ იდეებზე აიძულეს ვ. კოტეტიშვილი დაეწყო მტკიცება, თითქოს ყველაზე უფრო რეტროგრადი მწერლები: გრ. ორბელიანი „სოცია-ლური პატრიოტია“ და ბარბარე ჯორჯაძე (ბარბარეც კი) ბატონყმობის წი-ნააღმდეგ მებრძოლი (იხ. ნაწ. II გვ. 71). ამ იდეური ხაზის გაგრძელებას შე-ადგენს ვ. კოტეტიშვილის ცდა, რათა ალ. ყაზბეგის და ვეჯა-ფშაველას პატრიარ-ქალური სიძველის იდეალიზაცია დაგვისახოს, როგორც მხოლოდ რუსე-თის ბიუროკრატიაში წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლის შედეგი, მაშინ როდესაც „მთის შკოლა“ რუსეთის ბიუროკრატის წინააღმდეგ ბრძო-ლასთან ერთად, იბრძოდა საერთოდ ცივილიზაციის, საერთოდ კულტუ-რული (ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული) წინსვლის წინააღმდეგ, რაიც შედის, როგორც შემადგენელი ნაწილი რეაქციონური ხალხოსნობისა, რომ-ლის წარმომადგენლებია ჩვენი ვეჯა და ალ. ყაზბეგი.

ვ. კოტეტიშვილი, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეზეც დაახლოებით იმავე შეხედულებისაა, რა შეხედულებისა აღმოჩნდა კ. კაპანელიც, მაგრამ ვ. კოტე-ტიშვილს აქაც არ უღალატა ყოველთვის მასთან მყოფმა წინ წასწრების გრძობამ და მან უკვე არა მარტო ილია, არამედ მთელი მესამოცე წლიანების სკოლა სოციალისტურ მიმართულებად გამოაცხადა: „ჩვენი თერგდალეუ-ლები სოციალისტებიც იყვნენ“-ო სწერს იგი (იხ. ნაწ. II გვ. 81)- კიდევ უფრო შორს მიდის ჩვენი ისტორიკოსი, ის ალექსანდრე ჭავჭავაძე-ზედაც კი სწერს, რომ „ბატონ-ყმობის წინააღმდეგ თქმა პირვე-ლად ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეკუთვნის“-ო (იხ. ნაწ. II გვ. 211), რომ მისი შემოქმედება „ეს არის პროტესტი არსებულ სოციალ-პოლი-ტიკურ წყობილების წინააღმდეგ, მონობის ყოველგვარი ფორმის დაგმობა, წო-დებრივი განსხვავების უარყოფა, ეკონომიურ ექსპლოატაციისადმი ზიზლი და საერთოდ ცხოველი დაცვა დამდაბლებულთა და შეურაცყოფილთა“ (იხ. ნაწ. II გვ. 87). ერთი სიტყვით ალ. ჭავჭავაძეც სოციალისტია! და ამას სწერენ იმ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, რომლის მთელი შემოქმედება ფეოდალური ყოფის ბოტა და შეტებაა, რომლის მთელი ინტერესი სასახლისა და მისი ფუფუნების ფონზე გაშლილი სიყვარულია, რომელიც თუ რაიმე საზოგადოებრივ თემაზე სწერდა, მხოლოდ ისეთზე, სადაც იგი დაკარგულ სასახლის სურნელებას გულ-ამოსვენილი დასტირის, სადაც ის საქართველოს მონარქიზმზე ოცნებობს, („გოგჩის ტბა“...), და ვანა ანგდოტი არ არის, როდესაც იმ კაცს, რომელიც



ქართული კულტურის ორი დღესასწაული *)

ძღვნად: ქართული მწერლობის 1500—
და ქართული სტამბის 300—წლისთავს.

სამი საუკუნე სრულდება წელს მას აქეთ, რაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ სტამბას და ამით გზა გაეკაფა ქართულ მწერლობას. რამდენადაც ვიცით, განათლების კომისარიატს განზრახული აქვს ჯეროვნად აღნიშნოს ეს საზეიმო მოვლენა ჩვენი ისტორიისა. სასურველია და საჭირო მასთან ერთად მოგონებულები მაინც იქნეს აგრეთვე მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტი ჩვენი კულტურული წარსულისა, რომელსაც სულ რამდენიმე წლის წინათ 1500 წელი შესრულებია და რომელიც თავის დროს აღუნიშვნელი დაგვრჩენია; მე ვგულისხმობ ქართული მწერლობის დასაწყისს. სავალალოა, რომ ეს ღირსშესანიშნავე, კარდინალური საკითხი ჩვენი კულტურის ისტორიისა ჯერაც გადაჭრილი და ამოწურული არაა; მე არ ვაცხადებ ამის აბსოლუტურ პრეტენზიას, მაგრამ, ესარგებლობ რა შემთხვევით, მინდა თვალი მიმოვაელო მას, შესასწორებელი შევასწორო და ნათელსაყოფი ნათელვყო.

1.

ამათუიშ ერის მწერლობას, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, საფუძველი მაშინ ეყრება, როდესაც იქმნება მისი ანბანი ან ბგერითი დამწერლობა. ისე რომ საკითხი ქართული მწერლობის დასაწყისის შესახებ ბოლოსდაბოლოს არის საკითხი ქართული ანბანის წარმოშობის დროისა და მისი პროტოტიპის შესახებ. იგულისხმება ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მრგვლოვანი ან, შემდეგი დროის ტერმინოლოგიით, ასომთავრული ხუცური ანბანი, რომლისაგან, როგორც დღეს უკვე დამტკიცებულია, განვითარდა კუთხოვანი-ნუსხახუცური, უკანასკნელისაგან კი ამჟამად მიღებული და ხმარებული მხედრული ანბანი, რომელსაც სტამბის დახვა მხოლოდ 1629 წელს ელირსა, ისიც შორეულ რომში.

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა თეორიები არსებობს; თუ მხედველობაში არ მივიღებთ აწ უკვე სამართლიანად დავიწყებულს შეხედულებას ქართული ანბანის ჰინდური Déva-ნაგარი-საგან წარმომდინარეობის შე-

*) დისკუსიის წესით.

სახებ, როველიც პირველად კლავროტმა გამოთქვა ¹⁾ და მერე ბაროსემ გაიმეორა ²⁾ ამ საკითხის შესახებ ორი ³⁾ მთავარი თეორია შეიძლება აღინიშნოს: სემური და ბერძნული.

ცნობილმა მეცნიერმა Fr. Müller-მა გამოთქვა მოსახრება, რომ ქართული ანბანი უნდა მომდინარეობდეს არამეულიდან ⁴⁾, ხოლო Taylor-ი ფიქრობდა, ⁵⁾ რომ ის მომდინარეობს არამეულიდან არა უშუალოდ, არამედ ფაქლავურის გზით. ⁶⁾ სულ უკანასკნელად H. Junker-ი ამტკიცებს, რომ ქართული ანბანის არამეულთან შეპირებულები ბიძია არა ფაქლავური უშუალოდ, არამედ ფაქლავურიდან მეოთხე საუკუნის ნახევარში ქ. შ. წარმოშობილი ავესტა ანბანით. ⁷⁾ სემური თეორიის მთავარ წარმომადგენელად დღესდღეობით შეიძლება ჩაითვალოს პროფ. ი. ჯავახიშვილი, რომელმაც ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს უძღვნა მთელი თავი „ქართული პალეოგრაფიის“ კურსში (გვ. 188—230, ტფილისი 1926) და რომელსაც ეს ანბანი გამოჰყავს უშუალოდ ფინიკურიდან.

არ შეგვირდებით Müller-ის, Taylor-ის და Junker-ის შეხედულებათა გარჩევას, ისინი ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს ეხებიან არა სპეციალურად, არამედ, სხვათა შორის, სომხური თუ სხვა ანბანის სადაურობის გარკვევისას, თან მათ არც მასალები აქვთ ამისათვის საკმარისი და არც ქართული პალეოგრაფიის ელემენტარული ცოდნა ⁸⁾. სხვა საქმეა პროფ. ი. ჯავახიშვილის თეორია; მართალია, აბსოლუტური პრეტენზიები არც მას აქვს და მკვლევარი თვითონვე შენიშნავს: „ჩემი ნათქვამი ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად მიმაჩნია, რომლის სიმართლეს მომავალი გამოაჩვენებს“ (გვ. 228), მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ამ თუ გინდ ჰიპოთეზად სახელდებულ თეორიას, ვინაიდან მისი ავტორი საკითხის სპეციალისტადაა ცნობილი, ის ამ საკითხზე მუშაობს თურმე 1914 წლიდან

¹⁾ Apor. de l'origine des diverses écritures, p. 73, Paris, 1832.

²⁾ Eléments de la langue Géorgienne. p. 6—8, Paris 1837.

³⁾ გაფიქრობად უნდა ჩაითვალოს დასახელება შესამე, სომხური, თეორიისა: სომხური წყაროები, რომელნიც ქართული ანბანის წარმოშობას მიგვიჩვენებენ, აღინიშნავენ, რომ ქართული ანბანი შექმნა სომხმა მანუკიამ, და არა იმას, რომ პროტოტიპად და დედნად აღებული იყო სომხური ანბანი.

⁴⁾ Sitzungsberichte d. Wiener Akademie 48, S. 431—438, Jahr. 1864. ი. ჯავახიშვილი, გვ. 228. არამეულიდან წარმოშობილობის თეორიას ჩვენში მხარს უჭერდა ს. გ. რ. ვაძე—წერილები საქართველოს ისტორიიდან I, 59—75.

⁵⁾ The Alphabet II, 268.

⁶⁾ H. Jensen, Geschichte der Schrift, S. 198, Hannover 1925; ამ მოსახრებას იმეორებს ჩვენში ს. ვაკაბაძე, საისტორიო რუბანი, გვ. 82—83, „საისტორიო კრებულში“ I, 147-8, ტფილ. 1928 წ.

⁷⁾ Das Awestalphabet und der Ursprung der armenischen u. georgischen Schrift, Caucasia II, III. ჩვენში ჯერ კიდევ ი. თქრომძე ედღე იშვილმა წამოაყენა თეორია ქართული ანბანის (მეფარულის) ზენდავესტიკიდან წარმოშობის შესახებ (Труды V археол. Съезда в Тифлисе, стр. 221 и сл.)

⁸⁾ განსაკუთრებით ზედმეტია დაპარაკი H. Junker-ის თეორიის შესახებ იმ გამანადგურებელი რეტენზიის შემდეგ, რომელიც მას უძღვნა ცნობილმა ორიენტალისტმა P. Peeters-მა Analecta Bollandiana, t. XLVI, Fasc. III—IV, p. 381-4.

(გვ. 3), მან იცის „ქართული დამწერლობის ისტორიული განვითარების მოკვარი საფუძვლები და მეტადრე უძველესი მოხაზულობა“ მისი (გვ. 228), ერთი სიტყვით—მისი შრომა არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა, მარტინოვიძის კვლევებით გაუზიარებელი¹⁾, მაგრამ მდიდარი მასალებით დამტკიცებული. ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ერთის მხრით ჯერხანად ცნობილი შექმნეს საუკუნის ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფუძვრს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7—8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი, მეორის მხრით ქართული ანბანის ასოთა რიგობითი მიმდევრობა ფინიკურ-სემური ანბანის მშენებრად იცავს, რაც აგრეთვე მისი სიტყვის მომასწავებელია: ფინიკურ-სემური ანბანის უძველესი მოხაზულობის მსგავსად ქართულ ბევრ ასოებს პირი მარცხნივ აქვთ მობრუნებული და დასასრულ ასო „ბ“-ანის ქართული თავშეკრული მოხაზულობა შესაძლებელია მხოლოდ ფინიკელთა, ებრაელთა და არამედიტაჰან ყოფილიყო შეთვისებული მეშვიდე საუკუნეზე არა უგვიანეს ქ. წ., როდესაც თვით არამედიტაჰან ჯერ კიდევ თავშეკრულ „ბ“-ს ხმარობდნენ და როცა ქართული ტომები ტუბალ-მოსოხებიც აზიაში ცხოვრობდნენ და ფინიკელებთან აღებ-მიცემა ჰქონდათ“ (გვ. 327). ამნაირად, ავტორის აზრით, ქართული ანბანი მომდინარეობს ფინიკურ-სემური ანბანიდან, რის მომასწავებელია ის გარემოება, რომ 1) ქართული ანბანის ასოთა რიგობითი მიმდევრობა ფინიკურ-სემური ანბანის მშენებრად იცავს, 2) ფინიკურ-სემური ანბანის უძველესი მოხაზულობის მსგავსად ქართულ ბევრ ასოს პირი მარცხნივ აქვს მობრუნებული. ქართული ანბანი შედგენილია არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა ქ. წ., რაც შემდეგიდან ჩანს: 1) ქ. შ. მეექვსე საუკუნის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული განვითარების საფუძვრს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7—8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი, 2) ასო „ბ“-ანის თავშეკრული მოხაზულობა შესაძლებელია შეთვისებული ყოფილიყო არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა ქ. წ., როდესაც თვით არამედიტაჰან ჯერ კიდევ თავშეკრულ „ბ“-ს ხმარობდნენ და როცა მცირე აზიაში მცხოვრებ ტუბალ-მოსოხებს, თანამედროვე ებრაელების ცნობისა (XXVII, 13), ფინიკელებთან აღებ-მიცემა ჰქონდათ (გვ. 226).

ანბანის წარმოშობის პრობლემის გასარკვევად ორი გზა არსებობს: ბერათა თანმიმდევრობის ან დაღაგების წესი და მათი გარეგნული, გრაფიკული გამოხატულების, ასოთა, შედარება. პირველი გზით წარმოებული მსჯელობა ჩვენი ავტორისა იქნებოდა, რომ ლოლიკური დასკვნა მისი გამოკვლევისა უნდა ყოფილიყო ქართული ანბანის ბერძნულისაგან წარმოშობა (გვ. 193, 197); მაგრამ მას უპირატესობა მეორე მეთოდისათვის მიუნიჭებია და ასოთა შედარების გზით შემოიკვანინა დასკვნამდე მისული. ეს გზა მეტად სუბიექტურია; ამ გზით მოსიარულენი ასოებს ხან გადაატრიალ-გადმოატრიალებენ, ხან მარჯვნივ მოაბრუნებენ და ხან მარცხნივ, ხან ზევით ასწვენ და ხან ქვევით ჩამოსწვენ, ხან კულს

¹⁾ იხ. რეცენზიები P. Peeters-ისა, *Analecta Bollandiana*, t. XLVI, Fasc. III-IV, p. 396, და ს. კაკაბაძისა, *სახსტორიო კრებული I*, 106-8.

მოაბმენ და ხან ფებს მოაშორებენ, ერთი სიტყვით — ყოველსავე ღონეს ხმარობენ, რათა დაამსგავსონ იმ ანბანს, რომლისგანაც სურთ ქართულს წარმოშობა. ამ სუბიექტიურიზმისაგან თავი ვერც ი. ჯავახ — ლს დაუზწყვედა: მისი მხარეა, რომ შიაც გვხვდება ასეთი ფრაზები: „ზედატანის მარჯვნივსავე გასწვრივ წაზიდულ ხაზს რომ დროებით თავი დავანებოთ, დაკერება“ ესა და ეს ასო (გვ. 208), „ჯვარის მარცხენა ფრთის სრულიადი ჩამოშორებითა და მარჯვენითი ფრთის შორით ჩამორგვალვებით არის წარმომდგარი“ (გვ. 211—212) და სხვ. თან მისი „შედარებითი“ მსჯელობა ხშირად დამყარებულია სიტყვებზე: „იქნებ“ (გვ. 199, 217), „ოთიქმის“ (გვ. 200), „შთაბეჭდილებას ახდენს“ (გვ. 201), „თუ“ (გვ. 210), „ალბად“ (გვ. 206, 209), „უნდა იყოს“ (გვ. 202, 203, 205, 213, 214), „შესაძლებელია“ (გვ. 199, 205, 209, 212, 215, 216), „საფიქრებელია“ (გვ. 203, 208, 209, 212, 213, 214, 215, 216, 220, 222) და სხვ. ასეთი „შედარებითი“ მეთოდი ნაყოფიერი და მისაღები იქნებოდა მაშინ, თუ ჩვენ ხელთ გვექნებოდა წარმომშობი და წარმოშობილი ასოები იმ მომენტისა, როდესაც წარმოშობას ადგილი ჰქონდა; წინააღმდეგ შემთხვევაში შემდეგი დროის მოახზულობას, როგორც ნაყოფს ანბანთა დამოუკიდებელი განვითარებისას, შეუძლია მკვლევარი შეცდომიანი შეიყვანოს. ივ. ჯავახ — ლს შესაძარებლად აღებულ იქნეს ისეთი ქართულ მასალა, რომელიც 1300 წლით მაინც არის დაშორებული მისთვის ნაგულისხმევი დედა-ანბანისა და წარმოშობის დროისაგან.

ესაა განვიხილოთ ავტორის საბუთები. პირველი საბუთი ქართული ანბანის ფინიკურ-სემური ანბანიდან წარმოშობის არის ის, რომ ჩვენი ანბანის ასოთა რიგი ფინიკურ-სემური ანბანისას მშვენივრად იცავს; მაგრამ თვითონ ავტორი აღნიშნავს, ისიც არა ერთხელ, რომ ის უფრო „მშვენივრად“, პირდაპირ „გასაოცრად“ უდგება ბერძნულისას (გვ. 193, 196—7). მაშ რად უნდა მიეცეს უპირატესობა ფინიკურ-სემურს და არა ბერძნულს? იქნება იმიტომ, რომ ბერძნული ქართულ ასოს, შვავსად ფინიკურ-სემურისა, პირი, როგორც ავტორი ამბობს, მარცხნივ აქვს მობრუნებული? მაგრამ „ბევრს“, და არა ყველას, სულ 25%, თან ამგვარსავე მოვლენას ადგილი აქვს ისეთს ანბანშიაც, რომელსაც ფინიკურ-სემურთან უშუალო კავშირი არ აქვს, მაგალითად, ძველს სლავურს ანბანში იმ ასოთა რიცხვი, რომელთაც პირი მარცხნივ აქვთ მოქცეული, იმდენივეა, რაც ქართულში, სახელდობრ 25%, ამდენივე, 25%, აგრეთვე კომპლუტშიაც. ერთი სიტყვით, მოყვანილი საბუთები არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული ანბანი ფინიკურ-სემურიდან მომდინარეობს უშუალოდ.

როგორია საბუთები იმისა, რომ ეს ანბანი შექმნილია არაუგვიანეს მე-შვიდე საუკუნისა ქ. წ. ? პირველი საბუთი: ქ. შ. მეექვსე საუკუნის ქართული ძეგლები კალიგრაფიული განვითარების ისეთს საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართულ ანბანის დასაწყისი სულ ცოტა 7—8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი. თუ ეს ასეა, მისი დასაწყისი მეორე საუკუნეში უნდა დაედოთ ქრ. წინ და არა მეშვიდეში, მაგრამ რომელია ეს ძეგლები, რომელთაც ავტორი შეეჭმუხე საუკუნეს ქრ. შემდეგ აკეთებენ? ესენია: მის მიერ აღმოჩენილი პალიმფსესტური ტექსტები ბიზლიისა, ბოლნისის წარწერა 505—6 წლისა და მცხე-

თის ჯვრის წარწერები. ეს ძეგლები მითაც ყოფილა საყურადღებო, რომ აქ ჩვენ ვხვდებით თავშეკრული „ბ“-ანი, რომელიც თურმე ადასტურებს ქართული ანბანის წარმოშობას არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა. მაგრამ იმასაც კარგად ვიცი და ვიხსენებოთ, რომ ერთი ასო, „ბ“-ანის, თავშეკრულობა ვახსნილობით მხელის ისეთი კარდინალური პრობლემის გადაჭრა, როგორცაა ანბანის წარმოშობის ხანა, თვით დათარიღება დასახელებული ძეგლებისა სწორი და უცილობელი არაა. მართლაც, თუ მხედველობაში გვექნება ის გარემოება, რომ პალიმფსესტური ტექსტები ბიბლიისა, სირიულ-სომხურ ელემენტებთან ერთად, ბერძნული სებატიკის ელემენტებსაც შეიცავს¹⁾, იგი შეგვიძლია მივაკეთოთ, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მეექვსე საუკუნის გასულს, და თუ ეს ასეა, ამ ტექსტების შემცველ პალიმფსესტებს, ყოველ შემთხვევაში, მეშვიდე საუკუნის დასასრულზე უადრეს ხანაში ვერ ვადმოვიტანთ (არის ცდა ლენინგრადის მეცნიერებისა მათი შერევა-მეცხრე საუკუნით დათარიღებისა, იხ. კრებული „მიმომხილველი“ I, 262—3). ბოლნისის წარწერა, სადაც თავშეკრული „ბ“-ანი ვხვდებით, იმიტომ მიაჩნია ი. ჯავახ—ლის მეექვსე საუკუნის დამდევსად, რომ იქ მოხსენებულია თურმე 506 წლის დვინის კრების მონაწილე დავით ბოლნელი (გვ. 159—160)²⁾, მაგრამ ავტორი ვერ გრძობს ლოლიკურ წრეს, რომელშიაც ის ექცევა, როდესაც ამის შემდეგ ამბობს: დვინის კრების მოწმობა იმიტომაცაა სწორი, სანდო და მისაღები, რომ დავით ბოლნელი მოხსენებულია ბოლნისის წარწერაში (გვ. 161); გამოდის idem per idem! თქმა იმისა გადაჭრით, რომ დავითი ბოლნისის წარწერისა და დავითი 506 წლის კრებისა ერთიდაიგივე პირია, ძლენია და სადავო საკითხის დასათარიღებლად ის არ გამოგვადგება. რაც შეეხება მცხეთის ჯვრის წარწერებს, ი. ჯავახ—ლის აზრით, სტეფანოსისა და დემეტრეს წარწერები ეკუთვნის 591—600 წლებს, ადარანესი 626—634 წ., ხოლო ქობულის—634 წლის შემდეგ დროს; ამ წარწერებში, გარდა უკანასკნელისა, „ბ“-ანი თავშეკრული ყოფილა, უკანასკნელში კი თავლია. მაგრამ პროფ. გ. ჩუბინი შვილის უკანასკნელი გამოკვლევიდან ვტყობილობთ, რომ ეს წარწერები და მათი შესატყვისი ბარელიეფები დალაგებულია არა ვერტიკალურად, ერთიმეორის ზევით, რაც მომისწავებელი იქნებოდა მათი თანდათანობითი წარმოშობისა 50 წლის სივრცეზე, არამედ ჰორიზონტალურად,

¹⁾ Н. Марр. О кавказской версии Вавилы в Грузии. неизвестных фрагментов, Тексты и размышления по кавказской филологии I, 50—65.

²⁾ ბოლნისის წარწერა იკითხება ასე: „ქრისტე დავით ეპისკოპოსი კრებულთურთ. შეიწყალენ და მშრომელთა ამას გელესია შინა შეხეწიე“. ფრაზა „მშრომელთა“ იგი ჯავახ—ლის ეპისკოპოსი როგორც „მომეწიეწიე“ უკვე არსებულს ბოლნისის საეპარქიო, მისი გამწვენიერების მიზნით, რომელთა ჯგუფს დავითი კრებულთურთ არ ეკუთვნისო (ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე II, 321). ნამდვილად ეს ფრაზა არაეპარქიო რეალური მდგომარეობისა და მოკლენის მიჩვენებული არაა; „მშრომელთა ამას გელესიასა შინა“ არის ნაკვეთი საღვთისმსახურთ კვრეჭისა, რომელიც ასე იკითხება: „მეგრევეა გვედრებით... წმიდისა და ყოვლად პატიოსნისა ამისა ტაძრისა და ამისა შინა მშრომელთა (ჯაქანაძე), მგლობელთა და აქა მდგომარეობა ერთათვის“. „მშრომელნი“ ჩნდება, როგორც საგანგებო თანამდებობა, მხოლოდ საუკუნიდან, მათი მთავარი დანიშნულება იყო ავთანეზოთა მოვლა და მიცვალებულთა დასაფლავება.

ერთსადამივე დონეზე დედამიწის პირიდან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ისინი შესრულებულია არა თანდათანობით, არამედ, როგორც პრაფ. გ. ჩუბინაშვილიც ამბობს¹⁾, ერთსადამივე დროს ტაძრის აშენების^{მართკენში}, რომელიც გათავებული იყო მოკლე ვადაში, ერთს, ერთნახევარ ათეულ წელში. მაშასადამე, „ბ“-ანი ერთსადამივე დროს ხან თავშეკრული იწერებოდა, ხან თავლია, ამიტომ მისი თავშეკრულობა-გახსნილობით რისიმე დათარიღება, განსახუთრებით ისეთი მოკლენისა, რომელსაც ადგილი ჰქონია თურმე 1300 წლის წინათ, შეუძლებელი და მიუღებელია.

თავისთავად იგულისხმება, რომ ანბანის სესხება ამათეიმ ერისაგან შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ერთან უშუალო კავშირი და ურთიერთობა არსებობს; ამიტომაც არის, რომ ჩვენი მკვლევარი ასახელებს ეზეკიელ წინასწარმეტყველს, რომელიც თითქოს ადასტურებს, რომ თობელსა და მოსოხს ფინიკიელებთან აღებ-მიცემა ჰქონდათო (XXVII, 13). ამის შესახებ პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნო, რომ დასახელებულ ადგილას ეზეკიელის წიგნში თობელსა და მოსოხს არ იხსენიებენ არც სეპტანტა, რომელსაც, როგორც მეცნიერებაში ცნობილია, ეზეკიელის წიგნი უკეთესად შემოუნახავს, ვიდრე ებრაულ ვულგატას, არც მისგან მომდინარე ტექსტები. აქ „ათეველ“ (თობელ) გაგებულია როგორც „ყოველი“, ხოლო „მეშეკ“ (მოსოხ) წარმოებულია „მაშაკი“-საგან, რაც „განვრცობას“ ნიშნავს, ასე რომ მიღებულია: „*ή Ελλάς και ή σύμπασα και τα παραιελεύσια αυτήν*—ელადა ყოველი და განმავრცობელნი მისნი“. ჩანს 70 თარგმანთ ჰქონდათ საბუთი ასეთი გაგებისა, თორემ რაღა აქ არ მოიხსენეს ეს ტომები და იმავე ეზეკიელის სხვა ადგილას კი (XXXII, 26, XXXVIII, 2, XXXIX, 1). მეორე, თობელსა და მოსოხში კიდევაც რომ უცილობლივ ქართველი ტომები ვიცნოთ (ეს აქსიომა არ არის, არსებობს სხვადასხვა შეხედულება ამის შესახებ ეზეკიელის წიგნში), აქედან მხოლოდ იმ დასკვნას მივიღებთ, რომ ფინიკიელებთან აღებ-მიცემა ჰქონდათ თობელსა და მოსოხს, ის ანბანი კი, რომელსაც ქართული ეწოდება, როგორც სახელიდან ჩანს, შემოღებულია არა თობელ-მოსოხის, არამედ იმ ქართველი ტომის მიერ, რომელსაც „ქართი“ ეწოდებოდა და რომელსაც ბერძნები *αρμενικαι*-ს ეძახდნენ, დაბადებ ა კი „კაშლიმ“-ს, ეს ტომი ძველად ვანის ტბასა და არარატს შუა ბინადრობდა და ფინიკიელებთან მტკიცე და უშუალო კავშირი მას არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში ეს დამოწმებული არაა.

ასე და ამნაირად, პრაფ. ი. ჯავახ—ლის თეორია, რომ ქართული ანბანი წარმოშობილია ფინიკურ-სემიტრიდან არა უფვიანეს მეშვიდე საუკუნისა ქრ. წინ, და მტკიცებულად ვერ ჩაითვლება.

არიან მეცნიერები, მათ შორის ცნობილი პალეოგრაფი V. Gardthausen-ი²⁾, რომელთაც, გზადაგზა, შემთხვევით გამოთქმულ შენიშვნებში, ქართული ანბანი

¹⁾ ჩამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, გვ. 161, 164, 165 (განმავრცობით შენიშვნა), 167, შენიშვნა.

²⁾ Ueber den griechischen Ursprung der armenischen Schrift, ZDMG. XXX, 1, S. 74-80, ბოლოე Griechische Palaeographie II, 47.

ბერძნულისაგან გამოჰყავთ.¹⁾ ამ შეხედულების მე წინათაც ვიზიარებდი (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია I, 82—85) და ეხლაც მტკიცედ ვადგავარ მას. მართლაც, 1) ქართული ანბანის შემოღების ხანაში, რომლის შესახებ ჰეროდოტე მოთ გვექნება ლაპარაკი, ბერძნებს, როგორც ქრისტიანობისა და მისი მწიგნობის პირველ წყაროს, მეტი კულტურული და მისაზიდი ღირებულება ექნებოდა ქართველობისათვის, ვიდრე სხვა ერებს, კერძოდ სომეხებს, სემიტებს და ირანელებს. 2) საწერი იარაღის სახელი ქართველებს უცვლელად გადმოუღიოთ ბერძნულიდან: კალამი-ჯაჯაჲ; (3 იოანე, 13), მელანი-მნაჲ (2 იონ. 12, 3 იონ. 13, 2 კორინ. III, 3); თვით სიტყვა „წიგნი“ უნდა მომდინარეობდეს ბერძნული σῆμα-იდან, რომელიც უდრის ბერძნულში σῆμα-ს (Sophocles, Greek Lexikon); σῆμα შემოსულია ბერძნულში ლათინურიდან (signum) არაუადრეს მეოთხე საუკუნისა ქრ. შემდეგ, დიოკლიტიანეს დროიდან, და უდრის ქართულს „ნიშანს“, ქართველებს გაუფართოებიათ მისი შინაარსი და ამ სიტყვით აღუნიშნავთ ბერძნული გამოხატვები ნიშნებიც, ასოები. მართლაც, ასოს (γράμμα, буква) ძველს ქართულში ეწოდება წიგნი (რომაულ. II, 29, VII, 6, 2 კორინ. III, 6, 7), მერე კი ეს სახელი დარქმევია იმასაც, რასაც ბერძნები βιβλία და βιβλιοთეკა ეძახდნენ. 3) არც ერთი სემური ანბანი არ შეიცავს ხმოვან ასოებს, რომელნიც ბერძნების მიერაა შემოღებული, ქართულს კი აქვს ისინი. 4) ჩვენ ვკითხვლობთ და ვწერთ არა მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც სემურ ანბანშია, არამედ, მსგავსად ბერძნულისა, მარცხნიდან მარჯვნივ. 5) ასოების რიგი და თანმიმდევრობა ქართულში ისეთია, როგორც ბერძნულში; თავისთავად იგულისხმება, რომ როდესაც ერთი ერი მეორე, უფრო კულტურისანი, ერისაგან ანბანს სესხვლობს, ის ჯერ გამოიყენებს ორივე ენისათვის საერთო ასოებს და მერე ზრუნავს თავისი საკუთარი ბგერების გამოსახატავ ნიშნებისათვის, რომელთაც ანბანის ბოლოში ათავსებს. ასე მოიქცენ თავის დროს ბერძნები, ასევე უნდა მოქცეულიყვნენ ქართველებიც. მართლაც, ქართულ ანბანში, „ა“-ნიდან მოყოლებული „ქ“-ანამდე, იგივე 24 (ან უკეთ 25, თუ მხედველობაში გვექნება ბერძნული ა, რომელსაც უდრის ქართული ოვ) ასო გვაქვს, ორი გამოჩაგლისის გარდა (ა, ე-ე, ე;), რაც ბერძნულში, და იმავე თანმიმდევრობით, როგორც ბერძნულში. ბოლოში, „ქ“-ანის შემდეგ, ბერძნულის გაგრძელებად, მოათავსებულია სპეციფიკური, ბერძნულთან შედარებით, ქართული ბგერების გამომხატველი ნიშნები: ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, კ, ჯ, პ, ზ (თუმცა, შესაძლებელია, უკანასკნელი შემოღებული იყოს როგორც შესატყვისი ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასო ა-ისა). სპეციფიკურ ქართულ ბგერათა გამომხატველია აგრეთვე „ა“ და „ე“, მაგრამ ისინი ატანილია საერთო ასოთა სვეტში, იმ ორი ბერძნული ასოს (ე, ე) რიცხვობრივი მნიშვნელობის შესატყვისად, რომელნიც ქართულში არ მოიპოვებინან. 6) ქართულ ასოებს შემოუნახავთ უცვლელად არა მარტო თანმიმდევრობა ბერძნული ანბანის ასოებისა, „ქ“-ანამდე, არამედ მათი რიცხვობრივი მნიშვნელობაც,

¹⁾ ჩვენში ამ თეორიას იცავდნენ დ. ბაკრაძე (Груши. палеография, Труды V археол. Съезда в Тифлисе, стр. 207—214, საქართველოს ისტორია, გვ. 82—85) და დ. კარიკაშვილი (ხეცური ანბანი).

მხოლოდ, როგორც ზემოთაც ვთქვით, 60-ის აღსანიშნავად, ბერძნულ ζ ის მაგირი აულიათ „ ζ “, 90-ის გამოსახატავად კი, ნაცვლად ბერძნული ξ -ისა, „ ξ “: „ ξ “-ანის შემდეგ, რომელიც ბერძნულშიაც 600-ს აღნიშნავს, დანარჩენი ასეულეებისა და ათასეულეების აღსანიშნავად გამოყენებულია ანბანის ბოლოში მოქცეული სპეციფიკური ქართული ასოები. 7) მართალია, მე ზემოთ უარყავი ანბანის სადაურობის გამორკვევისას ასოთა შედარების მეთოდი, მაგრამ, თუ მაინც დავინცი იმასაც ნივართავთ, როგორც ამას შეცნიერები სჩადიან, და ქართული ასოების მოხაზულობას შევადარებთ ბერძნული უნიკალური ასოების მოხაზულობას IV—V სს. ქრ. შემდეგ, ქართულს ბერძნულთან უფრო მეტი ნათესაობა აღმოაჩნდება, ვიდრე ფინიკურ-სემურთან, არამეულ-სპარსულთან ან სომხურთან. 24 ქართულ ასოთაგან, „ α “-ნიდან „ χ “-ანამდე, 21 უფრო ადვილად, ბუნებრივად და ძალადაუტანებლად შეიძლება გამოყვანილ იქნეს ბერძნული ასოებიდან, ვიდრე ფინიკურ-სემურიდან; ბერძნულიდან შეიძლება ვაწარმოვოთ ისეთი ქართული ასოებიც კი, როგორიცაა ასომთავრული „ α “, „ β “ და „ γ “, პირველი უნიკალური ბერძნული ξ -ის შეატანიდან¹⁾, მეორე და მესამე „ κ “, „ λ “-საგან²⁾. ბერძნული გველენა ეტყობა ისეთ ასოსაც კი, როგორცაა ასომთავრული „ ζ “-ის უნდა წარმოადგენდეს ბერძნული ζ (ჯუჰარი)-ის აბრევიატურას (იხ. თანდართული შედარებითი ცხრილი).

რასაკვირველია, ის გარემოება, რომ ქართული ანბანი ბერძნულისაგან მომდინარეობს, არ გვაძლევს საბუთს დავასკვნოთ, რომ ის შემოღებულია მერვე საუკუნეში ქრისტეს წინ, როგორც სოგიერთები ფიქრობენ. პროფ. ივ. ჯავახლი, მაგალითად, ამბობს: ბერძნული ასო „სიგმა“ ქართულად გამოითქმის „ს“-ან, ისე, როგორც მას გამოსთქვამდენ უძველეს დროს დორიელნი, ხოლო ქართულ „ ζ “-ინს ანბანში უკავია მეექვსე ადგილი, მსგავსად ბერძნული „ ζ “-ისა, რომელიც გამოვარდა ხმარებიდან მეშვიდე საუკუნეში ქრ. წინ: ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ, თუ ქართული ანბანი ბერძნულისაგან მომდინარეობს, ის უნდა შემოღებული იყოს არა უგვიანეს მერვე საუკუნისა ქრ. წინ (გვ. 197, 224). საქმე ისაა, რომ ასომთავრული „ ζ “-ინს გარეგანი მოყვანილობით არაფერი საერთო არ აქვს ძველ ბერძნულ „ ζ “-თან „დიდამმისთან“, ის არის გადამბრუნებული სომხური „ვევ“, რომელსაც ქართული ანბანის შემოღებისას ალბათ მეექვსე ადგილი ეკავა ანბანში, მსგავსად სემურიდან მომდინარე, მაგალითად, სირიული ანბანისა (პროფ. ნ. ადონცი ფიქრობს, რომ სომხურს ანბანში ასოთა თავდაპირველი რიგი შეცვლილი უნდა იყოს შემდეგში, *Новый анализ словаря Евр.-Фон III*, 642). რაც შეეხება სახელწოდებას „ს“-ან, ეს სრულიად შემთხვევითი შეხვედრაა ძველს დორიულ გამოითქმისთან; დამაფიქრებელი იქნებოდა, რომ მხოლოდმხოლოდ ამ ერთს შემთხვევაში გვქონოდა ისეთი შეხვედრის მაგალითი, მაგრამ ჩვენ რამდენიმე ასო გვაქვს, რომელთა

¹⁾ შეად. მეოთხე საუკუნის ქრ. შემდეგ ბერძნული უნიკალური ξ H. Jensen-ის *Geschichte der Schrift*-ის მე-225 ტაბულაზე.

²⁾ ბერძნულიდანაა ნაწარმოები აგრეთვე დ, სახელდობრ Γ -ისგან, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბერძნული Γ ქართულში გამოითქმის როგორც დ, მაგალ. აღაპი, აღათა.

სახელწოდება „ან“-ით თავდება, ესენია: ბან, გან, თან, კან, მან, გან, სან, ქან, ღან, ცან, ხან, ჯან.

3.

ეროვნული

ანბანის შემოღება არ არის უმიზეზო, მექანიკური მოვლენა მათში უკან ცხოვრებაში, ის ჰეგლისხმობს მტკიცე ეკონომიურ ბაზას, რომელზედაც შესაძლებელია მრავალტომოვანი ეროვნებაში ერთი ძლიერი ჰეგემონი-ტომის და ამ ტომში მბრძანებელი კლასის ხელმძღვანელობით ჯეროვანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შექმნა, აღმოცენება ცხოვრების კულტურული ფორმებისა და მოთხოვნილებებისა. უძველეს დროს, როდესაც ქართველთა სხვადასხვა ტომები ისტორიული საქართველოს საზღვრებიდან ჯერ კიდევ მოშორებით ცხოვრობდნენ, მათში კიდევ არ იყო აღნიშნული პირობები ანბანის შემოღებისა და მწიგნობრობის გაჩენისა. აქ ეს ტომები ცხოვრობდნენ დაქსაქსულად, მათში არ იყო შეგნება ტომობრივი ნათესაობისა და სოლიდარობისა, ტომები დაქუცმაცებული იყვნენ ცალკე გვარებად, ასე რომ, თუ ასურულ წყაროებს დავეჯერებთ, მუშაკების ტომს ერთსადამიანე დროს ჰყოლია ხუთი მეფე (იგულისხმება ალბათ გვირის მეთაურები), ხოლო ტუბალისას ოცდაოთხი (ტიგლატნილასარისა და სალმანასარ II-ის წარწერები). მართალი მოგახსენოთ, გაზვიადებულად მეტყვნება ის სურათი ჩვენი წინაპარი ტომების „განვითარებული და წარმატებული მოქალაქეობისა“ და ცხოვრებისა, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი მეცნიერი ხედავს იმ უშორეს, პრეისტორიულ ხანაში. ყოველ შემთხვევაში ის ცნობები, რომელიც დღესდღეობით მეცნიერების განკარგულებაშია, ასეთი სურათის დახატვის შესაძლებლობას არ იძლევა. საკმარისია გადიკოთხოთ ეზეკიელის წიგნი, (მას იბოწმებს ივ. ჯავ-ლი), რომელიც დაწერილია მეექვსე საუკუნის უკანასკნელ წლებში ქრ. წინ ჩვენი წინაპრების მახლობლად, ქალდეაში, რომ გაითვალისწინოთ, რას წარმოადგენდნენ ამ დროს ყველაზე უფრო დაწინაურებული ქართველი ტომები მოსახი და თობელი (თუ ისინი მართლა ქართველი ტომებია). აქ ისინი გამოყვანილნი არიან როგორც საშინელი, უღმობელი პარაპროზები, „მიმცემლნი შიშა მათსა ქვეყანასა ზედა ცხოვრებისასა“ (XXXII, 26), რომელიც „ვაჰრობდეს სულესა კაცთასა“ (XXVII, 13); ისინი „შვილებისა, ჩაფხუტებისა და ფარებისა მჭონებელნი“, თავს ესხმოდნენ, ვითარცა „წივი და ნიავექარი“, მშვიდობით, მყუდროებით და დაწინაურებით მცხოვრებ ერს, რომელიც მეთრნეობასა და ვაჰრობას ეწევა, ცარცვა-გლეჯისა და იავარყოფის მიზნით (XXXVII, 4, 9, 11, 12). შევიწროებულნი ძლიერი ერებისგან, როგორცაა ასურელები, კიმერიელები, სპარსები, შემდგომში სომხები და რომაელები, ქართველი ტომები თანდათან სტოვებენ თავიანთ ძველს „სამშობლოს და მოიწივენ ჩრდილეთისაკენ, ასე რომ, სანამ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე შემოდგამდნენ ფეხს, მათი ცხოვრება, საუკუნეთა განმავლობაში, წარმოადგენს განუწყვეტელს ცვლას ბინადრობისას და მასთან დაკავშირებულს ბრძოლას ბუნებასთან, მტრებთან და ერთმანეთთან. ამ მოგზაურობისა და ბრძოლის დროს ისინი თანდათან კინდებოდნენ ტერიტორიალურად, ეკონომიურად და კულტურულად, ასე რომ, ბერძნული წყაროების მიხედვით, ისინი ცხოვრობენ მეჯოგეობით, ნადირობით,

ტყის მეფუტკრეობით, არაიშვიათად მეკობრეობითაც და პირველ საუკუნეშიაც კი ქრ. წინ კაცობრიობის განვითარების პირველს, სავაჭრო-საეკონომიკურ წესწყობილების, საფეხურზე იმყოფებიან (სტრაბონი). საქართველოს ტერიტორიაზედაც ისინი მოსულან არა ერთად, ერთსადაიმავე დროს, არამედ ცხელ-სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მხრით და სხვადასხვა პირობებში. ცხადია, ასეთს პირობებში, სანამ, ახალ სამშობლოში დამკვიდრების შემდეგ, ამ ტომებში ცხოვრების ცენტრად თუ ბეგრად კულტურული ფორმები არ აღმოცენდებოდა და სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ჩანასახი არ გამოჩნდებოდა, მწიგნობრობა ვერ შეიქნებოდა. ასე რომ ქართველ ტომებში ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისათვის საქართველო პირობები ყოველ შემთხვევაში ქრისტიანულ ეპოქამდე კიდევ არ არსებობდა. მე მგონია, ასეთი პირობები არ არსებობდა ჩვენში ქრისტეს შემდეგაც მეთებე საუკუნის ნახევრამდე, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში ორი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი მოხდა. საქმე ისაა, რომ ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისათვის ნიადაგი შეიქმნა მხოლოდ მას შემოგ, რაც აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა პოლიტიკური გაერთიანება ორი უმნიშვნელოვანესი ქართველი ტომისა, საკუთრივ იბერიისა და ქართლ-გუგარქისა, რასაც ადგილი ჰქონდა 349 წელს ქრ. შემდეგ; ხოლო გამოწვეული იყო უშუალოდ ეს ფაქტი (ანბანისა და მწიგნობრობის შემოღება) იმ კულტურული ნაკადით, რომელიც ქრისტიანობის სახით, დასავლეთიდან, როზიდანა და ბიზანტიიდან, აღმოსავლეთის გზით, *via syriaca et armeniaca*, შემოიჭრა და დამკვიდრდა ამ ახლად-გაერთიანებულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, დაახლოებით 355—6 წლებში (ამის შესახებ იხ. ჩემი-ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები „მიმოხილველი“ I, 1—53).

აქედან, მაშასადამე, ჩვენ ვერ შევიწყნარებთ ვერც მატინის ცნობას ფარნავაზ მეფის შესახებ, რომელმაც ვითომცდა „შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქართ. ცხოვრ. მარიაშისა, გვ. 22) ვერც იმ მოსაზრებებს, რომლითაც სურთ დაამტკიცონ, რომ ქართული მწერლობა არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოღებამდე ჩვენში. ამბობენ, რომ, როდესაც მირიანმა მოისმინა ნინოს მოძღვრება, მან მოიწვია ურია—ყოფილი აბიითარი და იწყო გამოძიება ქრისტეს სჯულისა „ძველთა და ახალთა წიგნთაგან“. მეფეს ჰქონდა „წიგნიცა ნებროთისი“, რომელშიაც ცნობები იყო მაცხოვრის შესახებ. მეფე დარწმუნდა, რომ ნინოს მოძღვრებას „ძველნი წიგნნი და ახალნი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა“ (ქართ. ცხოვრ. მარიაშისა, გვ. 86—87). უფრო კი ხაზს უსვამენ შემდეგს გარემოებას: ნინოს ბიოგრაფიის და თავდადასავლის ჩასაწერად, მისი აღსრულების ვაჟს, როგორც ნათქვამია მის „ცხოვრებაში“, „მოიხუნეს საწერელნი სალომე უფარმელმან და სიენიელმან პეროქაერი, და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს“ (Описание II 734—735). მოყვანილი ცნობებიდანაა სჩანს, თითქოს ქრისტიანობის მიღებისას ჩვენში უკვე გაჩაღებული ყოფილა მწერლობა, რომ ჩვენ მაშინ გვექონია „ძველი და ახალი წიგნები“ და „ნებროთის წიგნიც“ (И. Окромчидзе, Об изобретении грузин. алфавита, Труды V археол. с'езда в Тифлисе, стр.

22წ. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა I, 1—431. რა გვეთქმის აქაა ამის შესახებ? ცნობა, ვითომც ფარნავაზმა „შექნა მწიგნობრ-ბა ქართული“, გუთენის მე-XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველს და მტკიცედ დასტოვდა იმას არ იცნობს. სურათი ფარნავაზის დროის საქართველოში, რომელიც დაუხატავს ლეონტი მროველს, უფრო ფანტაზიის ნაყოფია, ვიდრე ისტორიული სინამდვილისა. საექო და ლეგენდარულია თვით ფარნავაზ იეფის არსებობა და პიროვნება (H. Март, Боги являющейся Грузии, стр. 5—6), მას „რელიური პიროვნების თვისებები აქლია“ (ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია I, 135); რაც შეეხება „ძველსა და ახალს წიგნებს“, ესეც ლეონტი მროველის ცნობაა, იმიდან მხოლოდ იმას ვგებულობთ, რომ აბიათარს, ურასს, ჰქონია რაღაც წიგნები (აღბათ ებრაული ბიბლია). „ნებროთის წიგნის“ შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ეს ცნობაც ლეონტისაა, მის დრომდე ასეთი ცნობა არ არსებობდა, თან ის იყო „სპარსთა წიგნი“ და არა ქართული. რაც შეეხება, დასასრულ ნინოს ბიოგრაფიას, მისი ცნობების სიყალბე და ლეგენდარობა, კერძოდ ზემომოყვანილი ადგილისა, სადაც ლაპარაკია ნინოს თავკადასავლის ჩაწერის შესახებ, დიდხანია გამორკვეულია (ი. ჯავახიშვილი, ქურნალი „მოამბე“ 1900. V, VI).

ამნაირად, ყოველივე ცდა დამტკიცებულ იქნეს მწერლობის არსებობა საქართველოში ქრისტიანობის შემოღებამდე უშედეგოდ უნდა ჩაითვალოს. ცნობილია, რომ I—IV საუკუნეებში ქრ. შემდეგ ქართველებს კავშირი ჰქონდათ რომაურ საქართველოში, კერძოდ მცხეთაში, მცხოვრებ ებრაელებთან, ისე რომის კულტურულ-პოლიტიკურ სფეროებთან, ამ კავშირის მაჩვენებელია, სხვათა შორის მცხეთაში ნაპოვნი ებრაული და 75 წლის ბერძნული წარწერები, ამას მაჩვენებელია ის უამრავი რომაულ-ბერძნული ფულები, რომელთაც კაოლებენ დღეს ჩვენში საფლავებში. რით ავსნათ, რომ ამ დროიდან არც დედამიწის ზედაპირზე დარჩა რაიმე ქართული წარწერა, არც მის წიაღში აღმოჩნდა თუ გინდ ერთი ფული მაინც ქართული წარწერით? იმით, რომ I—IV საუკუნეებში ქართული დამწერლობა ჯერ კიდევ არ არსებობდა. ს. კაკაბაძე გვარწმუნებს, რომ მან აღმოაჩინა, თუ უფრო ადრინდელი არა, ყოველ შემთხვევაში მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის დამწერლობის ძველი მაინც. მისი სიტყვით, ნინო-წმიდის გელესიის კედელზე ამოჭრილს უცნობსა და გაურკვეველს სამსტიქონიან „წარწერაში“ ჩვენ გვაქვს ნაშთი არამეულ-ფაქალურ ხიდადაზე წარმოშობილი ქართული ანბან-სა, რომელიც მეხუთე საუკუნის პირველ მესამედში შეესო მასტოკის შკოლის მიმდევარმა ქართველმა მეცნიერმა ჯავამ ხმოვანი ასოებით და ქართულისათვის დამახასიათებელ თანხმოვანებითა (საისტორიო ძიებანი, გვ. 82—83, საისტორიო კრებული I, 147—148, ტფილისი 1928 წ.). ყველაფერი ეს გაუგებრობაზეა აშენებული და ნაკარნახევია სურვილით დამტკიცებულ იქნეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ვწერდით ისტორიულ ძეგლებებს, მეოთხე საუკუნეში, 360—380 წლებში, ისეთი თბულუბაც კი დავიწერია, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ -ს პირველი ნაწილი (იხ. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ამის შესახებ „მიმოახილველში“ I, 272—5). პირველ ყოვე-

ლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ ისიც კი არაა გამოკვლეული, რა „წინაწერაა“ ნინოწმიდის წარწერა: ქართულია ის, ბერძნული თუ ალბანური (ამტკიცებენ იმასაც, რომ ის ალბანურია); მეორე—1924 წელს ს. კაკაბაძემ მწიგნობრის ასე ჰქოთხულობდა: „ღმერთო შეგწვი იოანე იაყუბ მთავარ-გმირ-ქაზის“ (საისტორიო ძიებანი, გვ. 82), ოთხი წლის შემდეგ კი, 1928 წელს, ის მას ასე ჰქოთხულობს: „ლო წ ჯოარ ყზ მთჳყოფოს ზლე—ღმერთო წმინდაო ჯუარო იაყუბ მთავარ-გმირ-ქოპოსი შეიწყალე“ (Биulletень Кавказ. историко-археолог. Института № 4, стр. 6—7, Тифл. 1928). აქ იმდენად ის კი არაა გასაკვირი, რომ ოთხი წლის განმავლობაში ამ უცნაური წარწერის შინაარსი ასე უცნაურად შეიცვალა, რამდენადაც შემდეგი გარემოება: საიდან გაჩნდა მეოთხე საუკუნის წარწერაში ხმოვანები (ო, ა, ე) და ქართულისათვის დამახასიათებელი თანხმოვანები (ღ, წ, ჯ, ყ) თუ ისინი მხოლოდ მეხუთე საუკუნის პირველ მესამედში შემოიღო ჯაყიმ? ზესავე—ნინოწმიდის ტაძარი, სპეციალისტის გამოკვლივით, აგებულია დაახლოებით მეექვსე საუკუნის ნახევარში (პროფ. გ. ჩუბინი შვილი, რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, გვ. 107), მაშასადამე მის კედელზე ამოჭრილი „წარწერა“ ამაზე აღრინდელი არ შეიძლება იყოს.

4

ქართველებს რომ არამც თუ გაქრისტიანებამდე, ამის შემდეგაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მეოთხე საუკუნეში, მწერლობა არ ჰქონიათ, და არამც თუ ქართველებს, მათ მეზობელ სომხებსაც კი, ეს ნათლად ჩანს, სხვათა შორის, იოანე ოქროპირის ორი ქადაგებიდან. ერთი მათგანი წარმოთქმულია 391 წელს ანტიოქიაში თემაზე: „პირველითგან იყო სიტყვა“; ამ ქადაგებაში, რომელშიაც ავტორი, სხვათა შორის, ქრისტიანულ მოძღვრებას წარმართთა ფილოსოფიის აღარებს, ნათქვამია: „მაგრამ ასეთი არაა ამ უბრალო და არამწიგნობარი (αρχα μαχτα) კაცის მოძღვრება; პირიქით ასურთა და მეგვიპტელთა, ჰინდოთა და სპარსთა, ეთიოპელთა და სხვათა მრავალთა უფუნურთა ერთა ისწავეს ს.ბ.ბ.ნის მეტყველებად, სთარგმანეს რა თვისსა ენასა გადმოცემული მათდა მოძღვრება“ (Migne PG, t. 59, col. 32). მეორე ქადაგება იოანეს წარმოთქვამს კონსტანტინოპოლში 398—9 წელს, როდესაც გუთებმა პირველად წაიკიბოთხეს თავის ენაზე საღმრთო წერილი პავლე მოციქულის ეკლესიაში; ამ შემთხვევის გამო იოანე ამბობს: „სადღაა მოძღვრება პლატონისა, პითაგორასი და მკვიდრთა ათინისათა? დაშრტა! სადა არს მოძღვრება მეთევზურთა და მეკარვეთა? არა მარტო ურთისტანში, არამედ ენასა ზედა უცხოთა, ვითარცა გესმა დღეს თქვენ, ის ბრწყინაუეს უაღრეს მზისა; სკვიონი, თრაკიელნი, საფრომატნი, მაკრნი, ჰინდონი და სხვანი, კიდეთა მსოფლიოსათა დამკვიდრებულნი, ყველანი სიბრძნისმეტყველებენ, სთარგმნეს რა თვისსა ენასა იგივე სიტყვანი“ (Migne PG. t. 63 col. 501).

როგორც ვხედავთ, იოანე ოქროპირს ჩამოუთვლია ყველა გაქრისტიანებული, ბერძნული ტერმინოლოგია რომ ვინმართთ, „მარბაროსები“, რომელთაც საღმრთო წერილი ჰქონდათ თავიანთ ენაზე, და აქ ხსენებაც კი არაა არც ქართ-

ველების და არც სომხების. ყოველ ექვს გარეშეა, ქართველებსა და სომხებს რომ მეოთხე საუკუნის გასულს (391—399 წ.) თავის ენაზე მწერლობა ჰქონდათ, ოქროპირი მათაც მოიხსენებდა სპარსთა და ასურებთან ერთად. *„ქართული ენის წიგნი“* (ქართული ენის ენციკლოპედია, რომელიც მე წინადაც მქონდა აღნიშნული *„ქართული ენის წიგნი“* ლიტერატურის ისტორია I, 25—26), კათეგორიულად უარყო და განაცხადა: „იოანე ოქროპირის ქადაგების ერთი თვალის გადავლება საქმარისია, რომ ადამიანი დააწინდეს, რომ აქ ჩვენ რიტორულ ენაწყლიანობასთან გვაქვს საქმე და არა ცხოვრების უტყუარ და რეალურ გამოხატულებასთან. იოანე ოქროპირის სკვითები და საერომატებიც კი ქრისტიანული მწერლობის მქონებელ ერებად ჰყავს დასახელებული. ცნობილია, რომ სკვითები და საერომატები დიდხანია, ქრისტეს წინ მეოთხე საუკუნეზე უწინარეს, ბერძენი და რომაელი მწერლებსათვის, რეალურ ერთეულს აღარ წარმოადგენდენ და მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ ნამდვილი წარმოდგენა აღარა ჰქონდათ. იმავე დროს ელინურ-რომაულ მწერლობაში სკვითებისა და საერომატების ყოფა-ცხოვრების იდეალიზაცია ფუფუნებითა და კულტურული ცხოვრებით თავის დროის დაძაბუნებული და გარყვნილი თანამემამულეების ზნეობრივად და პოლიტიკურად „მოსარჯულელად“ ჰქონდათ გამოყენებული. ცხადია, ქრისტეს შემდეგ მეოთხე საუკუნის დასასრულის ისეთ ცნობას, რომელშიაც სკვითები და საერომატები ქრისტიანული მწერლობის მქონებელ ერებად არიან გასაღებულნი, მკვლევარი ვერ გამოიყენებს“ (ქართული პალეოგრაფია, გვ. 191). მე მესმის, რომ ბერძენებისა და რომაელების „მოსარჯულელად“, ანუ მათი ცხოვრების ნაკლთა სამხილებლად მიეპართათ სკვითთა და საერომატთა სოციალურისა და პოლიტიკური ცხოვრების იდეალიზაციისათვის, მაგრამ არაეის თავში არ მოუვიდოდა, მით უმეტეს იოანე ოქროპირის, მათ „მოსარჯულელად“ და სამხილებლად ხაზი გაესვა იმ ფაქტისათვის, რომ სკვითებსა და საერომატებს მწერლობა ჰქონდათ, ეს რაღაც გაუგებარი და ლოლიკურად დაუჯერებელი რამეა. ამასთან უნდა შევნიშნო, რომ პროფ. მ. როსტოვეცივი, რომლის გამოკვლევაზე მიგვიითიბებს ამ შემთხვევაში ივ. ჯავახიშვილი, არსად არ ამბობს, რომ ამ „იდეალიზაციას“ ბიზანტიურ პერიოდშიც ჰქონდა ადგილი, პირიქით, „იდეალური სკვითების“ არსებობას ის აგრძელებს მხოლოდ ანტიურ ეპოქის ბოლომდე (Скифия и Боспор, стр. 6) და ყოველ შემთხვევაში რომაული ეპოქის მეორე ნახევარშიც არ გადმოაქვს ის, არამც თუ ბიზანტიურში. ასე რომ თქმა იმისა, თითქოს სკვითები და საერომატები IV—V საუკუნეში, იოანე ოქროპირის ეპოქაში, „რეალურ ერთეულს“ არ წარმოადგენდენ, სრულ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. საქმარისია მოვიგონოთ, რომ საერომატებს იხსენიებს ევსევი კესარიელი Vita Constantini-ში (IV, 5, 6); სოკრატეს სიტყვით (Hist. ecclesiast. I, 18), საერომატები თავს ესბოდენ ხოლმე იმპერიის საზღვრებს, ამიტომ კონსტანტინე დიდმა სასტიკად დაამარცხა და ქრისტიანობის მიღებისაკენ წარმართა ისინი. მეოთხე საუკუნის გასულისათვის კირილე იერუსალიმელი საერომატებს იხსენიებს იმ ერთა შორის, რომელთაც მის დროს ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები, ერთი სიტყვით—დასრულებული საეკლესიო იერარქია, ჰყავდათ (Migne, PG, t. 33, col. 249). სკვი-

თები? შეიძლება ისინი, როგორც საერომატებიც, ყოველთვის არ წარმოადგენდნენ გარკვეულ ენოზგრაფიულ ერთეულს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი საეკლესიო „ერთეულს“ რეალურად არ წარმოადგენდნენ. მაგნიუსის ეპარქია, რომლის დედაქალაქად ტომი (Tó τ) ითვლებოდა, მდებარეობდა მდინარე დუნაის შესართავთან (Sozomeni—Hist. eccles. VI, 21) და იჭრებოდა დღევანდელი ბესარაბიისა და სამხრეთ რუსეთის საზღვრებში. ისტორია აღნიშნავს, რომ იოანე ოქროპირმა *παρα τῆς ἑσπερίας* მცხოვრებ სკეითებს სამღვდელთა გაუგზავნა (Theodoret, Hist. eccles. V, 31), მის დროს სკეითთა ეპარქიის ეპისკოპოსად იყო ბერძნულად განსწავლული თეოტიმე სკეითი (Sozomeni, Hist. eccles. VII, 26, შეად. Socrat, Hist. eccles. VI, 12), ხოლო უფრო ადრე, მესამე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, დეოკლიტიანეს დევნულობის დროს, ვენჯელიკე; მეექვსე საუკუნის ნახევრამდე ცნობილია სკეითთა ეპარქიის 12 ეპისკოპოსი (Le-Quien, Oriens Christian. I, 1212—1216). განა ყველა ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მეოთხე საუკუნეში, იოანე ოქროპირის დროს, სკეითები და საერომატები „რეალურ ერთეულს“ არ წარმოადგენდნენ? მაგრამ, ამასაც რომ თავი დაეანებოთ, განავრცობს ივ. ჯავ—ლი, „განა იოანე ოქროპირი ვალდებული იყო ქრისტიანული მწერლობის მქონებელ ერთა შორის უკვე აღად ქართველები და სომხებიც მოეხსენებინა?.. მას ხომ გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ იმ ერთა გარდა, რომელნიც სახელდობრივ ჩამოთვლილი ჰყავს, კიდევ სხვანი, კიდეთა ქვეყანისათა დამკვიდრებულნი, ქრისტიანული მწერლობის მქონებულნი იყვნენ და სხვათა მრავალთა უგუნურთა იწყეს დიდებისმეტყველებაჲ“ (გვ. 191—192). თუ მხედველობაში გვეჭებება იოანე ოქროპირის დასახელებულ ქვადაგებათა ხასიათი, რომ ისინი წარმოადგენენ მართლაც რიტორულ ენაწყოიანობას და მიზნად ისახევენ შეგვანებებინონ სიდიადე ქრისტიანული მოძღვრებისა, რომელიც შორეულ „უგუნურ“ ერებსაც კი ითრევს თავის ქსელში,—გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ოქროპირი მართლაც რომ „ვალდებული“ იყო დაესახელებია, სხვებთან ერთად, სომხებიცა და ქართველებიც, თუ ის, რასაკვირველია, მათ იცნობდა. ეს უკანასკნელი კი უცილობელია: იოანე ოქროპირი ძალიან ხშირად ლაპარაკობს თავის ეპისტოლეებში სომხების შესახებ, მან მათ წინადადებითაც კი მიმართა შობისა და ნათლისღების ერთად დღესასწაულობის გამო, მაგრამ ეს წინადადება სომხებმა, როგორც პატრიარქ ატიკე სწერს კათოლიკოსს სპაქს (მოსე ხორენელი III, 57), უყურადღებოდ დასტოვეს. რაც შეეხება ქართველებს, ოქროპირი, უცქეელია, იშვიათად იცნობდა; სხვა რომ არა იყოს რა, იმ ბაკურს, რომელმაც ბიზანტიელებს მიუთხრა იმერთა მოქცევის ამბავი, მეგობრული განწყობილება ჰქონია ოქროპირის მასწავლებელთან, ანტიოქიის რიტორ ლიბანიოსთან. სწორედ 391 წელს, როდესაც იოანე ოქროპირი ზემოამოწერილი სიტყვებით აღევლებდა ანტიოქელებს, ბაკური ანტიოქიაში მისულა თავის მეგობარ ლიბანიოსთან და მისთვის თავისი განსაკუთრებული და საგანგებო პატივისცემა გამოუმლოაგნებია (Libani, Epist. 963, 964), ლიბანიოსი, ექვს გარეშეა, მას როგორც ქრისტიანს, ვააცნობდა თავის საამაყო მოწაფეს იოანესაც; ესეც რომ

არ იყოს, მისვლა ანტოქიაში ყოველი მეფისა, რომელიც მოწამე და თანამედროვე იყო მთელი ერის მოქცევისა, ოქროპირს ვერ გამოეპარებოდა, განსაკუთრებით—თუ ოდნავდაც მაინც საბუთი აქვს ცნობებს ახლადმოქცეული იბერიის ანტიოქიასთან დამოკიდებულების შესახებ. თუ თავისი მიზნის მიხედვით, იოანე ოქროპირი ისეთ ერებსაც კი ასახელებს, რომელნიც თითქოს „რეალურ ერთეულს“ არ წარმოადგენდენ და რომელთაც ყველას, შეიძლება, არც კი ჰქონდათ ქრისტიანული მწერლობა, როგორ არ ისარგებლებდა ის ნამდვილი ფაქტით და არა „სახელდობრივ“, არამედ ზოგადი ფრაზით „სხვანი, მრავალნი“ აღნიშნავდა მისთვის ცნობილ, „რეალურად“ არსებულ სომხებსა და ქართველებს, თუ უკანასკნელთ მართლაც ჰქონდათ თავიანთ ენაზე ქრისტიანული მწერლობა? აი როგორ უნდა მიეუღდგეთ ჩვენ იოანე ოქროპირის სიტყვებს და როგორ უნდა შევაფასოთ ისინი ჩვენი პრობლემის გარკვევისას!

5

როგორც ზემოთქვლიდანა ჩანს, მეოთხე საუკუნის გასულს ქართველებს მწერლობა ჯერ კიდევ არ ჰქონიათ; ის მხოლოდ მეხუთე საუკუნეში დაწყებულა აქ. ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ჩვენ სომეხთა ისტორიკოსები კორიუნნი და მოსე ხორენელი; ამ ცნობებით ქართული ანბანის შემოღება დაკავშირებულია სომხური ანბანის შემოშვების მანტრის ან მესროპის სახელთან და ეპოქასთან. კორიუნი მესროპის ვრცელს ბიოგრაფიაში (1833 წლის გამოცემა) გადმოგვცემს დაახლოებით შემდეგს: „სომხური ანბანის გამოგონების შემდეგ მესროპი გაემგზავრა იბერიაში, წარუღა ამ ქვეყნის მეფეს ბაკურს და ეპისკოპოსს მოსეს და მათი თანხმობით ქართველებს შექმნა ანბანი. ამის შემდეგ მეფემ უბრძანა ეროს, ქართული ენის მცოდნე კაცს, ჯალის, შეეკრება ბავშვები სავადასხვა კლთხეებიდან, სადაც სხვადასხვა კოლოკეს ლაპარაკობდენ, და ესწავლებია მისთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა იწყეს ლეთის დიდება. შემდეგ მესროპი გაემგზავრება ალბანეთს, სადაც იგონებს ალბანურ ანბანს და უკანმობრუნებული იბერიის ტახტზე ჰპოულობს ახალ მეფეს არჩილს (არკიუხ), რომელიც დიდის გულმოდგინებით აერცვლებდა ახლადშექმნილ ანბანსო.“¹⁾ მოსე ხორენელი თავისი ისტორიის მესამე წიგნის 54 და 60 თავში ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „არკადი კეისრის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი თეოდოსი მცირე, რომელმაც კეთილი განწყობილება დაამყარა სომეხთისა და სპარსეთის მეფეებთან; ამ დროს დაბრუნდა მესროპი მის მიერ მოგანილი ანბანით და დაიწყო ბავშვების წვრთნა... მერე ის წარემართა იბერთა ქვეყანას, რომელთაც, ლეთის მადლით და ბერძნულისა და სომხურისაგან მთარგმნელის ჯალის დახმარებით, მოუწყა ანბანი; ამ საქმეში მას შეელოდნ მეფე ბაკური და ეპისკოპოსი მოსე. იბერიიდან მესროპი გაემგზავრება ალბანეთს, სადაც იგონებს ანბანს გარგარაკთათვის, და ბრუნდება სამშობლოში. გავიდა რამდენიმე ხანი, მესროპი მიდას ბიზანტიაში, იქიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობს უდაბნოში, მერე მიმოივლის ზემოსომხე-

¹⁾ შემოკლებული რედაქცია ამ თქმულებისა, გამოცემული 1854 წელს, იხ. Langlois, Collect. des histor. Paris 1869, II, 10.

თის პროვინციებს და გადადის სამისიონერო მიზნით გარდაბანში, აქედან გუგარქის ბღეზხის არშუშას თხოვნით მიდის ტაშირს, სადაც მან დამოძღვრა მცხოვრებნი; ამ დროს იბერიაში მეფობდა ვინმე არჩილი, მცხოვრებელი, სომეხთა ისტორიკოსები აზივადებდნენ მესროპის როლს ქართული ანბანის შემოღებაში, მათი გადმოცემით ინიციატივა ამ საქმეში თითქოს მესროპს ეკუთვნის, მაგრამ მონაწილეობა ექვს გარეშეა. 412 წელს მესროპის ხელმძღვანელობით საბოლოოდ ჩამოყალიბდა სომხური ანბანი (გაზეთი „ორიზონი“ 1913 №№ 121-122), რამაც სომხური მწიგნობრობა და კულტურული წარმატება მტკიცე გზაზე დააყენა. უეჭველია, ეს მოვლენა მეზობელ ქართველებს, რომელთა შორის ქრისტიანობას ნახევარ საუკუნეზე მეტი ისტორია ჰქონდა ამ დროს, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ და ის იმათშიაც გამოიწვევდა შესაფერ სურვილს. როგორც სომეხთა ისტორიკოსების ცნობებიდანა ჩანს, ამის გამო იბერიაში, მეფისა და ეკლესიის მეთაურის ინიციატივით, შემდგარა თავისებური კომისია, რომელშიაც შედიოდა, სხვათა შორის, ვილაც ჯალი, ბერძნულისა და სომხური ენების მკოდნე და ამ ენებიდან, საფიქრებელია, მთარგმნელი. ამ კომისიაში, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხაპროთ, ინსტრუქტორად გამოუწვევიათ მეზობელი სომხეთიდან, რომელთანაც იბერიას ამ დროს მტკიცე ეკლესიურ-კულტურული კავშირი ჰქონდა, ანბანის შედგენაში დახელონებული კაცი-მესროპი. ანაირად, მესროპი ამ კომისიაში თამაშობდა მრჩეველის და არა ინიციატორის როლს; მაშასადამე, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ანბანი შექმნა, მოიგონა თუ მოაწყო მხოლოდ და მხოლოდ მესროპმა და ისიც სომხური ანბანის მიხედვით, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს. სომხური ანბანის პროტოტიპობაზე სომეხთა ისტორიკოსებიც არას ამბობენ, ისინი მხოლოდ აღნიშნავენ მესროპის ინიციატიურ მონაწილეობას ამ საქმეში; პროტოტიპად, როგორც ზემონათქვამიდანა ჩანს, კომისიას ჰქონია ბერძნული ანბანი, რომლის რაღაც ზეგავლენა მესროპსაც განუცდია სომხური ანბანის ჩამოყალიბებისას; მაგრამ ამასთანავე, უეჭველია, კომისიას, რომელშიაც, მესროპის გარდა, სომხური ენის მკოდნე ჯალიც შედიოდა, წინ ექნებოდა სომხური ანბანიც საკირო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ; ეს სრულიად ბუნებრივია და სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ამით აიხსნება, რომ ზოგიერთი ასოები, როგორც, მაგალითად, ასომთავრული შ, ძ, ც, ზ, ხ¹⁾, მოყვანილობით უახლოვდებიან შესატყვისის სომხურ ასოებს (იხ. შედარებითი ცხრილი). მესროპის მონაწილეობას ქართული ანბანის შემქნელ კომისიაში პროფ. ი. ჯავახიშვილი არ იზიარებს; „კორინთის ნაწარმოების კრიტიკულმა შესწავლამ“, ამბობს ის, „ცხადად დამარწმუნა, რომ აღნიშნული ცნობა მისი თხზულების თავდაპირველ რედაქციაში არ ყოფილა და მერმინდელი ჩანართთა, ლაზარე ფარპელს ჯერ კიდევ უამცნობოდ ჰქონია წაკითხული მისი ნაშრომი“-ო (ქართული პალეოგრაფი-

¹⁾ დანარჩენ ასოთაგან: „შ“ არის მობრუნებული ქართული „ს“ ზემოთ მარცხნივ ნაწილის მიმატებით; „ჩ“ წარმომდგარია მობრუნებული ქართული „შ“-საგან; „წ“ — „ჩ“-ისაგან, „ძ“ წარმომდგარია ქართული „შ“-საგან, „ხ“ — „ხ“-ანისაგან. გაურკვეველია „მ“-ანის წარმოშობა (იხ. თანდართული შედარებითი ცხრილი).



ფია, გვ. 192). ნებას მივსცემ ჩვენს თავს შეენიშნო, რომ ლაზარე ფარაქლი, რომელიც კორიუნის შრომითაც სარგებლობდა თავისი ისტორიის, დღეგრძელის, ვალდებული არ იყო მთლიანად გადმოეწერა თავისი წყარო და მისი წყაროებიც ცნობებიც გადმოელო, რაც მისი მიზნისათვის საჭირო არ იყო, ამიტომ, თუ მის ისტორიაში ქართული ანბანის შეპოლების შესახებ ცნობა არ მოიპოვება, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ის კორიუნის სპეციალურ შრომითაც არ იყო. დაუშვათ, რომ კორიუნის შრომაში მართლაც არ ყოფილა თავდაპირველად ეს ცნობა, სამაგიეროდ მისი გამოძახილი გვესმის მეშვადე საუკუნის დამდეგს აბრაამ კათოლიკოსის შესამე ეპისტოლეში, რომელშიაც ის ქართლის კათოლიკოსს კირიონს აგონებს მ ა შ ტ ო ც ი ს სახელსა და „წიგნთა გაცნობის“ მნიშვნელობას (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 180-1). ჩანს, ეს ცნობა მეშვიდე საუკუნეზე გაცილებით ადრე ყოფილა სომხურს მწერლობაში გახმტკცებული და, თუ კორიუნიდან არა, რაღაც სხვა წყაროებიდან მომდინარეობდა; ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს უფრო ცნობას, ვიდრე იმას, კორიუნიდან მომდინარეობს ის უშუალოდ, თუ სხვა წყაროდან.

(დასასრული იქნება)

მონოპოლისტური კაპიტალიზმი

I. კაპიტალისტური მონოპოლიების ეკონომიკა

კაპიტალისტურ განვითარების უმაღლეს და, მაშასადამე, უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენს თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ეს არის კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვა და მისი ევოლუციის დასასრული. მონოპოლისტური კაპიტალიზმით თავდება კაპიტალისტური წარმოების ისტორია და ისტორიული აუცილებლობით ისმება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარების საკითხი. კაპიტალიზმის ძლევამოსილმა შედეგებმა მიიღწია განვითარების მონოპოლისტურ საფეხურს. კაპიტალიზმი ჩამოყალიბდა სრულებით ახალ კალაპოტში. მისი შენდგომი განვითარების შესაძლებლობა რკინის სალტყებით შეიქრა. კაპიტალისტური ევოლუციის გზაზე „მძიმე გვარი“ აღიმართა და, ჰეგელის ენაზე რომ ვსთქვათ, კაპიტალიზმის განვითარების ლოლიკამ კარგა ხანია დაუწყა ღრღნი საკუთარ კულს.

კ. მარქსის საკაცობრიო დამსახურება, სხვათა შორის, იმაში გამოიხატება, რომ მან პირველად აღმოაჩინა და გამოააშკარავა კაპიტალისტური დაჯგოვების ისტორიული ტენდენცია. ეს ის ტენდენციაა, რომელმაც სასტიკი აუცილებლობით მიიყვანა საზოგადოებრივი განვითარება „კაპიტალიზმის უახლოეს ეტაპამდე“—თანამედროვე კაპიტალიზმის მონოპოლისტურ, მაშასადამე, იმპერიალისტურ საფეხურამდე.

„ნახევარი საუკუნის წინეთ—აღნიშნავს ლენინი,—როცა მარქსი სწერდა თავის „კაპიტალს“, თავისუფალი კონკურენცია „ბუნების კანონად“ მიაჩნდა ეკონომისტების უმრავლესობას, საბაზინო მცენიერება ცდილობდა სიჩუმის შეთქმულებით მოეკლა მარქსის ნაწარმოები, სადაც კაპიტალიზმის თეორეტიკული და ისტორიული ანალიზით იყო დამტკიცებული, რომ თავისუფალი კონკურენცია წარმოშობს წარმოების კონცენტრაციას, ხოლო ეს უკანასკნელი კი თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე—მონოპოლიას). და მარალაც, ვინც ოდნავ მაინც საღი თვალით გადახედავს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების უკანასკნელ პერიოდს, მარქსის ამ გენიალურ დებულებას სისწორეს აშკარათ დაინახავს, როგორც მსხვილ კაპიტალის საკუთარი ხელის გულზე.

¹) Ленин, Собр. соч. т. XIII, гл. 249. ხაზი ხევია.

თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენცია „თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე“ გადადის სრულებით საწინააღმდეგო ეკონომიურ მოვლენაში—ის იძლევა კაპიტალისტურ მონოპოლიას. კლასიკურ, სემიკლასიკურ კაპიტალიზმის წიაღიდან წარმოიშვება „კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი ფაზისი“—ფინანსიური კაპიტალიზმი. ასეთია კაპიტალისტური ევოლუციის ძირითადი საფეხურები, ამ ევოლუციის კანონი. მაშასადამე, თუ ჩვენი სურვილია, მონოპოლისტური კაპიტალიზმის წარმოშობა-განვითარების მთავარი მოქმედებები წარმოვიდგინოთ, უმკვილად შემდეგი სქემა უნდა დავსაზოთ: კაპიტალისტური კონკურენცია—წარმოების კონცენტრაცია — კაპიტალისტური მონოპოლია. ამ „ტრიადის“ შინაარსი მარტივია და გასაგები: კაპიტალისტური მეტოქეობა იწვევს წერილ წარმოებათა განადგურებას, უღონო კაპიტალის დანგრევას და ამ ნანგრევებზე უზარმაზარ კაპიტალისტურ წარმოების აშენებას. კაპიტალისტური კონკურენცია გზას უკაფავს კაპიტალის კონკურენციას—კაპიტალისტური წარმოების მსხვილ სამეურნეო ერთეულებში ჩამოყალიბებას.

აი როგორ გამოსთქვა კ. მარქსმა ეკონომიურ განვითარების ეს პროცესი: როგორც კი წარმოების კაპიტალისტურმა წესმა „საქმათ გახრწნა მთელი სიგრძე-სიღრმით ძველი საზოგადოება, მუშები უკვე გადაიქცენ პროლეტარებათ, ხოლო მათი შრომის პირობები—კაპიტალათ და წარმოებათ ეს წესი დადგა საკუთარ ფეხზე,—მაშინ შრომის შემდგომი განსაზოგადოებით, მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა საზოგადოებრივ ექსპლოატაციის და, მაშასადამე, წარმოების საშუალებათა საერთოდ გადაქცევით, ამასთან დაკავშირებულმა კერძო მესაკუთრეთა შემდგომმა ექსპროპრიაციამაც მიიღო ახალი ფორმა. ახლა ექსპროპრიაციის ემორჩილება არა დამოუკიდებლად მომქმედი მუშა, არამედ მრავალ მუშის მკვლეველი კაპიტალისტი. ეს ექსპროპრიაცია ხორციელდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმონენტური კანონით, კაპიტალის ცენტრალიზაციით. ერთი კაპიტალისტი კლავს მრავალს¹⁾. ამ რიგათ, კაპიტალიზმის განვითარება როდი ჩერდება მარტო წერილი მწარმოებელის ექსპროპრიაციაზე. მოვლენათა მსვლელობა უღმობელი ზდება თვით ექსპროპრიატორებისათვის. ერთი კაპიტალისტი ებრძვის მეორეს, ამ ბრძოლის მამოძრავებელია კაპიტალისტური კონკურენციის კანონი. ამ კანონმა არ იცის არც შეზღუდვა, არც შეჩერება, მით უმეტეს—უკან დახევა. მისი შედეგია მრავალ კაპიტალისტის განადგურება, გადატაცება, ანდა, როგორც ლაპარაკობს მარქსი, მათი „ინდივიდუალური დამოუკიდებლობის მოსპობა, კაპიტალისტის ექსპროპრიაცია კაპიტალისტის მიერ, მრავალ წერილ კაპიტალის მცირერიცხოვან მსხვილ კაპიტალათ გადაქცევა²⁾. კაპიტალის ცენტრალიზაცია არის კაპიტალიზმის განვითარების დამახასიათებელი თვისება, ამ განვითარების იმონენტური კანონი და „ისტორიული ტენდენციის“ გამოხატველი.

მაგრამ კაპიტალიზმის ევოლუციის საქმათ გრძელი ჯაჭვი არ წყდება აქ. წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია ღრმავდება, ფართოვდება

¹⁾ К. Маркс. Капитал, т. I, зб. 612.

²⁾ Ibid.

და კაპიტალისტურ მონოპოლიების წარმოშობაში პოულობს განვითარების და სრულბულ სახეს. კაპიტალისტურ წარმოების ცენტრალიზაციის შენაჩის თანამედროვე მონოპოლიების ფორმებში ეხვევა. მსოფლიო მწარმოებელთა კარგით მკოდნე ნ. ბუხარინი საკმაო სიცხადით და თეორეტიკულ არგუმენტაციით აღნიშნავს, როცა ამბობს: „კაპიტალისტურ მონოპოლიების წარმოშობა არის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ლოლიკური და ისტორიული გავრძელება. როგორც ფეოდალურ მონოპოლიის ძვლებიდან აღმოცენდა ხელოსანთა თავისუფალი კონკურენცია, რომელმაც მოგვეცა წარმოების საშუალებებზე კაპიტალისტების კლასის მონოპოლია, ისევე თავისუფალი კონკურენცია თვით კაპიტალისტების კლასის შიგნით უფრო და უფრო იზღუდება და წამოიშობა გიგანტიური მეურნეობა, რომელიც იპყრობს მთელ „ნაციონალურ“ ბაზარს¹⁾. ლენინი უფრო მოკლედ და სხარტად გამოსთქვამს ამავე დებულებას: კაპიტალისტური მონოპოლიის სათავე—ლენინის აზრით—არის წარმოების კონცენტრაცია: „მონოპოლიის წარმოშობა წარმოების კონცენტრაციით — სწერს ლენინი—არის საზოგადოთ კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე სტადიის საერთო და ძირითადი კანონი²⁾. იი სწორედ ეს „საერთო და ძირითადი კანონი“ შეადგენს კაპიტალისტურ მეურნეობის მამოძავებელ ძარღვს. ამ კანონის მოქმედებამ მიიყენა საზოგადოებრივი განვითარება თანამედროვე მონოპოლისტურ კაპიტალიზმის საფეხურამდე.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი ვითარდება თავბრუდამხვეველი სიჩქარით. რა არის წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, რა არის მათ შორის საერთო და განმასხვავებელი? ამ კითხვაზე მზათ აქვს მეცნიერული პასუხი მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას. კონცენტრაცია—ესაა ახალი კაპიტალების თავმოყრა, დაგროვება მოცემულ საწარმოო ერთეულში. ეს დაგროვება ხდება უმთავრესი საშუალებით—ზედმეტი ლირებულების კაპიტალიზაციით. ამ შემთხვევაში კაპიტალისტი ასე იქცევა: „მოგებას“, რომელსაც ის წარმოებიდან ღებულობს, ისევე წარმოებაში აბანდებს, წარმოების გაფართოებას ახმარს, კაპიტალათ იქცევის. ამ გზით ზედმეტი ლირებულება არ „იკარგება“ წარმოებისათვის, ის არ იქცევა პირადი სიამოვნების საგნად. ეს ზედმეტი ლირებულება თვით წარმოებაში რჩება, კაპიტალს ემატება. სხვა საქმეა ცენტრალიზაცია. წარმოების ცენტრალიზაციაჰეულისხმობს წარმოების კონცენტრაციას. სხვანაირად რომ ვსთქვათ, კონცენტრაციის კანონი—ზედმეტი ლირებულების კაპიტალიზაცია—ძალაში რჩება ცენტრალიზაციის მიმდინარეობაშიც, ე. ი. ცენტრალიზაციაჰენილ წარმოებაშიაც. წარმოების ცენტრალიზაციის დამახასიათებელი მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალიზაციის დროს ხდება ინდივიდუალურ, დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულების, ინდივიდუალურ

¹⁾ Н. Бухарин. Мировое хозяйство и империализм, зб. 54.

²⁾ Ленин, op. cit. გვ. 249—250. ნაზი ჩვენია.

წვილი კაპიტალების გაერთიანება, თავმოყრა, — ერთ, მაშასადამე მსხლ სამეურნეო ორგანიზმით გადაქცევა.

რა იწვევს კაპიტალის ამ მოძრაობას, რა გზით ერთიანდება მსხლად? — ლური, წვილი სამეურნეო ერთეულები? ამ მოძრაობის ნიადაგის კანონწესი ნილი ეკონომური მოვლენა. ეს არის კაპიტალისტური კონკურენცია. წვილი კაპიტალი ვერ უძლებს მსხვილის მეტოქეობას, იძულებულია ხელი აიღოს დამოუკიდებელ არსებობაზე და შედარებით მსხვილ კაპიტალს შეუერთდეს.

ამ რიგათ, ჩვენთვის აშკარაა კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ცნებების ეკონომური შინაარსი. აქ ერთი ცნება კი არ უპირისპირდება მეორეს. პირიქით, ერთი მეორეს ჰგულისხმობს. მეორე პირველს აესებს. აქ ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც ზოგადისა და კერძოს, მთელსა და ნაწილს შორის. წარმოების კონცენტრაცია ნიადაგს უშხადებს წარმოების ცენტრალიზაციას, ხოლო წარმოების ცენტრალიზაცია უფრო აღრმავებს და აფართოებს კონცენტრაციის ნიშანდობლივ ელემენტებს. «ორივე ეს პროცესი — მსწრებულად შეინიშნავს ერთი თანამედროვე მოაზროვნე — აძლიერებს ერთმანეთს, რადგან კონცენტრაცია აშხადებს ცენტრალიზაციას, ხოლო ცენტრალიზაცია კი აჩქარებს კონცენტრაციას¹⁾. ამ ასეთმა ურთიერთ დამოკიდებულებამ მოგვცა შედეგად ის უღაო ფაქტი, რომელსაც კაპიტალიზმის გიგანტიური ზრდა განვითარება ეწოდება. ლენინის სიტყვებით რომ ვსთქვათ, კაპიტალისტურ წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის განვითარებამ «გამოიწვია მრეწველობის უდიდესი ზრდა და წარმოების უფრო მსხვილ სახეში ჩამოყალიბების შეტად ჩქარი პროცესი²⁾. ეს პროცესი ჩვენთვის თელსაინო გახდება, ეკონომიურ განვითარების «ისტორიიდან» ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობას თუ მივიღებთ მხედველობაში. ვისარგებლებთ იმ ცნობებით, რომლებიც მოყავს ლენინს თავის ცნობილ შრომაში: «იშპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი».

აელოთ, მაგალითად, გერმანია. 1882 წლის გერმანიაში თითოულ ათას სამრეწველო საწარმოში მოდიოდა მხოლოდ 3 მსხვილი სამრეწველო ერთეული; 1895 წ. — 6 და 1907 წ. — 9. ამ მსხვილ ერთეულებში მუშაობდა თითოულ 100 მუშაიდან: 1882 წ. — 22 კაცი, 1895 წ. — 30 და 1907 წ. — 37, ე. ი. მსხვილი საწარმოო ორგანიზაციები აერთიანებდა თავიანთ ქერ ქვეშ მუშა ხელის 37⁰/₆-ს. მაგრამ ეს კიდევ არ არის წარმოების ცენტრალიზაციის გამოშხატველი. დაჭირავებული ძალის ცენტრალიზაცია არ შეიძლება წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის სიდიდის საზომათ მივიჩნიოთ: წარმოების კონცენტრაცია — სწერს ლენინი დასახელებულ ნაწარმოებში — გაცილებით უფრო ძლიერია, ვინემ მუშების კონცენტრაცია. ეს იმიტომ, რომ მსხვილ დაწესებულებებში შრომა გაცილებით უფრო ნაყოფიერია». წარმოებაში გაუმჯობესებულ ტექნიკის შემოღება შესამჩნევად სცვლის მდგომარეობას. წარმოების ნაყო-

¹⁾ Б. Пашуканис. Империализм и колониальная политика, № I, стр. 19.

²⁾ Ленин, op. cit. стр. 246.

ფიერების ზრდა უმთავრესად საწარმოო ტექნიკურ საშუალებათა განვითარებაზე და მოკიდებული. ეს ანბანური ქეშმარიტებაა ჩვენთვის. გერმანიაში კი მანქანური პროგრესი შედარებით უფრო ჩქარი იყო, ვინემ ცენტრალური კონტინენტის სხვა სახელმწიფოებში. ამიტომაც არის, ორთქლის ძალის ცენტრალური ძალის მთელი რაოდენობის უდადესი ნაწილი გერმანიაში მოდის მარტო მსხვილ სამრეწველო ერთეულზე. ამავე დროს წერილ საწარმოო ერთეულებზე, რომელთა რიცხვი ორ მილიონს აღემატება (91⁰/₁₀), მოდის მექანიკური ძალის მხოლოდ 7⁰/₁₀. აბსოლუტურ რიცხვებში წარმოების ცენტრალიზაციის პროცესს გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: გერმანიაში ითვლებოდა ომახდეს სულ 3.265.623 სამეურნეო ერთეული. აქედან მსხვილ გაერთიანებაზე მოდიოდა—30.588 ერთეული, ე. ი. 0,9⁰/₁₀, ამ გაერთიანებულ მსხვილ ერთეულებში მუშაობდა 5,7 მილ. კაცი საერთოდ 14,4 მილ. მუშა ხელიდან, ე. ი. 39,5⁰/₁₀. მათ განკარგულებაში იყო ორთქლის ძალის მთელი რაოდენობის (8,8 მილ. ცხენის ძალა), 75 % (6,6 ცხ. ძალ.) ხოლო ელექტრო-ძალის საერთო რაოდენობის—1,2 მილ. კილოვატის—80⁰/₁₀, ე. ი. 1,2 მილ. კ. აი ეს მშრალი, „უფულო“, მაგრამ მეტად მჭკრმეტყველი ციფრები წარმოადგენს საუკეთესო ილიუსტრაციას იმისას, თუ რამდენად განვითარდა გერმანიაში წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი.

საილიუსტრაციოთ მოვიყვანთ აგრეთვე ჩ რ დ ი ლ ო - ა მ ე რ ი კ ი ს შ ე ე რ თ ე ბ უ ლ შ ტ ა ტ ე ბ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ განვითარების, სახელდობრ—კაპიტალის ცენტრალიზაციის მავალითს. 1904 წელს ამერიკაში ითვლებოდა 216.180 საწარმოო ერთეული. აქედან მსხვილ წარმოებაზე, რომლის წლიური პროდუქციის ღირებულება მილიონ დოლარს უდრიდა ან აღემატებოდა, მოდიოდა 1.900 0,9⁰/₁₀ დაახლოებით. მაშინ ითვლებოდა ამერიკის კაპიტალისტურ-კალაქურ-მეურნეობაში 5¹/₂ მილ. მუშა ხელი. ამ რაოდენობიდან მსხვილ წარმოებაში მოქცეული იყო 1²/₃ მილ. კაცი, ე. ი. 25,6⁰/₁₀. მსხვილ, ცენტრალიზაციაქმნილ წარმოების საერთო პროდუქცია იძლეოდა 5,6 მილიარდ დოლარს. პროცენტულ შეფარდებაში მსხვილი წარმოების პროდუქციის ღირებულება მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის 38⁰/₁₀ შეადგენდა. ასეთი იყო მდგომარეობა 1904 წელს. რაღაც ხლთი წლის განავლობაში ეს მდგომარეობა თვალსაჩინოთ შეიცვალა. ამერიკული კაპიტალის ცენტრალიზაციის მავის-ცემა საქმით განვითარდა, შესამჩნევად გაძლიერდა. კაპიტალისტურ წარმოების განვითარებაში ცენტრისაკენ მსროლავემა ეკონომიურმა ძალამ აი რა საფეხურს მიადწია: 1909 წელს ითვლებოდა ამერიკაში 3.050 მსხვილი წარმოება—1.1⁰/₁₀ საერთო (268.491) რაოდენობიდან, 2 მილ. მუშით (30,5⁰/₁₀) და წარმოების პროდუქციის საერთო ღირებულებით—9 მილიარდ დოლ. (43,8⁰/₁₀).¹⁾

ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების, სადაც წარმოების ცენტრალიზაციის პროცესმა განვითარების უკიდურეს წერტილს მიადწია. ასეთივე მოკლენას ქონდა და აქვს ადგილი თვით „თავისებურ“ ინგლისში, საფრანგეთსა, იტალიასა და ბელგიაში—მთელი ევროპის კონტინენ-

¹⁾ Н. Леани. Имперализм как новейший этап капитализма, гл. 10—11.

ნტზე, აგრეთვე „ამომავალ მზის“—ახალგაზრდა იმპერიალისტურ ქვეყნებში— იაპონიაში. „კაპიტალის“ ავტორის მეცნიერული პროგნოზი საესებით სწორი აღმოჩნდა. კაპიტალიზმის განვითარებამ, ამ განვითარების ძირითადი საფუძველი სრულებით უდავო და ცხადზე-უცხადესი გახადა მარქსის გენიალური ტექსტის აღმოჩენა— „კაპიტალის დაგროვების ისტორიული ტენდენცია“.

მივგრამ კაპიტალიზმის განვითარება როდი შეჩერდა წარმოების უბრალო კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას. კაპიტალის ცენტრალიზაციამ მიიღო უფრო ფართო, ღრმა—გრანდიოზული ხასიათი. წარმოების ცენტრალიზაციის კანონი ძალაში რჩება კაპიტალისტური მეურნეობის ევოლუციის მთელ მანძილზე. წარმოების ცენტრალიზაციამ კაპიტალისტური საზოგადოება შეიყვანა „კაპიტალის მოძრაობის“ ახალ პერიოდში. კაპიტალის ცენტრალიზაციამ მიიღო ახალი ფორმა, ახალი სახე. მართალია, თვით წარმოების კაპიტალისტური წესი აღარ შეცვლილა, მივგრამ ამ წარმოების უზარმაზარი სხეული ახალ სამოსელში გაეხვია. კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესმა განვითარების უმაღლეს წერტილს მიადგინა. ეს წერტილია კაპიტალისტური მონოპოლია.

კაპიტალისტურ მონოპოლიის შედარებით დაბალი, მივგრამ აუცილებელი და მტკიცე საფუძურია კაპიტალის გაერთიანება აქციონერულ ფორმაში. რა იწყებს სააკციონერო კარტელის წარმოშობას და რა უწყობს ხელს მის შემდგომ განვითარებას?

როგორც აღენიშნეთ, წარმოების კონცენტრაცია ნიშნავს წარმოების პროცესში შექმნილი ზედმეტი ღირებულების ისევე წარმოებაში დაბანდვას, კაპიტალიზაციას. ცენტრალიზაცია აღრმავებს, ართულებს ამ პროცესს. ვითარდება კაპიტალისტური წარმოება, რთულდება კაპიტალის ორგანიზული შემადგენლობა. ფართოვდება მუდმივ და ძირითად, ცვალებად და საბარუნავ კაპიტალის სამოქმედო ასპარეზი. კაპიტალისტური წარმოება გრანდიოზულ სახეს ღებულობს. მარქსის ენაზე რომ გამოვხატოთ, იწყება წარმოებისა და შრომის განსახიზღავლობის პროცესი. ინდივიდუალური კაპიტალი უძღურია დააკმაყოფილოს გაფართოებული წარმოების ინტერესი. ის უკვე არ შეეფარდება ამ ინტერესს. ინდივიდუალური კაპიტალი სრულებით ვერ აკმაყოფილებს მსხვილ წარმოების აუცილებელ მოთხოვნილებას: მსხვილი, გაფართოებული წარმოება მოითხოვს წერილ, ინდივიდუალურ კაპიტალების შეერთებას, მათ შეკავშირებას. აქ რაოდენობა უშუალოდ გადადის თვისებაში. ძალა ერთობაშია—მხოლოდ გაერთიანებულ, საზოგადოებრივ კაპიტალს შეუძლია პასუხი ვასცეს ეკონომიურ განვითარების მიერ წამოყენებულ კითხვებს. „წარმოების სიდიდის ზრდა—სამართლიანად ამბობს მ. სპექტატორი,—ტენნიკურ გაუმჯობესებით გამოწვეული, გაცილებით უფრო ჩქარა სწარმოებს, ვინემ ინდივიდუალურ კაპიტალების დაგროვება. ამიტომაც ინდივიდუალურ კაპიტალის საზღვრებს გადაცილებული წარმოება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივ კაპიტალის ფორმაში, რომელმაც (საზოგადოებრივმა კაპიტალმა) ფორმის მიხედვით მაინც დაჰკარგა თავისი ძველი ინდივიდუალური სახე“¹⁾. მაშასადამე, „ტენნიკურ გაუმჯობესებით გამო-

¹⁾ М. Спектатор. Введение в изучение мирового хозяйства, гл. 107.

წვეული* გაფართოებული წარმოება აუცილებლად მოითხოვს ინდივიდუალურ კაპიტალის მობილიზაციას, კაპიტალის განსაზოგადოებულ ფორმებზე გადასვლას. კაპიტალის მობილიზაცია ახლა უკვე ისტორიულად განუხლებლობა-საზოგადოებრივი პროგრესი სწავებით ებჯინება კაპიტალის განსაზოგადოების პრობლემას, კაპიტალისტური მეურნეობის წინსვლა უწყველად ჰგულისხმობს ამ პრობლემის გადაჭრას. წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალიზმის შემდეგი განვითარების საქმე გამოუვალ ჩიხში მოემწყვდევა. და იმ ამ „გორდიის კვანძის“ გასახსნელად გვევლინება განსაზოგადოებული კაპიტალი, სააკციონერო საზოგადოების სახით.

აქციონერული კაპიტალი, სააკციონერო მეურნეობა კაპიტალის მობილიზაციის უახლოესი ფორმაა. როგორც შენიშნავენ სამართლიანად, აქციონერული ფორმა ფორმა არა თვით წარმოების, არამედ საწარმოო ერთეულის. კაპიტალის აქციონერული ფორმა სცვლის კაპიტალისტურ წარმოების გარეგნულ სახეს, მაგრამ არ ეხება ამ წარმოების წესს, მეთოდს. აქ არ არის თვისებრივი ცვლილება. მრავალი წვრილი ინდივიდუალური კაპიტალი ერთიანდება ერთ სამეურნეო სხეულში, ერთ მსხვილ საწარმოო ერთეულში. კერძო, დამოუკიდებლად მოქმედი კაპიტალი ხელს იღებს ინდივიდუალურ არსებობაზე და განსაზოგადოებულ კაპიტალის ევებერთელა ქვაბში ვარდება. წვრილი, ინდივიდუალური კაპიტალისტი ჰკარგავს დამოუკიდებელ სახეს. ამ რიგით, როგორც შენიშნავს ლენინი, იხადება კოლექტიური კაპიტალისტი. აქციონერული კაპიტალი არის კოლექტიური კაპიტალის გამოხატულება.

აქციონერულ ფორმით განსაზოგადოებული კაპიტალი მთელ რიგ ცვლილებებსა და ახალ ეკონომიურ-საზოგადოებრივ მომენტებს ჰგულისხმობს. აქ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. პირველი—წარმოება ლეზულობს საზოგადოებრივ ხასიათს და, მეორე—იცვლება „კოლექტივიში“ გათქვეფილ კაპიტალისტის საზოგადოებრივი ფუნქცია—დამჭირავებელ, მრეწველ კაპიტალისტის ნაცვლად ის გვევლინება უბრალო ფულად კაპიტალისტად. აქ ხდება, როგორც მარქსი ამბობდა, მრეწველ კაპიტალისტის განცალკევება საწარმოო საშუალებათაგან. წარმოების პროცესიდან იღვენება ინდივიდუალური კაპიტალისტი. ამ პროცესში მისი ხელმძღვანელი როლი შესრულებულია საბოლოოდ. წარმოებას ხელმძღვანელობს და მეთაურობს აპარატი, რომელსაც სააკციონერო საზოგადოების გამგეობა, ან და მის მიერ დაჭირავებული ძალა წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, კაპიტალის მობილიზაციის აქციონერულ საფეხურზე ადგილი აქვს ერთის შეხედვით უცნაურ მოვლენას: იზღუდება კაპიტალისტური საკუთრების „ღვათაბრივი“ უფლება საწარმოო საშუალებებზე. კერძო საკუთრება, რასაკვირველია—კაპიტალისტურ ფარგლებში იღაბება, იფარგლება, მერტიკ კიდევ—იღვენება სრულებით. აქციონერული კაპიტალი მრავალ კაპიტალისტის საკუთრებაა. საკუთრება დაცულია, მაგრამ ეს საკუთრება არის საზოგადოებრივ-კაპიტალისტური. არც კაპიტალისტი A, არც კაპიტალისტი B, C და X ვერ იტყვის, მოცემული აქციონერული სავაჭრო თუ სამრეწველო გაერთიანება მის პირად საკუთრებას რომ შეადგენს. ეს საკუთრებაა კოლექტივის, „კოლექტიური

კაპიტალისტის*. კაპიტალმა დაეარგა ინდივიდუალური სახე და მიიღო განსაზოგადოებელი ფორმა. აქედან ცხადია, კაპიტალისტურმა კერძო საკუთრებასაც მიიღო ახალი გარეგნობა და შინაარსი — წარმოიშვა კაპიტალისტური საზოგადოებრივი საკუთრება. კაპიტალის განსაზოგადოებრივი და გავრთიანების აქციონერული ფორმა, მარქსის აზრით, ესაა „კაპიტალის, როგორც კერძო საკუთრების, გაუქმება თვით წარმოების კაპიტალისტური წესის ფარგლებში“. რატომ? იმიტომ, რომ „საკეციონერო საზოგადოებაში გამგებლობის ფუნქცია განცალკევებულია კაპიტალის საკუთრებისაგან, მაშასადამე გამგებლობის შრომაც სრულებით განცალკევებულია წარმოების საშუალებათა საკუთრებისაგანაც. ეს არის უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოების შედეგი, აუცილებელი გარდამავალი საფეხური კაპიტალის გადაქცევად მწარმოებელთა საკუთრებათ, მაგრამ არა გაფანტულ მწარმოებელთა, არამედ ასოციაციურად გაერთიანებულ მწარმოებელთა საკუთრებათ, უშუალო საზოგადოებრივ საკუთრებათ¹⁾. კოლექტიური კაპიტალისტი „გარდამავალი საფეხურია“ კოლექტიურ მწარმოებელზე გადასასვლელად. წარმოებისა და გამგებლობის ფუნქციების ერთმანეთისაგან გათიშვა ამზადებს ეკონომიურ და სოციალურ ნიადაგს „უშუალო საზოგადოებრივ საკუთრების“ განხორციელებისათვის.

საკითხი ისმება: მაინც რაში მდგომარეობს განსაზოგადოებულ კაპიტალისტური წარმოების მთავარი ღერძის უცვლელობა? კერძო-კაპიტალისტური საკუთრება საზოგადოებრივ-კაპიტალისტურმა საკუთრებამ შესცვალა. მაშ რა არის კერძო, ინდივიდუალური კაპიტალის მობილიზაციის, „კოლექტიური კაპიტალის“ მოძრაობის პროცესში? კერძოა მითვისება, განაწილება. და ეს არის ძირითადი, მთავარი. მითვისების კერძო, ინდივიდუალური ხასიათი — იმ რა არის კოლექტიური კაპიტალისტი იდეფიქსი, მისი ცედი, ნებისყოფისა და ინტერესის მამოძრავებელი. კაპიტალისტური წარმოება იშორებს ინდივიდუალურ წარმოების სამოსელს, რადგან ამ სამოსელში ვეღარ ეტევა მისი განვითარებული ორგანიზმი. ეს სამოსელი იხვევა, იფლიტება და წარმოება საზოგადოებრივ, მაშასადამე, საკმაოდ განიერ გარეშე ეხვევა. კერძო კაპიტალის დამოუკიდებელი პიროვნება იჩრდილება, იკარგება. „პიროვნების როლი“ შესწულდება ითვლება. აქ ილახება კერძო კაპიტალის თავმოყვარეობა. მისი ინდივიდუალობა. სამაგიეროთ, ყველაფერი ეს უმნიშვნელოა მთავარ მიზანთან შედარებით: კაპიტალის მობილიზაციისა და წარმოების განსაზოგადოების საშუალებით ხელშეუხლებელი რჩება მითვისების კაპიტალისტური წესი — ზედმეტი ღირებულების მითვისება ძალაში რჩება მთლიანად. მართალია, „წარმოება საზოგადოებრივი ხდება, მაგრამ მითვისება კერძო რჩება²⁾. წარმოების საზოგადოებრივი და მითვისება-განაწილების კერძო ხასიათი — იმ რა შეადგენს თანამედროვე კაპიტალიზმის დედა-აზრს, მის დამახასიათებელ მთავარ ძარღვს. აქ აშკარაა ის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც წარმოების

¹⁾ К. Маркс. Капитал, т. III, № 3, с. 427. ხაზი ზღვრია.
²⁾ Н. Ленин. Собр. соч., т. XIII, с. 254.

კაპიტალისტურ სისტემას ახასიათებს, ასეთია, სხვათაშორის, უდიდესი/შინაგანი ანტაგონიზმი კაპიტალიზმის ბუნებაში.

რუდოლფ ჰილფერდინგი აქციონერულ კაპიტალიზმის/მარქსისტულ ანალიზს იძლევა. იმ რას სწერს ეს ოდესღაც რევილიუციონისტურ მარქსიზმის მიმდევარი, ფინანსიური კაპიტალის ცნობილი მკვლევარი: აქციონერულ კაპიტალის განვითარებით „კაპიტალისტური საკუთრება გადადის ისეთ შეზღუდულ საკუთრებაში, რომელიც აძლევს კაპიტალისტს მხოლოდ ზედმეტი ღირებულების მიღების უფლებას, მაგრამ არ აძლევს კაპიტალისტს წარმოების მსვლელობაში გადამწყვეტ ჩარევის საშუალებას... წარმოების საშუალებათა ინდივიდუალური მესაკუთრენი უკვე აღარ არსებობენ: ისინი შეადგენენ საზოგადოებას, ხოლო ინდივიდს შეუძლია მხოლოდ მოითხოვოს შემოსავლის შესაფერი ნაწილი“¹⁾. ასეთია აქციონერულ კაპიტალის შინაგანი სტრუქტურა. კაპიტალის ინდივიდუალური საკუთრება ძალზე იზღუდება, ის „უქმდება თვით წარმოების კაპიტალისტური წესის ფარგლებში“. კაპიტალისტს ენიჭება „მხოლოდ ზედმეტი ღირებულების მიღების უფლება“. და ეს არის უმთავრესი—ეს „მხოლოდ“ კი არა, ყველაფერი კაპიტალისტისათვის.

განსაზოგადოების გზაზე კაპიტალს აყენებს ორგვარი ძირითადი მიზეზი: წარმოების გაფართოებულ ბასიათი და მოგების ნორმის გადიდების სურვილი. ასეთია ორი უმთავრესი მოტივი, რომელიც „კოლექტიურ კაპიტალისტს“ ამოძრავებს. პირველი, ასე ვთქვათ, გარეგნულია, მეორე—შინაგანი, იმანენტური. მიზეზობრივობის ჯაჭვში ორივე ეს მომენტი იკვლის ადგილს—ხან ერთი გვეულებოდა მთავარ როლში, ხან—მეორე. წარმოების გაფართოება ჰგულისხმობს მოგების, ზედმეტი ღირებულების საერთო რაოდენობის ზრდას, ხოლო ეს ზრდა მოითხოვს თვით წარმოების გაფართოებასაც. ანტიპაზი არის, ინდივიდუალური კაპიტალი როდი გაურბის განსაზოგადოებას. რომ გაიქცეს, წაიქცევა კიდევ, წარმოების გართულებულ პირობებს ვერ შეასრულებს. მეორე მხრივ თვით ეს გაიქცევა საზარალოა მისთვის—ვერ მიიღებს დამატებით მოგებას, რომელსაც გაერთიანებული, აქციონერული წარმოება იძლევა. მაშასადამე, კაპიტალის მობილიზაციის მთავარი ეკონომიური ძარღვი ორი კი არა, ერთია არსებითად. ესაა მოგების მაღალი ნორმის მიღწევის ინტერესი, რომელსაც კაპიტალისტი ეტრფის. ამ რიგათ, კაპიტალისტური წარმოების გიგანტიური ზრდა—ერთის მხრივ, და—დამატებითი მოგების მიღება—მეორეს მხრივ,—ასეთია კაპიტალის განსაზოგადოების მამოძრავებელი მთლიანი ძალის ორი მხარე.

¹⁾ P. Гильфердинг. Финансовый капитал, Москва, 1922. გვ. 132.

ინტერესისათვის: ჰილფერდინგი აღნიშნავს, რომ „აქციონერული საზოგადოების გეონომიკის გაგებაში მე მარქსზე უფრო შორს მივდივარ“-ო (Op. cit., გვ. 111). ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით იმის გარკვევას, თუ რანდენად „შორს წავიდა“ რ. ჰილფერდინგი ამ საკითხში მარქსთან შედარებით. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ისეთი რადიკალური და გაბეჯული დასკვნები რომელსაც მარქსი იძლევა სააქციონერო კაპიტალის ანალიზის—თუნდა გავკრიტიკოთ ანალიზის—დროს, ჩვენ ვერ გვხვდება „ფინანსიურ კაპიტალში“...

კ. მარქსი სწერს: „მსოფლიო დღემდე ურკინისგზოდ დარჩებოდა, რომ დაეწყო ლოდინი იმისათვის, თუ როდის მიიყვანდა დაგროვება კაპიტალუბს იმ ზომამდე, როდესაც ისინი შესძლებდნენ რკინის-გზებზე დაეწყოთ კაპიტალიზმით, საექციონერო საზოგადოებათა სახით ცენტრალიზაციამ მიიღწია ამას ვითომდაც ხელის ერთი მოქმედით“¹). აქედან ცხადია ის უაღრესი მნიშვნელოვანი როლი, რომელიც ითამაშა აქციონერულმა კაპიტალმა კაპიტალიზმის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაში. ინდივიდუალური კაპიტალის ხერხემალი სრულებით სუსტი და უღონო აღმოჩნდა კაპიტალისტურ მეურნეობის რთულ ორგანიზმში. კაპიტალის მობილიზაციით ეკონომიურ განვითარების ისტორიაშიც უდიდესი ნახტომი გააყვია.

მეორე მხრივ, კაპიტალის გაერთიანების აქციონერული ფორმა იძლევა, ეგრედწოდებულ დამატებითი მოგებას. „აქციონერულ საზოგადოებას შეუძლია, კერძო წარმოებასთან შედარებით, ჯერ ერთი—იმუშაოს უფრო ფართო მასშტაბით და, მეორე—გამოიყენოს უფრო ახალი ტექნიკა და ამიტომ აქვს შესაძლებლობა კერძო საწარმოო ერთეულთან შედარებით მიიღოს დამატებითი მოგება“²).

ინდივიდუალური კაპიტალის ლტოლვა აქციონერულ სახით გაერთიანებისაკენ მიხსნება აგრეთვე აქციონერულ კაპიტალის ერთი თვისებით—კაპიტალის მობილურობა. უზრუნველყოფილია საექციონერო საზოგადოებაში, მარტივად რომ ვსთქვათ, ეს ნიშნავს შემდეგს: თითოეულ აქციონერს შეუძლია მოახდინოს თავისი კაპიტალის რეალიზაცია ფულადი სახით, რა დროსაც კი მოისურვებს ამას. შემდეგ, განადგობული კაპიტალი მას შეუძლია წარმოების სხვა დარგში გადაიტანოს, თუ ეს დარგი უფრო ხელსაყრელია მეტი მოგების მიღების თვალსაზრისით. ამიტომ აქციონერულ კაპიტალის მოძრაობა ანუ მობილურობა სრულებით არ არის ხელ-ფეხ შეკრული, ერთ ადგილას მიჯაჭვული. ამ მოძრაობის ასპარეზი გაწმენდილია, აქ იშვიათია რაიმე სერიოზული სიძნელე და დაბრკოლება. საინტერესოა, რა არის აქციონერულ კაპიტალის მობილურობის პირობა?

ერთის შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, საზოგადოებაში დაბანდული კაპიტალის უკანვე დაბრუნება ხდება ამ კაპიტალის გამოტანით საექციონერო წარმოებიდან. მაგრამ ეს აბსოლუტურად შეუძლებელია: წარმოების პროცესიდან კაპიტალის გამოთიშვა ნიშნავს წარმოების პროცესის შეჩერებას, შეწყვეტას. ფულადი კაპიტალი, რომელიც აქციონერმა შემოიტანა, უკვე გათქვეფილია კაპიტალის ორგანიზალურ შემადგენლობაში, გადატყვეულია რომელიმე მანქანათ, ანდა ნედლი მასალის შესაძენათა დაბარჯული და სხვა. ყოველ შემთხვევაში ფულადი კაპიტალი დიდი ხანია გადატყვეულია სამრეწველო კაპიტალით. აქციონერული კაპიტალის დაშლა და ლიკვიდაცია თუ მოხდა, ეს სხვა საქმეა. მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენაა, ხოლო აქციონერის კაპიტალის ადვილი მო-

¹) К. Маркс, Капитал, т. I, гл. 618.

²) Р. Гильфердинг, op. cit., гл. 128.

ძრობა, ადგილიდან ადგილზე გადასვლა კი საერთო წესია, განსაკუთრებული სისტემა. მეორე მხრივ, თუ კაპიტალი დაბანდულია არა აქციონერულ სარეწაოში, ცხადია, მისი უკანვე მიღება შეუძლებელია განსაზღვრულ დრომდე. სრული ბრუნვის დაბოლოებამდე. აქ აქციონერულ ფორმის დიდი უპირატესობა აქვს არა აქციონერულთან შედარებით. აქციონერულ საზოგადოებაში კაპიტალი მოძრაობს, ცოცხალი; მოძილური, სხვაგან კი გაყინული, „მკვდარი“, ზანტი და უძრავი. ეს გარემოება ძალიან უწყობს ხელს აქციონერულ იდეების ფართოდ გავრცელებას. რაში მდგომარეობს აქციონერულ კაპიტალის მოძრაობის, მისი მოძრავი ბუნების მექანიკა—აი რა გვიანტერესებს ჩვენ.

რაგორც ცნობილია, სააქციო საზოგადოების დაარსების დროს უშვებენ ე. წ. აქციებს. მათი საერთო ღირებულება უნდა უდრიდეს—ნორმალურ პირობებში—მთელი სააქციონერო წარმოების ღირებულებას. ავიღოთ რკინის გზის გაყენა, რომელიც მარქსს მოყავს მაგალითად. ესთქვათ, სტამბოლიდან ბაღდადამდე ამ გზის გაყენა ჯდება მილიონი მანეთი. მაშასადამე, მთელი საპროკაპიტალის რაოდენობა უდრის მილიონს. თუ თითოეული აქცია განსაზღვრულია 100 მანეთით, ცხადია, უნდა გამოშვებულ იქნას 10.000 ფასიანი ქილალი, რომელსაც აქცია ეწოდება. აქციები განაწილდა კერძო კაპიტალისტებს შორის. წარმოება დაიწყო, გზის მშენებლობა მიდის. დაეუშვათ, კაპიტალისტ N-ს ახრათ მოუვიდა თავისი კაპიტალის უკანვე მიღება. თუ მას 10 აქცია ქონდა შეძენილი, მისი ფულადი კაპიტალი 1.000 მანეთს უდრის, ყოველგვარი პროცენტების გარეშე. მას შეუძლია სურვილი დაუყონებლივ შესრულოს. საპროკაპიტალის ოპერაცია—აქციები უნდა გაიყიდოს. ამისათვის არსებობს სპეციალური დაწესებულება—საფონდო ბირჟა. აქ იყრის საბაზროთ გამოტანილი ყოველგვარი ჯურისა და რანგის ფასიანი ქილალი. აქციონერი ყიდის აქციას და ამით ახდენს თავის კაპიტალის რეალიზაციას. მაშასადამე, აქცია ხელიდან ხელზე გადადის, ერთი კაპიტალისტიდან მეორეს ჯიბეში მიდის.

მაგრამ აქცია ნამდვილად ის კაპიტალი ხომ არ არის, რომელიც წარმოებაშია უშუალოდ დაბანდული. „აქცია—ამბობს ჰილფერდინგი—არის შემოსავლის უფლების იურიდიული დასაბუთება, პრეტენზია მომავალ წარმოებაზე, შემოსავლის მოწმობა“¹⁾. აქცია იურიდიული საბუთია: აქციონერს შეუძლია მიიღოს შესაფერი დივიდენდი, შეუძლია გაყიდოს „შემოსავლის უფლება“, ე. ი. ეს უფლება სხვას გადასცეს, ამ უფლებაზე ხელი აიღოს—აქ ნამდვილად მოძრაობს უფლება შემოსავლის მიღებაზე და არა წარმოების პროცესში ჩამშული კაპიტალი. მაგრამ ამავე დროს თვით აქციონერისათვის ამ მოძრაობას რეალური ხასიათი აქვს—მას საშუალება აქვს თავისი წილი უკანვე დაიბრუნოს ფულადი კაპიტალის სახით. აი რა არის აქციონერულ კაპიტალის მოძილურობის მთავარი პირობა.

ეს მაგალითი, მოძილურობის ეს ფაქტი მკერმეტყველურად მოწმობს, თუ რა ზომის ილწვეს „კაპიტალის საკუთრების განცალკევება კაპიტალის ფუნქცი-

¹⁾ Гильфердинг, Op. cit., გვ. 107. თარგმანი თავისუფალია.

ისგან“. მოძრაობს კაპიტალზე უფლება, მაგრამ თვით კაპიტალმა კი სრულყოფით არაფერი იცის ამ მოძრაობაზე. მ. სპექტატორი სწორედ აღნიშნავს ამ მოყვლების შინაბუნებას: „კაპიტალის მოძრაობა სავსებით არაა დაკავშირებული კაპიტალის ცხოვრების მატერიალურ საფუძვლებთან. ნაწილობრივ მატერიალური ნაწილი იძულებულია მოკლე თუ ხანგრძლივ დროის განმავლობაში დარჩეს ერთ ადგილზე და იქუთხოს შეტანაკლები წარმატებით,-- ამ მატერიალური ნაწილის ფიქტიური გამოხატულება სხვადასხვა ფასიან ქალაქის ფორმაში ინარჩუნებს თავისებურ, თითქმის დამოუკიდებელ სიცოცხლეს განსაზღვრულ დონეზე“.1) აქციის ეს დამოუკიდებელი სიცოცხლე, რასაკვირველია, გრძელდება მანამ, სანამ მტკიცეა და შეურყეველი მისი მატერიალური საფუძველი. სხვანაირად რომ ვთქვათ, შემოსავლის იურიდიული საბუთი ძალაში რჩება, თუ თვით სააქციონერო საზოგადოება არ დაშლილა და აქციონერული კაპიტალი განაგრძობს მოქმედებას. გასაგებია, არარსებული ან გაკოტრებული სააქციონერო საზოგადოების აქცია ყალბი თავსატეხია და მას არ აქვს არავითარი ღირებულება. მაშასადამე, „კაპიტალის ცხოვრების მატერიალური საფუძველი“ თვით საწარმოო, სამრეწველო კაპიტალია და ამ კაპიტალის ფუნქციონალურ თვისებაზეა მისი „ფიქტიური გამოხატულების“ დამოუკიდებელ არსებობის ბედიც დანყარებული.

აქციის კურსი, უმთავრესად, ორ პირობაზეა დამოკიდებული. ერთი პირობაა მოგება, რომელსაც წარმოება იძლევა (промышленная прибыль) და მეორე--საშუალო პროცენტი კაპიტალზე. რამდენად მაღალია მოგების ნორმა, იმდენადვე მაღალია აქციის კურსობრივი ღირებულება. აქ პირდაპირი პროპორციონალიზაციაა. მოგების საშუალო ნორმის გადიდება ჭკულისხმობს აქციის დივიდენდის გადიდებასაც, რადგან რამდენად მეტია მოგება, იმდენად მეტია თითოულ აქციის ხვედრი წილი, მეტია შემოსავალი აქციიდან--დივიდენდი. ეს გასაგებია. სხვა საქვეა პროცენტი. აქ უკუღმა პროპორციონალიზაციაა აქვს ადგილი: რამდენად დაბალია კაპიტალის ჩვეულებრივი პროცენტი სახელმწიფოში, იმდენად მაღალია აქციის კურსი, და პირიქით. ავიღოთ საილიუსტრაციოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ სააქციონერო საზოგადოება იხდის 10%-ს 100 მან. აქციაზე, ხოლო საშუალო პროცენტი კაპიტალზე სახელმწიფოში უდრის 5-ს. ამ შემთხვევაში 100 მანეთიან აქციის კურსი უდრის 200 მანეთს, რადგან სახელმწიფოში 10 მანეთს იძლევა 200 და არა 100 მანეთი. ახლა დაუშვათ, საშუალო % მეტია, მაგალითად--8. ამ შემთხვევაში აქციის კურსი ეცემა, ის უდრის 125-ს: 10 მანეთს საშუალო 8% პირობებში იძლევა არა 200, არამედ 125 მანეთი. ამას გვეუბნება უბრალო მათემატიკური მანიპულიაცია, არითმეტიკული გამოანგარიშება. მაშასადამე, რამდენად მაღალია საშუალო პროცენტი კაპიტალზე სახელმწიფოში, იმდენად შედარებით მცირეა თვით აქციის კურსობრივი ღირებულება.

აქვე უნდა აღნიშნოთ ერთი დამახასიათებელი გარემოება. საერთოთ აქციის ფასი ყოველთვის--უმეტეს შემთხვევაში მაინც--უფრო დიდია, ვინემ წარ-

1) Спектатор. Введение etc., гл. 108. ხახი ზენია.

მოებაში მომქმედი მისი შესაფერი კაპიტალი. სხვანაირად: მეფლი რეაქციონობის კურსობრივი ღირებულება მეტია მთელი აქციონერულ კაპიტალის რეალურ ღირებულებაზე. ამის უმთავრესი მიზეზი ის გარემოებაა, რომ მსგავსად დივიდენდი ინგარიშება წარმოებიდან მიღებულ მოგებით. რამდენადაც დივიდენდი მოგება, იმდენად მეტია დივიდენდი, მაშასადამე — მეტია აქციის შემოსავალი. აქედან ლოლიკურად გამოიმდინარეობს თვით აქციის კურსობრივი ღირებულების ზრდაც. „თუ დგება მაღალი კონიუნქტურა — ამბობს ჰილფერდინგი, — ანდა ხელსაყრელი სხვანაირი პირობები ნებას გადაქვებს მომატებულ დივიდენდის განაწილების, მაშინ აქციის კურსიც მაღალი იქნება. თუ მოცემულ საწარმოო ერთეულის აქციები 6% დივიდენდის დროს სდგას, ვთქვათ, 100-ს დონეზე. მაშინ 9% დივიდენდის დროს აქციები იიწვევა 150-მდე. დივიდენდების სხვაობაში გამოიხატება სხვაობა იმ ბედის, რომელიც ეწვევა ცალ-ცალკე სარეწაოს მათი შემდგომი სიცოცხლის გზაზე.“¹⁾ ჩვენის აზრით, ეს საკითხი საკმაოდ ამოწურულია, აქ საქმის შინაარსი საკმაოდ „გაშიშვლებულია“. რაკი აქციის კურსი უმთავრესად სამრეწველო მოგებაზეა დამყარებული, ხოლო ეს მოგება მოძრავია და ვითარდება — ზღვასაყრელ პირობებში — აღმავალ ხაზით, ცხადია, მთელი სააქციონერო კაპიტალის კურსობრივი ღირებულება მეტი იქნება ამ კაპიტალის რეალურ, ნამდვილ ღირებულებაზე. და ასედაც არის ეს: მთელი აქციონერული კაპიტალის კურსობრივი ღირებულება „ყოველთვის მეტია, ვინემ კაპიტალის, რომელიც მოქმედობს ნორმალურ პირობებში, ე. ი. რომელსაც მოაქვს საშუალო მოგება.“²⁾

ფიქრობთ, ჩვენთვის — ზოგად ხაზებში მაინც — გასაგებია სააქციონერო კაპიტალის ეკონომიკა. გასაგებია ისიც, რა მოქმედებს ინდივიდუალურ კაპიტალს განსაზოგადოებისაკენ — აქციონერულ ფორმაში ჩამოსხმისაკენ. ამიტომ ბუნებრივია სააქციონერო ორგანიზაციების სწრაფი ზრდაც, რომელსაც ჩვენ ვხედავთ უკანასკნელი სამი ათეული წლების მანძილზე. ჩვენ არ დაეტვირთავთ გულმოდგინე მკითხველის ყურადღებას ვრცელი სტატისტიკური მასალებით. ამ სფეროში სტატისტიკა მდიდარია განსაკუთრებით. ორიოდ ცნობა მხოლოდ აქციონერულ ფორმაში კაპიტალის ცენტრალიზაციის დასახასიათებლად. გერმანიაში 1886—1922 წ.წ. განმავლობაში სააქციონერო საზოგადოებათა რიცხვი გაიზარდა 2.643-დან 16.472-მდე, ე. ი. 600%-ით, ხოლო მათი კაპიტალი გაიზარდა 2.150%-ით. (1886 წ. — 4876 მილ. მარკა, 1922 წ. — 109.800 მილ.). ინგლისში: 1884 წ. არსებობდა 8692 სააქ. საზ. საერთო კაპიტალით — 500 მილ. გირ. სტერლინგით, ხოლო 1922 წელს — 84.101 (+869%), საერთო კაპიტალით 4.180 მილ. გირ. სტ. (+7.640%). ისეთ ეკონომიურად ჩამორჩენილ, შედარებით კაპიტალისტურად განუვითარებელ ქვეყანას თუ ავიღებთ, როგორც იყო ძველი რუსეთი, დავინახავთ, რომ იქაც კი საკმაოდ მოიძვრა ფეხი აქციონერულმა კაპიტალმა. 1822 წ. რუსეთში იყო მხოლოდ ერთი სააქ. საზოგადოება, 1905 წ. — 1461 საერთო კაპიტალით 1946 მილ. მან., ხოლო იმპერიალისტური

¹⁾ Op. cit., გვ. 113.

²⁾ ibid., გვ. 114.

ომის დასაწყისში—3.040, საერთო კაპიტალით—4067,6 მილ. მან. აქედან უკანა-
დია, თუ როგორი სიძლიერით ვითარდება, საზოგადოთ, კაპიტალის აქციონერ-
რული ტენდენცია.)

კაპიტალის „ცენტრალისტური“ მისწრაფება აქციონერულ ფორმით რო-
დი ამოიწურება. ცენტრალიზაციის შემდეგი განვითარება უფრო ღრმა და მა-
გარ ფესვებს უშვებს კაპიტალისტურ მეურნეობის ნიადაგში. კაპიტალის-
ტური კონკურენციის კანონი არ კარგავს თავის გავლენას და მოქმე-
დების სიძლიერეს კაპიტალის ცენტრალიზაციის აქციონერულ სფეროზე. ზედ-
მეტე ღირებულების მეტი რაოდენობით მითვისების რეალური ინტერესი კაპი-
ტალისტს მიუთითებს კონკურენციის ამ დამღუპველ, გამანადგურებელ კანონის
სრულებით მოხსნისკენ თუ არა, შეზღუდვა-შემოკლებისკენ მაინც. კაპიტალისტურ
კონკურენცია მოქმედობს მოგების ნორმაზე, მარქსის ენაზე—აღვლი აქვს
მოგების ნორმის შემცირების ტენდენციას. ამ ტენდენციის თავი-
დან აცილება შეუძლებელია უაღრესად განვითარებულ კაპიტალიზმის პირობებ-
ში. ცენტრალიზაციის აქციონერულ საფეხურზე კონკურენცია არ იხსნება დღის
წეს რიგიდან, ერთი სააქციონერო სარეწავი უმართავს ომს მეორეს. ომი სწარ-
მოებს საქონლის ფასების დაკლებისა და ნედლეულის ხელში ჩაგდების
ნიადაგზე. ფასების დაკლება, ე. ი. საქონლის იაფად გასაღება შეუძლია იმ სა-
მეურნეო ერთეულს, სადაც დაბალია თვითღირებულება. ეს კი დამოკიდებულია
ტენიანის განვითარებაზე, კვალიფიკაციურ მუშა ხელზე, ნედლეულ მასალის
ხელსაყრელ ფასებზე, შრომის ხელფასის სიმცირესა და მთელ რიგ სხვა მიზეზებ-
ზე. რასაკვირველია ამ პირობების შესრულება შედარებით ადვილია იმ წარ-
მოებისათვის, სადაც კაპიტალის ორგანიზული აგებულება საკმაოდ რთულია და
განვითარებული. შედარებით მსხვილი და უკეთესად მოწყობილი აქციონერული
წამოწყება იოლად დასძლევს შედარებით წვრილ და ცუდად მოწყობილ წარმო-
ების ორგანიზაციას. მაშასადამე, კაპიტალისტური კონკურენცია
ძალაში რჩება კაპიტალის ცენტრალიზაციის აქციონერულ
ფორმაშიაც. მართალია, ინდივიდუალურ კაპიტალებს შორის მოისპოო ეს
კონკურენცია აქციონერულად გაერთიანების წყალობით, მაგრამ კონკურენცია
გრძელდება თვით აქციონერულ კაპიტალებს შორის. აქ კონკურენცია უფრო
მწვავეა, რთული და გაცილებით უფრო შესამჩნევი.

აქციონერულ ფორმაში უმთავრესად ხდება ერთგვარი კაპიტალების
თავმოყრა, არსდება ერთნაირი საწარმოო ერთეული. კონკურენცია სწარმოებს
ამ ერთნაირ ერთეულებს შორის. მაგრამ კონკურენციის საკითხი ამით როდი
იჭრება. კონკურენცია სწარმოებს არა მარტო ერთგვარ, არამედ სხვადასხვანაირ
წარმოებებს შორისაც. კერძო მაგალითებს ვერ გამოვუდგებით, ავლიწინავთ
უმთავრესს. ჩვეულებრივი კლასიფიკაციის მიხედვით კაპიტალისტური მრეწვე-
ლობა იყოფა ორ დიდ დარგათ—საწარმოო საშუალებათა წარმოება

1) საქ. საზ. განვითარების ფაზისათვის მდიდარი ფაქტური მასალები მოთაქვ-
ხული აქვს: А. Ков. Финансовый капитал. პოპულარული ნარკვევი, გვ. 5-8. მოვანილი
ცნობები აქედან ვეაქვს ამოღებული.

და მოსახმარ საშუალებათა წარმოება. ცოტა სხვათაგან რომ ვსთქვათ, ეს ორი დარგი იქნება—ამომღებთი მრეწველობა და დამამუშავებელი წარმოება. კაპიტალისტურ მეურნეობაში ამ ორ დარგს შორის უდიდესი მეტოქეობაა. ორივე ეს დარგი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. მოსახმარ/სამშობლებათა წარმოება ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც ხელსაყრელ პირობებში მუშაობს საწარმოო საშუალებათა წარმოება. მეორე მხრივ, არც ერთ წუთს არ უნდა დაგვავიწყდეს ნედლი მასალის—ამომღებთი მრეწველობის ხელსაყრელი პირობების და განვითარების როლი თვით დამამუშავებელი წარმოებისათვის. აქ სხვადასხვა სახის კაპიტალია ერთმანეთთან დაპირდაპირებული და ამავე დროს ერთმანეთზე გადაბმული. მეტოქეობა კაპიტალისტურ წარმოების ამ ორ დარგს შორის ღრმა კვალს ატოვებს კაპიტალისტურ მეურნეობის მთელ სხეულზე.

საზოგადოთ ცნობილი ფაქტია, არ არსებობს კაპიტალისტურ მეურნეობის სისტემაში სრულებით დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეული. ზოგან ეს დამოუკიდებლობა აშკარათ აღკვეთილია და ერთი წარმოება უშუალოდაა დაკავშირებული მეორესთან. ზოგან ასეთი უშუალო კავშირი არ არის, მაგრამ „შორეულში“ და თან აუცილებელი კავშირი მაინც არსებობს. აიღეთ მრეწველობის რომელიმე დარგიც გსურთ. ყველგან დაინახავთ ამ კავშირს. კაპიტალისტური მეურნეობის ორგანიზმი მთლიანი ერთეულია და ამ საერთო ორგანიზმში თითოეული ნაწილი ხილული თუ უხილავი ძარღვით დაკავშირებულია ერთმანეთთან. ხის წარმოება დაკავშირებულია რკინის წარმოებასთან, ქვის წარმოება—ცემენტის წარმოებასთან და ასე დაუსრულებლად. ამავე დროს ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, განსაზღვრული წარმოება დაკავშირებულია არა მარტო მეორე წარმოებასთან. აქ კავშირი ძაფების მთელი გრებილია. თითოეული ძაფი შეერთებულია ამა თუ იმ წარმოებასთან, უკეთ რომ ვთქვათ—საწარმოო ერთეულთან. რამდენად რთულია ეს გრებილი, იმდენად რთულია მთელი საწარმოო კავშირიც.

ასეთ პირობებში კაპიტალისტური კონკურენცია განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს. მოგების შესაფერი ნორმის შენარჩუნების ინტერესი აყენებს სხვადასხვაგვარი კაპიტალის შეერთების, შეკავშირების, ანდა შედუღების პრობლემას. ამ პრობლემის გადაჭრით უდიდესი მნიშვნელობის საკითხი სწვდება: კაპიტალისტური მეტოქეობა ნელდება და შესაძლებელი ხდება ზედმეტი ღირებულების მეტი რაოდენობით დაგროვება. მეორე მხრივ თვით ეს შეერთება წარმოების გაფართოებას ნიშნავს და, მაშასადამე, საერთო პროდუქციის ზრდასაც ჩქარი ნაბიჯით. ჩვენც ვხედავთ, კაპიტალისტურ მეურნეობის სინამდვილეში მართლაც ხდება სხვადასხვა კაპიტალების ასეთი ანაღამიზაცია—მათი ცენტრალიზაცია. ეს ცენტრალიზაციის რთული სახეა შედარებით. აქ იდგმება დიდი ნაბიჯი კაპიტალისტურ მონოპოლიისაკენ. სხვადასხვაგვარი კაპიტალის შეერთების ამ სახეს ეწოდება კომბინაცია. აქციონერული შეერთება ფორმია სარეწაოსი (предприятия), კომბინაცია კი ამ ფორმის შინაარსსაც ეხება. ამიტომ კომბინაციური წარმოება დიდი პროგრესია კაპიტალისტურ მეურნეობის საერთო განვითარებაში.



ლენინი იძლევა კომბინაციის ასეთ განმარტებას: კომბინაცია—ესაა „ერთ საწარმოო ერთეულში გაერთიანება მრეწველობის სხვადასხვა დარგის, რომლებიც წარმოადგენენ ან ნედლეულის დაწმენვის თანამიმდევარს, ან წყლის გაწმენას, ან დათმავლობის დამხმარე როლს მეორე დარგის მიმართ.“¹⁾ რ. პილფერდინგიც დაახლოებით ასევე განსაზღვრავს კომბინაციის მცნებას: მისი სიტყვით, „კომბინაციაში ჩვენ ვგულისხმობთ შეერთებას ისეთ კაპიტალისტურ სარეწავების, რომელთა შორის ერთი ამზადებს ნედლ მასალას მეორესათვის.“²⁾ დაკვირვებული მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ამ ორ განსაზღვრას შორის პრინციპიალური განსხვავება არ არის. სამეურნეო დარგი, რომელიც „თამაშობს დამხმარე როლს მეორე დარგის მიმართ“, არის სწორედ ნედლეულის დამამზადებელი ერთეული. მეორე დარგი კი—დამზადებული ნედლეულის დამუშავებელი წარმოებაა. როგორც ვხედავთ, აქ არის წარმოების საერთო ფერხულში როლების უბრალო განაწილება: ერთი ამზადებს ნედლეულს და აწვდის მას მეორეს, ხოლო ეს უკანასკნელი აქცევს მას ფაბრიკატთ. ეს არის შრომის საზოგადოებრივი განაწილება. კომბინაციაში ეს მთლიან სახეს ღებულობს—აქ განაწილება არ ნიშნავს დანაწილებას, დაქაჩვას. შრომის საზოგადოებრივი განაწილება აქ მოცემულია მაღალ ფორმაში. ამიტომაც არის სამეურნეო კომბინაცია წარმოების რთული სახე და შედარებით მაღალი საფეხური.

უბრალო ცენტრალიზაციის პროცესში ერთიანდება მრავალი, მაგრამ ერთნაირი კაპიტალი. ეს არის ჰორიზონტალური ცენტრალიზაცია. აქ წარმოება ფართოვდება სივანისა და სიგრძის მიმართულებით. ხოლო რთულ ცენტრალიზაციის დროს ადგილი აქვს არა მარტო ერთნაირ, არამედ უმთავრესად და განსაკუთრებით სხვადასხვანაირ წარმოების შეერთებას. ცენტრალიზაცია აქ ვითარდება ვერტიკალურ მიმართულებით. წარმოება ვითარდება სიღრმის, სიმაღლის მიხედვით. აი ეს ვერტიკალური ცენტრალიზაცია არის სწორედ კომბინაციის შინაარსის გამომხატველი. კომბინაცია—ესაა „ვერტიკალური ცენტრალიზაცია, როცა მოცემული სამეურნეო ერთეული ყლაპავს მეორეს, არა მის მსგავსს“,³⁾ მაშასადამე, აქ კაპიტალის ცენტრალიზაცია გაცილებით უფრო რთულია. კომბინაცია „კაპიტალის მობილიზაციის“ შედარებით უფრო დასრულებული სახეა. ეს არის ნახტომი კლასიურ კაპიტალიზმის თავისუფლების სამეფოდან მონოპოლიტურ კაპიტალიზმის აუცილებლობის სამეფოში, ენგელსის ცნობილ გამოთქმის ოდნავ შებრუნებულად თუ გამოვიყენებთ.

კომბინაციურ წარმოების უპირატესობა არაკომბინაციურის წინაშე მეტად დიდია და მნიშვნელოვანი. რ. პილფერდინგი ხაზს უსვამს ოთხ უმთავრეს მომენტს. პირველი—„კომბინაცია ათანაბრებს კონიუნქტურის სხვაობას და ამიტომ კომბინაციურ სარეწავს უზრუნველყოფს მოგების ნორმის მეტი სიმტკიცით.

¹⁾ Левин, т. XIII, гл. 247.
²⁾ Гальфердинг, op cit., гл. 216. კურსი ჩვენია.
³⁾ Н. Бухарик. Мировое хозяйство etc., гл. 116.

მეორე — კომბინაცია ზედმეტს ხდის ვაჭრობას, მესამე — ის იძლევა ტენიების განვითარების შესაძლებლობას, მაშასადამე შესაძლებელს ხდის დამატებითი მოგების მიღებას წმინდა სარეწავოსთან შედარებით. მეოთხე — კომბინაცია წამაგრებს კომბინაციურ სარეწავოს პოზიციებს არაკომბინაციურთან შედარებით. ახალიერებს მას კონკურენტულ ბრძოლაში ძლიერ დეპრესიის დროს, როცა ნედლეულების ფასის დაწვეა უკან რჩება ფაბრიკატების ფასის დაწვევას.*¹⁾ აქ მთავარია განსაკუთრებით უკანასკნელი გარემოება! კომბინაციური წარმოება შედარებით ძლიერია ნეტოქვების ასპარეზზე, რადგან მის ხელშია უდიდესი კოზირი — მას შეუძლია დაკვივოს მაკრატელი, რომელიც ნედლეულისა და ფაბრიკატის ფასების არათანაბარი აწვევ-დაწვევით იქმნება. ფაბრიკატების ფასების დაწვევა — სხვა ხელსაყრელ პირობებში — დამოკიდებულია ნედლეულ მისალის შესაფერ სიიფით. ნედლეულის მაღალი ფასები აძვირებს საქონლის თვითღირებულებას, მაშასადამე — მაღლა სწევს საქონლის საბაზრო ფასს. კონკურენცია კი უმთავრესად ფასების ნიადაგზე სწარმოებს, გაიყიდება საქონელი, რომელიც შედარებით იაფად ფასობს, აი რატომ არის ნედლეულის საკითხი ნეტად მნიშვნელოვანი მრეწველობისათვის, კომბინაციური წარმოება თავის სასარგებლოდ სწვევს ამ საკითხს ნედლეულის წარმოების დარგის „დამხმარე როლში“ გამოყვანილ, ამ დარგის დაკავშირებით. კონკურენტულ ზღაპართულ ბრძოლაში გამარჯვება კი ნიშნავს კაპიტალისტის მთავარი მიზნის განაღდებას — მოგების შედარებით მაღალი ნორმის მიღწევასა და შენარჩუნებას, ასეთია კომბინაციური წარმოების ეკონომიკა.

კაპიტალის მობილიზაციის ძარღვების უდიდესი დაკვივაა საჭირო რამოდენიმედ მიხედვით მსხვილ კომბინაციაზე გადასასვლელად. კომბინაცია მოითხოვს კოლოსალურ მატერიალურ საშუალებას. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების ლოკოპოტივი აქ როდი ჩერდება. საზოგადოებრივ-ეკონომიური ევოლუცია კიდევ წინ მიდის, უშიშრად მიიბიჯებს ჯერ კიდევ საიმედო ფეხებს, და აი იწყება „უახლესი ფაზა კაპიტალიზმის განვითარებაში“ — წარმოიშობა კაპიტალისტური მონოპოლიები, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით. ცენტრალიზაცია, ასე ვთქვათ, გადადის კაპიტალისტურ მეტრეზობის მონოპოლისტურ ფორმებზე. ამ გადასვლის ორი სახეა აქ უმთავრესი: პირველი — სხვადასხვა სამეურნეო ერთეულების შეერთება შეთანხმებით, ხელშეკრულების მიხედვით და, მეორე — ამ ერთეულების სრული გათქვეფა ერთმანეთში, ანდა როგორც ჰილფერდინგი ამბობს — პათი ფუზია. რასაკვირველია, აქ კიდევ მრავალი მეორეხარისხოვანი მომენტია მხედველობაში მისაღები — გაერთიანების კიბური არც ისე მოკლეა და როდი შესდგება მარტო ორი საფეხურიდან. მაგრამ მთავარია მონოპოლისტურ გაერთიანების მხოლოდ ეს ორი სახე და ჩვენც მათ ვესვამთ ხაზს.

გაერთიანების პირველ შემთხვევაში სამეურნეო ერთეული ინარჩუნებს ფორმალურ დამოუკიდებლობას, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს დამოუკიდებლობა სრულებით ჰქრება და საწარმოო ერთეულები თავს იყრის ერთ მთლიან ორ-

¹⁾ Op. cit., გვ. 214, 215.

განიხივო. ფიზიკის ენაზე რომ ვსთქვათ, პირველი მომენტი ჰგულისხმობს მექანიკურ შეერთებას, მეორე კი—ქიმიურს. შეერთების ამ ხარისხის მიხედვით ჩვენს წინაშე იშლება კაპიტალისტური მონოპოლიის სამი ფორმა: სინდიკატი და ტრესტი. გავხეწოთ მათ.

კაპიტალისტური კარტელი, როგორც ამბობენ ხოლმე— მონოპოლისტური შეთანხმებაა. თითოეული სამეურნეო ერთეული აქ დამოუკიდებელია საკუთარი წარმოების თვალსაზრისით. რა არის ამ შეთანხმების პირობა, მისი ნიადაგი? შეთანხმება სწარმოებს საერთო ფასების დაწესების ნიადაგზე. ეს შეთანხმება სრულებით არ ებება თვით წარმოების პროცესს, წარმოების მიმდინარეობას. წარმოების საკითხი აქ გამოყოფილა საესებით, კარტელის ამოცანაა საერთო ფასების განსაზღვრა, შეთანხმებაც ფასებს შეეხება. კარტელში გაერთიანებული საწარმოო ორგანიზაციები „შეთანხმებენ ერთმანეთს გაყიდვის პირობებს, გადახდის ვადას და სხვა—სწერს ლენინი.—ისინი იყოფენ თავიანთ შორის გასაღების სფეროს, საზღვრავენ დამზადებულ საქონლის რაოდენობას... ინაწილებენ მოგებას და სხ.) მაშასადამე, კარტელი მხოლოდ ფასების მოწესრიგებას ისახავს მიზნით. წესდება საერთო ფასები, ყველასათვის სავალდებულო და მისაღები. მაშასადამე, კარტელში „ცალკე სამეურნეო ერთეული ინარჩუნებს თავის წარმოებითი დამოუკიდებლობას, აქ გამოდიან შეერთებულად მხოლოდ გაცელის სფეროში“¹⁾, ე. ი. საქონლის გასაღების დარგში. კარტელი ინაწილებს ამ სფეროს, ახდენს მის „რაიონიზაციას“—ყველას მიჰქონს თავის ადგილს და ამ საშვალდებით თავიდან იშორებს ანარქიულ კონკურენციის ბრკელებს. ფასების საკითხში, აგრეთვე ბაზრისათვის ბრძოლაში კაპიტალისტური კონკურენციის კანონი „ზმარებიდან გამოდის“, ის კარგავს თავის ძველ გავლენას. მხოლოდ მწარე მოგონება რჩება ამ გავლენის. მაშასადამე, სამეურნეო დამოუკიდებელი ერთეულები კარტელში გაერთიანებით აღწევენ უდიდეს მიზანს—თავიდან იშორებენ კაპიტალისტური მეტოქეობის გამანადგურებელ ლახვარს. კარტელის „ამოცანაა—სწერს ჰილფერდინგი—რაც შეიძლება მოხსნილი იქნას ფასების კონკურენცია და, მაშასადამე, გადიდებულ იქნას მოგების ნორმა“²⁾ აი, მოკლეთ, კარტელის მისწრაფების *alpha* და *omega*. სხვა მიზანს კარტელი ვერ დაისახავს, ეს უკვე გადალახვა იქნება მისი ნოქმედების არც ისე ფართო საზღვრების.

შედარებით უფრო მტკიცე მონოპოლისტური შეთანხმება და გაერთიანება კაპიტალისტური სინდიკატი. აქ მეორე ნაბიჯია გადადგმული. სინდიკატის ამოცანა იგუვება რაც კარტელის: ფასების კონკურენციის თავიდან აცილება და, ამრიგად, მოგების უფრო მაღალი ნორმის მიღწევა. ხოლო ამ ამოცანას სინდიკატი შედარებით სხვანაირ ხერხით ანხორციელებს. სინდიკატი არამც თუ ანაწილებს გასაღების სფეროს, კიდევ მეტი, თავთონვე ახდენს ამ გასაღებას. სინდიკატი აწესებს საერთო ფა-

¹⁾ Ленин, *op. cit.*, გვ. 251.

²⁾ Пашувадзе. Империялам etc., გვ. 22.

³⁾ Гильфердинг, *op. cit.*, გვ. 216.

სებს და ახდენს დამზადებული საქონლის რეალიზაციას თავისივე საშუალებით. ცალკე სამეურნეო ერთეულების უფლება და დამოკიდებულება ამ მხრივ ილახება, იზღუდება უსათუოდ. ამ ერთეულებს უფლება აქვთ მხოლოდ წარმოების, დამზადების, მაგრამ არა სავაჭრო ოპერაციების. ამ ოპერაციას ახდენს სინდიკატი. სინდიკატი აწარმოებს ფაბრიკატების მობილიზაციას, თავს უყრის მათ საერთო საწყობებში და საკუთარი გამსაღებელი არხებით უერთებს გაცვლა-გამოცვლის საერთო მდინარებას. მთელი მოგება თავს იყრის საერთო „სალაროში“. სინდიკატი ანაწილებს ამ მოგებას ცალკე ერთეულებს შორის, რასაკვირველია, პროპორციონალურად, მათი პროდუქციის მიხედვით. ამ რიგით, სინდიკატი უფრო ცენტრალისტური და მონოპოლისტურია, ვინემ კარტელი. აქ კაპიტალისტური მეურნეობის „საუფუკელი“—წარმოება—ხელშეუხებელია, მაგრამ გაერთიანებულია მისი „ზედნაშენი“—საქონლის გასაღება. დასკვნა: სინდიკატი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულები ერთიანდება ვითომც და ერთ სამეურნეო სტეულში. ერთ საერთო ქვაბიდან ისინი ლებულობენ თავიანთ მოგებას და ზღვივ განსაზღვრულ ხარჯებს, რომლებსაც ფარავენ იმავე წყაროდან, რომლებსაც განსაზღვრულ გეგმის მიხედვით ანაწილებენ ცალკე მონაწილეთა შორის.¹⁾

— ამრიგით, სინდიკატი კაპიტალისტური გაერთიანების უფრო მაღალი ფორმაა. ის საკუთარ მოქმედების ფარგლებში აქცევს საქონლის ბრუნვის პროცესს, ბაზრებს, საზღვრავს საერთო ფასებს. კიდევ მეტიც, უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხედავთ სინდიკატების მოქმედების უფრო გაფართოებას—სინდიკატი აწარმოებს შეკვეთების მიღებას, აწყობს შეკვეთების საერთო ორგანიზაციას. შეზღვევ, მიღებულ შეკვეთებს ანაწილებს გაერთიანებაში შემაჯალ ცალკე ერთეულებს შორის. აქ სინდიკატი უსათუოდ აფართოებს თავის გავლენას. მოუხდავად ამისა, ამ გავლენას მიიწვ აქვს მტკიცე საზღვარი—სინდიკატი სრულდება. არ ენება მასში შემაჯალ კერძო სამეურნეო ერთეულს—კომინიტი იქნება ეს თუ სხვა—შინაურ ცხოვრებას, თვით წარმოებას. ამ მხრივ კარტელი და სინდიკატი ერთმანეთისაგან სრულებით არ განირჩევა, არ განსხვავდება.

მაგრამ განა უკანასკნელი მიღწევა, უკანასკნელი სიტყვაა წარმოებისა და წარმოების ერთმანეთისაგან მექანიკური გათიშვა? აქ იქმნება ერთგვარი წინააღმდეგობა—„ზედნაშენი“ შორდება თავის „ბაზისს“. კოლექტიური თუ ინდივიდუალური კაპიტალისტი, რომელიც ხელმძღვანელობს წარმოების პროცესს, დაინტერესებულია თვით ამ პროცესის შედეგის—პროდუქტის შემდეგი მოძრაობითაც, პროდუქციის გაერთიანება შედეგათ უნდა მოყვეს წარმოების პროცესის გაერთიანებას. საწარმოო გაერთიანება თავის თავად ჰგულისხმობს სავაჭრო ოპერაციების გაერთიანებასაც. მოვლენის ასეთი თანმიმდევრობითი განვითარება მოითხოვს მონოპოლისტურ გაერთიანების მაღალ საფეხურზე ასვლას. მეორე მხრივ, უდიდესი სიმწელე იქნება სინდიკატისა და კარტელის წინაშე საერთო ფასების განსაზღვრის დროს. ეს საერთო ფასები შეიძლება იოლად დაწესდეს, თუ წარმოების პირობები საერთოდ ერთნაირია ყველა სამეურნეო ერთეულში. მაგრამ წარმოების პირობები რომ სხვადასხვაანაირია საერთოდ. აქედან გამომ-

¹⁾ М. Спектатор. Введение etc., 126-127.

დინარეოპს საერთო—დაახლოებით საერთო—ფაქტების შემოღების უმთავრესი სიძნელეც. ცალკე სამეურნეო ერთეულში, სადაც არ არის ერთნაირი საწარმო ტექნიკური იარაღები და სხვა, ცხადია, სხვადასხვანაირია პროდუქტის ხარისხობრივებულება. მაშასადამე, ფასების დაწესების შესაძლებლობაც მხოლოდ იქნება შესაძლებელი. აქ აშკარაა შინაგანი წინააღმდეგობა, ობიექტიური სიძნელე. მონოპოლისტურ გაერთიანების ყველაზე უფრო განვითარებული და დასრულებული სახე—კაპიტალისტური ტრესტი—ბოლოს უღებს ამ წინააღმდეგობას, რა თქმა უნდა, თვით კაპიტალისტური წარმოების ფარგლებში.

კაპიტალისტური ტრესტი, როგორც მოსწრებულად შენიშნავს ჰილფერდინგი, არის მონოპოლისტური ფუზია. ტრესტი კაპიტალისტური მონოპოლისის უმაღლესი ფორმაა. აქ ცალკე სამეურნეო ერთეულები აკვსებით ჰკარგავს ინდივიდუალურ სიცოცხლეს, დამოუკიდებელი ერთეულები პირდაპირ ითქვიფებიან ერთ სხეულში. კაპიტალის ცენტრალიზაცია მონოპოლისის ტრესტის ფორმაში აღწევს განვითარების კულმინაციურ წერტილს. ეს დღეილის წერტილია და ამას იქით კაპიტალისტურ განვითარებას მხოლოდ აორთქლება უწერია ბედად. კაპიტალისტურ ტრესტში, სამართლიანად ამბობს ნ. ბუხარინი, — „ცალკე საწარმოო დარგები იხლართება ერთ, ორგანიზაციულად მნიშვნელოვანად ჩამოყალიბებულ კოლექტივში“. ¹⁾ წარმოების ორგანიზაცია აქ სრულებით გაერთიანებულია როგორც წარმოება, ისე ნაწარმოების გასაღების საქმე. საერთო ფასების დაწესების საკითხში ტრესტი მსუბუქად გრძობს თავს, ცალკე დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულების ინტერესი უკვე დავიწყებულია სრულებით, რაკი ასეთი ერთეულების არსებობაც მხოლოდ ტკბილი მოგონების საგნათაა გადაქცეული. მაშასადამე, ტრესტში თავს იყრის კაპიტალისტური მეურნეობის ყველა ძირითადი ელემენტი: წარმოება, პროდუქცია, გასაღება, ბაზრის მოპოება, ფასების დაწესება, მოგების განწილება ტრესტში შემავალ კაპიტალისტებს შორის... ამიტომაც კაპიტალისტური ტრესტი არის სრულქმნილი მონოპოლისტური სამეურნეო ორგანიზაცია.

კაპიტალის ფუნქციასა და კაპიტალის საკუთრების უფლების ერთმანეთისაგან გათიშვა აქ სრულ უკიდურესობამდე აღწევს. კაპიტალის განსაზოგადოება ტრესტის საბით უდიდეს მასშტაბს ღებულობს. ტრესტში შემავალ ერთეულებს ხელში შერჩენიათ მხოლოდ შემოსავლის მიღების უფლება იურიდიული საბუთის—აქციების საბით. რაც შეეხება თვით წარმოების განვითარებას, აქ აქციონერ-კაპიტალისტი ისე შორსა დგას, როგორც მარსი და დედა-მიწა. თვით წარმოების და ნაწარმოების გასაღების პროცესში ის მუნჯის როლს თამაშობს, ისიც ტრესტის წევრთა წლიურ კრებაზე. ძალიანაც რომ მოინდომოს, მას არ ძალუძს წარმოებაში შემჩნეულ ანორმალობას—თუ ამას აქვს ადგილი—შეებრძოლოს. თუ შეებრძოლა, არაფერიც გამოუვა: ეა იქნება ბრძოლა მზის დაბნელებასთან!

ვიმეორებთ ხაზგასმით: მონოპოლისტურ კაპიტალიზმის განვითარების მიერ მანძილზე წითელი ზოლივითაა გავლებული „კაპიტალის“ ავტორის გენიალური

¹⁾ Н. Бухарин, *op. cit.*, გვ. 113.

დებულება—„კაპიტალის როგორც კერძო საკუთრების გავუქმება წარმოების თვით კაპიტალისტური წესის ფუნქციონირებაში“. კაპიტალისტურ ტრესტში ამ დებულების სიცხადე აღწევს, მაშინ, როცა წინააღმდეგობა სიძლიერეს.

ისმება საკითხი: არსებობს თუ არა კაპიტალისტურ მონოპოლიებს შორის პრინციპიალური განსხვავება? ამ კითხვას აქვს საკმაო თეორეტიული ინტერესი. ბურჟუაზიული ეკონომისტი გრუნპელი ამტკიცებს: „კარტელი და ტრესტი ღრმად განირჩევა ერთმანეთისაგან არა ხარისხით, არამც არსებითად“—ო. აშკარაა, ეს სიმაართე არ არის. სინამდვილეში კაპიტალისტურ მონოპოლიებს შორის არსებით განსხვავებას არ აქვს ადგილი. და მართლაც, როგორც დავინახეთ, ყოველივე მონოპოლია წარმოიშობა „წარმოების“ კონცენტრაციიდან ამ წარმოების განვითარების მაღალ საფეხურზე. ესაა კაპიტალისტების მონოპოლისტური კავშირები: კარტელები, სინდიკატები, ტრესტები¹⁾. მაშასადამე, ყველა მონოპოლისტური გაერთიანების გენეზისი, სათავე ერთია—კაპიტალის კონცენტრაცია. გავვეთ ქვევით. თითოეული კაპიტალისტური მონოპოლია *de fix*-ად ისახავს მოგების მაღალი ნორმის მიღწევას. ამ მიზნით არსდება კარტელი, სინდიკატი, ტრესტი. ეს მიზანია კაპიტალისტური წარმოების მონოპოლისტურ ფორმებში განვითარების ძლიერი ზამბარაკი. მიზანი ერთია ყველასათვის, ხოლო სხვადასხვაა ამ მიზნის მისაღწევი იარაღი, გზა, საშუალება. ჩვენ უკვე საკმაოთ გავცანით ამ სხვადასხვაობას. ორიოდ სიტყვით მისი გამოხატვა ასე შეიძლება: მონოპოლისტურ გაერთიანებებში ჩვენ საქმე გვაქვს ამ გაერთიანებათა ხარისხის სხვაობასთან. სინდიკატი კარტელზე უფრო შეწყობილი და გაერთიანებულია, ტრესტი კი—გაერთიანების უმაღლესი ფორმაა. აქ გაერთიანების უმაღლესი ხარისხია მოცემული.

რასაკვირველია, ამით ჩვენ არ ვამტკიცებთ, ვითომც კაპიტალისტურ მონოპოლიებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდეს. ეს განსხვავება არის, მაგრამ არა პრინციპიალური, არსებითი, არამედ ორგანიზაციული, ხარისხობრივი. თვისებრივ განსხვავებას ჩვენ აქ ვერ ვპოულობთ. პრაქტიკული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ კარტელი და სინდიკატი მხოლოდ ფასებსა და ბაზრის პრობლემას შეიცავს, ტრესტი კი—ყოველივე ამას *plus* თვით წარმოების პროცესების ერთ ოგანიზაციაში ჩამოყალიბება.

ასეთია მთელი რიგი მარქსისტ-ეკონომისტების მოსაზრება. ნ. ბუხარინი თუმცა გაცერით, მაგრამ საკმაო ინტერესით შეეხო ამ საკითხს. „ჩვენ ვერ ვხედავთ—სწერს ის—კარტელსა და ტრესტს შორის პრინციპიალურ განსხვავებას, მიგვაჩნია ტრესტი უფრო ცენტრალისტურ ფორმად იმავე სამეურნეო ერთეულის მხოლოდ“²⁾. მაშასადამე, აქ განსხვავება გაერთიანების ხარისხშია და არა თვით ამ გაერთიანების არსებით ხასიათში. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით არკვევს რ. ჰილფერდინგიც. მისი არგუმენტაცია საეგზეთო ფანტაზის

¹⁾ Ленин, *op. cit.*, გვ. 332.

²⁾ Бухарин, *ibid.*, გვ. 53.

ეკვიანობის უკანასკნელ ნაფლეთებსაც კი. ის სწერს: „შეცდომაა ტრესტისა და კარტელის ერთმანეთის საწინააღმდეგო, უკიდურესობათ მიმართება. კარტელის ფორმაშიაც სარეწავის დამოუკიდებლობა შეიძლება შეზღუდულად გვექნება, მაგრამ, რომ ტრესტისგან განსხვავება გაქრეს, საკითხი მდგომარეობას ამ ფორმების არა წინააღმდეგობაში, არამედ იმაში, თუ როგორი იქნება სამეურნეო ერთეულის დამოუკიდებლობის შეზღუდვის სარგებლიანობა“¹⁾ ეს სარგებლიანობა თვალსაჩინოა იმდენად, რამდენად უზრუნველყოფილია მონოპოლისტურ გაერთიანებით „ექსტრაორდინარული დამატებითი მოგება“. აი ეს მოსაზრებაა აქ მთავარი და გადაწყვეტი.

მაშასადამე, კაპიტალისტურ მონოპოლიებს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს, ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით ტრესტი ყველაზე უფრო დამთავრებული მონოპოლისტური გაერთიანებაა, ვინემ კარტელი და სინდიკატი. წარმოების გაფართოების ადგილად შესაძლებლობასთან ერთად ტრესტს საშუალება აქვს დაუნდობლად შეებრძოლოს ინდივიდუალურ, გაერთიანებათა გარეშე მდგარ სამეურნეო ერთეულებს—ე. წ. აუტსაიდერებს. ამაზე შორს „განსხვავება“ არ მიდის. ვფიქრობთ, გისაგებია აქ ყველაფერი.

გადავიდეთ კაპიტალისტურ მონოპოლიების ცალკე პრობლემებზე. ცხადია, ჩვენ შევხებით ძირითად პრობლემებს მხოლოდ.

რა არის უმთავრესად დამახასიათებელი მონოპოლისტური კაპიტალიზმის? ესაა კაპიტალისტური თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვის, ან სრული ლიკვიდაციის მისწრაფება. კაპიტალისტური მონოპოლიები ამ მისწრაფების განხორციელებაა რეალურათ. ლენინი საფუძვლიანად შენიშნავს, როცა სწერს: „კონკურენცია გადადის მონოპოლიაში. ელემენტებით წარმოების განსაზოგადობის გიგანტურ პროცესს... ეს უკვე ის არ არის, რაც იყო ძველი თავისუფალი კონკურენცია დაფანტულ და ერთმანეთის შესახებ არაფრის მცოდნე მრეწველების, რომლებიც ამზადებდნენ საქონელს გასაყიდათ უცნობ ბაზარზე“²⁾. და მართლაც აქ ძველი მდგომარეობა ძირიანად შეცვლილია: თავისუფალი კონკურენცია ჩამოდის სცენიდან და მის ადგილს იჭერს მონოპოლია. აი რა არის მონოპოლისტური კაპიტალიზმის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი. „ძველი თავისუფალი კონკურენციის“ მზე მეტათ ანათებს. წარმოების ანარქიული სისტემა შედარებით მწყობრ ორგანიზაციულ წესათ იცვლება, სამეურნეო ერთეულებს შორის ჩინური კედლები ინგრევა, ერთი „ხელმძღვანელი“ ცენტრი იქნება კაპიტალისტური მონოპოლიის სახით. სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქა გინვლილ ეტაპათ ითვლება. წარმოიშვა კაპიტალისტური მეურნეობის შედარებით უფრო მაღალი ორგანიზაცია. „კოლექტიური კაპიტალისტი“ თითქმის რადიკალურად განსხვავდება ინდივიდუალურ კაპიტალისტისაგან. კაპიტალის გიგანტი-

¹⁾ Гилфердинг, op. cit., გვ. 227. პილფერდინგი აქვე განაგრძობს: „მონოპოლისტური გაერთიანება არის ეკონომიური ბატონობის ორგანიზაცია და ამიტომ იზადება სახელმწიფოებრივ ბატონობის ორგანიზაციებთან შედარების სურვილი, ამ შემთხვევაში კარტელსა, სინდიკატსა და ტრესტს შორის არსებული მიმართება პოულობს ანალოგიას სახელმწიფოთა კავშირის, საკავშირო სახელმწიფოსა და უნიტარულ სახელმწიფოს შორის არსებულ მიმართებაში“.—სიმძიმე.

²⁾ Н. Ленин, ტ. XIII, გვ. 255. ნახი ჩვენია.

ურმა განსაზღვრავდებამ გამოიწვია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებების. ლენინი ხაზს უსვამს კაპიტალიზმის განვითარებაში წამოკრილ ახალ მომენტებს, განსაკუთრებით თავისუფალი კონკურენციის პრობლემას. იმ „გვერდის“¹⁾

თავისუფალი კონკურენცია არის კაპიტალიზმისა და სფეროდ სპონტანის წარმოების ძირითადი თვისება. მონოპოლია თავისუფალი კონკურენციის სრული წინააღმდეგობაა, მაგრამ ეს კონკურენცია ჩვენს თვალწინ უკვე იქცევა მონოპოლიად, ანვითარებს მსხვილ წარმოებას, დენის წვრილს, მსხვილს სკელის უმსხვილესად, წარმოების და კაპიტალის კონცენტრაცია მიყავს იქამდე, რომ ამ კონცენტრაციიდან წარმოიშობა და წარმოიშეა მონოპოლია: კარტელი, სინდიკატი, ტრესტი, რომლებსაც უერთდება კაპიტალი რომელიმე ათეულ, ნილიარდების მქონე ბანკებისა.²⁾

ამრიგად, მონოპოლია სრული დიამეტრალური წინააღმდეგობაა კაპიტალისტური კონკურენციის. ამ კონკურენციამ მოაშადა ნიადაგი წარმოების ცენტრალიზაციის, ხოლო ამ უკანასკნელმა წარმოშეა მონოპოლია, რომელიც „სკელის თავისუფალ კონკურენციას“ („сменяет свободу конкуренции“)³⁾. აქ ჩვენს წინაშე იშლება მოვლენის დიალექტიური განვითარება: კაპიტალისტური კონკურენცია — თეზა — გადადის კაპიტალისტურ მონოპოლიაში — ანტი-თეზაში. რასაკვირველია, საზოგადოებრივ მოვლენების დიალექტიური განვითარება აქ არ გაიფინება და აუცილებლად მიაღწევს სინთეტიურ დასრულებას: დამყარდება, მარქსის ენაზე რომ ვსთქვათ, ასოციაციურად შეკავშირებულ მწარმოებელთა საზოგადოებრივი საკუთრება, სადაც საბოლოოდ გადაწყდება კონკურენციისა და მონოპოლიის პრობლემა ახალი თვალსაზრისით და ახალ ნიადაგზე.

შეიძლება ითქვას, რომ კონკურენცია ერთნაირად იდევნება ყველა კაპიტალისტურ მონოპოლიაში? რასაკვირველია, ამის თქმა ძნელია. ორგანიზაციული გაერთიანების ხარისხი სხვადასხვაა. მონოპოლიისტურ კავშირებში, მაშასადამე, სხვადასხვაა თვით კონკურენციის მონოპოლიით შეცვლის სიძლიერეც თითოულ ცალკე შემთხვევაში. მაგალითად, კარტელი: აქ კონკურენცია ისე როდია მონოპოლიით შეცვლილი, როგორც სატრესტო გაერთიანებაში. ჰილფერდინგი სიმართლეს აღნიშნავს, როცა ამბობს, რომ კარტელებსა და სინდიკატებში კონკურენცია „სწყდება, ან და უკეთ რომ ვსთქვათ, ფარულ ხასიათსღებულობს“⁴⁾. ეს დებულება მტკიცდება კარტელის მაგალითით: კარტელს „ნივ-ყეპართ იქამდე, რომ კარტელურ სფეროში კონკურენცია სწარმოებს მოგების უფრო მაღალ ნორმის საფუძველზე, ვინემ კონკურენცია არა კარტელურად გაერთიანებულ დარგებში. მაგრამ კარტელებს არაფერი შეუძლიათ შესცვალონ კაპიტალის კონკურენციაში დაბანდების სფეროსათვის, ფასების დაწესებისათვის დაჯროგების მოქმედებაში, და ამიტომ არ ძალუბთ ხელი შეუშალონ დისპრო-

¹⁾ Ibid., გვ. 350.

²⁾ Ibid., გვ. 353.

³⁾ Гильфердинг, op. cit., გვ. 331.

პორციონალობის აღმოცენებას¹⁾). ამიტომ კარტელი მხოლოდ ზოგჯერ, ხელ/დაეს კაპიტალისტურ კონკურენციას, ეს უკანასკნელი „ფარულ ხასიათს ღებულობს“, მაგრამ მაინც როდი გამოდის ისტორიულ არქივში შენახულ *ქვემოთაშენი* კა-ტეგორიით.

კონკურენცია კაპიტალის დაბანდების სფეროებისათვის ბრძოლაში ხელშე-უხებლად რჩება. აქედან იწყება ახალი ხელზართული ბრძოლების ასპარეზი, კა-რტელი და სინდიკატი ვერ წარმოადგენს კაპიტალისტური კონკურენციის ღრმა სამარეს. კონკურენცია იზღუდება, მაგრამ საეცებით არ ისპობა.

სრულებით სხვა ინდგომარობაა კაპიტალისტურ მონოპოლიის უმაღლეს ფორმაში. ამ შემთხვევაში კონკურენცია სრულებით იღვენება და იცვლება მონოპოლიათ. ჩვენ ვამბობთ ტრესტების შესახებ, ტრესტი მონოპოლისტური ფე-ზიაა და აქ მთელი თავისი სიგრძე-სიგანითაა მოცემული სრული მონოპოლიის ატრიბუტები. ტრესტი აწარმოებს წარმოებისა და ფასების რეგულიაციას, მის ხელშია კაპიტალისტური მეურნეობის თითქმის ყველა დამახასიათებელი ელემენ-ტი, აქ კონკურენცია მთლიანად იცვლება მონოპოლიათ. ტრესტის საბით „კონ-ცენტრაციამ მიაღწია იქამდე, რომ შესაძლებელი შეიქნა, დაახლოებით მაინც, აღრიცხვა ყველა ნედლი მასალის (მაგ. რკინის მადანი) მოცემულ ქვეყანაში და თითქმის... მთელ რიგ ქვეყნებში—სწერს ლენინი.—ასეთი აღრიცხვა არამც თუ სწარმოებს, კიდევ მეტო, ეს წყაროები ხელში უვარდება გიგანტიურ მონოპო-ლისტურ კავშირებს²⁾). ტრესტი თავისი სტრუქტურისა და შინაგანი ბუნების წყალობით ადვილად აღწევს თავის კონკურენციის გამანადგურებელ შე-დეგებს.

მოკლეთ, კონკურენციის შეცვლა მონოპოლიათ მიმდინარეობს მთელი ხა-ზით: ზოგან ლაროვით სწორია ეს ხაზი, ზოგან—იკლაცება, იგრიხება რათა კელავ გასწორდეს შესაძლებელ ხელსაყრელ პირობებში. მონოპოლისტური კა-პიტალიზმი თავისუფალი კონკურენციის უარყოფაა. აქ კონკურენცია იცვლება მონოპოლიათ.

საკითხი ისე არ უნდა გავიგოთ, ვიომც ყოველგვარი მტოქეობა ისპობა კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ საფეხურზე. კონკურენცია ისპო-ბა ან „იმალება“ კაპიტალისტურ მონოპოლიებში, მაგრამ კონკურენცია მაინც განაგრძობს სიცოცხლეს კაპიტალისტურ გაერთიანებითა გარეშე. ახლი კონკუ-რენციის ბუნება კარიდან გაგდებული ფანჯრიდან ამოყოფს თავს. მაგრამ ეს „ფანჯარა“ კარზე უფრო მალალი და გინიერი გვევლინება. კაპიტალისტური კონ-კურენციის ფერხულში ებმება ცალკე მონოპოლია—სწარმოებს ბრძოლა თვით მონოპოლიების შორის. ცხადია, ეს ბრძოლა როდი კარლკე-ბის ბრძოლა. აქ გოლიათების სამკედრო-სასიცოცხლო შებრძოლებაა. კაპიტალის-ტური კონკურენციის მაშტაბი „შემკირდა“, „შეიზღუდა“, მაგრამ ამდენად უფრო მწარე და მწვავე შეიქნა კონკურენციის მოქმედება. კაპიტალისტური

¹⁾ Ibid.

²⁾ Ленин, op. cit., გვ. 255.

მონოპოლიების წარმოშობით—ამბობს ნ. ბუხარინი—კონკურენცია არცაა უფრო მაღალ საფეხურზე. მრავალრიცხოვან ცალკე სამეურნეო ერთეულების კონკურენციიდან ის გადაიქცევა მსხვილ კონკურენციით, რომელიც სწარმოებს რამოდენიმე გრანდიოზულ კაპიტალისტურ გაერთიანებათა შორის¹⁾ სრული სიმართლეა ეს. მონოპოლისტური კაპიტალიზმი ჰარმონიისა და ზე-იმპერიალისტური სამეურნეო სისტემა როდია, შინაგანი წინააღმდეგობა აქ უაღრესობას აღწევს. ამ წინააღმდეგობის დამახასიათებელი ერთ-ერთი მოქმედი სწორედ ეს „მაღალ საფეხურზე“ ასული კაპიტალისტური კონკურენციაა. მეტოქეობის მოედანზე გიგანტიური სამეურნეო ერთეულებია გამოსული. აშქარაა, ამ მოედანზე მსხვერპლიც გაცილებით მეტია, ვინემ ამას აქამდე ქონდა აღვილი.

გენიალურად ახასიათებს ლენინი კონკურენციის პრობლემას მონოპოლისტურ კაპიტალიზმში. მოკლეთ, შეკუმშულად, მაგრამ ამომწურავად შენიშნავს ლენინი: „მონოპოლიებზე, რომლებიც აღმოცენდება თავისუფალ კონკურენციიდან, არ უკუაგდებენ მას, არამედ არსებობენ მასზე და მის გვერდით, და ამით ქმნიან მთელ რიგ განსაკუთრებით მწვავე და მსხვილ წინააღმდეგობას, შეხლა-შემოხლას, კონფლიქტებს“²⁾ განმარტება ზედ მეტია, ჩვენ ხაზს ეუსვამთ მხოლოდ.

თავისუფალი კონკურენციის მოსპობა მიზანი კი არ არის, ეს საშუალებაა მთავარი მიზნის მისაღწევად. მიზანი მოგების ნორმის გადიდება. მონოპოლია შედარებით იოლად აღიდება ამ ნორმას. კაპიტალისტის ინტერესებიც განაღდებული გამოდის. მართალია, კერძო კაპიტალისტმა დაეარგა საკუთარი „მე“, საკუთარი სახე და საერთო ჯამში გაითქვიფა; მაგრამ კაპიტალს როდი გააჩნია თავმოყვარეობა და ძველი ფეოდალის კუდაბზუკობა, მისი მიზანი რაც შეიძლება მეტი მოგება და ამ მიზნისათვის არ ზოგავს არავითარ საშუალებას, პიროვნულ დამოუკიდებლობასაც კი. მოგების ნორმის გადიდება—აი რა არის „კონდიტორი კაპიტალისტის“ *condicio sine qua non*. საკითხი სწორედ ასეა დასმული და სხვა ნიდაგზე მისი დაყენება შეუძლებელია კაპიტალის ინტერესებისათვის. თავისუფალი კონკურენციის „მოხსნა“ სწყვეტს ამ საკითხს. აი რატომ უთბრას კაპიტალისტი სამარეს საკუთარი ხელით საკუთარ ინდივიდუალობას.

კაპიტალისტური მონოპოლია შესაძლებელს ხდის მოგების ნორმის გადიდებას, ანდა, როგორც ავლნიშნეთ გაცკრით, „ექსტრაორდინალურ დამატებითი მოგების“ მიღებას. ეს ტერმინი პილფერდინგს ეკუთვნის და ის საკმაოდ სიძლიერით გამოხატავს ჩვენთვის საინტერესო კითხვის შინაარსს.

ჩვენი ყურადღების მთავარ ღერძს, პირველ რიგში, კარტელის ფასების პრობლემა წარმოადგენს. მართალია, ეს პრობლემა საკმაოდ არ არის დამუშავებული თანამედროვე ეკონომიურ ლიტერატურაში. ეკონომიური აზროვ-

¹⁾ Бухарин. Мировое хозяйство etc., стр. 114. ზაზი ჩვენია

²⁾ Op. cit. გვ. 305.

ნება მეშობს ამ პრობლემაზე, მეცნიერულ-მარქსისტული კვლევა-ძიება გრძელდება, მიმდინარეობს. მონოპოლიურ ფასების პრობლემა ჩვენ არ მოგვეჩინია ამოწურულად. ეს გარემოება უნდა მივიღოთ შედეგლობაში როცა კაპიტალისტურ ფასების საკითხზე ვლაპარაკობთ.

როგორც ცნობილია, საქონლის ფასი ისაზღვრება ორი მომენტით: წარმოების ხარჯებით და საშუალო მოგებით. პირველა ემატება მეორე და ამ გზით საქონლის განსაზღვრულ ერთეულზე საბაზრო ფასი წესდება. ეს დებულება, საერთოდ, ძალის არ ჰქარავს კაპიტალისტურ მონოპოლიებშიაც, მაგრამ მას მნიშვნელოვანი ახალი მომენტები ენასკება. საქონლის ფასის განსაზღვრის ძველი საზომი ახალ პირობებში განსხვავებულ სახეს ღებულობს.

პროფ. ე. ვარგამ შემდეგი აზრა გამოსთქვა: „მონოპოლიურ ორგანიზაციების მიზანს შეადგენს არა ფასების მოპატება, არამედ მოგების გადიდება“¹⁾ დაახლოებით ასეთივე შეხედულებას გამოსთქვას ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტი ლ. ი. ფ. მან. ასეთი მოსაზრება, ჩვენის აზრით სწორი არ არის და ის არც გამოხატავს არსებულ სინამდვილეს. ე. ვარგას დებულება საერთოდ როდია ნიადაგს მოკლებული. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ შეიძლება ფაქები დაბალი იქნეს შედარებით, ხოლო მოგების საერთო რაოდენობა საგულისხმოდ გადიდდეს. ეს შეიძლება, თუ გამოყენებული იქნება კანონი, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია მასსიურ წარმოების კანონს უწოდებს. ამ შემთხვევაში შეიძლება ფასები დაწეულ იქნეს, ხოლო გაძლიერებულ იქნეს საერთო პროდუქცია, საქონლის მეტი რაოდენობა იქნეს ბაზარზე გამოტანილი. იაფი საქონელი ადვილად საღდება, მოთხოვნილება-მოხპარება ფართოვდება, საქონელი მასსიურად იკვლევს გზას ბაზრებისაკენ. აქ საქონლის მოძრაობა უფრო სწრაფია, ვაცოლებით ჩქარია საექპო კაპიტალის ბრუნვა. სულ სხვაა მაშინ, როცა ფასები მალალო. ბაზარი იზღდება, წარმოება ნულდება, მამასადამე, მოგების საერთო დონე ეცემა. ამიტომ ფასების აწევა ყოველთვის არ ნიშნავს მოგების ნორმის აწევას, კაპიტალისტური დაგროვების გაძლიერებას. პირიქით, დაბალი ფასები და საქონლის მასსიური დამზადება უზრუნველყოფს საერთო მოგების ზრდა-განვითარებას²⁾.

მაგრამ როგორც კი საკითხი in concreto მონოპოლიების მიზართ დაისმება, მდგომარეობა არსებითად იცვლება. მონოპოლიები ნაკლებად სენაზენ მასსიურ წარმოების კანონს, პირიქით, ისინი ხშირად ამცირებენ წარმოებას როცა ამის საჭიროება წამოყოფს თავს. კაპიტალისტური მონოპოლიები სრულებით არ მისდევენ ფასების დაწევს, ე. ი. დაბალ ფასების პოლიტიკას. პირიქით, ბაზრისა და წარმოების მონოპოლია, კაპიტალისტური მეტოქეობის მოხსნა და აუტსაიდერებთან გაადვილებული ბრძოლა საშუალებას აძლევს კაპიტალისტურ მონოპოლიას ფასები საკუთარ ყაიდაზე ათამაშოს, რ. ჰილფერდინგი

¹⁾ იხ. ე. ვარგას წერილი: „Красный интернационал пр. ф. л. н. а. н.“ № 1, 1928.

²⁾ ვინც ამ დებულებას კარგად გაეცნობა, ადვილად გააცნობს, თუ რაღამ არის ჩვენ ეკონომიური პოლიტიკა ფასების დაწვევის საკითხშიაც რეალური და სოციალური დგროვების თვალს. ზრისათვის გამოაიღებელი. ფაქების დაწვევის პოლიტიკური მნიშვნელობა ხომ თვისადავად ცხადია და ყველასათვის გასაგებია...

საფუძვლიანად ლაპარაკობს: მოგების მოპატება ფასების გადიდების საშუალებით—აი რა არის მიზანი, რომელიც „საძირკველედ უღევს მონოპოლისტურ. შეთანხმებას“. ¹⁾ კაპიტალისტური კარტელები და სინდიკატები—ტრესტები ხომ თავისთავად იგულისხმება—იმითომ კი არ უთანახმდებიან ერთმანეთს, რომ დაბალი ფასები დააწესონ. პირიქით, ამ შეთანხმების საფუძველი სწორედ შედარებით მაღალი ფასების მიღწევაა რეალურად. კარტელების „მიზანია—იზიარებს ჰილფერდინგი—მოგების ნორმის გადიდება, ხოლო ამის მიღწევა შეუძლიათ უპირველესად ყოვლისა ფასების აწევით, რაკი მათ შეძლეს კონკურენციის აკლება“. ²⁾ იქვე ვკახობით ამ მეთხვევაზე ჰილფერდინგს და ვფიქრობთ, ეს დებულება უცვლელად სწორია და საფუძვლიანი.

მაშასადამე, მონოპოლიების მიზანია, მოგების ნორმის გადიდება არა დაბალი ფასების დაწესებით საქონელზე, მოგების ნორმის გადიდებას მონოპოლიები აღწევენ შედარებით მაღალი ფასების პოლიტიკით. შეუძლებელია ამის დაეწევა, არ დანახვა, ანდა მიფიქრება.

საკითხი პირდაპირ ისმება: როგორღა ისაზღვრება კარტელის ფასები „კარტელის ფასები ისაზღვრება უმაღლეს საწარმოო ხარჯებით“. ³⁾ ამ მოსაზრებას გამოსთქვამენ გამოზენილი ეკონომისტ-მკვლევარებიც. მაგალითად, უკანასკნელ წანებში ჰილფერდინგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „კარტელებში არსებობს ტენდენცია ფასების განსაზღვრისა იმ საწარმოო ხარჯების მიხედვით, რომლებსაც იძლევიან ყველაზე ცუდი საწარმოო ერთეულები“. აქედან აშკარაა, კარტელის ფასები შეუძლებელია იყოს—ნორმალურ პირობებში—შედარებით დაბალი. ცუდათ მოწყობილ საწარმოო ერთეულის საწარმოო ხარჯები ყოველთვის მაღალია, დიდი. დასკვნაც ერთია: მაღალი საწარმოო ხარჯები საქონლის მაღალ ფასს იძლევა. აქ მაღალია საწარმოების თვითღირებულება, მაღალი იქნება საბაზრო ფასიც. დღემდე არავის დაუმტკიცებია, რომ კაპიტალისტური მონოპოლიები ფასების საკითხში ვითომცდა დაბალ საწარმოო ხარჯებიდან გამოდიან. ფაბრიკა-ქარხანა, რომელიც შედარებით მაღალ საწარმოო ხარჯებს იძლევა, წარმოადგენს ფასების რეგულიატორს კაპიტალისტურ მონოპოლიებში. ეს ფაბრიკა-ქარხანა შეიძლება არც კი შედიოდეს კაპიტალისტურ გაერთიანებაში. შეიძლება ის ავტოსაიდური იყოს. სულ ერთია: კაპიტალისტურ საზოგადოებაში—მონოპოლიების საფუძვლზე—სწორედ ასეთი სამეურნეო ერთეული გამოდის საქონლის ფასების საზომის როლში. კაპიტალისტური თავისუფალი კონკურენცია არ არის, მაშასადამე, არ არის საერთო საშუალო ფასების რეგულიატორი, როგორც მოგების ნორმის გამათანასწორებელი საშუალება. ფასების საქანელიც კაპიტალისტურ მონოპოლიების განკარგულებაშია დატოვებული.

მეორე მხრივ, მოთხოვნილებისა და მიწოდების კანონი ღრმა დაღს ასევე საქონლის საბაზრო ფასებზე. ამითომ აუცილებელია მოთხოვნის თუ არა,

¹⁾ Гипфердинг op cit., გვ. 224.

²⁾ ibid., გვ. 255.

³⁾ М. Снегатор. Введение etc., გვ. 133.

მიწოდების მაინც გეგმაშეწონილ კალაპოტში ჩაყენება. ბაზრის ზედმეტად დატვირთვა ფაბრიკატებით უარყოფითად მოქმედობს საქონლის მაღალ ღირებზე. აქ საჭიროა ნორმალური მიწოდება. კაპიტალისტური მონოპოლისტების შედარებით ადვილად აბერებენ ამ ოპერაციას—ისინი ფარგლებში პარკეტების საერთო რაოდენობას, განსაზღვრულ დონემდე ზღუდავენ წარმოებას. მისიურ წარმოების კანონი აქ ჰქარგავს თავის დანიშნულებას. მიწოდების „რაციონალიზაცია“ წარმოადგენს „კოლექტიური კაპიტალისტის“ თავსამტკრვე ამოცანას. მონოპოლიები თუმცა არა ხანგრძლივად, მაგრამ მოკლე ხნით და თანაც თავის დროზე სწყვეტენ ამ ამოცანას, საქონლის მაღალი ფასები ძალიან რჩება. კარტელის ფასები ინელად ირყევა, იშვიათად განიცდის ცოტად თუ ბევრად საგულისხმო კანაობას.

მაშ უსაზღვროა განა კარტელის ფასების პროგრესიული განვითარება? ცხადია, არა. კარტელის ფასების ზრდასაც აქვს თავისი გარდაუვალი საზღვარი. ეს არის არა კარტელურად გაერთიანებულ სამეურნეო ერთეულების ინტერესი. „კარტელის ფასი ნახულობს საზღვარს იმაში—სწერს ჰილფერდინგი, —თუ რამდენად შეიძლება მოგების ნორმის შემცირება არა კარტელურად გაერთიანებულ დარგებში“¹⁾. ჰილფერდინგი ამ დებულებას შემდეგნაირად ასაბუთებს: კარტელში გაერთიანება ჰკლვის ხმობს მოგების საშუალო ნორმის გადიდებას. აუტსაიდერებში ეს ნორმა ეცემა. მაშასადამე, აქ იქმნება სხვაობა მოგების ნორმებში. ეს სხვაობა, ჰილფერდინგის აზრით, შეადგენს კარტელიზაციის ძლიერ იმპულსს, ეს „ძილვეს კომბინაციის ბიტს შემდეგი კარტელიზაციისათვის“. მაგრამ სწორედ ამ სხვაობის ფარგლებში კარტელის ფასები ნახულობს „საზღვარს“. „კარტელის ფასი—ისკენის ჰილფერდინგი—მაღლა იწევს კარტელურად გაერთიანებულ დარგების წარმოების ფასზე იმდენად, რამდენად არა კარტელურ დარგების ფასი წარმოების ფასზე დაბლა დაეცემა. რამდენად მრეწველობის არა კარტელურ დარგებში არსებობენ სააქციონერო საზოგადოებანი, ფორმა არ შეიძლება K+Z-ზე—ესე იგი საწარმოო ხარჯები plus პროცენტი, —დაბლა დაიწიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ სრულებით შეუძლებელი გახდებოდა კაპიტალის გამოყენება“²⁾. როგორც ვხედავთ, კარტელის ფასების მოძრაობა უსაზღვრო არ არის. „კერძო“, აქციონერულ წარმოების, აქციონერულ კაპიტალის „მინიმალური“ ინტერესის შეუღაბველობა საზღვარს უდებს ამ მოძრაობას.

კაპიტალისტურ მონოპოლიების „ექსტრა-ორდინარული დამატებითი მოგება“ მთელი თავისი სიცხადით და სიგრძე-სიგანით მოსწანს განსაკუთრებით ე. წ. კარტელის რენტაში. ეს უკვე ახალი ეკონომიური კატეგორიაა. ზენ ვიცით რიკარდოსა და მარქსის მიწის დიფერენციალური და აბსოლუტური რენტა. დიფერენციალური რენტის პრობლემა ისმება კაპიტალისტურ მონოპოლიებშიაც. რაში მდგომარეობს კარტელის რენტის შინაარსი? მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურ და კარტელურ სამეურნეო ერთეულ-

¹⁾ Op. Cit., გვ. 259.

²⁾ Ibid.

ბის საწარმოო ხარჯები სხვადასხვაა, დიდი განსხვავებაა ამ ხარჯებს შორის, საქონლის ფასები მაინც საერთოა, ერთნაირი. კარტელში გაერთიანებული სამეურნეო ერთეულები შედარებით უფროებსადაა მოწყობილნი ტენიკისადა, მაშასადამე, იქ გაცილებით მეტია შრომის ნაყოფიერება, მეტია მოგების შესაძლებლობაც. „თავისუფალი კონკურენცია—ამბობს ჰილფერდინგი,—ტენიკურ განვითარების გამო, მოითხოვს წარმოების მუდმივ გაფართოებას. გაუმჯობესებულ ტენიკის შემოღება კარტელებისათვის ნიშნავს მოგების მომატებას.“¹⁾ კაპიტალისტური მონოპოლიები—განვითარების განსაზღვრულ საფეხურამდე—ანვითარებენ წარმოების ტენიკას, აფართოებენ წარმოებას და აღიდებენ მოგების ნორმას. კარტელში გაუერთიანებელი სამეურნეო ერთეულები მუშაობენ შედარებით ცუდ პირობებში, მათი საწარმოო ხარჯები გაცილებით მეტია, მიუხედავად ამისა, ფასებში განსხვავება ან სულ არ არის, ანდა ეს ძალიან უზნიშვნელოა. მონოპოლიები ფასებს აწესებენ შედარებით მაღალ საწარმო ხარჯების მიხედვით, აი აქ იბადება კარტელის რენტა: იქნება კარტელისა და აუტსაიდერის საწარმოებთან თვითღირებულებაში რეალური განსხვავება, ფასები მაინც საზოგადო საერთო წესდება.

მართლაც, აქ სწორედ ისეთივე ანალოგიური მდგომარეობაა, როგორც მიწის დიფერენციალური რენტის წარმოშობის დროს. ფერმერი, რომელიც მიწის უკეთესს, უფრო ნოყიერ ნაპერს ამოუშვებს, ისიც გაუმჯობესებული ტენიკური საშუალებით, თან ბაზარიც ახლო აქვს, პურელს მაინც იმავე ფასებში ყიდის, როგორც სხვა ფერმერი, რომელიც ამუშავებს მიწის ცუდ ნაპერს, შედარებით ცუდ საწარმო იარაღებით და პურის ბაზარსაც დაშორებულია საკმაოდ. პირველ შემთხვევაში პურელის ერთეულის თვითღირებულება გაცილებით ნაკლებია, საწარმოო ხარჯები გაცილებით მცირეა, ვინემ მეორე შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში ფასები ერთნაირია. ცხადია, პირველი ფერმერი მეორესთან შედარებით ლეზულობს მეტ მოგებას. აქ მოგების ნორმებში რეალური განსხვავებაა. და აი ეს განსხვავებაც შეადგენს სწორედ დიფერენციალურ რენტას. კაპიტალისტურ მონოპოლიებშიაც ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი. კარტელის რენტაც რეალური ეკონომიური კატეგორიაა და არა თეორეტიული გამოგონება.

თუ არ ვსცდებით, კარტელის რენტის „ილმოჩენაში“ წვლილი მიუძღვის მ. სპეტატორს. კარტელის ფასები, სწერს ის, —განსაზღვრება საწარმოო ხარჯებით, მაგრამ არა საშუალო, არამედ ყველაზე უცუდეს პირობაში, რომლებსაც ადგილი აქვს, უმთავრესად კარტელის ვარეშე მდგომ სარეწავოებში. ამ რიგით იქნება კიდევ კარტელურ მრეწველობაში დიფერენციალური რენტა, რომელსაც ჩვენ კარტელის რენტას ვუწოდებთ.“²⁾ კარტელის რენტა, მაშასადამე, კაპიტალისტურ მონოპოლიებში დამატებითი მოგების მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენს.

კაპიტალისტური მონოპოლიები სხვა გზითაც აღწევენ მოგების ნორმის გადიდებას. კაპიტალისტური მონოპოლია მნიშვნელოვნად ამცირებს

¹⁾ ibid, გვ. 261.

²⁾ Спектатор. Введение etc., გვ. 138, ხაზი ჩვენია.

საეაქრო კაპიტალის როლს. დამოუკიდებელი ვაჭრობა თითქმის ისობა, საეაქრო კაპიტალი საგულისხმოდ ჰყარგავს თავის ძველ უფლებებსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას¹. სოციალურ-ეკონომიურ განვითარების კუთხით, დამოუკიდებელი ვაჭრობა ერთობ სუსტ როლად გვევლინება. ეს როლი ვერ უძლებს ზედმეტ ჭინვას. საეაქრო კაპიტალიც ხშირათ იღუწება ხოლმე მონოპოლისტურ მეურნეობის საერთო პროცესიდან. რასაკვირველია, ამით ჩვენ იმას როდი ვამტკიცებთ, ვითომცდა საეაქრო კაპიტალი, დამოუკიდებელი ვაჭრობის ხეცდრითი წონა ნულამდე იყოს დაყვანილი. ამის მტკიცება ნაადრევია—ყოველ შემთხვევაში. ვამბობთ მხოლოდ, კაპიტალისტური მონოპოლიები ხასიათდებიან გარკვეულ და მტკიცე ტენდენციით—დამოუკიდებელი ვაჭრობის სრული აღკვეთის, სრული ლიკვიდაციის ურყევ სურვილით. დამოუკიდებელი საეაქრო კაპიტალის როლიც ძალზე იკვეცება და იზღუდება კიდევ. დამოუკიდებელი ვაჭრობის შესუსტება-შემცირებით კაპიტალისტური მონოპოლია ინაღდებს დამატებითი მოგებას.

საეაქრო კაპიტალი წურბელაა, რომელიც სწუწნის სამრეწველო კაპიტალის წყენს. დამოუკიდებელი ვაჭრობა უმთავრესად ამ წყენით იკვებება. „საეაქრო კაპიტალი—სწერს მარქსი—თავის სასარგებლოდ იყენებს სხვადასხვა ქვეყნების საწარმოო ფასების განსხვავებას... საეაქრო კაპიტალი ითვისებს ზედმეტ პროდუქციის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს“²). რასაკვირველია, საეაქრო კაპიტალი კერძო მომხმარებლის ექსპლოატაციითაც სულდამულობს. ეს თავისთავად ცნადია და გასაგებია. მაგრამ საეაქრო კაპიტალის ძირითადი წყარო ის „ზედმეტი პროდუქტია“, რომელსაც ითვისებს მრეწველობიდან. აქედან ამყარაა წინააღმდეგობა, რომელიც საეაქრო და სამრეწველო კაპიტალის შორის არსებობს. პირველის ინტერესია საქონლის დაბალ ფასებში ყიდვა, ხოლო მაღალ ფასებში გაყიდვა. რამდენად დიდი მანძილია, ქანაობის გრძელი ამპლიტუდაა ამ დაბალსა და მაღალ ფასებს შორის, იმდენად უზრუნველყოფილია მოგების მაღალი ნორმა. მეორე მხრივ, სამრეწველო კაპიტალის მიზანია ნაწარმოების რეალიზაცია შედარებით მაღალ ფასებში. როგორც ვხედავთ, აქ ფართოთ იშლება ვაჭრისა და მრეწველის ინტერესთა წინააღმდეგობა, ინტერესთა ანტაგონიზმი. რ. ჰილფერდინგი მოსწრბულად აღნიშნავს საქმის ამ ვითარებას:

„საეაქრო მოგება არიეს ნაწილი იმ სართო ზედმეტი ღირებულების, რომელიც შექმნილია წარმოებაში. რამდენად დიდია ის წილი, რომელიც ხედება საეაქრო კაპიტალს, იმდენად—სხვა თანაბარ პირობებში—ნაკლებია მრეწველობის წილი. მაშასადამე, სამრეწველო და საეაქრო კაპიტალის შორის არსებობს ანტაგონიზმი“³).

კაპიტალისტური მონოპოლია ხელის ერთი მძლავრი მოქნევით საგულისხმოდ სპობს ამ ანტაგონიზმს. მონოპოლისტური გაერთიანება ებრძვის საეაქრო კაპიტალს—და ებრძვის ნაყოფიერად. ლენინი აღნიშნავს „იმპერიალიზმში“, რომ მონოპოლიები საკმაოდ ავიწროებენ და ზღუდავენ დამოუკიდებელ ვაჭრობას. როგორ ხედება ეს მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა? კაპიტალის ცენტრალიზაცია ამკარებს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულების საერთო

¹) К. Маркс. Капитал, т. III, гл. 270.

²) Гильфердинг. op. cit. 33. 233.

რიცხვს. რაც უფრო ნაკლებია სამეურნეო ერთეულების რაოდენობა, მით უფრო ადვილია ამ ერთეულების დაახლოება, მით უფრო მჭიდროა და ხშირად უშუალო მათი ურთიერთობა. კაპიტალისტური მანამდე მხოლოდ თითონ, უმეზვეოთ, საშუალო ელემენტების გარეშე ქმნიან ნორმალურ ეკონომიკურ ერთობას. ერთ გავრთიანებულ სამეურნეო ერთეულს ყოველთვის შეუძლია შეიკრიბოს — შესამე ასეთ ერთეულთან გააბნას უშუალო კავშირი ნივთიერ ურთიერთობის საფუძველზე. ეს ერთი პირობა სავაჭრო კაპიტალის შეხლუდვისა და ძალზე შესუსტების.

მეორე მხრივ, კაპიტალისტური გავრთიანებანი თითონვე აწყობენ საქონლის გასაღებას, თავიანთ გავლენის ქვეშ აქცევენ ბაზარს. ისინი აღებენ უნივერსალურ მალაზიებს, თავიანთ სავაჭრო ფილიალებს ქვეყნის ყველა კუთხეში, სადაც ეს შესაძლებელია და მოსახერხებელი. კაპიტალისტური მონოპოლიების სავაჭრო ძაფები იქსელება ბაზარი, ტრესტისა და სინდიკატის განიერი არხებით ირწყვება მომხმარებელთა ვრცელი მიწიერი. მონოპოლიები აერთიანებენ წარმოებისა და გასაღების პროცესს. განსაკუთრებით კაპიტალისტური ტრესტის მაგალითზე მტკიცდება ეს. აქ — ჰილფერდინგის არ იყოს — „დამოუკიდებელი ვაჭრობა საზოგადოთ ზედმეტი ხდება“. 1) ერთი გამსაღებელი იძულებული იყიდოს მონოპოლისგან, მონოპოლიურ ფასებში და გაყიდოს საერთო ფასების მიხედვით. აქ მის დარჩენია უმთავრესად სპეკულიაციური როლის შესრულება: იქ, სადაც კარტელისა და სინდიკატის ბადე გარლევულია, სავაჭრო კაპიტალი აღწევს თავს აუცილებელ შეიკრიბვისა და საკუთარ გემოზე სწუწნის ინდივიდ. თუ კოლექტ. მომხმარებლის სხეულს, რა თქმა უნდა, მოვლენა ჯერ კიდევ საზოგადოთ გაბატონებული არ არის, მაგრამ ეკონომიური განვითარების ძლიერი ტენდენცია და სელაგები სწორედ აქეთვეა მიმართული. მონოპოლისტური კაპიტალიზმში წარმოებისა და გასაღების გაორება ისპობა და ერთ სახეში ყალიბდება. და მართლაც, როგორც ერთმა ბერლინელმა საბანკო მოღვაწემ გულმოკლულად აღნიშნა, ეს არის „კაპიტალისტური ვაჭრის აღსასრული“...

ამ რიგათ, კაპიტალისტური მონოპოლიების განვითარება „ამცირებს ვაჭრობას როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებით და ოდესღაც ამაყ ვაჭრის მრეწველობის აგენტად ხდის“. 2) მონოპოლიების სავაჭრო ოპერაციების ანტიომიური დანა ხშირად გამოცდილ, კომერციულ ხელოვნებაში გაწაფულ ადამიანს უფარდება ხელში. განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ ეს ადამიანი „ყოფილია“ — ის უკვე კაპიტალისტური მონოპოლიის კომერციული აგენტია და ღებულობს არა მოგებას, არამედ ჯამავარის. მონოპოლისტური კაპიტალიზმი ბოლოს უღება დამოუკიდებელ სავაჭრო კაპიტალის თარეშს სამრეწველო კაპიტალის ზურგზე. სავაჭრო კაპიტალის ნუ ზადის, დამოუკიდებელ კაპიტალისტური ვაჭრის აღსასრულიც 3) ისტორიულ აუცილებლობად გვეკლინება.

კაპიტალისტური მონოპოლია სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელი როლის მოსპობით ფართოდ იკაფავს გზას მოგების ნორმის გადიდებისა და დანატებითი მოგების განაღებისაკენ. „ესტრა-ორდინარული დამატებითი მოგების“ წყურვილი ეკონომიური აუცილებლობით მიაქანებს კაპიტალისტურ მეურნეობას მონოპოლიების შეიკრიბვის წყაროებისაკენ...

ჩვენ შეგნებულად ავხვივთ გვერდი მეტად მნიშვნელოვან პრობლემას — ტენდენციურ პროგრესს, და სამრეწველო-ფინანსიურ კრიზისების საკითხს მონოპოლისტურ კაპიტალიზმის სისტემაში. მაგრამ ამ პრობლემას თავის დროზე და თავის ადგილას დაუბრუნდებით.

1) ibid., გვ. 232 — 233.

2) ibid., გვ. 254.



მუშაობის მეთოდთა რაციონალიზაციისათვის

საკითხი მუშაობის ტრადიციულ მეთოდთა რაციონალიზაციის შესახებ

რომ შეხვიდეთ რომელსაღე ქარხანაში ან სადმე სხვაგან. სადაც კი რაიმე მუშაობა წარმოებს, და კითხოთ მუშას, რატომ მუშაობს იგი სწორედ ასე და არა როგორმე სხვანაირად, უპასუვლია იგი გაცივრებით შეჯახვადეთ:

— როგორ თუ რატომ ასე მუშაობს და არა სხვანაირად? ეს სამუშაო აქვს და მიტომ მუშაობს ასე! ყველა ასე მუშაობს დღესაც და წინეთაც ასე უმუშავნიათ! მაშ როგორ უნდა იმუშაოს!

ცხადია, თქვენი საკითხი მისთვის სრულიად ახალია, სრულიად მოულოდნელი. მას არსებითად არც კი მიაჩნია იგი ნამდვილ საკითხად.

მაგრამ ეს განა მართო ჩვეულებრივი მუშის შესახებ ითქმის? სრულიად უდავოა, რომ მთელი საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობა ისე მუშაობდა, რომ ერთხელაც არ დაეცვებულა სრული შეგნებით ასეთი საკითხის შესაძლებლობაზე: მუშაობის წესი, მუშაობის მეთოდი არცერთხელ არ გადაქცეულა მისთვის ნამდვილ პრობლემად. იგი ტრადიციულად გადადიოდა და გადადის თაობიდან თაობაზე, და ის აუცილებელი ვაუჯობებდანი, რომელიც დროთა განმავლობაში მუშაობის ტრადიციულ წესებში უნდა შესულიყო, უპასუვლია — ასე უთქვამთ — თავისთავად, შეუგნებლად ხორციელდებოდა: იგი პრაქტიკული გონების არაციონალიზირი მჭერტელობის შედეგი უფრო იყო, ვიდრე ცნობიერად მომუშავე თეორეტიკული გონებისა.

მაგრამ ჩვენი ხანა რაციონალიზაციის ხანაა, და სრულიად ცხადია, საკითხი მუშაობის არსებული მეთოდების მიზანშეწონილობის შესახებ თავისთავად უნდა დასმულიყო. მართლაც და, სადა იმის გარანტია, რომ არსებული მეთოდი ამა თუ იმ სახის მუშაობისა უთუოდ საუკეთესო მეთოდი უნდა იყოს.

დღეს, როდესაც მეცნიერული აზროვნება იმდენად მაღალ დონეზე დგას, რომ მის გარეშე პრაქტიკული ცხოვრების საკითხების მოგვარებაც აღარ სურთ, სრულიად ბუნებრივია, რომ ეს საკითხი ერთ-ერთ უნიშვნელოვანესა და გადაუდებელ საკითხად არის მიჩნეული.

არის თუ არა ამა თუ იმ მუშაობის მეთოდი მიზანშეწონილი და თუ არ არის, როგორი უნდა იყოს იგი? აი პრობლემა, რომელიც რაციონალიზაციის ხანას პირველ რიგში გადასაჭრელ პრობლემად მიაჩნია.

როგორც ცნობილია, პირველად ამ საკითხის მნიშვნელობა ტეილორმა შეიგნა და მოაზროვნე კაცობრიობის წინაშე ახალი პრობლემის სახით წაოყენა. მისი დამსახურება ამ მხრივ განუზომელია. მან ისიც სცადა, თუ როგორ, რაგზით უნდა ყოფილიყო იგი გადაჭრილი.

ერთ-ერთმა თავის ნაწარმოებში ტეილორი შეუდევნაირად აახსიათებს იმ ნაბიჯებს, რომელიც მუშაობის საუკეთესო მეთოდის გამოსარკვევად უნდა იქმნეს გადადგმული:

1. უნდა აირჩიოთ ათიოდ - თხუთმეტობედ მუშა (უკეთესი იქნება სხვადასხვა ჭარბნიდან და სხვადასხვა ადგილიდან), რომელნიც განსაკუთრებით დახელოვნებულიად ითვლებიან შესასწავლი მუშაობის დარგში.

2. მკრე უნდა ზედმიწევნით შეისწავლო თანამდევრთა ყველა შესაძლებელ მდებრე ოპერაციები, რომელსაც აღნიშნული მუშაობის პროცესში თითოეული მუშა ასრულებს...

3. უნდა გაზომოთ სათანადო საათით დრო, რომელიც თითოეული აღნიშნული ოპერაციისათვის იხარჯება, და გამოჩახო უსწრაფესი ხერხი ამ ოპერაციის შესრულებისა.

4. ყველა ზედმეტი მოძრაობის გამორიცხვის შემდეგ უნდა შეადგინო ცხრილებად განწესრიგებული სერიები უსწრაფესისა და საუკეთესო მოძრაობებისა... არსებული არახელსაყრელი მოძრაობების ნაცვლად ეს ახალი, ხელსაყრელი მოძრაობები უნდა იქნეს შემოღებული და ნორმად დაწესებული, ამბობს იგი ¹⁾.

ტეილორის შეზღუდლება ნათელია: არსებული მუშაობის მეთოდის ნაცვლად ახალი, უფრო ხელსაყრელი მეთოდი უნდა იქნეს გამოჩახული; იგი ნორმად უნდა იქნეს მიჩნეული და სათანადო დარგის ყველა მომუშავეისათვის საკვალდებულოა უნდა გამოცხადდეს. უფრო ხელსაყრელად მუშაობის ის მეთოდი უნდა იქნეს აღიარებული, რომელიც უსწრაფეს ოპერაციებს შეიცავს და მანასადამე უმოკლესი ხნის განმავლობაში სრულდება. ამისდამიხედვით, საუკეთესო მეთოდის დაწესების ერთადერთ საშუალებად მუშაობის შემადგენელი ოპერაციების ანალიზი და მათი ხანგრძლივობის გაზომვა უნდა ჩითვალოს.

ამგვარად, ჩვენს წინაშე ისახება სამი მნიშვნელოვანი ცნება შრომის პროცესების ოპტიმიზაციისა, როგორც ეს ტეილორს ჰქონდა წარმოდგენილი: ცნება ნორმალნიზაციის, მუშაობის პროცესების ანალიზისა და მათი ხანგრძლივობის გაზომვის ანუ ქრონომეტრაციისა.

მუშაობის პროცესის ანალიზი

ჩვენ უნდა შევჩერდეთ ჯერ მუშაობის პროცესების ანალიზის ცნებაზე. ტეილორის ერთ-ერთი მიზნებრი, ცნობილი ჯილბრეზი ჩვენი დროის რირითად თავისებურებას შემდეგნა რად ახასიათებს: „ჩვენი ეპოქის ტენდენციის შეადგენს ყურადღების მიქცევა უფრო ნაწილებისადმი, ვიდრე მთლიანისადმი“-ო, ამბობს იგი და ამით მართლაც სვალსაჩინოდ აღნიშნავს იმ თეორეტულ ძირითად აზრს, რომელზეც ე. წ. ტეილორიზმია აგებული.

მართლაც და, თუ თავი და თავი ნაწილებია, და მთლიანის აკარგვიანობა ბოლოს და ბოლოს ისევე ნაწილებზეა დამოკიდებული, მაშინ ცხადია, რომ მუშაობის ახალი მეთოდის ძიებისასაც მთავარი გულისყური შრომის პროცესის ანალიზისაა ენ უნდა მიმართოს.

მაგ-ამ ანალიზიც არის და ანალიზიც! შეიძლება იგი ქვემთლიანი ნაწილების დადასტურებას ესწრაფოდეს. მაგრამ შეიძლება მას უკანასკნელი ელემენტების დადასტურებაც ჰქონდეს დასახული მიზნად. შრომის პროცესების ასეთ ელემენტებად მომუშავე ორგანიზმის ცალკე მოძრაობები უნდა ჩითვალოს, და ტეილორის განზრახვაც სწორედ აქეთ იყო მიმართული. იგი ფიქრობდა, რომ რაც უფრო ზედმიწევნით იქნება მუშაობის პროცესში შემავალ მოძრაობათა ანალიზი ნაწარმოები, მით უფრო საიმედო მუშაობის პროცესების აგება იქნება შესაძლებელი, რადგანაც რა შეგვიშლის ხელს, სველა ხელსაყრელად მიჩნეული ცალკე მოძრაობები გაავერთიანოთ და ამგვარად

¹⁾ Taylor-Roesler, Die Grundsätze wissenschaftlicher Betriebsführung, 1922.



მომართობათა ახალი კომპლექსის სახით მუშაობის ახალი წესი ან მეთოდი ავსავთ!

ტელილორიზმის მთავარი პრინციპი ასეთია: რაც უფრო მეტი მუშაობის პროცესში შემაჯავრო მოძრაობათა რიცხვი და რაც უფრო მეტი ეფექტურობა მათზე, მით უფრო არა ეკონომიური და მაშასადამე არა რაციონალურია თვით მუშაობის პროცესი. ცხადია, შრომის მეთოდის ნორმალიზაციის პრინციპად აქ მოძრაობათა ეკონომიაა მიჩნეული: მოძრაობათა ნაკლები რიცხვი, თითოეული მათგანის სისწრაფე და სიმარტოვე ტელილორის სათვის ვდამიანის ენერჯის ეკონომიისა და მისი მუშაობის ნაყოფიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. სრულიად ცხადია, რომ ჩვენი დროის შრომის რაციონალიზაციისათვის, სადაც იგი ტელილორის მძლავრი ზეგავლენის ქვეშ განვითარდა, მუშაობის პროცესში შემაჯავრო მოძრაობათა ეკონომიის თვალსაზრისით შეიქმნა დამახასიათებელი. მოძრაობათა სიმარტოვე ანუ სიმოკლე და მათი სისწრაფე—აი რა უნდა ახასიათებდეს ტელილორის მიხედვით ნორმალ მისაღებ მუშაობის მეთოდს.

მაშასადამე, მოძრაობათა შესწავლის ამოცანას მუშაობის პროცესში შემაჯავრო ელემენტარულ ოპერაციათა ხანგრძლივობისა და ფორმის მიხედვით გამოკვლევა უნდა შეადგენდეს. პირველი ამოცანის გადაჭრას ე. წ. ქრონომეტრაციის ემსახურება, ხოლო მეორისას—ციკლოგრაფია.

ქრონომეტრაცია

ტელილორის სისტემაში დროის ეკონომია განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა, ტელილორის მიხედვით, ისიცაა, რომ როგორც ობიექტურად იქნეს დადასტურებული, თუ რა დროა მართლაც საჭირო ამა თუ იმ მუშაობის შესასრულებლად. ამ ნიადაგზე დაიბადა ე. წ. დროის შესწავლა, რომლის ძირითადი მეთოდებიც უკვე ტელილორის მიერ იყო შემუშავებული და ქრონომეტრაციის სახელწოდებით შრომის რაციონალიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს საქმედია მიჩნეული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ რიგში მუშაობის პროცესის მთავარი, ელემენტარული ოპერაციები უნდა იქნეს გამოჩნებული. ჩვეულებრივ, ამ მიზნისათვის მუშაობის სისტემატური დაკვირვებით სარგებლობენ.

ესტაბლი, რომ ყველა ასეთი ძირითადი ოპერაციები დადასტურებულია. ამის შემდეგ მათი ხანგრძლივობის შესწავლის საკითხი დგება. როგორც ტელილორიც აღვნიშნავს, მთავარი აქ მოძრაობათა სისწრაფის მხრივ ურთიერთშედარებაა; მაშასადამე, რამოდენიმე მუშის დაკვირვება ხდება საჭირო. მიღებული შედეგები საგანგებოდ დამუშავდნულ ცხრილებში შედის და ამ სახით შეადგება მასალა საკითხის გადასაჭრელად.

თავის თავად იგულისხმება, ჩვეულებრივ საათი აქ გამოუსადეგარია: მას არ შეუძლია დროის უმცირესი ნაწილების აღნიშვნა. ამიტომ ჩვეულებრივ ე. წ. ქრონომეტრის ხმარობენ, რომელიც სექუნდის მცირე ნაწილების მხედველობაში მიღების შესაძლებლობას იძლევა. იმ შემთხვევაში, როდესაც მოძრაობათა სისწრაფის გაზომვა დიდის ზედმიწევნილობით უნდა მოხდეს, ქრონომეტრიც გამოუსადეგარია. მის მაგიერ უფრო გრძნობიერ დროის საზომებს მიმართვენ ხოლმე. განსაკუთრებით ცნობილია ჰიპის ქრონოსკოპი, რომელიც სექუნდის მეთათვის ე. წ. სივამის მხედველობაში მიღების შესაძლებლობას იძლევა.

სანიმუშოდ შეიძლება ერთ-ერთი მარტოვე მუშაობის პროცესის ქრონომეტრული ცხრილი მოვიყვანოთ, მაგალითად, მეტალურ რკლის ორ ადგილის განვრტვისა: ¹⁾

¹⁾ ამოღებულია Schiesinger, Psychotechnik und Betriebswissenschaft.

	სქ.	სქ.	სქ.	სქ.	სქ.	ჯამი	საშ. თითოს
საზერეტის შაბლონის მომარჯუება	90	18	28	18	45	134	27
ზერეტა ერთს ადგილას	50	80	35	36	31	184	37
მიმაგრება	18	16	15	20	20	84	17
მეორე ადგილას ზერეტა	35	35	37	33	40	180	36
გადმოღება	30	20	40	20	16	126	25
	158	119	150	127	151	708	142

ცხრილიდან ადვილად შეიძლება ამოვიკითხოთ, თუ რა დრო უნდა საშუალოდ თითოეულ ოპერაციას, რომელს უფრო მეტი დრო ესაჭიროება და სხვა. იზადება საკითხი: რა არის მთავარი მიზანი ამგვარი ცხრილებისა? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტელიორის მიხედვით, ქრონომეტრაჟი მუშაობის ხელსაყრელი ნორმის დადგინების მიზანს ემსახურება. მაგრამ როგორ? იგი ამუშავებს რამოდენიმე (10-15) საუკეთესოს, გამაოცდილ მუშას და ადასტურებს თითოეულ ოპერაციისათვის საჭირო საშუალო დროის ხანგრძლივობას. იგი პოულობს ამგვარად თითოეული ოპერაციის ხანგრძლივობას, რომელიც საუკეთესო მუშისათვის ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ასეთი „ნორმალური“ სისწრაფის ოპერაციების ერთობლიობა მუშაობის საუკეთესო მეთოდად და მაშასადამე ყველასათვის სავალდებულო ნორმად ცხადდება. უქვეელი შედეგი მუშაობის ახალი ნორმის შემოღებისა შრომის ნაყოფიერების ზრდაში იჩენს თავს: თუ წინეთ მხოლოდ ზოგიერთი მუშაობდა „ნორმალური“ სისწრაფით, ესლა ყველა იძულებული ხდება თანაბარი სისწრაფის ტემპო დაიცვას და მაშასადამე ყოველდღიური პროდუქციის რაოდენობა საგრძნობლად გააიდიოს. უკველია, ქრონომეტრაჟი ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს.

მაგრამ რით? გაანა იმით, რომ მართლა ახალი მიზანშეწონილი მუშაობის მეთოდია მონახული?

რასაკვირველია, არა. ახალ მეთოდზე ლაბარაჟი აქ სრულიად ზედმეტი. აქ მხოლოდ უკვე არსებულის განზოგადოებაა, სახელდობრ მუშაობის იმ ფორმისა, რომელიც საუკეთესო მუშისთვის აღმოჩნდა დამახასიათებელი. ახალი აქ მხოლოდ ისაა, რომ ყველა ვალდებული ხდება იმ სისწრაფით იმუშაოს, რომელიც მომუშავეთა ერთი კატეგორიისათვის წარმოადგენს მუშაობის ნორმალურ ტემპს. უბრალო ემპირიული მონაპოვარი სასურველ ნორმად ცხადდება, ნაცვლად იმისა, რომ ნამდვილი მეცნიერული შემოქმედების გზით მუშაობის მართლა რაციონალური ფორმა იქმნეს მიკვლეული.

ტელიორისტული რაციონალიზაციისათვის ტლანქი ემპირიის გარეშე არცაა სხვა გზა საჭირო. თორმე შესაძლო ყოფილა არსებული საშუალო ოპერაციები ასეთი და ასეთი სისწრაფით ხორციელდებოდეს. მაშ რატომ ყველა არ უნდა იცავდეს ამ სისწრაფეს! ტელიორი ფიქრობს, რომ მუშაობის ხელი ტემპის მიზნში მუშის ინერტობაა, მისი განზრახა შეგნებული პასიურობა—ერთერთ იარაღი, რომელსაც იგი კლასთა ბძობლაში იყენებს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ უნდა დაევალოს ყველას მეტი სისწრაფით იმუშაოს, სახელ-



დობრ იმ სისწრაფით, რომლითაც ე. წ. გამოცდილი მუშები მუშაობენ, თუ მიზანი შრომის მაქსიმალური ნაყოფიერებაა, ცხადია, ამ მიზნის განხორციელება სათანადო საშუალებებით უნდა იქნეს ნაცადი: „შრომის წარმატებამ“ მუშასა და მანქანის რაც შეიძლება მეტი ეკონომიური გამოყენების შედეგად უნდა მიყვებოდეს და მანქანამ თავის უმაღლეს ნაყოფიერებას, თავის მაქსიმალურ ეფექტს უნდა მიიღოს (1). ამიტომ ტელიოზი, და როგორც ჩანს თითოეულის მაქსიმალურ ეფექტად იმ ეფექტს თვლის, რომელიც საუკეთესო მუშისათვისაა მაქსიმალური.

თუ ვიგულისხმებთ, რომ მუშა იგივე მანქანაა, რომელიც რომ გაცდებდა, იმწამსვე შეიძლება გამოიყვალოს; თუ ვიგულისხმებთ, რომ მისი როლი მხოლოდ მის მიერ შექმნილი პროდუქტების რაოდენობით გაიზოგება და ისიც მოკუმული დროის ერთეულის განმავლობაში, მაშინ, ცხადია, ტელიოზიში მართალია. მაგრამ ვისთვისაც ადამიანი მეტია, ვიდრე მანქანა; ვისთვისაც ცოცხალი ორგანიზმი თავისი დამოუკიდებელი კანონზომიერებისა და არა ნაკლებ დამოუკიდებელი ღირებულების მატარებელია, ვისთვისაც იგი ნივთიერ ღირებულებათა წარმოების უბრალო საშუალება კი არაა, არამედ თვით მიზანია, მისთვის ტელიოზიში ქრონომეტრატზე დამყარებული მუშაობის მეთოდის ნორმალუზაცია რასაც იგრძელებს სრულიად შეუწყნარებელია.

ჯერ ერთი, საუკეთესო მუშის მუშაობის ტემპი და ისიც სპეციალურად მოწყობილ პირობებში — და არა ყოველდღიური მუშაობის სიტუაციაში — სრულიად შეუძლებელია ყოველი სხვა მუშის ფსიქოფიზიკური ორგანიზმის მუშაობის საკლებულ ტემპოდ იქნეს მიღებული, ვინაიდან შესაძლებელია იგი მისი ბუნებრივი ტემპის ფარგლებს საგრძობლად სცილდებოდეს და მასთანადავე მომუშავე ორგანიზმის ნაადრევად ვაცვეთისა და დაუძღვრების მიზეზად გარდაიქცეს.

მეორე: განა მუშაობის ელემენტალური ოპერაციებისა და თვით მთლიანი მუშაობის უფრო მოკლე დროის განმავლობაში მოსწრება მუშაობის მეთოდის გაუზიარებლობასა და რაციონალიზაციას ნიშნავს? სრულიად უდავოა, რომ ამ შემთხვევაში გარდა დროის ეკონომიისა სხვასთან არაფერთან არ გვაქვს საქმე. მაგრამ დრო და ცოცხალი ორგანიზმის ფსიქოფიზიკური ენერგია ხომ ერთი და იგივე არაა! მუშაობის მეთოდის ნამდვილ რაციონალიზაციასთან ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში გვეკნებოდა საქმე, თუ რომ მომუშავე ორგანიზმის ენერგიის თითოეული ერთეული წინანდელზე მეტ ეფექტს მოგვცემდა. ქრონომეტრატის ნიადაგზე აღმოცნებული „ნორმა“ კი ენერგიის ერთეულისა და მისი პროდუქტის ნიშარების ოდენობას ოდენადაც არ ცვლის. აქ შრომის პროდუქტების რაოდენობის ზრდა მთელი ორგანიზმის ენერგიის დამახავთა აგებულის და რამდენადაც ცოცხალ ორგანიზმს მაქსიმალური დამახავთების პირობებში ხანგრძლივად მუშაობა არ შეუძლია, ქრონომეტრატის ნიადაგზე წარმოებული ნორმალუზაცია ნაადრევად აუტლურებს მას და შრომის უნარს უკარგავს. საბოლოოდ, ამდაგვარი „რაციონალიზაცია“ სწორედ საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა: ნაცვლად ადამიანის ცოცხალი ენერგიის ეკონომიისა, იგი გაუფრთხილებლად ფლანგავს მას და მთელი სიცოცხლის განმავლობაში შესაძლო შრომის პროდუქტის რაოდენობას საგრძობლად ამცირებს.

გარდა ამისა, საგულისხმოა ესეც: იმისთვის, რომ მუშაობის ესა თუ ის მეთოდი რაციონალურ მეთოდად იქნეს ცნობილი, სრულიად არაა საკმარისი, იგი საუკეთესო მუშის ჩვეულებრივ მეთოდს წარმოადგენდეს. საქმე ისაა, რომ ეს უკანასკნელი შემთხვევით და არა ცნობიერი შეგუების შედეგად არის შექმნილი. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ აქაც იგივე პრობლემა დაისვას: რამ-

1) Taylor-Roesler, op. cit. გვ. 10.

დენად არის იგი მიზანშეწონილი? რამდენად უზრუნველყოფს მომუშავე ორგანიზმის ცოცხალი ენერჯის ეკონომიას? ადვილი შესაძლებელია, ანა თუ იმ სუბიექტმა რაიმე გარემოების ზეგავლენის გამო ძალების უგუნველყოფილად დაძაბულობით მუშაობის ჩვეულება შეითვისოს. მისი მუშაობის წარუმატებლობის გამო იგი რა თქმა უნდა საუკეთესო მომუშავედ იქნება მიჩნეული, ხოლო მისი მუშაობის წესი საერთო ნორმის საფუძველად. მაგრამ ნამდვილად, როგორც ვხედავთ, მისი მუშაობის მეოთხედი მისთვისაც ისევე არარაციონალურია და საბოლოოდ მავნებელი, როგორც ყველა დანარჩენისათვის, როდესაც იგი ქრონომეტრულ გამოძვავათა შემდეგ საერთო სავალდებულო ნორმად იქნება გამოცხადებული.

ერთი სიტყვით, სრულიად ცხადია, ქრონომეტრაციის საშუალებით ნამდვილის, რაციონალური მუშაობის მეთოდის დადგინება შეუძლებელია: სამუშაო მოძრაობათა სისწრაფე ადამიანის შრომის რაციონალიზაციის პრინციპად ვერ გამოდგება.

რატომ უნდა, როდესაც საქმე რაიმე ახალი მანქანის აგებას ეხება, უგუნველია, იგი მით უფრო ხელსაყრელი იქნება, რაც უფრო სწრაფად იმუშავეს და დროის მოკლებულ ერთეულში რაც უფრო მეტს ენერჯიას ვაშლის. მაგრამ ადამიანი ცოცხალი ფსიქოფიზიკური არსებაა, რთული ორგანიზმია, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი კანონზომიერება აქვს, რომლის უყურადღებობაც ყოველთვის საბედისწერო შედეგებს იწვევს ხოლმე.

ტელილორის სკოლამ ცადა ამ გარემოებისათვის მეტი ყურადღება მიექცია, ვიდრე მას თვითონ ტელილორი ახერხებდა, და ქრონომეტრაცი, როგორც მეთოდი შრომის ნორმირებისა, კვლავ ძალაში დატოვებია.

რაში მდგომარეობს ეს ცდა? გერმანელი ტელილორისტი მიხელი¹⁾ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რაგინდ ზედმიწევნითაც უნდა იყოს ქრონომეტრაცი ნაწარმოები, მის მიერ დადასტურებული დროის მინიმუმის დაცვა ფაქტიურად მიუზღვევლია: სრული პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი მუშაობის ჩვეულებრივ პირობებში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოეთხოვოს მუშას დროის საშუალო მინიმუმის დაცვა. ეს მხოლოდ იდეალია როლის მიხვევაც მხოლოდ არა ჩვეულებრივი შემთხვევისა შესაძლო და ისიც მუშაობის არაჩვეულებრივ ხელსაყრელ ნივთიერ პირობებში. მუშაობის სისწრაფის სწორი ნორმის დადგენისას საშუალო შრომის უნარაინი ადამიანისათვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობს, აუცილებლად საჭიროა, გამოანგარიშებულ ნორმას დამატებითი დრო დაერთოს... დამატებითი დრო, რომელიც ანგარიშს უწევს დალილობას ხანგრძლივი მუშაობის პროცესში რომ წნდება, და სხვა აუცილებელს დროის დაკარგვას²⁾-ო, ამბობს მიხელი.

ამგვარად, ცხადად ჩანს, ქრონომეტრაცი მოძრაობათა სისწრაფის წმინდა პრინციპს არღვევს და ადამიანის ფსიქოფიზიკური ორგანიზმის კანონზომიერებისადმი შეგუებას (ადილობს. მაგრამ რამდენად ახერხებს ის ამას, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არკვევს იგი როგორც მინიმალური დროის ნორმას, ისე დამატებითი დროის ხანგრძლივობასაც.

მუშაობის პროცესების ხანგრძლივობის გაზოგვა მიხელის მეთოდითაც ისე ხდება, როგორც ჩვეულებრივ. განსხვავება ისაა, რომ აქ უთუოდ საუკე-

1) Michel, Wie macht man Zeitstudien (Nach Taylor und Merrick). 1920. მეთოდის აღწერა შეად. Ержанский, Теория и практика рационализации т. I. 1928 г. стр. 84 и сл.

2) ციტატა ამოღებულია-Ержанский, op. cit. გვ. 87.

თესო მუშების ოპერაციებს როდი ზომავენ, როგორც ტელორის მიხედვით საჭიროდ. მაგრამ ეს განსხვავება სრულიად არაა მიხედვის მეთოდისათვის დამახასიათებელი: იგი საერთო თვისებაა ჩვენი დროის ქრონომეტრებისა. მხოლოდ

სამაგიეროდ მიხედვის მეთოდს სხვა რამ ახასიათებს: თავისთავად იგულისხმება, ერთსა და იმავე ოპერაციას ყველა მუშები ერთნაირი სისწრაფით ვერ ასრულებენ. ზოგი მეტ დროს ანდომებს მას და ზოგი ნაკლებს. მაგრამ განსხვავება მათ შორის ძალიან დიდი არ არის. ყოველთვის არსებობს განსაზღვრული—მეტად თუ ნაკლებად ფართო—ამპლიტუდა, რომელიც ცალკე ოპერაციებისათვის დახარჯული დროის ხანმრძლიერობის რხევას ახასიათებს. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, რომ ცხრილში ერთბაშად განსაკუთრებით დიდი ან განსაკუთრებით მოკლე დროის ხანგრძლივობა გვეხდება ხოლმე. ძნელი სათქმელია, რა არის ასეთი გამონაკლისი შემთხვევების მიზეზი: ყოველ შემთხვევაში მიხელი ამ საკითხს არ ეხება. მისთვის საკმარისია, ესა თუ ის რიცხვი საგრძნობლად იყოს გადაცილებული აღნიშნული ამპლიტუდის საზღვრებს, რომ იგი შემთხვევითი თა ხასიათის მონაცემად ჩითვალოს და სათანადო ოპერაციის ხანგრძლივობის ნორმალური მინიმუმის გამოანგარიშების შედეგობაში არ იქნეს მიღებული. ამგვარად ვაზომავთ ოპერაციების ხანგრძლივობას იგი მთელი ცხრილის მონაცემთა მიხედვით როდი ანგარიშობს: ე. წ. შემთხვევითს, გამოჩაყლის ციფრებს იგი ცხრილიდან შლის და მაშასადამე სრულიად უგულებელჰყოფს. შემდეგ დანარჩენი ციფრების მიხედვით თითოეული ოპერაციისათვის ე. წ. საშუალო არითმეტიკულს პოულობს, მას ჰყოფს იმ აბსოლუტ მინიმალურ რიცხვზე, რომელსაც ცხრილის სათანადო პრიზონტალი ხაზი შეიცავს და მიღებულ რიცხვს ქრონომეტრირებული ოპერაციის ნორმალური გადახრის კოეფიციენტად თვლის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი რაოდენობა 3% ს არ აღემატება.

ამის შემდეგ ვერ ყველა ელემენტარი ოპერაციების გადახრის კოეფიციენტთა შეკრება წარმოებს და შემდეგ ვაყოფთ მიღებული ჯამისა ყველა ოპერაციების რიცხვზე. მიღებულ რეზულტატს მიხელი გადახრის საშუალო კოეფიციენტად თვლის. შემდეგ თითოეული ელემენტარი ოპერაციის ხანგრძლივობის საშუალო არითმეტიკული გადახრის საშუალო კოეფიციენტზე იყოფა და მიღებული რიცხვი მონაცემი ელემენტარი ოპერაციის ხანგრძლივობის საშუალო მინიმუმად ითვლება. თუ ყველა ამ საშუალო მინიმუმებს შევაჯამებთ, მივიღებთ მთელი შრომის ოპერაციის ხანგრძლივობის ნორმას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, „თუ გადახრის კოეფიციენტი 30 პროცენტს არ აღემატება“¹⁾.

ასეთია მიხედვის მეთოდი მინიმალური დროის ნორმის გამოანგარიშებისა. მაგრამ რამდენადაც თვითონვე მიხელი მის მიერვე დადგენილ ნორმას იდეალად სთვლის, რომლის შესრულებაც ვერავითარ შემთხვევაში ჩვეულებრივ მუშას ვერ მოეთხოვება, ცხადია, რას უნდა უდრიდეს ასეთი „ნორმის“ ღირებულება.

მაგრამ შეიძლება „მინიმალური დროის ნორმის“ ნაკლის დამატებით დრო ავისებს, რომელიც მიხედვის აზრით მას უნდა დაერთოს. რაჟი ამ დამატებითი დროის აუცილებლობას, როგორც უკვე იყო აღნიშნული, უმთავრესად დაღალულობის ფაქტი იწვევს, უნდა ვივლოისხმოთ, მისი რაოდენობის სწორი გამოანგარიშება მხოლოდ დადასტოვების ფსიქო-ფიზიოლოგიურ მონაცემთა მიხედვით უნდა იყოს შესაძლებელი. სამწუხაროდ, მიხელი

¹⁾ იხ. Ерманский, op. cit. გვ. 86.

სულ სხვა გზას ირჩევს. როგორც ტვიღლორისტი, იგი თავისი მასწავლებლის ნიმუშს მიხედვს და ნაკვალად დაღლილობის ფსიქო-ფიზიოლოგიური შეგნების გათვალისწინებისა და დამატებითი დროის ხანგრძლივობის შესწავლა და დაჯიშობით გაზომვისა, იგი მათემატიკის ბარტის მიერ გამოყვანულ გამოყვანულ ფორმულაში იყენებდა. მიხედვით დაამატებითი დროის ხანგრძლივობა ამგვარად ფსიქო-ფიზიოლოგიურად კი არა, წმინდა მათემატიკურად არის დასაბუთებული. სრულიად ცხადია, შეუძლებელია ასეთი დამატებითი დროის ზედდაროვამ მიხედვის „მინიმალურ ნორმას“ რაიმე შეკმატოს და ნამდვილ ნორმად აქციოს, რომელიც ტვიღლორის ქრონომეტრიზებული ნორმების ნაკლთაგან სრულიად თავისუფალი იქნებოდა.

ამგვარად, უამრავი ვერც მიხედვის ქრონომეტრული ახერხებს თავისი მიზნის განხორციელებას: მუშაობის რაციონალური მეთოდის დადგინებას. და ეს არცაა საკვირველი: შრომის რაციონალიზაცია ადამიანის ფსიქო ფიზიკური ენერჯის ნეკნიერული შესწავლის გზით შეიძლება განხორციელებულ იქნეს. ქრონომეტრული ადამიანის ცოცხალი მუშაობის ცალკე ელემენტებს იღებს, დამოუკიდებლად სწავლობს მას და ისიც მართა ერთის მხრივ, სახელდობრ, სისწრაფის მხრივ მისი შესწავლის საგანი ამოგლეჯილია იმ მთლიანობიდან, რომელიც მას კვებას და ამომრავებს: ცოცხალი ორგანიზმის კანონზომიერების მიხედვით მოქმედ მოძრაობათა მთლიანობიდან. გასაგებია, რომ ასეთი შესწავლის შედეგად ვერას დროს ვერ მივიღებთ მოძრაობათა იმ მთლიანობას, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის მუშაობის ყველაზე უფრო შესაფერის მეთოდად იქნებოდა შესაძლო ჩათვლილიყო.

მაგრამ შეუძლია იქნებოდა დაგვეყენა, თითქოს ქრონომეტრული საზოგადოდ ყოველ მნიშვნელობას მოკლებული მეთოდია და რომ ამიტომ იგი შრომის მეცნიერების საზღვრიდან სრულიად უნდა იქნეს განდევნილი. არა! სამუშაო ოპერაციებისა და მთელი მუშაობის ხანგრძლივობის გაზომვას შეუძლებლად აქვს მნიშვნელობა და ზოგჯერ ძლიერ დიდოც. მაგრამ არა იმისთვის, რომ მხოლოდ მისი ნიადაგზე მუშაობის რაციონალური ფორმები და მეთოდები იქნეს აგებული. ეს ქრონომეტრული არ შეუძლია და ამიტომ არც მოუთხოვება. სამაჟიეროდ, არის არა ერთი შემთხვევა, სადაც გარდამწყვეტი სიტყვა ქრონომეტრული ეკუთვნის. ეს ის შემთხვევებია, სადაც საკითხი სწორედ დროის მომენტს მაგალ. ამა თუ იმ სამუშაოს ხანგრძლივობას ეხება. სანიშნოდ, ერთმანსკი შრომის რაციონალური ორგანიზაციის იმ ამოცანას ასახელებს, რომელიც შრომის პროცესების დროის მხრივ შეთანხმებულობაში მდგომარეობს.

ერთივეთ, შედიხარ პაპიროსის ქარხნის იმ განყოფილებაში, სადაც პაპიროსები მზადდება. ეთქვათ, აქ სულ 30 მანქანა მუშაობს, რომელიც ავტომატურად ამზადებს პაპიროსებს. როდესაც დამზადდება განსაზღვრული რიცხვი, უნდა მოვიდეს საგანგებო პირი, ჩამოართვას პაპიროსები და ჩააბაროს დანიშნულების მიხედვით. და აი თქვენ შემდეგ სურათს ხედავთ: ერთ მანქანასთან ჩანოდეხნიმე „ჩამომართვენი“ დგას და უცდის, როდის დამზადდება პაპიროსთა საკმარისი რიცხვი, რომ ჩამოართვას და დადიტანოს სადაც საჭიროა. მეორე მანქანასთან კი არც ერთი ჩამომართვენი არაა, მაშინ როდესაც აქ კარგა ხანია რაც საჭირო რიცხვი დამზადებულია, და ახალი პაპიროსები ძირს სცივია და ფუჭდება: იძულებული ხდებით, მანქანა გაიჩეროთ. „ჩამომართვენი“ უწყსრიოდ გარბიან ერთი მანქანიდან მეორისაკენ, ხან ერთს ეცემიან და ხან მეორეს“.

„დგება ამოცანა, ამ ქაოტურად დაყენებულ საქმეში რაიმე რაციონალური ორგანიზაცია იქნეს შეტანილი. და აი ამ ამოცანისათვის არა თუ შეიძლება, არამედ აუცილებელი იქნება სწორედ ქრონომეტრული მივარათოთ. უნდა გამოანგარიშებულ იქნეს, თუ რა დროს ხარჯავს ჩამომართვენი პაპიროსის

გადატინასა და უკანე მანქანასთან დაბრუნებაზე; უნდა გამოკვეთულ იქნეს, თუ რა დრო გდის, სანამ მანქანა პაპიროსთა საეკარის რაოდენობას დაამზადებდეს, რომელიც უნდა ჩამოერთმეულ იქნეს. თუ მაგალ. აღმოჩნდა, მანქანის ქართი მანქანა პაპიროსთა საეკარის რაოდენობას დაამზადებდეს, ჩამომთავრებულ ასრუბებს პაპიროსის ჩაბარებას, მაშინ აქედან სათანადო ორგანიზაციული დასკვნა შეიძლება გამოიყვანოს: თითო ჩამომთმევი ორ მანქანას მოემავროთ, რომელზეც მარტო მათ ექნება მუშაობა დავალებული. პრაქტიკული სარგებლობა შრომის ნაყოფიერების გაზრდის სახით აქ უმჯობესად იქნება მიღებული. და ეს შედეგი ქრონომეტრატის გონივრული გამოყენების წყალობით იქნება მიღწეული¹⁾.

გარდა ამისა, ქრონომეტრატის უქველგი მნიშვნელობა აქვს პროფესიოგრაფიული საკითხებისათვისაც. არის პროფესიები ან მათი ცალკე ოპერაციები, რომელთაც ობიექტურად აუცილებლად გარკვეული სისწრაფე უნდა ჰქონდესთ. აღნიშნული პროფესიისათვის სათანადო პერსონალის არჩევისას, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცოდნას, თუ რა სისწრაფის უნდა იყოს ეს თუ ის ოპერაცია, რათა შესაფერისი მუშაობის ტემპის სუბიექტი იქნეს არჩეული. ამის გამოკვეთვა კვლავ ზედმიწევნითი ქრონომეტრიული კვლევით შეიძლება.

ზოგჯერ მუშაობის ტემპო სრულიად მოულოდნელად რაიმე არანორმალურ გადახრას განიცდის. უქველგი, აქ რაღაც მიზეზი მოქმედებს, რომლის თავიდან აცილება აუცილებელია, რათა მუშაობის ნორმალური ტემპო, აღდგენილ იქნეს. ხშირად, ტემპოს ასეთის არა ნორმალური გადახრის მიზეზი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანს, მაგრამ ადვილად თავიდან ასცილებელ გარემოებას წარმოადგენდეს. ქრონომეტრატის როლი ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ იგი ტემპოს არანორმალური გადახრის ფაქტზე მიგვითითებს და მაშინადაც თავის დროზე სათანადო ზომების მიღების საჭიროებაზე გვაფიქრებინებს.

ერთი სიტყვით, ქრონომეტრატის უქველგი მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციის რაციონალიზაციისათვის; მაგრამ, სრულიად განსაზღვრულ ფარგლებში, ხოლო მუშაობის ოპტიმალური მეთოდის ძიებისას იგი მაინცდამაინც საგულისხმოს ბეგრს ვერაფერს გვაძლევს.

რ. ერმანსკი — ერთ-ერთი შეუთავსებელი მოწინააღმდეგე ქრონომეტრატისა — სრულიად უარყოფს მის როლს სამუშაო ოპერაციების ნორმალიზაციის ამოცანათა გადაჭრისას: „შეუძლებელია მოეთხოვოს ქრონომეტრატის ის, რის ნაცემაც მას არ შეუძლია. მას შეუძლია გაზომოს ხანგრძლივობა დროის რომელიმე ნაკვეთისა, მას შეუძლია დაადასტუროს ის, რაც არის, ის სისწრაფე, რომლითაც ფაქტიურად მუშაობენ. მაგრამ მას არ შეუძლია გვიჩვენოს ის, რაც უნდა იყოს, არ შეუძლია დააწესოს, თუ რა სისწრაფით უნდა წარმოებდეს მუშაობა, რათა ადამიანის ძალთა ნორმალურის, რაციონალური გამოყენების შესახებ შევძლოთ დაპარაკი. ქრონომეტრატის არ შეუძლია ვადოს ზიდი მას შორის, რაც არის და რაც უნდა იყოს“ — ამბობს ერმანსკი²⁾.

მაგრამ მისი არგუმენტები ყოველთვის სწორი არ არის.

პირველი, რასაც იგი აღნიშნავს, შემდეგია. როდესაც ქრონომეტრატე რაოდენივე მუშის ერთსა და იმავე პირობებში მუშაობის ხანგრძლივობას ზომავს, ამას იგი იმ მიზნით შევება, რომ მას განსაზღვრული სამუშაო ოპერაციის სისწრაფის საშუალო არითმეტიკული ოდენობის მონახვა წადი. ამისათვის იგი აღნიშნული ოპერაციის სვეტის ყველა ციფრებს აერთებს და ვასინჯულ მუშათა რიცხვზე ჰყოფს, რის შედეგადაც საშუალო არითმეტიკულს ლებულობს, რო-

¹⁾ Ерманский. op. cit. გვ. 106—107.

²⁾ Ibid. გვ. 82.

მელსაც აღნიშნული ოპერაციის სისწრაფის ნორმად აცხადებს. მაგრამ მოახდენს ეს გარემოება რაიმე ვაგლენას შრომის ნაყოფიერებაზე მოიგებს რასმე ამით წარმოება? კითხულობს ერმანსკი. და მისი პასუხი: „სწრაფი იქნება არაფერს. რადროსაც, წინეთ ხარჯადენ ყველანი ეწინააღმდეგებიან“¹⁾ ამასვე დაბარჯავენ ახლი ნორმის მიხედვით მუშაობისასაც, ვინაიდან ვინც უფრო სწრაფად მუშაობდა, მან უნდა შეინელოს ტემპი; ხოლო, ვინც ნელა მუშაობდა, მხოლოდ მას მოუხდება უფრო სწრაფად მუშაობა. „განსხვავება იქნათან შედარებით, რაც წინედ იყო, მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ ეხლა ყველამ თანაბარი სისწრაფით უნდა იმუშაოს, მაშინ როდესაც წინეთ სისწრაფე სხვადასხვა მუშას სხვადასხვა ჰქონდა“-ო,²⁾ მსჯელობს ერმანსკი.

მაგრამ ეს არგუმენტი ერთ წინასწარ ნაკულსხმევე დებულებას ეყრდნობა, რომელიც არ არის სწორი და მანასადამე არც დასაყენა შეიძლება მისაღები იყოს. სახელდობრ, აქ ნაგულსხმევეია, თითქოს ქრონომეტრები, რომელიც შრომის პროცესების ნორმალისაციის მიზნით წარმოებს, ერთისა და იმავე წარმოების ყველა მუშების სამუშაო ოპერაციითა სისწრაფეს იკვლევდეს და ამის მიხედვით ამ ერთი წარმოების ფარგლების საშუალო არითმეტიკულს აწესებდეს. — ნამდვილად კი ასე არ არის ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტელიორი სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ქრონომეტრების მიზნით მუშობი სხვადასხვა ქარხნებიდანა და რაიონებიდანა უნდა იყენებ არაფულნიო.³⁾ საშუალო არითმეტიკული, რომელსაც ამ გზით მივიღებთ, რა თქმა უნდა ერთი რომელიმე ქარხნის საშუალო არითმეტიკული არ იქნება. ცხადია, როდესაც ეს უკანასკნელი ნორმად იქნება შემოღებული, თითოეული ცალკე დაწესებულებისათვის მუშაობის სისწრაფის ჯამიც სრულიად ახალი იქნება და არა ძველი, როგორც ერმანსკის მსჯელობის მიხედვით გამოდის.

ასეც არ იყოს, სრულიად არ არის სავალდებულო, ნორმულ სისწრაფეს არაიენ გადააქარბოს: ნორმა ის ოდენობაა, რომელიც მხოლოდ როგორც მინიმუმია ყველასათვის სავალდებულო, თორემ მისი გადაქარბება, სადაც ეს შესაძლოა, აკრძალული არაა. მანასადამე, არ არის სწორი. თითქოს ასეთი ნორმის დაწესება არაფერს ცვლიდეს: ვისაც სწრაფი მუშაობის ტემპი აქვს, იგი იმავე ტემპის შეინარჩუნებს; ხოლო ვინც ნელა მუშაობდა, იგი ნორმულ ტემპის მინც უნდა დაუხდევდეს.

რომ ერმანსკი სრულიად იგივეებს ტელიორის რჩევას მიზანშეწონილი ქრონომეტრიობის შესახებ, ეს აშკარად ჩანს მისი მეორე არგუმენტიდან, რომელსაც იგი ქრონომეტრების წინააღმდეგ აყენებს: „თუ საქმე მონაცემი ოპერაციის შესრულების უნებურს დროშია... რატომ უნდა შეეჩერდეთ, როგორც ნორმაზე, ისე სისწრაფეზე, რომელიც დამახასიათებელია მოცემული სახელოსნოს გამონაკლისი მუშებისათვის, რატომ არ უნდა ცემდებდეთ სხვა ადგილისადაც ისეთ მუშებს, რომელნიც შესაძლოა უფრო სწრაფად ასრულებდენ აღნიშნულ ოპერაციას“-ო³⁾, კითხულობს ერმანსკი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს კითხვა, როგორც არგუმენტი ქრონომეტრების წინააღმდეგ, სრულ გაუგებრობაზე დამყარებული: ტელიორი სწორედ საჭიროდ თელის სხვადასხვა ქარხნებისა და რაიონების მუშების ოპერაციების ქრონომეტრულ შესწავლას, და გარეშე ამისა მუშაობის ნამდვილი ნორმული სისწრაფის დადგინება მის მიზანშეწონილად მიიჩნია.

ამავე გაუგებრობას ეყრდნობა ერმანსკის ერთ ერთი შემდეგი არგუმენტიც: მისი აზრით ქრონომეტრების ნორმები უთუოდ შემთხვევითი ხასიათი-

¹⁾ Ibid. გვ. 80.

²⁾ Taylor - Roesler, op. cit. გვ. 125.

³⁾ Ермацкий, op. cit. გვ. 81.

საა და იმის მიხედვით, თუ რომელ სახელოსნოში წარმოებს სამუშაო. თუკია ციათა ქრონომეტრილობა—იმაში, სადაც შრომის ინტენსივობა უაღრესად დაბალია, თუ იმაში, სადაც იგი ძლიერ მაღალია. მუშაობის მაღალი უნდა გამოვიდეს და ხან დაბალი. მაგრამ სისწრაფის რა წილია მისი, რომელსაც ვარკვეული სიდიდე არა აქვს—ცხადია, აქაც იგივე გაუგებრობაა: ქრონომეტრული სრულიად არ გულისხმობს, რომ ნორმების დაწესებისას მარტო ერთი დაწესებულებით უნდა დაკმაყოფილდეს.

დასასრულად, ერმანსკის უკანასკნელი არგუმენტი: „თუ შრომის რაციონალური ნორმების პრინციპად მუშაობის უდიდესი სისწრაფე ჩითვლება, მაშინ არცაა საჭირო ქრონომეტრილობა; საკმარისი იქნება. თუ ვითვლებთ მუშის თავისი მუშაობის სისწრაფე და დაბაბულობა ფიზიკურად შესაძლო ზღვარამდე აიყვანოს, ოღონდ ისე რომ მუშაობის ვითარების შემდეგ მაშინვე არ ჩავარდეს ლოცინად. რასაკვირველია ამას არავინ იზავს. მაგრამ ლოცინა არ არის სწორი დასკვნა... სწორედ ეს იქნებოდა.“¹⁾

ვერც ეს არგუმენტი აღწევს თავის მიზანს: იგი ნათლად გვიჩვენებს, რომ ერმანსკის არა აქვს სწორი წარმოდგენა ქრონომეტრაციის ნამდვილი ბუნების შესახებ. თუ რომ ეს უკანასკნელი არა ერთი რომელიმე სუბიექტის უკიდურესი დაბაბულობის საზღვრამდე მუშაობის შესწავლას ცდილობს, არამედ პრაქტიკა ჩვეულებრივი მუშაობის ტემპოსას, ეს უშუალოდ იმას ნიშნავს, რომ მის ამ გზით სისწრაფის იმ ოდენობის გამორკვევა აინტერესებს, რომელიც მუშის ფსიქოფიზიკური ორგანიზმისათვის ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. ბუნებრივი მაქსიმალური სისწრაფე, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი ქრონომეტრაციის რწმენით, შესაძლებელი უნდა იყოს, ასეთი ემპირიული გზით იქნეს გამოჩნებული. ხოლო თუ ეს ისეა, მაშინ გასაგებია, რომ ერთი მუშის შრომის მაქსიმალური სისწრაფის ნორმად გამოცხადება—როგორც ერმანსკი სწამებს ქრონომეტრაციას—სრულიად შეუფერებელი უნდა იყოს მისი ნამდვილი ლოცინისათვის.

მაგრამ სწორედ ეს ძირითადი აზრია მცთარი, ეს ტლანქი და ზერელე ემპირიზმი, რომლის მიხედვითაც თითქმის შესაძლებელი უნდა იყოს შემთხვევით არსებული ფაქტები რაციონალურ ნორმად გამოვაცხადოთ, რომელსაც სხვა საბუთი ვარდა ემპირიულ მონაცემობისა არაფერი გააჩნია. სრულიად ცხადია, რომ ჩვენს ხანაში რაციონალიზაციის შესახებ ნაოლოდ იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც იგი მეცნიერული კვლევის მონაპოვართა ნიადაგზეა დამყარებული და მასთანაბრე რამდენადაც მისი მიზანშეწონილობა მეცნიერულად არის დასაბუთებული.

როდესაც კერძოდ საკითხი მუშაობის პროცესების რაციონალურ მეთოდების გამოჩნხვას ეხება, ცხადია ამ შემთხვევაში მუშაობის სისწრაფის დაწესებასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ქრონომეტრაციისათვის თანახმად მისი ძირითადი მთქანისტური ვანწყობისა, იმთავითვე ნაგულისხმევია, თითქოს მუშაობის მეთოდის მით უფრო რაციონალურია, რაც უფრო სწრაფია იგი. და აი მისი ამოცანა იმაშია, რომ ემპირიულად მონახოს, თუ რა სისწრაფით შეიძლება იმუშაოს ადამიანმა, მაგრამ როდესაც ქრონომეტრაციის ნიადაგზე დაწესებული სისწრაფის ნორმის შესახებ იკითხავთ, თუ რატომ სწორედ ეს სისწრაფეა ნორმად მიღებული, და არა რომელიმე სხვა, მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხს ვერ მიიღებთ. ერთად ერთი რაც შეიძლება ქრონომეტრაციას სთქვას, ეს შემდეგია: მიტომ, რომ შრომის სისწრაფის უმაღლესი შესაძლო დონე ეს არის-ო...

1) ibid, 81.

მაგრამ არის კი მუშაობის უმაღლესი შესაძლო დონე რაციონალური? ამ საკითხზე ქრონომეტრაჟს პასუხი არა აქვს. აქ სიტყვა აღნიშნის დაღლილობის ფსიქო ფიზიოლოგიას ეკუთვნის. მხოლოდ მას შეუძლია დაგვიჩვენოს, რომ სწორედ ეს სისწრაფე ყველაზე უფრო მიზანშეწონილი დამატარებელი და არა სხვა რომელიმე.

ციკლოგრაფია.

სამუშაო ოპერაციები, როგორც განსაზღვრული სახის მოძრაობები მარტო დროის მხრივ ე. ი. მარტო სისწრაფით როდი განსხვავდებიან ურთიერთისაგან. სრულიად ცხადია, რომ ამა თუ იმ მუშაობის თავისებურ სახეს უფრო ის ფორმა ჰქონის, რომელიც მასში შემავალ მოძრაობათათვის არის დამახასიათებელი. ვიდრე ამ უკანასკნელთა შესრულების სისწრაფე.

სრულიად ბუნებრივია ამიტომ, რომ შრომის რაციონალიზაციის ისტორიაში სამუშაო ოპერაციების ფორმის შესწავლას შედარებით ადრე შეაქციეს ყურადღება. განსაკუთრებული დამახატრება ამ მხრივ ცნობილს ჯილბრეზს მიუძღვის.¹⁾

იგი ვერ გამოყოფილდება მოძრაობათა მხოლოდ ერთი მხარის, სახელდობრ, სისწრაფის შესწავლათ. მისი აზრით, მუშაობის „საუკეთესო მეთოდი“ მოსახებად და დასასაბუთებლად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მისი ელემენტების ფორმის შესწავლასაც. ამგვარად, დაისვა საკითხი სამუშაო მოძრაობათა არა მარტო დროის, არამედ სივრცის მხრივაც შესწავლის შესახებ და ამით მექანიკური სოფლმეცნიერებისათვის ეგოდენ მნიშვნელოვანი სივრცის ცნებაც შედეგობაში იქნა მიღებული. იმ დროიდან დაწყებული მოძრაობათა ფორმის შესწავლა დღემდე განუწყვეტლივ წარმოებს, და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ისტორიაში ე. წ. „დროის შესწავლა“ (Time study) გვერდით ყველაზე უფრო დიდი ადგილი „მოძრაობათა შესწავლას“ (Motion study) უკავია. მთავარი წყარო, რომლიდანაც გამოვიდინარეობს ენერგია ეგოდენ დაუსვენარი ძიებისა სამუშაო მოძრაობათა ფორმის შესასწავლად, უბრალო მექანიკურ რწმენაში მდგომარეობს, თითქოს ადამიანის მუშაობის პროცესშიც დროისა და გზის მინიმუმს გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. თუ ქრონომეტრაჟი დროის ასეთ მიხედვებს ეძებს, „მოძრაობათა შესწავლა“-ის მიზანი მინიმალური ანუ უმოკლესი გზის დადასტურებაში მდგომარეობს. ორივე ერთად კი იძლევა შესაძლებლობას არსებულ სამუშაო მოძრაობათა შორის ყველაზე უფრო რაციონალური ე. ი. უსწრაფესი და უმოკლესი მოძრაობები ავარჩიოთ და ამ გზით მუშაობის საუკეთესო მეთოდი დავაწესოთ, ასეთია აზრთა ძირითადი მსგეულობა ტეილორიზმისა და მაშასადამე ჯილბრეზისა.

მაგრამ რა საშუალებით ხერხდება სამუშაო მოძრაობათა სივრცეში განანაწილებების ფორმათა შესწავლა? ჯილბრეზის ერთ-ერთ დიდ დამახატრებათ ითვლება შრომის მეცნიერებაში ე. წ. ციკლოგრაფიის შემოღება.

რაკი მიზანი მოძრაობათა ფორმების შესწავლა, ცხადია ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, თუ როგორმე სამუშაო ოპერაციაში შეშავალ მოძრაობათა უცვლელად ჩაწერა მოხერხდებოდა. ყველაზე უკეთეს საშახურს ამ შემთხვევაში, უძველესი ფოტოგრაფიული აპარატი გავვიწყებდა, რომ მისი საშუალებით მოძრაობის გადაღება როგორმე შესაძლებელი ყოფილიყო. ჯილბრეზში აპარელებმა სცადა ამ მიზნისათვის ფოტოგრაფიული აპარატის გამოყენება. იგი ასე მოიქცა: მომუშავე ორგანოს ყველაზე უფრო მოძრაე ნაწილზე (ხელის,

¹⁾ იხ. F. B Gilbreth, Motion study. N. J. 1911.

იდაყვის, მზრის სახსრებს ახლოს) ერთს ან რამდენიმე ადგილას სუსტი დაძაბუ-
ბულობის პატარა ელექტრონათურა მიამაგრა; ეს უკანასკნელი ისე იყო ძლიერ
მოქნილი გამტარებლის საშუალებით ელექტრო რკალში ჩართულა, რომ მისი
შეი ორგანოს მოძრაობას სრულიად არ აფერხებებდა. ნათურა უკანასკნელ
განოს მოძრაობათა მიხედვით სივრცეში სითანადო გზას გადიოდა და რადია-
ნაც, სანამ რკალში იყო ჩართული, სუსტად ანათებდა, ფოტოგრაფიულ ფირ-
ფიტაზე საკმაოდ ვარკვეულს ნათელ ხაზს სტოვებდა. ეს ნათელი ხაზი მომუ-
შავე ორგანოს მოძრაობის გზის თვალსაჩინო გამოხატულობას წარმოადგენდა.

ერთი მოლიანი სამუშაო ოპერაციის ამგვარად ვადაღებული სურათი ყო-
ველთვის დახშული მრუდის სახეს იძლევა, ვინაიდან მოძრაობა რომ დამ-
თავრდება, ხომ ხელაღია იმავე ამოსავალ წერტილს უნდა დაუბრუნდეს. ასეთ
ხაზს ციკლოგრაფი ეწოდება. აქედან წარმოსდგა თვით მითოდის სახელწო-
დება: ციკლოგრაფია.

ეს მეთოდი დღესაც საუკეთესო მეთოდად არის მიჩნეული და შრომის
ორგანიზატორთა შორის ფართოდაა ვაერცლებული, რა თქმა უნდა იმ გაუმ-
ჯობესებითურთ, რომელიც თვით ჯილბრეზა შეიტანა მასში.

პირველი: იმის გამოსარკვევად, თუ როგორია მოძრაი ორგანოს მრუ-
დის ნამდვილი სიდიდე, ჯილბრეზის მეთოდის მიხედვით, გამოსადელი პი-
რის გვერდით ერთნაირი ზომის პატარა კვადრატებად დაბახულს არა გამჭვირ-
ვალეს—ან და მის წინ—ასეთსავე გამჭვირვალე შირმას ათავსებენ ზოლზე. ფო-
ტოგრაფიულ ფირფიტაზე ეს შირმაც გამოდის. ასე რომ თითოეულ კვადრატის
ფოტოგრაფიული სურათის გაზომვის საშუალებით სულ ადვილი საქმეა ფოტო-
გრაფიული სურათის მაშტაბის გამოზახვა, რომელიც მაშასადამე ციკლოგრაფის
მასშტაბადაც გამოდგება. ამ უკანასკნელის საშუალებით მოძრაობის გზის ნამ-
დვილი სიგრძის გაზომვას წინ არაფერი ელოდება.

მაგრამ ამასთან ერთად თითოეული მოძრაობის ხანგრძლივობის გამომეც
ადვილად ხერხდება. თუ წარმოვიდგენთ, რომ ელექტროდენი რომელიმე დროის
ერთეულში პერიოდულად წყდება და იხშობა, მაგალ. ყოველ სეკუნდში ათჯერ,
მაშინ ნაცვლად უწყვეტი ციკლოგრაფისა წყვეტილ მრუდეს მივიღებთ, რომელ-
შიც თითოეული წყვეტი სეკუნდის ერთ მეათედს აღნიშნავს. ამგვარად ერთ-
სა და იმავე დროს მოძრაობის ტრაექტორიის სურათთან ერთად მისი ხანგრძლი-
ვობის სიდიდის და რომელიმე მომენტში შესაძლო ცვლილების ამოკითხვის
სრული შესაძლებლობაც გვეძლევა. ელექტროდენის პერიოდული შეწყვეტის მო-
წყობა ადვილი საქმეა: ამისთვის რომელიმე, ხვეულბრძივი შემწყვეტის, მაგალ.
კამერატონის, ან მეტრონომის გამოყენება შეიძლება.

ამგვარად მიღებულ ციკლოგრაფის მრავალ უპირატესობასთან ერთად მაინც
აქვს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი: იგი სამუშაო ორგანოს მოძრაობის მარტო-
დენ სიბრტყის პროექციას იძლევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ციკლოგრაფიაში
სათანადო მოძრაობის მთელი კი არა, მხოლოდ ორგანოში მიმდინარე ფორმა
გვეძლევა. სინამდვილეში კი მესამე განზომილებასაც აქვს ადგილი. შესაძლოა
სამუშაო ოპერაციათა ურთიერთისაგან განსხვავება ზოგჯერ სწორედ ამ მიმარ-
თულებით იჩინდეს თავს. ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად ე. წ. სტერეო-
ციკლოგრაფიაში მიმართავენ ზოლზე და მისი დახმრებით საშუალო მოძრაო-
ბათა ნამდვილ პლასტიურ ე. ი. სამგანზომილებიან სურათს ლებულობენ.—რო-
გორც ცნობილია ეს შემდგენიარად ხერხდება: აპარატის კამერა ორად იყოფა;
თითოეულ ნაწილს თავისი ობიექტივი აქვს; მოძრაობის გადაღებისას ამ ობიექ-
ტივების ცენტრებს შორის განსაზღვრული მანძილია დაცული. ვლებულობთ
ორს ცალკე ციკლოგრაფის. ქალაღზე გადაბეჭდილი ციკლოგრაფები ურთიერთის

გვერდით თავსდება და სტერეოსკოპში იღება. აქ ნაცვლად ერთისა, სანაწინო მიღებებიან ციკლოგრაფიის უხედავთ.

იმევე ჯილბრეხს დაებადა აზრი, ამგვარად მიღებულმა ციკლოგრაფიის მიხედვით სამუშაო მოძრაობათა მოდელები დაემზადებინა ამისთვის მატჩილ მათეოლს ხმარობენ, რომელსაც ადვილად შევიძლიათ საჭირო ფორმა მისცეთ. თუ მათეოლს წვეტილი ციკლოგრაფის შესატყვისად შევვლებთ (წვეტიების ადგილას თეთრი ფერი, ხაზების ადგილას—შავი) და კვადრატებად დაყოფილი შირმის სწორკუთხოვან წახნაგზე მოვათავსებთ, სამუშაო მოძრაობის სრულ ტრაექტორიასთან ერთად მისი სისწრაფის სურათსაც მივიღებთ—მასშტაბითურთ, რომლის დახმარებითაც თვალსაჩინოთ იქნება წარმოდგენილი მოდელის ყველა ნაწილის ნამდვილი სიგრძეც.

კინემატოგრაფიული მეთოდი

ასეთია მოძრაობათა ფორმის შესწავლის ციკლოგრაფიული მეთოდი. მაგრამ სანამ ეს უკანასკნელი შემუშავდებოდა, ჯილბრეხი სამუშაო ოპერაციებში შემავალ მოძრაობათა შესასწავლად კინემატოგრაფს იყენებდა. კინემატოგრაფიული მეთოდი ციკლოგრაფიულზე უფრო ძველია. მაგრამ იგი დღესაც ვითარდება და შრომის რაციონალიზაციის სავითების გადისატყვლად, როგორც ქვემოდაც დავინახავთ, ციკლოგრაფიულზე უფრო საიმედოთ შეიძლება ჩაითვალოს.

რაში მდგომარეობს კინემატოგრაფიული მეთოდი? სამუშაოს პროცესის კინოფილმის დაზნადებაში. ასეთი ფილმი ზოგ მნიშვნელოვან ზუპირატეობას შეიცავს: 1. იგი სამუშაო მოძრაობის სურათის მრავალჯნის განხორციელებას და მასალადმე სხვადასხვა მხრივ ზედმიწევნით დაკვირვების შესაძლებლობას იძლევა. 2. გარდა ამისა შესაძლებლობა გვეძლევა ჩვენითვის საინტერესო სამუშაო ოპერაციის მოძრაობები შეხელებული ტეპით გავატაროთ ეკრანზე და მასალადმე ყველა მისი მომენტი სათანადო გულისყურით შევისწავლოთ. ეს შემდეგნაირად ხდება. კინოსურათი, როგორც ცნობილია, ცალ-ცალკე სურათების უძრავ სერიას შეიცავს. მოძრაობის შთაბეჭდილება მაშინ ჩნდება, თუ სერიის ცალკე სურათები განსაზღვრული თანამიმდევრობით ცვლიან ურთიერთს. თუ მაგ. სეკუნდში თხუთმეტი ცალკე სურათი ცვლის ურთიერთს, მაშინ ჩვეულებრივი სისწრაფის უწყვეტი მოძრაობის კინოსურათს ვღებულობთ. მაგრამ შეიძლება ხომ უფრო სწრაფად გადაიღო კინოსურათი, მაგალ. სეკუნდში 500 სურათი. ესაა ასეთი ფილმი რომ ჩვეულებრივი სისწრაფით აჩვენო ეკრანზე—15 სურათი სეკუნდში—დაახლოვებით 35-ჯერ შენელებული მოძრაობის მხედველობითი შთაბეჭდილებას მივიღებთ. ამით ნატურალურზე 35-ჯერ უფრო ხანგრძლივდება მოძრაობა—ვღებულობთ ისეთსავე გადილებას დროში, როგორსაც ვღებულობთ ხოლმე სიერცეში, როდესაც რომელიმე პატარა საგანს ლუბის ან გამაღიღებელი მინის საშუალებით ვათვალიერებთ¹⁾ ამიტომია, რომ ასეთ ფილმს "დროის ლუპას" უწოდებენ.

3. ზოგიერთი დეტალი მოძრაობისა უბრალო დაკვირვების დროს ძნელი დასაპერი ხდება არა მარტო მისი სისწრაფის გამო, არამედ შეიძლება მისი სიმძირის გამოც. კინო სურათის გადილება სურვილისამებრ შეიძლება. ამნაირად ჩვეულებრივი თვალით ძნელად დასაპერი მომენტის სურათის ნორმალურზე უფრო დიდი მასშტაბით გადმოკემა ხერხდება და ამ გზით მისი შესწავლა ადვილდება.

4. კინემატოგრაფიული მეთოდი მოძრაობათა დროში მიმდინარეობის ანუ სისწრაფის გაზომვის შესაძლებლობასაც იძლევა და ტექნიკურად იმდენად ხელ-

¹⁾ Ерманский, op. cit. 113.

საყრელია, რომ მას ამ მხრივ ვერცერთი სხვა დროის საზომი აპარატი ვერ შეედრება. საკმე ისაა, რომ იგი დროის ავტომატური ფიქსაციის შესაძლებლობას იძლევა, ასე რომ ექსპერიმენტატორის ჩარევა საჭირო არ არის. II

ამას რა თქმა უნდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან „წინასწარმეტყველებული“ სტრუქტურის დროის შეცოვების მხედველობაში მიღება იქნებოდა აუცილებელი, რაც დროის ობიექტური ზედმიწევნობით განზომვის, რასაკვირველია, ძლიერ გააძნელებდა. კინემატოგრაფიული მეთოდი სულ მარტივად ახერხებს ასეთი დიდი ტექნიკური გაუმჯობესების განხორციელებას: მომუშავე სტრუქტურის გვერდით მოზრდილ ქრონომეტრს ათავსებენ ზოლზე, რომელიც სურვილისდა მიხედვით სეკუნდის მცირე ნაწილადებს გვიჩვენებს. მუშაობის დაწყებისას ქრონომეტრსაც გაუშვებენ, ასე რომ წინაოღნტზე მისი ისრის მოძრაობაც გვიჩვენებს. ამგვარად მომუშავე სტრუქტურის მოძრაობის ყოველ მომენტს ქრონომეტრის ისრის გარკვეული მდგომარეობა შეეფერება. ამ პროცესში მოძრაობის სისწრაფის გამორკვევა არავითარ სიძნელეს არ შეიცავს. ყველა ამ უპირატესობათა შორის ყველაზე უფრო დამახასიათებლად კინემატოგრაფიული მეთოდისათვის ის უნდა ჩაითვალოს, რომ იგი მოძრაობის შესწავლას, უსისხლ-ხორცს სტეკმას კი არ იძლევა, არამედ ცოცხალი მუშაობის სურათს, ყველა იმ პრობლებითურთ, რომელშიც ეს მოძრაობა ხდება.

ციკლოგრაფიული მეთოდი კი მირაჟით, სწორედ ასეთი უსიცოცხლო სტეკმებს ვღებულობთ, სახელდობრ: ციკლოგრამებს, რომელიც მოძრაობის ტრაექტორიის მეტს არაფერს გამოხატავს. ყველაფერი დანარჩენი, რაც თან ახლავს სამუშაო ოპერაციას, აქ საესებით უკლებელყოფილია.

ამდენად, ციკლოგრაფია მოძრაობის გზის სრულ გამოცალკეებას ახერხებს, მაშინ როდესაც კინემატოგრაფია მოძრაობის დაკვირვებასა და ანალიზს იმ ცოცხალ კომპლექსში აწარმოებს, რომელშიც იგი ფაქტურად ხდება.

როგორც ჩანს, ჯილბრეზის შეხედულებით, ციკლოგრაფიის უპირატესობას კინემატოგრაფიასთან შედარებით სწორედ ეს გარემოება უნდა შეადგენდეს: ეს შესაძლებლობა მოძრაობის ტრაექტორიის გამოცალკეებული სტეკმის მიღებისა, ეს ასეც უნდა ყოფილიყო მექანიკისათვის, რომელიც ცალკე ელემენტების შესწავლასი მთლიანად შესწავლის სრულ გარანტიას ქვრტს.

მართლაც, რა არის მოძრაობათა ფორმის მხრივ შესწავლის მთავარი მიზანი? მოკლედ: მუშაობის ნაუკეთესო მეთოდის გამოხატვა ე. ი. იგივე, რასაც ქრონომეტრაჟიც ესწრაფის. ოღონდ ეს უკანასკნელი პრობლემის გადაჭრას სამუშაო ოპერაციათა სისწრაფის მხრივ მოწესრიგებაში სჭერტს. „მოძრაობათა შესწავლა“ (Motion Study) კი განსაკუთრებულ გულისხმობას სამუშაო ოპერაციის შემავალ მოძრაობათა ფორმას აპყრობს. მისთვის გარდამწყვეტი მონეტრი მუშაობის ტემპი არაა: უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა ფორმის მოძრაობები შედიან ამა თუ იმ მუშაობის პროცესში. არა მარტო დრო, არამედ სივრცეც მოძრაობათა მასხასადანე: მუშაობის ნაუკეთესო მეთოდი ის იქნება, რომელიც მხოლოდ აუცილებლად საჭიროსა და უმოკლეს მოძრაობებს შეიცავს. ამისდამიხედვით, „მოძრაობათა შესწავლის“ უახლოესი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დადასტურებულ იქნეს, უმოკლესი გზა, რომელსაც განვიღოთ სამუშაოში შემავალი მოძრაობები, და აღმოჩენილ იქნეს, თუ რა მოძრაობებია, რომელიც პირდაპირ კავშირში არ იმყოფება თვით სამუშაო პროცესის პროდუქტის შექმნასთან და მასხასადანე ზედმეტ მოძრაობად უნდა ჩაითვალოს. ყველაფერი ეს რა თქმა უნდა იმ საბოლოო მიზნისთვის ხდება, რომ შემდეგ აუცილებელია, უსწრაფესისა და უმოკლესი მოძრაობების შერჩევით ახალი, უფრო მიზანშეწონილი, „ნაუკეთესო მუშაობის მეთოდი“ იქნეს აგებული, რომელიც როგორც

ყველსათვის სავიღებულო ნორმა მუშაობის ძველი წესის ადგილს უკავებს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად ცხადი ხდება, რომ უკიდურესად, რომელსაც ამ თვალსაზრისით ციკლოგრაფიული მეთოდი უსწრებს, მართლ მოძრაობათა სივრცეში მიმდინარეობის სქემის ის იძლევა, და უკიდურესად მოძრაობის სიმოკლესა და სიმარტივის ციკლოგრაფიაზე უფრო თვალსაჩინოდ სხვა ვერაფერი გაგვითვალისწინებდა. ამის გამო ადვილი გასაგებია, რომ ჯ ი ლ ბ რ ე ზ ი კინემატოგრაფიული მეთოდით ვერ დაკმაყოფილდა და მუშაობის საუკეთესო მეთოდის დასასაბუთებლად ციკლოგრაფია შემოიღო.

ციკლოგრაფიის კინემატული შუახსნა

მაგრამ საეჭვოა, რომ ციკლოგრაფიული გზით მუშაობის მართლა ოპტიმალური მეთოდის მოძიება შეიძლებოდეს. თავი და თავი აქაც ის ძირითადი პრინციპია, ის წინასწარმიღებული თეორეტული განწყობა, რომელიც ციკლოგრაფიას უდევს საფუძვლად. ეჭვი არაა, ციკლოგრაფიული მეთოდით შევნივრად ხერხდება სამუშაო მოძრაობათა ტრაექტორიის სრული გამოკალკეება და მისი თვალსაჩინო სურათის მიღება. ეჭვი არაა, ამგვარი სურათის მიხედვით ადვილად შეიძლება უმარტივესი და უმოკლესი მოძრაობების შერჩევა. მაგრამ საკითხი ისაა, თუ რამდენად სწორია ის აზრი, თითქოს მუშაობის ოპტიმალობა, მისი რაციონალურობა მასში შეძველად მოძრაობათა სიმარტივეთა და სიმოკლეთ განიზომებოდეს. ციკლოგრაფია კი სწორედ ამ აზრზეა აგებული.

ჯ ი ლ ბ რ ე ზ ი ამბობს: „აქ მხოლოდ პრაქტიკაშია გადატანილი ის, რაც ბუნებისმეტყველებაში დიდი ხანია ხდება—ყველაფერი ელემენტებად იშლება, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება მთელი პროცესის გაგება და, რაც უმთავრესია, მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისი სანთეტური აგება“-ო.¹⁾ ერთი სიტყვით, შრომის მექანიკებაში იგივე მექანიკური თვალსაზრისი უნდა იქნეს მომარაგებული, რაც, ჯ ი ლ ბ რ ე ზ ი ს აზრით, ბუნებისმეტყველებისათვის ევოლუციონური დამახასიათებელი და მიზანშეწონილი აღმოჩნდა.

მართლაც-და ეჭვი არაა, როდესაც საკითხი რაიმე შექანიზმის აგებას ეხება, რომელიც მარტოოდენ მექანიკის კანონების მიხედვით უნდა მუშაობდეს, ყველაზე უფრო ხელსაყრელ თვალსაზრისად მექანიკური უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში, რაც უფრო სწრაფი, მარტივი და მოკლე იქნება ის მოძრაობები, რომელსაც მანქანა ასრულებს, მით უფრო მიზანშეწონილად ჩაითვლება იგი.

მაგრამ ადამიანის ორგანიზმში უბრალო მანქანა არ არის, და ის წესები, რომელიც მანქანის მუშაობისათვის არის საფუძველმდებელი, ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურის თავისებურებათა მიხედვით შეიძლება სრულიად შეუწყნარებელი აღმოჩნდეს. რა თქმა უნდა, უმკვეთი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმის მუშაობის შესწავლასაც, როგორც მხოლოდ მანქანისას²⁾, და იმდენად, რამდენადაც „მოძრაობათა შესწავლა“—ციკლოგრაფიული თუ სხვა რაიმე მეთოდით—ამ ამოცანის გადაწყვეტას უწყობს ხელს, მისი მნიშვნელობა უდავოა. მაგრამ რამდენადაც მუშაობის ოპტიმალური მეთოდის დადგინებისას ადამიანის ორგანიზმი მხოლოდ როგორც მექანიზმი, მხოლოდ როგორც მოძრავი სისტემა მხედველობაში მიღებული, ამდენად უმკვეთლ შეცთომასთან გვაქვს საქმე.

ჩვენ რომ გადავხედოთ იმ ძირითად წესებს, რომელიც ჯ ი ლ ბ რ ე ზ ი ს მუშაობის ოპტიმალური მეთოდის აგებისას უნდა იყოს დაკული, დაეინახეთ,

¹⁾ Gilbreth-Collin-Ross, Das ABC d. wissensch. Betriebführung, 120.

²⁾ ამ მხრივ სპეციალური სანიტარული ცნობებს იძლევა Amar J. Le moteur humain (რუსული თარგმანი: Человеческая машина, 1922).

რომ აქ ადამიანის ორგანიზმი პირველ რიგში მარტოოდენ ასეთ მოძრაე/სისტემადაა ნაცულისხმევი.

თი მოკლედ ეს წესები:

1. შედგენილი მოძრაობები უნდა გამოირიცხულ იქმნენ.
2. გრძელი მოძრაობები უნდა შემოკლდნენ.
3. მოძრაობათა შორის არსებული წყვეტები უნდა აღიკვეთოს და თითოეული წინამოძრაობა რამდენად შესაძლოა უწყვეტად უნდა გადადიოდეს მომდევნო მოძრაობაში.
4. მოძრაობები რიბიშულად უნდა წარმოებდნენ.
5. ძნელად შესასრულებელი მოძრაობების ადგილას უნდა შემოღებულ იქნენ ისეთი მოძრაობები, რომ ადამიანის მოძრაეი აპარატის ხასიათს უკეთ შეეფერებოდნენ¹⁾.

ყველა ამ ხუთი წესიდან, როგორც ჩანს, განსაკუთრებით მესამე გულისხმობს შეტს, ვიდრე უბრალო მანქანას. მარტოაც და, თვითონ მოძრაეი სისტემისათვის არაერთგვაროვანი მნიშვნელობა არა აქვს, რითმული იქნება მისი მოძრაობები, თუ არარითმული. მარტო ადამიანისთვის აქვს ამას მნიშვნელობა, იმ ადამიანისათვის, რომელიც ამ მანქანაზე მუშაობს. ჯიღბრიეში ამ გარემოებას ერთგვარ ანგარიშს უწევს. მაგრამ რამდენადაც დანარჩენ წესებს მივიღებთ მხედველობაში, მათი მნიშვნელობა ისეთია, რომ მთელი სისტემის ხასიათის მიხედვით, ეს ერთი წესიც უფროდ შემთხვევითად და მთელი სისტემისათვის სრულად არაადაამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.

დანარჩენი ოთხი წესი არსებითად ისეთი ხასიათისაა, თითქოს საჭმე გვექმნდეს მოძრაობებთან თავისთავად, რომელთა შესრულებისათვისაც სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ ასრულებს მათ. მოძრაობის სიმოკლნე, მათ უწყვეტობასა და აპარატისათვის შეუფერებლობაზე ყოველთვის შეიძლება ლაპარაკი როდესაც ჩვეულებრივი მანქანის მოძრაობას ვგულისხმობთ, რომელიც მისი აგებისას განზრახულ მოძრაობებს მუდამ ერთნაირად ასრულებს, სანამ შექანიში არ შეიცვლება.

მაგრამ სულ სხვა ადამიანის ცოცხალი ორგანიზმი. იგიც მოძრაეი სისტემაა, მაგრამ იეს მოძრაეი სისტემა მარტოოდენ ნაწილია მომუშაეე ადამიანის მოაზროენე, გრძობიარე და მნებელი სიცოცხლის მთლიანობისა, რომელიც სულიერსა და სხეულბრიეს ერთსა და იმაეე დროს შეიცავს²⁾. ეს მოძრაეი სისტემა პიროვნების მთლიანობის ერთი ნაწილთაგანია. ამიტომ შეუძლებელია, მისი მოქმედება კონკრეტს, ცოცხალ სინამდვილეში სრულიად დამოუკიდებელი იყოს ამ მთლიანობისაგან. პირიქით, მთლიანობის კანონზომიერება ის ძირითადი მომენტია, რომელსაც ამ მოძრაეი სისტემის მუშაობა ემყარება.

ამისდამიხედვით, შრომის საუკეთესო მეთოდის ძიებისას ამ მთლიანის კანონზომიერების მარად მხედველობაში ტონება ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნილებათაგანია. მექანიკური თვალსაზრისი ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევს: იგი მოძრაობათა მექანიკით ხელმძღვანელობს, მისი ჩვენებებით კმაყოფილდება, და ცხადია, შესაძლოა ადამიანის მუშაობის ფორმაში ისეთი რამ შეიტანოს, რაც მექანიკის თვალსაზრისით შეიძლება ძლიერ სასურველიც იყოს, მაგრამ მთლიანის კანონზომიერებას რაიმე მარეე ეწინააღმდეგებოდეს. ცხადია, ასეთი ფორმა მუშაობისა ვერაეითარ შემთხვევებში ოპტიმალურად ვერ ჩაითვლება. პირიქით, ასეთს შინაგან წინააღმდეგობაზე დამყარებული მეთოდი მუშა-

¹⁾ Гальбретс Ф. Научение движений М. 1923. შედ. Бекчоев, физиология труда.

²⁾ Fr. Sander, Arbeitsbewegungen (in Arbeitskunde, her. v. Riedel. 1925. S 202.

ობისა შეუძლებელია ხანგრძლივად უვნებლად იქნეს გამოყენებული; იგი პიროვნების მთლიანობის წინააღმდეგ იმოქმედებს და ცოცხალ ფსიქოფიზიკურ ორგანიზმს დაჭევიანების გზაზე დააყენებს.

თუ რომ ამ თვალსაზრისით შევადგინებთ „მომჩაობათა“ რაციონალიზაციის ზოგიერთ წესს, დავრწმუნდებით, თუ რაოდენ უნებუნებელია ამ შემთხვევაში მთლიანობის საუფუძველმდებელი კანონზომიერების მოთხოვნილებები. ავიღოთ სანიმუშოდ წესი, ე. წ. ზედმეტ მოძრაობათა გამორიცხვისა.

როდესაც ზედმეტ მოძრაობათა შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ეიქონიოს ამ უკანასკნელთა განსხვავებული სახეები.

ვთქვათ, ასოთ-ანწყობი მუშაობს: მას ხელთ აქვს ტექსტი და აწყობს. დასჭირდა ლათინური შრიფტი. ფი გარბის მეორე დახვისაკენ და მოაქვს სათანადო მასალა. განაგრძობს მუშაობას. დასჭირდა კურსივი. ამისთვისაც უნდა დატოვოს თავისი ადგილი და დროებით მუშაობა შეაჩეროს. ტექსტი გამოელა: მიდის და მოაქვს ტექსტის ვაგრძელება... არის თუ არა ამ მუშაობის პროცესში ზედმეტი მოძრაობები? რა თქმა უნდა არის. სახელდობრ, ის სიარული ერთი ადგილიდან მეორეზე. რომლის დროსაც აწყობა ძალაუვნებურად უნდა შეჩერდეს. სრულიად უდავოა, რომ ყველა ასეთი ხასიათის მოძრაობა მართლაც ზედმეტი, სრულიად უსარგებლო მოძრაობაა, რომელიც ადვილად იქნებოდა თავიდან აცილებული, მუშას რომ ყველაფერი იქვე ხელთ ჰქონოდა. ასეთი მოძრაობები უქველად მავნებელია, დროისა და ენერჯიის უაზრო ფლანგვაა, და სრულიად უდავოა, რომ სათანადო ორგანიზაციული ზომების საშუალებით იგინი თავიდან უნდა იქნენ აცილებულნი.

მაგრამ ციკლოგრაფიას ასეთი ზედმეტი მოძრაობები როდის აქვს მხედველობაში. მათი აღმოჩენისათვის არცაა საჭირო ციკლოგრაფიული ყვლევა. საკმარისია უბრალო დაკვირვებაც, რათა იმ წამსვე დაედასტუროთ ასეთი ყოველ აზრს მოკლებული მოძრაობების არსებობა.—არა! ციკლოგრაფიას მხედველობაში აქვს ის მოძრაობები, რომელნიც განსაზღვრული მუშაობის ელემენტარული ერთეულებს წარმოადგენენ და მათსადაც მისში შემადგენელ ნაწილებად შედიან. თუ რომ აღმოჩნდება, რომ მათ შორის ისეთი მოძრაობებიც მოიპოება, რომელთაც არა აქვთ უშუალო კავშირი მუშაობის ეფექტის წარმოებასთან, მაშინ ასეთი მოძრაობა ზედმეტად და მათსადაც მავნებლად ცხადდება. მუშაობის რაციონალიზირებულ მეთოდში ასეთი მოძრაობები არ უნდა შედიოდნენ, ვინაიდან მართალია თითოეული მათგანი ცალკე ბევრ დროსა და ენერჯიას არ მოითხოვს, მაგრამ დაწესებულების ან თვითონ მუშის მთელი სიციცხლის განმავლობაში წარმოებული მუშაობა რომ ავიღოთ მთლიანად, ასეთ მოძრაობებზე დაკარგული დროისა და ენერჯიის დიდ რაოდენობას მივიღებთ.

მაშ, ამ თვალსაზრისით, ზედმეტი მოძრაობები თვით განსაზღვრული მუშაობის შედგენილობაში უნდა იქნაოთ და არა იმ მოძრაობებში, რომელთაც მუშაობის პირობათა სათანადოდ მოუწყობლობის გამო აქვთ ხოლმე ადგილი. ასოთ-ანწყობის მავალითა რომ დაუბრუნდეთ, ციკლოგრაფიის ზედმეტი მოძრაობები თვით ასოთწყობაში უნდა ექნათ და არა იმ უსარგებლო მისელა-მოსელაში მასალისა და ხელსაწყობის მოსატანად, რომელიც ასოთწყობის ელემენტს არაერთარ შემთხვევაში არ შეადგენს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ის ზედმეტი მოძრაობები, რომელთა საჭიროებასაც მუშაობის პირობების მოუწყობლობა იწვევს, უქველად თავიდან უნდა იქნენ აცილებულნი, ვითარცა სრულიად უსარგებლო და მავნებელი; პირობები თავიდანვე სათანადოდ უნდა იყვნენ მოწყობილნი, რათა მუშას იმ საქმის კეთება არ დასჭირდეს, რაც ნამდვილად უინისოდ უნდა გაკეთებულიყო.

მაგრამ იგივე ითქმის ციკლოგრაფიის „ზედმეტ მოძრაობათა“ შესახებაც თუ არა?

ჯერ ვნახოთ, როგორ პოულობს ციკლოგრაფია ასეთს „ზედმეტ მოძრაობათ“. სხვადასხვა მუშის ციკლოგრაფები, რომელთაც ერთსა და იმავეს მუშის შესრულების დროს ვლენულობთ; ხშირად საგრძნობლად განსხვავდებიან ერთ-ერთისაგან: გაწვრთნილი და სანიმუშო მუშის ციკლოგრაფი გაცილებით უფრო მარტივი ფორმისაა, ვიდრე ჯერ კიდევ გაუწვრთნელის ან თავისი საქმისათვის შეუფერებელი სუბიექტისა. ეს უკანასკნელი რთული მოძრაობის სურათს იძლევა, რომელიც კარგი მუშის ციკლოგრაფთან შედარებით ხშირად არა ერთს ზედმეტ ხაზს შეიცავს. ციკლოგრაფია გულისხმობს, რომ სწორედ ეს ზედმეტი ხაზებია, რომ მართლა ზედმეტ მოძრაობებზე მიგვივითებს, ისეთ მოძრაობებზე, რომელიც კარგი მუშაობის დროს არ გვხვდება და მაშასადამე სრულიად ზედმეტად უნდა ჩათვალოს: „ყოველი ეს მცირე რთული ხელის მოძრაობები, რომელნიც თითქმის სრულიად უნიშვნელოდ უნდა ჩათვლილიყვნენ, ყოველდღიურად ასჯერ განმეორების გამო უსარგებლოდ ღალავენ ადამიანს“¹⁾ „აშშ-ის ჯილბრეზი“²⁾ და ამიტომ მუშაობის რაციონალიზირებულ მეთოდში წათ, რა თქმა უნდა, ადვილი არ უნდა აქანდეთ.

რასაკვირველია, ასეთი ზედმეტი მოძრაობები უთუოდ არსებობს. მაგრამ მათ ადვილი აქვთ ან მხოლოდ ნანამ, სანამ მუშა საესებით მიჩვევოდეს სათანადო სამუშაო ოპერაციებს და მათ ასრულებაში გაიწვრთნებოდეს, ან და ყოველთვის, როდესაც შეუფერებელსა და ამიტომ ცუდად მომუშავე სუბიექტთან გვაქვს საქმე. ასეთი ზედმეტი მოძრაობები მაშასადამე თვითონ მუშაობის პროცესში როდი შედის, როგორც მისი ელემენტები, არამედ თან სდევს მას როგორც შემთხვევითი მოვლენა, როდესაც იგი შეუფერებელ ხელშია, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მუშაობის მეთოდი არაფერ ზუამია: აქ საკითხი შეიძლება მხოლოდ მუშის შეუფერებლობას ეხებოდეს. მაშასადამე, ასეთ მოძრაობათა გამორიცხვის საშუალებით მუშაობის საუკეთესო მეთოდის აგებაზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა. მონახეთ მონაცემი საქმისათვის შესაფერი მუშა, მიაჩვიეთ იგი სამუშაო ოპერაციებს და შედეგად ისეთი მუშაობის ფორმას მიიღებთ, რომელსაც ე. წ. ზედმეტი მოძრაობები სრულიად არ ექნება.

მაგრამ ჯილბრეზსა და მის მიმდევრებს ზედმეტ მოძრაობათა არსებობა თვით გაწვრთნილსა და გამტკანიზირებულ მუშაობის ოპერაციებშიც მიანიათ შესაძლოდ. ეს ის მოძრაობებია, რომელნიც მუშაობის პროდუქტის წარმოებასთან უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი, „რომელნიც ამსოლულტურად საქმისათვის არ არიან მონაცემი სამუშაოს შესასრულებლად“³⁾, და ასეთი მოძრაობები შეიძლება თვით მუშაობის ოპერაციის ელემენტურ შემადგენლობაში შედიოდნენ. მოძრაობათა ეკონომიის პრინციპი, რასაკვირველია, მოითხოვს, რომ არც ერთს ასეთ მოძრაობას მუშაობის ოპტიმალური მეთოდი არ შეიცავდეს.

მაგრამ თუ ასეთი მოძრაობა მართლა ზედმეტია, მაშინ რად რჩება განმტკანიზირებულსა და განვითარებულს მუშაობის ოპერაციებშიც? რად არ ისპობა იგი? თუ რომ თვით მოძრაობათა თვალსაზრისზე დაერჩებით, სრულიად ცხადია, ისეთი მოძრაობა, რომელსაც თვითონ მუშაობის პროდუქტის შექმნასთან კავშირი არ აქვს, სრულიად ზედმეტ და უაზრო მოძრაობად უნდა ჩათვალოს. მაგრამ დაკვირება უდავოდ ადასტურება, რომ ასეთ მოძრაობათ ხშირად თვალსაზრისით უნიშვნელობა აქვთ მთელი მუშაობის ბედისათვის, რომ მათი დაბრუნება ხელს კი არ უწყობს მუშაობის გაადვილებასა და ნაყოფიერებას, არამედ, პირიქით, საგრძნობლად უნლის ხელს.

¹⁾ Gilbreth—Ross, op. cit. გვ. 18.

²⁾ Gilbreth—Ross, op. cit. გვ. 18.

ავილოთ - სანიმუშოდ ერ მ ა ნ ს კ ი ს მაგალითი. ვთქვათ დაღსკი ვის-
მე თმას ჰკრეკს. მისი სამუშაო მოძრაობები მარტივია: დიდისა და საჩვენე-
ბელი თითების დაწორება და მერე დაახლოება მაკრატლის (სამუშაო) მკვლად—
და თითოეული ასეთი მოძრაობა საჭიროა, რასაკვირველი, რომელსაც მარტოეულით
თმა იკრება. თუ არა და, მაკრატლის ისე ხმარება, თითქოს მით რასმე სკრიდე,
უახრო ენერგიის დახაჯვად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, როდესაც
დალაქი მუშაობს, იგი განუწყვეტლივ აჩხარუნებს თავის მაკრატელს: მაკრატ-
ელი განუწყვეტლივ მოძრაობს, მიუხედავად იმისა, რომ თმას იგი მხოლოდ
ზოგჯერ ეხება: თმის მოსაკრეკ მოძრაობათა შორის ჩართულია რამოდენიმე
ასეთივე მოძრაობა ჰერში, ისე რომ მაკრატელი თმას სრულიად არ ეხება,
თითქოს იგი წარმოსახულ თმას ჰკრეკდეს. ასეთი წესი მთელი დედა-მწიფის ზურ-
გზეა გავრცელებული. სრულიად ცხადია, რომ დალაქის სამუშაო მოძრაობათა
უდიდესი ნაწილი ისე სრულდება, რომ მათ არაკეთიარი კავშირი არა აქვთ
თვითონ სამუშაო ნასალასთან; მხოლოდ უმცირესი ნაწილი ეხება მას უშუა-
ლოდ. ამგვარად, აქ უმკველ „ზედმეტ“ მოძრაობებთან გვაქვს საქმე.

თანახმად ჯიღბრეზისა, დალაქის მუშაობის ოპტიმალურ მეთოდში
ასეთი ზედმეტი მოძრაობები არ უნდა შედიოდნენ: დალაქი მხოლოდ თმის მო-
საკრეკად უნდა ამოშვდეს მაკრატელს და არა ავრთვედ ჰერშიც—უნაყოფოდ.
მაგრამ მართლა რომ უცდიათ ასეთ „ზედმეტ მოძრაობათა“ გამოორცხვა, იმ
წამსვე დაერწმუნდებით, რომ მუშაობა გაცილებით უფრო დამალაველი და აგ-
რეთვე ნაკლებ ნაყოფიერი აღმოჩნდება. ე. ი. მივიღებთ მოლოდინის საწინააღ-
მდეგო შედეგს¹⁾.

ავილოთ მეორე მაგალითი, კიდევ უფრო მარტივი და თვალსაჩინო! ვინ
არ იცის, რომ ძლიერ ხშირად მუშაობის დროსაც სიმღერას მიმართავენ ხოლმე.
წინად კი, როგორც ეს მშვენივრად გამოარკვეია კ. ბიუხერმა თავის ცნობილ
გამოკვლევაში²⁾, სიმღერა განუყრელი თანამგზავრი იყო მუშაობისა. სრულიად
ცხადია, რომ სიმღერისათვის თავისებური მოძრაობებია საჭირო (სამეტყველო
ორგანოებისა და სხვ.), რასაც თვით სამუშაოსთან არაფერი არა აქვთ საერთო.
მაშასადამე, ის ენერგია, რომელიც ამ მოძრაობებისათვისაა საჭირო, უახროდ
იხარჯება: ყოველი შემთხვევაში მუშაობის ეფექტთან მათ კავშირი არა აქვთ.
მაგრამ ნამდვილად ეს ასე არაა! ყველამ იცის, რომ სიმღერა ხელს უწყ-
ობს მუშაობას; იგი აადვილებს მას და თვით მომუშავეს ნაკლებ ღლის, ვიდრე
ის უამისოდ დაილევბოდა.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ არსებობს მუშაობის პროცესში
მთელი რიგი ისეთ მოძრაობათა, რომელნიც ზემოდ აღნიშნული თვალსაზრის-
ის მიხედვით უთუოდ ზედმეტად უნდა ჩათვლილიყვნენ, მაგრამ ნამდვილად
მუშაობის ნაყოფიერი მსვლელობისათვის აუცილებელი აღმოჩნდნენ. ერთი სიტ-
ყვით, ჩვენს წინაშე ისეთი პარადოქსალური მდგომარეობაა: როდესაც მუშაო-
ბის პროცესში „ზედმეტი“, სრულიად „უახრო“ მოძრაობები ღებულბობენ მონა-
წილეობას, მუშაობა უფრო ნაყოფიერია და ნაკლებ დამალაველი, ვიდრე მა-
შინ, როდესაც იგი სრულიად განტვირთულია ამ „უშინო“ მოძრაობათაგან:
თითქოს მეტი ენერგიის ხარჯვა უფრო ხელსაყრელი იყოს ადამიანის ორგანი-
ზმისათვის, ვიდრე ნაკლებისა.

რით იხსნება ეს საკვირველი მდგომარეობა?

უკანასკნელ ხანებში ფსიქოლოგიურმა კვლევა-ძიებამ საბოლოოდ დაადის-
ტურა, რომ ადამიანის ფსიქიური ცხოვრებისთვის განსაკუთრებით გარდამწყვე-
ტი მნიშვნელობა მთლიანობისაკენ მისწრაფებას აქვს. ყველაფერი, რაც

¹⁾ Ерманскій — op. cit გვ. 98.

²⁾ K. Bücher, Arbeit der Rhythmus 5 A. 1919

ურთიერთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ცალკე ელემენტების ინაო შეიძლება იყოს მოცემული, ჩვენი ცნობიერებისთვის უშუალოდ ერთდგა და ერთი მთლიანის სახით გველინება. განსაკუთრებით თვალსაზრისით ეს გარუფუხვს სხვათა შორის ს ი ზ მ რ ი ს შემთხვევებში ჩანს: დღის განმავლობაში სხვადასხვა სახის სხვადასხვა შთაბეჭდილებებს სტოვებენ ჩვენზე, ზოგი ძლიერსა და ზოგი კიდევ სუსტს. სიზმრის ცნობიერება ხშირად თავის მასალად ასეთ ძლიერ შთაბეჭდილებებს იყენებს ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ დღის განცდებში მათ შორის არაერთი კავშირი არ იყო, სიზმრის ცნობიერება ისეთიანად ამუშავებს მათ, რომ ერთთ მთლიან კონტექსტს ველებლობთ, რომელშიც თითოეული მათგანი აუცილებელი ნაწილის სახით შედის. ეს ზოგადი კანონზომიერება მთელი ორგანიზმის მუშაობაში იჩენს თავს: ცალკეული, დაუკავშირებელი, მხოლოდ ნაწილობრივი ჩვენთვის არა ბუნებრივია, იძულებითია და ამიტომ აუტანელიც.

ეს გარემოება გასაგებად ხდის, თუ რადაა, რომ ზოგჯერ „ზედმეტი“ ენერჯის ხარჯვა უფრო ადვილი და ხელსაყრელი აღამიანის ორგანიზმისათვის, ვიდრე ნაკლებია, როგორც ზემოდ აღნიშნულ შემთხვევებში. მეცნიერებამ უკვე კარგა ხანია იცის, თუ რა როლს ასრულებს სიმღერა მუშაობის პროცესში: იგი არა მარტო ვარე გამოუენაა შრომის პროცესების რითმიული ბუნებისა, არამედ იგი იმავე დროს ძლიერი საშუალებაა ამ რითმულობის შენახვისა და გაძლიერებისათვის. მომუშავე ორგანიზმისათვის მწელი ხდება იმ მოძრაობათა შესრულება, რომელნიც მონაცემ სამუშაო ოპერაციაში დასამუშავედ მასალას ეხებიან, როდესაც იგინი ცალკე დაუკავშირებელ მოძრაობათა სახით მიმდინარეობენ. ამიტომ ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმი ახალ მოძრაობებს (სიმღერას) მიმართავს, რათა ამ ახალი ელემენტების დართვით სამუშაო მოძრაობათა ერთ მთლიანში გაერთიანება მოახერხოს. ეს მთლიანობა რ ი თ მ ი ა, რომელშიც თითოეული მოძრაობა არა დამოუკიდებელი ელემენტის, არამედ აუცილებელი ნაწილის სახით შედის.

ასეა დალაქის მუშაობის შემთხვევაშიც. დალაქი თავის მაკრატელს მიტომ „ათამაშებს“, რომ იგი „აუცილებელ“ მოძრაობებს ზედმეტს უერთებს, რათა მუშაობის პროცესს რითმიული ხასიათი მისცეს¹⁾.

მაშასადამე, ჩვენთვის გასაგები ხდება, რომ მთლიანს მომუშავე ფსიქოფიზიკურ ორგანიზმს თავისი კანონზომიერება აქვს, რომელსაც ნაწილობრივ მოვლენათა მიმდინარეობის კანონზომიერება აუცილებლად უნდა დაემორჩილოს, როდესაც საკითხი ამ მთლიანის მუშაობას ეხება.

კერძოდ, რაც შეეხება აღამიანის მოტორიკას ე. ი. მოძრაობათა სფეროს სრულიად შეუძლებელია მისი ნამდვილი ბუნების წყდომა, თუ რომ წმინდა მექანიკის თვალსაზრისზე დაედგებით. ფ. ზანდერის ერთ-ერთ დამსახურებას შეადგენს, რომ მან ექსპერიმენტულად ნათელაყო, თუ რაოდენ ავტონომიურია ის კანონზომიერება, რომელიც მოტორიკის სფეროში მოქმედებს²⁾, და ამ კანონზომიერების მიხედვით ბევრი რამ აუცილებლად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც მექანიკურ თვალსაზრისს სრულიად „ზედმეტად“ მოქმედებოდა.

ამისდამიხედვით, ჩვენთვის ნათელია, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი ე. წ. ზედმეტ მოძრაობათა შესახებ. თუ რომ მექანიკური თვალსაზრისით შეაფასებთ აღამიანის სამუშაო მოძრაობათ, როგორც იქვეა მაგალ. ტეილორიზმი, მაშინ იძულებულნი ვიქნებით „ზედმეტად“ აღვირაოთ ყველა მოძრაობა, რომელიც მუშაობის პროცესში უშუალო ეფექტს არ იწვევს. მაგრამ თუ

¹⁾ იხ. K. Blicher, Arbeit und Rhythmus.

²⁾ Ерманский, op. cit. გვ. 98.

³⁾ იხ. Neue psychologische Studien, IV. I H. Gestalt und Sinn S 1 f. და Sander, ზემოდ დასახელებული წერილი.

რომ მომუშავე ორგანიზმის მთლიანობის კანონზომიერების მიხედვით გიმსჯელებდით, მაშინ ბევრი ასეთი „ზედმეტი“ მოძრაობა უმაქვლად ატყობნულ ოპერაციად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც მას სამუშაო მოძრაობების მთლიანობის (ე. წ. მოძრაობათა მელოდის) შესაქმნელად აქვს მნიშვნელობა.

მუშაობის ოპტიმალური მეთოდის აზების ძირითადი პრინციპები

ტელიორიზმის მიხედვით მუშაობის ოპტიმალური მეთოდის ძირითად პრინციპად მოძრაობათა ეკონომია აღიარებულია: რაც შეიძლება სწრაფი, მოკლე და იოლი მოძრაობები—ეს არის მისი საფუძველმდებელი მოთხოვნები, და ქრონომეტრული და ციკლოგრაფია ორი ძირითადი მეთოდია, რომელმაც ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა შეგვაძლებდეს.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ტელიორიზმის თვალსაზრისით შექანისტური თვალსაზრისით, და მისი „ოპტიმალური“ მეთოდი შეიძლება მანქანისათვის ღირსეულად ოპტიმალური აღმოჩნდეს—თუ რომ იგი სათანადოდ არის აკუმულირებული ადამიანისათვის იგი შეუფერებელია და არავითარ შემთხვევაში ოპტიმალურად არ ჩაითვლება.

ნამდვილი ოპტიმალური მეთოდი მუშაობისა განსაკუთრებით ორ ძირითად მოთხოვნებს უნდა უწყდეს ანგარიშს: 1. იგი რაც შეიძლება ნაკლებ დამქანცველი უნდა იყოს მომუშავე ფსიქოფიზიკური ორგანიზმისთვის და 2. იგი მომუშავე სუბიექტისათვის მიზიდველად და სასიამოვნოდ უნდა ხდოდეს შრომის. ორივე ამ მოთხოვნებს გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ჰუმანურ ობიექტის თვალსაზრისით, რომლისთვისაც ადამიანი უბრალო საშუალება როდია ნივთიერი სიმდიდრის შესაქმნელად, არამედ მთავარი მიზანია, რომელსაც თვითონ ეს ნივთიერი სიმდიდრე ემსახურება.

სულ სხვა კერძო მწარმოებლის თვალსაზრისით, რომლისთვისაც უმთავრესი მიზანი საქთარი ნივთიერი დოვლათის შექმნაა, და თითოეული მუშა ამ მიზნის განხორციელების ნარტოვდენ უბრალო საშუალებაა, მისთვის სულ ერთია, ხალისიანად და დაუქანცველად მიმდინარეობს მუშაობა თუ არა. მისთვის უმთავრესი პრობლემების რაოდენობა და რომელია, რომელიც მიცემული დროის ერთეულში უნდა შეიქმნას.

როგორაა შესაძლებელი, მუშაობის მეთოდმა ორივე ამ მოთხოვნებს სათანადო ანგარიში გაუწიოს?

უძველია, ამ შემთხვევაში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად არის მუშაობის პროცესში მომუშავე სუბიექტის მთლიანი ინდივიდუალობა მიხედვითად მიღებული.

ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო მჭიდროდ არის ადამიანის მუშაობა მის პიროვნებასთან დაკავშირებული, რაც უფრო თავისუფლად გამოიმდინარეობს იგი მისი წინაგანი ბუნებიდან, მით უფრო მიზიდველი, სასიამოვნო და ხალისიანი და ამავე დროს მით უფრო ნაკლებ დამქანცველია იგი მისთვის.

მაშასადამე, ცხადია, მუშაობის ოპტიმალური მეთოდის აკუმისას ძირითადი მნიშვნელობა მთლიანი ფსიქოფიზიკური ორგანიზმის კანონზომიერებას უნდა მიენიჭოს, და მოძრაობათა მთელი სისტემა, რომელიც მუშაობის პროცესს უნდა შეადგენდეს, ამ კანონზომიერების მოთხოვნებისათვის მიხედვით უნდა აიგოს.

ამ მხრივ გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცოცხალი ფსიქოფიზიკური ორგანიზმის მთლიანობისა კენ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ყოველს სამუშაო მოძრაობას ნოლოვად იმდენად აქვს თავისი გარკვეული ფასი და მნიშვნელობა, რამდენადაც იგი მთლიანი პროცესის ნაწილს და არა დამოუკიდებელს, დანარჩენებთან დაუკავშირებელ მოვლენას წარმოადგენს. მაშასადამე, მუშაობის ოპტიმალური მეთოდი უწინარეს ყოვლისა მასში შემაჯავლ მოძრაობათა

ნთლიან ერთეულებში შეკავშირებას გულისხმობს. ეს მთლიანობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს:

1. რითმი მუშაობის ოპერაციები ურთიერთს სდევნენ *„ჩემი რჩენა“* (ტროსკი) მიმდინარე მოძრაობათა თანამიმდევრობას წარმოადგენენ *„როსტრის“* მუშაკთა კუთრებით პრიმიტიულ მუშაობის ფორმათა შესწავლიდან სიანს, ადამიანის ფსიქოლოგიური ორგანიზმი იმთავითვე ისწრაფის, ამ ურთიერთის შემდეგ წარმოებულ მოძრაობათა წრეშიც ერთგვარი მთლიანობა შეიტანოს, ივინი როგორც დაუკავშიროს ურთიერთს, რომ თითოეული მათგანი ფართო მთლიანის ნაწილად აქციოს. ასეთი ფართო მთლიანობას, რომელიც თანამიმდევარ სამუშაო მოძრაობებს ნაწილებად შეიცავს, რითმი წარმოადგენს, და „მოძრაობათა ყოველი მდინარეა რითმის ისწრაფის“ (Sander).

სრულიად ცხადია, რომ მუშაობის მეთოდთა რაციონალიზაციისას განსაკუთრებული გულისყური სწორედ ამ რითმისაკენ სწრაფვას უნდა მიექცეს, როგორც ამას სხვათაშორის ზანდერიც აღნიშნავს¹⁾. „რითმის განცდა მთლიან ადამიანს წყდება. ასეთ მუშაობათა პროცესში სამუშაო მოძრაობები გარედან მომდინარე სახით კი არ განიცდებიან, არამედ ივინი თითქოს თვითონ ჯანსაღი ადამიანის მოძრაობითი სწრაფვის წიაღიდან „ჯანმომდინარეობენ, ვითარცა მისი შესატყვისი ამოქმედება“... ეს ორი მომენტი მთლიანი ადამიანის რითმის განცდაში მონაწილეობისა და რითმულ მოძრაობათა ადამიანის ძირითად ტენდენციასთან შესაბამისობისა, ზანდერის სამართლიანი შენიშვნის თანხმად, ვასაგებად ზღის, თუ რატომ არის, რომ რითმული მოძრაობები ხალხის აღმგრეულიც არის ადამიანთათვის და ნაკლებ დამალულებელიც²⁾. —მაშასადამე, ყველა ის მოძრაობები რომელნიც მუშაობის პროცესში უნდა შედიოდნენ, სათანადო რითმის მთლიანში უნდა იქნენ გაერთიანებულნი.

აქედან თავისთავად წყდება საკითხი, თუ როგორ უნდა იქმნეს გამოყენებული ის შედეგები, რომელსაც ტროსკი მეტრადი და ციკლოგრაფია იძლევა.

1. ე. წ. „ზედნეტ მოძრაობათა“ შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. ჩვენთვის ეხლა უდავოა, რომ მუშაობის ოპტიმალური მეთოდის აგებისას არა თუ ვერ განვდევნით ყველა ისეთ მოძრაობათ, რომელნიც ვერ იწვევენ უშუალო ეფექტს შრომის პროდუქტში, არამედ რითმის შექმნის მიზნით ზოგჯერ ასეთ მოძრაობათა მთელი რიგის საგანგებო შემოღება დაგვირდება. მაგალ. როდესაც სამუშაო ისეთი ხასიათისაა, რომ სამუშაო მოძრაობების თანამიმდევრობა რითმს არ ემორჩილება, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, ახალ მოძრაობათა ჩართვით ისეთი თანამიმდევრობა შევქნათ, რომ მისი რითმულ ეროვნულებად განაწევრება შესაძლებელი შეიქნეს.

2. ტელიორიზმის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მოძრაობათა სისწრაფეც არის; რაც უფრო სწრაფად ხდება ის მოძრაობები, რომელნიც სამუშაო პროცესს ჰქმნიან, მით უფრო რაციონალურია, მისი აზრით, მუშაობის მეთოდიც. მაგრამ მთლიანი ფსიქოლოგიური ორგანიზმის მიმართ ეს დებულება გამოუსადეგარია.

სათანადო ტესპერმენტული გამოკვლევებისდა მიხედვით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მაგალ. აკუსტიკურ შთაბეჭდილებათა თანამიმდევარ რიგში რითმის განცდის წარმოშეებისათვის აუცილებელია, რომ ერთი შთაბეჭდილება განსაზღვრული სისწრაფით სდევდეს მეორეს. თუ თანამიმდევრობა ძლიერ სწრაფია ან ძლიერ ნელი, შთაბეჭდილებანი იზოლირებულ მდგომარეობაში რჩებიან და მაშასადამე რითმს ვერ ქმნიან. უნდა ვიგულისხმოთ,

¹⁾ Fr. Sander, op. cit. s. 204.

²⁾ იქვე, გვ. 203.

რომ განსაზღვრული არე უნდა არსებობდეს შთაბეჭდილებათა სისწრაფისა, რომელიც რითმის განცდის წარმოშეებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელს, ოპტიმალურ პირობას იძლევა. ეს ოპტიმალური სისწრაფე, უზრუნველყოფილია, ერთ სექტორს უდრის.

ასეთივე ოპტიმალური დრო უნდა არსებობდეს მოძრაობათა რითმისათვისაც. აქედან თავის-თავად გამომდინარეობს დასკვნა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი სამუშაო მოძრაობათა თანამიმდევრობის დროის ანუ ტემპოს შესახებ. მუშაობის ოპტიმალური მეთოდი უსწრაფეს მოძრაობათ როდის გულისხმობს, როგორც ეს მექანიკურ ტელიორიზმს ჰგონია, არამედ მუშაობის ისეთ ტემპოს, რომ იგი რითმის წარმოშეების ოპტიმალურ პირობებს იძლეოდეს. იქ, სადაც რაიმე მიზეზის გამო მუშაობის ტემპოს შეცვლა შეუძლებელია, მაგ. იქ სადაც იგი ძლიერ ნელია, მუშაობის ოპტიმალური მეთოდი ზედმეტ მოძრაობათ მიმართავეს, რომელიც მთავარ სამუშაო მოძრაობათა რიგში იქნება ჩართული, და ამით მოძრაობათა თანამიმდევრობის ტემპო ოპტიმალურს დაუახლოვდება.

3. მოძრაობათა რითმის დაკვირვების აუცილებლობა დროის აბსოლუტური ეკონომიის პრინციპს სხვა მხრივაც ეწინააღმდეგება.

საქმე ისაა, რომ როდესაც რითმულ შთაბეჭდილებათა თანამიმდევრობასთან ვაჭკვს საქმე, თითოეული რითმული ერთეულის შემდეგ განსაზღვრულ პაუზას ვგულისხმობთ, თუმცა ობიექტურად ერთდებდა აქ არაფითარ პაუზას იდეალური ან ჰქონდეს. რითმის ბუნება ისეთია, რომ თითოეული რითმული ერთეული უნდა ნაკადიოდ იქნეს მეორისაგან გამოყოფილი; და სუბიექტურად განცდილი პაუზა სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ თითოეული რითმული ერთეულის შემდეგ სათანადო ხანგრძლივობის ნაშედილი პაუზის ჩართვა საგრძნობლად გააადვილებდა რითმის განცდას. ამისდამიხედვით, ასეთი პაუზების შემოღება მუშაობის მიმდინარეობაში უეჭველად რაციონალური იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემოება მუშაობის საერთო ხანგრძლივობას თვალსაჩინოდ გაზრდიდა.

4. მაგრამ მოძრაობათა რითმის განმტკიცებას არა მარტო ხელოვნურად ჩართული პაუზები უწყობს ხელს.

ზანდერის დაკვირვებით, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომ რითმული ერთეულის ხანგასმულ წევრს, დომინანტს, რომელიც რითმული ერთეულის მთავარი მომენტია, რაიმე მხრივ ხელს შეუწყობთ და კიდევ უფრო მკვეთრად გამოეყოფთ. „ზნირად ეს დომინანტები, როგორც მაგალ. ჩაქუჩის დარტყმევისას, სმენითი და შეხებითი აქცენტის საშუალებით განსაკუთრებით აღინიშნება. ეს სმენითი რითმი თავის მხრივ მოძრაობათა რითმის გამოკვეთილობაზე მოქმედობს, რომელთან ერთადაც ეგი ერთს მთლიან სტრუქტურად შეირწყვის... იქ, სადაც მუშაობის პროცესი ასეთს დამზარე სმენითს ან მხედველობით რითმს არ შეიცავს, მათი ხელოვნურად შემოღება მრავალ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა“¹⁾

II. გარდა რითმულობისა მომუშავე ფსიქოფიზიკურ ორგანიზმს სხვა ძირითადი ხასიათის მოთხოვნილებებიც აქვს, რომელთაც მუშაობის მეთოდთა რაციონალიზაციის დროს უეჭველად ახვარიში უნდა გაეწიოს.

1. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობა რამდენიმე ცალკე მოძრაობათ შეიცავს, იგი ამ უკანასკნელთა უბრალო ჯამს როდის წარმოადგენს: პირიქით, იგი გარკვეული მეთოდითაა, რომლის ნაწილებს რომელობა სრულიად არაა მისთვის ინდიფერენტული, რადგანაც ცხადია, რომ ყოველგვარი მოძრაობის

¹⁾ Fr. Sander op. cit. გვ. 200.

კომინიაციის ასეთ მთლიანობას ვერ შექმნიდა. ამიტომაც მუშაობის ოპტიმალური მეთოდის აგებისას ამ გარემოებას სიგანეებში ანგარიში უნდა გაეწიოს, და მასში ისეთი მოძრაობანი არ უნდა იქნენ შეტანილი, რომელთაც კომინიაციის ერთსა და იმავე მთლიან შრომით განწყობაში ვერ მოათავსებდნენ. ამის დაზღვევით, მავალ არაკოორდინაციულ მოძრაობათა სამუშაო პროცესში შეტანა სრულიად შეუწყნარებელი იქნებოდა.

2. იმისათვის რომ სამუშაო პროცესში შემაჯავლ მოძრაობათა ერთს მთლიანში გაერთიანება გადავიღდეს, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ არიან ეს მოძრაობები უთიერთთან დაკავშირებულნი. როდესაც ყოველი ცალკე მოძრაობისათვის ცალკე იმპულსია საჭირო, ეს მათს დაკავშირებას აძნელებს, და ამასთანავე ადამიანის ენერჯის ინტენსიურ ხარჯვას იწვევს. მუშაობის ოპტიმალური მეთოდისათვის ისეთი მოძრაობათა შერჩევა იქნებოდა ხელსაყრელი, რომელნიც, რამდენადაც შესაძლოა, ერთი ნებით იმპულსიდან იბადებიან და ურთიერთიდან უწყვეტად გამომდინარეობენ.

3. ტელიორიზმის მიხედვით, მუშაობის მეთოდი მით უფრო რაციონალურია, რაც უფრო მოკლე მოძრაობებს შეიცავს იგი.—მაგრამ ეს მოთხოვნები ცოცხალი ორგანიზმის მუშაობის თავისებურებას საკმაო ანგარიშს არ უწყის. საქმე ისაა, რომ მუშაობის პროცესში მონაწილე ორგანოთა მოძრაობის ტრაექტორია მრუდი ხაზს წარმოადგენს. მაშასადამე, ოპტიმალური მეთოდი ისეთი მოძრაობებს ჰგულისხმობს რაციონალურად, რომელნიც სწორედ ასეთს მრუდ-ხაზოვან გზას გადიან.—თანამედ ტელიორიზმის პრინციპისა კი ამის ნაცვლად სწორ-ხაზიანი მოძრაობები უნდა აგვერიო, რადგანაც სწორი ხაზი ყოველთვის უმოკლეს გზას წარმოადგენს ორ მოკლემულ წერტილს შორის (ხანდერი).

4. გარდა ამისა, დამტკიცებულად შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ერთგვარი, სრულიად განსაზღვრული სივრცითი არე არსებობს, რომლის საზღვრებშიც ნომუშავე ორგანოებს ყველაზე უფრო ზედმიწევნითისა და ნაკლებ დამალველი მოძრაობების შესრულება შეუძლია, ხანდერი ამ არეს „მოძრაობის სივრცეს“ (Bewegungsraum) უწოდებს; და სრულიად უდავოა, რომ მუშაობის ოპტიმალური მეთოდი ყოველს ცალკე შემთხვევაში მისი საზღვრების გამორკვევას უნდა ჰგულისხმობდეს. რადგანაც ამ საზღვრების გადაცილება არც ერთის მხრივ არ არის ხელსაყრელი, ამიტომ მუშაობის ოპტიმალურ მეთოდში რასაკვირველი არც ძლიერ მოკლე მოძრაობები შევა და არც ძლიერ გრძელი, რამდენადაც ერთიდაი და მეორეც „მოძრაობის სივრცის“ ფარგლებს იჭედა გადაცილებული.¹⁾

¹⁾ Sander, op. cit. გვ. 207.



სპინოზას გასტრიალიზმი

(გაგრძელება *)

IV სპინოზას უმთავრესი თეორია

სპინოზას მსოფლმხედველობის მთლიანობასა და მონისტურობას გამოხატავს ის ორგანიული კავშირი, რომელიც არსებობს მის ონტოლოგიასა და გნოსეოლოგიას, ე. ი. შეხედულებათა სისტემას და ამის შემეცნების ფორმებს შორის. სპინოზას გნოსეოლოგიის შესწავლა დაგვარწმუნებს, რომ მის ფილოსოფიაში არ არსებობს ის წინააღმდეგობა სისტემისა და შემეცნების ფორმებისა, რომელსაც ყველა იდეალისტური ინტერპრეტატორი ხედავს და რომელთა შორის კ. ფლიერმა ხაზგასმით აღნიშნა ეს. სპინოზას შემეცნების თეორიას სწორად ვერ გავიგებთ, თუ ამოსავალ წერტილად და დასაყრდენად მისი ონტოლოგია არ ავიღეთ. სპინოზას გნოსეოლოგია ჩაქსოვილია მთელ მის სისტემაში და ამ სისტემატურ მთლიანობაში უნდა მოხდეს მისი განხილვაც. მაგრამ ძალიან ხშირად ამ დებულებას ივიწყებენ და როცა სპინოზას გნოსეოლოგიაზე ლაპარაკობენ მხედველობაში აქვთ მხოლოდ ე. წ. ცდისეული შემეცნების მომენტი; მხედველობიდან უშვებენ როგორც საკითხს შესახებ შემეცნების გზისა და საშუალებისა, აგრეთვე ზოგადს, მაგრამ ცენტრალურ საკითხს რაციონალიზმისა, სწორედ ასე იხილავს ანხ. ჩუნმარევი სპინოზას გნოსეოლოგიას, (იხ. მისი წიგნი: „სპინოზას მატერიალიზმი“) ამ ავტორისათვის მხოლოდ ცდისეული შემეცნების მომენტია ღირებული და სხვა გნოსეოლოგიური საკითხები მოხსენებულიც არ არის. ასეთი მისვლა ამ პრობლემასთან, რასაკვირველია ცალმხრივია. ცდისეული შემეცნება თავისთავად სრულიადაც რომ არის შემეცნების თეორიის მომწიფებულობის და სისწორის მაჩვენებელი არ არის; ცდისეული მომენტი მხოლოდ მაშინ იქცევა აუცილებელ კვაკუთხედათ შემეცნების თეორიისა, თუ ის რაციონალური მომენტების თანხლებით და ცდაში მიღებული შინაარსის რაციონალურად გადამუშავებით უზრუნველყოფილია. სპინოზას გნოსეოლოგიის შესწავლა უპირველეს ყოვლისა ამ რაციონალურ მომენტების ცდაში გამოყენებაზე უნდა დაეყრდნოს და არა მხოლოდ უბრალო ცდის თეორიაზე. შეიძლება ზოგიერთებს ეგონოთ, რომ სპინოზას რაციონალიზმი ხელისშემშლელი გარემოება იყოს მისი გნოსეოლოგიური პრინციპების მატერიალისტურ განხილვისათვის. მაგრამ ეს ასე არ არის. სწორად განმარტებული და თავის ადგილზე მოთავსებული რაციონალიზმი არამც თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენი

*) იხ. „მნათობი“ № 4.

ფილოსოფოსის გნოსეოლოგიის მატერიალისტურ დასაბუთებან, არამედ არის ამისი აუცილებელი პირობა.

იდეალისტები სპინოზაში ე. წ. წმიდა რაციონალიზმს ^{განმარტებული} ამის გასამარჯლებლად სპინოზას გნოსეოლოგიის მატერიალისტურ საფუძვლებს ივიწყებენ და რაციონალიზმის სენსუალიზმთან დაპირისპირებით ფონს გადიან: ასე იტყევა მაგ. ვინდელბანდი, რომელიც სწერს. რომ „გნოსეოლოგიურად სპინოზიზმი უკიდურესად ეწინააღმდეგება სენსუალიზმს“...—(იხილეთ: „ისტორიკ ახალი ფილოს“ ტ. I გვ. 109). ჩვენ ამის საწინააღმდეგოთ ვნახავთ, რომ სპინოზას ფილოსოფიაში ცდისეული შემეცნების თეორიის შენარჩუნებით სენსუალიზმის მომენტიც შენარჩუნებულია, მაგრამ ეს გარემოება ძირითადი მინც არ არის.

მოყვანილი დებულების აზრი ვინდელმანდისათვის იმაში მდგომარეობს, რომ ის სპინოზას გნოსეოლოგიაში წმიდა რაციონალიზმის შემეცნების თეორიას ხედავს, ამიტომ ის სპინოზას გნოსეოლოგიას დეკარტისაგან არ ანსხვავებს, თვით სპინოზიზმში კი შეურიგებულ წინააღმდეგობას ნახულობს სისტემისა და შემეცნების თეორიის ფორმება შორის.

ამე უნდა შევხვით იმ შეხედულებასაც, რომლის აზრით სპინოზას მეთოდოლოგია და გნოსეოლოგია სიტყვით-სიტყვაადე ის არის, რაც დიალექტიური მატერიალიზმი. ასეთი აზრი გამოთქვა ამხ. ტიმანსკომ (თავის წინასიტყვაობაში დეკარტის წიგნისა მეთოდის შესახებ და სპინოზას წიგნისა დეკარტის შესახებ). ეს გადაქარბებული კვალიფიკაცია სპინოზას გნოსეოლოგიისა, ჩვენი აზრით, არაერთარ დადებით მოვლენას არ შეადგენს დიალექტიური მატერიალიზმისათვის. ის ხელს გვიშლის საკითხი სწორად დავაყენოთ და უპირველეს ყოვლისა, თვით სპინოზას გნოსეოლოგია შევისწავლოთ. თუმცაღა სპინოზას აზროვნება სავსეა დიალექტიური ნაკადით, თუმცაღა მის გნოსეოლოგიაშიც თვალსაჩინო ადგილი დიალექტიურ აზროვნებას ეკუთვნის, დაბოლოს, შეიძლება სასურველიცაა, რომ სპინოზას გნოსეოლოგია სავსებით დიალექტიური მატერიალიზმის პროტოტიპი ყოფილიყო, მაგრამ თუ სპინოზას ნიადაგზე დავრჩებით და ისტორიას არ უღალატებთ, ასეთს იგივეობას მათ შორის ვერ ვპოვებთ. არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, სპინოზას მეთოდოლოგია ჯერ კიდევ ფორმალლოგიური და მეტაფიზიკური იყო და ამიტომ ის სრული პროტოტიპი დიალექტიური მატერიალიზმის გნოსეოლოგიის არ შეიძლება ყოფილიყო.

ამრიგად, სპინოზას გნოსეოლოგიის განხილვის დროს წინასწარ უნდა უარყოფოთ ყველა შესაძლებელი უკიდურესი ინტერპრეტაცია და საკითხი თვითონ სპინოზაზე დაყრდნობით გავარკვიოთ. ჯერ უნდა დავადგინოთ ყველა ელემენტი სპინოზას რაციონალიზმისა და ამის შემდეგ ის მომენტები მოვნიხოთ, რომელთა გამო სპინოზას რაციონალიზმი მისი გნოსეოლოგიის ფარგლებში სახეს იცვლის და წმიდა რაციონალიზმის საწინააღმდეგო მოძღვრებად იქცევა. ეს გზა სავალადებულაა იმითვის, რომლებთაც სპინოზას ფილოსოფიაში მატერიალისტურად გნოსეოლოგიის ამოკითხვა სურთ.

სანამ გნოსეოლოგიის სპეციფიურ პრობლემების განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროა ვიკოდეთ, თუ რა არის ის ე. წ. „გეომეტრიული მეთოდი“, რომლითაც ჩვენი ფილოსოფოსი კვლევა-ძიებას აწარმოებს. თუ ამ საკითხს წინასწარ არ მოვაგვარებთ, ჩვენ უფლება არ გვექნება რაიმე აზრიანთ განზოგადებათ სპინოზას მეთოდოლოგიის შესახებ, უფლება არ გვექნება იმით, რომ ჩვენ არ გვეკოდინება იყო სპინოზას მეთოდოლოგია მათემატიკური, თუ მხოლოდ რაციონალისტური. გეომეტრიულ მეთოდს სპინოზა უდიდეს მნიშვნელობას რომ მიაკუთვნებდა, ამაზე დაეა ხომ შეუძლებელია — სპინოზას მთავარი ნაწარმოები: „ეთიკა“ ამის საუკეთესო ილლუსტრაცია არის.

მაგრამ თუ ვიკითხავთ: რა არის სპინოზასათვის გეომეტრიული მეთოდი? არის ეს გამოთქმის საშუალება, თუ კვლევა-ძიების მეთოდი? ამ საკითხის გაგებაში ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პოლოცევის ქალს, რომელიც სპინოზას „ტრაქტატი ინტელექტის განმარტებისათვის“ რუსული გამოცემის შესავალში სწერს: „საკითხი გეომეტრიული მეთოდის შესახებ არ უნდა შევეუროთ საკითხს ფილოსოფიური კვლევა-ძიებისა, პირიქით ეს ორი პრობლემა ერთმანეთისაგან სავსებით დაშორებული უნდა გვესმოდეს“. ამ დებულების სისწორე მტკიცდება მრავალი საშუალებით და ფაქტით. რომ ერთი წუთით დაღწეათ ვითომ სპინოზასთვის გეომეტრიული მეთოდი იყო კვლევა-ძიების მეთოდი, ამით მთელი მისი მოძღვრება რაღაც უსულო და უფერული გამოდის, ხოლო მისი მოძღვრება მეთოდისათვის, სავსებით გაუგებარი ხდება. მეთოდი სპინოზასათვის მსოფლმხედველობიდან დაშორებული და მოგლჯილი კი არ ყოფილა, არამედ იყო მისი ერთი ნაწილი და ორგანიული სახეობა. მისი სისტემის შინაგანი თანმიმდევრობა თხოულობდა მეთოდის გზების განსაზღვრას მსოფლმხედველობრივი მოტივებით. და თუ ჩვენ მივიღებთ, რომ სპინოზას მსოფლმხედველობა სავსებით მატერიალისტური მსოფლმხედველობა იყო, ცხადია, რომ მისი მეთოდიც ამ სფეროში უნდა ვეძოთ, მაშინ ე. წ. „გეომეტრიული მეთოდი“ იქცევა მხოლოდ გამოთქმის ფორმით და გადმოცემის საშუალებათ და არა კვლევა-ძიების მეთოდათ.

საწინააღმდეგოს თუ დაუშვებთ, მაშინ მოვალე ვიქნებით მივიღოთ, რომ სპინოზა ლოგიურ კატეგორიას რეალურზე მაღლა აყენებს, ის კი არა, მისთვის ლოგიკურის პრიმატი რეალურზე და მატერიალურზე ულპარაკო დებულება უნდა ყოფილიყო, — თუ გეომეტრიული მეთოდი კვლევა-ძიების მეთოდია, მაშინ ასეთი დასკვნა აუკლებელია. კიდევ მეტი: თუ გეომეტრიულ მეთოდს კვლევა-ძიების მეთოდათ მივიღებთ, მაშინ ცდა თავის უფლებას ჰკარგავს. ჩვენი შემეცნების ჩამოყალიბების დროს და გნოსეოლოგიის მთელი სურათი იცვლება. ვედენსკი ნამდილად ამ მომენტს გამოყენებას ცდილობდა თავისი იდეალისტური კონცეპციისათვის და ამიტომ ამტკიცებდა, რომ სპინოზასათვის „გეომეტრიული მეთოდი“ კვლევა-ძიების მეთოდი იყო. ვედენსკის მეორე დებულება, საბედობარ ის რომ ცდას სპინოზას გნოსეოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი არ მიეკუთვნება, რომ სპინოზა აქ უბრალო და წმიდა წყლის რაციონალისტიკა, ლოგიკურად გამომდინარეობს პირველისაგან. ამის დასამტკიცებლად ვედენსკი

სწერდა: „ისინი (სპინოზა და დეკარტი) დროგამოშვებით ცდის დახმარებას მიმართავენ. ასე იქცევა თვითონ სპინოზა, რომელიც „ეთიკაში“ თავის სისტემას წმიდა გეომეტრიული მეთოდით აშენებს, ე. ი. ცდის დაუხმარებლობა“ (იხ. მისი: „დეკარტი და რაციონალიზმი“).

თუ ამას მივიღებთ და გეომეტრიულ მეთოდს კვლევა-ძიების მეთოდად ჩავთვლით, რასაც ლ. აქსელროდიც ჩადის, მაშინ ცხადია, რომ ცდის ადგილი და მნიშვნელობა სპინოზას ფილოსოფიაში მინიმუმამდე შემცირდება და რაციონალისტური ელემენტის გარეშე იქ ბევრი აღარაფერი დარჩება. სპინოზა ამ შემთხვევაში უკიდურესი რაციონალისტი იქნება გნოსეოლოგიაში, ხოლო მისი სისტემა აშენებული იქნება მსოფლმხედველობისა და მეთოდის გათიშვაზე და წინააღმდეგობაზე. მაგრამ რადგან ეს სპინოზიზმი არ არის, სწორედ ამიტომ გეომეტრიული მეთოდი გადმოცემის საშეაღებათ უნდა მივიზნოთ და არა კვლევა-ძიების მეთოდად. როდესაც სპინოზა ამ მეთოდს მიმართავდა ის ცდილობდა ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები იმავე თვალნათლობით დაეღაგებია, როგორც ეს თვალნათლობა მიღწეული იყო მათემატიკის და მეხანაიკის სფეროში. სხვა აზრი და მოფიქრება სპინოზას არ ჰქონია და უსაფუძვლავ ინტერპრეტაციების ცდა ამ დარგში..

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ემპირიზმისა და რაციონალიზმის განსხვავება არ არის დამოკიდებული იმისგან, თუ რომელი მათგანი ცდას მიიღებს ან უარჰყოფს, ყალბია ის ჩვეულებრივი შეხედულება, რომელსაც წარმოუდგენია, რომ რაციონალიზმი ცდის ყოველივე მნიშვნელობას უარჰყოფდეს, ნამდვილი და სწორად გაგებულ რაციონალიზმი საესებით რომ არის ცდას არ ეწინააღმდეგება, არც სწორად გაგებულ ემპირიზმი ეწინააღმდეგება რაციონალური მომენტების მიღებას, არამედ ამათ მიღება - გამოყენებაზე დაყრდნობილი. სპინოზას რაციონალიზმიც სწორედ რომ ეს სწორად გაგებულ რაციონალიზმი, ის მართო კვლევა-ძიების მეთოდი კი არ არის, არამედ ამასთან ერთად თავისებური მსოფლმხედველობაც.

ამიტომ ჩვენ სავსებით გეოანზნებით ვედენსკის, რომელიც ცალმხრივი რაციონალიზმის შესახებ ამბობს: „მთავარი თვისება რაციონალიზმისა მდგომარეობს იმაში, რომ გაიგივებულია ყველა რეალური მიმართება ლოგიურთან, არსი რაციონალიზაცია მქნილია... რაციონალიზმი ეს ისეთი დოგმატიური მიმართულებაა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ყველა რეალური კავშირი და მიმართება შეიძლება ლოგიკურათ დავებურდავით“ (იხილე ვედენსკის უკვე დასახელებული ნაშრომი). თუ ჩვენ ამ განმარტებას ე. წ. წმიდა რაციონალისტებს მივაკუთვნებთ და ამ შეხედულების გათვალისწინებით სპინოზას გნოსეოლოგიას განვიხილავთ, ენახეთ, რომ სპინოზა ასეთი რაციონალისტი არ არის. სპინოზას რეალურსა და ლოგიკურს შორის სრული იგივეობის ნიშანი არასდროს არ დაუსვამს და ის სწავიბა, რომელიც ამ სფეროს შორის არის მოთავსებული მისთვის არასდროს უცნობი არ ყოფილა.

რასაკვირველია, სპინოზას გნოსეოლოგიას ბევრი სუსტი ადგილიც გააჩნდა, მაგრამ ამის აღნიშვნა იმის დავიწყებას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ეს გნოსეოლოგია

მინც მონისტური და მატერიალისტური იყო, ხოლო საფუძველი გნოსეოლოგიური მატერიალიზმის სპინოზამ უზრუნველყო თავის მოძღვრებით სპაყაროს ობიექტურად და რეალურად არსებობის შესახებ. ამ ობიექტური შეწყნების ხაზგასმით ინსინება ისიც, რომ სპინოზას სისტემაში ონტოლოგია და გნოსეოლოგია ერთი მეორეზე მჭიდროთ გადაკეანებულია და იძლევა საუცხოვო საბუთის მთელი სისტემის მატერიალისტურობისათვის. მატერიალისტური შემეცნება კი ყოველთვის დაფუძნებულია სუბიექტისა და ობიექტის, ე. ი. შემცნობელისა და შესაცნობის დიალექტიურ ერთიანობაზე. ეს ერთიანობა სპინოზას სიტყვაში ატარიზუტია მოძღვრებიდან მიდიოდა და აზროვნებისა და არსის ერთიანობის მიღებით სავსებით უზრუნველყოფილი იყო. სპინოზას შემეცნებელი სუბიექტი, ე. ი. ადამიანი, ერთ და იმავე დროს იყო სუბიექტიც და ობიექტიც, ობიექტი იყო ის, როგორც ნაწილი სინამდვილისა, ნაწილი ბუნებისა და სავანი სხვისი ცნობიერებითი შემეცნებისა. თუ ეს წინამძღვარი პირობა მიღებული არ იქნება, ისე არც ერთი შემეცნების თეორია ობიექტიური, ე. ი. ნამდვილი ქვეყნის გამოხატეელი ვერ ვახდება. სპინოზა ამ მთლიანობიდან გამოდიოდა და ამიტომ ადვილად ამკვიდრებდა კავშირს შემეცნების მიზნებსა და ამოცანებს შორის / ეს პრობლემა საუცხოვოთ დამუშავებული აქვს თავის ტრაქტატში ინტელექტის გაწმენდის შესახებ, სადაც ფილოსოფიის უკანასკნელ მიზნად დასახულია ადამიანის არსების იმდაგვარი სრულქმნა, როცა მისი გონება უნაკლოთ შეისწავლის ბუნებას და მის მარადიულ კანონებს. ადამიანის სისუსტე — ამბობს სპინოზა — არ ვაგინებებს ეს მარადი კანონები აღმოვაჩინოთ და მათი მოხმარებით ბედნიერება დავაყაროთ, ამიტომ უმაღლესი სიკეთე იქნება ის, თუ ადამიანის ბუნება იმდენად გადაკეთდება, რომ ამ მარადიულ კანონებს უნაკლოდ შეიმეცნებს. ეს იქნება ადამიანის ბუნების და ნიჭის სრულქმნა. ეს არის ფილოსოფიის უკანასკნელი მიზანი და მისი უდიდესი ამოცანაც. „ყველაფერი, რაც საშუალება კი შეიძლება იყოს ამ სრულქმნის მიღწევისათვის — სწერს სპინოზა — არის ქეშმარიტი სიკეთე, უმაღლესი სიკეთე კი იქნება ის, რომ ადამიანი სხვა ინდივიდუშთან ერთად შესძლებს არსების ზღწევას და ამით იხელმძღვანელებს... ეს იქნება იმ ერთიანობის მიღწევა, რომლითაც სული და ბუნება ერთ მთლიანად გადაბმულია... აი ის უკანასკნელი მიზანი, რომლისკენ მე მივისწრაფვი“. („ტრაქტატი“ გვ. 68).

ასეთია პრაქტიკული მიზანი სპინოზას ფილოსოფიისა, ის სავსებით შეთანხმებულია ადამიანის შემეცნებითი საჭიროებასთან. უკანასკნელ მიზნად დასახულია ადამიანის არსების სრულქმნა, მხოლოდ მის მისაღწევ საშუალებად ბუნების ადეკვატური შემეცნებაა დასახული. სანამდე ადამიანს ბუნება და მისი კანონები ასეთი ადეკვატური ცოდნით არ გამოუხატავს, მანამდე ყველა მისი წარმოდგენა, ცნება და ცოდნა არის ცალმხრივი და განსაზღვრული. ამ ცენტრალური დებულებიდან გამოსვლით იძლევა სპინოზა თავის მოძღვრებას თავისუფლებაზე, ადამიანის ნებისყოფაზე, კეთილისა და ბრბოტის რელატიურობაზე და სხვა. — ყველა ამას დღევანდელ კი დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. როგორც შემთხვევითობა მას ისეთ მოვლენად მიაჩნდა, რომლის მიზეზი ზვენი გონების სისუსტისა და განსაზღვრულობის გამო ვერ ვაგვივია, სწორედ ასე მიაჩნდა

მას ე. წ. ნებისყოფის თავისუფლება მოჩვენებად, თავისუფლება მხოლოდ მაშინ იქცეოდა ნამდვილ თავისუფლებად, როცა შემეცნებული იქნებოდა ის მიზნი და აუცილებლობა, რომელსაც ადამიანის ეს თუ ის მოქმედება განუხლებურავეს. შეცდომა ადამიანის წყვედიადში სიარულია, ის შედგება ჩვენი ცოდნის სისუსტისა და სიფიწროვის. რამდენად ჩვენი შემეცნება ბუნების ასპარეზზე წინ წაიწევს, იმდენად ადამიანი თავს დააღწევს შეცდომას და ჰეშმარიტებას და სიკეთეს მიუახლოვდება.

შემეცნების მეთოდის, ანუ საშუალების და გზის გარკვევას სპინოზა იწყებს დებულებით, რომ საზიაროს ადექვატური შემეცნება შესაძლებელია. ეს ადექვატური შემეცნება არის ერთად ერთი თავნები იმისა, რომ ადამიანი დაბოლოს შეცდომებისაგან თავს განითავისუფლებს და ბატონობას ბუნების ძალებზე უზრუნველყოფს. სპინოზას მატერიალისტური გნოსეოლოგიის საფუძველს სწორედ ეს ადექვატური შემეცნების შესაძლებლობის მიღება შეადგენს. „ადამიანის არსების გასაგებათ—სწერს სპინოზა—აუცილებელია ბუნების (ე. ი. სუბსტანციის არსების) შემეცნება“ („ტრაქტატი“ გვ. 66). ამ მიზნის განხორციელებისათვის არის მიმართული ადამიანის ყოველივე მოქმედება და მათ შორის უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, მეცნიერება და ფილოსოფია. მედიცინა, ტეხნიკა, თუ კიდევ სხვა დარგი ზუსტი მეცნიერებისა, ფილოსოფიამ უნდა დაიხმაროს და თავის უმთავრეს მიზანს, ბუნების ადექვატურ შემეცნებას, მიაღწიოს. რამდენად ფილოსოფია მეცნიერების მიღწევებს ეყრდნობა, იმდენად მისი საფუძველი პრაქტიკულად არის გამართლებული.

ყველაფერს რომ თავი გაავანებოთ აქ ჩამოთვლილი დებულებები უკვე საუცხოვო დოკუმენტია სპინოზას ფილოსოფიის მატერიალისტურობისა. ამა რა ტერმინით უნდა მოგვეხატა ის ფილოსოფია, რომელიც გარემყარის ობიექტიურობას ემყარებოდა, რომელიც სუბიექტისა და ობიექტის მთლიანობას დებულობდა, და ყველა სუბიექტურ ცოდნას, რელატიურობას ჩვენი ცოდნისა და ნორმისა ადამიანის შემეცნებითი უნარის შემოფარგლულობით ხსნიდა და სხვადასხვა. ცხადია, რომ ასეთი ფილოსოფიის სახელი მხოლოდ მატერიალიზმი შეიძლება იყოს. გნოსეოლოგიის სპეციფიური პრობლემების განხილვა კიდევ უფრო განამტკიცებს ამ შეხედულებას, თემცალა, შეცდომები და ზოგი დაბოკლება სპინოზას გნოსეოლოგიასაც ახასიათებენ.

ძირითადი სპინოზას გნოსეოლოგიისათვის იყო ადექვატური შემეცნების შესაძლებლობის დადგინება. დანარჩენი პრობლემები ადვილია და წარმოადგენენ ამ ცენტრალური დებულების გამოხატვას და მის დამტკიცების საშუალებებს. სრული შემეცნების თეორიისათვის, რომ საკმარისი არ არის არც მარტო ადექვატური შემეცნების აღიარება და არც მხოლოდ ობიექტიურობის მიღება, ეს ნათელი იყო თვითონ სპინოზასათვისაც. ის რაც ამ პრობლემებს მიღმა რჩებოდა, სწორედ ეს იყო არსებითი ნაწილი გნოსეოლოგიისა, საკითხი ამის შესახებ, თუ როგორ არის თვით შემეცნება შესაძლებელი, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი, როგორი დამოკიდებულებაა ჩვენს ცნობიერებასა და გარემყარს შორის, როგორ გამოიხატება ქვეყანა ცნობიერებაში და სხვადასხვა, ყველა ამ

საკითხის გარკვევის შემდეგ გვეჩვენება ჩვენ სპინოზას გნოსეოლოგიის სრული და უნაკლო სურათი.

უნდა ითქვას, რომ ადექვატური შემეცნების შესაძლებლობის საკითხი სპინოზას გადაჭრილი აქვს ძალიან თავისებური მიდგომით. ეს თავისებურება, რასაკვირველია, მისი ფილოსოფიიდან გამომდინარეობს. მისი ხელთკონება მუდმივ აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ადამიანს მოერყენოს, რომ გნოსეოლოგიაში სპინოზა იდეალისტი არისო. ამ მოჩვენებას ასაზრდოებს ის გარემოება, რომ სპინოზას აზრით შემეცნების შესაძლებლობის საკითხი ადამიანის სულის უნარიანობით არის გადაჭრილი. მაგრამ თუ ამ „სულს“ კარგად ჩაუკვირდნით, ვნახავთ, რომ ის ობიექტიურად არსებული სხეულის იდეა არის ადამიანის სხეულის მეშვეობით გამოხატული; სწორედ ამიტომ, სპინოზას აზრით, შემეცნება იწყება შოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა სხეულებს, ე. ი. გარემყარს ადამიანის სხეულზე რაიმე ზეგავლენა მოუხდენია—ეს მატერიალისტური შეხედულება სულზე კიდევ უფრო გამტკიცდება მაშინ, როცა შევიტყობთ, რომ სულის ასეთი თუ ისეთი მდგომარეობა გამოწვეულია ობიექტის მდგომარეობიდან გადმოცემული შთაბეჭდილებებისაგან, სადაც სუბიექტი ე. ი. სული ობიექტის ბუნებასა და ცვალებადობას გამოხატავს. „ადამიანის სულის შემდგენი საგნის იდეა—სწერს სპინოზა—სხეული აქნება, ამ შემთხვევაში შეუძლებელია რაიმე ისეთი მოხდეს სხეულში, რაც არ აღიქვას სულმა“ („ეთიკა“, 81). ამით სპინოზა იმასაც ამტკიცებს, რომ სხეულში მიმდინარე ცვლილებანი, სულის მიერ აღქმავნილი იქნება არა შემთხვევით და ობიექტისაგან დამოუკიდებლად, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სულსა და გარეგვეყანას შორის ურთი-ერთი ზეგავლენა არსებობს. თვით სპინოზა ამის შესახებ სწერს „ეთიკაში“: „თუ რომელიმე გარეგვეყნიერ სხეულს ადამიანის სხეულზე არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია, მაშინ ადამიანის სხეულის იდეას, ე. ი. ადამიანის სულს არავითარი საშუალებით არ შეუძლია ამ გარეგვეყნის სხეულის ათვისება და აღქმა... ადამიანის სხეული მხოლოდ იმდენად აღიქვამს ამა თუ იმ გარეგვეყნის სხეულს, რამდენად ამ უკანასკნელს მასზე რაიმე მოქმედება მოუხდენია“ (103). თუ ეს ასეა, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ, რომ ადამიანის წარმოდგენა ამა თუ იმ რეალურად არსებული საგნის შესახებ, თავისთავად კი არ იცვლება, არამედ როგორც იმ ცვლილებათა შედეგი, რომლებიც ობიექტებში გარემყარი ქვეყნის ზეგავლენისაგან მომხდარა. ადამიანის სული აღიქვამს ობიექტების მდგომარეობას და ამასთან ერთად მდგომარეობას იმ საგნებისა და მოვლენებისა, რომლებიც, თუ მასთან არა, მის უშუალო ობიექტებთან ასეთს, თუ ისეთს კავშირში იმყოფებიან. ამიტომ სული თავის ობიექტის მიმართ ცვალებადია, ის იცვლება არამც თუ მისი ობიექტის ცვალებადობის გამო, არამედ იმ უამრავ სხვა სხეულებისა და საგნების, რომლებიც მის ობიექტთან არიან დაკავშირებული.

ამ მატერიალისტური შეხედულებიდან სპინოზა გადადის ე. წ. მეხსიერების პრობლემაზე. მეხსიერება სულში წარმოსდგება მაშინ, როცა რამოდენიმე კერძო და ასოციაციაციონილ იდეაში ერთ-ერთი სხეულის იდეა ცენტრალურ ადგილს დაიჭერს. აქ ძალიან საინტერესოა ის გარემოება, რომ სპინოზას

აზრით, ერთი და იგივე სხეული, ორ-სხვა და სხვა ადამიანის მიერ აღქმული შეიძლება იყოს და რეზულტატები აღქმისა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. ამ განსხვავებას იწვევს ის გარემოება, რომ ადამიანის ხაკუთაზრის სხეულში, ი.ე. მისი ინდივიდუალობა მონაწილეობას ღებულობს აღქმისა და წარმოდგენის მსვლელობის პროცესში. ამ გარემოებას სპინოზა აილიუსტრირებს საუცხოვო მაგალითით: „ჯარისკაცი ცხენის ნაკვალევს რომ დაინახავს იმ წამსვე მისი აზრი შეიცვლება და ცხენიდან ის ცხენოსან მხედარს წარმოიდგენს, აქედან მისი აზრები ომზე გადაეა და სხვ. მიწის მუშა კი იმავე ცხენის ვახსენებაზე გაიხსენებს ჯოთანს, ყანას და სხვ.“ („ეთიკა“, 97).

ამრიგად ჩვენ ვნახეთ, რომ სპინოზა ქვეყნის შემეცნებას გარემოებრივ ქვეყნის საგნის ადამიანის სხეულზე მოქმედების მიღებით იწვევს, რის გამო სული როგორც სუბიექტი განსაზღვრული რჩება გარე ქვეყნის სხეულებისაგან, როგორც ობიექტისაგან. ამ გზით მიღებულ წარმოდგენებს ამაგრებს რეალური სინამდვილე და თვით წარმოდგენა არის ამ უკანასკნელის გამოხატულება. მაგრამ რადგან ადამიანის სული დაუბოლოვებელი ინტელექტის მოდუსია, ამიტომ მას სრული და ადეკვატური შემეცნება საგნებისა და ქვეყნის არ აქვს, ამიტომ ის არისის სავსებობით შემეცნებას არ იძლევა. როგორც მოდუსი დაუბოლოვებელი ინტელექტისა ის არის ნაწილი, ამიტომ ვვასწავლის სპინოზა, ამ ნაწილს სრული და ადეკვატური შემეცნება იმის ძალით არ აქვს, რა ძალით ნაწილი არ არის მთელი მთლიანობა. მაგრამ აქედან სპინოზას ის დასკვნა კი არ გამოჰყავს, რომ ადეკვატური შემეცნება საერთოდ შეუძლებელია, სპინოზა მხოლოდ იმ წინააღმდეგობაზე მიუთითებს, რომელიც გაშლილია მთელი ქვეყნის შემეცნებისაკენ მიმართულ სულის სურვილს შორის და იმ ფაქტს, რომ სულს ეს სრული შემეცნება არ ძალუძს; ამ წინააღმდეგობის დაძლევის სპინოზა ცდილობს იმით, რომ ადამიანის შემეცნებისათვის საკუთარს და ბუნებრივს იღებებს დაეძებს.

ამიტომ სპინოზას ძირითად ამოცანას შეადგენს ადეკვატური და ქეშმა-რიტი იღებების გამოხატვა, მათი დახმარებით ფილოსოფოსს სურს აღმოაჩინოს სხვა, ჩვენთვის უცნობი იღებები. ამ მიზნისათვის სპინოზას აუცილებლად მიჰჩნია, რათა ჩვენი ინტელექტი განიწმინდოს ყველა არანათელი, არასრული და შემთხვევითი იდეისაგან. ინტელექტის წმენდის საუკეთესო საშუალება არის პერცეპციის საშუალებათა, ანუ შერეულების ფორმებისა და საშუალებების განხილვა. ამის განხილვის დროს უნდა ვაჩვენოთ აგრეთვე სპინოზას გნოსეოლოგიის ყველა სუსტი, თუ ძლიერი მხარე. ისეთი საშუალება ანუ პერცეპცია სპინოზას მიღებული აქვს ოთხი. მათ შორის პირველი და მეორე შეიძლება ერთ საშუალებათ იყოს ცნობილი. შემეცნების პირველი საშუალება არის „პერცეპცია სხვისი სიტყვისაგან“ ან და შემთხვევით აღებულ სიმბოლოს დახმარებით მიღებული შემეცნება. მეორე საშუალება არის შემთხვევითი. ცდის ნიადაგზე მიღებული პერცეპცია, ი.ე. ისეთი ცდის, რომელიც ინტელექტის მიერ გარკვეული არ არის. მესამეა ისეთი პერცეპცია, რომლის საშუალებით საგნის არსება თუმცა და მეორე საგნის არსებიდან არის გამოკეანილი, მაგრამ

არა ადექვატურად. მეოთხე სახე პერსექუციისა არის ის, რომლის საშუალებით საგანი შეიმეცნება ან მხოლოდ თავისი არსებით და ან მისი უახლოესა მიზეზის შემეცნებით. (იხილეთ: „ტრაქტატი გონების განმარტებისა“ გვ. 72—4).

პერსექუციის პირველ ორს საშუალებას სპინოზა უწოდებს იმანენტურ შემეცნებას, მეოთხეს და ნაწილობრივად მესამეს—ადექვატურს; ადექვატური შესდგება ინტელექტუალური და ინტუიტიური შემეცნებისაგან. იმანენტური შემეცნება არის არა ნათელი, არა სრული, არა ქეშმარიტი და შემთხვევითი; ადექვატური კი ამის საწინააღმდეგოთ არის ქეშმარიტი და სრული შემეცნება.

აქ მთელი სიგრძე სიგანით ისმება საკითხი: გამორიცხული ხომ არ არის შემეცნების წყარობისგან ცდისეული შემეცნება, რადგანაც ის სპინოზას გაგებით დაკავშირებულია იმანენტურ შემეცნებასთან, ნუ თუ არ არსებობს არაერთი კავშირი და დამოკიდებულება იმანენტურსა და ადექვატურს შემეცნებას შორის, ე. ი. მათი პრობლემა ისე ხომ არ უნდა გაეგოთ, როგორც შემეცნების სხვა და სხვა საფეხურისა; დაბოლოს, რა არის რაციონალური და ინტუიტიური შემეცნება, როგორია დამოკიდებულება მათ შორის და როგორ გვესმის ჩვენ ეს.

აღამიანის სული, როგორც თავისი სულის იდეა, როგორც ეს უკვე ვნახეთ, სრული ქეშმარიტი შემეცნების მქონე არ არის. შემეცნების ეს საფეხური, სპინოზას გაგებით, არის პირველი, ის არის იმანენტური ე. ი. ის, რომლის არსებას გრძნობისებური შემეცნება შეადგენს.—კერძოსა და არა მთლიანის გაგება. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება არის ბუნდოვანი და გაურკვეველად სტოვებს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ესმოდა სპინოზას ცდის როლი; მაგრამ იგივე გარემოება არ გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, ვითომც სპინოზა ცდისეული შემეცნების გამორიცხვის ცდილობდეს. ნათელია მხოლოდ ის, რომ იმანენტურად და ამიტომ არა ადექვატურად სპინოზას ისეთი შემეცნება მიაჩნდა, რომელიც მხოლოდ გრძნობას ეყრდნობოდა და ამიტომ თავის ობიექტად ჰქონდა კერძო და ერთეული საგანი, რის გამოც ის ვერ იძლეოდა ქეშმარიტად შემეცნებას, რომლის საგანს ყოველთვის ზოგადი და მთლიანი შეადგენს.

აქ შეიძლება გვიპასუხოთ: რადგან სპინოზას მოძღვრების თანახმად თვითეული ცალკე არსებული საგანი სხვა საგნებთან ერთად არსებობს, თვითეული სხეული განიცდის მეორე სხეულის ზეგავლენასა და მოქმედებას, რის გამოც თვითეული უკანასკნელი მოქმედება არის გამოხატულება წინასწარის და მეორის, ამიტომ ყველა კერძო შემეცნების დროს, შემეცნება ილწვეს ზოგადსაც, ე. ი. ადექვატური შემეცნების მოთხოვნილება სავსებით დაკმაყოფილებული რჩება. ამ საკითხზე სპინოზა უპასუხებს სავსებით გარკვეულად, რომ აღამიანის სული, მისზე სხვა ობიექტების გავლენის გამო, უკეთესად და უწინარეს შემეცნებას საკუთარ ობიექტს; აქედან სპინოზას გამოჰყავს მოძღვრება გვარეული ცნების განსაზღვრულობის შესახებ, გვარეულობის ცნება არ იძლევა ზოგად შემეცნებას, ისინი არასდროს არ გამოხატავენ იმ საერთოს, რომელიც ყველა საგანისათვის საერთოა, არამედ იძლევიან ზოგ გარეგან საერთო სახეს. სწორედ ასეთ

ედისეულს და შეგარბებზე დამყარებულ შემეცნებას, ე. ი. ისეთს, რომელსაც ზოგადისა და ყველა საგნისათვის სავალდებულოს მოცემა არ შეუძლია, სპინოზა იმანენტურ შემეცნებას უწოდებს. მაგრამ ყველაფერი ეს იმას ემყარება, ვითომც სპინოზა ცდას არაერთად როლს არ მიაკუთვებდეს. ჩვენ გვგონია, რომ აქ ლაპარაკია ცდის უკანონო და ცალმხრივ ხმარების წინააღმდეგ და არა ცდის წინააღმდეგ საერთოდ, რადგან ჩვენ ვღებულობთ თვალსაზრისს, რომ სპინოზასთვის იმანენტურ და ადეკვატურ შემეცნებას შორის მეტაფიზიკური და გადაულაზავი კედელი არ არსებობს, ამიტომ ჩვენ უნდა დავაპტიკოთ, რომ პირველი შემეცნების ფორმა არის მეორეს უცილობელი ნაწილი. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ როგორ უნდა გავგვეცო ის გარემოება, რომ სპინოზა ყოველთვის და ყოველგან ცდისეულ შემეცნებას დიდი ყურადღებით ექცევა და თავის ადგილს მიაყუთვებს. ნათქვამის ილუსტრაცია შეიძლება ბევრი მისი ნაწერიდან. მაგალითად სპინოზა ლაპარაკობს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს და როგორ უნდა ვხმარობდეთ ცდას: „სანამდე ჩვენ გადავიდოდეთ კერძო და თვითეული საგნის შემეცნებაზე, მანამდე კიდევ გვექნება დრო გაფარკებით ის საშუალება, რომელიც ნებას გვაძლევს კანონიერად ვისარგებლოთ ჩვენი გრძნობებით და მოვაწყუთ ცდები იმდაგვარად, რომ გამოსარკვევი საგნის ბუნება თანახმად კანონებისა და წესწყობისა გვეძლეოდეს, ე. ი. ისე, რომ დაბოლოს ამითგან ისიც გავიგოთ, თუ რომელი მარადი საგნის კანონიდან მოცემულია გარდამავალი და ცვალებადი საგანი, რითაც მისი არსება შემეცნებულად დარჩება ჩვენთვის“. (სპინოზა: „ტრაქტ. ინტელექტ. განწყვედ.“. გვ. 176).

ამრიგად სპინოზა სრულიადაც რომ არას ცდილობს, გრძნობაზე დამყარებულ, შემეცნებას არ უარყოფს, პირიქით, ის მას ადეკვატური შემეცნების აუცილებელ პირობად მიიჩნია; სპინოზა ტიტველ ცდას უარყოფს და საესებით კანონიერად უპრინციპო ემპირიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ რატი მოიფიქვოდა ის, რომ საჭიროა „ჩვენი გრძნობებით სარგებლობას უნარი და ცდების მოწყობა კანონებთან შეთანხმებით“... ცდასთან ერთად სპინოზა აყენებს ექსპერიმენტს. ცდაზე და ექსპერიმენტზე შტერება და მათი როლის გარკვევა შემეცნების პროცესისათვის სპინოზას გნოსეოლოგიის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო.

მაგრამ საბოლოოდ რომ ვადიქრას საკითხი იმანენტური და ადეკვატური შემეცნების ურთიერთობისა საჭიროა ეს უკანასკნელი უფრო ვრცლად განვიხილოთ. სპინოზას აზრით მხოლოდ მეოთხე პერექტაცია იძლევა ადეკვატურ შემეცნებას, მხოლოდ მასში „განხილვა საგანი საკუთარი არსების მიხედვით“, ე. ი. ადეკვატური მხოლოდ ისეთს შემეცნებას ქვიან, რომლითაც საგნის ასრებას შევიშეცნებთ და არა მის არსებობას. სპინოზას რომ არსება მოვლენისაგან მეტაფიზიკურად განესხვავებია, ჩვენ მაშინ მას სკოლასტიკოსობას დავსწამებდით. მაგრამ ვისაც სპინოზას მოძღვრება სუბსტანციისა და მოდუსების შესახებ ესმის, ვინც იცის, რომ სპინოზასათვის მოდუსები სუბსტანციის არსების რეალური გამოხატულებაა, ის, რასაკვირველია, მიხედება რომ არსება მისთვის მოვლენისაგან მოვლენილი არ შეიძლება იყოს და ცხადია, არც სკოლასტიკურ ელფერს ატარებს ის.

მაგრამ ახლა საჭიროა დაუბრუნდეთ საკითხს: თუ ადამიანის სული მხოლოდ დაბოლავებული მოღუსის იდეა არის, მაშინ როგორღა არის შესაძლებელი საგნების ქეშმარიტი შექმნება ადამიანის სულის მეშვეობით? ჩვენ შევძლებთ ისიც ვნახეთ, რომ სპინოზა-ადამიანის სულიდან გამომდინარე შეწყვეტისას არც ადექვატურად სცნობდა. ამ ძნელი მდგომარეობიდან სპინოზა გამოდის იმით, რომ ადამიანის ბუნებას მიაწერს რამოდენიმე პირველობითი ქეშმარიტი იდეის ქონებას. სწორედ ეს ადამიანისათვის თანდაყოლილი იდეები უდიდეს როლს თამაშობდნენ და მათი სწორი გაგებისაგან ძალიან ბევრია დამოკიდებული. მათ გარეშე შეუძლებელია გავარკვიოთ ის დამოკიდებულება, რომელიც დაამყარა სპინოზამ რაციონალურ და ინტუიტურ შექმნებას შორის.

ამრიგად, მთავარია გავარკვიოთ, თუ როგორ ესმის სპინოზას ადამიანისათვის ზოგი მალაღი და ქეშმარიტი იდეის თანდაყოლილობის საკითხი, და რა მნიშვნელობას ანიჭებს ის მათ? ამ საკითხზე სპინოზა ამომწურავ პასუხს იძლევა. ქეშმარიტი იდეის ადამიანისათვის მიკუთვნება სპინოზას დეკარტისებურად არ ესმის. ისინი მას ესმის როგორც ერთგვარი პირველობითი შექმნების ელემენტი. ვასაგები ანალოგია ამის იქნება ადამიანის პირველობითი ტენიკური ინსტრუმენტი მაგ. ხელი, ე. ი. ბუნებრივი ორგანო, რომლისაგან შემდგე შრომის იარაღების გაუმჯობესებული სახეები იქმნება. თვით სპინოზა ამბობს რომ შეუძლებელია ადამიანს პირველად არაფრისაგან წარმოეშვა შრომის პირველი იარაღი, ამ უკანასკნელიდან სხვა იარაღი და ასე სულ. ავივე ითქმის ადამიანის ინტელექტის შესახებაც. აი რას ამბობს თვით სპინოზა ამის შესახებ: „მას შემდეგ რაც გამოვარკვიეთ, თუ რომელი შექმნება არის ჩვენთვის აუცილებელი მოვალე ვართ განვიხილოთ ის გზები და მეთოდები, რომლების დახმარებით საძიებელ საგანს ჩვენ შექმნების მსგავსად ვაყვანებთ. ამისთვის საჭიროა აქვე ავლინიშნოთ, რომ ამ ადგილზე არ ვაპირებთ დაუბოლოვებელის გამოკვლევას. შექმნების მეთოდთან იმდაგვარი მდგომარეობა გვაქვს, როგორც შრომის ბუნებრივ იარაღებთან... დსაწყისში ადამიანებმა უსათუოდ თანდაყოლილი იარაღების საშუალებით დაიწყეს მსუბუქი რაიმეს შექმნა... სწორედ აგრე ინტელექტიც, მისთვის თანდაყოლილი ძალის საშუალებით ჰქმნის ინტელექტუალურ იარაღს, რომლების დახმარებით ის ძლიერდება და ახალი ინტელექტუალური შემოქმედებისათვის ძალღონეს ჰკრებს...“ (ატრაქტატი ინტელ. განწმ. შესახებ“ გვ. 83—4).

თანდაყოლილი იდეა სპინოზას არ ესმის არც ისეთი წმინდა იდეის სახით, რომელიც მოგლეჯილი იყოს რეალობისგან. სპინოზას რაციონალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი გაგებით თანდაყოლილი ანუ ქეშმარიტი იდეა არის ყველა სხეულისათვის ზოგადი თვისება; ეს სხეულები ზოგადი თვისება გამოდის როგორც ერთგვარი თვისებრივი დახასიათება რეალურად არსებული საგნებისა, ამიტომ მისი თანდაყოლილობა სავსებით თავისებურია და სხვა რაციონალისტების შეხედულებისაგან დიამეტრიულად განსხვავებული. სპინოზას ზოგი ინტერპრეტატორი აქაც ცდებდა და თანდაყოლილი იდეის თავისებურობას ვერ არკვევს.

რა არის ის ზოგადი, რომელიც საგნების თვისებას გამოხატავს და/თან-დაყოლილი იდეიის სახით ევლინება შემეცნებას? ეს ზოგადი არის განუფიქრობა და აზროვნება, სუბსტანციის არსების გამოხატველი, და დაუფიქრობელი მო-დუსის გზით დაბოლოებული მოდუსების სახით მოვლენილი. მოდუსების გან-ხილვის დროს ჩვენ უკვე მიუთითეთ იმ გარემოებას, რომ ადამიანი როგორც ბოლოვადი საგანი, ატრიბუტების კონკრეტულ მთლიანობას წარმოადგენდა. და რამდენად თვითველი ბოლოვადი მოდუსი წარმოადგენს ასეთს მთლიანობას, იმდენად ის არის აგრეთვე ყველა საგნისათვის ზოგადი თვისებაც. ადამიანის თანდაყოლილი იდეები ამ ზოგადი თვისების მატარებლები არიან და ამიტომ ქეშმარიტი იდეები. მათი მეშვეობით ადამიანის სული მონაწილე ხდება ადეკვა-ტური შემეცნებისა, თვით ადეკვატური შემეცნების შესაძლებლობა კი დაფუძ-ნებულია ამ იდეებზე, რადგან მხოლოდ ამათი დახმარების გამო ენიჭება ჩვენ ინტელექტს უფლება ახალი ქეშმარიტების აღმოჩენისა. ამიტომ, როგორც ამას სწორად აღნიშნავს კუნო ფიშერი, რაციონალური შემეცნება წარმო-ადგენს ქეშმარიტი იდეების კრებადობას, მაგრამ ამ ქეშმარიტი იდეების პირველი მიზეზი ადამიანი კი არ არის, არამედ სუბსტანცია და მისი დაუ-ბოლოებელი ატრიბუტები. ქეშმარიტი იდეიის უმაღლესი საფეხური და გაგება სუბსტანციის ბუნებას ეკუთვნის. ლმერთი თვითონ შეიცავს ყველა ქეშმარიტი იდეიას. კუნო ფიშერი ამის შესახებ სწერს: „ლმერთის იდეა და ატ-რიბუტების იდეა, ეს უმაღლესი notions communes, პირველობითი ცნებებია; ისინი გონების დასკვნების გზით კი არ გამოიყვანებიან, არამედ თავისთავად თვალნათლივი არიან. ეს უმაღლესი, უნათლესი აზროვნებითი დასკვნებზე მალ-ლა მდგომი შემეცნება სპინოზას გაგებით არის ინტუიტური შემეცნება“ („ახა-ლი ფილოსოფ. ისტორია“ II. 508). ინტუიტური შემეცნება შემეცნების მალალი ფორმაა, იდეები და ცნებები, რომლებიც ინტუიტური შემეცნების ბუნებას შეადგენენ, ისინი არამც თუ არიან თავისთავად თვალნათლივი, არამედ სა-კუთარი ქეშმარიტობის კრიტერიებიც.

ეს ინტუიტური შემეცნება წმიდა რაციონალისტური ცნება არ არის. უპირველეს ყოვლისა ის არ არის რაციონალისტური საშუალება, რადგან აზ-როვნება სპინოზას გაგებით არც დამოუკიდებელი სუბსტანციაა და არც მხოლოდ ადამიანის გონების ფორმა, ის ფორმაა სუბსტანციისა, ანუ მატერიისა. ეს მდგო-მარობა სულ სხვაგვარ ელფერს აძლევს სპინოზას რაციონალიზმს, რასაკვირვე-ლია, სპინოზას თავის დროის ზეგავლენისაგან თავი არ გაუნთავისუფლებია და მისი რაციონალიზმი საბოლოოდ მაინც იდეალისტურად შეფერადებული დარჩა. მეორეს მხრივ სპინოზას ინტუიტური შემეცნება არ არის რაციონალისტური ცნება, რადგან სპინოზა იმანენტურ შემეცნებას ადეკვატურის აუცილებელ საფეხურად სთვლიდა, მაგრამ თავისი მესამე პერსპექციის საშუალებით ის ცდაზე დამყარე-ბული შემეცნების კანონიერებასაც ინარჩუნებდა. ამის დამტკიცებისათვის იმ ფაქტსაც უნდა აღვნიშნავთ, რომ სპინოზა შემეცნების ყველა სახის დახასიათებით და ადეკვატური შემეცნებისათვის უფლებების მინიჭებით არ კმაყოფილდება და საჭიროდ მიიჩნია, რათა ქეშმარიტი იდეების დახმარებით

ყველა საჭირო ცნება ისე გამოიყვანოს რეალური საგნებიდან, რომ ობიექტიური არსის უტყუარი გამოხატვა ხდებოდეს. თვითონ სპინოზა ამის შესახებ სწერს: „ჩვენთვის აუცილებელია, რათა ყველა ჩვენი იდეა ფიზიკური, ანუ რეალური საგნებიდან გამოიყვანოთ“, ამისათვის კი აუცილებელი ყოფილა „რათა ყველა იდეა უკუთვლად დაიყვანებოდეს და ჩვენ უნდა ვეცადოთ რათა იდეები ისეთს კავშირსა და წესრიგში მოვიყვანოთ რომ ჩვენივე სული გამოხატავდეს იმ ობიექტურს, რომელზეც ბუნებას მოუცია“... („ტრაქტატი ინტელ. განწ. შესან.“ გვ. 156 და 169) ამის გამო ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სპინოზა ცდილობდა ცდისეული და რაციონალური შემეცნების სინთეზის მოცემასაც.

გვერძია რომ ყველა საკითხი, რომელიც სპინოზას გნოსეოლოგიას კი ეკუთვნოდა, განხილულია. მატერიალისტური დასაყრდენი ამ გნოსეოლოგიისა ყოველგან ხაზგასმით იყო აღნიშნული და ამიტომ სპინოზას მსოფლმხედველობის მატერიალისტურობაზე ერთი აგური კიდევ დამატა.

V სპინოზიზმის სოციალურ-კლასობრივი და იდეოლოგიური ფუნქციები

თუმცაღა მარქსიზმი უარყოფს ვულგარულ შეხედულებას ეკონომიკის იდეოლოგიაზე უშუალო ზეგავლენის შესახებ, მაგრამ ის არ უარყოფს შეალობითი ზეგავლენის საჭიროებას. ეკონომიკის ამ შეალობითი ზეგავლენისაგან იდეოლოგია ლებულობს ამა თუ იმ მიმართულებას და აყალიბებს თავის ხასიათს. ამიტომ შეცდომა იქნებოდა, სპინოზას მონისტური ფილოსოფიის მიხედვით რომ ფილოსოფოსის სააზროვნო აპარატის თავისებურებით აგვეხსნას და არა მისი ეპოქის და მთელი ცხოვრების თავისებურებით, ე. ი. არა იმ კლასების სოციალური არსებობის პირობებში, რომლის პირაშო შეილი სპინოზა იყო და რომელთა წრეში ის ტრიალებდა. მაგრამ ამას გარეშე სპინოზას დროინდელი ეპოქის შესწავლა აუცილებელია ორრ მოსაზრებით, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გავარკვიოთ მაშინდელი სამეცნიერო აზრის განვითარება და მდგომარეობა, რის გარეშე სპინოზას იდეოლოგიის გაგებაც შეუძლებელია და შემდეგ იმიტომაც რომ სწორად გავიგოთ, თუ რა მიზეზით სპინოზა ძველ ტერმინოლოგიასა და ფორმებს მიმართავდა ახალი აზრების გამოსატყმელად. ფილოსოფიის ისტორიკოსები იდეალიზმის ბანაკიდან ამა თუ იმ მოვლენას შეტანაწილად შექანიკურად განიხილავენ, ე. ი. ისინი იდეოლოგიურ მოვლენას იხილავენ დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებლად, მოაზროვნის თავის ქალის უშუალო შედეგად. მარქსიზმისათვის ასეთი ახსნა-განმარტება უცხოა, მარქსიზმს კონკრეტ-ისტორიული პირობების დაიწყება არ შეუძლია. თვითოეული მოაზროვნე თავის აზრებს მარტო საკუთარი გონების ძლიერების მიხედვით კი არ ადგენს, არამედ ის ხელმძღვანელობს მთელი ეპოქის ნამუშევართ და ის კი არა მისი წინა ეპოქების ნააზრევითაც.

ფილოსოფიური სისტემა ამ საერთო კანონიდან არაერთარ გამოწკლის არ შეადგენს. ამის შესახებ ენგელსი სწერდა კ. შმიდტს, რომ „ფილოსოფიის თვითეული ეპოქისა ხელთ აქვს გარკვეული სახის მასალა, ის მასალა მისთვის არის წინამძღვარი, ის გადმოცემულია წინაპრებისაგან, მაგრამ მისთვის არის

ამოსავალი წერტილი“. სპინოზასაც, ცხადია ამ საზომით უნდა მივუღწევოთ მაშინ ჩვენ მიერ აქ დასმული ორი საკითხი თავისთავად ნათელი გახდება, ჩვენ გავიგებთ არამც თუ მიზეზს მისი ტერმინოლოგიის სიძველისა, არამც მათელი მისი სისტემის კლასობრივ ნიადაგსაც.

სპინოზა დაიბადა ჰოლანდიაში 1632 წ. ის გეტუენოდა შეძლებულ ებრაელთა ოჯახს. ეს იყო ეპოქა იმ განმანათავისუფლებელი ომებისა, რომელმაც ჰოლანდია ესპანეთის ტირანიის წინააღმდეგ აწარმოებდა. თუმცა ეს ომები წარმოებდა განმათავისუფლებელი ომების სახით ღ ისტორიკოსებს ის რელიგიურ ომებათაც კი მიაჩნიათ. მაგრამ სინამდვილეში ეს იყო კაპიტალისტური ქვეყნის წმობიარობის ომი: ჰოლანდიაში ამ ომის დროს სწარმოებდა კაპიტალის პირველობითი დაგროვების დიდი პროცესი. ომი დამთავრდა 1648 წელს ჰოლანდიის ბრწყინვალე გამარჯვებით და ეს გამარჯვება უპირველეს ყოვლისა იყო გამარჯვება ჰოლანდიის სავაჭრო კაპიტალისა. ამ დღიდან ჰოლანდია შეიქმნა მოწინავე ბურჟუაზიული ქვეყანა მთელს ევროპაში. ეს იყო ნამდვილი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელმაც ახალ კლასის ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველყო. ჰოლანდიის გამარჯვების შესახებ აი რას სწერს კონრადი: „1648 წელს ესპანეთი იმდენათ უძლური აღმოჩნდა, რომ მიუნსტერის ზავით იძულებული იყო შეედი ახალგაზრდა პროვინციის მიერ იარაღით მოპოვებული თავისუფლება ეცნო, ეს ახალგაზრდა სახელმწიფო იმ დროინდელ ევროპის უძლიერესი ორგანიზმი იყო... მონარქიულმა ევროპამ თავისი ლოკალიზაცია გაიმეტა რევოლუციის პირში შევილისათვის...“ (იხილეთ: ა. კონრადი: „რევოლ. ისტორია“ ტ. I გვ. 113).

თუ რამდენად ძლიერი იყო მაშინდელი ჰოლანდიის სავაჭრო საშუალებანი ამას გვიჩვენებენ ის მსხვილი სავაჭრო-სააქციონერო საზოგადოებები, რომლებიც იქ მოქმედებდნენ; ისეთი საზოგადოებები, როგორც იყო „ნიდერლან-ოსტინდიენის კომპანია“ და „ვესტ-ინდიენის კომპანია“ აერთიანებდნენ მთელ მაშინდელ მსხვილ სავაჭრო კაპიტალს და ხელთ ჰქონდათ მთელი საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ვაჭრობას სჭირდებოდა ძლიერი და მოწყობილი ტრანსპორტი, საზღვაო ტრანსპორტი განსაკუთრებით ვითარდებოდა. ჰოლანდია იყო ქვეყანა, რომელსაც არამც თუ ძლიერი სავაჭრო ფლოტი ჰყავდა, არამედ სამხედროც. ყველაფერი ეს საუცხოო ილუსტრაცია იმისა რომ ახლად განვითარებულმა სავაჭრო კაპიტალიზმა წარუშლელი დალი დაასვა ამ ქვეყნის მთელს საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივს ცხოვრებას. სამრეწველო კაპიტალი ჯერ კიდევ სავაჭროს ემორჩილება. ამის გამო მანიფესტურული წარმოება სავსებით ემორჩილება სავაჭრო კაპიტალის სურვილებსა და გვეგებს. კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას ახასიათებენ აგრეთვე ის აგრარული რეფორმები, რომლებიც ჩატარდა ამ ქვეყანაში მიუნსტერის ზავის დადების შემდეგ. აგრარული რეფორმით სოფელი საბოლოოდ განთავისუფლდა ბატონყმური და პატრონყმური მდგომარეობისაგან.

ესპანეთის მონარქიაზე გამარჯვებულ ჰოლანდიის ბურჟუაზია თავის ბატონობას რესპუბლიკანური მმართველობის სახით ამყარებს. აქ ჩვენთვის ბურ-

უწაზიის პოლიტიკური პლატფორმა იმდენად საინტერესოა, რამდენად ამან თავისი გამოხატულება პპოვა იმ დროინდელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეების თავში. ამისათვის საკმარისია სამი ქრონიკული პიროვნების შეხედულებებს შევხვით: რესპუბლიკის მმართველის დე-ვიტის, ეკონომიური საკითხების გარშემო მწერლის პიტერ დე-ლა-კურტის და სამართლის თეორეტიკოსის ჰუგო გროკიუსის. დასახელებული პირების ნააზრეცს და ნაწერს ნათელი ზონარივით თან მოსდევს ყველა ის მოთხოვნილება სოციალური და სახელმწიფოებრივი პრობლემების სფეროში, რაც ზოგადია სავაჭრო კაპიტალიზმის ტიპური ქვეყნისათვის. მათ აზრებს და მოთხოვნილებებს საუცხოვოდ გამოხატავს ამხ. ტალპაიმერი, ეს მოთხოვნილებებია: „1. სარწმუნოების სრული თავისუფლება, რის საფუძველს უცხო კაპიტალის და უცხო სამუშაო ძალის გამოყენების მოთხოვნა შეადგენს. 2. პროფესიის სრული თავისუფლება. 3. დაცვა და გაფართოება საზღვაო ვაჭრობისა, აბალშენების შექმნა. 4. რესპუბლიკანური ფორმა მმართველობისა“... („კომაკადემიის მოაშბე“ № 20 გვ. 47)

სპინოზა საესეებით ეთანხმებოდა ამ მოწინავე საზოგადოების მოთხოვნილებას და ცხადია, მისი თანამედროვეობის კლასობრივი მრწამსი ჩვენთვის ნათელი და გარკვეულია. ცნობილია, რომ სპინოზა დასახელებულ სამ დიდ პიროვნებასთან ძალიან ახლო იდგა, მისი სიმპატიები ყოველთვის რესპუბლიკანური პარტიის მხარეზე იყო და ყველაფრით თანაუგრძნობდა ამ უკანასკნელს, როდესაც ის საკუთარ სავაჭრო ბურჟუაზიის რიგებში ბრძოლებს აწარმოებდა. რესპუბლიკანური პარტია კი იყო მსხვილი სავაჭრო და თან მოწინავე ბურჟუაზიის ინტერესების გამოხატველი პარტია.

ამრიგად სპინოზას გარეგნული და კლასობრივი ნათესაობა სავაჭრო ბურჟუაზიასთან უდაოა. მაგრამ ამ გარეგნულ ნათესაობასაც რომ თავი ვაფანტობთ მის ნაწერებში და ნააზრევშიაც ძალიან ბევრი ისეთი მომენტები გხვდება რომლებიც სავაჭრო კაპიტალიზმის იდეოლოგიას და სიტყვას საუცხოვოდ გამოხატავენ. სავაჭრო კაპიტალიზმა წამოაყენა ლოზუნგები, როგორც იყო ადამიანის მიერ ბუნების ძალების დაძლევის აუცილებლობა, ადამიანის ბატონობა მთელს ქვეყანაზე, შემოღება ბურჟუაზიული თავისუფლებისა, როგორც გარანტიისა კაპიტალის მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად. ამის და მიხედვით ენახულობთ სპინოზას მოთხოვნებს: ადამიანის განთავისუფლება აფექტებისაგან და მისი სრულქმნისათვის ხელის შეწყობა, ამის გასამართლებლად მიღება სუბსტანციის ერთობლიობისა, სამყაროს მონისტურობის, ღმერთის გათქვეფა რეალური ბუნების თვისებებში, ადექვატური შემეცნებით ბუნებაზე ადამიანის გაბატონების უზრუნველყოფა და სხ.—აი კლასობრივი საფუძვლიდან გამომდინარე იდეოლოგიური გაფორმება ამ უდიდესი მონისტური სისტემისა!

აქ კი უნდა დავისვას საკითხი: თუ სპინოზას ფილოსოფია სავაჭრო კაპიტალიზმის კლასობრივი იდეოლოგია იყო, რაღა შუაშია მისი გამოთქმის სქოლასტიკური ფორმები ან და რატომ იყო, რომ სპინოზას ძალიან დიდ ხანს „მკვდარ ძალსადავით“ ეპყრობოდნენ? პირველი საკითხის გარკვევა ძალიან ადვილია. სპინოზას ტერმინოლოგია და გამოთქმის ფორმები იმიტომ იყო ჩანორჩენილი მისი

ფილოსოფიის შინაარსისაგან, რომ იმ დროს როცა სპინოზა თავის ახალ-აზრებს აყალიბებდა, ეკლესია და რელიგია ჯერ კიდევ ძლიერი იყო და თან საეკლესიო კაპიტალიზმის ნოწინააღმდეგეთ არ გამოდიოდა. ამიტომ სპინოზის მიერ შექმნილი იყო ანგარიში გაეწია ამ ფაქტისათვის და ეკლესიასთან ბრძოლა არ შეიძლებოდა, თუმცაღა ფარულად ის ასეთს ბრძოლას ყოველთვის აწარმოებდა, აქ მის ნააზრევს პირდაპირ სულთამაზუთავსაგვით ექცეოდა ტრადიცია და ჩვეულება. აქედან შეიპარა მის მოძღვრებაში ის თეოლოგიური საფენელი, რომელიც ხელს უშლიდა მისი მატერიალისტური და მონისტური აზრების დღის სინათლეზე გამოტანას. ამიტომ იყო რომ მისი მოძღვრების ნამდვილი შინაარსი, ე. ი. მისი მატერიალიზმი ძალიან დიდხანს გაუგებარი დარჩა; თანამედროვეები სპინოზას სწორედ რომ „მკვდარ ძალსაგვით“ მოეპყრნენ, ის არამც თუ სწორად არ გაუგიათ, არამედ მომავლისთვისაც დააბნელეს მისი სწორი გაგების გზები...

ჩვენ შევეცადეთ მიგვეთითებია იმ კავშირზე რომელიც სპინოზასა და მის ეპოქას შორის არსებობს. მაგრამ როგორც ვთქვით, დაუსშვებელი ვულგარიზაცია იქნებოდა მარქსისტული კვლევა-ძიების ფარგლებში, რომელიმე მოძღვრება უშუალოდ ეკონომიურ და კლასობრივ ურთიერთობისაგან რომ გამოგვეყვანა. ეს უკანასკნელნი განსაზღვრავენ ამა თუ იმ მოძღვრების წარმოშობა-მიმართულებას, მაგრამ მოძღვრება დამთავრებულ სახეს იმის მიხედვით ღებულაობს, თუ რა სიმაღლეზე იდგა იმავე ეპოქის იდეოლოგიური განვითარება. ამიტომ სპინოზიზმი ძალიან ცალმხრივად იქნებოდა ახსნილი, ჩვენ მარტო მის წინამძღვარ სოციალ-ეკონომიურ პირობებზე მითითებით რომ დავკმაყოფილებულიყავით. ყველა ამითან ერთად სპინოზიზმს ჰქონდა აგრეთვე იდეოლოგიური ფესვები რომელთა გაუთვალისწინებლობა მის გაუგებრობას ნიშნავდა. საკითხი სპინოზიზმის იდეოლოგიური ფესვების შესახებ ყოველთვის დიდს ინტერესს იწვევდა და ეს საგნებით ვასაგებია. ამ საკითხის ასეთი თუ ისეთი გადაჭრისაგან დამოკიდებულია როგორც სპინოზას ფილოსოფიის თვისებებების ისე მისი დამოუკიდებლობის გარკვევა. საინტერესოა თუ რას ამბობენ სპინოზას მრავალრიცხოვანი მკვლევარნი ამ საკითხის გარკვევის დროს. მათი აზრების მოყვანის დროს ჩვენ არ უნდა დავგავიწყდეს საკუთარი ინტერესი, რომელიც ჩვენ ასე გამოვთქვით ამავე წერილების დასაწყისში: არის თუ არა სპინოზიზმი დეკარტის ფილოსოფიის გაგრძელება და თუ არის, რა დამოკიდებულებაა მათ შორის?

შეფიქრებინა უარყოფს ასეთს კავშირს. მას სპინოზიზმის საფუძვლად ებაღა და საშუალო-საუკუნოებრივი სქოლასტიკა მიიჩნია, ის სწერს რომ „სპინოზა კარტეზიანელი არას დროს არ ყოფილა, მიუხედავად იმისა რომ დეკარტის ნაწერებმა ებრაულ თეოლოგიასთან და სქოლასტიკასთან ერთად მასზე უდიდესი გავლენა მოახდინეს“ („ახალ ფილ. სახელმ.“ გვ. 64) ძალიან საინტერესოა ის, რომ ლ. აქსელროდი ამ საკითხში თავს ჰეუფდინგთან გრძნობს. ისიც უარყოფს გენტიურ კავშირს სპინოზიზმისა და კარტეზის ფილოსოფიას შორის, თავისი რევიზიონიზმი რომ დაასაბუთოს, მას იმის მიღებაც სჭირდება, ვითომც სპინოზიზმის სათავე ებაღაღადან და საშუალო საუკუნოების სქოლასტი-

კიდან მოდიოდეს. აი რას სწერს ის: „ფილოსოფიის ისტორიაში გაგორცლებულია შეხედულება ვითომც სპინოზას სისტემა მისი ამოსავალი წერტილით—მოდერნიზმით სუბსტანციაზე—კრიტიკული გაგორცლება ყოფილიყოს დეკარტის ფილოსოფიისა. ეს შეხედულება ქეშმარიტებას არ უდრის. ამ საკითხში შე საესებით ვიზიარებ ჰეგელდინგის თვალსაზრისს“ („დილექტ, მატერ. დასაცავად“ გვ. 24).

ფალკენბერგიც ასეთსავე შეხედულებას იცავს, ის მიუთითებს, რომ სპინოზას სისტემაში ნსესებია კაბალისა და ებრაული ფილოსოფიის ძირითადი ნაწილები („თერია ახალი ფალოს.“ გვ. 88). როგორც ვხედავთ ინტერპრეტატორების მთელი რიგი უარპყოფენ სპინოზიზმის და დეკარტის ფილოსოფიის კეშირს, სპინოზას ისინი კაბალას, სქოლასტიკას და ებრაული რელიგიის იდეოლოგიას უკავშირებენ. კუნა ფიშერი ამით საწინაღმდეგოდ საეებით სამართლიანათ ამტკიცებს, რომ სპინოზა დეკარტის ფილოსოფიიდან ამოდიოდაო, მაგრამ იგივე კ. ფიშერი მთელ რიგ სხვა შეცდომებს უშვებს. აქ შეუძლებელია დავეთანხმოთ მის მტკიცებას, რომ „სპინოზა არამც თუ იყო კარტეზიანელი, არამედ მთელი სიცოცხლე ასეთი დარჩა“ (ისტორია II გვ. 279). ფიშერი ცდება აგრეთვე მაშინ როცა ის აზროვნებისა და განთენილობის პრობლემის გარჩევის დროს სპინოზას დეკარტისაგან არ ანსხვავებს. სპინოზა გარკვეული მოწინამოდეგა დეკარტისებური მეტაფიზიკური გაორებისა და სუბსტანციის მთლიანობაში ატრიბუტს აერთიანებს. ცხადია, რომ ამ საკითხში სპინოზას ისე არ აქვს დეკარტთან რაიმე საერთო და ისე განსხვავდება მისგან, როგორც თავისი სისტემის სხვა ნაწილებშიც ის განსხვავებული იყო დეკარტისაგან. ყველაზე უფრო სწორია ვინდელმანდის შეხედულება, რომ სპინოზიზმის წყაროები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო, ზოლო დეკარტს მით შორის ცენტრალური ადგილი ეკირა.

ამ რიგად ისტორიკოსები და ინტერპრეტატორები ერთმანეთს ეწინაღმდეგებიან და სპინოზას ფილოსოფიის სათავეების შესახებ საესებით მისაღებს ვერ გამოთქეავენ. ისინი კი, რომლებიც კაბალას და ებრაული რელიგიის ვადამწკვეტნიშენლობაზე მიუთითებენ, რასაკვირველია, ფაქტებს ივიწყებენ და არ უნდათ გაიგონ, რომ სპინოზა თავისი დროის მეცნიერებასა და ფილოსოფიას კაბალაზე და სქოლასტიკაზე უკეთესად იცნობდა. ამხ. დებორინი სამართლიანად ამტკიცებს, რომ სპინოზა არამც თუ თავისი დროის მეცნიერებას იცნობდა, არამედ თავის დროის მატერიალისტურ ფილოსოფიასაცო. ინტერპრეტატორები იდეალიზმის ბანაკიდან ივიწყებენ ამას, მაგრამ ამაოდ. სპინოზას ფილოსოფიის გაგება შეუძლებელია იმ დროინდელი მეცნიერების და მოწინავე ფილოსოფიური აზრების დავიწყების გვერდით.

ბიბლიობრაჟია

წარმოადგენს
ბიბლიოქოლექციას

სტანდარტი.—ბიბლიოქოლექციის ძარგმნილი ფრანგულიდან გერონტო ქი-
ქობისა. ტფილისი, 1928. გვ. 125, ფასი 1 მან.

შატერული სიტყვის ფრანგი ოსტატი ს ტ ე ნ-
დალი მსოფლიო მწერალთა მცირერიცხოვან
რჩეულთა ჯგუფს ეკუთვნის. ის გვერდში უდგას
გიოტეს, ბაირონს, შილერს, ბალზაკს, ფლობერს—
სამბლანთქმულ კლასიკოსებს. უდიდესმა შატ-
ერულმა ნიჭმა სტენდალი შატერულ შემოქმე-
დების თვალუწედნელ მწვერვალზე აიყვანა.
დღესაც, ასი წლის შემდეგ, უდიდესი ხალისით
კითხულობს სტენდალს მთელი ევლტურული
კაცობრიობა.

ჩვენ არ შეგუდგებით სტენდალის ერთ-ერთ
შატერულ შედევრს—**„იტალიური ქრონიკები“**
ნიკოტის შინაარსის გადმოცემას. ჩვენის
აზრით, ამ ნაწარმოების დედა-აზრის გადმოცე-
მით ერთგვარ ზიანსაც მივაყენებთ „იტალიური
ქრონიკებს“. მართალია, სტენდალი აქ ოთხ
დამოუკიდებელ ქრონიკას იძლევა, მაგრამ მთე-
ლი ნაწარმოები იმდენად მთლიანია, რომ ცალ-
კუ შიშქრტის გამოყოფა უსათუოდ დააზიანებს
მთლიან შატერულ შთაბეჭდილებას.

„მე ესთარგმნი იტალიურ ქრონიკას, სადაც
მოთხრობილია რომიველ თავადის მეუღლის და
ფრანგი რაინდის ამბავი“—ასე იწყებს ერთ-ერთ
ქრონიკას სტენდალი.

რასაკვირველია, თანამედროვე მკითხველისა-
თვის რომიველ თავადის მეუღლისა და ფრანგი
რაინდის ამბავი საინტერესო არ არის. ეს ამბავი
არავის ააულებებს და არც არავის დაამწე-
დებს. მაგრამ წაიკითხეთ თუ გინდ პირველი
„ქრონიკა“ **„ჩენი“** და დარწმუნდებით, რომ
თქვენი გრძობები არც ისეა დაწინარებული
ჯიაკომბო და ბეატრიჩე ჩენის სიველით
დასჯის ამის მოთხრობით. და ამას, საზოგადო-
დით, ყოველი დიდი ხელოვანის და ზენისის
უდიდესი სილიტრე ასეთი ხელოვანი მონა კი
არ არის მკითხველის. პირიქით, მკითხველია
მისი მონა, მკითხველია შატერ-ხელოვანის
სიტყვით მოჯადოებულად.

ცნობილია, რომ კ. მარქსი დიდათ აწა-
სებდა „ოდისეს“ და მის შატერულ გაველნას
ფურ. „ნათობი“ № 5—6.

განვიდოდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ ეს ნაწარ-
მოები ბერძნული შატერული ლიტერატურის
ნიმუშად ითვლებოდა. საუკუნეებმა ვეღარ გა-
მოცალა ამ ნაწარმოებს შატერული სიძლიე-
რე და მარქსიუ პატრიუსეგმით ეგყრობოდა ძვე-
ლი ბერძნული ჰენის შემოქმედების ნაყოფს.
როგორც ეციით, კ. მარქსი არა ნაკლები უფ-
რადღებით ეგყრობოდა სტენდალსაც, რომელსაც
მაშინ შატერ-ხელოვანთა ეფრო წრეში იც-
ნობდენ შოლოვ.

საუკუნემ განელო „იტალიური ქრონიკების“
„დაბადების“ დღიდან, მაგრამ დროის ამ ვე-
ბერთელა მანძილმა ვერ მოაგვია „იტალიურ
ქრონიკებს“ ვერავითარი ზიანი. პირიქით, რაც
ხანი გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა ამ ნა-
წარმოების მკითხველთა რაოდენობა. ამავე
დროს იზრდებოდა აგრეთვე სტენდალის გავ-
ლენა საჭეყნოთ ცნობილ მწერლებზე.

„იტალიურ ქრონიკებში“ ჩვენ ვერ ვხედავთ
სოციალურ არს. აქ ლაპარაკია შოლოვ თავა-
დის მეგობრებსა და რაინდებზე, ანდა იმაზე,
თუ როგორ მიიღო „მისმა მეუღლამ ფერატურამ
კარდინალის ქუდი“. აქ არ სჩანს ხალხი,
საზოგადოების დაბალი ფენა. მაგრამ აქ მკვეთ-
რად, ფართოდ და საინტერესოდ მოცემულია
სწორედ „კარდინალის ქუდის“ მიღების და რო-
მანიული გულდების ამბავი, რომელიც ჩვენს
უდიდეს ხელოვანებს საჯნო იტყევა ხოლმე.
სტენდალი იძლევა ადამიანის—თუმცა „ეკილ-
შობილი“—ღრმა ფსიქოლოგიურ ემოციებს და
აქ მისი შატერული ნიჭი ორგანიზულად ვერო-
დნა ადამიანის ბუნების საფუძელიან ცოდნას
და განჭკურტას.

თითოველ მწერალს შეუძლია დააყენოს ადა-
მიანის შინაბუნების პრობლემა, მაგრამ ამ პრობ-
ლემის გადაჭრა შოლოვ რჩეულ მწერალთა
ხედრია. ამით არის სტენდალი საინტერესო
დღესაც.

სტენდალის გადმოთარგმნა უსათუოდ წასაჭე-
ხია. კართელი საბჭოთა მკითხველი ნაკლებათ

იკნობს კლასიკურ ლიტერატურას. ამიტომ მხოლოდ მწერლების დამახასიათებელ, სანიმუშო ნაწარმოების ქართულად გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

„იტალიური ქრონიკების“⁴ ქართული თარგმანი გერკოხტი კიკოძის ეკუთვნის. უნდა ითქვას სრულებით გულბადილათ, რომ ასეთ თარგმანს იშვიათად შეხვდებით ჩვენში. მართალია, ფრანგული ენა საერთოდ ლამაზია და შესაძლებელია, მაგრამ ცუდ თარგმანს შეუძლია ყოველივე ლამაზად დაწერილ ნაწარმოების გაფუჭება. ხშირად კამათობენ იმის შესახებ, რომ მხატვრული ნაწარმოების მთარგმნელი თვითონ მხატვარი უნდა იყოს. ამ თემაზე კამათის დროს თუ გერკოხტი კიკოძის მაგალოს გაეხსენებთ, სადაო საკითხის გადაჭრას ბევრათ გავიადვილებთ...

წიგნი დართული აქვს თვით მთარგმნელის—გერკოხტი კიკოძის მოკლე წინასიტყვაობა. ამ წინასიტყვაობაშიც გახსენვლია გ. კიკოძის ჩვეულებრივი „რომანტიული მარცხლები“. გ. კიკოძე ასე ათაუბებს თავის წერილს: „თუ ქართულ ენაზე გამოსაცემთ ჩვენ სტენდალის „იტალიური ქრონიკები“ ავირჩიეთ, ეს იმით აიხსნება, რომ

აქ, ჩვენის აზრით, მრავალი მსგავსება მოიპოვება საქართველოს ისტორიის ეპიზოდებთან; და ჩვენ გგონია, რომ კარგად შეერაოს შეეძლოს ისევე მხატვრულად დაქმნა მხატვრულიადად თეიმურაზ I, ლევან დადიანის, როსტომის ტოლკეტი, როგორც სტენდალი ჩვენის და თრსინის ქრონიკები დამეშვევა“.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვამართლებთ „იტალიური ქრონიკების“ გამოცემას იმ მოსაზრებით რომ „აქ... მრავალი მსგავსება მოიპოვება საქართველოს ისტორიის ეპიზოდებთან“ და არც „გგონია“ გ. კიკოძის რჩევა ქართველი თანამედროვე მწერალმა მიიღოს. ამიტომ ავტორის ამ საკითხში სერიოზულად არცაა შეეუბნები.

ჩვენი გულწრფელი სურვილია გ. კიკოძემ მოკიდოს ხელი თანამედროვე მწერლების თარგმანს. ამით გ. კიკოძე უფრო მეტ ნაყოფს მოუტანს თანამედროვეობას და მისი ცოდნა, უნარი და ინტელექტუალური შესაძლებლობა გაუდრეკილთ უფრო მეტად იქნება საბჭოთა მეთხველის, საბჭოთა საზოგადოებრივობის მიერ დაფასებული.

წიგნი გამოცემულია სადაც, მაგრამ შიოთადა.
Grammar.

დ. კარიჭაშვილი—„ქართული წიგნის ბიბლიის ისტორია.“ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნე. 1929 სახელგამო, ტფილისი; გვერდი 118, ტირაჟი: 2000, ფასი: 1 მ. 50 კაპ.

სამი საუკუნე სრულდება მიმდინარე წელს, მას აქვთ, რაც რომში პირველად დაიბეჭდა ქართული წიგნი, მიუხედავად ამისა დღემდე ქართული წიგნის ისტორია არ დაწერილა. მხოლოდ იმდროინდელი ასეთი წიგნისა კი, ამჟამად, დიდია. წიგნის ისტორია საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის მნიშვნელოვანი დარგია.

ზემოთ ამოწერილი წიგნი დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილია ჯერ კიდევ 1925 წელს. აქ მოცემულია მხოლოდ ბეჭდვის ისტორია ქართული წიგნისა და ისიც მხოლოდ მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში. ამრიგად აქ ქართული წიგნის მოხმარება—გაერკელების, თვით შინაარსული ვითარების და მრავალი სხვა საკითხები, როგორც დაკავშირებულია წიგნთან, — დაძრული არ არის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაც, — თუ შევადგინებთ არ მივიღებთ ზ. კიკოძის, თ.

უთორე დანიას, პროფ. ალ. ცაგარელის და სხვათა შრომებს; ან კიდევ ვასელი საუკუნის პერიოდიკაში გაფანტულ უსისტემაო წერილებს, რომლებშიც როგორც თვით კარიჭაშვილი აღნიშნავს მრავალი შეცდომებია, — დღემდე არ დაწერილა. ამ მხრით სარეცენზიო შრომა, — რომ ისიც შეცდომებით არ იყოს დაჯილდოებული, — სამართლიანად ისახავს მიზნად არსებული ბიბლიის შექმნას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ იმ ავტორთა შორის, რომელთაც აკრიტიკებს, კარიჭაშვილი, ერთ დროს თვითონვე იმყოფებოდა. მაგ. 1925 წ. ის სწერდა, რომ რომში პირველად დაიბეჭდა „ქართული ანბანი ლოკეებით“ და შემდეგ კი „ქართული იტალიური ლექსიკონი“ და ამ თავის დასკვნით (sic) ის კითხვის ნიშანს ტეჟმ აყენებდა საკითხს, თუ როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი, რადგან მისი აზრით „ქართუ-

ლი ანბანი“ უნდა დაბეჭდილიყო 1629 წელზე ადრე. 1) კარიკაშვილს ნანახი არ ჰქონებია სხენებული „ანბანი“, 2) ის მხოლოდ მ. თამარაშვილის ახრის „გაგებაზე“ უარდნობდა მაშინ. სარტუენოლა წიგნი კი ეს შეედომია უკვე აუცილებლად.

საინტერესოა აგრეთვე საკითხი პირველ ნაბეჭდი ქართული წიგნის თანაავტორისა და რომელი ქართული წიგნის ბეჭდვის საქმის ორგანიზატორთაგანის, ნიკიტოროვ ირბახის—ვინათბის შესახებ. დ. კარიკაშვილი ამ საკითხზე სპეციალური გამოკვლევა აქვს წაკითხული საქ. საისტ. საერთოგ. საზოგადოებაში (1925 წ. 24 იანვ.), სადაც ის ამტკიცებდა, რომ ირბახი შთამომავლობით ბერძენია და არა ქართველი, როგორც მას რომში იცნობდნენ. 2) საბიბლიოგრაფიო წიგნშიც იმავე აზრზე სდგას ავტორი, მხოლოდ აქ უფრო დარწმუნებითა თვისი შეხედულება თუძევა ისევ ორკოფელი, მაგრამ მიიწე ახალი წყაროებით; როგორც მაგალითად შარდენის ცნობა, რომ 1650-1679 წ. წ. საქართველოში ცხოვრობდა ორი ნიკიტოროვ (იგივე ნიკოლოზი) ბერია, რომელთაც ისეთივე დიპლომატიური მოღვაწეობა აწასიათებთ როგორც ირბახს. კარიკაშვილი ამტკიცებს (და ძლიერაც ავადს ჰეშვარიტებას. პ. გ.), რომ ეს ორი სხვადასხვა ადგილას შარდენის წიგნი მოთავსებული ცნობა ერთსა და იმავე ბერს შეეხება, რომელიც ჩვენი Niceforo Urbachi-ა და სხვა არაჟინ (შარდენს თავის წიგნში სხენებული ცნობა მოყავს მისიონერ ძამაშის მიერ პაპისადმი მირთმეული მოხსენებიდან, ხოლო ეს მოხსენება კი თვით შარდენის ცნობით დაწერილია სხვადასხვა დროსა და ადგილას. იხ. Voyage

en Perse etc. pag. 210, 211 et 214. Paris 1811.).

უნდა ითქვას, რომ ვარტყაშვილს საკმაოდ შეაყარა აქამდე გაბატონებული ქართული ირბახის ქართველობის შესახებ... შემდეგ ავტორის სისწორით აქვს მოყვანილი რომში დაბეჭდილი წიგნების ქრონოლოგია, მაგრამ ეს სისწორე წიგნის ბიბლიოფილი ვერ არის დაცული და ავტორი, რომელიც სხვებს უსაყვედურებს ვერ მოკრული ამბების ისტორიულ „ფაქტად“ გასაღებას, თვითონაც ამრიგ „ცნობებს“ აყლია. მაგალითისათვის აღვნიშნავთ: 1705 წ. არჩილის მიერ მოსკოვს დაბეჭდილ „დავითნის“ საკითხს (გვ. 47). ეს „დავითნი“, როგორც მის თავფურცელზეა მოხსენებული, დაიბეჭდა სახელმწიფო სტამბაში („Напечатана сия... печатью иверетинским диалектом и писана в царственной московской типографии“) სადაც არჩილის თხოვნით ჩამოსხმულ იქნა ქართული შრიფტი, ხოლო არჩილ მეფეს კი საყლოარი ქართული სტამბა მოსკოვში არა ჰქონია. ამრიგად სიმართლეს არ შეფერება ის „ცნობა“, თითქოს არჩილს სტამბა მის ქალს და რეკვანს დარჩენილს და უკანასკნელს წიგნები ებეჭდოს (გვ. 48). რაც შეეხება წიგნს: „სასწავლო ყრმათათვის“,—რომელიც კარიკაშვილს დაბეჭდალად მიანჩია 1692-1697 წ. წ.—ის დაიბეჭდა 1740 წ., სანამ იოსებ სამეხელის სტამბა ბაქარის სასაბლემო იბეჭდოდა გადატანილი.

სიმართლეს არ შეფერება აგრეთვე არც ის რომ, თითქოს მოსკოვში იოსებ სამეხელის სტამბაში (და საერთოდაც 1705 წ. შემდეგ ვიღერ 1738 წლამდე), 1737 წ. წიგნი („დავითნი“) დაბეჭდილიყოს (გვ. 52). სამეხელის სტამბაში პირველად, გახსნისთანავე დაიბეჭდა „ზატკი“ 1738 წელს, რაიც სწინა თვით ამ წიგნის მიანბეჭდიდან: „მობრძანა მე არტევისკოპოზმან სრულიად ვლადიკასიმონ და არქიმანდრიტმან იურვეისმან... იოსებ სტამბის გაკეთება და გაკეთებინე სტამბა დიდითა გულიისოლდინეებითა და წარგებითა საფასეთა მისითა, მაშინ ხელეყავ... წიგნისა ამის „ზატკის“ ბეჭდვად, რუსულს ზატკიხედ ემეტსაკლოდ გასწორებითა... და სხვ., იმავე „ზატკის“ ბიბლიოფურცელზე სწერია: „გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წმინდა ესე „ზატკიო“ 1).

1) იხ. იურ. „წიგნის მეტობარი“ № 1-2. 1925, გვ. 389.

2) ეს „ანბანი“ — Alphabetum Vbericum sive Georgianum“, 1827 წელს შეიქმნა ტფილ. სახელმწ. უნივერსიტეტის წიგნისაცავში.—ერთ პარონელ ანტიკვარისაგან.—65 ფრანკად. „ქართული ანბანი“ აქ აკონტულია კიდევ სხვა ერთა ანბანების საერთო ყვანა. მაგ., ეთიოპური (1715 წ.), სომხური (1784 წ.), ბრამონული (1787), ჰინდური (1771 წ.), ებრაული (1771), ბერძნული (1771), ებრაული (1771) და სხვ., „ქართ ანბ.“ დაბეჭდილია 1629 წელს რომში.

3) იხ. საქ. საისტორიო საერთოგრაფიო საზნების ოქმი № 207, 1925 წ. 24 იანვრიდან.

1) იხ. „ზატკი“ 1738 მოსკ. ინანება ტ. ს. უწ. წიგნისაიკავში, კოლექცია: ანს.—II—844.

შედარებით ნაკლებ არის შეცდომები და გაუგებრობანი საბოლოო გრაფიკონის მე-III თავიდან, საქართველოში დაბეჭდილი წიგნების ისტორიაზე. (გვ. 66). სისწორით არის აღნიშნული ტექნიკაში პირველად ქართული წიგნის დაბეჭდვის დრო (1709). ვახტანგ მე-VI მიერ ვალაქიდან მესტაპის მოყვანა, კარიკაშვილი სამართლიანად ანტიკივებს, რომ ვახტანგმა მხოლოდ ერთი მესტაპზე მოიყვანა და არა რამდენიმე, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარები ვადმოგვიმდენ. (გვ. 68). მაგრამ ავტორი მიზილ უნგრულახელის პირველების სისწორით დანასიათებას ბოლომდე ვერ მიტყუა. და წინააღმდეგ ნიბი „მტიკიებისა“ უნგრულადილი მისენებელია 1713 წელს დაბეჭდილ „კრთხებდა“ში, სადაც ნათქვამია, რომ ვახტანგ მე-VI-ის „მრაველითა საყესათა წარსაგებლით“ დააჯილდოვა. წიგნში ვერ არის აგრეთვე სისწორით აღნიშნული, თუ რომელ წელს განაახლა ერეკლე მე-II სტამბა და საბეჭდობრ რამდენჯერ განაახლა.

აღსანიშნავია, რომ ავტორს ამ წიგნში, ერთი თავისი ძველი შეცდომაც გამოუსწორებია. ის სწერდა რომ ქუთაისში 1785 წელს გაიხსნა სტამბა და წიგნიც დაიბეჭდაო (იხ. მისი „წიგნის ისტორია“ გვ. 48), ახლა კი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქუთაისში სტამბა პირველად გაიხსნა 1806 წელს სოლომონ მე-II მიერ. ასევე სამართლიანად ეარცხოვს ის ზ. ტუპიანის, ი. კორდანიას, პიოტ. ალ. ბაზანაშვილის და სხვათა გადმოცემებს, რომ ვითომ მე-XVIII საუკუნეში იმერეთში სტამბა ყოფილიყო. მაგრამ ავტორი აქაც არ არის თავის თავში კარგად დარწმუნებული, რადგან სათანადო საბუთი მას ამ შემთხვევაში არ გააჩნია, რადგან ამისთვის არ ემარა მარტო იმის თქმა, რომ 1806

წელს ქუთაისში დაიბეჭდა „ქრონიკანი“ და „საზარება გნებისა კვირიკისა“. მოგველოება უფრო ურყევი დოკუმენტი, მაგ. მესტაპი რომელიც თავის დროზე ერთ-ერთად ყველაზე გამოქვეყნებული (იხ. „ქალი“ № 25 1906 წლის) ამ დოკუმენტში შევე იმერეთისა სოლომონ II ანდობს ზურაბ წყარეთელს (სახლი-ხუცესს, მის მიერ იმერეთში (ქუთ.) პირველად დაარსებული სტამბის გამგებლობას, დოკუმენტი კი დაწერილია 1803 წელს. ამ რიგად, ეს საკითხი უკვე უდავოა.

სარეკენზიო წიგნში მოყვანილია ერთი ჩვენთვის სინტერესო ძველი, საბეჭდობრ ბელშეარულდება, — დადებულია ზაქარია-არქიმანდრიტსა და წყარეთელს (ზურაბ და გრიგოლ შიროს, — სტამბისა და წიგნების ბეჭდვა-გამოცემის შეთანხვ. მაგრამ როგორც სხვაგან ისე აქაც არ სჩანს თუ საიდან მოიტანა ავტორმა ის და სად ინახება, რათა დაინტერესებულმა პირმა შეამოწმოს და გამოაყენოს.

წიგნში ჩამოთვლილია აგრეთვე სტამბის მეშვენი, თუმცა არა უფლანი. ზოგიერთ მესტამბეთა ბიოგრაფიული ცნობაც არის მოცემული. განსაკუთრებით ბევრს ჩერდება ის, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნიკთორე ირბანის ვინაობაზე. წიგნში ჩართულია მე-XVII და მე-XVIII საუკუნეებში დაბეჭდილი ქართ. წიგნების სურათები და დართულია სხა (ნაწილობრივ მე-XIX საუკუნისა). სიაში მოყვანილი ზოგი წიგნის დაბეჭდვის დატა და ხან თვით დაბეჭდვის ფაქტიც გვეს ბადებს.

ტექნიკურად წიგნი კარგადაა გამოცემული, სუფთა კალაღზეა დაბეჭდილი, შედარებით კოტაა კორექტურული შეცდომები.

3. გუგუშვილი.

ქონსტანტინე შიბინაძე. — „რუსთველის გარემო“. 1928 წ. 160 გვ. ფასი 1 მ. 50 კაბ.

ახლანდელ გამოქვდა სასურაადღებო წიგნი რუსთველის პირობების გარემო. მეთხველს მოგხსენება თუ რა სიმწელი იყო აქამდე მოცული ეს საკითხი, რომელიც ჩვენმა ფილოლოგ-მკვლევარებმა და ისტორიული ჟეოლის მკვნიორებმა კიდევ უფრო დააბნელეს. აქამდე მათ არ მოუციათ იოტის ოდენი დამაჯერებელი სა-

ბუთი ამ საკითხში და, ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეიქმნა, რომ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. დღემდე უკველი მკვნიირი რუსთველოლოგიც კი დილობდა საქმის ინტერესებიდან კი არ გამოსულიყო, არამედ რაიე შეიძლება მტრის ორიგინალური აზრი გამოეთქვა და შემდეგ რუსთველის ტექსტის დახმარებით



გამართლება და რაც ამ აზრს არ ამართლებს რატორის მეოთხე ოლთკისა და კერძის წესბდა ის ეალბად ელიარებინა. ასეთი მიდგომით საკითხს გაშტტების შედეგად ჩვენ ვიღებდით არა მეცნიერულ ნარკვევს, არამედ რაღაც დოკუმენტალურ რომანის მსგავს ბელეტრისტიკას ან-და პოეტის საკითხზე გაურყვევლად ადამიანთა ვარჯიშობას. ჩვენი მკვლევარნი იცვლიან ამ მეტოქეობამ, რომ მათ დასკარგეს მორთდება იმ ტექსტიკადმი, რომელმაც რვაასი წელიწადი იბრძოლა ისტორიულ ქარტბილებში, რომ ჩვენამდე მოღწეა, რათა ის იმ დროს, როდესაც ჩვენ სმამალა გავკვირთ ელტურასა და ცივილიზაციაზე, ყოვლად მოურინდებლად გვეჯოგება და მართლაც სისწილით დაწერილი სტრიქონები უკრ კიდევ შევიდობის ხანს ალიტერაკიაში ნაგარჯიშვსა და საეკო გემოვნების ხალხს ეალბად გამოეცხადებინათ. არცერთ ჩვენ მკვლევარს აქამდე აზრად არ მოსვლია რომ ლიტერატურის უწყსანიშნავესა ძველი ლიტერატურისავე მეთოდებით გაერჩიათ და რაღაც გრამატიკულ შევდომებისა და ინფერსიების გამო, რომელიც მათ მიუღებლად მიჩნდათ რუსთველის უკუდავი ტაეებში ტექსტიკადან ამოეყარათ, თითქოს პოეტურ ძველთან კი არა, რაღაც იურიდიულ ტრაქტატთან ჰქონდათ საქმე. სხვანაირად ეს მათ არც შეეძლოთ, რადგან არცერთი მათგანი (მათ შორის ლიტერატურის სპეციალისტიც კი არიან) არ იცნობს არამე თუ თანამედროვე ევროპისა და რუსეთის ფორმალ მეთოდის მიმდევარ მეცნიერებს, არამედ იმ ძველ ფოლოლოგებსა და ლიტერატურათმცოდნეებს, რომელთაც უმეშავით ზღაპრებისა და საზოგადოად, ფოლკლორის საკითხებში და მით უფრო რასმოდების მორფოლოგიაში. არცერთ მათგანს აზრად არ მოსვლია თვალს გადაეგლო იმ საკითხებისათვის, რომელნიც დასული იყო ევროპაში კომერცისა და „ნიბელუნგების“ ირგვლივ, რაც მეტად საგულსმსიერო იქნებოდა რუსთველის კვლევითების წარმოების დროს საკითხის თითქოს ანალოგიურობის გამო, ისინი რაღაც უცოდველ ოლიმპზე ჰგრაბობდენ თავს და ვერ ამჩნევდენ რომ ეს ოლიმპი კი არა ტურბი იყო.

როდესაც ეს საკითხი პირველად კონსტანტინე კიკინაძემ თავისი „ალიტერაკიით“ დასძრა მკვდარ წარტილიდან და საკითხი ფორმალ ქაბებთან სიბრტყეზე გადაიტანა, მაშინ ჩვენ ამ მეცნიერ სპეციალისტაგან მოვისმინეთ რაღაც უკადროსი სიტყვები უცოდინარობაზე და ლიტე-

რებ. დღეს, როდესაც ლიტერატურის კარდინალური საკითხები უკვე უკონსტანტინე კიკინაძის შეწყავლის წესით სწავლეს, რაღაც იხები მეცნიერები, როგორც არიან ისე კალდელი, ჰენსლერი, სიგერსი, დებელიუსი, შპიტტერი და მრავალი სხვა ევროპაში და რუსეთში ეივნებათ, კომუნსი, შელესკი, ტინიანოვი, ეინოგრადაფი და სხვები, ესენი ისეც მამამაპურ კავს მოსავლომთან და იმითი უნდათ მოხნან ის ვამირი, რომელსაც რუსთველოლოგია ეწოდება. რუსთველის გენიალური შემოქმედების ნიმუში გადოქა ისეთი ხალხის კვლევა-ძიებას საგნად, რომელსაც იოტის თადენი წარმოადგენა არა აქვთ შემოქმედების იმ პროცესებთან, რომელსაც შემოქმედების ლაბორატორია ეწოდება და რის გათვალისწინებასაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურულ კვლევა-ძიებისათვის.

ამ მხრივ კიკინაძის წიგნი „რუსთველის გარშემო“ მართლაც რომ პირველი მერცხალია და ჩვენთვის ამ მაგალითით უკვე ნათელია, რომ რუსთველის პოემის მხოლოდ რამდენიმე ფორმალ ნიშნის მოწახებით მან სინათლე მოქვინა ამ საკითხს და მართლაც კერიოზული ამბები აღმოაჩინა. ყოვლად უდავოა მის მიერ პასტილიზის დახმარებით „ეალბი“ ადგენების ნამოთვილ ტექსტად აღიარება, სოფეტის კანონის გათვალისწინებით („დ ე დ ა ნ შ ი კ“ რომ არ გო ფი ლ ი ვ თ ის წ ი ნ დ ა წ ი ნ ე ე ნ ა გ უ ლ ის ხ მ ე ე ე) უკანასკნელი სამი თავის დიდად გამოცხადება, ტაეების გადახმისა და მათი კომპოზიური ნიშნების გამოკვლევა, განმარტება სიტყვათა „მონა“, „ქმა“ და „რუსთველისა და მისა“, და სხვ. ანალოგიები „ეალბ“ და ძირეულ ტაეებს შორის და მრავალი სხვა, რომელიც წიგნს აძლევს მეტად სერიოზულ ბანაითს და აჯარგბელი საკითხები უდავოდ გადაჭრილია. რომ არაფერი გამოერკვია ამ წიგნს, ჩვენ მაინც აღტაეებით შევხვდებოდით მას, თუნდაც მხოლოდ იმიტომ რომ მან პირველმა სკადა „ეფების ტკაჟანის“ ფორმალ მეთოდით გარჩევა. ის ლიტერატურულ ძველს ლიტერატურის მეთოდებით არჩენს და არა ისე, როგორც ამას სჩადიოდენ ჩვენი ისტორიული შკოლის მკვლევარები.

დემნა შენგელაია.

A. ФИНН-ЕНОТАЕВСКИЙ. — Финансовый Капитал и производительный Капитал. თინანსური გამომცემლობა. მოსკოვი. გვ. 160.

თინანსური

თინანსური კაპიტალის თეორიულ კვლევებში ავტორი შეტად ყალბ თვალსაზრისზე სდგას, ეს თვალსაზრისი სრულებით არ ეთანხმება არც ჰილფერდინგის და არც ლენინის შეხედულებას თინანსური კაპიტალის პრობლემაზე. ავტორის აზრით, არავითარი თინანსური კაპიტალი არ არსებობს—არ მომხდარა საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შედუღება ერთ მთლიან სხეულში. მართალია, „კავშირი ინდუსტრიასა და ბანკს შორის იზრდება და უნდა იზრდებოდეს კიდევაც, რთულდება ეს კავშირი მაგრამ ყოველივე აქედან გამომდინარე ინდუსტრიალურ და საბანკო კაპიტალების ერთმანეთთან შედუღების, შესისხლხორცების ტენდენციის— არა არ არის მართალი“ (გვ. 48-49). ასეთი „შესისხლხორცება“ არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს. ავტორი სცდილობს ეს დებულება დამტკიცოს...

თინანსური კაპიტალი ავტორის წარმოდგენით აქვს, როგორც ფუფუნადი კაპიტალი, მომცემი პროცენტის. „კაპიტალი, რომელიც იძლევა პროცენტს, ზედ ვუწოდებთ თინანსურ კაპიტალს“ (გვ. 12)—აცხადებს ავტორი. ცხადია, ასე გაგებული თინანსური კაპიტალი არ წარმოადგენს ინდუსტრიალურ კაპიტალის უმაღლეს ფორმას. პირიქით, „თინანსური კაპიტალი არ არის უმაღლესი ორგანიზაციული ფორმა ინდუსტრიალურ კაპიტალის, როგორც ეს წარმოდგენილი აქვს ჰილფერდინგს“ (გვ. 75). არც ისაა მართალი, ვითომ განვითარებულ კაპიტალისტურ მეურნეობაში ხელმძღვანელ როლს თინანსური კაპიტალი თამაშობდეს. „ბანკებსა და ინდუსტრიას ურთიერთობის საკითხში უკანასკნელი სიტყვა დღემდე ეკუთვნოდა და—უნდა ეთიქოთ— მომავალშიც ინდუსტრიას მიეკუთვნება“ (გვ. 43). ასეთია ავტორის ძირითადი „თეორიული“ დებულება.

აშკარაა, ვინც ცოტათი თუ ზეგარად გაცნობილია თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის საკითხებს, ეგრძობთ—თინანსური კაპიტალის საკითხს, ავტორის მოსაზრებათა სისყალბეს ადვილად შეამჩნევს. ავტორი ყალბ თვალსაზრისზე სდგას—ეს კიდევ არააფორი. საქმე იმაშია, რომ ავტორი სცდილობს, ეს ყალბი თვალსაზრისი ლენინსაც მოახვედროს. რა თქმა უნდა, ეს მას ვერ გამოუდის და ამიტომ იძულებულია ლენინს პირ-

დაპირ შეებრძოლოს. აქვე უნდა შევხედოთ თინანსური კაპიტალის აზრს ამ ბრძოლაში ავტორის, არც დინატრებსებულ მკითხველის ინტერესს.

თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების „უახლესი ფაზისის“ თეორიული ანალიზი ზედ მოგვცა რადოლფ ჰილფერდინგმა თავის ცნობილ ნაწარმოებში: „თინანსური კაპიტალი“. მართალია, ამ ნაწარმოებში აქვს სერიოზული ნაკლებობანი, მაგ. ფული თეორიის და იმპერიალიზმის პრობლემების საკითხში. მიუხედავად ამისა, ამ შრომას ლენინი ახასიათებს, როგორც „უადრესად ძვირფას თეორიულ ანალიზს“. ჰილფერდინგის ფორმულას: „საბანკო კაპიტალი, რომელიც... მართლაც გადაქცევა სამრეწველო კაპიტალში, მე ვუწოდებ თინანსურ კაპიტალს (Финансовый капитал გვ. 253), ლენინი იღებს პრინციპიალურათ, მხოლოდ აფართოებს ამ ფორმულას, აესტეს, ამარტივებს მის შინაარსს. ჰილფერდინგის განმარტება არ არის სრული იმდენად, რამდენად მასში არ არის ნაჩვენები ერთ-ერთი საგულისხმო მომენტი, სახელდობრ: წარმოების და კაპიტალის კონცენტრაციის ზრდა ისეთი ბარისბით, როცა კონცენტრაციას მიეფუფუნებთ მონოპოლიისაკენ“. ამიტომ ლენინი აყენებს ასეთ ფორმულას: „წარმოების კონცენტრაცია, მონოპოლიები აღმოცენებული ამ კონცენტრაციიდან, შედუღება ან გათქვეფა ბანკების მრეწველობასთან,— არ თინანსური კაპიტალის წარმოების ძსტორია, თინანსური კაპიტალის მექანიზმის შინაარსი“ (Собр. соч. т. XIII, გვ. 271—272). მაშასადამე, თინანსური კაპიტალის დამახასიათებელი ძირითადი თვისებაა საბანკო კაპიტალისა და მრეწველობის შეერთება, შედუღება (слияние). ლენინის შეხედულებით, ამ „შეერთებულ სხეულში“ მბრძანებელი როლს თამაშობს საბანკო და არა სამრეწველო კაპიტალი, როგორც ამას თინანსურთავეს „ამტკიცებს“.

ავტორი უარყოფს იმ ფაქტს, რომ თინანსური კაპიტალის მგროვადი ეცემა ბირჟების როლი. ფაქტის უარყოფა გამოიმდინარეობს იქიდან, რომ ავტორი ეერ ამწვეს ბანკების ახალ დანიშნულებას. ავტორის აზრით, ბანკებს არ შეეცვლიათ თავიანთი როლი, ეს როლი დარჩა უცვლელი ამ შემთხვევაშიაც ავტორი უარყოფს ლენინის შეხედულებას ბანკების „ახალი დანიშნულების“ შესახებ.

აეტორი ეარყოფს იმ ფაქტსაც რომ ფინანსური კაპიტალი ამის წინა ხანებში რუსეთშიაც შეიჭრა. აეტორის აზრით, ასეთ „შეჭრას“ და საერთოდ, კაპიტალის დენაციონალიზაციას რუსეთში არ კონია ადგილი (გვ. 181—182 და სხ.). ეს გამოგონება აბალგაზრდა ეკონომისტების, რომლებიც საარტიკო მასალების ჰეჭვით ირთობენ თავს. რასაკვირველია, არც ეს დებულება შეესაბამება სიმართლეს, მას არაფერი აქვს საერთო არც ლენინის შეხედულებასთან და, მაშასადამე, არც მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან. ჩვენ შეგვიძლია მრავალი ამონაწერი მოვიყვანოთ აეტორის „თხზულებიდან“ და ისინი შევადაროთ სხვა მკვლევართა შეხედულებებს. ეს შორს წაგვიყვანს და, ვფიქრობთ, არც აეტორის „შრომა“ იმსახურებს ასეთ ფრაადლებას. მთელი წიგნი თავიდან ბოლომდე ვაღებ „თეორიულ“ თვალსაზრისზეა აგებული, ამ თვალსაზრისს არაფერი აქვს საერთო მარქსისტულ-მეცნიერულ შეხედულებასთან.

ჩვენ ავღნიშნავთ მხოლოდ ერთ საინტერესო „თეორიას“, რომელსაც აეტორი აყენებს „გზა-და-გზა“, „გაქვრით“, ნამდვილად კი—სერიოზულად და მოფიქრებით. ეს არის „სახელმწიფო კაპიტალიზმის საკითხი. ერთ დროს ამ საკითხის გარშემო დიდი შეხლა-შემოხლა

სწარმოებდა ეკონომიურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით—პარტიაშიაც. აეტორი პირდაპირ აცხადებს უსტრიალოვის *„Земли видели бы особого несчастья в том, если бы у нас был чистый государственный капитализм под контролем советской власти. В истории бывает, что стальной преждевременно у руля класс вынужден выполнять те экономические задачи, которые не успел или не смог выполнять его предшественник. Поэтому развитие государственного капитализма отнюдь еще не означает гибели советской власти, т. е. рабоче-крестьянской демократии, руководимой пролетариатом“* (გვ. 23). ჩვენ სატყუარ-სიტყვით, რუსულად მოვიყვანეთ ეს ამონაწერი, რადგან ის არ არის განსაკუთრებულ ინტერესს მოკლებული. მისი კომენტარები ზედმეტია სრულებით. თითოეული მკითხველი აქ აწყარად ზედაეს, თუ საით მივყვართ აეტორის ვაღებ შეხედულებებს. მოკლეთ: ფინ-ფროტავესკის ეს „ნაშრომი“ მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას, ის შეენვა და მიუღებელი საბჭოთა მკითხველისათვის.

ეკონომისტი.

ბრძოლა: { მას. ვახიანი.
 ა. შიქაბე.
 ს. მამულია.
 ა. თქვაკაშვილი.
 ს. ყული.

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა



1. კონსტანტინე ლორთქიფანიძე—ერთი მოთხრობა	0
2. ტიციან ტაბიძე—გულდაგულ	0000
3. ი. ლიხაშვილი—გლეხკორის ნამბობიდან	6
4. ვარლამ უურულო—სამძიმარი მყინვარს	7
5. ალექსანდრე ქუთათელი—ლენინგრადი	8
6. მიხეილ ჯავახიშვილი—არსენა მარაბდელი	11
7. როდიონ ქორქია—დაფიონა	54
8. ვ. ნიჟარაძე—ორი დაბადება	62
9. გრიგოლ რობაქიძე—უღევა	81
10. შერშან კეხეური—შტრასენმან (თარგ. უ. ურდოელისა)	110

ქართობა, მემკვიდრეობა, პუბლიცისტიკა

11. პლატონ ქიქოძე—ვის ხელშია კლასიკოსები	135
12. პროფ. კორნ. კეკელიძე—ქართ. კულტურის ორი დღესასწაული	151
13. გრ. მუშიშვილი—მონოპოლისტური კაპიტალიზმი	168
14. პროფ. დ. უზნაძე—მუშაობის მეთოდთა რაციონალიზაციისათვის	199
15. კ. გორდელაძე—სპინოზას მატერიალიზმი	224

ბიბლიოგრაფია

16. Grunbar—სტენდალი: „იტალიური ქრონიკები“	241
17. პ. გუგუშვილი—დ. კარიკაშვილი: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“	242
18. დემნა შენგელაია—კ. კოჭინაძე: „რუსთველის გარშემო“	244
19. ეკონომისტი—А. Финн-енотаевский: Финансовый капитал и производительный	246

პროფ. კ. კეკელიძის წერილში გახარული შეთქმობა:

ბ-	სტრეფ	არის	უნდა იყოს
157	10	ძეგუათონ	ძეგუათონ
158	1	ჭ	ჯ
„	2	გ	ღ